ექსტრემალური ღვთისმსახურება

უხსოვარი დროისა და თანამედროვე მორწმუნეების ყოველდღიური მსახურების ისტორიები, ადამიანები, რომეთაც ყველაფერი გაიღეს ქრისტესათვის.

ექსტრემალური
ღვთისმსახურება

უხსოვარი დროისა და თანამედროვე მორწმუნეების
ყოველდღიური მსახურების ისტორიები, ადამიანები,
რომეთაც ყველაფერი გაიღეს ქრისტესათვის.

eBooks for download
east.om.org/ebooks

Translator: Lali Hanmer
Editor: Luke Maisuradze
Graphics & Layout: OM EAST
Originally published in English under the title
Extreme Devotion by The Voice of the Martyrs
Copyright © 2001, The Voice of the Martyrs
Published by W Publishing Group, a Division of Thomas Nelson, Inc.,
P.O. Box 141000, Nashville, Tennessee, 37214

© 2014 for the Georgian Language Edition
This project is a joint production by Voice of the Martyrs and OM EAST.

მთარგმნელი: ლალი ჰანმერი
რედაქტორი: ლუხუმ მაისურაძე
ექსტრემალური ღვთისმსახურება

W PUBLISHING GROUP

წამებულთა ხმა
ექსტრემალური ღვთისმსახურება
საავტორო უფლება © 2001. წამებულთა ხმა.
ყველა უფლება დაცულია. გამომცემელთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლება ამ წიგნის არანაირი-ელექტრონული, მექანიკური, ფოტო თუ სხვა – ფორმით გამოყენება, გარდა მოკლე ციტირების ან მიმოხილვისა.
გამომცემლობა. W PUBLISHING GROUP

ეს წიგნი ეძღვნება...

მათ, ვინც სიკვდილი არჩია უარყოფას

ვინც რწმენა არჩია შიშს...

ვინც დამოწმება არჩია დუმილს...

მათ, რომელთა ღირსიც არ იყო მთელი სოფელი.

ებრაელთა 11:38

სამადლობელი

ამ პროექტის განხორციელებამ, სამუშაო ჯგუფის დიდი ძალისხმევა მოითხოვა, რისთვისაც მრავალ ადამიანს მინდა მოვუხადო მადლობა. პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ღმერთს-მისი დიდი სიყვარულისა და წინამძღოლობისათვის. სწორედაც რომ მისი განდიდებაა ჩვენი მსახურებისა და ამ წიგნის დაწერის მიზეზი.

მე ვაღიარებ წარსულისა და აწმყოს ყველა იმ წამებულს, რომელთა რწმენამ და ღვთისადმი მიძღვნილმა ცხოვრებამ გავლენა მოახდინა ჩვენზე. მათი მაგალითის გარეშე დღეს ხელმოცარული იქნებოდა თანამედროვე ეკლესია.

განსაკუთრებით ვმადლობ გამომცემლობა W-ს, მათი ხედვისა და ძალისხმევისათვის. მათი დაუღალავი შრომა რომ არა, ამ წიგნს მკითხველი არ ეყოლებოდა. მათი შთაგონების მომგვრელი ნამუშევარი ხელმისაწვდომია ყველა, თავდადებული და სიძნელეებთან მებრძოლი მორწმუნისათვის.

მინდა აგრეთვე მადლობა მოვუხადო ჯგუფს, რომელმაც მძიმე შრომა გასწია ამ ისტორიების მოძიებისა და ჩაწერისათვის. ჯინი კლეარი, რიკ კილიანი, ტოდ ნეტლტონი, ჩერილ ოდენი და ჰენრი 'ბადი'. თითოეულმა მათგანმა დაუღალავი შრომა გასწია ჯგუფის მეთაურ, სტივ კლეართან ერთად.

და ბოლოს, მადლობა მარი ენნ ლაკლენდს, დეივ ვიერმანს, ეშლი ტეილორს, ფეიჯ დრიგას, და გრეგ ლონგბონს ლივინგსტონის კორპორაციიდან, რომლებმაც ძვირფასი 'devotional' დაამატეს წიგნს და ითანამშრომლეს W ჯგუფთან საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ტომ უაითი

წამებულთა ხმის დირექტორი, აშშ.

შესავალი

ამ წიგნში აღწერილი მორწმუნეები მსხვერპლები კი არა, გამარჯვებულები არიან. ისტორია სავსეა წამებულთა თავგადასავლებით, იესოს მოწაფეებიდან დაწყებული თანამედროვე წამებულებით დამთავრებული. მათთან ერთად შეხვდებით ნებისმიერი სახის მდევნელთ, რომაელებიდან დაწყებული რუმინელებამდე, მაფიოზებიდან მუსულმანებამდე, და კონფუციანელებიდან კომუნისტებამდე. მაგრამ, ჩვენთვის თითოეული მორწმუნის ცხოვრება ქრისტესადმი თავდადების უნიკალური მაგალითია. ამ წიგნში მოთხრობილია იმ მორწმუნეების შესახებ, რომელთაც საკუთარი თავის გადარჩენაზე მეტად სხვა სურვილი ამოძრავებთ:

ქრისტეს მსახურებისა და მისი მოწმობის სურვილი.

* * * * *

ამ წიგნზე მუშაობის დაწყებისას ამერიკამ ახალ ეპოქაში შედგა ფეხი. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა თავისუფალ მსოფლიოს სახე შეუცვალა და კითხვების დროში გადაგვისროლა – დროში, როდესაც მრავალნი პასუხის მოლოდინში იმედის თვალით შეჰყურებენ ეკლესიას – დროში, როდესაც ეკლესია ღმერთს შესცქერს ძალისათვის.

ჩვენი მიზანია, რომ ამ წიგნმა გააფართოვოს ადამიანის აზროვნება და გავლენა მოახდინოს განსაცდელის ჟამს ჩვენს მოქმედებაზე. მაგალითად, როგორ ვუპასუხებთ მათ, ვინც ბოროტება ჩაიდინა ჩვენს მიმართ? როგორ პასუხობდნენ ქრისტიანები? როგორ პასუხობდნენ ამ შემთხვევაში ძველი ქრისტიანები? როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება სხვა რწმენის ადამიანებისადმი, რომლებიც სასტიკად გვეპყრობიან? სწორი იქნება თუ არა გარისკო და აუწყო ღვთის სიყვარული მათ, ვინც შეიძლება მოგკლას ამისათვის?

ეს წიგნი არ იძლევა პასუხს ყველა კითხვაზე, მაგრამ გარანტიას გაძლევთ, რომ კარგ გამოცდას მოუწყობს თქვენს რწმენას. როდესაც წაიკითხავთ ქრისტიანების ენით გამოუთქმელ ტანჯვათა შესახებ, ეცადეთ, დაინახოთ და აღმოაჩინოთ ტრაგედიების ზედაპირს მიღმა არსებული საგანძური.

ყურადღება გაამახვილეთ ჩვენი ქრისტესმიერი დებისა და ძმების მხნეობით სავსე დამოწმებებზე. გააცნობიერეთ, რომ იგივე სული, რაც ცხოვრობდა და ცხოვრობს მათში, ცხოვრობს თქვენშიც და ირწმუნე, რომ შენც შეგიძლია მსგავსი რწმენა გამოავლინო საჭიროების შემთხვევაში.

ამ ამბების გაცნობა შესაძლებელს გახდის გაიგო ტანჯვის თეოლოგია და დააფასო რწმენის რადიკალური მხარე, ტანჯვა.

ამ თეოლოგიის გაგების პირველი საფეხური, იმის გაცნობიერებაა, რომ ეს ამბები არ წარმოადგენს მხოლოდ უიმედო ტანჯვის ისტორიებს; აქ აღწერილი მორწმუნეები 'სუპერ' ქრისტიანები არ არიან. ცხადია, რომ

ისინი ცნობილნი არიან თავიანთი მხნეობითა და ქრისტესადმი ისეთი მიძღვნილობით, რომ ხანდახან ადამიანებს უჭირთ მათი გაგება. მაგრამ სინამდვილეში ისინი ჩვეულებრივი ქრისტიანები არიან (როგორც ჩვენ) რომლებიც არაჩვეულებრივ პრობლემებს აწყდებიან.

რაშია საიდუმლო, რა აღძრავს მათში ასეთი განსაკუთრებული თავდადების სურვილს?

მარტივად რომ ვთქვათ, მათი ტანჯვა გამოიწვია იესოს, როგორც ღმერთის რწმენამ.

საკმარისია მხოლოდ რწმენა. ადამიანის ხელით მიყენებული ტანჯვა შეიძლება აუტანელი იყოს. მაგრამ, როცა იგი ეფუძნება რწმენას ღვთის სასუფევლისათვის, მაშინ ტანჯვა ქრისტესათვის თავის გასაწირად მზადმყოფი ქრისტიანის გულს ამხნევებს.

ამ წიგნის ყველა წამებულს ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს, ესაა მგზნებარება ღვთისათვის. ეს მგზნებარება ჭარბობდა შიშს, ღვთის სიტყვის სხვებისათვის გაზიარების გამო დაპატიმრების შიშს.

შესაძლოა მათი მგზნებარება ნაწილობრივ გამომდინარეობდა უმაღლესი საზღაურის ფლობის გაცნობიერებიდან. როცა რწმენა საზღაურს მოითხოვს, მაშინ იგი უფრო ფასეული ხდება. ეს მნიშვნელოვანი ასპექტი აძლიერებს ქრისტიანი ადამინის ბუნებას იმ სახელმწიფოებში სადაც რელიგიური თავისუფლება შეზღუდულია.

ერთხელ წმიდა ავგუსტინემ თქვა, ‘ მიზეზი, და არა ტანჯვა, წარმოშობს ნამდვილ წამებულს.’ ბერძნული სიტყვა ‘წამებული’ ნიშნავს ‘მოწმეს.’

ამ წიგნის წამებულებმა პიროვნულად შეძლეს დაემოწმებინათ ჭეშმარიტებისა და იესო ქრისტეს შესახებ და სწამდათ, რომ ეს მოწმობა უნდა მიეტანათ სხვებამდე, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ.

პიესაში *მკვლელი კათედრალში* ელიოტი აღწერს წამებულს, ‘ადამიანს, რომელიც ღვთის ინსტრუმენტი გახდა, ვინც საკუთარი ნება ღმერთს ანაცვალა, და კი არ დაკარგა, არამედ იპოვა; იპოვა თავისუფლება ღვთის მორჩილებაში. წამებულს აღარაფერი სურს თავისთვის, თვით წამებულის დიდებაც კი.’

მოწმობა ნიშნავს ცეცხლთან თამაშს. ხუცესმა ჰილმა, გვიამბო ერთი ქალის შესახებ, რომელიც მასთან მივიდა და უთხრა, ‘ხუცესო ჰილ, ილოცეთ ჩემთვის, ეშმაკი დამდევს.’ ხუცესმა ჰილმა უთხრა მას, ‘ეშმაკი არ დაგდევს. შენ ჯერ არაფერი გაგიკეთებია საიმისოდ, რომ ეშმაკი დაგდევდეს.’ ყოველი ქრისტიანის მიზანი უნდა იყოს ‘იმდენი გააკეთოს’ ღვთის სასუფევლისათვის, რომ მიიპყროს ეშმაკის ყურადღება.

ვიმედოვნებთ რომ, როდესაც ამ წიგნის გმირების მსგავსად ქრისტეს დამოწმებისათვის რაიმე ტანჯვაში ჩავარდებით, თავდადებული მსახურების დიდებასა და სილამაზეს გამოსცდით.

ექსტრემალური ღვთისმსახურების მწერალთა ჯგუფი

წამებულთა ხმა.

ექსტრემალური
შეკითხვა

თურქეთი: ერკან სენგალი

როცა, ერკან სენგალმა ქრისტეს მიუძღვნა თავისი სიცოცხლე მუსულმანურ თურქეთში,ზოგიერთებმა ეს საკუთარი მემკვიდრეობისა და ეროვნულობის უარყოფად ჩათვალეს. როდესაც მან თქვა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ღმერთისათვის; საკითხავია რას გულისხმობდა ამ დროს?

იჯდა ერკანი ბნელ, ნესტიან საკანში სხვა პატიმრებთან ერთად. იგი დაპატიმრებულ იქნა ადგილობრივი პოლიციის მიერ, რომელიც ამბობდა, რომ ერკანმა ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელებით „ისლამი შეურაცხყო“.

ერკანი ლოცულობდა და ღმერთს შველას სთხოვდა. მან იცოდა, რომ ცუდი არაფერი გაუკეთებია და იქ ყოფნასაც არ იმსახურებდა. „შენ თქვი, რომ ყველაფერს გააკეთებდი ჩემთვის,“ ჩასჩურჩულა ღმერთმა ერკანს გულში. „რას გულისხმობდი მაშინ?“

ერკანი შეიმუსრა ღმერთის წინაშე, ტიროდა და თაყვანს სცემდა მას და გულში უთხრა, რომ „მართლა იმას გულისხმობდა, რაც თქვა.“ ერკანი ყოველდღე სამი საათი ქადაგებდა ციხეში და მიხვდა, რომ ღმერთმა ახალი მსახურების კარი გაუსხნა ციხეში მოხვედრით! მან ოცდაათი დღე გაატარა ციხეში, ვიდრე მოწმეებმა არ აღიარეს, რომ პოლიციის ზეწოლით მოაწერეს ხელი ბრალდებას, და მოსამართლემ ვერანაირი დანაშაული ვერ იპოვა ერკანის ქმედებაში.

ერკანის დაპატიმრებამ ხელი შეუწყო მისი მოწმობის გავრცელებას. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მრავალი თანასაკნელი ესტუმრა მის ეკლესიას, ეკითხებოდნენ იმ ღმერთის შესახებ, რომელმაც მას მშვიდობა მისცა ციხეში ყოფნის დროს. მიუხედავად დაპატიმრების მოლოდინისა, ერკანი დღესაც სიხარულით ავრცელებს ქრისტიანულ ლიტერატურას.

ქრისტიანების უმეტესობა აღიარებს, რომ ტანჯვა არ არის ის, რასაც ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, რომ გვინდა ღმერთმა გამოგვიყენოსო. რა თქმა უნდა, რწმენის შესაბამისად გვსურს ცხოვრება-მაგრამ არ გვინდა გვდევნიდნენ. გვაღიზიანებს სამსახურში ზემდგომების დამოკიდებულება და საზოგადოებისაგან გარიყვა. თავს დამცირებულად და მოტყუებულად ვგრძნობთ. მიუხედავად ამისა, უნდა ვილოცოთ და ვეძიოთ ღვთის ნება. და აღმოვაჩენთ, რომ ლოცვას შესწევს ძალა, შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა. ჩვენ დავინახავთ ჩვენი სულიერი ზრდის შესაძლებლობებს. მოვა იმედი. განელდება ტკივილი. დადგება დღე და დავინახავთ, რომ რა უსამართლოდ და უიმედოდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ჩვენი მდგომარეობა, შეიძლება სწორედ ეს არის ღვთის ნება ჩვენს ცხოვრებაში. როცა დევნისას პასუხს ვითხოვთ ღმერთისაგან, ბოლომდე მორჩილების ძალაც მოვა.

ჩემთვისაც, რათა მომეცეს სიტყვა
და ჩემი პირით გაცხადებით ვაუწყო,
რომლის ელჩიცა ვარ, სახარების
საიდუმლო, ბორკილდადებულმა,
რათა გაცხადებით ვილაპარაკო, რისი
თქმაც მმართებს.

ეფესელთა 6:19-20

პირველი დღე

ექსტრემალური
ერთობა

მავრიტანია: ტიმოთე

‘უთხარი, ტიმოთე, გთხოვ!’ ყვიროდა მავრა, ეხვეწებოდა თავის ქმარს. ‘უთხარი გამგებელს სად ინახება წმიდა წერილი და გაგათავისუფლებენ! აღარ შემიძლია მეტის ყურება.’ ტიმოთე და მავრა, რომაული პროვინციის მავრიტანიის მცხოვრებნი, დაპატიმრებამდე რამდენიმე კვირით ადრე დაქორწინდნენ.

მავრა შიშით შეჰყურებდა ჯარისკაცებს, რომლებმაც მის ქმარს გახურებული რკინით დათხარეს თვალები. ახლა, რომის გამგებელ არიანუსის ბრძანებით, კისერზე სიმძიმით თავდაღმა დაკიდებული ტიმოთე ელოდა, რომ პირიდან სახვევს მოაშორებდნენ და სუნთქვას შეძლებდა. დაპატიმრების დროს დაუფლებული შიში ახლა ღვთიურ სიმშვიდეს შეეცვალა.

რწმენის უარყოფისა და ეკლესიის კუთვნილი წმიდა წერილების ასლების ადგილსამყოფელის გაცემის ნაცვლად, რასაც მოელოდნენ ჯარისკაცები, ტიმოთემ თავის ახალგაზრდა ცოლს შეუძახა. ‘ჩემს სიყვარულს ქრისტეს სიყვარულზე წინ ნუ დააყენებ,’ გამხნევდი, მე მზად ვარ საკუთარი სიცოცხლე ქრისტეს შევწირო. ქმრის შემხედვარე მავრა გამხნევდა.

ტიმოთეს შეუდრეკლობით გაშმაგებული არიანუსი, ახლა მავრას მიუბრუნდა საწამებლად. არიანუსმა რომაული წამების ყველაზე დახვეწილი მეთოდები გამოიყენა მავრასთან. მიუხედავად ამისა, მავრა არ დანებდა. ქრისტე არ უარყო.

ენით აუწერელი ტანჯვის შემდეგ, ტიმოთე და მავრა ერთმანეთის გვერდით აცვეს ჯვარს.

იესომ ერთეულ მორწმუნეებს კი არ მიანდო მსახურება-არამედ სულიერი ოჯახი დააფუძნა. იგი იყენებდა სიტყვებს, როგორიცაა ‘ძმა’ და ‘და’, რაც იმას მიანიშნებდა, რომ იესო არ მოელოდა მოწაფეების განსაცდელში მარტო ყოფნას. პავლემ ქრისტეს მსახურება გააგრძელა და ახალ მორწმუნეებს ასწავლიდა, რომ ერთად შეკრებილი ყვნენ ეკლესიაში მსახურებისათვის. ქრისტიანებს ერთმანეთი სჭირდებათ-განსაკუთრებით კი გამოცდის დროს. როცა ერთი მორწმუნე ეცემა სხვებს მხნეობა ეკარგებათ და მხარდაჭერას საჭიროებენ. აი, რატომ მიიჩნევს ახალი აღთქმა ქრისტიანების აუცილებელ მოვალეობად ქრისტიანული რწმენის შესაბამის ცხოვრებას. ერთი პიროვნების რწმენის მაგალითმა და მხნეობამ შეიძლება დანარჩენი მორწმუნეები შთააგონოს და კეთილი საქმის გარშემო გააერთიანოს. და პირიქით, როცა ერთი ეცემა დევნით გამოწვეული ზეწოლისაგან, დანარჩენებისთვისაც ადვილია დაცემა. ისტორიას შემონახული აქვს ქრისტიანული საზოგადოების მეგობრობის ფაქტები-განსაკუთრებით დევნისას.

> რათა ინუგეშონ სიყვარულით
> შეერთებულმა მათმა გულებმა
> სრულქმნილი გონების
> ყოველგვარი სიმდიდრისათვის
> ღვთისა და ქრისტეს საიდუმლოს
> შეცნობისათვის.
>
> *კოლასელთა 2:2*

მე-2 დღე

განსაკუთრებული
მზადყოფნა

ჩინეთი: ხუცესი ლი დექსიანი

როგორც კი ხუცესი ლი დექსიანი ქადაგებას შეუდგა, საოჯახო ეკლესიის კარი მოულოდნელად გაიღო. ოთახში ჩინეთის სახალხო დაცვის ბიუროს შეიარაღებული ოფიცრები შემოიჭრნენ, ხალხს ემუქრებოდნენ და ლის წასაყვანად სტაცეს ხელი.

‘მოითმინეთ, გეთაყვა, ნება მომეცით ჩანთა ავიღო.’ როგორც ყოველთვის, ახლაც თავაზიანი, მაგრამ მტკიცე ხმით მიმართა ხუცესმა ოფიცრებს

თხოვნამ გაკვირვება გამოიწვია ოფიცრებში. ‘რა გაქვს ჩანთაში?’ მკაცრი ტონით იკითხეს და მოუთმენლად ეცნენ ლის ჩანთას გასახსნელად. ჩანთაში იდო ‘ადიალა’ და ერთი ხელი ტანსაცმელი, ლიმ მათ უთხრა, რომ ყოველთვის ელოდა, რომ დადგებოდა ასეთი დღე და მას დააპატიმრებდნენ.

ხუცესი ლი რამდენჯერმე დააპატიმრეს. ორჯერ, პოლიციამ ისე მაგრად სცემა, რომ პირიდან სისხლი აღებინა, ერთხელ კი ლის სახეში საკუთარი ბიბლია ურტყეს. ლი გააფრთხილეს, რომ პოლიცია უთვალთვალებდა იმ სოფელს, სადაც მას სამშაბათობით შეხვედრა ჰქონდა. მან იცოდა, რომ თუ საქადაგებლად გამოჩნდებოდა, დააპატიმრებდნენ. დღეს, ჩინეთის მოქალაქე შეიძლება სამი წლით გააგზავნონ მუშათა საკონცენტრაციო ბანაკში ოფიციალური გასამართლების გარეშე.

რისკი დიდი იყო, ლისაც ჩანთა ყოველთვის მზად ჰქონდა. ჩანთაზე მეტად კი საკუთარი გული და გონება ჰქონდა შემზადებული. ქადაგების სანაცვლოდ ნებისმიერ სასჯელზე დათანხმდებოდა. დარწმუნებული იყო ღმერთი იზრუნებდა მასზე-ციხეშიც კი.

მზადყოფნა მოვალეობის ნიშანია. თუ მოვალეობა მზად არ არის მსხვერპლის გასაღებად, იგი უბრალოდ კომპრომისითაა შენიღბული. მაგალითისათვის ავიღოთ საქორწინო კავშირი. ქორწინებისას ერთი მხარე კარგავს თავკერძობასა და საკუთარ დამოუკიდებლობას. მხოლოდ ამის შემდეგაა ქორწინება მყარი. დიდხანს ვერ გასტანს ისეთი ურთიერთობები, რომელიც მზად არ არის მსხვერპლის გასაღებად. კომპრომისი ასუსტებს იმ სიმტკიცესა და ძალებს, რომლებიც მოვალეობის შესრულებისას უნდა გვქონდეს. ანალოგიურად, მორწმუნის ვალდებულება ქრისტეს მიმართ საფუძველშივე მოითხოვს მისი ღირებულების დამადასტურებელ საზღაურს. ყოველ დღე უნდა ვემზადებოდეთ ვალდებულებისათვის, ამით წარმოვაჩენთ ქრისტიანობის მნიშვნელობას. ის იმსახურებს ყოველ დღე ლოცვისათვის დროის გამოყოფას. ის ღირსია ეკლესიაში მსახურებისა. განსაცდელის, შეურაცხყოფისა და დაპატიმრების ატანამაც რომ მოგვიწიოს, ღმერთი მაინც იმსახურებს კომპრომისზე წაუსვლელად შევასრულოთ მის წინაშე ჩვენს მიერ აღებული ვალდებულებები.

საყვარელნო, ნუ გაგაოცებთ თქვენზე მოვლენილი ცეცხლოვანი განსაცდელი, თითქოს უცხო რამ დაგმართოდეთ.

1 პეტრე 4:12

მე-3 დღე

ექსტრემალური
სინათლე

კოლორადო: რეიჩელ სკოტი

„ყველა სკოლის მეგობარი დავკარგე. ახლა, როცა,'ისე ვცხოვრობ როგორც ვლაპარაკობ,' დამცინიან." რეიჩელის დღიური სავსეა ამბებით, რომლებშიც მისი იმედგაცრუებებია აღწერილი. ადამიანები, რომელთათვისაც მას ქრისტეს სიყვარულის გაზიარება სურს, ზურგს აქცევენ. მაგრამ, რეიჩელი უკან არ იხევს.

„არ ვაპირებ ბოდიში მოვიხადო ქრისტეს სახელის ხსენებისათვის. თუ სკოლის მეგობრები, ჩემს საუკეთესო მეგობარ-იესოსთან ყოფნის გამო მტრებად გადამექცევიან, არა უშავს. ვიცოდი, რომ ქრისტიანად მოქცევა მტრების გაჩენას ნიშნავდა, მაგრამ არ მოველოდი, რომ ის მტრები ჩემი 'მეგობრები' იქნებოდნენ."

რეიჩელი კოლუმბიის საშუალო სკოლის მოსწავლე იყო მაშინ, როდესაც ორმა მოსწავლემ ცეცხლი გახსნა სკოლაში. ერთმა იარაღმომარჯვებულმა რეიჩელს ჰკითხა, კიდევ თუ სწამდა ღმერთის, მან თვალებში შეხედა და უთხრა – რომ სწამდა. მან კვლავ დაუსვა კითხვა, თუ რატომ სწამდა – მაგრამ პასუხის გაცემა არც კი დააცადა ისე გამოასალმა სიცოცხლეს.

რეიჩელ სკოტმა გამოცდა ჩააბარა. ეს სინათლე მისი სკოლის მიღმა, მთელს მსოფლიოს მოედო. გამოცდამდე დიდი ხნით ადრე, რეიჩელმა ქრისტესათვის ყველაფრის გაღების სურვილი გამოხატა. შემთხვევამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, რეიჩელი თავის დღიურში წერდა ამის შესახებ. „არ ვაპირებ დავმალო ღვთის მიერ მოცემული სინათლე. ყველაფრის გაწირვაც რომ დამჭირდეს, გავწირავ."

რწმენა არის იესოსთან ჩვენი უხილავი პიროვნული ურთიერთობის გამოხატვა. ბიბლია ადამიანების რწმენაზე ლაპარაკობს, როგორც სინათლეზე. ეს რწმენის გადამდები თვისებაა და ვრცელდება მორწმუნის გარშემო მყოფ ადამიანებზეც. იესომ იმიტომ აირჩია სინათლის ილუსტრაცია, რომ შეუძლებელია სინათლის დაფარვა. სინათლეს ასეთი ბუნება აქვს, ის ანათებს – და ვერაფერს მოგვცემს ჩვენი მცდელობა, თუ შევეცდებით მის დაფარვას. ანალოგიურად, დაძაბულობა იზრდება მორწმუნის ცხოვრებაში არჩევანის დადგომისას, ღიად გამოხატონ თავიანთი რწმენა თუ ზოგიერთ შემთხვევაში თავი შეიკავონ რწმენის გამოხატვისაგან. როგორც მზე ანათებს ყოველდღე ბუნებრივად, ასევე უნდა ანათებდეს ქრისტიანიც, რომელიც მტკიცეა თავის გადაწყვეტილებაში იყოს მორწმუნე.

ასევე ანათებდეს თქვენი ნათელი
ადამიანთა წინაშე, რათა
ხედავდნენ ისინი თქვენს კეთილ
საქმეებს და ადიდებდნენ მამას,
რომელიც ზეცაშია.

მათე 5:16

მე-4 დღე

ექსტრემალური
ლოცვა

ჩინეთი: და ვონგი

ჩინეთის სახალხო დაცვის ოფიცერი საკანში შევიდა თუ არა, და ვონგმა უკან დაიხია. ამ უგულო კაცს მრავალი ქრისტიანი დაუპატიმრებია და უწამებია, რამდენიმე დღის წინ ვონგსაც მაგრად ურტყა დაკითხვისას.

„დაო ვონგ, გთხოვ, ჩემი და ძალიან ავადაა. ფეხებზე შეგრძნება დაკარგა. წამოხვალ და ილოცებ მისთვის?“ ნუთუ, ეს ის კაცი იყო, რომელმაც მას ასობით ბიბლია და ქრისტიანული ლიტერატურა წაართვა? ახლა ის ლოცვას ითხოვდა? ნამდვილად ღმერთს უნდა მიეპყრო მისი ყურადღება. ოფიცერმა ვონგის აზრი ცრურწმენად მიიჩნია.

რამდენიმე დღის წინ, როცა ოფიცერი და ვონგს დამამცირებელად ეპყრობოდა დაკითხვისას, ტელეფონზე დაურეკეს და შეატყობინეს, რომ ოფიცრის დედისათვის მანქანას დაურტყამს. როცა ოფიცერმა დედას თავისი საქმიანობის შესახებ უამბო, დედამ უთხრა, რომ ავარია მისი ქრისტიანებისადმი ასეთი მოპყრობის მიზეზი იყო.

მომდევნო დღეს, ოფიცერი ვონგის დაკითხვას აპირებდა, რომ ახალი შეტყობინება მიიღო თავისი ძმის ავარიაში მოხვედრის შესახებ. ისიც ამ უბედურ შემთხვევას თავისი ძმის ქრისტიანებისადმი ასეთ მოპყრობას აბრალებდა. მაგრამ, როცა მისი და გახდა ცუდად, და ვონგს ლოცვითი დახმარებისათვის მოუხმო.

და ვონგი დიდიხანია ლოცულობდა მწამებლებთან დამოწმების შესაძლებლობაზე და აი, დადგა კიდეც ეს შემთხვევა. ღმერთმა ოფიცრის და განკურნა, და ვონგის საქციელის მეშვეობით ოფიცრის გულიც შეცვალა. ოფიცერმა წართმეული ბიბლიები უკან დააბრუნა და ახლა იგი ეკლესიას ეხმარება.

ბევრ ადამიანს განუცდია ლოცვისადმი უცნაური მიდრეკილება – განსაკუთრებით მწარე ტკივილების დროს. ნებისმიერი რელიგიური ბარიერი შეიძლება გადაილახოს ლოცვის შედეგად, როცა ადამიანი ითხოვს და იღებს პასუხს ლოცვაზე. იშვიათია შემთხვევა, როცა ‘ურწმუნო’ უარს ამბობს იმაზე, რომ მისთვის ილოცონ. ლოცვა ღვთისმიერი ცვლილების ნიშანია. შედეგიც სახეზეა. ხანდახან ლოცვა ცვლის სიტუაციას, ხანდახან გადაწყვეტილებებს, ხანდახან კი მათაც, ვისაც ეს ლოცვა ეხება. ბიბლია ამბობს, რომ პირველი რაც ქრისტიანების ყოფილმა მდევნელმა ტარსუსელმა პავლემ მოქცევის შედეგ გააკეთა, ლოცვა იყო. ვინ იცის, რა როლს ითამაშებს ლოცვა, დედამიწის ზურგზე იმ თანამედროვე „პავლეების“ მოქცევაში, რომლებიც ქრისტიანების განადგურებას ცდილობენ?

> უთხრა მას უფალმა: „ადექი
> და მიდი ქუჩაზე, რომელსაც
> ჰქვია სწორი და იუდას
> სახლში იკითხე ტარსუსელი
> კაცი, სახელად სავლე. აჰა,
> ლოცულობს იგი.“
>
> *საქ. 9:11*

მე-5 დღე

ექსტრემალური „დანაშაული“

მაგადასკარი: რანავალონა პირველი

მაგადასკარის დედოფალს, რანავალონა პირველს, სძულდა თავისი ქვეყნის ქრისტიანები. ხშირად გამოხატავდა უკმაყოფილებას მათ მიმართ: ქრისტიანებს სძულდათ მისი კერპები, ყოველთვის ლოცულობდნენ, ეკლესიაში დადიოდნენ, და მათი ქალები უმწიკვლობით გამოირჩეოდნენ. დედოფალმა ოფიცრები გაგზავნა ყველა ქრისტიანის სასამართლოში მოსაყვანად.

„დამნაშავეთა“ სია თექვსმეტი ათასს შეადგენდა. ისინი არ აპირებდნენ ბრალდების უარყოფას, ამის გაკეთება ქრისტეს უარყოფას ნიშნავდა. დედოფალმა მეორედ მისცა მათ შესაძლებლობა უარი ეთქვათ ქრისტეზე და კერპებისთვის ეცათ თაყვანი. ამაზე ყველამ ერთხმად განაცხადა უარი. ისინი ბნელ, ჭუჭყიან საკნებში ჩაყარეს და მრავალი სიცოცხლეს გამოასალმეს. დედოფლის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ერთი მოკლულის ადგილას ოცი ქრისტიანი ჩნდებოდა.

მოგვიანებით, დედოფალმა თხუთმეტ ქრისტიანს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. 150 მეტრიანი კლდიდან უნდა გადაეგდოთ სიკვდილმისჯილები. დედოფლის კერპები კლდის თავზე დადგეს, თოკმობმული ქრისტიანები კი კლდიდან ჩაუშვეს.

„ქრისტეს ემსახურებით თუ დედოფლის ღმერთებს?“ ეკითხებოდნენ ჯარისკაცები კლდეზე გადაკიდულ მორწმუნეებს.

ყველა ქრისტიანმა მარტივად უპასუხა, „ქრისტეს.“ თოკები გადაჭრეს და ქრისტიანები ხრამში ჩაყარეს. ზოგიერთი ქრისტიანი სიკვდილს სიმღერით ეგებებოდა. ერთი ახალგაზრდა გოგონა გიჟად ჩათვალეს და გაათავისუფლეს. მოგვიანებით მან დიდი ეკლესია დაარსა.

ეჭვმიტანილი მრავალ ქვეყანაში უდანაშაულოდ ითვლება ბრალის დამტკიცებამდე. რადგან თვლიან, რომ პიროვნების დამნაშავედ გამოცხადებამდე საჭიროა უფრო მეტი მტკიცებულება. ქრისტეს რწმენას მთავრობის განაწყენებად თვლიან იმ სახელმწიფოში, სადაც მართლმსაჯულება უსამართლოა. მორწმუნეებს დანაშაულის დამტკიცებამდე მიიჩნევენ დამნაშავეებად. იმისათვის, რომ ადამიანი სასამართლოს წინაშე გამართლდეს –სასამართლო დარბაზში უნდა უარყოს ქრისტე. მაშინ როცა, ეს ბრალდება ზეციური სასამართლოს დარბაზში გამარჯვებას ნიშნავს. „ექსტრემალური დანაშაული“ ადამიანის მიერ ქრისტეს რწმენა, ისეთ ბრალდებად ითვლება, რასაც ვერანაირ გამართლებას ვერ მოუძებნი! გამეორების ღირსად მივიჩნევთ მსგავს პარადოქსს: დღეს რომ სასამართლოს წინაშე წარგადგინონ ქრისტიანობის გამო, იპოვის თუ არა სასამართლო თქვენი ქრისტიანობის დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებებს?

> წმიდაჰყავით ქრისტე, როგორც უფალი, თქვენს გულებში და მუდამ მზად იყავით, რომ სიმშვიდით და მოწიწებით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ.
>
> *1 პეტრე 3:15*

მე-6 დღე

ჩვენ ვისწავლეთ, რომ ტანჯვა არ არის ამ სოფლის ყველაზე დიდი უბედურება – ღვთის დაუმორჩილებლობაა ყველაზე დიდი საშინელება.

ვიეტნამელი ქრისტიანი ხუცესი დააპატიმრეს
რწმენის გამო.



მე-7 დღე

ექსტრემალური
ჭრილობები

იერუსალიმი: თომა

სხვის ნათქვამს მოჰკრა ყური. თომამ სხვა მოციქულებისაგან გაიგო, რომ უფალი ცოცხალია. ყოველ შემთხვევაში მათ ასე თქვეს. „როცა მის ხელებს დავინახავ და მის ნალურმევში თითს ჩავყოფ და მის რომაული მახვილით განგმირულ ფერდში ჩემს ხელებს, მერე დავიჯერებ რომ აღმდგარა," თქვა თომამ.

თომას სასწაული არ უნდოდა. ეს არ იყო უდიდესი ნიშანი ან საოცრება. მას უბრალოდ ქრისტეს სხეულის ჭრილობების, მისი ტანჯვის სიმბოლოს დანახვა უნდოდა. მიუხედავად იმისა, რომ იესომ სიკვდილი დაამარცხა და განდიდებულ სხეულში ცხოვრობდა, მაინც ჰქონდა ნაჭრილობევი – გადახდილი საზღაურის მოსაგონებელი ნიშანი.

რვა დღის შემდეგ იესო კვლავ გამოჩნდა. რა სულელად იგრძნობდა თომა თავს, როცა უფლის პირისპირ წარსდგა. რა სულელურად მოეჩვენებოდა მოწაფეების მიერ შეხსენებული საკუთარი განცხადება. მიუხედავად ამისა, იესომ მკაცრად არ უსაყვედურა. თომას თვალებში ჩახედა, ხელები გაუწოდა, უთხრა მის ნაიარევს შეხებოდა და ერწმუნა.

ქრისტეს ჭრილობები მის ტანჯულ სხეულს გვახსენებს აღდგომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი დაამარცხა, დედამიწაზე მაინც გაიარა ტანჯვა. იგი შეიძლება გავაიგივოთ მსოფლიოში მცხოვრებ იმ ადამიანებთან, რომლებიც ქრისტეს რწმენის გამო ნაიარევს ატარებენ.

ჭრილობები ჩვენი მასწავლებლები არიან – მტკივნეული გაკვეთილების ცოცხალი შეხსენებები. ჭრილობები არასასიამოვნო დასანახია, განსაკუთრებით სხვები როცა ამჩნევენ. რატომღაც, დევნისას მიყენებული ჭრილობების შესახებ არ საუბრობს ხშირად ეკლესია. არ მოგვწონს ამაზე საუბარი. როგორც არ უნდა მიგვაჩნდეს, მისი მიზანია გვასწავლოს. დევნა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ღვთის დიდებულ გეგმებში, რათა მთელმა მსოფლიომ გაიგოს და უპასუხოს სახარებას. იესო სახალხოდ ატარებდა იარებს. სწავლების მიზნით მოუწოდა თომას შეხებოდა მის ჭრილობებს. მისი ჭრილობები ჩვენი მასწავლებლები არიან – და შეგვახსენებენ ჩვენი გამოსყიდვისათვის გადახდილი საზღაურის შესახებ. დევნილი ეკლესიის მიერ გადახდილი საფასურის შესახებ სწავლა კი არ უნდა უარვყოთ, არამედ უნდა გავაგრძელოთ.

შენ კი მე მომყევი მოძღვრებაში,
ქცევაში, განზრახვაში, რწმენაში,
ჭეშმარიტებაში, დიდსულოვნებაში,
სიყვარულში, მოთმინებაში.

2 ტიმოთე 3:10

მე-8 დღე

ექსტრემალური
არჩევანი

ინგლისი: ჯონ ლამბერტი.

„გირჩევნია რომ იცოცხლო თუ მოკვდე? რას იტყვი?“

ეს კითხვა დასვა ჰენრი მერვემ, ინგლისის მიწაზე შეუზღუდავი ძალის მფლობელმა მეფემ. მის წინაშე იდგა ‘კრიმინალი,’ ჯონ ლამბერტი, რომელსაც ბრალი ედებოდა ერესში, ბერძნულისა და ლათინური ენის სწავლებისათვის.

ლამბერტი გაბედულად შეეწინააღმდეგა საკუთარ ხუცესს არასახარებისეული დოგმის ქადაგებაში. ამისათვის იგი ჯერ კენტერბერიის ეპსკოპოსის, ხოლო მოგვიანებით მეფე ჰენრის წინაშე წარადგინეს. ლამბერტმა ეს საკითხი წმიდა წერილისა და ბერძნული ორიგინალის განმარტებით წარუდგინა ეპისკოპოსებს, მოსამართლეებს და თანამოაზრეებს. ორივე მხარე მანამდე ეკამათებოდა ცხარედ ერთმანეთს, ვიდრე მეფე ჰენრის მათი მოსმენა არ მობეზრდა და ლამბერტი სასამართლოს წინაშე არ დააყენა საბოლოო განაჩენისათვის. კმაყოფილი ხარ თუ არა, ‘ამდენი განათლებული კაციდან რჩევის მიღების შემდეგ? გირჩევნია რომ მოკვდე თუ იცოცხლო? რას იტყვი?’

ლამბერტმა ღრმად ამოისუნთქა და დარწმუნებით თქვა, ‘ჩემი სული ღმერთისთვის გადამიცია, სხეული კი თქვენი წყალობისათვის.’

‘უნდა მოკვდე,’ უპასუხა ჰენრიმ დამცინავად, „რადგან ერეტიკოსებს ვერ შევიწყალებ.“ ლამბერტს ერეტიკოსობაში დასდეს ბრალი და კოცონზე დაწვეს. ლამბერტს წამებისას ქედი არ მოუხრია. ხელები მაღლა აღაპყრო და შეჰყვირა, „მხოლოდ ქრისტე! მხოლოდ ქრისტე!“

თანამედროვე შესაძლებლობები ფართო არჩევანს გვთავაზობს. ორასი სატელევიზიო არხის არსებობა, თავისთავად თავისუფლებაზე მიუთითებს. ჩვენ გვსურს მრავალფეროვნება. არჩევანი. ხარისხი. მაღალი საზოგადოების გადაწყვეტილებებს ყოველ დილით გვაცნობენ – რა ჩავიცვათ, რა მივირთვათ, როგორი მანქანით ვიაროთ, და ასე შემდეგ. ფაქტიურად არჩევანი ძალიან დიდია. საპირისპიროდ ამისა, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი კითხვის დრო დადგება, მხოლოდ ერთადერთი პასუხი არსებობს. „მხოლოდ ქრისტე!“ განა არსებობს სხვა გზა სამოთხისაკენ? მხოლოდ ქრისტე-ის არის გზა. განა არსებობს სხვა პრიორიტეტი ცხოვრებაში ბოლომდე თავდადებას რომ იმსახურებდეს? მხოლოდ ქრისტე-ის არის უზენაესი. განა შეიძლება სხვა ვინმემ ან რამემ დააკმაყოფილოს ადამიანის სურვილები? მხოლოდ ქრისტეს შესწევს ამისი ძალა. როგორც ხედავთ ჭეშმარიტებას არა აქვს ალტერნატივა. როდესაც ცხოვრებაში უმთავრესი კითხვის ჟამი დადგება, ეს დრო კი აუცილებლად დადგება, ხარ თუ არა მზად დაამოწმო, რომ „მხოლოდ ქრისტეა“ კმაყოფილების წყარო?

> და თუ ავად მიგაჩნიათ თქვენს
> თვალში უფლის მსახურება,
> აირჩიეთ დღეს, ვის ემსახუროთ:
> ღმერთებს, ვისაც თქვენი მამები
> ემსახურებოდნენ მდინარის გაღმა,
> თუ ამორეველთა ღმერთებს,
> რომელთა ქვეყანაშიც თქვენ
> ცხოვრობთ. მე და ჩემი სახლი კი
> უფალს ვემსახურებით.
>
> *იესო ნავეს ძე 24:15*

მე-9 დღე

ექსტრემალური
ღალატი

რუმინეთი: ძმა ვასილი

კომუნისტურ რუმინეთში, ეკლესიები დახურეს და ხუცესები დააპატიმრეს, „ცრურწმენისაგან ერის გათავისუფლების“ შვიდწლიანი პროგრამის საფუძველზე.

ძმა ვასილიმ და მისმა მეუღლემ მოუხშირეს რა საეკლესიო შეხვედრებს ოჯახში, იცოდნენ, რომ ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მთავრობას. ვასილი ყოველ საღამოს ლოცულობდა, „ღმერთო, თუ იცი, რომ რომელიმე პატიმარს ჩემი დახმარება სჭირდება, გთხოვ უკან გამაგზავნო.“ მისმა შეცბუნებულმა მეუღლემ უხალისოდ წაიბუტბუტა „ამინ“.

მალე შეიტყვეს, რომ ერთ-ერთი მორწმუნის სახლი დაურბევიათ და ვასილის ქადაგებების ხელნაწერი ამოუღიათ. ისიც გაიგეს, რომ ხუცესის თანაშემწე, მათი მეგობარი და თანამშრომელი, ინფორმატორი გამხდარა და ვასილი დაუსმენია.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა პოლიცია პატარა ბინას დაეცა და ვასილი დააპატიმრა. სანამ წაიყვანდნენ, მან უთხრა პოლიციელებს: „მშვიდობიანად არ დავტოვებ აქაურობას, თუ ნებას არ დამრთავთ ჩემს ცოლს გადავეხვიო.“ პოლიციაც უხალისოდ დათანხმდა. სულ ერთია მაინც ვერსად გაექცეოდათ.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს გადაეხვია, ილოცეს, და ისე ემოციურად იგალობეს, რომ თვით კაპიტანიც ააღელვა მათმა გალობამ. ბოლოს ვასილი პოლიციის მანქანამ წაიყვანა და მისი ატირებული ცოლი უკან ჩამოიტოვა. ვასილი წასვლის წინ ცოლს მიუბრუნდა და რამდენიმე წლით გაუჩინარებამდე საბოლოო სიტყვა უთხრა, „ჩემი სიყვარული გადაეცი ჩვენს ვაჟს და ხუცესის იმ თანაშემწეს, რომელმაც დამაბეზღა.“

ექსტრემალური დაბეზღება მოითხოვს ექსტრემალურ პატიებას.თუ ჩვენი მტერი ასე მოგვექცევა, განა მაინც მიმტევებლობა არ უნდა გამოვიჩინოთ? როცა ჩვენი მტერი ისე ეცემა რომ გვაბეზღებს, განა არა ვართ მოწოდებულნი რომ მივუტევოთ? იესომ გვასწავლა, რომ ბოროტების მიტევება ჩვენს სიკეთეზე მეტყველებს. დიდმა ღალატმა შეიძლება მიტევების ძალა წაგვართვას, მაგრამ საკუთარ ცოდვებს რაღას მოუხერხებ, თუ ძუნწი იქნები სხვებისადმი მიტევებაში. თუ გაგყიდეს, უკვე საკმარისად ცუდ დღეში ხარ; ამიტომაც აღარ შეგიძლია თავს გამწარების უფლება მისცე. ვის სჭირდება დღეს შენგან წარმოუდგენლად დიდი მიტევება?



მე-10 დღე

ექსტრემალური
საჩუქარი

რუსეთი: კაპიტანი მარკო

„რა არის ეს?“ შეუღრინა საბჭოთა კაპიტანმა, მარკომ, პატარა ბიჭს. „რა გინდა?“

კომუნისტი ოფიცრის წინაშე დგომისაგან გამოწვეული შიში ძლივს დაძლია თორმეტი წლის ბიჭმა. „კაპიტანო, ჩემი მშობლები თქვენ ჩასვით ციხეში. დღეს დედაჩემის დაბადების დღეა, მე ყოველთვის ვყიდულობ მისი დაბადების დღისთვის ყვავილს.“

„მას შემდეგ, რაც დედაჩემმა ჩემი მტრების სიყვარული და ბოროტის სიკეთით მიზღვა მასწავლა, დედაჩემის ნაცვლად ეს ყვავილი თქვენი შვილებისათვის მოვიტანე. გთხოვთ, წაუღოთ ეს ყვავილი თქვენს მეუღლეს, და უთხარით ჩემი და ქრისტეს სიყვარულის შესახებ.“

კაპიტანი მარკო, აუღელვებლად რომ უყურებდა ქრისტიანების ცემას და წამებას, ამ ბავშვის სიყვარულის გამოხატულებამ განაცვიფრა. ატირებული მივიდა ბიჭთან და მამაშვილურად გადახვია ხელი. მარკოს გული ქრისტეს სიყვარულის საჩუქარმა შეცვალა. მალე მას აღარ შეეძლო ქრისტიანების დაპატიმრება და ცემა და თვითონ იქნა დაპატიმრებული.

პატარა ბიჭის სტუმრობიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, მარკო ჭუჭყიან საკანში შეაგდეს, იმ ქრისტიანებთან, ადრე თვითონ რომ აწამებდა. აცრემლებულმა მარკომ თანასაკნელებს უამბო პატარა ბიჭის სტუმრობისა და მისი ყვავილის შესახებ. მას დიდ პატივად მიაჩნდა ციხეში იმ პატიმრებთან ერთად ყოფნა, რომელთაც ადრე თვითონ ესხმოდა თავს და აწამებდა.

დიდსულოვნება ქრისტიანის მეორე ბუნებრივი თვისებაა. იესო გვასწავლიდა, რომ ნამდვილ მორწმუნეებს სხვები სიყვარულის გამოვლენით იცნობენო და ეს არ ეხება ჩვენს მოკეთეებს. ძალიან ხშირად, უცხოებისა და მტრების მიმართ გამოვლენილი დიდსულოვნება არის იესოს სწავლების დიდი ქადაგება. ამის შემხედვარეები, რომ აღარაფერი ვთქვათ ადრესატზე, გაოცებულნი რჩებიან. წარმოიდგინეთ გულნატკენი ქრისტიანი დღედაღამ რომ ლოცულობს იმ უფროსისათვის, რომელმაც უსამართლოდ დაითხოვა სამსახურიდან. წარმოიდგინეთ დამწუხრებული მშობლებისაგან, მთვრალი მძღოლის მიმართ გამოხატული პატიების ეფექტი. ქვეყნიერებას არ ესმის დიდსულოვნება. თუმცა ეს ყველას ერთნაირად გვეხება. ღმერთზე დიდები ვერ ვიქნებით დიდსულოვნების გამოხატვისას. მან ხომ თავისი ძე გასწირა ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად. რას გაიღებდი დღეს, ვინმეს რომ გულის კარი ღვთის სასუფევლისათვის გაეღო?



მე-11 დღე

ექსტრემალური
მისიონერი

პაკისტანი: სალემა და რაჰელა

„თუ პირობას დადებ ატარო ჯვარი, იგი იქნება ეკლებითა და სირთულეებით სავსე ცხოვრება," თქვა პაკისტანელმა თინეიჯერმა, მტკიცე ხმით. მუსულმანურ პაკისტანში მცხოვრებმა ქრისტიანმა, სალემამ, სკოლის მეგობარ რაჰელას გაუზიარა რწმენა, რომელმაც მოგვიანებით ქრისტე მიიღო.

ოჯახი განრისხდა რაჰელა „მუსულმანობიდან რომ მოიქცა", რადგან ამ მიზეზის გამო პაკისტანში შეიძლება სიკვდილით დაგსაჯონ. სალემა და მისი ხუცესი დააპატიმრეს, მისი მშობლები კი პოლიციამ დაკითხა და უმოწყალოდ სცემა. არც სალემასთვის მიუყენებია ნაკლები შეურაცხყოფა პოლიციას, მაგრამ ქრისტე მაინც არ უარყო. საპატიმროში საგალობლებსაც კი მღეროდა ხმადაბლა, იმედოვნებდა რა, რომ სხვებსაც მიიყვანდა ქრისტესთან.

რაჰელა სახლიდან გაიქცა, ოჯახმა მაინც მიაგნო მის ადგილ-სამყოფელს. მოსთხოვეს ერთხელ და სამუდამოდ რწმენაზე უარი ეთქვა და მუჰამედის რჯულზე მოქცეულიყო, რაზეც რაჰელამ უარი განაცხადა. მისი „დანაშაულისათვის," რაჰელა საკუთარი ოჯახის წევრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

სალემას დიდხანს მოუწია სასამართლო დაკითხვებზე სიარულმა. რაჰელას ოჯახი სალემას ადანაშაულებდა მათი ქალიშვილის სიკვდილში. სასამართლომ ბრალდება ვერ დაამტკიცა. მაგრამ სალემას ცხოვრება აღარასოდეს იქნება იგივე. რადიკალი მუსულმანების მხრიდან სიკვდილის მუქარის გამო იძულებული გახდა სხვა მხარეში გადასახლებულიყო. ეკლიანმა და რთულმა ცხოვრებამ მისი რწმენა ვერ ჩააქრო. ამჟამად სალემა მისიონერობისათვის ემზადება. „მნიშვნელობა არა აქვს სირთულეს, იესო დაგეხმარება მის გადალახვაში!" თქვა მან.

ხშირად არასწორად გვესმის სიტყვა მისიონერის მნიშვნელობა, თითქოს მისიონერები ჯარისკაცები არიან – ჩვენს ნაცვლად, ღვთის არმიის რწმენის მებრძოლები. სიმართლე კი ისაა, რომ ყოველი ჩვენგანი მოწოდებულია იყოს მისიონერი. ღვთის მნიშვნელოვანი საქმეების უმეტესობა შეიძლება სასადილო მაგიდის ირგვლივ წყდებოდეს, უბრალოდ ყავას მიირთმევდე მეზობლის სახლში და ისე. მაგრამ სადაც არ უნდა ვიყოთ და რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, ჩვენი მსახურების გული იგივე უნდა იყოს. ჩვენ მოვალენი ვართ დავამოწმოთ ქრისტეს სიყვარულის შესახებ. ზოგიერთებს გმირობად მიაჩნიათ საკუთარი მეგობრებისათვის რწმენის გაზიარება. დანარჩენებისათვის კი სხვადასხვა კულტურის ხალხებში მუშაობაა მისიონერობა. ჩვენი მსახურების საზომი ის კი არ არის, რა უფრო მნიშვნელოვანია. არამედ ჩვენი მოტივაცია. რა დონემდე გსურს ქრისტეს კეთილი უწყების გაზიარება დღეს?

> რათა შენი თანაზიარება
> რწმენაში ქმედითი იყოს
> შეცნობისას ყოველი
> სიკეთისა, რომელიც
> თქვენშია ქრისტესათვის.
>
> ფილიმონი 6

მე-12 დღე

ექსტრემალური
საზღაური

ინდოეთი: დოქტორი პ. პ. იობი

“თითქოს მკლავი მომკვეთეს,“ თქვა დოქტორმა პ.პ იობმა. მის ცხოვრებაში ეს ქადაგება ყველაზე რთული იყო: საკუთარი შვილის დაკრძალვა. ხმა დამძიმებოდა ემოციისაგან. „მაგრამ, რაც შემომრჩა, იმით გავაგძელებ ღვთის სასუფევლის მსახურებას.“

პროფ. იობი წამებულთა ხმის დირექტორი, ხშირად საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს ინდოეთის იმ ნაწილში ქრისტიანების გამხნევებით, სადაც ეს სასტიკად იკრძალება. ინდოეთის დიდ საევანგელიზაციო შეხვედრებზე მისი ქადაგებისას ათასობით ადამიანი მოდის ქრისტესთან.

მისმა საქმიანობამ ძლიერ გაანაწყენა თანამოქალაქე რადიკალი ჰინდუსები. 1999 წლის ივნისში, მანქანის ღია ფანჯრიდან ქვა ესროლეს შუბლში და სისხლიანი მიატოვეს. ერთი კვირის შემდეგ, იობის ვაჟი, მიხეილი, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, საკუთარი სასწავლებლის წინ სეირნობდა. გადაჭარბებული სიჩქარით მომავალმა ავტომანქანა ფიატმა დაარტყა და მიიმალა. დამნაშავეს ვერ მიაკვლიეს. მიხეილი, მრავალი მოტეხილობით, კომაში ჩავარდა და რამოდენიმე დღეში გარდაიცვალა.

როგორც პროფ. იობმა თქვა, ვაჟის დაკარგვა ვერ შეაფერხებდა მის საქმიანობას. ვაჟის გარდაცვალების შემდეგაც არაერთხელ იქადაგა და ათასობით სული შეიძინა ქრისტეში. პროფ. იობის მსახურების საფასური უდაოდ დიდია: საკუთარი შვილი. მაგრამ ის მარტო არ არის. ღმერთმა იცის რას ნიშნავს მრავალთა სულების შესაძენად შვილის დაკარგვა.

დევნილ ეკლესიამდე გზა ციცაბო და გრძელია. ორი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში მრავალი აღძრა ეშმაკმა ქრისტეს სახარების წინააღმდეგ. ქრისტიანებს მაშინაც უნდა გვქონდეს საზღაურის გადახდის სურვილი-პრაქტიკულად არასოდეს რომ არ დაგვჭირდეს ამის გაკეთება. ამის საუკეთესო მაგალითი აბრაამია. რომელმაც იმ ერთადერთი შვილის-ისაკის შეწირვის სურვილი გამოთქვა, ვისი მეშვეობითაც უნდა კურთხეულიყო. ქრისტესთან დადებული ვალდებულებისადმი შეწირვის სურვილი აძლიერებს ადამიანს. შეწირვის იდეა წმენდს ჩვენს მიზნებს. შეწირვის სურვილი განამტკიცებს ჩვენს ხასიათს. ოჯახს, სამეზობლოს და ჩვენს ქვეყანას ქრისტესთან მიმართებაში, ცვლის ისეთი ვალდებულება, რომელიც საზღაურს მოითხოვს ჩვენგან. ამის შემდეგ დავინახავთ თუ როგორი ძლიერები შეიძლება ვიყოთ. თუმცაღა არ გვსურს იმის დაკარგვა, რასაც ძალიან ვართ ჩაჭიდებულნი-ნებისმიერი მდგომარეობის მიუხედავად, მუხლჩაუხრელად უნდა ვიღვაწოთ მსახურებაში.

ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში
ხარ და არ დაზოგე ჩემთვის შენი
ძე, შენი ერთადერთი.

დაბადება *22:12*

13-ე დღე

უფალო, მაქციე შენი მშვიდობის
ინსტრუმენტად.
სადაც სიძულვილია, დაე
სიყვარული ვთესო;
სადაც ჭრილობაა, პატიება;
სადაც ეჭვია, რწმენა;
სადაც უიმედობაა, იმედი;
სადაც სიბნელეა, ნათელი;
სადაც მოწყენილობაა, სიხარული.

ო, ზეციერო, მიბოძე ნიჭი არ ვეძიო
ნუგეში, არამედ ვანუგეშო;
არა გამიგონ, არამედ გავუგო;
არა შემიყვარონ,
არამედ შევიყვარო.
რადგან, ვინც გასცემს მას მიეცემა.
თუ მივუტევებთ გვეპატიება.
სიკვდილით ვიბადებით საუკუნო
სიცოცხლისთვის.

წმ. ფრანცისკო ასიზელი.

მე-14 დღე

ექსტრემალური
ღიმილი

ციმბირი: პაულუსი

ღამდებოდა, საბჭოთა ოფიცერი უკვე რამდენიმე საათია აწამებდა პაულუსს. „ამის შემდეგ აღარ გაწამებთ," თქვა მან, და გაიღიმა ქრისტიანის შემოხედვისას. „ამის ნაცვლად ციმბირში გიკრავთ თავს, სადაც თოვლი არასოდეს დნება. იქ ტანჯვისათვის კარგი ადგილია. შენ და შენი ოჯახი კარგად მოერგებით."

პაულუსმა, დეპრესიაში ჩავარდნის ნაცვლად, გაიღიმა. „მთელი დედამიწა მამაჩემს ეკუთვნის, კაპიტანო. სადაც არ უნდა გამაგზავნოთ ყველგან მამაჩემის მიწაზე ვიქნები."

კაპიტანმა მკაცრად შეხედა. „ყველაფერს ჩამოგართმევ."

„მაღალი კიბე დაგჭირდებათ, კაპიტანო, რადგან ჩემი სიმდიდრე ზეცაშია დაგროვილი."

ლამაზი ღიმილით თქვა პაულუსმა.

„თვალებში გესვრით," დაიყვირა გაბრაზებულმა კაპიტანმა.

„თუ ამქვეყნიურ სიცოცხლეს წამართმევთ, ჩემი ნამდვილი სიხარულითა და სილამაზით სავსე ცხოვრება დაიწყება," უპასუხა პაულუსმა, „სიკვდილის არ მეშინია."

კაპიტანმა პაულუსს პატიმრის დახეულ ხალათში ხელი სტაცა და სახეში შეჰყვირა, „არ მოგკლავთ! მარტო ჩაგკეტავთ საკანში და არავის შემოვუშვებთ შენს სანახავად!"

„თქვენ არ შეგიძლიათ ამის გაკეთება, კაპიტანო," კვლავ ღიმილით თქვა პაულუსმა. „მე მყავს მეგობარი, რომელსაც დაკეტილ კარებსა და რკინის გისოსებში შემოსვლა შეუძლია. არავის ძალუძს ჩემი ქრისტეს სიყვარულისაგან დაშორება."

მიუხედავად იმისა, რომ მომავალი სავსეა მოულოდნელობებით, ერთ რამეში შეგვიძლია მტკიცედ ვიყოთ დარწმუნებულნი: განსაცდელში ჩვენთან ერთად იქნება ქრისტე. მნიშვნელობა არა აქვს პიროვნულ განსაცდელს გავდივართ თუ საზოგადოებრივს, არასოდეს ვიქნებით მარტო. საპირისპიროდ ამისა, ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება გაგვიცრუოს იმედი ცხოვრების რაღაც მონაკვეთში. ცხოვრებაში იქნება მომენტები, როცა ახლობლებს ჩვენთან ერთად ღრმა წყალში სიარული აღარ შეეძლებათ-და საუკეთესო შემთხვევაში ბუნდოვანი წარმოდგენა ექნებათ ჩვენზე. ამ დროს მხოლოდ იესოს ძალუძს „რკინის გისოსებს" მიღმა შეღწევა, ტანჯვის დროს ჩვენს გულში შემოსვლა და ჩვენი სიძნელეების გაზიარება. თუმცა, შეიძლება, არ ინებოს განსაცდელიდან ჩვენი გათავისუფლება, მაგრამ იგი ნამდვილად იქნება ჩვენთან ერთად. გაიღიმე, რადგან იცი, რომ გყავს მეგობარი, რომელსაც ვერასოდეს დაგაშორებენ.

ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს
სიყვარულს: ჭირი თუ
შევიწროება, დევნა თუ შიმშილი,
სიშიშვლე თუ საფრთხე,
ანდა მახვილი?

რომაელთა 8:35

მე-15 დღე

ექსტრემალური
შესაწირავი

ინდონეზია: ხუცესი პატრიკ პატივაელი

როცა თანამორწმუნე ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტის ხმა ისმოდა ეზოდან, ახალგაზრდები ერთმანეთს ეკვროდნენ ოთახში. ხუცესი ჰენდრიკ პატივაელი და მისი მეუღლე, ინდონეზიის ახალგაზრდული ბანაკის ლიდერები, თავს ვალდებულად თვლიდნენ ეზრუნათ ახალგაზრდების გადასარჩენად.

ბანაკში სულიერი ზრდისა და ღვთისმსახურების სიხარული სუფევდა. შემდეგ კი ბანაკს თავს დაესხნენ. როცა რადიკალი მუსულმანების ბრბომ ალყა შემოარტყა იმ შენობას, სადაც ახალგაზრდები იმალებოდნენ, ხუცესი პატივაელი გარეთ გავიდა. ცდილობდა, სისხლმოწყურებული ბრბოს ყურადღება თავისი ცოლისა და ახალგაზრდებისათვის აერიდებინა და მათთვის გაქცევის საშუალება მიეცა, სწორედ ამ დროს ხუცესს თავს დაესხნენ.

„იესო, მიშველე.“ აღმოხდა ხუცესს საბოლოოდ.

ამის შემდეგ მისმა ცოლმა იგი კუბოში ნახა. გულმკერდსა და ხელებზე საშინელი წამების კვალი ეტყობოდა ხუცესს. გამწარებულმა და თავზარდაცემულმა ქალბატონმა პატივაელმა ღმერთს შეჰღაღადა. „ეს რატომ დაუშვი? რატომ არ დაიცავი ჩემი ქმარი?“

თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე სულიწმიდამ თავისი ქმრის სიტყვები გაახსენა. „თუ იესო გიყვარს, მაგრამ მასზე მეტად მე ან შენი ოჯახი უფრო გიყვარს, მაშინ ქრისტეს სამეფოსათვის უღირსი ხარ.“ ქმარმა ცოლს უთხრა, რომ იგი მზად იყო ქრისტეს სასუფევლისათვის მომკვდარიყო.

ამ სიტყვების გახსენება დაეხმარა უარი ეთქვა გულში სიბოროტის ჩადებაზე. იგი კვლავ თანამშრომლობს ინდონეზიაში თავის ეკლესიასთან. იგი თავისუფალი ქვეყნების ქრისტიანებს ასეთ რჩევას მისცემდა: „ეძიეთ ღმერთი უფრო მეტი გულმოდგინებით, და უფრო მეტი ტანჯვის გადატანას შეძლებთ.“

განსაცდელის საძებნელად წასვლა არ გვჭირდება. მას უკვე აქვს ჩვენი მისამართი. იესო ხშირად ახსენებდა მოწაფეებს, რომ განსაცდელი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ღვთის გულმოდგინედ ძიება არ ნიშნავს საკუთარი ცხოვრებისათვის მეტი პრობლემების ძებნას. არა, ღმერთთან ახლო ურთიერთობის ძიების სარგებელი იმაში მდგომარეობს, რომ უკეთესად მოვემზადოთ მოსალოდნელი განსაცდელისათვის. ჩვენს არჩევანზე არ არის დამოკიდებული რომელი განსაცდელი შეგვხვდება ცხოვრებაში. ღმერთთან ურთიერთობა განსაცდელისათვის მზადებას ნიშნავს. ზოგიერთმა განსაცდელმა შეიძლება ქრისტესათვის ჩვენი სიცოცხლის გაწირვა გამოიწვიოს. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს ნამდვილ მიძღვნას. ექსტრემალური მიძღვნა დიდი ხნით ადრე უნდა მოხდეს. ღმერთთან უშუალო ურთიერთობის დამყარება თუ გვსურს, პირველ რიგში ჩვენი თავკერძა ბუნება უნდა გადავცეთ ღვთის ნებას. ქრისტესთან ურთიერთობისათვის ყველაფრის გაღებით, ყველაზე რთულ გამოცდას ვაბარეთ.

ამრიგად, შეგაგონებთ, ძმებო, ღვთის წყალობებით, რომ შესწიროთ თქვენი სხეული ცოცხალ, წმიდა, ღვთის სასურველ მსხვერპლად, რაც თქვენი სულიერი მსახურება იქნება.

რომაელთა 12:1

მე-16 დღე

ექსტრემალური
ტკივილი

სუდანი: სუდანელი ბიჭები

„ჩვენთან ერთად გაიმეორეთ,“ ყვიროდნენ ჯარისკაცები და ბიჭებს სახესა და მუცელში ურტყამდნენ. „ალაჰი არის ღმერთი, მუჰამედი კი მისი წინასწარმეტყველი. თქვით!“

ოთხი სუდანელი ბიჭი ტიროდა და დედებს უხმობდნენ საშველად, მაგრამ უარი თქვეს იმ სიტყვების გამეორებაზე, რომელიც სიცოცხლეს აჩუქებდათ და ქრისტიანობაზე უარს ათქმევინებდათ. წითელი სისხლი მოჩქეფდა ბიჭების შავი კანიდან, მაგრამ ქრისტეს რწმენას მაინც არ უარყოფდნენ.

უფროსი თინეიჯერი ბიჭები შიშით შეჰყურებდნენ ამ სურათს. მათ უნახავთ ისლამისათვის მებრძოლთა მახვილით ამოხოცილი სამხრეთ სუდანელი ოჯახები. ახლა ისინი უყურებდნენ თავიანთი ოთხი პატარა მეგობრისა და ნათესავის-ყველაზე ახალგაზრდა მხოლოდ ხუთი წლის იქნებოდა-სასიკვდილო ცემას.

ჯარისკაცებმა უფროსი ბიჭები აიძულეს ცხელ ნაკვერჩხლებზე დაწოლილიყვნენ და უბრძანეს მუსულმანური მრწამსი გაემეორებინათ და მუსულმანური რწმენა მიეღოთ. არცერთ ბიჭს სიტყვა არ უთქვამს გარდა აუტანელი ტკივილის გამომხატველი წამოძახილისა.

იმ დღეს თოთხმეტი ბიჭი და ცამეტი გოგო მოიტაცეს. გოგონების ადგილსამყოფელის მიგნება შეუძლებელი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩრდილო სუდანში მონებად ან ხარჭებად გაყიდეს. ბიჭები კი აწამეს, მაგრამ არცერთმა მათგანმა არ გადაუხვია რწმენას.

მეორე ღამეს ნაწამებმა, უფროსმა ბიჭებმა გაქცევა მოახერხეს. მიუხედავად ამდენი ტანჯვისა, არც ერთმა ბიჭმა არ უარყო რწმენა.

ტკივილი ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ღვთის გეგმაში. სამწუხაროდ, სხვა არაფერი არ იპყრობს ჩვენს ყურადღებას ასე. ხანგრძლივი ავადმყოფობა თუ მოულოდნელი ტრამვა იპყრობს ადამიანის სხეულის მთელ ყურადღებას. ნერვიული სისტემის მეშვეობით, ტკივილი სიგნალს აგზავნის სხეულში, რათა მთელი სხეულის ძალებმა კონცენტრაცია მოახდინონ განსაცდელზე. ანალოგიურად, ემოციური ტკივილის იგნორირებაც რთულია. რთული დასაძლევია კიბოსა და სხვა რაიმე დაავადების, დევნისა და უსამართლობის, უბედური შემთხვევის გამო ახლობლის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. რა შემთხვევითაც არ უნდა იქნეს ტკივილი გამოწვეული, მასთან დამოკიდებულების ორი გზა არსებობს. ან უნდა დანებდე, ან უნდა გაიზარდო. ტკივილი შეიძლება ღვთის მადლის უნიკალური მაგალითი იყოს იმისთვის, ვინც ეს გზა გამოიარა. იმ ათლეტის მსგავსად, რომლის კუნთებმაც სხეულის გაძლიერების მიზნით, წვრთნისას უნდა გაიაროს ტკივილი; ტკივილი ჩვენი გზაა ზრდისაკენ.

ხოლო თუ ვინმე იტანჯება,
როგორც ქრისტიანი, ნუ
შერცხვება, არამედ ადიდოს
ღმერთი ამის გამო.

1 პეტრე 4:16

მე-17 დღე

ექსტრემალური
ოპოზიცია

რუმინეთი: რიჩარდ ვურმბრანდი

„აღტაცებული ვარ კომუნისტებით.“ ეს სიტყვები უცნაურად მოგეჩვენებოდათ იმ ხუცესისაგან, რომელმაც თოთხმეტი წელი გაატარა კომუნისტურ ციხეში, მაგრამ რიჩარდ ვურმბრანდი გულწრფელი იყო ამ სიტყვების წარმოთქმისას.

„ბევრი კომუნისტი მზად იყო თავისი‘უტოპიის’ დასაცავად მომკვდარიყო. ისინი უფრო მეტად გამოირჩეოდნენ თავიანთი მიზნისადმი მიძღვნილებით, ვიდრე მრავალი იმათგანი ეკლესიაში რომ შევხვედრივარ.“

ნებისმიერ მტერში ხუცესი ვურმბრანდი პოტენციურ მეგობარსა და პოტენციურ ქრისტიანს ხედავდა. მოწინააღმდეგეების სიყვარულით მან არა მარტო მრავალი მოიყვანა ქრისტესთან, არამედ უამრავ ახალ ადამიანთან მიეცა დამოწმების შესაძლებლობა.

„როცა ‘ბინძური ებრაელი’ დამარქვეს და საჯაროდ განაცხადეს, რომ ჩემი წიგნები არ წაეკითხათ, ხალხი დაუყოვნებლივ მოვიდა ‘ბინძური ებრაელის’ მოსასმენად,“ გაიცინა მან. „ჩემგან განაწყენებულ ნებისმიერ ადამიანს მივიღებ სიხარულით. დანარჩენებს მაინცდამაინც არ აინტერესებთ შენი ქადაგება. ვიდრე რწმენას გაუზიარებ ჯერ ჭეშმარიტებისაკენ უნდა მოუწოდო. ეს რომ გააკეთო უნდა იცოდე საიდან მოდიან ისინი და მერე ჭკვიანურად ილაპარაკო. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველთვის სიყვარულით ვილაპარაკოთ.“

ხუცეს ვურმბრანდის სიტყვები მხოლოდ მაღალი იდეალები კი არ იყო, არამედ იგი პრაქტიკულად ახორციელებდა ნათქვამს. მან და მისმა მეუღლემ, საბინამ ოჯახში მიიღეს ის ნაცისტი ოფიცერი, რომელიც იმ საკონცენტრაციო ბანაკში მუშაობდა, სადაც საბინას მთელი ოჯახი გაანადგურეს. ოფიცერმა ღმერთი ირწმუნა ცოლ-ქმრის მიერ მის მიმართ გამოვლენილი სიყვარულისა და პატიების შედეგად.

შენიშვნა. ეს განცხადება ხუცესმა ვურმბრანდმა გააკეთა, გარდაცვალებამდე მიცემულ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, 2001 წლის თებერვლამდე.

იესომ გვასწავლა, რომ ადამიანები ჩვენს რწმენას სხვებისადი გამოვლენილ სიყვარულში დაინახავენო-განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ოპონენტებთან გვაქვს. ერთნაირად მნიშვნელოვანი ფაქტია, როგორ ვეპყრობით ჩვენს მტერს და ჩვენი ქრისტიანული ოჯახის წევრებს. სინამდვილეში, კრიტიკისადმი ჩვენი პასუხი უფრო დიდი განცხადებაა ქრისტიანობისათვის, ვიდრე სხვა რომელიმე მაგალითი. რწმენის ძლიერი პრინციპების პრაქტიკაში გატარებით, ქრისტიანები ამქვეყნიური ადამიანებისაგან განასხვავებენ თავს. მოწინააღმდეგისადმი ადამიანის ბუნებრივი პასუხი იგნორირება ან იგივე პასუხის უკან დაბრუნებაა. ამის ნაცვლად, მორწმუნეები ცდილობენ გაუგონ მტერს და არ უარყონ. ამ პერსპექტივიდან ვაწყდებით ოპოზიციას, როგორც ჩვენი რწმენის გამოცდას და ქრისტეს მიბაძვის საშუალებას.

> თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: ‘შეიყვარე მოყვასი შენი და შეიძულე მტერი შენი.’ მე კი გეუბნებით: ‘გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროვებთ და გდევნით.’
>
> *მათე 5:43-44*

მე-18 დღე

ექსტრემალური
მოგზაურობა

ტიტანიკი: ექიმი. რობერტ ბეითმენი

ექიმმა რობერტ ბეითმენმა თავაზიანი დახმარება გაუწია თავის რძალს, მაშველ ნავში. „ნუ ინერვიულებ, ანი. ეს გამოცდის ჩვენს რწმენას. მე უნდა დავრჩე და სხვებს დავეხმარო. თუ ამ დედამიწაზე ვერა, ზეცაში ხომ შევხვდებით ერთმანეთს.“ ვიდრე გაყინულ წყალში მიმავალი ნავი სიბნელეში გაუჩინარდებოდა, ბეითმანმა თავისი შალი გადაუგდო ქალს. „ეს ყელზე შემოიხვიე, ანი. გაცივდები.“

ბეითმანმა მოგვიანებით ორმოცდაათიოდე კაცი გემბანზე შეკრიბა და სიკვდილთან შეხვედრისათვის მოსამზადებლად მოუწოდა. ბეითმანმა იმ დილით რელიგიური მსახურება ჩაატარა დიდ გემზე, მსახურება, რომელიც მისი საყვარელი საგალობლით დასრულდა, „ახლოს შენთან ღმერთო.“

რობერტ ბეითმანმა დაარსა Central City Mission ჯეკსონვილში, ფლორიდაში. ქალაქის სულიერი შუქურა, როგორც წესი სავსე იყო მთვრალი მეზღვაურებით. მას უწოდებდნენ „კაცს, რომელიც უფრო მეტ სინათლეს ასხივებს, ვიდრე ყველა სხვა ადამიანი მთელს ჯეკსონვილში.“ ბეითმანი ქრისტიანული სოციალური საქმიანობის შესასწავლად ინგლისში გაემგზავრა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრუნდებოდა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დასანერგად.

1912 წლის 14 აპრილს, გვიან ღამით, ბეითმანის გემი აისბერგს შეეჯახა.

ბეითმანი კიჩოზე შეკრებილ ხალხს უფლის ლოცვისაკენ წარუძღვა. ბენდი კი „ახლოს შენთან ღმერთოს,“ უკრავდა, როცა უზარმაზარი გემი ტიტანიკი ტალღებმა შთანთქა.

ამბობენ, რომ ღმერთის გასაცინებლად ერთი უტყუარი გზა არსებობს, ვუთხრათ მას ჩვენი გეგმების შესახებ! ქრისტეს მიღებით ჩვენი ცხოვრების უდიდესი სათავგადასავლო გზა იწყება. ამ მოგზაურობას ფასი რომ ჰქონდეს, გემის კაპიტნის ბრძანებებს უნდა დავემორჩილოთ. ის ჩვენი ცხოვრების მსვლელობას წარმართავს, გვიკვალავს გზას ჩვენს კაპრიზებსა და სურვილებში უდიდესი მიზნისაკენ. ხანდახან, განსაკუთრებით მძიმე განსაცდელების დროსაც კი, მისი რუკა მოძველებული გვეჩვენება და გაკვირვებულნი ვფიქრობთ, გზა ხომ არ დაკარგაო ღმერთმა ამ კლდეებსა და სიბნელეში, როცა უმთვარო ღამის სიბნელეში ვიძირებით. სწორედ მაშინ გვიპყრობს საკუთარი ცხოვრების გეგმების გაკონტროლების ცდუნება. ასეთი მგზავრობის წამოწყება ჩვენი მხრიდან რისკზე წასვლას ნიშნავს. ღვთის გეგმა ისეთი მიმართულებით წარმართავს ჩვენს ცხოვრებას, რაც არასდროს დაგვიჯდებოდა ჭკვაში. თუმცა, ღმერთმა იცის რა არის ჩვენთვის უკეთესი.

ბევრი განზრახვაა კაცის
გულში, მაგრამ უფლის
გადაწყვეტილება ასრულდება

იგავი 19:21

მე-19 დღე

ექსტრემალური
რწმენის ნაბიჯი

ეგვიპტე: ქრისტიანი ახალგაზრდების ხელმძღვანელი

„აი, გეგმა," უთხრა ქრისტიანული ახალგაზრდული ჯგუფის წინამძღოლმა წევრებს. „8.30 წუთზე უნდა დაიწყოთ უნივერსიტეტში მოსაწვევების დარიგება. საიდუმლო პოლიციის მოსვლამდე უნდა დაასრულოთ ეს საქმე, რომ არ გკითხონ რას აკეთებთო. თუ ყველას დარიგებას ვერ მოასწრებთ, სადღაც დადეთ. ღმერთი საჭირო ადამიანს ჩაუგდებს ხელში იმ მოსაწვევს."

„შენ გინდა რომ ეს მოსაწვევები ნებართვის მიღებამდე გავავრცელოთ?" – ჰკითხეს მას გარსშემოხვეულმა ახალგაზრდებმა და მოსალოდნელი დაპატიმრების სცენა წარმოუდგათ თვალწინ.

„ზუსტად! ცოტა რწმენის გავარჯიშება გვჭირდება. ჯერ ჩვენ უნდა გადავდგათ პირველი ნაბიჯი და მერე ყველაფერი ღმერთის ხელში იქნება."

ეგვიპტეში ქრისტიანული შეხვედრები სახელმწიფოს მიერ კონტროლდება და მათი ნებართვის გარეშე ადამიანებს შეხვედრის უფლება არა აქვთ. 8:30 შემდეგ ახალგაზრდების წინამძღოლმა პოლიციას დაურეკა და ქრისტიანული შეხვედრის ნებართვა სთხოვა.

„ფორმა უნდა შეავსოთ და დაახლოებით ერთ თვეში პასუხს შეგატყობინებთ."

„მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ ჩვენ უკვე დავიწყეთ მოსაწვევების დარიგება შეხვედრისათვის," უპასუხა აღელვებულმა ქრისტიანმა.

„რატომ დაიწყეთ მოსაწვევების დარიგება თანხმობის მიღებამდე? თქვენ იცით, რომ ამისათვის ჩვენი ნებართვა გჭირდებათ. მაგრამ კარგი, რადგან მოსაწვევები უკვე დაგირიგებიათ ამჯერად შეხვედრის ნებასაც დაგრთავთ."

რწმენის პრაქტიკაში განხორციელება ჩვენი მხრიდან საეჭვო მოგზაურობაში პირველი ნაბიჯის გადადგმას მოითხოვს. ამაში ისინიც დაგვეთანხმებიან, რომელთაც ეს გზა უკვე გაიარეს და იმასაც დაადასტურებენ, რომ საქმის მსვლელობა კი არ არის რთული, არამედ პირველი ნაბიჯის გადადგმა. ამის შემდეგ „საქმე თავისთავად მიდის" ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე. რწმენით მოგზაურობაში არ არსებობს რუკები. ჩვენ მივცურავთ ღვთის სინათლის მიმართულებით. რწმენით სვლისას, მოვიხილავთ ადგილებს, რომელთა დანახვაც შეუძლებელია ამქვეყნიურ გზაზე სიარულისას. დიდი რწმენა დასჭირდათ მორწმუნეებს იმ შეხვედრაზე მოსაწვევების დასარიგებლად, რომლის ჩატარების ნებართვის მიღებაში იმედი არ ჰქონდათ. ღმერთმა აკურთხა მათი რწმენა იმ ღამით და სამასი ახალმოქცეული აჩუქა მათ. ხარ თუ არა მზად რწმენის ნაბიჯის გადასადგმელად?

ხოლო რწმენა არის მტკიცე
დარწმუნება იმაში, რასაც
ვესავთ, დადასტურება იმისა,
რასაც ვერ ვხედავთ.

ებრაელთა 11:1

მე-20 დღე

მეორე მსოფლიო ომის დროს გვასწავლიდნენ, რომ მიზნის მისაღწევად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა გვებრძოლა. როცა სამშობლო ჩვენგან თავისუფლებისათვის მსხვერპლის გაღებას მოითხოვს ვიცით, რომ ეს მოწოდება უპასუხოდ არ უნდა დავტოვოთ – ხოლო როცა ქრისტე მსოფლიო ევანგელიზაციაში ჩვენს მონაწილეობას მოითხოვს, ხშირად პასუხის გარეშე ვტოვებთ ამ მოწოდებას. ჩვენ არ შეგვიძლია წასვლა. ჩვენ ვამბობთ, რომ ამის გაკეთება ძვირი დაგვიჯდება... მისიონერები გამუდმებით აწყდებიან ბოლომდე დახარჯვის აუცილებლობას.

ნეიტ სეინტ, 1956 წელს ეკვადორის ჯუნგლებში წამებული მისიონერი.

21-ე დღე

ექსტრემალური ბრძანება

ლაოსი: ქრისტიანები

კომუნისტური ლაოსის რაიონის ავისმომასწავებელი წითელი ბეჭედი ერტყა ფურცელს ბოლოში. ეს სიტყვები ავისმომასწავებელზე მეტს ნიშნავდა ადგილობრივი ქრისტიანებისათვის.

„თუ რომელიმე ადამიანი, რომელიმე ტომი, რომელიმე ოჯახი მოტყუებულ იქნა, ირწმუნა ქრისტიანობა ან რომელიმე სხვა რელიგია, ისინი აუცილებლად უნდა დაუბრუნდნენ საკუთარ ძველ რელიგიას.“ აცხადებდა დოკუმენტი. „იკრძალება ახალი რელიგიის პროპაგანდა. პირიქით, ასეთი მორწმუნეები გადასახლებულნი უნდა იქნენ სხვა რაიონებში. თუ არის სხვა რელიგიის მატარებელი რომელიმე ოჯახი ან სოფელი... კომუნისტური პარტიის საბჭოს წევრებმა უნდა ჩაატარონ აღწერა და შეადგინონ ასეთი ხალხის სიები, რომლებიც ზემდგომ ორგანოებში გაიგზავნება. განსაკუთრებით გვინდა ვიცოდეთ რაიონში რამდენს სწამს იესო და რამდენია ქრისტიანი.“ დოკუმენტი თარიღდებოდა 1996 წლის 18 ივლისით და ხელს აწერდა „ფრონტის წინა ხაზის კომიტეტი.“

მოგვიანებით ლაოსელ ქრისტიანებს ხშირად იარაღის მუქარით აიძულებდნენ უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე და ხელი მოეწერათ დოკუმენტზე. ათეისტურ მთავრობას მიაჩნია, რომ ნებისმიერი რელიგია უფრო მისაღებია, ვიდრე იესო ქრისტეს მსახურება.

მიუხედავად მთავრობის მცდელობისა, ლაოსის ეკლესია იზრდება და ქრისტიანები თამამად ამოწმებენ თავიანთი რწმენის შესახებ.

როცა სახელმწიფო ძალაუფლება ღვთის მცნებებს ეწინააღმდეგება, არჩევანის გაკეთების დრო დგება. ან მთავრობის მოთხოვნებს უნდა დავემორჩილოთ ან ღვთის მცნებებს და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგებს თამამად შევხვდეთ. რადგან მშვიდობისმყოფელობა ჩვენი მთავარი მიზანია, ამის გამო პრიორიტეტებს ადამიანური მოთხოვნილებების მიხედვით ვერ შევცვლით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ სკოლებში ლოცვა არალეგალურად გამოაცხადა. თუმცა, სინამდვილეში მათ არ შეუძლიათ გულში ლოცვა აუკრძალონ მოსწავლეებს და იმ თანამშრომლებს, რომელთაც ღმერთთან ურთიერთობა სურთ. სხვა მთავრობებმა შეიძლება მსგავსი ან უარესი რელიგიური კანონები მიიღონ. მაგრამ ღმერთი სახელმწიფო ძალაუფლებას აღემატება, და ის არის ადამიანის გულის ერთადერთი მეფე. ჩვენი თვისუფალი ნების გამო შეგვიძლია მთავრობის მორჩილებას ღვთის მორჩილება ვარჩიოთ.

მიუგეს პეტრემ და
მოციქულებმა და უთხრეს:
„ღმერთს უფრო მეტად უნდა
ვემორჩილებოდეთ,
ვიდრე ადამიანებს.“

საქ. 5:29

22-ე დღე

ექსტრემალური „კონტრაბანდისტი“

ჩინეთი: ვოჩმენ ნიი

ვოტჩმენ ნიის, ჩინეთის ეკლესიის წინამძღოლს, მხოლოდ ექვსი საათი ჰქონდა. მას უნდა მოეხერხებინა და მისი საკნის დაცვა ექვსი საათის განმავლობაში ქრისტესთან უნდა მიეყვანა, რომ ნიის გამამხნევებელ წერილს ციხის გარეთ მყოფ ქრისტიანებამდე მიეღწია.

მაოს მთავრობა გააფთრებული იყო ჩინეთში ქრისტიანობის გავრცელების გამო. ამ „უცხო კულტის“ გავრცელების შეჩერების მიზნით, მთავრობამ უცხოელი მისიონერები აიძულა ქვეყანა დაეტოვებინათ, ზოგიერთი მათგანი სიკვდილით დასაჯეს და ათასობით ჩინეთის ეკლესიის წინამძღოლს ან ციხეში უკრეს თავი ან „ხელახალი განათლების მიზნით შრომა-გასწორების კოლონიაში.“ მაგრამ ეკლესიები მაინც იზრდებოდა.

როცა პოლიციამ აღმოაჩინა თუ როგორ აღწევდა ნიის მშვენიერი და ძლიერი გამამხნევებელი წერილები ციხიდან ქრისტიანებამდე, დაცვა გაორმაგეს და არავის რთავდნენ ნებას ერთზე მეტად ედარაჯა ნიის საკნის წინ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ნიის საკმარისი დრო არ დარჩებოდა მცველების მოსაქცევად, ამიტომაც ექვს საათამდე დაიყვანეს ცვლის მორიგეობის განრიგი.

ნიი მამის სიყვარულზე უამბობდა მცველს; უამბობდა, რომ ღმერთმა საკუთარი სიცოცხლე გასწირა სამოთხეში მის მოსახვედრად.

„კომუნიზმს არ შეუძლია სამოთხეში შენი შეყვანა,“ ამბობდა ის. „მხოლოდ ქრისტეს მიერ დაღვრილ სისხლს შეუძლია ამისი გაკეთება.“

აცრემლებულმა მცველმა, ხუთსაათიანი ქადაგების შემდეგ, ქრისტე მიიღო. კიდევ ერთი სული იქნა შეძენილი ცათა სასუფევლისათვის და კიდევ ერთი გამამხნევებელი წერილი მიდიოდა ციხიდან ქრისტიანებთან.

თუ რამეს გვასწავლიან ქრისტიანი წამებულები, ეს ჩვენი შემოქმედებითი უნარის გამოყენებაა სახარების გასავრცლებლად. მათმა სიბრძნემ, მხნეობამ და მოხერხებულობამ ჩვენში უნდა გააღვიძოს კეთილი უწყების გავრცელების სურვილი. შესაძლოა ყველას არა აქვს აკრძალულ ზონებში სახარების ფარულად გავრცელების შესაძლებლობა, მაგრამ ყველას უნდა ამოძრავებდეს ღვთის სასუფევლისათვის მსახურების სურვილი. ეს შეიძლება გამოიხატოს მეზობლებისათვის მწვადის შეწვაში. ეს შეიძება გამოიხატოს გოლფის გაკვეთილზე სიმღერასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში არაეკლესიურ ხალხთან ურთიერთობაში. დამოწმების ახალ მეთოდებს ყოველთვის მივყავართ სახიფათო შედეგებთან. მაგრამ ყოველთვის უნდა გვამოძრავებდეს რისკზე წასვლის სურვილი უღიმღამო საქციელის ნაცვლად. ზემოთ მოყვანილი რომელი მაგალითი შეეფერება შენს დღევანდელ საევანგელიზაციო მსახურებას? ამქვეყნიური და უღიმღამო? თუ ქრისტესათვის შემოქმედებითი უნარით აღსავსე?

ამისთვის მეც ვშრომობ და ვიღწვი
მისი ძალით, რომელიც ძლიერად
მოქმედებს ჩემში.

კოლოსელთა 1:29

23-ე დღე

ექსტრემალური სიმდიდრე

პერუ: ხუცესი ზაპატა

„პერუში ქრისტიანები ქრისტეს მსახურებისათვის საზღაურს არ მოელიან," თქვა ხუცესმა ზაპატამ. „პირიქით მოელიან, რომ უნდა გაიღონ მისი მსახურებისათვის." ხუცესმა ზაპატამ, წყნარი და მთიანი სოფლის განაპირას თავის სტუმრებს ხელნაკეთი თეთრი ჯვრები აჩვენა, თითოეული მათგანი აჯანყებული კომუნისტების მიერ მოკლული ქრისტიანის სიმბოლოს განასახიერებდა.

კიდევ ერთი, პარტიზანების მიერ მოკლული ხუცესის გვამი იდო ხუცეს ზაპატას წინ, სოფლის პატარა ოჯახში. მის გვამს უბრალო ზეწარი ეფარა და სანთლები და მოტირალი ოჯახის წევრები ერტყა გარს.

გარეთ, წვიმაში, მოკლული ხუცესის ეკლესიის წევრები სადიდებელს გალობდნენ. მათი ფეხსაცმელები ტალახით იყო მოსვრილი. პარტიზანებს მათი ეკლესია დაერბიათ და მრავალი მათგანისათვის სახლიც გადაუწვავთ. მიუხედავად ამისა, ისინი სადიდებელს გალობდნენ.

ქრისტიანები ჯერ კიდევ საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ, რადგან პარტიზანები შესაძლოა ნებისმიერ დროს დაბრუნებულიყვნენ. ხუცესები ხშირად მიჰყავდათ, რადგან ისინი, როგორც წესი მთელ სოფელს ამხნევებდნენ და არწმუნებდნენ მარქსიზმის უსაფუძვლობაში.

ხუცესები ბიბლიის მსმენელებად და ღვთის ნების მაძიებლებად რჩებოდნენ, და არა ღვთის ხელიდან მომდინარე მატერიალური კურთხევების შემყურედ. „რატომ ყიდულობ პერანგს?" ეკითხებოდა იგი ხალხს. „გამოსაყენებლად. რატომ გამოგისყიდა ქრისტემ საკუთარი სისხლით? რათა სასუფევლისათვის გამოგიყენოს."

ეს ღარიბი ქრისტიანები მზად იყვნენ იმისათვის, რომ ღმერთს გამოეყენებინა ისინი.

როცა რწმენის გამო ვართ დევნილნი, ადვილია მთავარი ყურადღების დანაკარგზე გადატანა. შეიძლება ვწუხვართ ყოფილი მეგობრების დაკარგვის გამო, რომელთაც რწმენის გამო უარგვყვეს. შეიძლება სამსახურის დაკარგვა გვადარდებს. შეიძლება გვეცოდება საკუთარი თავი, როცა სოციალური ცხოვრებიდან გვრიყავენ. შეიძლება არიან ადამიანები, რომელთაც უფრო მეტი დაკარგეს ვიდრე მატერიალური ქონება და ზედაპირული ურთიერთობები. ეს ძლიერი ქრისტიანები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რა არის კიდევ საჭირო ქრისტეს სამსახურისათვის და არა იმაზე, თუ რა დაკარგეს. მრავალმა მათგანმა დაკარგა საკუთარი ეკლესია, სახლი, სამსახური, და ოჯახი რელიგიური დევნის გამო. და მიუხედავად ამისა, მაინც მზად არიან უფრო მეტი გასწირონ ქრისტეს მიზნისათვის. ისინი აცნობიერებენ, რომ მათი ამქვეყნიური დანაკარგი მეორე ადამიანს აძლევს დახსნის შესაძლებლობას.

ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე
მისი ქონების სიუხვეზე როდია
დამოკიდებული.

ლუკა 12:15

24-ე დღე

ექსტრემალური „შიში“

ლაოსი: ლუ

პოლიციის დაუწერელი კანონი აშკარა იყო. თუ ხმუს, ან სხვა რომელიმე ტომელის ქრისტიანად მოქცევას შეესწრები, დააპატიმრე. თუ ამ ტომების ევანგელიზატორს დაიჭერ, მოკალი.

„ლუს“ ჯერ ბორკილები დაადეს ხელ-ფეხზე, სამარცხვინოდ ჩამოატარეს მთელი სოფლის თვალწინ და მერე ორმოში ჩააგდეს კომუნისტმა პოლიციელებმა.

„გაგიშვებთ მაშინ“ თქვეს მათ, „როცა შენი სოფლის ასამდე ქრისტიანი უარს იტყვის ქრისტიანობაზე.“ თუმცა პოლიციას გაუძნელდა ქრისტეზე უარის მთქმელი თუნდა ერთი მორწმუნის პოვნა.

პოლიციას ტრაგედია დაატყდა თავს. მალე ერთმა პოლიციელმა ფეხი მოიტეხა ავარიაში. მისი ვაჟი ძალიან ცუდად გახდა. ოფიცერს, რომელიც თავს ესხმოდა და სცემდა ახლადმოქცეულ ქრისტიანებს, მოულოდნელად გულის შეტევა დაემართა და გარდაიცვალა.

დანარჩენმა შეშინებულმა ოფიციალურმა პირებმა „ლუ“ ორმოდან ამოიყვანეს და სახლში დაბრუნების ნება დართეს. მას შემდეგ, რაც შეშინებულმა მთავრობის წარმომადგენლებმა დაინახეს თუ რა დაემართა მათ ხელმძღვანელს, ვეღარ გაბედეს სოფლის ქრისტიანებზე მორიგი თავდასხმა.

ღვთის ასეთი ძალის გამოვლენის შემდეგ უფრო მეტი ხმუს ტომელი გაქრისტიანდა. სადაც ადრე ასი ქრისტიანი იყო ახლა შვიდასი გახდა. ისინი სხვა სოფლებში აგზავნიდნენ ქრისტიანებს საქადაგებლად. ვიდრე ლაოსის ხელისუფლება ქრისტიანების შიშით იყო შეპყრობილი, სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრებმა ქრისტიანებმა მთავრობის შიში დაძლიეს.

შიში არის ადამიანის მოტივაციის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. ის ახდენს გავლენას მსოფლიო ბაზარზე და აღძრავს ომებს. მისი უკონტროლო ენერგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც უდიდესი ზიანის, ასევე უდიდესი სიკეთისათვის. პროფესიონალ მოკრივეებს ხშირად ეუბნებიან, რომ შიში მათი მეგობარია. შიშმა ისინი შეიძლება უკეთეს მებრძოლებად ჩამოაყალიბოს. ის მათ მუდამ მზადყოფნის შეგრძნებას აძლევს. ის აძლიერებს მათში გამარჯვების ჟინს. ანალოგიურად, ღმერთს ძალუძს ჩვენი შიში გამოიყენოს და მისი ნების აღსრულებისათვის უკეთეს მებრძოლებად გვაქციოს. როცა გვეშინია შეუძლებლის გაკეთების პოტენცია გვაქვს. რატომ? ღმერთის დახმარებით ჩვენთვის შეუძლებლის გაკეთებაა შესაძლებელი. შიშის გამო უარს ვამბობთ ჩვენს შესაძლებლობებზე და ღვთის ძალაზე დამოკიდებულები ვხდებით. ამან შეიძლება ექსტრემალური შიში ექსტრემალურ რწმენამდე მიიყვანოს.



25-ე დღე

ექსტრემალური
ძვირფასეულობა

სუდანი: პეტრე

ქამრის თასმას არაბულად უწოდებენ ბაკლს. პეტრეს ისე ეჭირა ხელში ეს ნივთი, როგორც წმიდა საგანი. ეს ნივთი მას თავისი ოჯახის წარსულსა და საკუთარ კურთხევას აგონებდა.

ისლამის წინამძღოლების დაძალებით გააკეთა პეტრეს ბაბუამ ქამრის თასმა, არა როგორც ხელოვნების ნიმუში, არამედ სატარებლად. პეტრეს ბაბუა სამხრეთ სუდანში დაიჭირეს და ჩრდილო სუდანში გაყიდეს მონად.

მიუხედავად იმისა, რომ პეტრეს ბაბუას აწამებდნენ მუსულმანი წინამძღოლები, მათ რწმენას მაინც არ იღებდა. იგი მტკიცედ იცავდა ქრისტიანობას, რის გამოც მრავალ ჭრილობას ატარებდა სხეულზე და რის გამოც მას ცხოველივით ექცეოდნენ.

ბაბუამ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ქამრის თასმა მოიხსნა და პეტრეს მამას მისცა. „ჩვენი ოჯახი ყოველთვის მონა არ იქნება," თქვა მან, „ეს არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს."

მოგვიანებით მამამისმა პეტრეს გადასცა თასმა, ამ უკანასკნელმა კი იგი თან წაიყოლა, როცა მუსულმანი ბატონისაგან გაიქცა. დღეს, ეს თასმა აღარ არის მონობის ნიშანი, არამედ ღვთის ძლიერი ხელის ნიშანია. ეს არის ოჯახზე ღვთის ხელის სიმბოლო, სამ თაობაში რომ მუშაობდა მათი გათავისუფლებისათვის.

„ნურასოდეს დაივიწყებთ ჩემს ხალხს," გვთხოვდა იგი. „ნურასოდეს შეწყვეტთ სუდანელი დევნილი ქრისტიანებისათვის ლოცვას."

დავიწყება, ლოცვის პირველი მტერია. ჩვენ სწრაფად ვთავაზობთ ლოცვით მხარდაჭერას თანამორწმუნეებს, მაგრამ ჩვენი კეთილი განზრახვა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მართლა ვილოცოთ განსაცდელში მყოფი ადამიანებისათვის. რამ შეიძლება გაგახსენოთ მსოფლიოს გარშემო დევნილი ქრისტიანებისათვის ლოცვა? შეიძლება შენი საათის მინაზე გაკეთებული სტიკერი დაგეხმაროს ამაში. ყოველთვის, როცა საათს დახედავ დღის განმავლობაში, გაგახსენდება რელიგიური ზეწოლის ქვეშ მცხოვრები ადამიანები. სულ ერთია, რა მეთოდიც არ უნდა აირჩიოთ სალოცავად, გაჰყევით მას. ექსტრემალური მორწმუნეების შესახებ ამბების კითხვა არაფერს შეცვლის. ექსტრემალურ მორწმუნეებზე ლოცვას კი ყველაფრის შეცვლა ძალუძს – ეს დღესაც შეიძლება მოხდეს.

ილოცე განუწყვეტლივ

1 თესალონიკელთა 5:17

26-ე დღე

ექსტრემალური
გაბედულება

რუმინეთი: ახალგაზრდა ქალბატონი

თითქმის შუაღამე იქნებოდა, როდესაც პატიმარმა ქალებმა კომუნისტი დაცვის მოსვლა გაიგონეს. ქალები სწრაფად შემოეხვივნენ გარს ოციოდე წლის ახალგაზრდა მსჯავრდებულ გოგონას, რომელსაც ქრისტეს რწმენის გამო სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. ქალები მას ჩურჩულით ემშვიდობებოდნენ. ახალგაზრდა რუმინელ ქალს არც ცრემლი მოადგა თვალზე და არც მოწყალების სათხოვნელად აღმოხდა კივილი.

იმ დღეს, პატიმრებმა სიყვარულით გაბრწყინებული სახით მოლაპარაკე გოგონას მოუსმინეს. „ჩემთვის, სასაფლაო ზეციური ქალაქის ჭიშკარია," უთხრა გოგონამ მათ. „ვის შეუძლია იმ ქალაქის სილამაზის აღწერა? იქ მწუხარება უცხოა. იქ მხოლოდ სიხარული და გალობაა. ყველა თეთრებშია შემოსილი. შეგვიძლია ღმერთი პირისპირ ვიხილოთ. იქ ისეთი სიხარულია, რომ ადამიანის ენას მისი გადმოცემა არ ძალუძს. რატომ უნდა ვიტირო? რატომ უნდა მოვიწყინო?"

გოგონას საქმრო ჰყავდა, მაგრამ მან თანასაკნელებს უთხრა, რომ იმ ღამეს ამქვეყნიური საქმროს ნაცვლად, ზეციურ მეფეს შეხვდებოდა.

უმოწყალო დაცვა საკანში შემოვიდა თუ არა, წასასვლელად მზადმყოფმა გოგონამ მათკენ გადადგა ნაბიჯი. დაცვით გარშემორტყმულმა ბრალდებულმა საკანი გულში მოციქულთა მრწამსის გამეორებით დატოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ, საკანში დარჩენილმა, ატირებულმა ქალებმა სროლის ხმა გაიგონეს. ჯალათები ფიქრობდნენ, რომ ახალგაზრდა ქალს სიცოცხლე მოუსწრაფეს, მაგრამ ამით იგი უკეთეს ადგილას სამუდამოდ საცხოვრებლად გააგზავნეს.

მხნეობა არის ხიდი, რომელსაც ამქვეყნიური ნორმალური ცხოვრებიდან ზეციური მომავალი ცხოვრების აუხსნელი სურვილისაკენ მივყევართ. ვისაც ბოლომდე აქვს გაცნობიერებული ზეციური არსებობის სინამდვილე, ადვილად ცვლის ამქვეყნიურ უმნიშვნელო ცხოვრებას სასუფევლის სამუდამო მოქალაქეობაზე. მხნეობა გვეხმარება უარი ვთქვათ იმაზე, რასაც დედამიწაზე ვეჭიდებით-უარი ვთქვათ ყველაფერზე რის გამოც ვრჩებით დედამიწაზე. მხეობაა საჭირო იმის დასაჯერებლად, რომ სიცოცხლე არსებობს სიკვდილის შემდეგ. მხნეობა გვემატება როდესაც რწმენით ვმოქმედებთ, ქრისტეს რწმენამ გახადა ჩვენთვის შესაძლებელი მასთან ერთად შევსულიყავით მარადისობაში. ასეთი მტკიცე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შეგვიძლია ცხოვრება მიზანდასახულად გავლიოთ და სიკვდილს მხნეობით შევეგებოთ.

ვინაიდან ჩემთვის
სიცოცხლე ქრისტეა და
სიკვდილი-მონაგები

ფილიპელთა 1:21

27-ე დღე

**ჩვენ არ ვლოცულობთ
საზღვრების გახსნისათვის.
ჩვენ ვლოცულობთ, რომ
ზეცა გაიხსნას.**

დევნილი ეკლესიის ლოცვა ვიეტნამში.

28-ე დღე

ექსტრემალური
მისია

ბუტანი: ხუცესი ნორბუ პრომილა

ხუცესი ნორბუ პრომილა კმაყოფილი იყო ბუტანის მთების ტომებში ქადაგებით. მსმენელები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ კეთილი უწყებისადმი. უცბად, მსახურების მსვლელობისას, პოლიციელები შემოიჭრნენ ოთახში, კათედრისაკენ გაეშურნენ, და ნორბუს ხელი სტაცეს.

ხუცესი პრომილა ციხეში ჩააგდეს, აწამეს და უბრძანეს უარი ეთქვა სახარების ქადაგებაზე. მასიური ტრამვები მიაყენეს თავის არეში და მანამდე არ გაუშვეს სახლში ვიდრე ქრონიკულად არ დაავადდა. ცოლ-შვილი შოკში ჩააგდო მისი დასისხლიანებული და დასივებული სახის დანახვამ. ამ ჭრილობების გამო პრომილა ათი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ხუცეს პრომილას ეკლესიას უარი არ უთქვამს ომის მოყვარულ ჰინდუს სამეფოში მისიის გაგრძელებაზე. მისი გარდაცვალების შემდეგ ეკლესია შეიკრიბა და მოხალისეებს ნორბუს საქმიანობის გაგრძელებისაკენ მოუწოდა. ხუთმა მათგანმა გამოთქვა ამ საქმის კეთების სურვილი, ერთ-ერთი მათგანი ხუცესის ცოლი იყო. ვინც ღვთის მოწოდებას მაშინ უპასუხა, როცა ხუთი შვილი ჰყავდა მოსავლელი.

ხუცესის ცოლი ერთგულ მსახურებას ეწეოდა, მას და მის თანამშრომლებს მრავალი ტომის ხალხი უნახავთ ქრისტესთან მისული. ღმერთი ზრუნავდა მისთვის და მისი შვილების საჭიროებისთვის. ქალბატონ პრომილას მტკიცედ სწამდა, რომ ერთ დღეს კვლავ შეხვდებოდა საკუთარ ქმარს და ქრისტეს ერთგულებისათვის დააჯილდოვებდნენ.

რასაც ჩვენ უფლისათვის ვაკეთებთ უბრალოდ საქმე კი არა – მისიაა. მისია არ გულისხმობს ერთი ადამიანის პასუხისმგებლობას. მისიის ყურადღების ცენტრში ქრისტე და მისი სამეფოა. შეიძლება ადამიანმა ღვთის რომელიმე საქმის ხელმძღვანელობას თავი დაანებოს, მაგრამ თვითონ მისია არასოდეს კვდება. ღვთის საქმე არასოდეს რჩება დაუსრულებელი. მუდმივად დასრულების პროცესშია. რწმენის გამო დევნილი ადამიანები გვასწავლიან მისიის მნიშვნელობის შესახებ. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ მხოლოდ ორი რამ რჩება სამუდამოდ-ღვთის საქმე და ადამიანის სული. როცა ამ კუთხით წარვმართავთ ცხოვრებას, სამარადისო მნიშვნელობის მისიაში ვიღებთ მონაწილეობას.



29-ე დღე

ექსტრემალური

მკვლელი - პირველი ნაწილი

ბანგლადეში: ანდრია

ევანგელისტმა, ანდრიამ, იარაღს გაუშტერა თვალი, უკვირდა რატომ არ ისროდა კაცი. მკვლელს ჯერ იმედგაცრუება მოეძალა, შემდეგ შიში, და ბოლოს ოთახიდან გაიქცა.

ტელეფონმა დარეკა, რამდენიმე წუთის წინ მის მოსაკლავად მოსულ კაცს ელაპარაკებოდა ანდრია.

„მუსულმანი წინამძღოლები დიდ ფულს დამპირდნენ შენს მოკვლაში," თქვა კაცმა. „თითქმის მთელი ბანგლადეში გამოვიარე შენთან მოსასვლელად. ჯილდო ჩემი იყო. მზად ვიყავი სასროლად, მაგრამ ხელი ვერ გავანძრიე. ვერ გამოვკარი სასხლეტს." ევანგელისტმა ღმერთს დიდება უძღვნა გადარჩენისათვის.

ანდრიას ცოტა არ იყოს სასაცილოდ მოეჩვენა შექმნილი მდგომარეობა. „რა შემიძლია გავაკეთო თქვენთვის?" იკითხა მან.

„ბატონო, ჯერ კიდევ ვერ ვამოძრავებ მკლავს, და ეს ყველაფერი თქვენს გამო მოხდა! შეგიძლიათ დამეხმაროთ?"

ტელეფონში ილოცა ანდრიამ და კაცმა მაშინვე აამოძრავა ხელი. სასწაულით გაოცებული კაცი ევანგელისტთან დაბრუნდა და იმ „იესოს" შესახებ დაუსვა კითხვები, რომლისაც მუსულმან წინამძღოლებს ასე ძალიან ეშინოდათ.

ევანგელისტმა დიდი მოთმინებით აუხსნა სტუმარს იესოს სიყვარულის კეთილი უწყების შესახებ, და ჩაიც კი შესთავაზა კაცს, რომელიც მის მოსაკლავად იყო ცოტა ხნის წინ მოსული. ორმოცდახუთი წუთის შემდეგ, კაცმა საკუთარ გულში იესოს მისაღებად ილოცა. ახლა ყოფილი მკვლელის მისია ეშმაკის საქმეების ნგრევაა. დღეს ეს კაცი მისიონერია ბანგლადეშში.

ეს რომ ფილმი ყოფილიყო, მაყურებელი სიხარულის ყიჟინას დასცემდა ანდრიას გამოჩენისას. კარგი ფილმების მსგავსად ანდრიამ მარტო თავისი მტრის საქმეები კი არ დაანგრია. ჩაის მირთმევით უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ყოფილი მკვლელი და ქრისტიანად მოაქცია. ასეთი შედეგი დაგეგმილი არ იყო. ეშმაკმა ხელახლა უნდა მოიფიქროს ჩვენი გასანადგურებელი გეგმები. არც ანდრია და არც ჩვენ ამ მდგომარეობის მსხვერპლნი არ ვართ. ანდრეა რომ მოეკლათ, მისი სიკვდილი დამოწმება იქნებოდა, ასევე თქვენიც. ეშმაკის გეგმებისაგან განსხვავებით, ღვთის განზრახვები არ შეიცვლება თქვენს ცხოვრებაში.

ვიცი, რომ ყველაფერი
შეგიძლია;
და შენი განზრახვა არ
დაბრკოლდება

იობი 42:2

30-ე დღე

ექსტრემალური
განცხადება

რუმინეთი: საბინა ვურმბრანდი

საბინა ვურმბრანდმა ქმარს ხელი უბიძგა. „რიჩარდ," თქვა შიშმორეულმა, „ადექი და ჩამორეცხე ეს სირცხვილი ქრისტეს. ისინი მას სახეში აფურთხებენ!"

„თუ ასე გავაკეთებ," დაჟინებული მზერით უპასუხა რიჩარდ ვურმბრანდმა თავის მეუღლეს, „მაშინ ქმარს დაკარგავ."

ქალმა ქმარს თვალი თვალში გაუყარა. „არ მჭირდება მშიშარა ქმარი." რუმინეთის ეროვნული კონგრესი რელიგიურ საკითხს განიხილავდა, კომუნისტი ჯარისკაცების ქვეყანაში შეჭრის შემდეგ. ქრისტიანი ხუცესები, მღვდლები და ყველა სხვა დენომინაციის წინამძღოლები და მსახურები რიგრიგობით წამოდგნენ და დიდება მიუძღვნეს იოსებ სტალინს და ახალ კომუნისტურ ხელმძღვანელობას, რომლებმაც ათასობით ქ რისტიანი ციხეში ჩასვეს.

სიხარულით შეხვდნენ ცნობილი ხუცესის სიტყვაში გამოსვლას, ფიქრობდნენ, რომ კიდევ ერთი ადამიანი შეუერთდებოდა მათ მიზნებს. მაგრამ კომუნისტების ნაცვლად, ხუცესმა იესო ქრისტეს უძღვნა დიდება, როგორც გადარჩენისაკენ მიმავალ ერთადერთ გზას. „პირველ რიგში," მიმართა მან შეკრებილთ, „ჩვენი ერთგულება ღმერთს ეკუთვნის და არა კომუნისტურ ხელმძღვანელობას." შეხვედრა პირდაპირი ტრანსლიაციით გადაიცემოდა მთელს რუმინეთში, და ათასობით მსმენელის ყურს მისწვდა რიჩარდის მოწოდება.

გააცნობიერეს თუ არა რა საფრთხეს უქმნიდა რიჩარდის სიტყვა კომუნიზმს, მთავრობის წარმომადგენელი სასწრაფოდ აიჭრა სცენაზე. რიჩარდი უკანა კარით გაიქცა, მაგრამ ამ სიტყვისათვის იგი იძებნებოდა და მოგვიანებით თოთხმეტი წელი გაატარა ციხეში.

ალბათ არასოდეს მოგვეცემა შესაძლებლობა მთელი ერის წინაშე დავამოწმოთ ქრისტეს შესახებ. მაგრამ ყოველი ჩვენთაგანი მოწოდებულია დაამოწმოს ქრისტეზე ყოველ დღე, იქ სადაც ვართ. საქმე იმაში კი არ არის რამდენი ადამიანი უსმენს ჩვენს დამოწმებას, არამედ რამდენად გულწრფელად ვაკეთებთ ამას. შეიძლება ჩვენმა სიტყვამ ჩვენი სიცოცხლე არ მოითხოვოს მსხვერპლად, მაგრამ ჩვენი სამსახურის ბედი კი გადაწყვიტოს. ეს შეიძლება ურთიერთობების დაკარგვად დაგვიჯდეს. ამან შესაძლოა საკუთარი ოჯახის წევრების გაუცხოებაც კი გამოიწვიოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ბევრად უკეთესია რწმენის დამოწმების შედეგების ატანა, ვიდრე მოგვიანებით სინანული. სად და როდის შეგიძლია ახარო დღეს ქრისტე ადამიანებს?



31-ე დღე

ექსტრემალური
სიმწიფე

იაპონია: იბარაგი კუნი

დაკითხვის შემდეგ დამნაშავეებად სცნეს და სიკვდილი მიუსაჯეს და ოცდაექვს ქრისტიანს იმ ადგილისაკენ წარუძღვნენ, სადაც უხეშად გაკეთებული ჯვრები ელოდათ. თითქმის სამი თვის წინ დააკავეს კოტოში, იაპონიაში, და ბრალად იესო ქრისტეს მიმდევრობა დასწამეს. ერთ-ერთი მსხვერპლის სახელი იყო იბარაგი კუნი.

მთავრობის წარმომადგენელმა დაინახა რა, თუ როგორი ახალგაზრდა იყო კუნი, გვერდზე გაიხმო და რწმენის შეცვლა სთხოვა საკუთარი სიცოცხლის სანაცვლოდ. რწმენაში მტკიცედ მდგარმა კუნმა კაცს თვალებში ჩახედა და თქვა, „ბატონო, უფრო უკეთესი იქნებოდა თქვენც რომ ქრისტიანი გამხდარიყავით. ამ შემთხვევაში თქვენც ჩემთან ერთად წამოხვიდოდით სამოთხეში.“

ახალგაზრდა ყმაწვილის რწმენით გაოცებული კაცი გაშტერდა. ბოლოს, იბარაგმა იკითხა, „ბატონო, რომელია ჩემი ჯვარი?“

შეცბუნებულმა კაცმა ოცდაექვსი ჯვრიდან ყველაზე პატარა ჯვარზე მიუთითა. ახალგაზრდა კუნი ჯვრისაკენ გაიქცა, მის წინ დაიჩოქა და ემთხვია. როცა ჯარისკაცებმა მისი ხელ-ფეხის ჯვარზე მილურსმვა დაიწყეს, ბიჭს ტკივილისაგან არ უყვირია. მან მხნეობით მიიღო ღმერთის მიერ მისთვის გამზადებული გზა.

ოცდაექვსი ქრისტიანის ჯვარცმა 1596 წლის 23 ნოემბერს, ქრისტიანების დევნის დასაწყისი იყო იაპონიაში. მომდევნო სამოცდაათი წლის განმავლობაში, მილიონამდე ქრისტიანი იქნა მოკლული იაპონიაში რწმენის გამო. მრავალმა აიტანა საკუთარი ჯვრის სიმძიმე და იბარაგი კუმის, ზრდასრული თორმეტი წლის ბიჭის მაგალითს გაჰყვა.

სულიერი სიმწიფე დაბადების მოწმობით არ განისაზღვრება. ფიზიკური ასაკი დიდ როლს არ თამაშობს რწმენის სიმტკიცეში. სულიერი სიმწიფე ყოველ დღე იზომება. ჩვენს სულიერ სიმწიფეს იმით განვსაზღვრავთ, თუ რამდენად ვახორციელებთ რწმენას ყოველდღიურ ცხოვრებაში. საზოგადოებაში მიღებული აზრის საწინააღმდეგოდ, სულიერი სიმწიფე არ განისაზღვრება ჩვენი ბიბლიური ცოდნის მიხედვით. მრავალნი იცნობენ ბიბლიას, მაგრამ ჯერაც შორს არიან სულიერი სიმწიფისაგან. ბიბლიური მცნებებისადმი მორჩილებაა ნიშანი ზრდასრულობისა. ყოველ დღე უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს, „დღეს უფრო მეტად ვგევარ ქრისტეს, თუ გუშინ?“ ჩვენი პასუხია ჩვენი ზრდის ნამდვილი ანარეკლი.



32-ე დღე

ექსტრემალური ნება

ფილიპინები: ახალგაზრდა გოგონა

„ჩემი კაბა,“ ძლივს გასაგონი ხმით გამოსცრა ახალგაზრდა გოგონამ დასიებული ტუჩებიდან. „გთხოვთ მომცეთ ჩემი კაბა. მინდა რომ ხელში მეჭიროს.“

გოგონას საწოლის გარშემო მყოფი ქრისტიანები დანაღვლიანებულიყვნენ. რადგან ექიმებს აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლოთ მისი შინაგანი მასიური ჭრილობების განსაკურნებლად. რამდენიმე კვირით ადრე, მორწმუნეებს მისთვის თეთრი კაბა მოუტანიათ, ქრისტეში მისი ახალი და წმიდა ცხოვრების დაწყების აღსანიშნავად.

მამამისს დიდი კმაყოფილება არ გამოუხატავს ქალიშვილის ქრისტიანობაზე მოქცევის გამო. ერთ ღამეს, მამა დამთვრალა და ქალიშვილი სასიკვდილოდ უცემია. ტალახიან ქუჩაში უგონოდ მწოლიარე მიუტოვებია.

როცა გოგონა მსახურებაზე არ გამოჩნდა, მეგობრებმა მის საძებნელად წასვლა გადაწყვიტეს. გოგონა უგონო მდგომარეობაში მოკრუნჩხული ნახეს, თოვლივით თეთრი კაბა ტალახითა და სისხლით იყო მოსვრილი. გოგონა ექიმთან წაიყვანეს, მაგრამ ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა.

ახლა იგი თავის კაბას ითხოვდა.

„კაბა აღარაფრად ვარგა,“ უთხრეს მეგობრებმა. ცდილობდნენ სხვა საკითხზე გადაეტანათ ყურადღება, რადგან ფიქრობდნენ, რომ დახეული კაბის დანახვა უფრო ცუდ ხასიათზე დააყენებდა ავადმყოფს.

„გთხოვთ, მინდა, რომ ქრისტეს ვაჩვენო კაბა,“ დაიჩურჩულა ათი წლის გოგონამ უბრალო რწმენით.

ცოტა ხნის შემდეგ, გოგონა გარდაიცვალა.

ღმერთს არ აინტერესებს ჩვენი ნიჭები. შეიძლება ძალიან ნიჭიერები ვართ. მდიდრები. პროფესიონალები, პოპულარულები და პუნქტუალურებიც. მაგრამ, ჩვენი მრავალფეროვანი უნარის ღვთის მსახურებისათვის შეთავაზება ვერ შეედრება მზადყოფნის სურვილს. ჩვენი ცოდნა ჩვენზე ლაპარაკობს-შეიძლება საკუთარი თავი ვიხილოთ ღვთისათვის ამა თუ იმ საქმის კეთებაში. ჩვენი მზადყოფნის სურვილი კი ღმერთზე ლაპარაკობს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორ გამოგვიყენებს ღმერთი თავის სამსახურში. ღვთისმსახურებისთვის მზადყოფნა ნიშნავს ბოლომდე მორჩილების სურვილს. ღმერთს უნდა, რომ ჩვენი განსაკუთრებული ნიჭების გარდა ჩვენი სურვილით ვემსახუროთ მას. როგორ უნდა დაიბადოს ჩვენში ასეთი სურვილი? ესეც ღვთის ნიჭია. ის გვაძლევს ჩვენ „სურვილებს“-მისი მსახურებისათვის სრული მზადყოფნის სურვილს თუ ნებას.

ღმერთი დაბადებს თქვენში
სურვილსაც და მოქმედებასაც
თავისი სათნოებით.

ფილიპელთა 2:13

33-ე დღე

ექსტრემალური
შეხსენება

სუდანი: იაკობ ჯედა

„შეშა მოიტანე!“ დაიღრიალა ჯარისკაცმა. ახლგაზრდა იაკობ ჯედამ იფიქრა, რომ ჯარისკაცები სადილის მომზადებას აპირებდნენ. შეშინებულმა, საკუთარი თვალით ნახა იმ დღეს, თუ როგორი წამებით მოკლეს მისი მშობლები და ოთხი დაძმა რადიკალმა მუსულმანებმა, სამხრეთ სუდანში. ჯარისკაცებმა იაკობი მუშად გამოყენების მიზნით დაინდეს.

ცეცხლი კარგად გახურდა, იაკობი ჯერ გაოცებული ჩანდა, შემდეგ კი როცა ჯარისკაცებმა ხელი სტაცეს შეეშინდა და გაქცევა სცადა. მაგრამ ჯარისკაცები საკმაოდ ძლიერები იყვნენ და მალე იაკობს ხელ-ფეხი გაუკრეს.

„კარგი ამბავი გვაქვს შენთვის ახალგაზრდა ყმაწვილო,“ თქვა ჯარისკაცმა. „ცოცხალს დაგტოვებთ. მაგრამ მუსულმანი უნდა გახდე.“

„მე მუსულმანი ვერ გავხდები,“ თქვა იაკობმა უბრალოდ. „მე ქრისტიანი ვარ.“

ახალგაზრდა ყმაწვილის რწმენით გაშმაგებულმა ჯარისკაცებმა, იაკობი ცეცხლში ჩააგდეს. ჯარისკაცებს ეჭვი არ ეპარებოდათ რომ იაკობი დაიწვებოდა, ბარგი-ბარხანა ჩააწყვეს და გზას გაუდგნენ.

ახალგაზრდა იაკობი არ მომკვდარა. ცეცხლს თავი დააღწია და საშველად მოუხმო ადამიანებს. ექიმებმა იაკობის გადარჩენა შეძლეს, მაგრამ იგი ყოველთვის თან ატარებს იმ დღის მოსაგონარ იარას. მის სხეულს ახლაც ატყვია კანის გადანერგვისა და მოუშუშებელი დამწვრობის ნიშნები. ეს საპატიო ნიშანი იქნება მისთვის ზეცაში, იმ დღის მოსაგონებლად, როცა იაკობ ჯედამ უარი თქვა ქრისტიანობისათვის ზურგი ექცია.

ადამიანების უმრავლესობა ადვილად ფლანგავს ფულს სუვენირებში. ძნელია ადამიანმა ისე ჩაუაროს გვერდი სუვენირების მაღაზიას მატარებლების სადგურზე თუ აეროპორტში, რომ იმ მგზავრობის მოსაგონებლად არაფერი შეიძინოს. მაგრამ რა გვრჩება ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპიდან მოსაგონებლადმხოლოდ ჩვენს მიერ დადებული პირობა? ზოგიერთებს ჩეკის დანახვა გაახსენებთ დროს, როცა მორალურ კომპრომისზე არ წავიდნენ. სხვებს, საშუალო სკოლის საკლასო ოთახის დანახვა გაახსენებთ, რას ნიშნავს ქრისტიანობისათვის დევნა. ზოგიერთები მორწმუნის საფლავს დაინახავენ და გაახსენდებათ რას ნიშნავს პირობა. ეს „სუვენირები“ იესო ქრისტეს რწმენის განუზომელი მნიშვნელობის მოგონებებია.

ვმადლობ ჩემს ღმერთს
თქვენს ყოველ გახსენებაზე.

ფილიპელთა 1:3

34-ე დღე

ფიზიკურად ვგრძნობდი, რომ ვიღაც ლოცულობდა ჩემთვის. მაშინაც კი, როცა არაფერი ვიცოდი და არც წერილი მიმეღო, ისეთ შინაგან სითბოს ვგრძნობდი, თითქოს ცეცხლთან ვიჯექი. ხანდახან ეს პატიმართა დასასჯელ ოთახებში ხდებოდა, სადაც ძალიან ცივა. თითქოს მესმოდა, რომ ვიღაც ლოცულობდა ჩემთვის და ჩემზე ფიქრობდა. ეს ძალიან დამეხმარა. ძნელია ამისი სიტყვებით ახსნა... ვგრძნობდი და ვიცოდი, რომ დავიწყებული არ ვიყავი. ეს ყველაფერი საკმარისი იყო იმისათვის, რომ ყველაზე რთული მომენტებისათვისაც კი გამეძლო.

ირინა რატუშინსკაია-ქრისტიანი პოეტი და პატიმარი, ყოფილ საბჭოთა კავშირში 1987 წლამდე.

35-ე დღე

ექსტრემალური
უსამართლობა

რუმინეთი: ხუცესი ფლორესკუ

ხუცეს ფლორესკუს აღარ შეეძლო ეყურებინა როგორ სცემდნენ მის შვილს კომუნისტი ოფიცრები. თვითონ უკვე კარგად იყო ნაცემი და ორი კვირის განმავლობაში მშიერი ვირთხების შიშით არ უძინია, რომლებიც კომუნისტებმა სპეციალურად შეყარეს მის საკანში. რუმინეთის პოლიციას უნდოდა, რომ ფლორესკუს მისი არარეგისტრირებული ეკლესიის სხვა წევრები დაესახელებინა, მათი დაპატიმრების მიზნით.

რადგან წამებამ სასურველი ნაყოფი არ გამოიღო, კომუნისტებმა ფლორესკუს თოთხმეტი წლის ვაჟი მოიყვანეს და მამამისის წინაშე დაუწყეს ცემა. ფლორესკუმ საკუთარი თვალით დაინახა, როგორ უმოწყალოდ დაალურჯეს ვაჟიშვილის სხეული, და ხუცესს უთხრეს, რომ მის შვილს ცემით მოკლავდნენ თუ სხვა მორწმუნეების ადგილსამყოფელს არ დაასახელებდა.

ბოლოს, ნახევრად შეშლილმა ფლორესკუმ პოლიციას დაუყვირა რომ გაჩერებულიყვნენ.

„ალექსანდრე, მე უნდა ვთქვა რაც მათ სურთ!“ დაუძახა მან შვილს. „აღარ შემიძლია შენი ცემის ყურება.“

ცემისაგან დასიებულმა და ცხვირ-პირ დასისხლიანებულმა ალექსანდრემ მამას თვალებში შეხედა. „მამა, ნუ მომექცევი უმოწყალოდ და გამყიდველი მშობლის სახელს ნუ დაირქმევ. მტკიცედ იდექი! თუ მომკლავენ, სიტყვა ‘იესო’ აღმოხდება ჩემს ბაგეს.“

ბიჭის მხნეობამ გააშმაგა კომუნისტი მცველები და მამამისის თვალწინ ცემით ამოხადეს სული. ალექსანდრე არა მარტო თვითონ იდგა მტკიცედ რწმენაში, არამედ მამამისსაც იგივეს გაკეთებაში დაეხმარა.

არის თუ არა უსამართლობა ამ დედამიწაზე? როცა უდანაშაულო ადამიანების წინაშე ჩადენილი გულქვაობის შესახებ ვკითხულობთ ამბებს, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, უბრალოდ გაოგნებულნი ვართ. შეიძლება რწმენაც კი შეგვერყეს, როცა ავაზაკების მიერ ჩადენილი სასტიკი წამების შესახე გვესმის ამბები. შეიძლება იმედგაცრუებაც დაგვეუფლოს წყალობის მოლოდინში. ნუთუ სამართალი არ არის ამ დედამიწაზე? ჩვენს ღაღადზე პასუხს ბიბლია „დიახ და ჯერ არას“ სწავლების პრინციპით გვაწვდის. დიახ, ზოგიერთი ბოროტმოქმედნი სასურველ შედეგებს აღწევენ ამ ცხოვრებაში. რადგან ღვთის მარადიული სასამართლოს ჟამი ჯერ კიდევ არ დამდგარა ამ დედამიწაზე. ეს დრო აღსასრულის მოსვლამდე არ დადგება. დავიღალეთ მოლოდინით, მაგრამ ღმერთის შეჩერების ძალა არაფერს შესწევს.

სასოს არ წარიკვეთს
და არც გატყდება,
სანამ არ დაამყარებს
ქვეყნად სამართალს.

ესაია 42:4

36-ე დღე

ექსტრემალური
პასუხები

კუბა: ტომ უაითი

როცა შავი ნიღაბი ჩამოაფარეს თავზე ტომ უაითს, არ იცოდა სინათლეს კიდევ თუ ნახავდა ოდესმე. „სად მიგყავართ?“ ჰკითხა მან კუბელებს. მომტაცებლებმა ხმა არ გაიღეს.

ტომი შვიდი წლის მანძილზე ჩუმად ავრცელებდა კუბაში ქრისტიანულ ლიტერატურას. მან და მისმა თანამოაზრეებმა თვითმფრინავიდან გადმოყარეს სახარებები კომუნისტური კუნძულის სანაპიროზე. მაგრამ მას არასოდეს სმენია ქრისტიანებისაგან, რომ ლიტერატურამ ადრესატამდე მიაღწია.

„ღმერთო, გთხოვ,“ ლოცულობდა ტომი, „დაგვარწმუნე, რომ ჩვენი საქმიანობა ნაყოფიერია ამ ქვეყანაში.“

ექვსი კვირის შემდეგ, ტომი, კაპიტან სანტოსთან წაიყვანეს დაკითხვაზე. მათი თვითმფრინავი კუბაში ჩამოვარდა და ტომი და მისი პილოტი, მელ ბეილი, დაიჭირეს და ქვეყნის უსაფრთხოების დარღვევაში დაადანაშაულეს.

„ჩვენმა ხალხმა ათასობით ასეთი ეგზემპლარი ნახა ზღვის სანაპიროსა და მინდვრებში!“ ყვიროდა კაპიტანი სანტოსი და თან რამდენიმე წლის წინათ ჩამოგდებული სახარებების შეკვრა ეჭირა ხელში.

ტომი ეცადა არ გაეღიმა. „მადლობა, ღმერთო,“ ლოცულობდა იგი, „ჩემს ლოცვაზე პასუხისათვის. მადლობა, რომ ჩვენმა შრომამ ამაოდ არ ჩაიარა.“

ტომს ეს პასუხი ძვირად დაუჯდა. მან ოცდაერთი თვე გაატარა კუბის ციხეში. ციხეში მრავალ მორწმუნეს შეხვდა და გაიგო, რომ კასტროს რეჟიმშიც კი იზრდებოდა ეკლესია. ღმერთმა უპასუხა ტომის ლოცვას.

იციან თუ არა მორწმუნეებმა რას ნიშნავს ლოცვაში საზღაურის გადახდა? თუ გვინდა, რომ ღმერთმა ჩვენს ლოცვებს უპასუხოს, მზად უნდა ვიყოთ მისი პასუხის ნებისმიერ მდგომარეობაში მისაღებად. ასეთი ლოცვის პასუხი მოითხოვს პროცესში ჩვენს მონაწილეობას. ლოცვებს კი ვუძღვნით ღმერთს, მაგრამ ცხოვრებას თუ ვუძღვნით საჭიროების შემთხვევაში? როგორ ვპასუხობთ ეკლესიის მოწოდებას გაჭირვებულების დახმარებისა თუ ღვთის სიტყვის გავრცელების საქმეში? თუ ღმერთს გაჭირვებაში დახმარებას ვთხოვთ, მაშინ ჩვენც უნდა ვუპასუხოთ მას, როცა ის ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებას გვთხოვს. არის თუ არა რაიმე პრობლემა თქვენს ცხოვრებაში, რომელზეც ლოცულობდით და ჯერ პასუხი არ მიგიღიათ? იქნებ ღმერთი ამ საკითხის გადაჭრაში ჩვენ მონაწილეობას ელოდება?



ექსტრემალური
მოწმეები

ამორია: შვიდი პატიმარი

შვიდი წლის განმავლობაში ცდილობდნენ რადიკალი მუსულმანი ხელმძღვანელები „უღმერთოების“ ისლამისაკენ მოქცევას. მაგრამ ბნელ ციხეში გამომწყვდეული ქრისტიანები არ ნებდებოდნენ.

„მუჰამედი არის უდიდესი წინასწარმეტყველი,“ ცდილობდნენ აეხსნათ ქრისტიანებისათვის. „ის ქრისტეს შემდეგ ცხოვრობდა და ის არის ალაჰის ბოლო წინასწარმეტყველი.“

ქრისტიანებმა ყურადღებით მოუსმინეს და უპასუხეს, „თქვენი სისტემის მიხედვით საქმე კანონიერად ითვლება მოწმეების რაოდენობით. იესო ქრისტეს მოწმეები ჰყავს მოსედან დაწყებული იოანე ნათლისმცემლამდე. მუჰამედი კი მხოლოდ თვითონ მოწმობდა საკუთარ თავზე.“

ამის შემდეგ იმამები სხვა ხერხს მიმართავდნენ.

„ცხადია, რომ ისლამი ღვთისაგან ბოძებული რელიგიაა, რადგან ჩვენი სამეფო ქრისტიანების მიერ კონტროლირებად მიწებზე დიდია,“ თქვეს მათ ცბიერი ღიმილით.

„ეს რომ მართალი ყოფილიყო,“ უპასუხეს ქრისტიანებმა, „მაშინ ეგვიპტის, საბერძნეთის და რომის კერპთაყვანისმცემლობა ჭეშმარიტი რელიგია იქნებოდა, რადგან ერთ დროს ისინი ყველაზე დიდ სამეფოებს ფლობდნენ. აშკარაა, რომ თქვენი წარმატება, ძალა და სიმდიდრე არ მოწმობს თქვენი რწმენის ჭეშმარიტებაზე. ჩვენ ვიცით, რომ ხანდახან ღმერთი გამარჯვებას აძლევს ქრისტიანებს, ხანდახან კი ტანჯვასა და წამებაში ტოვებს.“

845 წელს, მათ შეწყვიტეს ქრისტიანების მუსულმანობაზე მოქცევის მცდელობა. შვიდ ქრისტიანს თავი მოკვეთეს და მათი სხეულები მდინარე ევფრატში გადაყარეს.

იესომ ის კი არ გვითხრა, რომ ყველაფერზე პასუხს გაგვცემდა, არამედ მცნება მოგვცა, რომ მისი მოწმეები ვყოფილიყავით. ყველაზე ძლიერი სამი სიტყვა, რომლებიც შეიძლება ურწმუნოს უთხრა, ესენია: „მე არ ვიცი.“ შეიძლება პასუხი გქონდეს, მაგრამ მრავალ ურწმუნოში იგი ეჭვსა და შეკითხვებს იწვევდეს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პასუხში ყოველთვის მოიძებნება მისივე საწინააღმდეგო ინფორმაცია. თუ ოდესმე მოხვდით ანალოგიურ სიტუაციაში და „პასუხი“ არ იცით – აღიარეთ. და ყურადღება გაამახვილეთ ისეთ საკითხზე, რაშიც ვერ შეგედავებიან: საკუთარ დამოწმებაზე. იესოსთან პირადი ურთიერთობის გამოცდილება და ის, თუ რა გააკეთა მან შენს ცხოვრებაში შეუდარებელი დამოწმებაა. ამ შემთხვევაში საქმის ექსპერტი ხართ. ეფექტური დამოწმება არის უბრალოდ შენი ამბის სხვებისათვის გაზიარება.



38-ე დღე

ექსტრემალური დამაჯერებლობა

ინდონეზია: პეტრუსი

ინდონეზიელმა ქრისტიანმა, პეტრუსმა, ასეთი განცხადება გააკეთა ბოლო ინტერვიუში: „ქრისტიანობა რთული არ არის, რადგან ქრისტე გვყავს, თუმცაღა მრავალი განსაცდელის გადატანა გვიწევს.“ როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, ქრისტეს გაყოლა უდიდეს მსხვერპლს მოითხოვდა პეტრუსგან.

გამძვინვარებულმა, რადიკალმა მუსულმანების ბრბომ ალყა შემოარტყა ეკლესიის შენობას, ფანჯრებს ამსხვრევდნენ და ქრისტიანებს სიძულვილით უყვიროდნენ. პეტრუს მამა, ხუცესი, ეკლესიაში იყო პეტრუს დედასთან, დებთან, ბიძაშვილთან და ეკლესიის სხვა წევრებთან ერთად. მამამისი ბრბოს დაწყნარებას ეცადა, მაგრამ უშედეგოდ. იგი ეკლესიაში დაბრუნდა სალოცავად და ღმერთს დაცვასა და დახმარებას სთხოვდა.

ბრბოს სისხლი სწყუროდა, შენობას ცეცხლი წაუკიდეს და მზად იყვნენ ეკლესიიდან გამოსულ ნებისმიერ ადამიანს დატაკებოდნენ. ინდონეზიის პოლიციას მოქმედების ეშინოდა. სამხედრო ძალა ხელმისაწვდომი არ იყო მათთვის. და კიდევ ერთი მორიგი დამწვარი ეკლესიის შენობა იმ ერში, სადაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ხუთასამდე ეკლესია დაიწვა.

როცა რამდენიმე საათის შემდეგ პეტრუსი შემთხვევის ადგილზე მივიდა, ეკლესია და მასში მყოფი ხალხი ნაცრად იყვნენ ქცეული. საყვარელი ადამიანების გვამები ისე დამწვარიყო, რომ ამოცნობაც კი შეუძლებელი იყო.

მოგვიანებით მთავრობამ პეტრუსს მოუბოდიშა და სთხოვა შურისძიებისაგან თავი შეეკავებინა. პეტრუსს შურისძიება კი არა სიყვარული სწყურია. მას სურს, რომ ქრისტეს სამეფოსათვის შეძენილი მუსულმანები ნახოს თავის ქვეყანაში.

ხშირად დევნა საბოლოო ბრძოლის ველია ბუნებრივ ინსტიქტებსა და სულიერ რწმენას შორის. ინსტიქტი საკუთარი გადარჩენისათვის იბრძვის. დაჯერებულობა კი საკუთარ ინტერესებზე ზემოთ დგას. ეს ინსტიქტი მოგვიწოდებს შურისძიებისაკენ. რწმენა გვახსენებს ჩვენში მდევნელებისადმი სულიერ დამოკიდებულებას. მრავალი ჩვენთაგანისათვის რთული იქნებოდა საყვარელი ადამიანების დახოცვის შემდეგ პეტრუსებური დამაჯერებლობის გაზიარება. ამის შემდეგ შეუძლებელი იყო ქრისტეზე უარი ეთქვა პეტრუსს. მისი მაგალითი მოწმობაა იმისა, რომ ჩვენი დარწმუნებულობა იმარჯვებს ბუნებრივ ინსტიქტებზე. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ინსტიქტები ქრისტესმიერი უანგარო სიყვარულით წარიმართება.

> რადგანაც ჩვენი სახარება
> არ იყო თქვენდამი მხოლოდ
> სიტყვით, არამედ აგრეთვე
> ძალით, სულიწმიდით და
> სრული დამაჯერებლობით.
>
> *1 თესალონიკელთა 1:5*

39-ე დღე

ექსტრემალური
მკვლელობა-მეორე ნაწილი

ბანგლადეში: ანდრეუ

მუსულმანი წინამძღოლის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ქრისტიანი ევანგელისტი, ანდრეუ, თავისი ოჯახის წევრების გვერდით დაინახა სასადილო მაგიდასთან!

იმიტომ გაოცდა, რომ სულ ახლახან თვითონ დააწესა დიდი ჯილდო ამ ქრისტიანის მოსაკლავად. ახლა კი, ეს ანდრეუ მის სახლში მოკალათებულიყო და მისი ოჯახის წევრებს იესოს შესახებ ესაუბრებოდა. „აქ რა ხდება?“ დაიყვირა მან. „რას აკეთებს აქ ეს კაცი, ეს უღმერთო, ეს ალაჰის მტერი ჩემს სახლში?“

მისმა რძალმა უპასუხა, „მე ვთხოვე ჩვენთან მოსვლა, რადგან მან და მისმა იესომ განკურნა შენი ვაჟი-ჩემი მეუღლე.“ და სწრაფი ტემპით გააგრძელა. „თვრამეტი თვის განმავლობაში ცუდად იყო, მაგრამ დღეს ეს ქრისტიანი, ანდრეუ, მოვიდა და მისთვის ილოცა. ხელი დაადო და განიკურნა! იესომ განკურნა იგი!“

მამა უსმენდა შვილის ამაღელვებელ ისტორიას, თუ როგორ იგრძნო სხეულიდან სენის გასვლა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მისმა ვაჟმა საწოლიდან ადგომა შეძლო. თვრამეტი თვის განმავლობაში პირველად იყო, რომ ტკივილს აღარ გრძნობდა.

ყოველივე ამის შემდეგ მამის სიბრაზე შვებამ და სიხარულმა შეცვალა. იმ დღესვე არ მიუღია იესო თავის გულში მხსნელად, მაგრამ დიდ დახმარებას უწევდა ქრისტიანებს იმ რეგიონში და მრავალი გადაურჩა ციხესა და დევნას მისი წყალობით.

კაცი, რომელმაც ადრე დაქირავებული მკვლელი დააყენა ანდრეუს თავზე, ახლა დიდი სიხარულით ეგებებოდა მას.

ქრისტიანობას „პრაქტიკულად საკუთარ თავზე“ გამოცდი. როდესაც მუსულმანი მამა ოთახში შევიდა, ანდრეუ მაშინ სამპიროვან ღმერთზე არ ქადაგებდა. ის არ ცდილობდა ამ კაცის ცოლ-შვილის თვალში ალაჰის დამცირებასა და ქრისტიანობის უპირატესობის წარმოჩენას. ანდრეუ მუსულმან ოჯახთან ლოცვის შემდეგ მათთან ერთად სადილობდა. მათ ავადმყოფის ცარიელი საწოლი ჰქონდათ იმის დასამოწმებლად, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს. ანალოგიურად, უნდა გვახსოვდეს, რომ ღვთის სასწაულები თავისთავად ნიშნავს მოწმობას. თუ სწორად ვილაპარაკებთ და სწორად მოვიქცევით მძიმე ტვირთი აღარ დააწვება სიტყვის გამავრცელებელს. სწორად ვიქცევით როცა სახარებას ვაუწყებთ. იესო მიიზიდავს მსმენელის გულს თავისთან. მაგრამ ქრისტეს არსებობის რეალობას აუცილებლად უნდა მივცეთ თავისთავზე ლაპარაკის შესაძლებლობა.



მე-40 დღე

ექსტრემალური
ჭეშმარიტება

რუმინეთი: ხუცესი კოჩანგა

„ჩვენი არ გეშინია?“ იკითხა კომუნისტმა პოლკოვნიკმა, დამამცირებელი და გამომწვევი ტონით.

ახალგაზრდა ხუცესი კოჩანგა, რომელსაც მხოლოდ ერთხელ ექადაგა თავისი კარიერის მანძილზე, პოლკოვნიკის წინ იდგა და იცოდა, რომ ამ კაცის ხელში იყო მისი სიცოცხლეც და სიკვდილიც. ხუცესმა პატივისმცემელი და სერიოზული ტონით უპასუხა.

ბატონო, ჭეშმარიტებას არასოდეს ეშინია. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენმა მთავრობამ გადაწყვიტა ყველა მათემატიკოსის ჩამოხრჩობა. რამდენი იქნება ორს რომ ორი მიუმატოთ? ორს რომ ორი მივუმატოთ მაინც ოთხი იქნება.

ჩვენც ისეთივე ჭეშმარიტება გვაქვს, როგორც მათემატიკოსებს. ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტება, რომ არსებობს ღმერთი და იგი არის ჩვენი მოსიყვარულე მამა. ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტება, რომ იესო ქრისტე არის ქვეყნიერების მხსნელი და მას სურს ყველას გადარჩენა, ისევე როგორც თქვენი. ჩვენ გვაქვს სულიწმიდისა და ლამაზი სამოთხის არსებობის შესახებ ჭეშმარიტება, რომელიც ძალასა და სინათლეს აძლევს ადამიანს.

„რაც არ უნდა მცემოთ და როგორი წამების იარაღებიც არ უნდა გამოიყენოთ, ეს ჭეშმარიტება მაინც უცვლელი დარჩება. ორს რომ ორი მივუმატოთ მაინც ოთხია.“

კოჩანგა ისე სცემეს, რომ შეუძლებელი გახდა მისი სახის ამოცნობა და შემდეგ აღარავის უნახავს. მისი ათქვეფილი სახე თანასაკნელებისათვისაც კი ძნელი ამოსაცნობი გახდა, სამოთხეში კი მალევე იცნეს და გულთბილად შეეგებნენ.

„სიმართლე თქვი.“ ბავშვები ადრეულ ასაკში სწავლობენ ამ ჭეშმარიტებას, თუმცა ეს სიბრძნე მარადიულია. ყოველთვის გვექნება სათქმელი ქრისტეზე დასამოწმებლად, თუ უბრალოდ გავაცნობიერებთ და დავუბრუნდებით ჭეშმარიტების შესახებ მარტივ ცოდნას. ადამიანები ხშირად არაკვალიფიციურად მიიჩნევენ საკუთარ თავს ქრისტეზე დასამოწმებლად, ამბობენ, რომ ამისათვის საკმარისი „წვრთნა“ არ გაუვლიათ. გვეშინია ისეთი თეოლოგიური შეკითხვა არ დაგვისვან, პასუხს რომ ვერ გავცემთ. თუმცაღა, ქრისტეს წინასწარმეტყველებებზე დამოწმება არ მოითხოვს აპოლოგეტიკის კურსის გავლას. უბრალოდ თქვი ის ჭეშმარიტება, რაც იცი-ისევე როგორც მათ ვინც რელიგიური რეპრესიები გაიარა. ქრისტეზე დამოწმება იმაზე ადვილია ვიდრე გეჩვენება. ბავშვობაში ნასწავლ პრინციპებს უნდა დავუბრუნდეთ. ჩვენ მცნებად გვიდევს იესო ქრისტეს შეცნობა-და ჭეშმარიტების თქმა.

ვინც მე მაღიარებს ადამიანთა
წინაშე, მას მეც ვაღიარებ
ჩემი ზეციერი მამის წინაშე.

მათე 10:32

41-ე დღე

ვიდრე ადამიანი წინააღმდეგობას არ წააწყდება, მანამდე რეალურად არ ფიქრობს რწმენის პრაქტიკაში გატარებაზე. ვიდრე ეკლესიას საშინელ ერესში არ ამხელენ, მანამდე ვერ აცნობიერებს ჭეშმარიტების სიმდიდრეს. ქრისტიანობას ულევი სიმდიდრის თვისება აქვს, რამაც ყოველთვის შეიძლება წარმოშვას ნებისმიერ სიტუაციასთან შეხვედრის ახალი შესაძლებლობები.

უილიამ ბარკლაი-ბიბლიის ყოველდღიური შესწავლისათვის

42-ე დღე

ექსტრემალური
უფრო მეტი მისიონერები

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

როგორც კი მატარებელი სადგურიდან დაიძრა, პლატფორმაზე მდგომმა ქრისტიანებმა პალტოები გაიხსნეს და ქრისტიანული ბროშურები ამოიღეს. ქრისტიანები სწრაფად ყრიდნენ ბროშურებს რუსი ჯარისკაცებით სავსე მატარებელში.

რუსი ჯარისკაცები, რომელთა უმეტესობა თექვსმეტ წელს არ აღემატებოდა, განსაკუთრებით უცინოდნენ და უსტვენდნენ ფანჯარაში ბროშურების მსროლელ ახალგაზრდა მომხიბვლელ გოგონებს. ჯარისკაცებმა დიდი ინტერესით დასტაცეს ხელი ფანჯარაში შემოყრილ ნივთებს. პოლიტ-ოფიცრის გამოჩენისთანავე ჯარისკაცებმა ბროშურები ჯიბეებში დამალეს. იმედი ჰქონდათ, რომ მალე მიეცემოდათ შესაძლებლობა ამ უცნაური ბუკლეტის წაკითხვისა და „მეფის“ შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვებისა.

ქრისტიანები ნერვიული სიცილით შეიკრიბნენ მატარებლის სადგურზე. როდესაც პოლიციის ოფიცერმა ერთ-ერთი მათგანი გვერდზე გაიხმო, ყოყმანის გარეშე გაიხსნა პალტო, რადგან შიგნით უკვე აღარაფერი იყო. ყველა ბროშურა, რომლებიც მან რუმინეთში, მატარებლის სადგურზე მოიტანა ახლა იმ მატარებელში იყო, რომელიც კომუნისტური რუსეთის გულისაკენ მიქროდა.

მატარებლის ვაგონის ევანგელიზაცია ახალი მეთოდი გახლდათ, რაც რიჩარდ ვურმბრანდმა მოიფიქრა. მას სჯეროდა, რომ მისი ეკლესიის ახალგაზრდული ჯგუფი წარმატებით გაართმევდა თავს ქრისტეს შესახებ რუს ჯარისკაცებთან ქადაგებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს „ალიანსი“ მისი ქვეყნის სიმდიდრეს იტაცებდა და მის ხალხს ხოცავდა, რიჩარდი მაინც შეეგება ჯარისკაცებს. იგი თითოეულ ჯარისკაცში ხედავდა ქადაგებისა და სულის მოქცევის შესაძლებლობას.

მისია ადგილი კი არა დამოკიდებულებაა-ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულება. მისიონერი კი ის ადამიანია, ვინც მტკიცედ დგას თავის გადაწყვეტილებაზე და ყოველდღიურად იღწვის მიზნის მისაღწევად. რიჩარდ ვურმბრანდი იყო კაცი მისიონერი, ვისი ცეცხლიც თანაბრად მოედო ახალგაზრდა თაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც ცხადად დაინახაეს მისი მიზანდასახულობა. ამ გაგებით, ჩვენ ყველა მისიონერები ვართ-ქრისტეს ელჩები-როცა მას ვემსახურებით. მისიაში ყოფნა ნიშნავს ღვთის სასუფევლის განვრცობისთვის უმნიშვნელო შესაძლებლობის გამოყენებისათვის მზადყოფნას. სამსახურში შესვენებაზე. სასურსათო მაღაზიაში. მატარებელში თუ ავტობუსში. სკოლაში. ქვეყნიერების ყოველდღიური ცხოვრება არის მისია, როცა მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი იღვაწო ღვთის სასუფევლის წარმატებისათვის.

იქადაგე სიტყვა დაჟინებით,
დროულად და უდროოდ.

2 ტიმოთე 4:2

43-ე დღე

ექსტრემალური
მემკვიდრეობა

ინდონეზია: სტენლი

როგორც კი სტენლიმ ინდონეზიის ერთ მიყრუებულ კუნძულზე ფეხი გადმოდგა, მაშინვე სულიერი სიბნელე იგრძნო. ხალხი ჯადოქრობასა და ისლამს ერთმანეთში ურევდა.სტენლის ეს-ესაა ბიბლიის სკოლა დაესრულებინა და მზად იყო ღვთის მოწოდება შეესრულებინა და ამ კუნძულზე ხალხისათვის ქრისტე ექადაგა.

სტენლი გაბედულად ქადაგებდა, ხალხს ქრისტესაკენ შემობრუნებას, კერპებისა და ძველი ცხოვრების გადმონაშთების განადგურებისაკენ მოუწოდებდა. ერთმა მუსულმანმა კერპი დაწვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მასში ყურანის გრაგნილი ყოფილა. როცა, რადიკალმა მუსულმანებმა ყურანის დაწვის შესახებ გაიგეს, მათ სტენლი სარაიონო პოლიციაში დაასმინეს. იგი სასწრაფოდ დააპატიმრეს.

სტენლი საშინლად სცემეს, რის გამოც კომაში ჩვარდა. მისმა ბიბლიის სკოლის დამრიგებელმა, ხუცესმა სიუმ, მისი ნახვა მოახერხა და ამოწმებდა, რომ მის მოწაფეს ღვარად მოედინებოდა სახეზე ცრემლი. ამის შემდეგ სტენლი მალე გარდაიცვალა.

სიკვდილმაც კი ვერ შეძლო სტენლის მსახურების შეჩერება. როგორც კი ეს ამბავი მის სოფელში გავრცელდა, თერთმეტმა მუსულმანმა მიიღო ქრისტე საკუთარ მხსნელად. ორმოცდაცამეტმა თანასოფლელმა გადაწყვეტილება მიიღო დასწრებოდა ბიბლიის სკოლას. რომელთაგან შვიდს სთხოვეს იმ სოფელში წასულიყვნენ მისიონერებად, სადაც სტენლი გარდაიცვალა.

სახარების გავრცელების შეწყვეტის მიზნით, სოფლის ხელმძღვანელობამ სტენლის სიცოცხლე მოუსწრაფა. მათი ბოროტმოქმედების დროსაც კი, ღვთის ხელი მოქმედებდა. დღეს სახარების ნათელი კაშკაშებს იმ სოფელში.

„აანთე ცეცხლი.“ აი, რა მიზნის მისაღწევად უნდა იბრძოდეს თითოეული ქრისტიანი ამ სოფლიდან წასვლამდე. მიძღვნილი ქრისტიანი სინათლეს ტოვებს ამ სოფლად. ამას ჰქვია მემკვიდრეობის დატოვება. ხშირად გვესმის, რომ ცნობილი ადამიანები მემკვიდრეობას ტოვებენ ფილმის, სპორტის ან სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქრისტიანი წმინდანი უსახელოდ წავიდა ამ ქვეყნიერებიდან, მათ მიერ ანთებული სინათლე ჯერაც ანათებს მსოფლიოს გარშემო. შეუძლებელია მათი რწმენა, პატიოსნება, იმედი და სიყვარული, მათ სიკვდილთან ერთად გაუჩინარდეს. სინამდვილეში, სიკვდილმა შესაძლოა უფრო გააღვივოს ცეცხლი. ცოცხალი ადამიანები უფრო ხშირად მიბაძავენ ასეთ მემკვიდრეობას.



44-ე დღე

ექსტრემალური
ოჯახი

ინდონეზია: სტენლის დედა

დედა-შვილი ერთ თვეში დაამთავრებდნენ ბიბლიის სკოლას. ეს იგივე ბიბლიის სკოლა იყო, სადაც მისი ვაჟი, სტენლი, სწავლობდა ინდონეზიის კუნძულზე მისიონერად წასვლამდე. სტენლი სახარების გავრცელებისათვის მოკლეს, მაგრამ მისმა მოწმობამ მრავალ ადამიანში გააღვიძა ბიბლიის სკოლაში სწავლის სურვილი და ღვთის სიყვარული.

როცა მეცადინეობა დასრულდა, დედა-შვილმა გადაწყვიტა იგივე სოფელში წასულიყვნენ, სადაც სტენლი გარდაიცვალა. დედა იმედოვნებდა, რომ მიეცემოდა შესაძლებლობა და ქრისტეს სიყვარულს აჩვენებდა, იმ კაცსაც კი ვინც მისი შვილი სასიკვდილოდ სცემა. ბიბლიის სკოლის სტუმარი განაცვიფრა მისი გეგმების მოსმენამ.

„არ გეშინია, რომ მოკვდე?“ ჰკითხა მან ქალს.

ქალი დააბნია შეკითხვამ, მას აქამდე არასოდეს უფიქრია ამაზე. „რატომ უნდა მეშინოდეს სიკვდილის?“ უპასუხა უბრალოდ.

მისი რწმენა სრულყოფილი ჩანდა ღვთის სიკეთის გამო. თუ ღმერთმა გადაწყვიტა იმავე სოფელში გამოეყენებინა, სადაც მისი ვაჟი გარდაიცვალა, დაე ასე იყოს. თუ ღმერთი დაუშვებდა ისიც იმავე სოფელში მომკვდარიყო, დედა ამაზეც თანახმა იყო. სიკვდილი ხომ ქრისტესთან მიიყვანდა, ვინც ასე ძალიან უყვარდა. სიკვდილი არ იყო მისთვის დაბრკოლება ან სასჯელი, ეს მხოლოდ გზა იყო ღმერთთან მისასვლელად.

სიკვდილის თვალებში ჩახედვა გვაგონებს ჩანჩქერის კიდეზე მდგომ ბავშვებს. მოულოდნელობისაგან მხრებს ვიჩეჩავთ და სხეული გვიკანკალებს. მეტკინება? გადავიტან? არ გვინდა ამ ეჭვებით გადავხტეთ პირველები. საბედნიეროდ, ამის გაკეთება არ გვჭირდება. ისტორია სავსეა იმ ოჯახის წევრების ისტორიებით, რომელთაც სიკვდილ-სიცოცხლეს შორის არსებული ზღვარი უკვე გადალახეს. ისინი არიან წმიდანები, რომელნიც თავიანთი მიზნის რწმენით მოკვდნენ. იესო ქრისტემ, პირველმა გაიარა ის გზა, რაც მანამდე არავის გაუვლია-სიკვდილში და კვლავ უკან დაბრუნდა. ქრისტემ, ჩვენი ქრისტიანული ოჯახის თავმა, სიკვდილის შიში დარწმუნებულობით ჩაანაცვლა. ყური დაუგდე მოწოდებას „მოდი“. ნუ გეშინია, შემოდი წყალში.

„სად არის, სიკვდილო,
შენი ნესტარი?
სად არის, ჯოჯოხეთო,
შენი ძლევა?“

1 კორ. 15:55

45-ე დღე

ექსტრემალური
მხარეები

რუსეთი: ფარისევლები

მისამღერს მღეროდნენ, როდესაც ორი შეიარაღებული ჯარისკაცი ოთახში შემოიჭრა. მსახურება შეაჩერა რუსი ჯარისკაცების მორწმუნეებისადმი ველურმა, დაჟინებულმა მზერამ.

„აქ რას აკეთებთ?“ დაიყვირეს მათ. „არარსებულ ღმერთს ემსახურებით?“ მობუზულები ისხდნენ ეკლესიის წევრები და შიშობდნენ, ვაი თუ უფრო მეტი ჯარისკაცები იცდიდნენ გარეთ თოფებით.

„ყველანი, ვინც ღვთის ერთგულები ხართ, ეკლესიის მარჯვნივ დადექით,“ თქვა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, ზიზღიანი სახით. „თქვენი რწმენის გამო დაგხვრეტენ. თქვენ, რომელთაც სახლში წასვლა და სიცოცხლის შენარჩუნება გსურთ, მარცხნივ. ისინი, ვინც ღმერთს უარყოფენ შეუძლიათ თავისუფლად იცოცხლონ.“

ათი წუთის წინ ყველა ერთხმად მღეროდა სადიდებელს. ახლა კი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. ზოგიერთები მარცხნივ დადგნენ და დამწუხრებულნი შესცქეროდნენ მარჯვნივ მდგომებს. ისინი, ვინც მარჯვნივ იდგნენ, თვალები დაეხუჭათ და საბოლოო ლოცვას ამბობდნენ.

„მარცხნივ მდგომებს შეგიძლიათ წახვიდეთ,“ თქვა მცირე ხნის შემდეგ ერთმა ჯარისკაცმა. ისინიც სათითაოდ გაემართნენ კარისაკენ და საბოლოოდ შეხედეს მათ, ვინც მალე ცოცხალი აღარ იქნებოდა.

როცა ოთახში მხოლოდ მარჯვნივ მდგომები დარჩნენ, ჯარისკაცებმა იარაღი დაბლა დაუშვეს. „ჩვენც ქრისტიანები ვართ,“ თქვეს მათ, „მაგრამ ფარისევლების გარეშე გვინდოდა მსახურება.“

გადამწყვეტი მომენტი მაშინ დადგება როცა არ მოველით და შეუძლებელია ამისთვის მზადყოფნა. ეს სიტუაციები ისე უნდა მივიღოთ „როგორც არის“ და მის შედეგებზე ვისწავლოთ. გადამწყვეტი მომენტი არის ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც მოიცავს კითხვას ხასიათის შესახებ. ეს შესაძლოა ისეთივე კომპლექსური იყოს, როგორც საეკლესიო მსახურება იქნა შეწყვეტილი შემოჭრილთა მიერ, რომლებიც ამა თუ იმ რწმენისადმი ჩვენს ერთგულებას მოითხოვენ. ან, შესაძლოა ეს ისეთი მარტივი იყოს, როგორც მაგალითად, არასასიამოვნო ფილმის ყურებისათვის თავის დანებება. გადამწყვეტი მომენტის დროს ჩვენი პასუხი გამოგვაცალკევებს ქრისტეს მსგავსი ადამიანების ან საეჭვო ქრისტიანებისაგან. მზად ვართ თუ არა, საკუთარ ხასიათს ნათლად დავინახავთ მაშინ, როდესაც მარჯვნივ ან მარცხნივ დგომას ავირჩევთ.

ის ვინც ჩემთან არ არის,
ჩემი წინააღმდეგია
და ვინც ჩემთან არ
აგროვებს აბნევს.

მათე 12:30

ექსტრემალური
უფრო მეტი ლოცვა

ბოჰემია: იან ჰუსი

„ო, ყველაზე მოწყალეო ქრისტე," წერდა იან ჰუსი სიკვდილით დასჯის მოლოდინში, „მოგვეცი მხნე სული, რათა მზად ვიყოთ. თუ ხორცი უძლურია, დაე შენი მადლი გვიძღოდეს წინ, რადგან შენს გარეშე არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია; შენს გარეშე ძალა არ შეგვწევს სასტიკ სიკვდილს თვალი გავუსწოროთ. მოგვეცი მხნეობა და სწორუპოვარი რწმენა, მტკიცე იმედი და სრულყოფილი ქველმოქმედება, რათა შევძლოთ ჩვენი სიცოცხლის მოთმინებითა და სიხარულით შენთვის გაცემა. ამინ."

ჰუსმა მეთხუთმეტე საუკუნის ეკლესიაში რეფორმა გამოიწვია, ის მღვდლები ამხილა ინდულგენციებს რომ ჰყიდდნენ (შედეგების მიუხედავად ცოდვის ჩადენის უფლება) და მოითხოვა ბიბლიური სტანდარტების აღდგენა. ჰუსს სამეფო უსაფრთხოებას ჰპირდებოდნენ. მაგრამ ახლა დილეგში იჯდა, სიკვდილს ელოდა, და ღმერთს შეჰღაღადებდა.

6 ივლისს, 1415 წელს, ტანსაცმელშემოძარცვული ჰუსი ბოძზე მიაჯაჭვეს. როგორც კი მის ირგვლივ ცეცხლი გააჩაღეს, ჰუსმა ლოცვა დაიწყო: „უფალო იესო ქრისტე, სახარებისა და იმ სიტყვის ქადაგების გამოა, რომ მოთმინებითა და თავმდაბლობით ვიტან ამ საშინელ, მდაბალ და ულმობელ სიკვდილს."

როდესაც მის გარშემო ცეცხლი გაჩაღდა, ჰუსმა, საბოლოოდ შეჰყვირა, „ქრისტე, ცოცხალი ღვთის ძეო, შემიწყალე მე."

ჰუსის მოწმობა გადამწყვეტი იყო, შეეწყვიტათ ინდულგენციების გაყიდვა და ქრისტიანები დაბრუნებოდნენ ბიბლიურ სწავლებას.

ლოცვა. იმას, რითაც ყველაზე მეტი საქმე კეთდება, ხშირად ყველაზე ნაკლებად ვაკეთებთ. ლოცვა არის ჩვენი პირველი თავდაცვა სულიერ ომში, და ხშირად ჩვენი უკანასკენელი რესურსი. რწმენისათვის დევნილები გვასწავლიან ლოცვის უპირატესობას. მათი საბოლოო სიტყვები არ ატარებენ ბრძოლის შინაარსს. მათი ამ დედამიწაზე საბოლოო ქმედება არ არის წინააღმდეგობრივი. არამედ, ლოცვა არის მათი საბოლოო ამოსუნთქვა, რითაც აცბუნებენ ბრალმდებლებს და დანარჩენებს კი არწმუნებენ თავიანთ მტკიცე რწმენაში. ისტორია გვიჩვენებს, რომ დევნილი წმინდანების სიკვდილის წინა ლოცვა იმაზე მეტ გავლენას ახდენს დანარჩენებზე სახარებასთან მიმართებაში, ვიდრე რომ ეცოცხლათ. როცა მძიმე განსაცდელებში ხარ და „ალი" ვარვარებს შენს გარშემო, შებრუნდები ლოცვისაკენ? დაინახავენ თუ არა სხვები, რომ შენი პირველი და უკანასკნელი დაცვა არის ზეციერ მამასთან კავშირი.



47-ე დღე

ექსტრემალური
გამხნევება

ვიეტნამი: ხუცესი ნგუიენ ლაპ მა

როცა კომუნისტებმა ვიეტნამი დაიკავეს, ხუცესმა ნგუიენ ლაპ მამ უარი განაცხადა კან ტოში, ქრისტიანული მისიის ალიანსის ეკლესიის ჩაბარებაზე. ამ „დანაშაულის“ გამო მას და მის ოჯახს შინა პატიმრობა მიუსაჯეს პირველი თორმეტი წელი, პატარა სოფელში, მგზავრობისა და წერილის მიღების უფლების გარეშე.

ბოლოს, როცა ხელისუფლებამ წერილების მიღების ნება დართა ოჯახს, ხუცესი ლაპ მა ააღელვა მიღებულმა წერილებმა. წამებულთა ხმას ხუცეს ლაპ მას ისტორია და მისამართი გამოუქვეყნებია. სტუდენტებმა, დიასახლისებმა, ხუცესებმა და ბიზნესმენებმა ხუცესს და მის ოჯახს გამამხნევებელი წერილები მისწერეს. ვიეტნამის პოლიცია გააოცა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მიღებულმა სამიათასზე მეტმა წერილმა.

„ყოველ წერილს ლოცვითა და ცრემლებით ვკითხულობ,“ თქვა ხუცესმა ლაპ მამ. „ყოველ წერილს ხარბად ვშთანთქავ და სახარების იმ ადგილზე ვფიქრობ წერილში რომაა ნახსენები. შემდეგ ამ გამამხნევებელ სიტყვას ვიეტნამელებსა და ჩემს ოჯახს ვუზიარებ. ამ წერილების შინაარსი სიხარულსა და მხნეობას გგვრის.“

„ღმერთმა გაგვაძლიერა და დაგვეხმარა,“ გააგრძელა ხუცესმა. „ასე რომ, კვლავ მასზე ვამყარებთ იმედს და იესოს შევცქერით. მას მივყვებით ჯვრის ტარებისას, რის გამოც სიკვდილიც კი არაფრად გვიღირს. სანამ ცოცხლები ვართ, ღმერთი გვიყენებს დევნილი ქრისტიანების გასამხნევებლად.“ ისე ამხნევებდათ მათ ეს წერილები, როგორც ახლა თვითონ ამხნევებენ სხვა ქრისტიანებს.

გამხნევება საჭირო საწვავია ქრისტიანული მარათონისათვის. გამხნევების გარეშე, ქრისტიანი იგივეა, რაც მორბენალი წყლის გარეშე, არავის არ შესწევს ძალა დიდხანს აიტანოს შევიწროვება. ჩვენი ცხოვრების გზა გვასწავლის, რომ გამხნევება ჰგავს ორმხრივ ქუჩას. ჩვენ სხვებს ვამხნევებთ, სხვები და ღმერთი კი ჩვენ. მცირეოდენი გამხნევებაც კი აძლიერებს და მოტივს აძლევს რწმენაში დასუსტებულ და დაღლილ ადამიანს. ხშირად ჩვენს გარშემო მყოფებისაგან ლოცვით მიღებული გამხნევება გვაახალგაზრდავებს და შემართებას გვმატებს. რადგან, ზოგიერთებს თორმეტი წლის გატარება უწევთ ციხეში რწმენის გამო. ზოგიერთ შემთხვევაში კი უბრალოდ მომდევნო დღის გაძლება.

ვინაიდან ძალიან მსურს თქვენი
ნახვა, რათა გიწილადოთ
სულიერი ნიჭი თქვენს
განსამტკიცებლად, ესე იგი,
თქვენთან ერთად ვინუგეშო
ერთმანეთის რწმენით, რომელიც
თქვენიც არის და ჩემიც.

რომაელთა 1:11-12

48-ე დღე

**თუ მზად არა ხარ მოკვდე
იმისათვის რაც ბიბლიაშია, მაშინ
ნუ გაიღებ ფულს ბიბლიისათვის.
რადგან თუ მოგვცემთ, უფრო
მეტ ბიბლიებს გავავრცელებთ
ჩუმად. და თუ მეტ ბიბლიას
გავავრცელებთ, უფრო მეტი
მოწამეები გვეყოლება.**

ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი_წამებულთა
ხმის დამარსებელი



49-ე დღე

ექსტრემალი

დედა

ინგლისი: სუზან ვესლი

სუზანის ცხრამეტი შვილიდან ათი გარდაიცვალა ორ წლამდე ასაკში, და ერთ-ერთი მისი ქალიშვილი მახინჯი იყო. მიუხედავად ამისა, თავის დღიურში წერდა, რომ ყველა მისმა ტანჯვამ „ხელი შეუწყო ჩემს სულიერ და საუკუნო სიკეთეს. დიდება შენ, ღმერთო.“

მამამისმა უარი თქვა 1662 წლის ინგლისური კანონის მორჩილებაზე, რომელიც ყველა სამღვდელო პირს *საერთო ლოცვის წიგნისადმი* მორჩილებას აიძულებდა. ხუთიათას ასეთ ქრისტიანს, ნონკონფორმისტები უწოდეს, და ისინი ინგლისის ციხეებში მოკვდნენ თავიანთი რწმენის გამო.

მისი მეუღლე, ნონკონფორმისტი, ინგლისის ეკლესიაში გადავიდა. რის გამოც ძველი ეკლესიის წევრებმა მას ბოსელი გადაუწვეს და ციხეში ჩასვეს. სუზანმა ამ დროს საშინელი სიღარიბე გამოიარა. ქურდმა მის ძროხას ცურიც კი მოაჭრა, რათა ბავშვებს რძეც აღარ ჰქონოდათ.

ერთ დღეს, გაცეცხლებულმა ეკლესიის წევრებმა მისი სახლის სახურავს ცეცხლი წაუკიდეს. მთელმა ოჯახმა მოახერხა გაქცევა, მაგრამ ექვსი წლის ჯონი აიძულეს ფანჯრიდან გადამხტარიყო. დაცემას უვნებლად გადაურჩა, და ეს ვაჟი, ჯონ ვესლი, გაიზარდა და მეთოდისტური დენომინაციის ფუძემდებელი გახდა. მისმა სხვა ვაჟმა, ჩარლზ ვესლიმ, ქრისტიანული კლასიკური საგალობელი დაწერა, „ჰარკ ზე ჰერალდ ენჯელზ სინგ,“ სხვა მნიშვნელოვან საგალობლებთან ერთად.

სუზან ვესლიმ ეს უბრალოდ ასე დაწერა: „რელიგია სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების შესრულება და არა შენი საკუთარი. სამოთხე და ჯოჯოხეთი მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული.“

„მას მამამისის ნიკაპი აქვს.“ „ის გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ბებიამისს.“ თვალები, ყურები, თმა, ხელები, ან შესაძლოა სხვა გენეტიკური მონაცემები გვაკავშირებენ ოჯახის სხვა წევრებთან, ხანდახან შორეულ წინაპრებთანაც კი. ანალოგიურად არის ღვთის ოჯახური კავშირისასაც. ქრისტიანებს გვაკავშირებს სხვადასხვა თვისებები, როგორიცაა სიყვარული, იმედი, სიხარული და მშვიდობა-რაც პირდაპირ მოდის ჩვენამდე ზეციერი მემკვიდრეობიდან. ვესლისნაირი ბიოლოგიური მშობლები და ბებია-ბაბუებიც რომ არ გვყავდეს, რომლებიც გადმოგვცემენ ქრისტიანულ რწმენას, ღმერთი გვაძლევს სულიერ ოჯახს აღგვზარდონ და ვუყვარდეთ. ვინ არის შენი სულიერი დედა ან მამა-ვიღაცა ვინც გასწავლა ქრისტეს შესახებ? ვის შეგიძლია გაუწიო სულიერი და-ძმობა?

ვიხსენებ შენს წრფელ რწმენას, რომელიც დამკვიდრებული იყო დიდედაშენ ლოისში და დედაშენ ევნიკეში, და მწამს, რომ იგი შენშიც არის.

2 ტიმოთე 1:5

50-ე დღე

ექსტრემალური
სითბო

რუსეთი: ნადეჟდა სლობოდა

ნადეჟდა სლობოდას მოთმენა უკვე აღარ შეეძლო. მას ეს-ესაა ევროპულ რადიოტალღას მოუსმინა და იესოს შესახებ გაიგო. როგორც პირველი ქრისტიანი, თავის რუსულ სოფელში, ერთი სული ჰქონდა როდის გაუზიარებდა თავის მეგობრებს იმ ღმერთის შესახებ, რომელმაც სასწაულებრივად შეცვალა მისი გული. მაგრამ მან იცოდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მკაცრად კრძალავდა ღვთისა და ქრისტიანობის შესახებ საუბარს.

ნადეჟდას აღარ შეეძლო მეტის მოთმენა და მალე ეკლესიაც დაიბადა. როცა პოლიციას უკვე აღარ შეეძლო ეკლესიის ზრდის შეჩერება, მიუხედავად იმისა, რომ გზებზე დაბრკოლებებს ქმნიდნენ, ნადეჟდა დაიჭირეს და ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მისი შვილები იძულებით წაიყვანეს ათეისტურ ინტერნატში, რასაც ნადეჟდა მტკივნეულად შეხვდა. მაგრამ ახლა უფრო ახლოს იყო ღმერთთან ვიდრე ოდესმე და თამამად უზიარებდა ქრისტეს შესახებ თანაპატიმრებს.

რადგან ნადეჟდა პოლიციას არ თანხმდებოდა და ქრისტეზე ლაპარაკს არ წყვეტდა, ამიტომ განმარტოვებულ საკანში ჩასვეს, ორი თვით გათბობის გარეშე. შუა ზამთარი იყო და ნადეჟდას არც საბნისა და არც საფარებლის გამოყენების უფლება არ ჰქონდა. აიძულებდნენ ცემენტის ცივ იატაკზე დაეძინა. როცა საერთო საკანში დააბრუნეს, თანასაკნელები ეკითხებოდნენ როგორ გაუძლო იმ მდგომარეობას. მან უპასუხა, „ღვთის იმედად ვიძინებდი ცემენტის ცივ იატაკზე. და გარშემო სითბო დგებოდა. ღვთის ხელებში დავისვენე.“

ქრისტიანების უმეტესობას გამოუვლია სულიერი მგზავრობისას დრო, როცა გეჩვენება, რომ საკმარისად ვერ იღებ ღვთის სიტყვას. სულიერი შეუპოვრობა იყო მეორე თვისება. მგზნებარება იყო მუდმივი მეგობარი. მიუხედავად ამისა, დრო გავიდა და რწმენაში გავცივდით. შეიძლება დევნამ ჩააქრო ჩვენი ენთუზიაზმი, შეიძლება პიროვნულმა ტრაგედიამ. ან შესაძლოა განსაკუთრებულიც არაფერი მომხდარა-უბრალოდ ჩვეულებრივმა საქმიანობებმა და პრიორიტეტებმა შეარყია ჩვენი რწმენა. ახლა ჩვენი სულიერი მგზნებარების ალი მინავლებულ ცეცხლს ჰგავს? თქვენი შეუპოვრობა უმოქმედობაში გადაიზარდა? შესაძლებელია თუ არა ახალი ცეცხლის დანთება ღმერთთან ახალი ურთიერთობით? სთხოვე მას დაგეხმაროს დღეს ამ იდეის განხორციელებაში.

> და ვთქვი: „არა, არ ვახსენებ
> მას და აღარ ვილაპარაკებ მისი
> სახელით.“ მაგრამ ჩემს გულში
> იყო აგიზგიზებული ცეცხლივით
> დამწყვდეული: დავიღალე მისი
> დაოკებით მაგრამ ვერ შევძელი.
>
> *იერემია 20:9*

51-ე დღე

ესტრემალური „ხედვა“

ივორის სანაპირო: ქლოე

დარტყმები ყველა მხრიდან მოდიოდა, ქლოემ ხელები თავზე შემოიჭდო დაცვის მიზნით. არ იცოდა რამდენი ესხმოდა თავს, მაგრამ ყოველი დარტყმისას ბრაგვანს გრძნობდა და მალე გონებაც დაკარგა. თავდამსხმელები უყვიროდნენ, აფურთხებდნენ მასაც და მის იესოსაც. ქლოემ ილოცა, ჩუმად შეჰღაღადებდა ღმერთს ძალისათვის.

ყოველ კვირა ქლოე ოც მილზე მეტს გადის თავის მშობლიურ ივორის სანაპიროზე საქადაგებლად. სოფელი შეპიკაჰა, ქრისტიანების პატარა ჯგუფი სიხარულით ეგებება ქლოეს, მაგრამ სოფლის უმეტესობა მუსულმანები არიან. რადიკალმა, მებრძოლმა მუსულმანებმა მქადაგებელს სცემეს.

ქლოე საავადმყოფოში ნაიყვანეს, სადაც ჭრილობები მოუშუშეს. როცა პოლიციამ ქლოეს ჰკითხა თუ ვინ სცემა, მან უპასუხა რომ არ იცოდა. ქლოე მრავალი წლის განმავლობაში ბრმა დადიოდა.

საავადმყოფოდან გამოსვლიდან ერთი კვირის თავზე, ქლოე შეპიკაჰაში დაბრუნდა, თავის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა ამ ადამიანებთან მოსვლით, რომელთა დანახვაც არ შეეძლო. თვალებით ვერა, მაგრამ გულით ნათლად ხედავდა. ის ხედავდა პატარა სოფელში ქრისტეს საჭიროებას, ხედავდა ახალგაზრდა ქრისტიანების რწმენაში გაზრდის წყურვილს. ის ყოველ კვირა დადის შეპიკაჰაში. სახეებს, რომელთა დანახვაც ახლა მას არ შეუძლია, მოვა დრო და ზეცაში დაინახავს.

რენტგენი არ სჭირდება სულიერად დაკარგული ადამიანების გულის დანახვას. ხშირად სრულად ვხედავთ მათი ცუდი გადაწყვეტილებების შედეგს-მათ დაღლილ სახეებზე გაკეთებულ ღარებს. სულიერი ხედვა ნიშნავს ჩვენი გულის „თვალების“ გამოყენებას, სხვების საჭიროების დასანახად. სულ ეს არის. დანახვის ძალა არის პირველი ნაბიჯი განსხვავებულობის მისაღწევად. რას ხედავ, როცა შენს გარშემო მყოფი ადამიანების სახეებს უყურებ? ან საერთოდ უყურებ? დღევანდელ კულტურაში, შეიძლება ხალხით იყო გარშემორტყმული ლიფტში, აეროპორტში, ან სავაჭრო ცენტრში, მაგრამ არასოდეს შეხედო ადამიანს თვალებში. ხედავ თუ არა ადამიანებს, რომელთაც ქრისტე სჭირდებათ? არის თუ არა შენი სულიერი თვალი გაწაფული შენს გარშემო მყოფი ადამიანების საჭიროების დანახვაში? სთხოვე ღმერთს რათა განავითარო შენი სულიერი ხედვა და იმოქმედო.

ვლოცულობ, რომ გაანათოს
თქვენი გულის თვალები

ეფესელთა 1:18

52-ე დღე

ექსტრემალური
იგავი

აღმოსავლეთ ევროპა: სამი ახალგაზრდა ხის იგავი

ერთ დღეს, სამი ახალგაზრდა ხე შეთანხმდა ტყეში, ელოცათ ხალხისათვის სასარგებლო მიზნებისათვის გამოეყენებინათ, ვიდრე სიბერეში ლპობა განეცადათ.

პირველ ხეს უნდოდა ყოფილიყო ბაგა, სადაც გრძელი დღის მუშაობის შემდეგ ცხოველებს გამოკვებავდნენ. ის გახდა ძალიან განსაკუთრებული ბაგა-რომელზეც ღვთის ძე იწვა.

მეორე ხე ლოცულობდა, რომ მისგან ნავი გამოსულიყო. ლოცვა შესრულდა და მალე ეს ხე გახდა ძალიან განსაკუთრებული მგზავრის-ღვთის ძის თავშესაფარი. მან გაიგონა, როგორ დააცხრო აღელვებული ზღვა იესომ სიტყვით, „დადუმდი, ჩადექ." ასეთი სცენის შემსწრე ხემ თავისი სიცოცხლე ფასეულად ჩათვალა.

რატომღაც მესამე ხიდან გამოთალეს დიდი ჯვარი, რათა ტანჯვის ინსტრუმენტად გამოეყენებინათ. ხე იმედგაცრუებული იყო ასეთი ბედი რომ ხვდა წილად. ერთ დღესაც იესო ნაზარეველი მიალურსმეს მასზე. უცნაურია, მაგრამ ხემ ვერ გაიგონა გმინვა და წყევლა როგორც სხვა დანარჩენმა ხეებმა. მის ნაცვლად მან გაიგონა ღვთის ძისაგან გამომავალი სიყვარულისა და ღვთიური მიტევების-სიტყვები, რომლებმაც სამოთხის კარი გაუხსნა მონანიე ავაზაკს.

შემდეგ ხე მიხვდა, რომ მისმა ქრისტეს ჯვარცმაში მონაწილეობამ გზა გაუხსნა კაცთა მოდგმას ხსნისაკენ.

აღმოსავლეთ ევროპის არარეგისტრირებულ ეკლესიებში ამ იგავს ხშირად ყვებოდნენ დევნილი ქრისტიანების გამხნევების მიზნით. ამ მორწმუნეებს სჭირდებოდათ იმ მიზნის დანახვა, რის გამოც ისინი იტანჯებოდნენ. მათ მაღალი იმედები და მისწრაფებები უნდა ჰქონოდათ, როცა ამბობდნენ, რომ ღვთის დიდების გამოვლენისათვის სურდათ მსახურების გაწევა. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგეებმა ჩამოაშორეს ისინი ღვთის გეგმებს. როგორ შეიძლება ასეთი უსამართლობა ღვთის გეგმის ნაწილი იყოს? იმ ხის მსგავსად ჯვრად რომ გადააქციეს, მათ გააცნობიერეს, რომ ღვთის საბოლოო მიზნებისათვის გარდაიქმნა მათი სიცოცხლე. საკითხის ამ თვალსაწიერიდან დანახვა, არ ნიშნავს შენს ცხოვრებაში ღვთის გეგმებიდან გადახვევას, არამედ პროცესის მთელ ნაწილს.

და არა მარტო ამით, არამედ
გასაჭირითაც ვიქადით, რადგან
ვიცით, რომ გასაჭირი შეიქმს
მოთმინებას. მოთმინება-
სიმტკიცეს, სიმტკიცე-სასოებას,
ხოლო სასოება არ არის
შემარცხვენელი, ვინაიდან ღვთის
სიყვარული ჩაგვესახა გულებში
სულიწმიდის მეშვეობით,
რომელიც მოგვეცა ჩვენ.

რომაელთა 5:3-5

53-ე დღე

ექსტრემალური
სისუსტე

რუსეთი: ღირსი მიხეილი

„თუ უარყოფ შენს რწმენას და ჯვარს დააბიჯებ, გაგათავისუფლებთ," თქვა ბოლშევიკმა ბანდიტმა. „თუ არა და მოგკლავთ."

წმიდა მიხეილმა კომუნისტების მიერ მოკლული რვა ათასი რუსი მართლმადიდებელი თანამოძმე ნახა. ყოველივე ამ ტანჯვასა და ტკივილში, მან იფიქრა, რომ ღმერთი, თუ იგი არსებობდა, არ დაუშვებდა ასეთ საშინელებას.

„არ მწამს," გაიფიქრა მან ბანდის დანახვისას. „რას ნიშნავს ჩემთვის ჯვარი? მოდი, ჩემს სიცოცხლეს დავიხსნი."

მაგრამ, როგორც კი ბაგე გახსნა ბანდის მორჩილების მიზნით, მისგან გამომავალმა სიტყვებმა თვითონვე მოჰგვარა შოკი. „მე მხოლოდ ერთი ღმერთი მწამს. მე ვერ დავაბიჯებ ჯვარს!"

ბანდიტებმა ტომარა მოახურეს მიხეილს მხრებზე, როგორც სამეფო მოსასხამი. ერთ-ერთმა მათგანმა, მიხეილის ეკლესიის ყოფილმა წევრმა, მის წინ დაიჩოქა და შესძახა, „ოსანა, ებრაელთა მეფევ." ისინი მონაცვლეობით სცემდნენ და დასცინოდნენ მის ღმერთს.

წმინდანმა ხმადაბლა ილოცა. „თუ არსებობ, გთხოვ დაიცვა ჩემი სიცოცხლე." ცემისას კი ყვიროდა, „მე მწამს ერთი ღმერთის."

მისი რწმენის დამოწმებამ ისეთი გავლენა მოახდინა მთვრალ ბრბოზე, რომ გაათავისუფლეს. სახლში დაბრუნებული, იატაკზე სახით დაეცა, ტიროდა და იმეორებდა, „მე მწამს."

ქრისტიანული რწმენა სავსეა პარადოქსებით. სიკვდილ სიცოცხლე. მარცხი და გამარჯვება. იყავი სუსტი იმისათვის, რათა გაძლიერდე. სინამდვილეში, ვიდრე არ გამოვთქვამთ ჩვენი სისუსტეების ატანის სურვილს, ღვთის სიძლიერეს ვერ განვიცდით. როცა სიძნელეებსა და სასამართლოს გავდივართ ან სხვების მიმართ ჩადენილ უსამართლობას ვაწყდებით, შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს ღვთის სიკეთეში. ეს ადამიანური და ბუნებრივი რეაქციაა. თუმცა, ღმერთი არ უარყოფს ჩვენს ადამიანურ სისუსტეს. ჩვენს სისუსტეს ის თავისი სიძლიერით აღადგენს. ამიტომ, ვიხაროთ ჩვენი მარცხით, რადგან ის გვახსენებს, რომ ადამიანური ძალა არ ცვლის ღვთის ძალას. ჩვენ შეიძლება დავმარცხდეთ, მაგრამ ჩვენი ღმერთი ძლიერია. რას სწავლობ შენი საკუთარი სისუსტეების შესახებ? რას გასწავლის ეს ღვთის ძლიერების შესახებ?



54-ე დღე

ექსტრემალური
სიბრძნე

ისრაელი: სტეფანე

მოწმემ მცდარი ჩვენება მისცა მის წინააღმდეგ. „ჩვენ გავიგონეთ როგორ წყევლიდა იგი მოსეს და ღმერთს. ეს კაცი გამუდმებით ლაპარაკობს ღვთის კანონის წინააღმდეგ. ჩვენ გავიგონეთ როგორ ამბობდა, რომ იესო ნაზარეველი ამ ადგილს დაანგრევს და მოსეს მიერ მოცემულ კანონებს გააუქმებს.“

მღვდელმთავარი მიუბრუნდა მოპასუხეს. „რას იტყვი შენს შესახებ?“

წყნარად ადგა და მისი თავმდაბლური ტონი შეიცვალა. „თქვენმა წინაპრებმა მოკლეს ყველა, ვინც ბედავდა მომავალ იესოზე საუბარს. და რელიგიურ გადმოცემებს კი იცავთ-თქვე მკვლელებო და მოღალატეებო. ღვთის მცნება ანგელოზის ხელით გადმოგეცათ-შეხვეული საჩუქარი!-თქვენ კი გათელეთ!“

ყვირილი და წყევლა მოისმა საპასუხოდ, მაგრამ სტეფანეს ვეღარ აკავებდნენ. ცაში აიხედა და შეჰყვირა, „ო! გახსნილ ცასა და ღვთის ძეს ვხედავ ღვთის მარჯვნივ მდგომარეს!“ მათ ყურები ხელებით დაიცვეს, ხელი სტაცეს და ქალაქგარეთ გაათრიეს. ერთ-ერთი ფარისეველი, სახელად სავლე, ფრთხილობდა, რომ სხვების მანტიები არ დაესვარა სტეფანეს სისხლს.

როგორც კი ხალხმა ქვები დაუშინა, სტეფანემ შეღაღადა, „უფალო იესო, მიიბარე ჩემი სული.“ შემდეგ მუხლი მოიყარა, ყველას გასაგონად ხმამაღლა ილოცა, „უფალო, ნუ ჩაუთვლი მათ ამ ცოდვას“-მისი უკანასკნელი სიტყვები. შემდეგ კი მოკვდა.

გამოყენებულია საქმეების 6:11-7:60

ყველაზე ბრძნული მოქმედება სირთულის ჟამს სიმშვიდის შენარჩუნებაა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით სირთულეებს, მგზავრობისას შეფერხებას, სკოლაში დაბალი ნიშნის მიღებას, სამსახურში საყვედურის გამოცხადებას და ასე შემდეგ. რატომღაც, ამ დაძაბული სიტუაციებიდან გამოსვლა მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას. მას სჭირდება ღვთიური სიბრძნე. სტეფანემ ბრალდებისა და სიკვდილის შიშის ქვეშაც კი ჭეშმარიტი სიბრძნე გამოავლინა. ბრალმდებელში არ დაუწყევლია. იგი უბრალოდ იმას მიეწება, რაც იცოდა, რომ ჭეშმარიტება იყო და რისი რწმენაც ფარისევლებმა უარყვეს-რომ იესო არის ღვთის ძე. იგივე იესო, რომელმაც სტეფანე ჩაიკრა გულში სიკვდილისას, შენც ასევე მიგიღებს, როცა მხოლოდ ღვთიდან მომავალი სიბრძნე გჭირდება.

თუ რომელიმე თქვენგანს
აკლია სიბრძნე, სთხოვოს
ღმერთს, ყველასათვის უხვად და
დაუყვედრებლად გამცემს,
და მიეცემა.

იაკობი 1:5

მანამდე ვიქადაგებ ვიდრე მოვკვდები.

ხუცესი ლი დექსიანი-ჩინეთის საშინაო ეკლესიის ხუცესი, რომელიც ოცჯერ დააპატიმრეს ნებართვის გარეშე ქადაგების გამო

56-ე დღე

ექსტრემალური
წერილები-ნაწილი პირველი

რუსეთი: მარია

ძვირფასო დედა და მამა,

მოგესალმებით ქრისტეს სიყვარულით. მე კარგად ვარ და ძალიან კურთხეულად ვგრძნობ თავს. ჩემი სკოლის ერთ-ერთი მეგობარი, ვარია, ახალგაზრდა კომუნისტური ორგანიზაციის წევრია. მას ღვთის შესახებ ვუზიარებდი და როგორც იქნა სიტყვა მივიტანე მასთანაც. ახლახანს მითხრა, „საერთოდ არ მესმის შენი. იმდენი სტუდენტი გამცირებს და გულს გტკენს და მაინც გიყვარს ისინი."

მას ვუთხარი, რომ ღმერთმა ყველას სიყვარული გვასწავლა, არა მარტო მათი ვინც კარგად გვექცევა, არამედ უფრო მოწინააღმდეგეების-რათა მათ ამით ღმერთი დაინახონ ჩვენში. ვარია ერთ-ერთი იმათგანი იყო ვინც დამცინოდა, მაგრამ მასზე უფრო მეტად ვლოცულობდი.

დღეს მან მკითხა, მართლა მიყვარს ის თუ არა! ერთმანეთს გადავეხვიეთ და ორივემ ტირილი დავიწყეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ის ახლოსაა ქრისტეს მიღებასთან. გთხოვთ ილოცოთ მისთვის.

როცა ხმამაღლა ღვთის უარმყოფელებს უსმენ, გგონია რომ მართლა გულისხმობენ ამას. თუმცა ცხოვრება გვიჩვენებს, რომ მრავალ მათგანს აქვს გულში წყურვილი. შეიძლება გაიგონო კიდეც მათი გულის კვნესა; ისინი რაღაცას ეძებენ და ცდილობენ სიცარიელე უღმერთოებით ამოავსონ.

მალე მოგწერთ. გთხოვთ სახლში ყველას გადასცეთ ჩემი სიყვარული.

მარია

ღმერთმა ადამიანის მოდგმაში შექმნა სულიერი სივრცე, რომელიც მხოლოდ მისით შეიძლება აღივსოს. როცა ქრისტესადმი არაკეთილგანწყობილ ადამიანს შევხვდებით, შეგვიძლია შევახსენოთ საკუთარ თავს ამ პიროვნების ცხოვრებაში მისი უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. წარმოიდგინე შენი მტრის მკერდზე არსებული ღრმულისხეული გულის გარეშე. ეს შინაგანი სიცარიელეა, რასაც მიჰყავს ადამიანი სულიერ ძიებამდე. ისინი ან რწმენით პასუხობენ, სურთ რა ქრისტეს მიღება სიცარიელის შესავსებად, ან სიმწრით და ქრისტეს საერთოდ უარყოფენ. ხშირად, ქრისტიანის არსებობა ახსენებთ მათ იმის შესახებ, თუ რის ნაკლებობას განიცდიან ცხოვრებაში. ისინი პიროვნულად კი არ უარგყოფენ. ისინი უარყოფენ იმას, რასაც შენ წარადგენ.

ვინაიდან ბევრნი, რომელთა
შესახებ ხშირად მითქვამს
თქვენთვის და ახლა
ცრემლებითაც გეუბნებით, ისე
იქცევიან, როგორც ქრისტეს
ჯვრის მტრები.

ფილიპელთა 3:18

57-ე დღე

ექსტრემალური
წერილები-ნაწილი მეორე

რუსეთი: მარია

ძვირფასო დედა და მამა

ჩემს ბოლო წერილში გიამბობდით ათეისტ გოგონა, ვარიაზე. ახლა კი ბედნიერი ვარ გიამბოთ სასიხარულო ამბავი: ვარიამ ქრისტე მიიღო! ახლა ის სულ სხვაა და ღიად უმოწმებს ყველას ქრისტეს შესახებ.

რწმენის პირველი დღეებიდან ვარია შინაგანად დამნაშავედ გრძნობდა თავს. ვფიქრობ იმიტომ იყო დანაღვლიანებული, რომ თავიდან მან მიიღო გადაწყვეტილება ყველასათვის ეთქვა, რომ ღმერთი არ არსებობდა. ის გრძნობდა, რომ ამისათვის უნდა ეტანჯა და გადაეხადა.

ჩვენ ერთდ წავედით უღმერთოების ასამბლეაში (ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის შეხვედრაზე). თუმცა გავაფრთხილე, რომ თავი შეეკავებინა, მაგრამ უშედეგოდ. ვარიამ უარი განაცხადა კომუნისტური ჰიმნის სიმღერაზე, სცენაზე გავიდა და შეკრებას მიმართა. მან თამამად უთხრა ყველას, რომ ქრისტე მიიღო საკუთარ მხსნელად!

მან ყველას სთხოვა, რომ ცოდვისათვის თავი დაენებებინათ და ქრისტესთან მოსულიყვნენ, ოთახი სიჩუმემ მოიცვა. როცა ლაპარაკს მორჩა, თავისი ლამაზი ხმით იგალობა ძველი საგალობელი, „არ მცხვენია ქრისტეს გაცხადება, ვინც მოკვდა, მისი მცნებების დაცვისა და ჯვრის ძალის.“ უღონოდ ვუყურებდი როგორ გაიყვანეს იგი. დღეს 9 მაისია და არაფერი გვსმენია მის შესახებ.

გთხოვთ ილოცოთ!

მარია

ქრისტიანობის უდიდესი მტერი ლოცვის ძირითადი სამიზნეა. ტარსუსელი სავლეს მსგავსად, შესაძლოა, რომ ყოფილი მტერი ქრისტეს უდიდესი მქადაგებელი გახდეს. თუმცაღა, ლოცვის გარეშე ეს მხოლოდ შესაძლებლობად დარჩება. მათი კი არ უნდა გვეშინოდეს და უარვყოფდეთ, არამედ უნდა ვლოცულობდეთ ქრისტეს ძლიერი მოწინააღმდეგეებისათვის, ჩვენს საზოგადოებაში და ქვეყანაში. როცა ურწმუნოებისათვის ვლოცულობთ-ათეისტებისათვისაც-შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მოსალოდნელი ცვლილებები, თუ მათი ძალები მიმართული იქნება ქრისტესადმი და არა მის საწინააღმდეგოდ. ისინი შესაძლოა ევანგელისტები გახდნენ და დაამოწმონ ღვთის ძლიერი მადლის შესახებ. არ არსებობს მტერი, რომელსაც ღვთის ხელი ვერ მისწვდება და ლოცვა დატოვებს მათ მის ხელში.

მაშასადამე, ის ვინც
ქრისტეშია, ის ახალი
ქმნილებაა, ძველი გადავიდა და
ახლა ყოველივე ახალია.

2 კორ. 5:17

58-ე დღე

ექსტრემალური
წერილები-ნაწილი მესამე

რუსეთი: მარია

ძვირფასო დედა და მამა,

გუშინ, აგვისტოს ორში, შევძელი, რომ ვარია მენახა ციხეში. ძალიან გამხდარი და უფერული იყო, მაგრამ მისი თვალები ბრწყინავდნენ ღვთის მშვიდობითა და არამიწიური სიხარულით.

გული მეწურება მასზე ფიქრისას. ის მხოლოდ ცხრამეტი წლისაა. როგორც მორწმუნე, ჯერ კიდევ ბავშვია. მაგრამ მთელი გულით უყვარს უფალი და მალე აირჩია რთულ გზას შედგომოდა.

გთხოვთ ილოცოთ მისთვის. ყველაფერი ჩამოართვეს, გარდა იმ ტანსაცმლისა რაც ეცვა. ნივთები შევუგროვეთ და ამანათი გავუგზავნეთ, მაგრამ არა მგონია ყველაფერი მიიღოს.

როცა ვარიას ვკითხე ხომ არ ნანობდა რაც გააკეთა, მითხრა, „არა, და რომც გამათავისუფლონ მაინც იგივეს გავაკეთებ. ნუ ფიქრობ, რომ ვიტანჯები. მიხარია ღმერთს ასე რომ ვუყვარვარ და ყველაფერს სიხარულით ვუძლებ მისი სახელისათვის.“

მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობა გვაქვს ამის გასაგებად. მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი ვილოცებდი, რომ ჩემი რწმენაც მასავით ძლიერი იყოს.

ახლა ვფიქრობთ, რომ ვარიას ციმბირის მუშათა ბანაკში გააგზავნიან. დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი მისცემს ყველაფრის გადატანის ძალას.

თქვენი მარია

ქრისტიანობა.... მიმდინარე მარათონია. წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ხანდახან არის დრო, როცა არწივებივით დავფრინავთ და დაღლას ვერ ვგძნობთ. თუმცა, არის დრო, როცა ცხოვრება გრძელია და მარტოობის ბურუსი წევს ჩვენს წინ. ასეთ დროს, კარგად ვიქცევით თუ მივაბიჯებთ და არ ვჩერდებით, სანამ ახალი ძალით შევიმოსებით. ასეთია დევნის ქვეშ მყოფი ადამიანების სურათი. დევნის დროს ვსწავლობთ, რომ უბრალოდ შემდეგი ნაბიჯი უნდა გადავდგათ და არ დავნებდეთ. უბრალოდ ატანას მოაქვს ღვთის დიდება. თუ ასეთ განსაცდელს გადიხარ, იდექი და არ დაეცე. ყოველ დღე გაძლიერდები-ხანდახან ისე, რომ ვერც გააცნობიერებ. მალე, კვლავ გაინავარდებ.

ხოლო უფლის მოიმედენი ძალას
განიახლებენ: ასწევენ ფრთებს,
როგორც არწივები, გაიქცევიან
და არ დაიქანცებიან, ივლიან და
არ დაიღლებიან.

ესაია 40:31

59-ე დღე

ექსტრემალური
წერილები-ნაწილი მეოთხე

რუსეთი: ვარია

ძვირფასო მარია,

როგორც იქნა შევძელი მომეწერა. მშვიდობით ჩამოვედით ახალ ბანაკში, რომელიც დაახლოებით 10 მილის დაშორებითაა ქალაქიდან. ჩემთვის შეუძლებელია აქაური პირობების აღწერა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ჯანმრთელად ვარ და მუშაობა შემიძლია.

მანქანების მაღაზიაში გამამწესეს ერთ დასთან ერთად. ორივეს მაგივრად უნდა ვიმუშაო, თორემ ორივეს დაგვსჯიან. თორმეტი-ცამეტი საათი ვმუშაობთ ყოველ დღე და საჭმელი არასაკმარისად გვაქვს. მაგრამ წუწუნი არ მინდა.

მინდა გითხრა, რომ მადლობას ვუხდი ღმერთს შენ რომ გამოგიყენა ჩემს ქრისტესთან მისაყვანად. პირველად ვგრძნობ, რომ ჩემს ცხოვრებას აქვს მიზანი და ვიცი ვისთვისაც ვიტანჯები. ერთი სული მაქვს აქ ყველას ვუთხრა ხსნის დიდი სიხარულის შესახებ.

სამუშაოზე მწყევლიან და მსჯიან, რადგან გაჩუმება არ შემიძლია. როგორ შევძლებ ამას? ვიდრე ლაპარაკი შემეძლება, ყველას დავუმოწმებ მისი დიდებული სიყვარულის შესახებ.

აქ ბევრი მორწმუნეა. წინა ღამეს მდინარეზე გაპარვა მოვახერხეთ, სადაც მე და შვიდი ძმა მოვინათლეთ. არასოდეს დამავიწყდება ეს მშვენიერი დღე! გთხოვ, ნუ იტირებ ჩემთვის. ჩემი აქ ყოფნის მიზანი აშკარაა და ჩემი რწმენა მტკიცე.

სიყვარულით,
შენი ვარია

ზოგიერთები ამას უწოდებენ ბედს. ზოგიერთები კი ბედისწერას. ხალხის უმრავლესობას დაუფიქრებლად სურს მიუძღვნას თავი განსაზღვრულ მიზნებს. ქრისტიანები ამას იცნობენ როგორც „მოწოდება“-ღვთის მიზანი მათ ცხოვრებაში. როდესაც ღვთის მიზანს შევასრულებთ პირად ცხოვრებაში, მერე დიდი სურათის ნაწილი ვხდებით. კმაყოფილები ვართ იმით, რასაც ვაკეთებთ და რაც არ უნდა დაგვემართოს მშვიდად ვართ, რადგან ეს ყველაფერი იესო ქრისტეს სახარების სასარგებლოდ ხდება. ჩვენ კავშირში ვართ. სასარგებლონი. პირველად ჩვენს ცხოვრებაში, მნიშვნელობა არა აქვს რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ვგრძნობთ, რომ რაღაცაში ვიღებთ მონაწილეობას ჩვენგან დამოუკიდებლად. არავის შეუძლია ამ მიზანს ჩაჭიდებული ადამიანის დამარცხება. რას გრძნობ, რა არის შენი ცხოვრების უდიდესი მიზანი?

ძმებო, მინდა იცოდეთ, რომ
რაც თავს გადამხდა სახარების
წარმატებას უფრო ემსახურნენ.

ფილიპელთა 1:12

60-ე დღე

ექსტრემალური
წერილები-ნაწილი მეხუთე

რუსეთი: ვარია

ჩემო უძვირფასესო მარია,

როგორც იქნა კიდევ გამომიჩნდა შენთან მოწერის შესაძლებლობა. მიხარია გაცნობო, რომ და, რომელიც ცუდად იყო კარგად არის. ახლა სხვა ბანაკში გადაგვიყვანეს.

ბოლო წერილში ჩემი ნათლობის შესახებ გითხარი. მაგრამ აქამდე არასოდეს მომეცა შესაძლებლობა ბოდიში მომეხადა შენთვის იმაზე, როგორ გექცეოდი ქრისტეს მიღებამდე. დღეს, რომ მე მორწმუნე ვარ, შენი დამოკიდებულების შედეგია. გთხოვ მიიღო ჩემი ბოდიში.

აგრეთვე, მინდა მადლობა გადაგიხადო ამანათებისათვის. ყველაზე მეტად კი ბიბლიისათვის. მას შემდეგ, რაც ღმერთმა თავისი ღრმა სიყვარულის საიდუმლო გამომიცხადა, ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ მთელს მსოფლიოში. მე ვთვლი, რომ ამ ტანჯვას განსაკუთრებული მადლის გამო გავდივარ. მოხარული ვარ, რომ ღმერთმა მისთვის ტანჯვის შესაძლებლობა მომცა.

გთხოვთ ილოცოთ, რომ ბოლომდე ერთგული დავრჩე. დაე, ყველა დაგიცვათ ღმერთმა და გაგაძლიეროთ ბრძოლისათვის. ნუ იდარდებთ ჩემზე. ვხარობთ რადგან დიდია ჩვენი საზღაური ზეცაში!

შენი ვარია

ამის შემდეგ ვარიასგან არავის არაფერი სმენია, მაგრამ ქრისტესადმი მისი სიყვარული და დამოწმება არასოდეს მიცემია დავიწყებას. სავარაუდოდ ამ ახალგაზრდის ცხოვრება იმ სასტიკი მოხელეების მიერ გაქრა, რომლებმაც იგი რწმენის გამო დააპატიმრეს. თუმცა, მისი მემკვიდრეობა იმათ გულებში კაშკაშებს, ვინც მისი ისტორია იცის. მისი ცხოვრება ლაპარაკობს ტანჯვაში მეგობრის აუცილებლობაზე. სინამდვილეში, ტანჯვა ისეთი გზებით გვაახლოვებს ქრისტესთან, რომლის გავლაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა. ბიბლია მას უწოდებს ქრისტეს ტანჯვასთან თანამოზიარეობას-ადამიანური გამოცდილების განსაკუთრებულ დონეს. ქრისტესთან ტანჯვის შედეგად დაახლოებისას პიროვნულად გეუფლება საკითხის საუკეთესო გაგება. როგორ ხედავ შენს პიროვნულ ტანჯვას, მიყავხარ თუ არა მას უფრო ახლოს იესო ქრისტესთან? როგრ ხდება ეს?



61-ე დღე

ექსტრემალური
ნაფეხურები

სუდანი: ჯერემი ლოგარა

ჯერემი ლოგარას არასოდეს ჩვეოდა დანებება, პირიქით შეუპოვრობა ახასიათებდა. მუსულმანმა ჯარისკაცებმა ექვსი ახალგაზრდა ბიჭი დააპატიმრეს მისი ეკლესიიდან და ჯაშუშობა დასწამეს. როდესაც ჯერემი, მათი ხუცესი, ეცადა აეხსნა, რომ ბიჭები ჯაშუშები კი არა ქრისტიანები იყვნენ, ჯარისკაცებმა მისი დაპატიმრებაც გადაწყვიტეს.

მუსულმანმა ჯარისკაცებმა ხუცესს ხელ-ფეხი გაუკრეს და ოთხი ფუტის სიმაღლეზე დაკიდეს თოკით. მათრახით სცემეს და ადუღებული სანთელი დაასხეს მკერდზე. ხუცესს იესოს ბაღში ლოცვა გაახსენდა. ის ლოცულობდა, „ო, ღმერთო, თუ შენი ნებაა, რომ დღეს მოვკვდე, დაე ასე იყოს.“ არ შეეძლო იმაზე ფიქრი, რომ აუტანელი ტანჯვის გამო ჩრდილო სუდანელ არაბებს გადასცემდა იმ ბიჭებს.

მაგრამ ღვთის ნება იყო, რომ მას ამ ბიჭებისათვის დასამოწმებლად ეცოცხლა. ხუცესი გაათავისუფლეს. მაგრამ ბიჭები დააკავეს. ხუცესი ლოგარა ფიქრობს, რომ შესაძლოა ბიჭები აიძულეს და ჯარისკაცებად გაწვრთნეს.

როცა ხუცესი ამ შემთხვევაზე საუბრობდა, გაიხსენა, „მე ვფიქრობდი იესო ქრისტეს სიკვდილზე, რომ იესო მოკვდა მთელი ქვეყნიერების დასახსნელად. ვფიქრობდი, რომ ჩემი სიკვდილიც იმ ბიჭების გადარჩენაში მიიღებდა მონაწილეობას, ისე როგორც მე მივყვებოდი ჩემი უფლის ნაბიჯებს. ვლოცულობ, რომ ჩემი ტანჯვის მაგალითი მათთვის რწმენაში ერთგულად დარჩენისათვის გამხნევება იყოს.“

ბავშვებს უყვართ მამის ნაფეხურებზე სიარული. ბავშვები ცდილობენ, რომ თავიანთი ფეხი მშობლების ნაფეხურებს მოარგონ ქვიშიან სანაპიროზე. იმ ნაკვალევს ყველგან ნდობით გაყვებიან სადაც არ უნდა წარუძღვეს. ანალოგიურად, იესოს ნაკვალევი შესაძლოა გამოსაცდელ ტერიტორიაზე წაგვიძღვეს. შესაძლოა ისეთ განსაცდელებსა და ტანჯვებში გავყვეთ მას, საერთოდ რომ არ უსურვებდით საკუთარ თავს. თუმცა, თუ უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება გავყვეთ ქრისტეს, მაშინ თავს საკუთარი ბედის არჩევის ნება აღარ უნდა მივცეთ. იესოს გაყოლა ნათელ მაგალითს აძლევს ჩვენს ბავშვებს და მათ ვინც ჩვენს მობაძვას ცდილობს. მნიშვნელობა აქვს როგორ გზას ავირჩევთ. როგორ შთაბეჭდილებას ვახდენთ გარშემო მყოფების გონებაზე?

ვინც ამბობს, რომ მასში რჩება,
ისევე უნდა იქცეოდეს,
როგორც ის იქცეოდა.

1 იოანე 2:6

62-ე დღე

ღმერთო, არ გთხოვ, რომ ჩემი ცხოვრება გაადვილო; არამედ გამაძლიერო.

ებრალი ბავშვისაგან-პოლონეთში, ნაცისტების დაბომბვის შემდეგ ებრაელების გეტოში ქვაზე ნაპოვნი წარწერა.



63-ე დღე

ექსტრემალური
ადგილები

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

რიჩარდ ვურმბრანდი, რუმინელი ხუცესი, ვინც თოთხმეტი წელი იტანჯებოდა ციხეში, თანასაკნელისაგან გაგონილ ამბავს გვიამბობს. რომელიც მას ყველაზე რთული წამების ატანაში დაეხმარა. ძმამ მას უამბო:

ერთხელ ცირკში წავედი და შთამბეჭდავი სცენის მოწმე გავხდი. სნაიპერმა ანთებული სანთელი დაადო თავზე თავის მეუღლეს. შემდეგ სცენის შუაგულში დადგა და საკმაოდ შორი მანძილიდან, სანთელს ესროლა.

„სანახაობის დასრულების შემდეგ, იმ ქალს შევხვდი და ვკითხე, ოდესმე თუ შეშინებია, რომ ისარი მას მოხვდებოდა. მან მიპასუხა, 'რატომ უნდა მეშინოდეს? ის სანთელს უმიზნებდა, მე კი არა.'"

როცა ხუცესმა რიჩარდმა ეს ამბავი მოისმინა, იფიქრა, „რატომ უნდა მეშინოდეს მწამებლების? ისინი მე კი არ მიმიზნებენ. შეიძლება მათ ჩემი სხეული სცემონ მაგრამ ჩემი რეალური არსება ქრისტეშია. მე მასთან ვზივარ ზეცაში და მათ არ შეუძლიათ ჩემს ნამდვილ პიროვებას შეეხონ. ამ არაჩვეულებრივი გადასახედიდან შემიძლია დავინახო ჩემი მწამებლების ამაო მცდელობა."

ხუცესმა ვურმბრანდმა წლები გაატარა ტანჯვაში და ხშირად მისულა სიკვდილის პირას. მაგრამ ეს უბრალო მაგალითი ამხნევებდა და სულიერად აყვავდა კიდეც, რადგან იცოდა, რომ დაცული იყო ქრისტეში და მნიშვნელობა არ ჰქონდა რა მოუვიდოდა მის სხეულს.

გამოუთქმელად მტკივნეულ დევნას აქვს საზღვარი. არც ფიზიკურ ტანჯვას და არც სულიერ ტრამვას არ შეუძლია დაანგრიოს ჩვენი ნამდვილი მე სიღრმისეულად. ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის რასაც შინაგანად ვატარებთ-ჩვენი სული. ქრისტეს სული ცხოვრობს ჩვენში და გვიცავს ფიზიკური და სულიერი ტკივილებისაგან. მართალია, რომ ჩვენმა მტერმა შეიძლება დაგვარტყას და მოგვკლას კიდეც. თუმცა, როცა მტერი ჩვენს აღგვას ცდილობს, ამით ქრისტეს სახელს ცილს სწამებს-მას ვინც ჩვენში ცხოვრობს. ქრისტე ხელახლა ვერ მოკვდება. პირადი და განსაკუთრებული ოპოზიცია, ნამდვილად დიდი სურათის ნაწილია. შეიძლება ბრძოლაში მივიღოთ მონაწილეობა, ეს ეხება თაღით გადაფარულ ბოროტისა და კეთილის ომს.

ნეტარ ხართ თქვენ, როცა
გაგლანძღავენ, გაგდევნიან და
ყოველნაირად ბოროტს იტყვიან
თქვენზე ჩემს გამო.

მათე 5:11

64-ე დღე

ექსტრემალური
ფრთები

რუსეთი: კუზიანი

„მრავალი წელი გავატარე საბჭოთა გულაგებში," ასე იწყებოდა ხელნაწერი წერილი. ტექსტი იყო აკურატული, თუმცა მცირეოდენი ხელის კანკალი მაინც ეტყობოდა-ალბათ მოხუცებულობისა და მრავალწლიანი პატიმრობის კვალი.

„ბანაკში, მაღაროში მუშაობას მაიძულებდნენ. სამუშაო მძიმე იყო, დამცველები გულგრილები. ერთ დღეს, მაღაროში, მოხდა შემთხვევა. ზურგი დავიშავე და იმ დღის შემდეგ კუზიანი დავრჩი.

„ბანაკში," აგრძელებდა წერილი, „იყო ერთი ბიჭი, რომელიც თვალს არ მაშორებდა. 'ბატონო,' მკითხა მან, 'რა გაქვს ზურგში?'

„დარწმუნებული ვიყავი, რომ უხეშ ხუმრობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მაინც ვთქვი, 'კუზი?'

„ბავშვმა თბილად გაიცინა. 'არა,' თქვა მან, 'ღმერთი სიყვარულია. ის არავის აძლევს სიმახინჯეს. ეს კუზი არ არის რაც თქვენ გაქვთ; ეს ყუთია თქვენს მხრებს ქვემოთ. ყუთში კი ანგელოზების ფრთები იმალება. ერთ დღეს, ყუთი გაიხსნება და ანგელოზის ფრთებით ცაში გაფრინდებით.'

„სიხარულით ტირილი დავიწყე. ახლაც კი," აგრძელებდა წერილი, „გწერთ და ვტირი."

მრავალი დევნილი ადამიანი ატარებს საკუთარ სხეულზე დევნის ნიშანს. ხანდახან მათ ღმერთი ახსენებთ, უცოდველი ყმაწვილის ხმითაც კი, ამ იარების ქვეშ დამალული კურთხევების შესახებ.

მხოლოდ ერთი რამ გაგვახსენებს ზეცაში დედამიწას. იესო, მისი დიდებით აღმდგარი სხეული და იარები. აღდგომის შემდეგ მალევე აჩვენა იესომ თავის მოწაფეებს ნაიარევი. თომამ ხელი ჩაყო მის განგმირულ ფერდში და მის ნაიარევ ხელებს შეეხო. ერთ დღეს, მისი დალურსმული ხელები ჩვენც მოგვეხვევა, როცა სამოთხეში მივალთ. ისინი მის სიყვარულსა და მისი ტანჯვით მოტანილ კურთხევებს გაგვახსენებენ. საკუთარი ცხოვრების სირთულეების ნაიარევი წაიშლება ჩვენი სხეულებიდან ახალ ცხოვრებაში. მათ, რომლებმაც გადაიტანეს ტანჯვა, დამცირება და უსამართლობა მისი გულისთვის, ღვთის უდიდესი კურთხევის შედეგად შეიცვლიან იარებს.

ასევე მკვდრეთით აღდგომაც:
ითესება ხრწნილებით და
აღდგება უხრწნელებით.

1 კორინთელთა 15:42

65-ე დღე

ექსტრემალური
დაბრუნება

ჩინეთი: ხუცესი უანგ მინ-ტაო

„ამის ნებას არ დაგრთავთ," უთხრა ჩინელმა ხუცესმა უანგ მინ-ტაომ იაპონელ ჯარისკაცებს. „იმპერატორის სურათს ჩემს ეკლესიაში არ ჩამოვკიდებ."

რამოდენიმე წლის შემდეგ კომუნისტებმა დაჟინებით მოითხოვეს ხუცეს უანგისაგან, რომ მათი ლიდერის, მაოს, სურათი ჩამოეკიდათ ტაძარში.

„ქრისტეს სურათიც კი არა მაქვს ეკლესიაში," თქვა ხუცესმა. „მე უარი ვთქვი იაპონელი იმპერატორის სურათის ეკლესიაში ჩამოკიდებაზე და უარს ვამბობ მაოს სურათზეც."

უანგი 1955 წელს დააპატიმრეს და ორი წლის განმავლობაში აუტანელი წამების ქვეშ იმყოფებოდა. წამებისაგან სიგიჟის ზღვარზე მისულმა, ხელი მოაწერა „აღიარებას," სადაც აღწერილი იყო სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა მისი „დანაშაული". ამ აღსარებით, ხუცესმა ციხიდან გათავისუფლება დაიმსახურა.

მაგრამ ციხის გარეთ მშვიდობა აღარ ჰქონდა. საკუთარ თავს უთხრა, „მე იუდა ვარ. პეტრე, ვარ, როცა ქრისტე გასცა." ბოლოს ჩინეთის პოლიციაში დაბრუნდა.

„მე უარს ვამბობ ჩემს აღსარებაზე," უთხრა მათ. „რაც გინდათ ის მიყავით."

პოლიციას მარტო უანგის დაპატიმრება არ აკმაყოფილებდა. ასე რომ, მისი მეუღლეც დააპატიმრეს. ციხიდან გამოგზავნილ წერილში იწერებოდა, „ნუ იღელვებთ ჩემზე; მე მრავალ ბეღურაზე უკეთესი ვარ."

უანგ მინ-ტაო ციხეში გარდაიცვალა, მხოლოდ მისი მხსნელის სიყვარულში ბრალდებული.

ვის არ ენდომება პეტრესნაირი სიმამაცე, რომელიც ქრისტეს დაპატიმრებას მახვილამოღებული შეხვდა? და, ვინ არ არის პეტრესნაირი სუსტი, ვინც მასავით დაუყოვნებლივ არ უარყოფს ქრისტეს საშიშოებისას? ღმერთი არ გვკიცხავს ჩვენი სისუსტეებისათვის. ის იღებს ჩვენს სისუსტეებს და მანამდე მუშაობს მათზე, ვიდრე არ გაგვაძლიერებს. ისევე როგორც პეტრე და სხვა მორწმუნეები აღადგინა უანგ მინ-ტაოს მსგავსად რწმენაში, ანალოგიურად აღადგენს ჩვენს მხნეობას. იტანჯები თუ არა ქრისტეს დამოწმების შესაძლებლობაზე უარის თქმის გამო? სთხოვე ღმერთს აღგადგინოს დღეს. ის ახლავე დაიწყებს შენს მზადებას რათა მტკიცედ შეხვდე მომდევნო შესაძლებლობის გამოყენებას.



66-ე დღე

ექსტრემალური გამოხედვა

რუმინეთი: ფლორეა

„ჩვენმა ღმერთმა მცნებად დაგვიდო შაბათის გახსენება და წმიდად დაცვა,“ უთხრა ფლორამ მშვიდად ციხის დაცვას. „მე არ ვიმუშავებ ამ დღეს.“

რუმინელ ტყვეებს აიძულებდნენ ყოველდღე ემუშავათ, მაგრამ ფლორეა ყოველ შაბათს უარს ამბობდა მუშაობაზე. ამ უარყოფისათვის, ციხის დაცვა ისე სცემდა, რომ ხელ-ფეხის მოძრაობა აღარ შეეძლო. მხოლოდ თავს ამოძრავებდა.

რადგან უკვე მუშაობა აღარ შეეძლო, აიძულებდნენ მთელი დღე მჯდარიყო საკანში. სხვა პატიმრებს ელოდებოდა როდის აჭმევდნენ. მიუხედავად მისი მდგომარეობისა ფლორეა არ დაცემულა სულიერად.

როცა სხვა პატიმრები თავიანთ მდგომარეობაზე ჩიოდნენ, ფლორეა მათ ანუგეშებდა. „თუ დაბლა ყურება ცუდია,“ იტყოდა ის, „ეცადე ‘მაღლა აიხედო.’ როცა სტეფანეს ქოლავდნენ, მაღლა აიხედა და ღვთის მარჯვნივ მდგომარე იესო დაინახა. ამან სტეფანეს გული დაამშვიდა და შენც დაგამშვიდებს.“ ამხნევებდა ფლორეა თანაპატიმრებს.

ფლორეას თანაპატიმარი იყო რიჩარდ ვურმბრანდი, რომელმაც ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ფლორეას ცხრა წლის ვაჟი მოინახულა. მის შვილს უთხრა, თუ როგორი კურთხევა იყო მამამისი ციხეში.

ბიჭმა გაიღიმა და უპასუხა, „მეც მინდა ისეთი კაცი გავხდე, როგორიც მამაჩემია.“

ქრისტიანი ხშირ შემთხვევაში არ არის პრივილეგირებული. კარგი სახლი. სრულყოფილი ოჯახი. კარგი ჯანმრთელობა. არა, ქრისტიანი განსაკუთრებული დამოკიდებულებების მქონე პიროვნებაა ნებისმიერ სიტუაციაში. პიროვნების დამოკიდებულება წარმოქმნის განსხვავებას, მიუხედავად მდგომარეობისა. ზეციური დამოკიდებულება აიძულებს ღვთის თანდასწრებას განსაცდელის ჟამს. გაჭირვებაზე ყურადღების გამახვილება გვაშორებს ღვთიურ პერსპექტივებს. დამძიმებულად ვგრძნობთ თავს. დეპრესიაში. უიმედოდ. პირიქით, ჩვენი განსაცდელის ღვთის პერსპექტივიდან დანახვა გვარწმუნებს, რომ ღმერთი მოქმედებაშია. მერე ვისვენებთ ღვთის თანდასწრებაში, და ველოდებით თუ როგორ რეაგირებას მოახდენს ღმერთი ჩვენს პრობლემაზე. ახლა განსაცდელს ხომ არ გადიხარ? რაზეა შენი ყურადღება გამახვილებული? სთხოვე ღმერთს გადაიტანოს შენი ენერგია, რათა შეგეძლოს შენი პრობლემების მიღმა ხედვა და იგრძნო მისი შენთან ახლოს ყოფნა.



ექსტრემალური
ბორკილები

კუბა: ქრისტიანი პატიმარი

„ხელი მოაწერე განცხადებას!“ დაიყვირა კუბელმა ოფიცერმა და ქრისტიან პატიმარს ხელში კალამი მიაჩეჩა. „ხელი მოაწერე განცხადებას!“

პატიმრის წინ იდო განცხადება, რომელიც სხვა ქრისტიანებისადმი ბრალდებას შეიცავდა. მთავრობას მხოლოდ მისი ხელმოწერა სჭირდებოდა სხვა ქრისტიანების დასაპატიმრებლად.

„ვერ მოვაწერ ხელს ამ ფურცელს,“ თქვა ქრისტიანმა და წყნარად შეხედა ოფიცერს თვალებში.

„რატომ,“ ჰკითხა კაპიტანმა, გაზვიადებული სიმშვიდით, ვიდრე ლანძღვა-გინებაზე გადავიდოდა.

„საკუთარი სახელის წერა იცი?“

„ეს ხელბორკილის ბრალია ჩემო მეგობარო, ბორკილი მიშლის ხელს.“

ოფიცერმა უხეშად ჩაავლო ხელებში და საკუთარი სახის წინ მიუტანა. „მაგრამ, ბორკილებში არა ხარ, იდიოტო!“ დაიყვირა მან.

„ოჰ, მაგრამ, რომ ვარ,“ თქვა ქრისტიანმა მორწმუნემ.

„მოწმობის ჯაჭვითა ვარ შეკრული მათთან, ვინც საუკუნეების განმავლობაში სიცოცხლე გასწირა ქრისტესათვის. მე იმ ჯაჭვის ერთი რგოლი ვარ და არ დავარღვევ მას.“

მიუხედავად მუქარისა და ცუდად მოპყრობისა, პატიმარმა უარი თქვა ხელმოწერაზე.

ქრისტიანი წამებულები დაუჯერებელი გაწონასწორების დამოწმებებს გვიტოვებენ მაგალითად. ისინი საშინელ მდგომარეობაშიც კი გმირულ ძალას ავლენენ. მათი სიტყვები ბრძნულია. მათი სიმშვიდე შეურყეველი. თომა აქვინელმა თქვა, „წამებულთა მიერ ხელისუფლების წინაშე წარმოთქმული სიტყვები ადამიანური არაა, უბრალო ადამიანური დამაჯერებლური გამოთქმა კი არა, არამედ სულიწმიდის, ქრისტეს მახარებლების მიერ წარმოთქმულია.“ სიცოცხლე სიცოცხლით. რგოლი კავშირით. შევიწროვებისას სულიწმიდის ძალით წარმოთქმული სიტყვები წარმოქმნიან ძლიერ დამოწმებას. შენც გაქვს პოტენციალი ერთი თავი შემატო ამ გვერდს. შენც მორწმუნეების ჯაჭვის რგოლი ხარ. შეინარჩუნებ ჯაჭვის მთლიანობას?

ამიტომ ჩვენც, როცა ირგვლივ
მოწმეთა ღრუბელი გვაქვს,
ჩამოვიცილოთ ყოველგვარი
ტვირთი და დამაბრკოლებელი
ცოდვა და მოთმინებით
გავირბინოთ ჩვენს წინ
მდებარე სარბიელი.

ებრაელთა 12:1

68-ე დღე

ლიტვა: ნიკოლ სადუნაიტე

სასამართლო ადგა, რათა განაჩენი გამოეტანა ნიკოლე სადუნაიტესათვის. მისი „დანაშაული“, სხვა მრავალთა მსგავსად, უბრალოდ კომუნისტურ ქვეყანაში ქრისტიანობა იყო.

მოსამართლემ ბოლო სიტყვის თქმის შესაძლებლობა მისცა ბრალდებულს. მოელოდა, რომ ახალგაზრდა ქალი ცრემლმორეული დაიწყებდა შეწყალების თხოვნას. შესაძლოა კიდეც უარყოს ღვთის სასაცილო რწმენა. თუმცა მოსამართლეს გაკვირვება დაეუფლა.

ნიკოლე არ ატირებულა. სახეზე ნათელი მოჰფენოდა და იღიმებოდა. თვალები სითბოთი ჰქონდა სავსე, ბრალმდებლების მიმართაც კი.

„ეს არის ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე,“ თქვა ბრალდებულმა ქალმა. „სასამართლოში ჭეშმარიტებისა და ადამიანების სიყვარულის გამო ვარ.“

დარბაზში მსხდომებმა მას შეხედეს.

„შესაშური ბედი მაქვს, დიდებული იღბალი. ამ სასამართლო ოთახში მიღებული ბრალდება იქნება ჩემი უპირობო გამარჯვება.“

მტკიცე დარწმუნება ჟღერდა მის ხმაში. „მე მხოლოდ იმას ვნანობ, რომ ძალიან ცოტა გავაკეთე ადამიანთათვის. ერთმანეთი გვიყვარდეს და ყველა ბედნიერი ვიქნებით. ვისაც არ უყვარს მხოლოდ ის იქნება მოწყენილი.“

შემდეგ კი ყურადღება მოსამართლიდან დარბაზში მსხდომებზე გადაიტანა. „ჩვენ ეშმაკი უნდა დავადანაშაულოთ, მაგრამ ადამიანები უნდა გვიყვარდეს, დამნაშავეებიც კი. ამისი სწავლა მხოლოდ იესო ქრისტეს ეკლესიაში შეგვიძლია.“

როცა, ქრისტესათვის წამებულების შესახებ ისმენ, შენიშვნებს იწერ, გაკვეთილი მიმდინარეობს. ჩვენი ოჯახებისა და საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით, შეიძლება ქრისტიანი წამებულების ისტორიები წავიკითხოთ. მომდევნო ფურცლის გადაშლისას შესაძლოა შევცბეთ კიდეც. ვართ თუ არა მზად ქრისტეს სკოლაში მონაწილეობის მისაღებად? ვართ თუ არა მზად, ვისწავლოთ იმ ადამიანებთან ერთად, რომელთაც მარტო გაიარეს ვიწრო გზა. პრაქტიკაში უნდა გავატაროთ მათგან სიყვარულისა და სიწმინდის შესახებ ნასწავლი. როცა საკუთარ თავს გავაიგივებთ ქრისტეს ტანჯვებთან, სხვისი ტანჯვების მიხედვით, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია საკუთარ თავს „ქრისტიანები“ ვუწოდოთ, რაც ნიშნავს „პატარა ქრისტიანებს.“ მხოლოდ ამის შემდეგ ვიქნებით მზად გამოცდის ჩასაბარებლად.

აიღეთ ჩემი ჯვარი და
ისწავლეთ ჩემგან,

მათე 11:29

შეიძლება ტანჯვამ ხელი შეუშალოს ცოდვას, მაგრამ ცოდვა არასოდეს შეაჩერებს ტანჯვას.

1800 წელს გამოცემულ ფოქსის წამებულთა წიგნზე ნაპოვნი ხელნაწერი.

70-ე დღე

ექსტრემალური
განცხადება

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

„იტყუები!“ დაუყვირა ლეიტენატმა გრეგუმ ხუცეს, რიჩარდ ვურმბრანდს. „სიმართლე გვითხარი, შენი ეკლესიის ქრისტიანული საქმიანობის შესახებ! აქ, უნდა დამიწერო ყველა იმ წესის შესახებ რაც ციხეში დაგირღვევია.“

ვურმბრანდი ჩუმად იჯდა და ყველა იმ კანონის შესახებ წერდა, რაც ციხეში დაურღვევია. დასრულების შემდეგ, სხვა შინაარსის ერთი აბზაცი დაამატა: არასოდეს მისაუბრია კომუნისტების წინააღმდეგ. მე ვარ ქრისტეს მოწაფე, რომელმაც მტრების სიყვარული გვასწავლა. მე მესმის მათი და ვლოცულობ მათი მოქცევისათვის, რათა ისინიც ჩემი ძმები გახდნენ რწმენაში.“ და თამამად მოაწერა თავისი სახელი.

გრეგუმ ‘განცხადება’ წაიკითხა და ბოლო აბზაცის წაკითხვისას სახე მოულბა. იმით კმაყოფილს, რომ ვურმბრანდს იმ მთავრობის სიყვარულის შესახებ შეეძლო დაეწერა, რომელმაც იგი ციხეში ჩასვა და აწამებდა. „ეს სიყვარული,“ თქვა მან, „ეს არის თქვენი ქრისტიანული მცნება, რომლის დაცვაც სხვას არავის შეუძლია.“

„ეს მცნების დაცვაზე კი არ არის,“ უპასუხა რიჩარდმა თავაზიანად. „მე როცა ქრისტიანი გავხდი, თითქოს ხელახლა დავიბადე, სიყვარულის თვისებით აღვსილი. როგორც მხოლოდ წყალი შეძლება გადმოვიდეს წყაროდან, ასევე მხოლოდ სიყვარული შეიძლება გადმოვიდეს მოსიყვარულე გულიდან.“

მომდევნო რამოდენიმე თვის განმავლობაში, ვურმბრანდი რამდენჯერმე ესაუბრა ლეიტენატ გრეგუს, რომელმაც საბოლოოდ ქრისტეს მისაღებად ილოცა!

ქრისტეს რწმენის გაცხადება არის უბრალოდ სხვებისათვის გასაგონად, რათა მიიღონ იგი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შენ საზიზღარი ხარ. ეს არ ნიშნავს, რომ შენ არაჩვეულებრივი მოსაუბრე უნდა იყო. ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ შენ სხვებისათვის იესო ქრისტეს წასაკითხად გადაშლილი წიგნი ხარ. და შენ თანახმა ხარ ხმამაღლა წიკითხო ის წიგნი საჭიროების შემთხვევაში. ხშირად ვყოყმანობთ ქრისტეს შესახებ დასამოწმებლად. არ გვინდა, რომ ვაწყენინოთ. არ გვინდა, რომ ცუდად მიგვიღონ. და ჩვენმა მდუმარე დამოწმებამ შესაძლოა წაგვართვას პიროვნების ქრისტესთან მიყვანის შესაძლებლობა. რა მნიშვნელობა ექნება დღეს შენთვის ქრისტეს რწმენის გაცხადებას? ვის შეგიძლია გაუზიარო ღვთის მადლის სიტყვა?

ახლა კი, დაინახე, უფალო, მათი
მუქარა და მიეცი შენს მონებს
ძალა, მთელი გაბედულებით
ილაპარაკონ შენი სიტყვა.

საქმეები 4:29

ექსტრემალური
გაერთიანება

ესპანეთი: ანტონიო ჰერეზუელო

თუმცა კოცონზე იწვებოდა ესპანელი ხელისუფლების ბრძანებით, ანტონიო ჰერეზუელოს სულში უფრო მეტად სტკიოდა. ის მიხვდა, რომ მისმა მეუღლემ, მსგავსი სიკვდილისაგან თავის დაღწევის მიზნით თქვა ქრისტეს რწმენაზე უარი.

ანტონიოსაც შეეძლო მეუღლის მსგავსად დაეხსნა სიცოცხლე და ციხეში გაეგრძელებინა ცხოვრება. მაგრამ, მას არ შეეძლო რწმენაზე უარის თქმა. ვიდრე კარისკაცები პირში ბურთს ჩაჩრიდნენ, ბოლო სიტყვებით მეუღლეს სთხოვა.

„გთხოვ დაბრუნდე ქრისტესთან და მოგეტევება. კვლავ გაერთიანდებით ზეცაში. გთხოვ დაბრუნდი!“ დაუყვირა მან თავის ცოლს. ამ დედამიწაზე გაერთიანების იმედი არ ჰქონდა, მაგრამ უნდოდა, რომ სამუდამოდ მასთან ყოფილიყო.

ქმრის სიკვდილის შემდეგ, ქალბატონი ჰერეზუელო ციხეში დააბრუნეს სასჯელის მოსახდელად. 8 წლის განმავლობაში ებრძოდა იგი ღმერთსა და საკუთარ სულს. მშვიდობას ვერ პოულობდა საბედისწერო გადაწყვეტილებაში.

ბოლოს საჯაროდ დაუბრუნდა ქრისტეს რწმენას და ინანა წარსულში აღიარებული უარყოფა. მიუხედავად იმისა, რომ მეთექვსმეტე საუკუნის ინკვიზიტორები სასტიკად ემუქრებოდნენ. მოსამართლემ მას კოცონზე სიცოცხლის აღსასრული მიუსაჯა-ახლა მეორედ და უკანასკნელად.

ძალიან სურდა მომკვდარიყო და კვლავ შეერთებოდა თავის ქმარს. ქალბატონი ჰერეზუელო, თუმცა კვდებოდა, მაგრამ მშვიდობა ჰქონდა გულში. პირველი სიტყვები, რომელთაც თავის ქმარს ეტყოდა, მისი რწმენაში დაბრუნების შესახებ იქნებოდა.

რა მშვენიერი გაერთიანება იქნება ზეცაში! ყველა, ვინც იტანჯა და მოკვდა ქრისტეს რწმენისათვის, ღვთის წყალობით ისე გაბრწყინდება როგორც შუქურა. ბოროტი რეჟიმების მიერ დანგრეული ოჯახები, კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან ერთად. ცოლ-ქმრები. დედა-შვილები. მეგობრები და მეზობლები. გადასახლებულნი კვლავ ნახავენ თავისი ქვეყნის მოქალაქეებს. იქ იქნებიან იატაკქვეშა ეკლესიის დევნილი წევრები თავისი თავგადასავლებით, ანგელოზების მიერ დახსნილნი და წაყვანილნი. მათი ამბების თხრობას დასჭირდება საუკუნეები-ყოველი თაობის ღვთის ერთგული წამებულების დამოწმებებს. შენ იქნები ზეცაში ამ ამბების მოსასმენად? მეტიც, საკუთარი ამბავი გექნება მოსაყოლად?

ამის შემდეგ ვიხილე: აჰა,
უამრავი ხალხი, რომლის
დათვლა არავის შეეძლო,
ყოველი ერიდან და ტომიდან,
ხალხებიდან და ენებიდან.
იდგნენ ტახტის წინაშე და
კრავის წინაშე.

გამოცხადება 7:9

72-ე დღე

ექსტრემალური
მადლი

კენია: ქვრივი

„ვიდრე დაკრძალვის ცერემონიალი დასრულდება," გაისმა მისი ხმა ათასამდე შეკრებილ ადამიანში. „მინდა გითხრათ ის, რაც ჩემმა ქმარმა სიკვდილამდე თქვა და მთხოვა, ყველა მისი მკვლელისათვის გადამეცა. მან თქვა, რომ ზეცაში ყველასადმი გულწრფელი სიყვარულით მიდის, მისი მკვლელების ჩათვლით. მან ყველას აპატია დანაშაული, რადგან იესოს უყვარს და პატიებს მათ."

ის ქმრის კუბოსთან იდგა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, მაგრამ ძლიერი ხმა და მისი სხეულის დალურჯებული ადგილები მეტყველებდა, რომ ისიც ჰყავდათ ნაცემი.

როგორც ქრისტიანს, მას და მის ქმარს, უარი უთქვამთ კიკუიუს ტომის ფიცზე. რაც მათ ქრისტიანულ რწმენას არ შეეფერებოდა. ამისათვის, მისი ქმარი ცემით მოკლეს, ცოლიც სცემეს, მაგრამ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

შეკრებილნი დუმდნენ, დუმდნენ ქვრივის სიტყვის ძალით. მრავალმა კენიაში მცხოვრებმა განიცადა 1969 წელს შევიწროვება და თავდასხმა, ადგილობრივზე მეტად თავიანთი რწმენის დაფასების გამო.

„როგორც ქვრივი, ჩემი მკვდარი ქმრის თანდასწრებით გეუბნებით ყველას, რომ არც ერთი მისი მკვლელი არ მძულს. არამედ მიყვარს. ვპატიებ მათ, ვიცი რა რომ ქრისტე მათთვისაც მოკვდა." არც ერთ დამსწრეთაგანს არ დაავიწყდება იმ დღეს ქვრივისაგან მოსმენილი სიტყვები, და მისი ექსტრემალური მიტევებისა და მადლის მაგალითი.

მიტევება არის ექსტრემალური მაგალითი იმისა, რასაც ქრისტეს მსგავსება ნიშნავს, მისი მადლის სხვებზე გავრცელება. არავის არ დასჭირვებია ვინმესათვის ისე მიტევება, როგორც ქრისტეს. არაფერი შეედრება. არაფერი შეედრება ქვეყნიერების ცოდვის წონის მხრებით გოლგოთის ჯვარზე ზიდვას. როცა ჩვენს მოძულეებს ვპატიებთ, იმ წუთში ქრისტეზე მეტნი არა ვართ. მიტევება შენს წინაშე ჩადენილ ცოდვას სიკეთედ არ გადააქცევს. მიტევება გაგამართლებს. მიტევება არ გულისხმობს დამნაშავეების გათავისუფლებას. მიტევება გულისხმობს, შენი მხრიდან სასტიკი და შურისმაძიებლური აზრებისაგან გათავისუფლებას. სხვების ცოდვების პატიება შენ გაძლევს შესაძლებლობას გაანათო ქრისტესათვის ისე, როგორც აქამდე არასოდეს. სად გაანათებდი დღეს ღვთის მიტევებით?

შეიწყნარეთ ერთმანეთი და
მიუტევეთ ერთმანეთს, თუ
ვინმესთან რაიმე სადაო აქვს
ვინმეს, როგორც ქრისტემ
მოგიტევათ, ასევე-თქვენც.

კოლოსელთა 3:13

73-ე დღე

ექსტრემალური
სიკეთე

რუმინეთი: ბარტო

ბარტო შიმშილის პირას იყო. კომუნისტური პარტიის ყოფილი ოფიციალური პირი და ადვოკატი, ახლა იგივე პარტიის მიერ უარყოფილი. რუმინეთის ციხის კოლონიაში უკრეს თავი. ერთხელ სავსე მუცელი, ახლა შიმშილით ხმებოდა. ფიქრობდა, ნეტავ კიდევ რამდენხანს გაუძლებდა.

ბარტოს ავადმყოფური სახის შემხედვარე, ერთი თანაპატიმარი მასთან მივიდა და საკუთარი ულუფა შესთავაზა. „გმადლობთ მეგობარო," უთხრა მან პატიმარს. „რამდენ ხანს იქნები აქ?" ჰკითხა საჭმელს მიძალებულმა ბარტომ.

„20 წელი," უპასუხა პატიმარმა. და კითხვის თვალით შეხედა ბარტოს.

„რა დანაშაული ჩაიდინე?"

„პოლიციის მიერ დევნილი ხუცესისათვის საკვების მიცემის გამო გამასამართლეს," განაცხადა კაცმა მშვიდად. ბარტომ შენიშნა, რომ ამ კაცის ხმას თან არ ახლდა სიმწარე, როგორც ბარტოს სხვა უამრავი ადამიანისაგან სმენია.

„ვინ გამოგიტანა ასეთი მძიმე სასჯელი კარგი საქმისათვის?" იკითხა ბარტომ.

პატიმარმა მორიდებით უპასუხა, „ბატონო, თქვენ იყავით პროკურორი ჩემს სასამართლოზე. ახლა თქვენ ვერ მცნობთ, მაგრამ მე მახსოვხართ."

კაცმა გააგრძელა. „მე ქრისტიანი ვარ, ქრისტემ გვასწავლა ბოროტის წილ კეთილის მიგება. მაშინ ვინატრე, როგორმე გაგეგოთ, რომ მშიერისათვის საკვების მიწვდა კარგი საქმეა-შენი მტრისათვისაც კი. ახლა შემიძლია ეს დაგანახოთ." ბარტომ იმ დღიდან დაინახა, რომ მისი სულიერი საჭიროება ფიზიკურს აღემატებოდა.

სიკეთე არის ჩვენი მტრის გულისაკენ მიმავალი გზა. რამაც შესაძლოა სასიკეთო შედეგი მოუტანოს სულს. ღმერთი სიკეთის სტრატეგიას იყენებს ჩვენთან მიმართებაში. იმის ნაცვლად, რასაც მისადმი ჩადენილ შეცოდებებზე ვიმსახურებთ, სიკეთით გვპასუხობს. მისი სიკეთე არის იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა მოვექცეთ მათ, ვინც ჩვენს წინაშე სცოდავს. სიკეთე იპყრობს მათ ყურადღებას, ეს მათთვის ისეთივე მოულოდნელია, როგორც დაუმსახურებელი. მტრის მიმართ გამოვლენილმა სიკეთემ და თანაგრძნობამ შესაძლოა ისე გამოაღვიძოს სულიერი შიმშილი, როგორც ბარტოს შემთხვევაში. მიუხედავად მათი პასუხისა, ჩვენ უნდა მივყვეთ ჩვენი უფლის მაგალითს მტრებთან ურთიერთობაში. ვის სჭირდება დღეს შენი სიკეთე?

თუ უგულებელყოფ მის
სახიერებას, თავშეკავებისა და
სულგრძელების სიმდიდრეს
და ვერ შეგიგნია, რომ ღვთის
სახიერებას მონანიებისაკენ
მიჰყავხარ?

რომაელთა 2:4

74-ე დღე

ექსტრემალური
ბავშვები

რუსეთი: პატიმარი მშობლები

იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანობა აკრძალულია, მშობლებთან ერთად იტანჯებიან ბავშვებიც. როცა დედ-მამას ეკლესიური საქმიანობისათვის აპატიმრებენ, ხშირად ბავშვები ობლებივით რჩებიან. თუ ბავშვებს გაუმართლათ, შეიძლება ოჯახის წევრებმა ან მეგობრებმა აიღონ მათზე პასუხისმგებლობა. უარეს შემთხვევაში, ბავშვებს უპატრონოთა თავშესაფარში ან ინტერნატში აგზავნიან. ამის შემდეგ აღარ იქნება ძილის წინ ბიბლიური მოთხრობები და სადილის წინ ლოცვა.

ბავშვები, მშობლებისადმი მიწერილ წერილებში უდიდეს მხნეობას გამოხატავენ, მიუხედავად განშორებისა. მათი სიტყვები მალე შეხვედრის იმედს ატარებენ.

„ღმერთმა გაკურთხოს ძვირფასო დედა. ნუ ინერვიულებ ჩვენი დროებითი განშორების გამო-ის, სამუდამოდ არ გაგრძელდება. სიხარული მალე დაგვიბრუნდება-დაე, ამ აზრმა გაგამხნევოს. დედა, არ შემიძლია წარმოვიდგინო, რა ლხინი გვექნება შენი დაბრუნებისას. გაკვეთილებს კარგად ვსწავლობ. ახლა ღამეა-ხვალ სხვა დღე იქნება. დღეები ზლაზვნით მიდიან, მაგრამ ვიცი, რომ მალე ერთად ვიქნებით. გეხვევი. შენი საყვარელი გოგონა.“

„ძვირფასო დედა, როცა სახლში დაბრუნდები, მარტოობასა და ტკივილზე აღარ ვიფიქრებ. ძალიან გთხოვ ნუ იტირებ, დედა. მიყვარხარ. ეს პატარა ლექსი შენთვის დავწერე.

შენ ოქროს გული გაქვს,
გულით ახალგაზრდა ხარ და არა მოხუცი,
ღმერთი გვიყურებს ზეციდან, მალე ერთად ვიქნებით.“

ბავშვებს ყველაზე ნაკლებ დაზარალებულად მიიჩნევენ დევნისას. ყოველი პატიმარი მშობელი ტოვებს შვილს სახლში. რამოდენიმე შემთხვევაში ქრისტემ აღნიშნა, რომ ბავშვების რწმენა მნიშვნელოვანია.თუ ბავშვს შეუძლია გამოხატოს უდიდესი მხნეობა რთულ მდგომარეობაში, ჩვენ რაღა გვაქვს მოსაბოდიშებელი? მდგომარეობაზე განაწყენების ნაცვლად, რაც მათ ძალას აღემატება, დევნილი ქრისტიანების შვილები მადლში იზრდებიან. შეიძლება თუ არა ჩვენც იგივე ვთქვათ ჩვენს ცხოვრებაზე? ზრდასრული ადამიანები მეტ ყურადღებას ვუთმობთ ცხოვრების ორომტრიალს. არადა შეგვეძლო ბავშვების ხალისიანი რწმენის მიბაძვით გვესარგებლა. რა კუთხით გვჭირდება ბავშვების მსგავს რწმენაში გაზრდა? დაიწყე დღესვე ბავშვობის გახსენებით.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ:
ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღვთის
სასუფეველს, ვერ შევა შიგ.

მარკოზი 10:15

75-ე დღე

ექსტრემალური
პროტესტი

რუსეთი: ბაპტისტი ქრისტიანები

მსოფლიოს არ უნახავს ასეთი პროტესტი. აჯანყებულთა უმეტესობა თავისი მძვინვარებით გამოირჩევა, შეძახილები გაისმის, ლოზუნგებს აფრიალებენ და ქვებსაც კი ისვრიან. მაგრამ, 1966 წლის 16 მაისს, ხუთასი საბჭოთა ბაპტისტი ცენტრალური კომიტეტის მოედანზე შეიკრიბა. უმეტესი დემონსტრატების მსგავსად, ისინი არ ყვიროდნენ.

ისინი ერთად იდგნენ, ლოცულობდნენ და გალობდნენ. გიორგი ვინსმა და გენადი კუჩკოვმა მათი სახელით მთავრობას თხოვნა წარუდგინეს, მათი ეკლესიის ოფიციალურად აღიარების, სახელმწიფო ზეწოლის შეწყვეტის, პატიმარი მორწმუნეების გათავისუფლებისა და საბჭოთა მოქალაქეებისათვის რელიგიის სწავლის უფლების შესახებ.

ჩვიდმეტში დილით, ჯარისკაცებმა და უშიშროების აგენტებმა ალყა შემოარტყეს მშვიდობიან შეკრებას. შუადღის პირველ საათზე, მოედანზე რამოდენიმე ავტობუსი შემოვიდა და ჯარისკაცებმა თავდასხმა დაიწყეს, მოქალაქეებს სცემდნენ და ავტობუსებში ძალით შეჰყავდათ. არავის გაუწევია საპასუხო წინააღმდეგობა. არამედ, დემონსტრანტებმა ხელი-ხელს ჩაჭიდეს და ჯარისკაცების ყვირილში ხმამაღლა გალობდნენ. ყველაფერი ეს გამვლელების თანდასწრებით ხდებოდა, რომლებიც ინტერესით უყურებდნენ ქრისტიანების შეუპოვარი რწმენის ფაქტს. რა თქმა უნდა დემონსტრანტები ციხეში გადაიყვანეს.

ციხეშიც კი აგრძელებდნენ ლოცვასა და გალობას. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებმა უარი თქვეს გაფიცულთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ქრისტიანები სულიერად არ დაცემულან.

ვინც ქრისტიანობას მიზნისათვის მისაღწევად იყენებს, ერთმანეთში ურევს ძალადობასა და მორჩილებას. რაც ძალიან შორს დგას ჭეშმარიტებისაგან. რადიკალური მორჩილება ნიშნავს ქრისტეს სწავლების საწინააღმდეგო პროტესტს. საბჭოთა ბაპტისტების მსგავსად, მიზნად ვისახავთ მშვიდობას და არა ზიანის გამოწვევას. რწმენისათვის დევნილები გვაძლევენ მშვიდობიანი დემონსტრაციისა და გადაწყვეტილების მაგალითს. ბოროტის წილ ბოროტს არ მიაგებენ, მაგრამ მშვიდობიანად იღებენ ქრისტეს მცნებებისადმი მორჩილების შედეგებს. თუ გსურს რადიკალური ქრისტიანობა, ბოლომდე უნდა დაემორჩილო ქრისტეს მცნებებს. შენი ცხოვრების რომელ სფეროში მოგიწოდებს ღმერთი ქრისტეს მცნებებისადმი მორჩილებას? რას ნიშნავს შენთვის
რადიკალური ქრისტიანობა?

ყველაფერში გამოიჩინე
თავი კეთილ საქმეთა მაგალითად:
მოძღვრებაში-შეურყვნელობა,
სიდინჯე.

ტიტე 2:7-8

76-ე დღე

მიზეზი და არა ტანჯვა
წარმოქმნის ნამდვილ წამებულს.

წმ. ავგუსტინე

77-ე დღე

ექსტრემალური
ინსტრუმენტები

კომუნისტური ციხე: ქრისტიანი ხუცესი

„რატომ არის, რომ ქრისტიანთა უმეტესობა კვირაში ერთხელ გალობს? რატომ მხოლოდ ერთხელ? თუ სწორია გალობა იგალობე ყოველ დღე. თუ შეცდომაა გალობა, კვირასაც ნუ იგალობებ.“

ხუცესს რამოდენიმე საშინელი წელი გაეტარებინა ციხეში კომუნისტური ძალაუფლების ქვეშ. ქრისტეს რწმენის გამო დააპატიმრეს, თუმცა საშინელი წამება გამოატარეს, მაგრამ დიდ ყურადღებას არ უთმობდა ამაზე ფიქრს. ამის ნაცვლად ის ლაპარაკობდა ღვთის თანდასწრებით მინიჭებული სიხარულის მომენტებზე. მისმა თანამოძმე ქრისტიანმა პატიმრებმა ჩამოაყალიბეს განდიდების თემი-ციხის შუაგულში.

„როცა ციხეში ვიყავით, ყოველ დღე ვგალობდით, რადგან ქრისტე ცოცხლობდა ჩვენში. კომუნისტები კარგად გვეპყრობოდნენ. მათ იცოდნენ, რომ მუსიკალურ საკრავზე გალობა გვიყვარდა, მათაც ყველა ქრისტიანს მუსიკალური ინსტრუმენტი მისცეს. რატომღაც ვიოლინო და მანდალინი არ მოგვცეს, სიძვირის გამო. ამის ნაცვლად, ხელ-ფეხზე ბორკილები დაგვადეს. ჩვენი ტანჯვის დასამძიმებლად ჯაჭვი დაგვიმატეს. ჩვენ კი აღმოვაჩინეთ, რომ ჯაჭვი შესანიშნავი მუსიკალური ინსტრუმენტია! როცა ერთად ვაჟღარუნებდით, რიტმში, შეგვეძლო გვეგალობა, ‘ეს არის დღე (ჩხარ_ჩხურ), ეს არის დღე (ჩხარ-ჩხურ), რომელიც ღმერთმა შექმნა (ჩხარ-ჩხურ), ღმერთმა, რომ შექმნა (ჩხარ-ჩხურ).’“ უფლისათვის სასიხარულო მუსიკა!

მათთვის, ვისაც ჯერ ეს არ გამოუცდია, დევნა ჰგავს დანაკარგზე მთავარი ყურადღების გადატანას. თავისუფლების დაკარგვა. იმედის დაკარგვა. სიცოცხლის დაკარგვაც კი. თუმცა, ისინი, ვინც ქრისტეს რწმენის გამო იტანჯებიან დანაკლისზე კი არა, ახალ აღმოჩენებზე ამახვილებენ ყურადღებას. კმაყოფილნი არიან მცირედი თავისუფლებითაც კი, დანაკლისზე მწუხარების ნაცვლად. ამ ამბავში, კომუნისტებმა ქრისტიანებს წაართვეს თავისუფლებაც და ღირსებაც. მიუხედავად ამისა, ამ ძლიერმა ქრისტიანებმა ყურადღება გადაიტანეს არსებულზე-ღვთის სიხარულზე. თუ, როცა ყველაფერი გაქვს მაშინ არის გალობა კარგი-როცა ყველაფერი დაკარგე, მაშინაც კარგი იქნება ღვთისადმი გალობა. რას გააკეთებდი დღეს, იმაში დასარწმუნებლად, რომ არ დაკარგო ქრისტიანული სიხარული?

უგალობეთ უფალს გალობა
ახალი, უგალობეთ უფალს,
მთელო ქვეყნიერებავ!

ფს.95:1

78-ე დღე

ექსტრემალური
მაგალითი

კოლუმბია: ჩეთ ბიტერმენი

კბილებამდე შეიარაღებულმა პარტიზანებმა, მარქსისტული რევოლუციური ჯგუფის მე-19-ის წევრებმა, ვიკლიფის ბიბლიის სკოლის ბოგოტას, კოლუმბიის, ოფისში მყოფი თორმეტი უფროსი და ხუთი ბავშვი დააბეს. „სად არის თქვენი დირექტორი?“ სახეში შეჰყვირა ჯგუფის ლიდერმა ერთ-ერთ თანამშრომელს. „ჩვენ უილერი გვინდა!“

„გოგონას არაფერი დაუშაოთ,“ სწრაფად გაისმა პასუხი. „უილერი აქ არ არის.“

მარქსისტი ისე გაბრაზდა, გეგონება რამე დაუშავეს. „კარგი, მაშინ, მის ნაცვლად შენ წაგიყვანთ. წავედით!“

მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ გაისმა მათი მოთხოვნა. „თუ თქვენი ორგანიზაცია 19 თებერვლამდე არ დატოვებს კოლუმბიას, პატიმარს სიკვდილით დავსჯით.“ პარტიზანები პრეზიდენტ რეიგანსაც კი დაუკავშიდნენ და მოსთხოვეს, რომ მათი მანიფესტი *ნიუ იორკ თაიმსში*, *ვაშინგტონ პოსტში* გამოექვეყნებინათ თუ არა და, ბატონი ჩეტ ბითერმანი მოკვდებოდა.

საბოლოო ვადის ამოწურვის მოახლოებისას, ლოცვითი ჯაჭვი შეიკრა. ადგილობრივ რადიოში ჩანაწერი მოვიდა, რომელიც ჩეთის მიერ პარტიზანებისადმი დამოწმებას ადასტურებდა. მისმა მეუღლემ, ბრენდამ, ესპანური ბიბლიის გაგზავნის თხოვნა მიიღო.

ჩეტმა თავისი ცხოვრების მიზანს მიაღწია-საჭირო ადგილებში სახარების რადიოთი გადაცემის შესახებ. ტერორისტებმა ჩეთის გვამი მიტოვებულ ავტობუსში დააგდეს. კოლუმბიელები, ამერიკის მთელ ქრისტიანებთან ერთად იხსენებენ ჩეტის სიკვდილს. მისი სიკვდილით დატოვებული ნაპრალის ამოსავსებად. მომდევნო წელს, ორჯერ მეტმა ბიბლიის თარგმანში მონაწილეობის მიღების მსურველმა შეავსო განცხადება.

მაგალითს გაყოლა წვრთნისათვის დამახასიათებელი პოპულარული პრინციპია. ორგანიზაციის პრიორიტეტები ხელმძღვანელი მუშაკებიდან უნდა მოდიოდეს. როცა ქრისტიანობასთან გვაქვს საქმე, მაგალითის მიცემა ყველასათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. სინამდვილეში, იესომ გვიბრძანა ასე. მან მოგვცა მაგალითი, თუ როგორი რწმენა უნდა აჩვენოს წინამძღოლმა სხვა მორწმუნეებს, რათა მას მიბაძონ. მან უბრალოდ კი არ მოგვცა ეს სწავლება-არამედ ასე ცხოვრობდა. რამდენ ჩვენთაგანს გვსურს მისადმი რადიკალური მორჩილებით ცხოვრება? თუ გვსურს, მაშინ ჩვენ აღარ განვაგებთ საკუთარ ბედ-იღბალს. ჩვენც ისევე ვიქნებით სხვებისათვის მაგალითი, როგორც ჩვენ ქრისტეს მიმბაძავნი. ვინ უყურებს დღეს შენს ცხოვრებას? რა მაგალითს სწავლობენ ისინი შენგან, როგორ მიყვები ქრისტეს?

მომბაძეთ მე, როგორც
მე ქრისტეს.

1 კორინთელთა 11:1

79-ე დღე

ექსტრემალური
სამზადისი

სუდანი: სუდანელი ბავშვები

სანგარი სკოლაში-ჩვეულებრივი მოვლენაა სამხრეთ სუდანში. სათამაშო მოედნის შუაგულში ბავშვები დარბიან და იცინიან დიდი მეტალის გარშემო, რომლის კუდი თავისი ფარფლებით ნახევრად მიწაშია ჩაფლული. აუფეთქებელ ბომბზე დროშა ფრიალებს, რაც ბავშვებს მისგან თავის შორს დაჭერას ახსენებს.

მისიონერთა ჯგუფმა ახლახანს გაუწია დახმარება დაწყებით სკოლას, იეის რეგიონში. სუდანის სხვა რეგიონების მსგავსად, სკოლა სავალალო მდგომარეობაშია, არასაკმარისი ნივთებისა და არაკვალიფიციური მასწავლებლების გამო. ეს სკოლა განსაკუთრებულად ხშირად იბომბება იმ რეგიონში, სუდანის ისლამური მთავრობის მიერ.

ამ ბავშვებმა ოცზე მეტი ინდივიდუალური სანგარი გათხარეს საკუთარი ხელით.

დაბომბვისაგან თავდაცვის მიზნით რამოდენიმე ხერხს მიმართეს. როდესაც ბომბდამშენი თვითმფრინავების ძრავის ხმა შემოესმებათ, სანგრებისაკენ გაიქცევიან და იქედან ადევნებენ თვალს ჰაერიდან მომავალ საფრთხეს.

ზოგიერთებმა უსაფრთხოდ შეაღწიეს სანგარში, ზოგმა კი ვერა. როდესაც მისიონერებმა იკითხეს, რისი გაკეთება შეეძლოთ ბავშვებისათვის, პასუხი მარტივი იყო, „ილოცეთ მათი უსაფრთხოებისათვის.“

ბიბლია გვასწავლის, რომ მრავალი მორწმუნე ცხოვრობდა სარისკო სიტუაციაში, ქრისტეში რწმენის შენარჩუნების მიზნით. ამ ბავშვებისათვის, რწმენისათვის ტანჯვა ან სიკვდილი არის ყოველდღიური რეალობა. ჩვენთვის, ისინი ქრისტეს მამაცი ჯარისკაცები არიან.

სუდანში ბავშვები მზად არიან ამქვეყნიური ბრძოლისათვის. უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რომ ისინი მზად არიან სამოთხის კარებში შესასვლელად. ამ დედამიწაზე მათ მტრისაგან უსაფრთხო თავდაცვა აქვთ სანგრების სახით. თუმცა, ქრისტეში მათი რწმენა სამუდამოდ დაცულია ღვთის ხელში. ალბათ, სუდანელი ბავშვების აუფეთქებელ ბომბთან თამაშის მსგავსად, აქამდე უკვე ისწავლეთ, რომ ხშირად უბედურებასთან ერთი ნაბიჯის დაშორებით გიხდება ცხოვრება. ალბათ უკვე გადადგმული გაქვთ ნაბიჯი, ამ დედამიწაზე თქვენი ცხოვრების უსაფრთხოების მიზნით, საეჭვო მდგომარეობებში საუკეთესოს იმედით. მიყვებით თუ არა მათ მაგალითს მომავალი ცხოვრების საკითხებში მოსამზადებლად? მზად ხარ საუკუნო ცხოვრებისათვის, იესო ქრისტესთან პირადი ურთიერთობის მეშვეობით?

ვისაც ძე ჰყავს სიცოცხლეც
აქვს; ვისაც ძე არ ჰყავს, მას
სიცოცხლეც არ აქვს.

1 იოანე 5:12

80-ე დღე

ექსტრემალური
რევოლუცია-ნაწილი პირველი

რუმინეთი: ტიმისოარას ქრისტიანები

როდესაც რუმინელმა პოეტმა კონსტანტინე ლოანიდმა, დაწერა პოემა, „ღმერთი არსებობს," არ შეეძლო ეფიქრა რამხელა მნიშვნელობა ექნებოდა მის სიტყვებს რუმინეთის ისტორიაში.

1989 წლის ერთ ღამეს, ტიმისოარას ქალაქში ქრისტიანები იფიცებოდნენ. ეპისკოპოსმა, რომელიც მარიონეტად გადაიქცა კომუნისტების ხელში, ყოფილი ხუცესი ტოკერი დაითხოვა ღვთის სიტყვის ერთგულად ქადაგების გამო.

იმ დღეს, როდესაც ხუცეს ტოკერს სახლი და ეკლესია უნდა დაეტოვებინა, ქრისტიანები მისი სახლის გარშემო შეიკრიბნენ, რათა ხელი შეეშალათ პოლიციისათვის მის გამოსახლებაში.

სწრაფად გაიზარდა შეკრებილთა რაოდენობა და სამხედრო ძალები გამოიძახეს მათ დასაშლელად.

ჯარისკაცებმა სროლა დაიწყეს და მრავალი მოკლეს და დაჭრეს. შემდეგ საოცარი რამ მოხდა. მთელმა ჯგუფმა, ჯარისკაცებთან ბრძოლის ნაცვლად, მუხლი მოიყარა და ილოცა. აღელვებულმა ჯარისკაცებმა უარი თქვეს სროლის გაგრძელებაზე.

ამასობაში, მთელი ქალაქი შეიკრიბა და ადგილობრივმა ხუცესმა ოპერის სახლის აივნიდან მიმართა ხალხს. მან გაიმეორა ძმა ლოანიდის პოემა და შეკრებილებმა ყვირილი დაიწყეს, „ღმერთი არსებობს! ღმერთი არსებობს!" ბროშურა, სადაც პოემის ტექსტი იყო დაბეჭდილი ხელიდან ხელში გადადიოდა და ვინც ამ ტექსტისათვის შექმნილი მუსიკა იცოდა გალობა დაიწყო. მალე ათასობით ადამიანი შეუერთდა მას.

ეს სიმღერა გახდა რუმინეთის რევოლუციის დასაწყისი, რომელმაც ჩამოაგდო კომუნისტი დიქტატორი, ნიკოლაი ჩაუშესკუ.

რევოლუცია არის რწმენის აღორძინების ძველი იდეა-თავისუფლების, პიროვნული ღირსებისა თუ ღვთის არსებობისაც კი. ეს პრინციპები უცვლელი რჩება შევიწროვებებისას. შეიძლება ცოტა ხანს „მიიჩქმალონ", მაგრამ მათი არსებობა უდაოა. სულიერი რევოლუცია აღადგენს ღვთის არსებობის რწმენას-თუმცა ღმერთი არასოდეს მომკვდარა. რევოლუცია იწყება ღვთის ჭეშმარიტების რევოლუციით. ჩვენ ყველას გვჭირდება მხნეობა აღვადგინოთ ჩვენი რწმენა ცვალებადი ცხოვრების მტკიცებულებებში, რომ ღმერთი არსებობს. ჩვენ რევოლუციის მონაწილენი ვართ, როდესაც სხვა ქრისტიანებს ვუერთდებით, რომლებიც რწმენის შესაფერისად ცხოვრობდნენ. რას ჰგავს სულიერი რევოლუცია შენს პირად ცხოვრებაში?

შეიცნობთ ჭეშმარიტებას
და ჭეშმარიტება
გაგათავისუფლებთ თქვენ.

იოანე 8:32

81-ე დღე

ექსტრემალური
რევოლუცია-ნაწილი მეორე

რუმინეთი: ცამეტი ბავშვი

ტიმისოარაში 1989 წელს, ასობით უდანაშაულო ადამიანის დაიღუპვის შემდეგ, სპონტანურად დაიწყო დემონსტრაციები რუმინეთის სხვადასხვა ქალაქებში. ერთ-ერთი პროტესტისას, ცამეტმა ბავშვმა ცოცხალი ბარიკადი აღმართა გაფიცულთა დასარბევად მოსული ჯარისკაცების შეჩერების მიზნით. ჯარისკაცებმა სროლა მაინც არ შეწყვიტეს, ბავშვები მუხლებზე დაეცნენ და ყვიროდნენ, „გთხოვთ, ნუ მოგვკლავთ.“

ჯარისკაცებმა ყურად არ იღეს უდანაშაულო ბავშვების თხოვნა და სროლა განაგრძეს. ბავშვები მაინც არ გაიქცნენ. უბრალოდ თხოვნას აგრძელებდნენ, „გთხოვთ, ნუ მოგვკლავთ.“ ბავშვების მკვლელობის ადგილზე მემორიალი აღიმართა.

რუმინეთში ლეგენდა დადიოდა, რომ ანგელოზებმა დაიწყეს რევოლუცია ბავშვების გარემოცვით და მათ საჭირო სულიერი მხნეობა მისცეს სატანის პირისპირ დგომისათვის.

ყველა ქალაქში დადიოდნენ ტანკები და ჯარისკაცები აჯანყებულთა შესაჩერებლად. მაგრამ ბევრგან ოფიცრები და ჯარისკაცები ხალხს შეუერთდნენ. აღმოჩნდა, რომ სამხედრო პირებსაც ისევე მობეზრებოდათ მთავრობა, როგორც უბრალო ხალხს და მალე შეუძლებელი შეიქმნა გაფიცვის შეჩერება.

ქვეყანაში ასე სჯერათ, რომ პატარა ბავშვების მკვლელობამ ქვეყანას კომუნისტ მჩაგვრელებზე გამარჯვების შესაძლებლობა მისცა.

როცა ბავშვებივით გვწამს, ერთი სული გვაქვს როდის აღვასრულებთ ქრისტეს მიერ ჩვენთვის მოცემულ დავალებას. ბავშვების მსგავსად, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სიტუაცია. რუმინელი ბავშვები მართალია წარუმატებლად იხვეწებოდნენ სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ მისიის შესრულებაში ხელი ვერაფერმა შეუშალათ. არის რაიმე საშიშროება ან შედეგი რაც ხელს შეუშლის თქვენი მისიის დასრულებას? რას ისურვებდით შეგეწირათ საკუთარი მედან ქრისტესთვის?



82-ე დღე

ექსტრემალური
ნაბიჯი

„...შვიდი, რვა, ცხრა-შენ! გადმოდგით ნაბიჯი!“ დაუყვირა ნაცისტმა ჯარისკაცმა ქალს. ბრძანება გაიცა, რომ ყოველი მეათე პატიმარი სიკვდილით დაესაჯათ წინა ღამით გაქცეული ორი ქალის გამო.

„გთხოვთ, შემიწყალეთ! ბავშვი მყავს,“ ითხოვდა მეათე ქალი. მერი სკოტსობაუ იდგა რიგში შემდეგი. მერიმ გულში გაიგონა, *„წინ გადი და თქვი, რომ გსურს მის ნაცვლად მოკვდე.“* ქალმა შინაგან ხმას უპასუხა. „რატომ? ის ქრისტიანი არ არის. ის ებრაელი კომუნისტია. როცა ნაცისტებს გაყრიან, კომუნისტები მოვლენ სათავეში და ნაცისტებისნაირი ცუდები იქნებიან.“

შემდეგ მერის გაახსენდა, რომ იმ დღეს დიდი ხუთშაბათი იყო. ხმამ თქვა, *„ამ დღეს, მე კეთილების კი არა უკეთურების, ცოდვილთათვის მოვკვდი.“*

მერიმ ნაბიჯი წინ გადადგა. „მე მინდა მოვკვდე.“

ოფიცერმა გაიცინა. „თუ იმდენად სულელი ხარ, რომ მის ნაცვლად მოკვდე, კეთილი, წინ გამოდი. მისი ჯერიც მალე მოვა.“

სასიკვდილოდ, ღუმელში დასაწვავად მიმავალმა მერიმ, მათ უთხრა, „როცა ღმერთმა ებრაელები გამოიყვანა ეგვიპტის მონობიდან, მათ ცეცხლის სვეტით მიუძღოდათ წინ. ვლოცულობ, რომ როცა ჩემს სხეულს დაწვავენ, დაე იქცეს ის იმ სვეტად, რომელიც ღვთის გზას გიჩვენებთ.“

ჩვენმა წინგადადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება ცვლილება გამოიწვიოს. ხშირად ქრისტიანები უსაფრთხოებასა და გაურკვეველს შორის ზედმეტად გაწონასწორებული ბალანსით ცხოვრობენ. ვისაც ერთი ნაბიჯი მაინც გადაუდგამს გაურკვევლობისაკენ, ყოველთვის ღვთის ერთგულებას აწყდებიან. ნოე. მოსე. აბრაამი. დებორა. რუთი. მერი. პავლე. ბიბლიური ჩამონათვალის სია უსასრულოდ გრძელდება, კაცობრიობის ისტორიისათვის ცნობილი სხვა ადამიანები, რომ აღარ ჩამოვთვალოთ. რწმენით გადადგმულმა ერთმა ნაბიჯმა შეცვალა მათი ცხოვრება ჩვეულებრივიდან არაჩვეულებრივისაკენ. მოგიწოდებს თუ არა ღმერთი დღეს რწმენის ნაბიჯის გადასადგმელად? გესმის თუ არა მისი ხმა გულში? მოუსმინე. მოემზადე სამოქმედოდ. შენი მორჩილების პატარა ნაბიჯმა შესაძლოა სხვებს ღვთის გზა აჩვენოს.

ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი: მარი სკოტსობაუ უფლისაგანაა მამაკაცის ნაბიჯები, ადამიანი კი როგორ გაიგებს თავის გზას?

იგავები 20:24

83-ე დღე

წამებული არის ის, ვინც ღვთის ინსტრუმენტი გამხდარა, ვისაც საკუთარი ნება ღვთის ნებაში დაუკარგავს, არა დაუკარგავს არამედ უპოვია, რადგან მას თავისუფლება უპოვია ღვთის მორჩილებაში. წამებულებს აღარაფერი არ სურთ თავისთვის, თვით წამებულთა დიდებაც კი.

ტ.ს. ელიოტი – მკვლელობა კათედრალში



84-ე დღე

ექსტრემალური
საიდუმლო

რომაული კატაკომბები

ადრეული ქრისტიანები ორი რამით იყვნენ ცნობილნი: ლოცვა მიწის ქვეშ და ტანჯვა მიწის ზემოთ. რომაულ სამეფოში მთელი ქვეყნიერება ქრისტიანების წინააღმდეგ იყო. მარკუს ავრელიუსმა ხელი მოაწერა ბრძანებას ჩვ. წელთ აღრიცხვით 162 წელს, „ვინც აღიარებს ქრისტიანობას ყველაზე საშინელი სიკვდილის ღირსია!“ თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში ექსტრემალური საიდუმლოების ხანა იყო ეკლესიისათვის. ეკლესია მართლა ჩავიდა მიწის ქვეშ და რომაული კატაკომბები შექმნა.

უამრავი ოთახი და კოლიდორი იყო აგებული რომის ქვეშ მკვდრების დასამარხად. სწორედ ეს ადგილები გახდა ადრეული ეკლესიის თავშესაფარი კათედრალები. სადაც მორწმუნეებს უსაფრთხოდ შეეძლოთ ლოცვა და მსახურების წარმართვა.

კატაკომბები მეტყველებს ადრეული მორწმუნეების მოწადინებაზე, ეპოვათ მსახურების ადგილი. კატაკომბებში დამსხვრეული და დამწვარი მათი ძვლები მეტყველებენ გადატანილი ტანჯვის ინტენსივობაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი არის კედელზე ამოკვეთილი გამარჯვებისა და მშვიდობის წარწერები. მიუხედავად მიწის მაღლა მიღებული სისასტიკისა, ქვემოთ კედლებზე ამოტვიფრეს თავიანთი რწმენისა და მშვიდობის სიმბოლოები ჯვარზე.

შემთხვევითი არ არის ასეთი საიდუმლო წარწერების აღმოჩენა კატაკომბებში: „გამარჯვება მშვიდობასა და ქრისტეში“ ან „მათი გამარჯვების გასაღები საიდუმლო არ არის: სრულყოფილი მშვიდობა იესო ქრისტეში.“

მრავალი მორწმუნე საიდუმლოდ ინახავს თავის რწმენას. ისინი აცხადებენ, რომ რელიგია პირადი საკითხია-მხოლოდ ღმერთსა და მათ შორის. რატომღაც ადრეულ ეკლესიაში ეს ასე არ იყო. მორწმუნეები ისე ღიად უზიარებდნენ თავიანთ რწმენას დანარჩენებს, რომ ადვილი იყო მათი გამოცნობა და დევნა. რომის კატაკომბები პირადი მსახურების ადგილად გადაიქცა; თუმცა, ზემოთ მათი ერთგულება არ იყო საიდუმლო. ამიტომაც მრავალი იქნა სიკვდილით დასჯილი, რწმენის გამო. მიწის ქვეშ ლოცვამ მათ მშვიდობა მისცა მიწის ზემოთ დევნისას. ყოფილა თუ არა თქვენი რწმენა „იატაკქვეშ“ გარკვეული პერიოდის განმავლობაში? დროა თქვენი საიდუმლო გამჟღავნდეს. მნიშვნელობა არა აქვს რა შედეგი მოყვება, ნუ დამალავ ქრისტიანობას.



85-ე დღე

ექსტრემალური ნდობა

ქალაქი ნიუ იორკი

„მინდა იცოდეთ, ძვირფასო და-ძმებო, რომ ყველაფერი რაც გადამხდა ხელი შეუწყო სახარების გავრცელებას... და ჩემი დაპატიმრების გამო, მრავალმა ქრისტიანმა შეიძინა დარწმუნება და უფრო მეტად უზიარებენ ქრისტეს შესახებ სხვებს... არა მხოლოდ ქრისტეს ნდობის პრივილეგია მოგეცათ, არამედ მისთვის ტანჯვაც“ (ფილიპელთა 1:12, 14, 29).

ამერიკელი ქრისტიანები, რომ უფრო მეტად აქტიურები ყოფილიყვნენ, ნახავდა თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები დევნას თავის ქვეყანაში? მეტროს მსახურება, საევანგელიზაციო მსახურება, რომელიც ყველაზე მძიმე რეგიონებს მისწვდებოდა ნიუ იორკში, ამ მსახურებებს განუცდიათ დევნა. რაც უფრო ღრმად შედის მსახურება ქალაქში, უფრო მეტ უარყოფას აწყდება. რამდენიმე თანამშრომელი სცემეს, დაჭრეს და გააუპატიურეს, მსახურებისას. ერთი თანამშრომელი მოკლეს კიდეც.

მათი დირექტორი, ხუცესი ბილ ვილსონი, დაჭრეს და რამდენჯერმე სცემეს. თუმცა ეშმაკის მუქარამ ვერ ჩამოაშორა იმ ხალხთან ვინც უყვარს. ტუბერკულიოზიც კი შეხვდა უსახლკარო ხალხთან მუშაობის გამო.

დებიე, თხუთმეტი წლის, ბრუკლინის, ნიუ იორკის, ღარიბი დასახლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, მრავალი ახალგაზრდის სახელით ლაპარაკობს შტატებში დევნის შესახებ. ის ამბობს, „ჩემს სკოლაში რთულია იყო ქრისტიანი. გამუდმებით მაწუხებენ და მაძალებენ შევუერთდე ბანდას.“

მრავალ ქვეყნებში, ქრისტიანები იდევნებიან არა თავიანთი რწმენის გამო, არამედ რწმენის სხვებისათვის გაზიარების გამო. ამ ქვეყნებში, ევანგელიზაცია წარმოშობს დევნას, რაც ხშირად წარმოშობს ქრისტეს ძლიერ მოწმეებს. რითიც მათ დანგრევას ფიქრობდნენ, ის გახდა მათი გამაძლიერებელი. ანალოგიურად, ამერიკასა და მის მსგავს ღია ქვეყნებში ევანგელიზაცია ყოველთვის უსაფრთხო არ არის. ამ რეალობამ არ უნდა ჩამოგვაშოროს ენთუზიაზმისაგან? ამერიკელმა ერმა უზრუნველჰყო რელიგიური თავისუფლება, რომლისთვისაც სავსებით მიუღებელია ტანჯვა და დევნა. ამ კანონების ჩვენი უსაფრთხოების მიზნით გამოყენების ნაცვლად, მასზე უნდა ვიყოთ დამოკიდებული რათა გავთამამდეთ. თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანს უფრო მეტი საბაბი და დაჯერებულობა აქვს რწმენის თამამად გაზიარებისათვის. ილაპარაკებ დღეს?

ასეთი ნდობა გვაქვს ქრისტეს
მიერ ღვთის მიმართ.

2 კორინთელთა 3:4

86-ე დღე

ექსტრემალური
მიძღვნა

ინდოეთი: გლედის სტაინესი

გლედის სტაინესს მიზეზი ჰქონდა გამწარების და გაბრაზების. არავინ დაადანაშაულებდა მას ინდოეთის დატოვებაში. მაგრამ, როცა ფანატიკმა ჰინდუსებმა, ინდოეთის ქალაქ მანოჰარპურში მისი ქმარი და ორი ვაჟი დაწვეს, გლედისმა და მისმა ცამეტი წლის გოგონამ, ესთერმა, დარჩენა გადაწყვიტეს. და კეთროვნებთან მუშაობას აგრძელებენ.

მისი ქმარი, გრაჰამი და ორი პატარა ვაჟი, ფილიპი და ტიმოთე, მოკლეს, როცა ეკლესიის გარეთ ჯიპში ეძინათ. მსახურებისათვის იყვნენ სტუმრად იმ რეგიონში. თუმცა, იმ საშინელ დილას, მზის ამოსვლამდე, დაახლოებით ასამდე ჰინდუმ ბენზინი დაასხა მათ მანქანას და ცეცხლი მოუკიდა. მშვილდ-ისრებით შეიარაღებული ჰინდუსები, მანქანას გარს შემოეხვივნენ, რათა მსხვერპლს გაქცევის საშუალება არ მისცემოდა.

გლედისმა თქვა, რომ გრაჰამს არასოდეს განუზრახავს ჰინდუსებში ევანგელიზაცია. უბრალოდ ქრისტეს სიყვარულის დემონსტრირებას ახდენდა თავისი ცხოვრებით. რის შედეგადაც, ავსტრალიელმა წყვილმა მრავალი ქრისტიანობაზე მოქცეული ნახა, რომელთაც თავისი კერპები დაწვეს. დამოწმების საშიშროებას არასოდეს შეუფერხებია მათი ქრისტეს სიყვარულის გამომჟღავნების მცდელობა.

გრაჰამის, ფილიპისა და ტიმოთეს დაკრძალვაზე, გლედისმა და ესთერმა იგალობეს:
რადგან ის ცოცხლობს, შემიძლია ხვალინდელი დღის გადატანა,
რადგან ის ცოცხლობს, ყველაფრის შიში განქარდა,
რადგან ვიცი, რომ მას უპყრია მომავალი,
და სიცოცხლე ღირს რადგან ის ცოცხლობს.

„რადგან ის ცოცხლობს.“ ტექსტი უილიამ ჯ. და გლორია გაითერებისა. მუსიკა უილიამ ჯ. გაითერისა. საავტორო უფლება 1971 უილიამ ჯ. გაითერი, ყველა უფლება დაცულია გაითერის საავტორო უფლების მენეჯმენტის მიერ. გამოყენებულია ნებართვით.

ექსტრემალური მიძღვნა არ მოიცავს საშიშროების ეჭვს. იგი არ სუსტდება დარდით. არასოდეს წუხს შედეგებზე. მიძღვნამ იცის მხოლოდ ერთი რამ-საქმის კეთება. მრავალთათვის, ოჯახის წევრების უცხოეთში დაკარგვა საკმარისი იქნებოდა მისიის მიტოვებისათვის. მაგრამ არა ექსტრემალურად მიძღვნილთათვის. შესაძლოა განადგურებულებიც არიან განსაცდელისაგან, მაგრამ მათი მიზნისაკენ სწრაფვის გადაწყვეტილება შეუცვლელია. მხოლოდ ღმერთი გვაძლევს მისიის განახლებისათვის საჭირო სულიერ ძალას, მიუხედავად უბედურებისა. ეძებ თუ არა შენში ღვთის საქმის კეთებისაკენ მსვლელობის გადაწყვეტილებას? მოხდა თუ არა რაიმე ისეთი, რაც გზიდან გადაგახვევინებდათ? სთხოვე ღმერთს საქმისათვის ყოველდღიური მიძღვნილებისათვის მზადყოფნის ძალა.

ვინაიდან ისინი, რომლებიც
ხორციელად არიან, ხორციელზე
ფიქრობენ, ხოლო რომლებიც
სულიერად არიან-სულიერზე.

რომაელთა 8:5

87-ე დღე

ექსტრემალური
თინეიჯერი

კუბა: როზა

„კომუნისტურ ოჯახში გავიზარდე, სადაც ვერავინ ახსენებდა სიტყვა ღმერთს. ჩემი მშობლები ათეისტები არიან. მამაჩემი კუბის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. დედაჩემი რევოლუციური საბჭოს დაცვის მდივანია. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ოჯახი კომუნიზმის ბუდეა. თუმცა, ბებიაჩემს ღმერთი უყვარს და მასწავლის კიდეც მის შესახებ. მან ღვთის სიტყვა დათესა ჩემში. რამდენჯერმე ვცადე ბებიასთან ერთად ეკლესიაში წასვლა, მაგრამ მშობლებმა ნება არ დამრთეს.

„ერთ დღეს, უფალი ქრისტე საკუთარ მხსნელად მივიღე. ჩემი ცხოვრება შეიცვალა. ჩაცმის სტილიც კი შევიცვალე. დედაჩემისათვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. აქამდე არასოდეს ვუცემივარ, მაგრამ ახლა ხშირად მცემს. როცა მამაჩემმა ჩემი ქრისტიანობის შესახებ გაიგო, მითხრა, რომ არჩევანი უნდა გამეკეთებინა ის თუ ღმერთი. მე ღმერთი ავირჩიე, რადგან როგორც გავიგე ის არის ერთადერთი, რომლისათვისაც სიცოცხლე ღირს.“

„ახლა, თუმცა მხოლოდ თოთხმეტის ვარ, სახლიდან შორს უნდა ვისწავლო. როცა აქ ჩამოვედი, მარტო მე ვიყავი ქრისტიანი, მაგრამ ღვთის სიტყვა დავთესე და ახლა ოთხი ქრისტიანი ვართ. ხის ქვეშ ვიკრიბებით-დაფარულად-ღვთის სიტყვის გასაზიარებლად. ვთესავთ და ველოდებით, გვწამს, რომ მალე ბევრი გავხდებით.“

როზას კომუნისტური იდეოლოგიისა და ათეიზმის ბედი ეწერა, რომ არა ბებიას გავლენა. ის ექსტრემალური თინეიჯერია, რადგან ბებიის ნაკვალევს მიყვება, რომელმაც დიდი რისკი გასწია მისთვის ქრისტეს გაზიარებით. ახლა როზა იგივე რისკს ეწევა ინტერნატში, ღვთის სიტყვის გაზიარებითა და დათესვით. ინდივიდუალურად მუშაობს მორწმუნეებთან. როზამ იცის, ფიდელ კასტროს რეჟიმის ქვეშ მცხოვრები მრავალი კუბელი თინეიჯერის მსგავსად, რომ რწმენას შედეგი მოყვება. მიუხედავად ყველაფრისა, სჯერა, რომ მისი დათესილიდან ზოგიერთი მარცვალი მაინც მოხვდება ნაყოფიერ ნიადაგში. ვის ცხოვრებაში დათესავ ღვთის სიტყვას და დაელოდები მკას?

ხოლო, კარგ მიწაზე დათესილი ის არის, ვინც მოისმენს სიტყვას და გონებით ჩასწვდება, და სწორედ ის არის ნაყოფიერი. და ზოგი ასს გამოიღებს, ზოგი სამოცს და ზოგიც ოცდაათს.

მათე 13:23

88-ე დღე

ექსტრემალური
დამპყრობლები

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

„ჩემს მეუღლეს მეორე ოთახში ეძინა, რადგან ცუდად იყო," დაიწყო რიჩარდ ვურმბრანდმა. „მე და ის ორივე ებრაელები ვართ. მისი ოჯახი იმავე ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა, სადაც ახლახან სიამაყით აცხადებდი, რომ ებრაელებს ბავშვებით ხელში ხოცავდი. ალბათ, ჩემი მეუღლის ოჯახიც შენ ამოხოცე."

ამის მოსმენის შემდეგ, ხუცესის სტუმარი გაბრაზდა, წამოდგა და წაასვლა დააპირა. მაგრამ რიჩარდმა შეაჩერა. „მოიცადეთ, მინდა ექსპერიმენტი შემოგთავაზოთ. მინდა ჩემს მეუღლეს ვუთხრა ვინ ხარ და რა გააკეთე. მაგრამ ჩემი მეუღლე არც დაგწყევლით და არც სიბრაზით შემოგხედავთ. ის მიგიღებთ."

კაცს პირი ღია დარჩა და უსიტყვოდ დაჯდა.

ხუცესმა გააგრძელა, „თუ ჩემს მეუღლეს, რომელიც მხოლოდ ადამიანია, შეუძლია გაპატიოს-ღმერთს რამდენად მეტად უყვარხარ და გპატიობს?"

კაცმა სახე ხელებში ჩარგა. „ეს რა გავაკეთე? როგორ უნდა ვიცხოვრო როცა ამდენი სისხლი მაწევს კისერზე ცოდვად? იესო, გთხოვ მაპატიო." და ჯარისკაცმა თავისი სიცოცხლე ქრისტეს ჩააბარა.

შემდეგ რიჩარდმა მეუღლე გააღვიძა. „ეს არის შენი დების, ძმების და მშობლების მკვლელი," წარადგინა მან სტუმარი.

„მაგრამ, ახლა მოინანია." ქალი სტუმარს კისერზე შემოეხვია და ლოყაზე აკოცა.

„სიყვარული ყველაფერს ამარცხებს" პოპულარული გამოთქმაა. რატომღაც ქრისტიანებს ესმით ამის ჭეშმარიტება. მაგრამ, როცა ვბრაზდებით, სიძულვილი გვშთანთქავს. მაგრამ, როცა ღმერთს (ვისაც ვუყვარვართ) გადავცემთ ჩვენს ცხოვრებას, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი ბუნებრივი რეაქციები, მათ შორის სიბრაზეც უკვე ღმერთს ემორჩილება. იმაზე აღარ ვბრაზდებით, რაზეც ადრე ვრისხდებოდით. სიყვარულმა ყველა ქრისტეს ხასიათის საწინააღმდეგო თვისება უნდა დაიპყროს ჩვენში. საბოლოო შედეგად ისე ვართ სიყვარულით განწმენდილნი, რომ ჩვენი ყველაზე დიდი მტერიც კი სარგებლობს ჩვენი გარდაქმნით. განიცდი თუ არა გამარჯვებას სიბრაზესა და შურიძიებაზე? სთხოვე ღმერთს, რომ დაამარცხოს შენი სიბრაზე დღეს.

ახლა, ეს სამი რჩება: რწმენა,
იმედი და სიყვარული. მათგან
უდიდესი კი სიყვარულია.

1 კორინთელთა 13:13

89-ე დღე

ექსტრემალური
სინაზე

კამბოჯა: თინეიჯერი გოგონა

ქხმერ როუს ჯარისკაცები ოთახში შეიჭრნენ, იარაღს ათამაშებდნენ და გინებითა და მუქარით ყვიროდნენ. როცა ქხმერ როუმ კამბოჯა დაიკავა 1975 წელს, ათასობით ქრისტიანი მოკლეს. ბავშვებს ნიანგებსაც კი უყრიდნენ „ტყვიების დაზოგვის მიზნით.“

პატარა კრებულის არც ერთი წევრი არ განძრეულა. ოფიცერი ხუცესთან მივიდა, ბიბლია გამოსტაცა, რომელსაც კითხულობდა და იატაკზე მოისროლა. „გაგიშვებთ,“ თქვა მან, „მაგრამ, ჯერ ამ ტყუილების წიგნს უნდა დააფურთხო. ვინც ასე არ მოიქცევა დავხვრეტთ.“

სხვა ჯარისკაცმა ერთ კაცს ხელი ჩაავლო და წინ გამოიყვანა.

„მამაო, მაპატიე,“ დაჩოქილმა ილოცა იმ ადგილზე, სადაც ბიბლია დაეცა და მოკრძალებით დააფურთხა.

„კარგი, შეგიძლია წახვიდე.“ შემდეგ ოფიცერმა ქალისაკენ გაიშვირა ხელი. მანაც დაიჩოქა ბიბლიასთან. და ოფიცრებისათვის კმაყოფილების მოგვრის მიზნით წიგნს დააფურთხა.

მოულოდნელად თინეიჯერი გოგონა ადგა და ბიბლიისაკენ წავიდა.

შეშინებული დაიხარა და ბიბლია აიღო, კაბის კალთა აიწია და წიგნი გაწმინდა. „როგორ მოეპყრნენ შენს სიტყვას?“ თქვა მან.

„გთხოვ აპატიო.“ ჯარისკაცმა გოგონას ზურგში დაუმიზნა რევოლვერი და სასხლეტი შემართა.

ქრისტიანებს, რომელთაც წასვლის ნება დართეს, მათაც ესროლეს. მათმა საქციელმა მაინც ვერ დაიხსნა ისინი.

ერთი სინაზის აქტმა რამოდენიმე გამცემზე მეტად შთააგონა შეკრებილნი. ამ მოთხრობაში ეს გოგონა ახსენებს თემს, თუ რას ნიშნავს ქრისტესთან კავშირი. სუსტი და-ძმების უარყოფის ნაცვლად, მან მაგალითი მისცა დანარჩენებს ბიბლიისადმი ნაზად მოპყრობით. წარმოიდგინეთ, რომ იმ ეკლესიაში ყველა მის მსგავსად მოქცეულიყო. ქრისტეს როგორი მოწმობა იქნებოდა! როცა ერთად ვმოქმედებთ, უფრო ძლიერნი ვართ. სინაზემ და სიბრალულმა, უფრო ძლიერი მაგალითი წარმოქმნა და სუსტებს წარუძღვათ და გააერთიანათ უმაღლესი ვალდებულებისათვის სწრაფვაში. თუ იმედგაცრუებული ხარ სხვების ვალდებულებისადმი სუსტი დამოკიდებულების გამო, გახსოვდეს, რომ ღმერთი მოგიწოდებს სუსტების გაერთიანებისა და დახმარებისათვის.

ამრიგად, თუ არის რაიმე
ნუგეშისცემა ქრისტეში, თუ არის
რაიმე სალბუნი სიყვარულისა...
თუ არის რაიმე თანაგრძნობა
და შეწყალება, შეავსეთ ჩემი
სიხარული, რათა ერთსა და იმავეს
ფიქრობდეთ, გქონდეთ ერთი და იგივე
სიყვარული, იყოთ ერთსულოვანნი
და ერთაზროვანნი.

ფილიპელთა 2:1-2

90-ე დღე

**ქრისტესათვის დევნა ადამიანის
უფლებები კი არა,
სახარების უფლებაა.**

სტივ კლეარი

91-ე დღე

ექსტრემალური
მოთმინება

ჩრდილო კორეა

„ეს საჩუქარი შენთვისაა.“

„რა არის ეს?“ ჰკითხა ჩრდილო კორეაში მიმავალმა მისიონერმა მეგობარს.

„აიღე. და მიხვდები როდის უნდა გახსნა.“

ბიზნესმენის სტატუსით გაემგზავრა მისიონერი ჩრდილო კორეაში. თანმხლებად ძილის მოყვარული გიდი დაუნიშნეს.

მისიონერმა დრო იხელთა და როცა „გიდს“ ეძინა სასტუმროდან ჩუმად გამოიპარა. ახლომდებარე პატარა სოფელში შევიდა და მორწმუნეების ჯგუფს შეხვდა. როგორც კი გაიგეს, რომ მისიონერი ხელდასხმული მსახური იყო, თქვეს, „უნდა მოგვნათლო! ვიღაცას ველოდებოდით ვინც მოგვნათლავდა!“

იმ მიწაზე, სადაც ბიბლიის ქონა თხუთმეტწლიან ციხეს ნიშნავს, ნათლობა შეიძლება გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდეს.

მდინარე ან ტბა არ არსებობდა ახლო-მახლო, რის გამოც მისიონერმა ყველასთვის სათითაოდ ილოცა სიმბოლურად. მაგრამ, მისდა გასაოცრად ისინი კმაყოფილები არ იყვნენ. „ორმოცი წელია რაც ზიარებას ველოდით.“

ერთ-ერთმა მორწმუნემ ბრინჯის ნამცხვარი გამოიტანა. მისიონერმა იფიქრა. „ნათლობა ხომ ჰქონდათ წყლის გარეშე და ახლა სასმელის გარეშე მიიღებენ ზიარებას.“ შემდეგ მას გაახსენდა ჩრდილო კორეაში წასვლამდე მეგობრის მიერ მიცემული „საჩუქარი“. ხელჩანთას დასწვდა და საჩუქარი ამოიღო-ბოთლი ღვინო.

უსიტყოდ, ყველა ხმამაღლა ტიროდა და ადიდებდა ღმერთს დროული საჩუქრისათვის.

როცა, თანამედროვე კულტურაში ხალხის უმრავლესობას კალენდრისა და საათის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, ღმერთს თავისი დრო აქვს. სასწრაფოდ არ მოქმედებს უბედურების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, მოთმინება უნდა ვისწავლოთ, რათა ბედნიერად ვიცხოვროთ მის დროში. მოთმინება ნიშნავს საქმეში ღვთის ნდობას, მაშინაც კი როცა მტკიცებულებას ვერ ვხედავთ. მოთმინება არის შეფერხებულ საქმეში კმაყოფილების პრინციპი. როცა ჩვენს ცხოვრებაში ღვთის კურთხევას ველოდებით, უფრო მეტად ვაფასებთ მას. რასაც ველოდებით, უფრო მეტად ფასეულად მივიჩნევთ. ეს გინდა ბრინჯის ნამცხვარით ზიარება იყოს და გნებავთ ჩვენი ცხოვრებისათვის განსაკუთრებული საჭიროება, ღვთის დრო უდაოა. რა გაწუხებს დღეს შენს ცხოვრებაში ღვთის დროსთან დაკავშირებით? დაგიდგა თუ არა დრო რომ მას მიენდო?



92-ე დღე

ექსტრემალური
ევანგელიზაცია

უგანდა: ეპისკოპოსი ჰანინგტონი

„მწამებელი შეიძლება მხოლოდ ქრისტიანი პატიმრის მეშვეობით გადარჩეს. ისინი არასოდეს მიდიან ეკლესიაში და არც ბიბლიას კითხულობენ. მაგრამ ქრისტიანმა პატიმარმა შესაძლოა მას სიყვარულით ესაუბროს, მაშინაც კი როცა სცემენ.“ ასეთია არარეგისტრირებული ეკლესიის წევრების რწმენა.

ქალბატონმა, რომელსაც წლები გაუტარებია წამებაში ქრისტეს მსახურებისათვის, თქვა, „ეკლესიის ისტორიაში ბევრია შემთხვევაა, როცა პატიმრებს მწამებლები ღმერთთან მიუყვანიათ. შემონახულია რომის პატიმრების სახელები, რომლებიც პავლეს ციხეში ყოფნისას მოექცნენ. ისინი ჯოჯოხეთში იქნებოდნენ, პავლეს რომ მათთვის ცემის საშუალება არ მიეცა.“ ქალი შეჩერდა. „არ ვიდარდებ ტანჯვაზე, თუ მწამებლების ხსნას მოიტანს შედეგად.“

ეპისკოპოსმა ჰანინგტონმა იცოდა, რომ დიდ რისკს ეწეოდა უგანდაში კანიბალებისათვის ქრისტეს სიტყვის მიტანით. ეპისკოპოსის ჩასვლიდან რამდენიმე კვირაში, კანიბალებმა სიტყვა არ მიიღეს და ეპისკოპოსი მოკლეს. ჰანინგტონის სიკვდილამდე, კანიბალებმა ხმამაღალი ნათქვამი მოისმინეს, „შეიყვარეთ თქვენი მტრები... ილოცეთ მათთვის, როცა გაგლანძღავენ და გაგდევნიან.“

ეს ის სიტყვა იყო ეპისკოპოსის ორმა ვაჟმა რომ წაიღო იმავე სოფელში მამის სიკვდილის შემდეგ. მათ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ევანგელიზაცია ჩაეტარებინათ იმ ხალხში, სადაც მათი მამა მოკლეს.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ქრისტეს სიკვდილი და აღდგომა იმათი მოგონილია, რომელთაც სურდათ, რომ მათი საყვარელი მასწავლებელი ხალხის მეხსიერებაში დარჩენილიყო. მაშ, როგორ ახსნით მისი მოწაფეების უმრავლესობისა და მათი შემდგომი თაობების მოწამეობის ფაქტს? სამართლიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ისინი დაპატიმრებისთანავე აღიარებდნენ თავიანთ შეცდომას და მით უმეტეს სიკვდილამდე. ასე შორს რატომ წავიდოდნენ მასხარაობით? ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, რომ ისინი თავიანთი მწამებლების მოქცევაზე ზრუნავდნენ სიცოცხლის უკანასკნელ მომენტშიც კი. მათი ექსტრემალური დამოწმება იყო მათი დარწმუნებულობის მტკიცებულება: ეს იყო ღვთის სახარება. რამდენად დარწმუნებული ხარ ღვთის სახარების უწყებაში? თანახმა ხარ ატარო ეს უწყება ისე როგორც წინამორბედმა ექსტრემალებმა?



93-ე დღე

ექსტრემალური
მისიის რეგიონი

იაპონია: ფრანსის ქსავიერი

იაპონია, ლამაზი მთებით გარშემორტყმული, კურთხეულ იქნა მამაცი ქრისტიანი და-ძმებით, რომელთაც გადაწყვიტეს ყველაფერი გაერისკათ და პირველები ყოფილიყვნენ ქრისტეს სიყვარულისა და მიტევების უწყების იაპონიაში მიტანით.

1549 წელს, ფრანსის ქსავიერი იყო პირველი მისიონერი იაპონიაში. მისი მსახურების განმავლობაში, მრავალი მოექცა ქრისტესაკენ და ეკლესიაც სწრაფად იზრდებოდა. მაგრამ იაპონიის ხელისუფლებამ ქრისტიანობა საფრთხედ მიიღო და საშინელი დევნა დაიწყო. ქრისტიანობისადმი წინააღმდეგობა ისე იზრდებოდა, როგორც იაპონიის გადამწვარი მთები ცაში, და ქვემოთ მყოფ მორწმუნეებს აბნელებდა. უნზენსა და სხვა მრავალ ქალაქში, ქრისტიანებს ვულკანის ლავაში ხარშავდნენ. ქალაქ ნაგასაკში კი მათ ხის ჯვრებზე აკრავდნენ. 1637 წელს იაპონელმა ჯარისკაცებმა ყველა ქრისტიანად ცნობილი ადამიანი შეაგროვეს და დაახლოებით ოცდაათი ათასი კაცი მოკლეს.

ამის გამო, ეკლესია იატაკქვეშა მუშაობაზე გადავიდა, იმედოვნებდა რომ გადარჩენილ ქრისტიანებს დაიცავდა. ეკლესია რამოდენიმე წელი იტანჯებოდა. თუმცა, ღვთის მადლით ეკლესია გადარჩა. ერთგულ მისიონერებს ქვეყანაში შემოსვლა არ შეუწყვეტიათ. მათ გაიგეს არსებული დევნის შესახებ და თანხმობით უპასუხეს მოწოდებას, მომსახურებოდნენ გადარჩენილი მორწმუნეების პატარა ჯგუფებს.

იაპონიას ახლა 1.7 მილიონი მორწმუნე ჰყავს და ეკლესიას ყოველ დღე ემატება მორწმუნეები. ქსავიერი და თანამედროვე მისიონერები მდოგვის მარცვლისოდენა რწმენის მაგალითია, რომელთაც მთა გადაადგილეს ერის გადასარჩენად.

ცხოვრება სავსეა დაბრკოლებებით. მორწმუნეები ხშირად აწყდებიან წინააღმდეგობის მთას, ამქვეყნიური ოჯახის წევრებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მათ რწმენას. მრავალ ქრისტიანს უწევს ურწმუნოების ალპების გადალახვა საქმიანობაში. დევნა პიკს აღწევს ქრისტიანობა აკრძალული ქვეყნების მთავრობის შემოტევისას. თუმცა, შესანიშნავი ხედვა იმალება ყოველი მოწინააღმდეგე მთის ძირში, რომელსაც დღევანდელი ეკლესია აწყდება. რეალობა კი ის არის, რომ დღეს ათასობით კაცს, ქალს და ბავშვს სახარების წყურვილი აქვს. თითოეულს შეუძლია სხვების დასახსნელად გაწმინდოს გზა. შენამდე მრავალ ქრისტიანს გამოუვლია ტანჯვა ჭეშმარიტების დემონსტრირებისათვის. გააგრძელებ თუ არა მათ საქმიანობას მთების გადაადგილების რწმენით? რწმენის დამაბრკოლებელ რომელ მთაზე გაამახვილებდი დღეს ყურადღებას?

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაც რომ გქონდეთ, და უთხრათ ამ მთას: „აქედან იქით გადადიო,“ იგი გადავა.

მათე 17:20

94-ე დღე

ექსტრემალური
ადგილები

რუსეთი: ზოია კრახმალნიკოვი

პატიმარმა მღვდელმა დაასმინა ზოია. რომელმაც მცდარი ინფორმაცია მიაწოდა მის შესახებ, საკუთარი თავის ციხიდან გათავისუფლებისა და ტანჯვისაგან გაქცევის მიზნით. სასამართლოს მსვლელობისას, ზოიას ერთი სიტყვა არ უთქვამს მღვდლის წინააღმდეგ. მან თქვა, „იუდა გამყიდველი გახდა იესოს გაცემით. მაგრამ იესომ მას 'მეგობარი' უწოდა გეთსიმანიაში. განა იესოს მაგალითიდან არ უნდა ვისწავლოთ და მის მსგავსად არ უნდა მოვექცეთ ჩვენს გამყიდველებს?"

ზოია კრახმალნიკოვამ ექვსი წელი გაატარა რუსეთის ციხეში და ქრისტეს შესახებ უამბობდა პატიმრებს. იქ გატარებულმა დრომ როგორც არასოდეს ისე დაანახა ღვთის სიტყვა ზოიას. თუ როგორ შეესაბამება იგი რთულ ცხოვრებას.

„ციხეში ყველა კარს აქვს ხვრელი, რომელსაც იუდას ხვრელს ეძახიან. ისინი გითვალთვალებენ, გამოწმებენ და დირექტივებს გაძლევენ. ეს დამეხმარა გამეგო, თუ კომუნისტები ასე ბეჯითად მადევნებენ თვალს, განა ღმერთი და მისი ანგელოზები იმაზე მეტი სიბეჯითით არ მიცქერენ?"

ზოიას ადვილად შეეძლო სიბრაზისათვის დაეთმო გული. ეს მისთვის რთული მაგალითი იყო. მაგრამ ეს დაეხმარა მას და მის გარშემო მყოფებს ცოტა უფრო ნათელ ფერებში დაენახათ ცხოვრება.

დიდი ხნით სამოგზაუროდ ბარგის გარეშე წასვლა სასაცილოდ ჩანს. ვინ იმოგზაურებს მოუმზადებლად? თუმცა ქრისტიანები სულიერად მოგზაურობენ ყოველდღე, მათ წინაშე არსებული სავალი გზისათვის სულიერად მოუმზადებელნი. ღვთის სიტყვა უნდა გვქონდეს მომზადებული ჩვენს გულებში, საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად. მრავალ ჩვენთაგანს უჭირს სულიერი გამოცდის ჩაბარება, რადგან ღვთის სიტყვის სულიერი პრინციპები არ ვისწავლეთ წინასწარ. რის შედეგადაც თავს დამარცხებულად ვგრძნობთ, მაშინ როცა ზოიას მსგავსად შეგვეძლო გამარჯვების მოპოვება, ღვთის სიტყვის ცხოვრებაში გამოყენების შედეგად. შეიძლება ქრისტეს რწმენა ექსტრემალურ ადგილებში წაგიძღვეს. ხარ თუ არა მზად მგზავრობისათვის? დარწმუნდი, რომ ღვთის სიტყვა ჭარბად გაქვს-აუცილებლად დაგჭირდება იგი.

ეცადე შენი თავი წარუდგინო
ღმერთს ღირსეულად,
შეურცხვენელ მუშაკად,
ჭეშმარიტების სიტყვის
სწორად გადამცემად.

2 ტიმოთე 2:15

95-ე დღე

ექსტრემალური
პარტიზანი

პერუ: ჯუანი

ჯუანს ტერორისტული საქმიანობის გამო თხუთმეტი წელი ჰქონდა მისჯილი მიგელ კასტროს ციხეში. მან გაიგო თუ როგორ აზროვნებენ ტერორისტები. ის კომუნისტური ჯგუფის „ნათელი ბილიკის“ მილიციელი იყო. მისი უმაღლესი დავალება იყო, სხვებისათვის ესწავლებინა მკვლელობა და ნგრევა. იგი მაღალი რანგის ოფიცერი იყო და კარგად იცოდა დინამიტების, იარაღისა და ხალხის განადგურების საქმე. ამ საქმიანობამ მისცა მას შთაგონებისა და ბედისწერის გრძნობა.

ჯუანი ციხეშიც აგრძელებდა თავის საქმიანობას. იგი ცდილობდა, ახალგაზრდა კაცის, ფერნანდოს მილიციაში მიწვევას, მაგრამ აღმოაჩინა, რომ მის მარქსისტურ იდეას არ ეთანხმებოდა კაცი. ფერნანდომ ჯუანს ჰკითხა. „ჩემო მეგობარო, დღეს რომ მოკვდე სად გაატარებდი მარადისობას?“

ჯუანს მრავალი ადამიანის სიკვდილი უნახავს და მოუწყვია, მაგრამ საკუთარ სიკვდილზე არასოდეს უფიქრია. ფერნანდოს შეკითხვა არ ასვენებდა ჯუანს. ფერნანდო ყოველ დღე ელაპარაკებოდა ჯუანს ქრისტეს სიყვარულის შესახებ. ბოლოს, ჯუანი მორწმუნე გახდა.

ფერნანდო ამხნევებდა ახალ მოწაფეს: „როგორც რევოლუციას ისე უნდა მიუძღვნა შენი სიცოცხლე დღეს ქრისტეს, შენს უფალს.“

ბოლოს, ჯუანი ციხის მორწმუნეებს ხუცესობდა. ადრე, ის მილიციის სკოლაში იწვევდა ხალხს; ციხეში კი საკვირაო სკოლა გახსნა. მისმა სიკვდილისადმი დამოკიდებულებამ შეცვალა იგი და ახლა სხვებს უწევს საუკუნო სიცოცხლის მოპოვებისათვის დახმარებას.

ხანდახან თავდადება აძლევს ადამიანს შთაგონებისა და ბედის განცდას. ზოგიერთებს თავიანთი საქმისადმი ვნება ახასიათებთ. ზოგიერთებს ოჯახისადმი თავდადება. ზოგიერთებს კი ქრისტესადმი წინააღმდეგობა. ქრისტიანების მდევნელებს გულგრილობაში ვერ დაადანაშაულებ. მათი შეუბრალებელი გადაწყვეტილება შესაშური იქნებოდა, მცდარი რომ არ ყოფილიყო. მაგრამ ღმერთი მოქმედებს ადამიანების ძველი ცხოვრების გარდაქმნაში. ჯუანი ახლა ისეთი ენთუზიაზმით მოუწოდებს ხალხს ქრისტესაკენ, როგორც ადრე მარქსიზმისაკენ. ღმერთმა გამოიყენა მისი არასწორი მოწოდება და ქრისტესადმი მიმართა. სთხოვე ღმერთს გარდაქმნას შენში ნებისმიერი რამ, რაც შენს სულიერ მოწოდებას ეწინააღმდეგება. სთხოვე მას მოგცეს მისი სამეფოსათვის დაწინაურებაში მონაწილეობის სურვილი.



96-ე დღე

ექსტრემალური
სხვა არჩევანი

ფილიპელები: პეტრე

პეტრემ იგრძნო, რომ რისკის გაწევად ღირდა. ბიძამის მიხეილთან მოგზაურობა უყვარდა, ფილიპინების ევანგელისტთან, სოფლებში, სადაც ხალხს ქრისტეს შესახებ სიტყვის მოსმენა სწყუროდათ.

სოფლებში მოგზაურობა სათავგადასავლო და ხანდახან საშიშიც იყო, ხშირ ტყეში საათობით სიარული. მრავალი წლის განმავლობაში ატერორებდნენ ფილიპინელებს კომუნისტური პარტიის-ახალი ხალხის არმიის წევრები. პეტრეს და ბიძამისს ხშირად უწევდათ დამალვა საშიშროებისაგან თავის დაღწევის მიზნით. პეტრეს უყვარდა ბავშვები და გაუხარდა მათი გაბრწყინებული სახეების დანახვა, როცა საბოლოოდ გაიგეს თუ როგორ უყვარდა ქრისტეს ისინი.

ახალი ხალხის პარტიის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ დიდ ხუთშაბათს ბოლო მოეღოთ ბიძია მიხეილის საქმიანობისათვის. პეტრე დაიჭირეს და სიკვდილით დაემუქრნენ, თუ ბიძამისი ქრისტეზე ლაპარაკს თავს არ დაანებებდა. პეტრეს მშობლებმა უპასუხეს, „ჩვენ არ შეგვიძლია მიხეილს ვუთხრათ, რომ გაჩერდეს. მაგრამ, თქვენ გთხოვთ, რომ ჩვენი შვილი დაგვიბრუნოთ. მას ცუდი არაფერი გაუკეთებია.“

ბოლოს, ზურგს უკან ხელებგაკოჭილმა პეტრემ გაიგონა, როგორ უთხრეს მშობლებმა ჯარისკაცებს, „სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი მოგება.“ ამ სიტყვებით დაბრუნდა პეტრე სახლში მხსნელის შესახვედრად დიდ ხუთშაბათს. ბიძამისი მიხეილი კვლავ უამბობს მთის სოფლის მცხოვრებლებს ქრისტეს სიყვარულის ძალისა და ერთგული, ახალგაზრდა ძმისშვილის, პეტრეს შესახებ.

რისკი არჩევანზეა დამოკიდებული. ზოგიერთები გადაწყვეტილებას იღებენ გარისკონ თავიანთი ქონება, მაღალ საზოგადოებასთან შეჯიბრში. ფეხბურთის შედეგებზე. ჯირითში გამარჯვებულზე. რამდენ ბურთს ჩააგდებს ესა თუ ის პიროვნება კალათში. დანარჩენები საკუთარ სიცოცხლეს სწირავენ ნარკოტიკებისა და სასმელის არჩევანით. იესო სხვა არჩევანისაკენ მოუწოდებს ხალხს. ის ამბობს, რომ უნდა გავრისკოთ ამქვეყნიური უსაფრთხოება ზეციური ჯილდოს მისაღებად ღვთის ნების შესრულებაში. მისი ნების შესრულებას მოაქვს დიდებული ჯილდო, ვიდრე ჯირითში მოგებულ ჩეკს ან ნარკოტიკებისაგან მიღებულ სიამოვნებას. მიგიღიათ თუ არა იესოს ჯილდო თქვენი რწმენის რისკის საფასურად? რატომ დიახ ან არა?

ვისაც სურს, რომ აღასრულოს მისი
ნება, იგი გაიგებს ამ მოძღვრების
შესახებ-ღვთისაგანაა თუ
ჩემით ვლაპარაკობ.

იოანე 7:17

97-ე დღე

ჩვენ არ ვლოცულობთ, რომ უკეთესი ქრისტიანები ვიყოთ, არამედ ისეთი ქრისტიანები ვიყოთ როგორიც ქრისტეს სურს, რომ ვიყოთ; ქრისტესმსგავსი ქრისტიანი, ეს არის, ქრისტიანი ვინც ნებით აიღებს ჯვარს ღვთის სადიდებლად.

არარეგისტრირებული ეკლესიის გარეთ
დამალული წერილიდან.

98-ე დღე

ექსტრემალური
ჰიმნი

ჩრდილო კორეა: გოკსანის თანასოფლელები

ახალგაზრდა, ყავისფერთვალება გოგონამ დედას შეხედა. რას გადაწყვეტდა დედამისი?

ახალგაზრდა გოგონას დედა, მათი ხუცესი, და სხვა ოცდაექვსი ჩრდილო კორეის სოფელ გოკსანის მცხოვრებლები, ადრიანად შეკრეს და გააფთრებული კომუნისტური ბრბოს წინ დააყენეს.

ერთ-ერთმა ოფიცერმა ხუცეს კიმსა და დანარჩენ ქრისტიანებს უბრძანა, „უარყავით ქრისტე, ან მოკვდებით.“ სიტყვებმა ცივად დაუარა ტანში. როგორ შეიძლება ქრისტეს უარყოფა სთხოვონ? როცა თავის გულში იცოდა, რომ ქრისტე რეალური იყო. ყველამ ხმადაბლა თქვა უარი.

შემდეგ კომუნისტური დაცვა პირდაპირ უფროსებს მიადგა ყვირილით, „უარყავით ქრისტე, თორემ თქვენს შვილებს ჩამოვკიდებთ.“ ახალგაზრდა გოგონამ დედას შეხედა. იცოდა რა, როგორ უყვარდა დედას, განცდისაგან ხელი მოუჭირა. დედა მისკენ დაიხარა. დარწმუნებითა და სიმშვიდით ჩასჩურჩულა, „ჩემო საყვარელო, დღეს ზეცაში გნახავ.“

ყველა ბავშვი ჩამოკიდეს.

დანარჩენი ქრისტიანები აიძულეს ასფალტზე დაწოლილიყვნენ, ასფალტის საძეკი მანქანის წინ. კომუნისტებმა მათ კიდევ ერთი შანსი მისცეს. „უარყავით ქრისტე თორემ ამ მანქანით გაგსრისავთ.“ ქრისტიანებმა უკვე გასწირეს თავისი შვილები; უკან დასახევი რაღა დარჩენოდათ.

მძღოლმა მძიმე მანქანა დაქოქა და სოფლელებმა წყნარად დაიწყეს გალობა. „მეტი სიყვარული, ქრისტეე, შენ, უფრო მეტი სიყვარული შენ.“

მეტი. აი, რა გაიღო ღმერთმა თავისი ძის გამოგზავნით. მეტი. აი, რა გასცა ქრისტემ ჯვარცმისას. მეტი. ეს არის რასაც მორწმუნეები გასცემენ ქრისტეს სიყვარულისათვის. მათ სურთ უფრო მეტის გაცემა იმისათვის, ვინც უფრო მეტი მისცა მათ. ამქვეყნიური ცხოვრების ფასეულობაა გასცე თუ უკან დაგიბრუნდება, მაგრამ მორწმუნეები სხვა სტანდარტით მოქმედებენ. „მეტი სიყვარული შენ“ უფრო მეტს გულისხმობს ვიდრე სიტყვებს. ეს არის ცხოვრება ლიმიტის გარეშე. ყოველი დღე არის აღმოჩენების ბილიკი, თუ როგორ გავცეთ მეტი სიყვარული იესო ქრისტესათვის. ზოგიერთი მორწმუნე ამ გზამ სიკვდილთან მიიყვანა. ზოგიერთებისათვის კი, „მეტი სიყვარული შენ“ ფინანსურ მიძღვნას გულისხმობს. რას გულისხმობს „მეტი სიყვარული შენ“ შენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

> რამეთუ ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.
>
> *იოანე 3:16*

99-ე დღე

ექსტრემალური
ფილმი

პაკისტანი

ყველას უნდოდა ფილმის ნახვა. ყველგან ჩურჩულებდნენ ამის შესახებ ბაზარშიც და ტაძარშიც. „რის შესახებ არის?“ „მართლა ცუდია, უნდა დაიჭირონ ის ხალხი ამ ფილმის ქონისათვის?“

ეს იყო იესო ქრისტეს ფილმი-არაჩვეულებრივი ფილმი, რომელიც გვიჩვენებს იესო ქრისტეს ცხოვრებას, მსახურებას, სიკვდილს და აღდგომას. დიდ ეკრანზე გვიჩვენებს გადარჩენის გეგმას და იესოს შესახებ ამბავი გაცოცხლებულია. ჯაკობაბადში, პაკისტანში, ორი ადამიანი დააპატიმრეს ამ ფილმის გავრცელებისა და სხვა ქრისტიანული მასალების გამო. ორივე სცემეს და ადგილობრივმა მოლებმა, მუსულმანმა რელიგიურმა ლიდერებმა, მათი და ამ საქმის სხვა თანამონაწილეების კანონიერი დასჯა მოითხოვეს. უფრო შორსაც წავიდნენ, მუსულმანებს ქრისტიანების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. მალე, ადგილობრივი ხუცესი გაქურდეს და ქრისტიანულ სკოლასთან ახლოს იარაღი გაისროლეს. ქალაქი არეულობის ზღვარზე იდგა.

მალე ყველაფერი შეიცვალა. წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად, ყველას სურდა ამ „ცოდვილი“ ფილმის ნახვა. თავისი თვალით უნდოდათ ენახათ შფოთის მიზეზი. შავ ბაზარზე გადაღებული ასლები ფართოდ ვრცელდებოდა და ადგილობრივი ტელევიზიითაც კი აჩვენეს. ქალაქის მოსამართლემაც ნახა ფილმი და თქვა, რომ ანტიისლამური არ იყო.

მოლების ძალისხმევის მიუხედავად, სახარების უწყება მთელს სოფელს მოედო. ისინი იესოს ფილმის ქვეყნიდან განდევნას ცდილობდნენ. თუმცა, მათმა მოქმედებამ ხელი შეუწყო მსახურებას. ღმერთი ცუდს კარგად არ გადააქცევს თავაზიანი მეთოდებით. ის თავისი მსახურების მცდელობას აკურთხებს, მაგრამ შესაძლოა არა იმ გზით ჩვენ რომ მოველით. ქრისტიანები ამას რთული გზით სწავლობენ ქრისტიანობა აკრძალულ ქვეყნებში, მაგრამ ხარობენ თავიანთ ქვეყანაში ღვთის სასწაულების ხილვით. ღმერთი მაშინაც კი გამოაჩენს გზას, როცა არ მოელი. ხშირად გვეჩვენება, რომ ყველაფერი უკულმა მიდის. ენდობი თუ არა ღმერთს ამ დროს ყველაზე მეტად? შენგან განსხვავებით მან იცის რას აკეთებს.

„რადგან ჩემი ზრახვები თქვენი ზრახვები არ არის და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის!“- ამბობს უფალი.

ესაია 55:8

100-ე დღე

ექსტრემალური
პატიება

პერუ: რიჩარდო

ფურცელი ჭუჭყიანი და ნაპირებზე დახეული იყო. შავი მელანი გადასხმოდა ფურცელს სწრაფად წერის ნიშნად. ქვემოთ, წერილს ხელს აწერდა-რიჩარდო.

„ამ წერილს კომუნისტი პარტიზანების ბანაკიდან ვწერ, პერუდან. ახლახანს, რადიო პროგრამებს ვეძებდი გასართობად. ჩემი თანამოძმეების სიძულვილით გაჟღენთილი პროგრამები ცარიელი ჩანდა ჩემთვის. როცა თქვენს პროგრამას წავაწყდი, 'სახარება მარქსისტულ ენაზე.' თქვენ და იესო, დიდი მასწავლებელი, საუბრობდით მტრის მიტევებაზე.

„ეს საკითხი ღრმად შეეხო ჩემს არსებას. უცბად, მშვიდობა დამეუფლა და ბავშვივით დავიწყე ტირილი. ვერ გავიგე რა მოხდა.

„ჩემი მშობლები მიწისმფლობელების მსხვერპლები იყვნენ და მთელი ცხოვრება მძულდა მდიდრები. მაგრამ რატომღაც, ახლა აღარ მძულან ისინი. ამის ახსნა არ შემიძლია. *შესაძლებელია*, რომ არ მძულდნენ?

„მაშინ პირველად მოვუსმინე თქვენს პროგრამას. როგორი ბედნიერი გავხდი. ახლა არცერთი გადაცემის გამოტოვება არ მინდა. მინდა, ის წიგნი წავიკითხო რის შესახებაც გადაცემაში საუბრობთ."

მოგვიანებით, რიჩარდომ პარტიზანთა ჯგუფი დატოვა და ეკლესიას შეუერთდა. ორი წლის შემდეგ იგი ბანაკში დაბრუნდა და იმედოვნებდა, რომ ყოფილ თანაპარტიზანელებს მხსნელის შესახებ გაუზიარებდა. მას შემდეგ აღარავის სმენია მის შესახებ. თუ მოკლეს, თავისი მკვლელების სიყვარულით გადადგა ეს ნაბიჯი.

ადამიანის მოდგმის ემოციის მომწამვლელი არის სიძულვილი. მას ადარებენ მჟავას, რომელიც საკუთრ შემადგენლობას ჭამს. ვისაც სძულს, მალე ნახავენ საკუთარ თავს სიმწარისაგან განადგურებულს. თუმცა, მორწმუნეს აქვს მცდარ ბუნებრივ მიდრეკილებაზე გამარჯვების სულიერი ბუნება. იესო უჩვენებს ხალხს, თუ როგორ უნდა უყვარდეთ მტრები, რის შედეგადაც ეს ადამიანები იცვლებიან. გარდაქმნა ისე სწრაფად შეიძლება მოხდეს, რომ მოქცეულმა შესაძლოა ვერ გაიგოს სად წავიდა წლების მანძილზე დაგროვილი სიძულვილი! წამლავ თუ არა შენს სულს სიძულვილით? აღარ გაძინებენ შენი შურისმაძიებლური ფიქრები მთელი ღამე? დაუბრუნდი იესოს სიძულვილისაგან განსათავისუფლებლად. აპატიე დღეს შენს მოწინააღმდეგეებს და იპოვე იმედი ხვალისათვის.

> თუ ვინმე ამბობს, ღმერთი
> მიყვარსო, თავისი ძმა კი
> ეჯავრება, იგი ცრუა, ვინაიდან
> ვისაც არ უყვარს თავისი ძმა,
> რომელსაც ხედავს, როგორ
> ეყვარება ღმერთი,
> რომელსაც ვერ ხედავს?
>
> *1 იოანე 4:20*

101-ე დღე

ექსტრემალური
საუნჯე

რუმინეთი: სოფელ დობროგეას მცხოვრებლები

ნიკოლაუ ჩაუშესკოს ჰქონდა ტვინის რეცხვის პოლიტიკა, სახელად „კოლექტივიზაცია.“ რუმინეთის ბოროტი დიქტატორი ფიქრობდა, რომ კარგი აზრი იქნებოდა თუ ხალხი ნებაყოფლობით გაიღებდა მთელ თავის ქონებას სახელმწიფოს საერთო სარგებლობისათვის.

ფერმერებმა, მიწისმფლობელებმა, და გლეხებმა ყველგან ყველაფერი დაკარგეს: მინდვრები, ცხვრები, საქონელი, სახლები და ავეჯი. ერთხელ რუმინეთში აყვავებული სოფლის მეურნეობა ახლა ინგრეოდა. ახლა, ყველა ფერმერი სახელმწიფოს მონა გახდა და მცირედი შემოსავლისათვის სახელმწიფო მიწაზე მუშაობდნენ. ოჯახები რიგში იდგნენ პურის მისაღებად.

მოწინააღმდეგეების შეჩერების მიზნით, თვითონ დიქტატორმა შეუწყო ხელი ამ სტრატეგიის დანერგვას. რუმინეთის პროვინცია დობროგეაში, ყველა სოფლის მცხოვრებლები ქალაქის ცენტრში შეკრიბეს და სთხოვეს თავისი სურვილით ეთქვათ უარი კერძო საკუთრებაზე. როცა მსურველი არავინ გამოჩნდა, ჩაუშესკუმ ათი ადამიანი დახვრიტა თავისი იარაღით. ამის შემდეგ კენჭი კვლავ უყარეს „ვის სურს თავისი საკუთრების გაღება?“

სამხედრო მუსიკა დაუკრეს და კომუნიზმის სადიდებელს მღეროდნენ. ხალხს აიძულეს ეცეკვათ და პროპაგანდისტული ვიდეო გადაიღეს, თითქოს ხალხი სიხარულით ხვდებოდა სოციალიზმის შემოსვლას. ერთმა ფერმერმა, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, მოგვიანებით თქვა, „მათ ეგონათ, რომ ყველაფერი წაიღეს. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი რამე დაავიწყდათ-ჩვენი საგალობლები. ჩვენც დავჯექით და ღმერთს ვუგალობეთ.“

ხალხი ხშირად თამაშობს ერთმანეთის გაცნობის მიზნის თამაშს. ადამიანის ყველაზე უკეთ გამოსაცნობი კითხვაა, ჰკითხო ხალხს რას წაიღებდნენ მიტოვებულ კუნძულზე. ხალხის უმეტესობა თავს იმტვრევს ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად და ავიწყდებათ, რომ ეს მხოლოდ თამაშია. თუმცა, რუმინელ ხალხს თამაშის დრო არ ჰქონდა; მათთვის ეს ცხოვრებისეული სინამდვილე იყო. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ ერთი კერძო ნივთის ფლობის უფლებაც კი ჩამოართვა ყველას. მცხოვრებლები მიხვდნენ, რომ საგალობლებმა სიხარული მოუტანეს ადგილობრივებს, რაც მათთვის განმარტოებულ კუნძულს ჰგავდა. ხალხის საგანძური ღმერთი იყო და ღვთისა კი ხალხი.

> რადგან წმიდა ხალხი ხარ
> შენ უფლისათვის, შენი
> ღმერთისათვის. შენ ამოგირჩია
> უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ
> იყოთ მისთვის უნჯ ხალხად
> ყველა ხალხთაგან, რომელნიც
> დედამიწის ზურგზე არსებობენ.
>
> *გამოსვლა 7:6*

102-ე დღე

ექსტრემალური
მიძღვნა

ლიბანი: მერი

მერი მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო, როდესაც ფანატიკოსი მუსლიმები მის სოფელში შეიჭრნენ, ლიბანში. მერი და მისი მშობლები სასტიკი არჩევანის წინაშე დააყენეს: „ან მუსულმანი გახდით ან გესვრით.“:

მერიმ თამამად უთხრა კაცს, „მე ღმერთს ვირჩევ. მესროლეთ.“ მერი და მისი ოჯახი დახვრიტეს და მიატოვეს. ორი დღის შემდეგ, წითელი ჯვარი მივიდა ადგილზე და სასწაული იხილა. მერი ცოცხალი იყო-მაგრამ ტყვიისაგან მიყენებული ჭრილობით პარალიზებული.

განადგურებული და დამწუხრებული მერი რწმენას ეჭიდებოდა და ლოცულობდა. ბოლოს უცნაური სიმშვიდე დაეუფლა. და ეს პირობა დადო ღმერთთან:

„ყველას აქვს საქმე. მე ვერასოდეს შევძლებ გათხოვებას ან მუშაობას. მე ჩემს ცხოვრებას მუსულმანებს მივუძღვნი, იმ ადამიანების მსგავსს, ვინც ჩემი მშობლები მოკლეს და ჩემს მოკვლასაც ეცადნენ. მთელ ჩემს ცხოვრებას მათთვის ლოცვაში გავატარებ.“

მისმა ლოცვამ და ქრისტიანულმა დამოწმებამ მრავალი მოიყვანა ღვთის ძის რწმენაში. ლიბანში, 1990 საშინელი სამოქალაქო ომის მეთხუთმეტე წელი. ათასობით ადამიანი იქნა მოკლული ან დაჭრილი და ასიათასობით გაიქცა. მიუხედავად ამისა, მერის ცხოვრების მიძღვნამ მრავალი ქრისტიანი გაამხნევა ქვეყანაში დარჩენილიყო და ქრისტეს შესახებ დაემოწმებინათ.



103-ე დღე

ექსტრემალური
მწუხარება

რუმინეთი: არქიმანდრიტი გიუში

ჯილავას კომუნისტური ციხე განსაკუთრებით უხეში იყო. დამსხვრეულ ფანჯრებში ზამთრის სიცივე შემოდიოდა. ზოგიერთი პატიმარი სიცივისაგან გაიყინა. რაღა თქმა უნდა ქრისტიანებს არანაირ სიმპათიას არ უცხადებდნენ ჯილავაში. პირიქით, ხშირად „განსაკუთრებულ“ ცემას იღებდნენ სასტიკი დაცვისაგან.

ერთ-ერთი ახალი პატიმარი, არქიმანდრიტი გიუში, რუმინეთის ქალაქ თავისუფლების ღვთისმსახური იყო. არქიმანდრიტმა აღელვებით შეხედა თავის ახალ „სახლს,“ და ნაცნობი სახე შენიშნა-კაცი, რომელიც მასთან ერთად მსახურობდა თავისუფლებაში. ეს ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი იყო. „როგორ, ის ჯერაც ცოცხალია?“ გაიკვირვა არქიმანდრიტმა. „თითქმის რვა წელი არავის სმენია მის შესახებ.“ ორი ღვთისმოსავი ადამიანი გულთბილად შეხვდნენ ერთმანეთს. ძველი მეგობრის მოსალოდნელ ტანჯვაში დახმარების მადლიერმა არქიმანდრიტმა გაიცინა.

მაგრამ ხუცეს ვურმბრანდს არ გაუცინია. იგი დაამწუხრა ასეთი კაცის ციხეში დანახვამ. და მასზე წუხილი დაიწყო. გადაიტანს ამ სიცივესა და სასტიკ მოპყრობას? გაგიჟდება, როგორც სხვები? ციხეში გატარებული რვა წლის შემდეგ, ვურმბრანდმა იცოდა რა მოელოდა მას.

ორი მეგობარი ცოტა ხნით ჩუმად იჯდა. ბოლოს რიჩარდმა სიჩუმე დაარღვია და იკითხა, „დამწუხრებული ხარ?“ მისდა გასაოცრად არქიმანდრიტმა უბრალოდ უპასუხა, „მე მხოლოდ ერთი მწუხარება ვიცი: რაც არის ქრისტესადმი არასრული მიძღვნა.“

რთულია წაიკითხო ქრისტიანების წამების შესახებ ნამდვილი ამბები და ემოციურად არ განიცადო. ბუნებრივი რეაქციაა მწუხარება და სიბრალული, იმ უდანაშაულო ადამიანების მიმართ, რომელბიც ასეთ ტანჯვაში კვდებიან. თუმცა, ამ ისტორიის გმირები, ყველანი ერთად სხვა პასუხს ისურვებდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მათი მიძღვნილება შთააგონებდათ სხვებს მათ მსგავს გულითადობაში და არა სიბრალულში. უდაოა, რომ მათი სიკვდილი ჩვენს გულებს ეხება. მაგრამ ჩვენი უმნიშვნელო რწმენის გაცნობიერებამ უნდა გაგვიპოს გული შუაზე. ეს არის ნამდვილად სამწუხარო. გამოიწვია თუ არა შენში ამქვეყნიურმა სიმპათიამ საკუთარი თვითკმაყოფილების გრძნობა? გაქვს თუ არა ღვთიური გადაწყვეტილების განცდა წაკითხულის მიმართ? სთხოვე ღმერთს აღძრას შენში მისთვის სიცოცხლის მიძღვნის გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ახლა მე ვხარობ არა იმიტომ,
რომ დამწუხრდით, არამედ
იმიტომ, რომ დამწუხრდით
მოსანანიებლად, რადგან
დამწუხრდით ღვთის გულისათვის.

2 კორინთელთა 7:9

104-ე დღე

**რწმენა სახელის დარქმევის
ღირსიც არ არის ვიდრე
მოქმედებაში არ ამოხეთქავს.**

კატერინ მარშალი.

105-ე დღე

ექსტრემალური
მიტევება

რუმინეთი: დემეტრე

დემეტრე მრავალი წელი იტანჯებოდა კომუნისტურ ციხეებში. პატიმრობის მიუხედავად სულით ძლიერად რჩებოდა, მაგრამ სხეული დაუძაბუნდა. ციხეში იყო ერთი ხელმძღვანელი, რომელსაც ძალიან მოსწონდა დემეტრეს ზურგში ჩაქუჩის ცემა, რამაც სამუდამოდ პარალიზებული გახადა იგი. მაგრამ დემეტრეს ქრისტეს მსგავსი დამოკიდებულება არ შერყეულა და ბოლოს ციხიდან გაათავისუფლეს.

ოცი წლის შემდეგ, კარებზე კაკუნი შემოესმა. განცვიფრდა, როცა მის წინაშე ციხის ის ხელმძღვანელი დაინახა, რომელმაც ცემისაგან პარალიზებული დატოვა. მიუხედავად ამისა, მისი რწმენა არ შემდრკალა.

ვიდრე დემეტრე მიესალმებოდა, ყოფილმა ხელმძღვანელმა თქვა, "მივხვდი, რომ არასოდეს იქნება ნაპატიები ჩემი შენდამი ჩადენილი დანაშაული. ძალიან დაუნდობელი ვიყავი. მაგრამ, გთხოვ ჩემს ბოდიშს მოუსმონოთ და წავალ."

დემეტრე წუთით შეჩერდა და კაცს გაოცებულმა შეხედა. მან რბილად თქვა, „ოცი წლის მანძილზე ყოველ დღე ვლოცულობდი შენთვის. ოცი წლის წინ მოგიტევე." თუ გვსურს, რომ ყველა გვიყვარდეს და მივუტევოთ-მათაც კი ვინც ჩვენ მწარედ გვაწყენინა-მაშინ ქრისტეს სიყვარულს ყველაფერზე გამარჯვება შეუძლია.

ხალხის უმრავლესობას არასოდეს განუცდია ფიზიკური წამება. თუმცა, სხვა ჭრილობებისაგან მოყენებული ემოციური დარტყმები შეიძლება ანალოგიურად გამანადგურებელი იყოს. არასასიამოვნო სიტყვების გახსენება, მეგობრის ღალატი, განქორწინებისაგან მიყენებული ტკივილი შეიძლება მთელი ცხოვრება დაგვრჩეს გულში. ვცდილობთ გულში დავიტოვოთ წყენა და უფრო მეტიც, დაჟინებით გვსურს შური ვიძიოთ მათ წინააღმდეგ. მიტევება არ მოდის ბუნებრივად, მაგრამ იგი ღვთის განუყოფელი ბუნებაა. თუ ღვთის მადლი გვიგემია, მაშინ უნდა შევძლოთ და ღვთის მსგავსად მივუტევოთ სხვებსაც. მიტევება დამოკიდებული არ არის დამნაშავის პატიების თხოვნაზე. ეს არის მორჩილების აქტი, ისევე როგორც რწმენა. სთხოვე ღმერთს გახსნას შენი გული ჭშმარიტი მიტევების სასწაულისათვის.



106-ე დღე

ექსტრემალური
სტუმრობა

აღმოსავლეთ ევროპა: იან ლუგანიანუ

აღმოსავლეთ ევროპელი, ახალგაზრდა იან ლუგანიანუ, ციხეში გადაიყვანეს სასამართლო მოსმენის შემდეგ. თანასაკნელებმა აღელვებით ჰკითხეს, „რა მოხდა?“

მან უპასუხა, „იმ დღეს, როცა იესო ქრისტეს დედას, მარიამს ღვთის ანგელოზი გამოეცხადა. ღვთისნიერი, ახალგაზრდა ქალი მედიტაციაში იყო, როცა მას გაბრწყინებულმა ღვთის ანგელოზმა დაუჯერებელი ამბავი აცნობა. რომ მას ღვთის ძე ჩაესახებოდა მუცელში.“

გაოცებული პატიმრები ინტერესით უსმენდნენ, გაეგოთ რა კავშირში იყო ეს ისტორია იანთან.

იანმა მათ მარიამის ისტორიის თხრობით სახარება გაუზიარა. „მას შემდეგ რაც იესომ მარიამს ასეთი სიხარული მოჰგვარა, ერთ დღეს დედა თავისი შვილის, იესოს ჯვრის წინაშე მუხლმოდრეკილი იდგა და მისი ქვეყნიერების ცოდვისათვის სიკვდილს უყურებდა. ღმერთმა აღადგინა იესო და ახლა ის ზეცაში მეფობს. მარიამმა იცოდა, რომ სამოთხეში კვლავ იესოსთან იქნებოდა და სამუდამო სიხარულს განიცდიდა.“

პატიმრებს გაოცება გამოეხატათ სახეზე. „მაგრამ ჩვენ გკითხეთ, რა მოხდა სასამართლოზე?“ შეახსენეს მათ იანს.

იანმა მათ შეხედა, მისი სახე მშვიდობით განათდა და თქვა, „სიკვდილი მომისაჯეს. განა ეს კარგი ამბავი არ არის?“ იანმა გააცნობიერა, რომ ანგელოზის მიერ მარიამისათვის გადაცემული უწყება ტკბილ-მწარე იყო-იესოს ტანჯვის შემდეგ სიხარული იქნება ზეცაში. იანი დიდი სიხარულით მოელოდა იესოს თანდასწრებაში სამუდამოდ ყოფნას.

მრავალ კულტურაში სიკვდილზე საუბარს ტაბუ აქვს დადებული. ხალხი ხშირად ამჯობინებს საკუთარი, გარდაუვალი სიკვდილისაგან იზოლირებას. მათ მოსწონთ სიტყვა „გარდაცვალება“, „სიკვდილის“ ნაცვლად. უარს ვამბობთ ანდერძის დაწერასა და სიცოცხლის დაზღვევაზე, ვფიქრობთ, რომ ჩვენ ეს არასოდეს დაგვემართება. კომპანიები უდიდეს მოგებას ნახულობენ იმ საქონლის გასაღებაში, ახალგაზრდობის გახანგრძლივებას რომ გვპირდებიან. ღმერთი სიკვდილისადმი იგნორირებას კი არა, არამედ მასზე ყურადღების გასამახვილებლად გასაღებს გვაძლევს. ანგელოზს თავი არ აურიდებია და მარიამს უთხრა, რომ დიდ მწუხარებას მოუტანდა ჯვარი. თუმცა, აღდგომის იმედიც მისცა, რათა მისი ტკივილი ასატანი ყოფილიყო. ღვთის საუკუნო სიცოცხლის დაპირება გვეხმარება ქრისტიანებს საკუთარი სიკვდილის რეალურად და მამაცურად მიღებაში.



ექსტრემალური
დაცვა

რუსეთი: გიორგი იელტონოვსკო

გიორგი იელტონოვსკიმ იცოდა, რომ მის მთავრობას არ მოსწოდნა ქრისტეს სახარების პროპაგანდა, მაგრამ მტკიცედ სჯეროდა, რომ უპირველესი ქრისტეს მცნებების მორჩილებაა-მაშინაც კი, როცა ის შენი ქვეყნის კანონს ეწინააღმდეგება.

ძალიან არ გაკვირვებია, როცა პოლიცია დაინახა თავისი სახლის კარზე. გაიფიქრა, მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩემი მსახურებისა და ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. როცა სასამართლო დღე დაინიშნა, კომუნისტურმა სახელმწიფომ ადვოკატი დაუნიშნა. გიორგიმ თამამად უთხრა მოსამართლეს, „დამცველი არ მინდა. მე ვიცი, რომ მართალი ვარ და სიმართლეს არ სჭირდება დაცვა."

მოსამართლემ ჰკითხა, „გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?"

მან უპასუხა, „არა. ღვთის სიყვარულის უწყების გავრცელება ყველა ქრისტიანის მოვალეობაა."

მაშინ მოსამართლემ მას სთხოვა „შეუერთდით ოფიციალურ ეკლესიას," რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა სახელმწიფოს მარიონეტების ეკლესია. მაგრამ გიორგიმ უარი განაცხადა. სახელმწიფო ეკლესია სახელმწიფო მცნებებს იცავდა და არა ღვთისას.

მოსამართლეს იმედგაცრუება ეუფლებოდა. „სად იკრიბებით მსახურებისათვის?" იკითხა მან.

გიორგიმ უპასუხა, „ჭეშმარიტი მორწმუნეები ყველგან მსახურობენ."

მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, სადაც გიორგი კვლავ აგრძელებდა თავის მსახურებასა და საქმიანობას. ის მართალი იყო. სამართლიანობას დაცვა არ სჭირდებოდა.

„მართალი საქმის" კეთება შეიძლება პოპულარული ლოზუნგია. თქმა ადვილია ვიდრე გაკეთება, თუმცა, რაც ღვთის თვალში სამართლიანია ხშირად ამქვეყნიურ პოპულარულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება. მართალსა და მტყუანზე კამათი საკლასო ოთახებშიც ხდება, სამსახურშიც, სასამართლოსა და ეკლესიაშიც კი. ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული საზოგადოების განაჩენზე რა არის მართალი. ხალხმა შეიძლება ერთმანეთში აურიოს კომპრომისი და სამართლიანობა. მხოლოდ ღვთის სიტყვა გადაწყვეტს რა არის მართალი ნებისმიერ სიტუაციაში. სხვები შესაძლოა არ დაეთანხმონ ჩვენს გადაწყვეტილებას. თუმცა, ღმერთი გვპირდება პატივს სამართლიანობისადმი ვალდებულების დაცვისას. ჩვენი შემყურეები ხედავენ სინათლეს და გრძნობენ ჩვენი სამართლიანი მოქმედების სითბოს.

მიაქციე ღმერთზე შენი
გზასავალი, მიენდე მას და ის
აღასრულებს და გამოიტანს
ნათელივით სიმართლეს შენსას და
შენს სამართალს-შუადღესავით.

ფსალმუნი 36:5-6

108-ე დღე

ექსტრემალური
ცეცხლი

ციმბირი: ვიქტორ ბელიხი

„იესოს მიერ ჩემში დანთებული სიყვარულის ცეცხლის ალით, მე შევძელი ციმბირის ყინულის გალღობა. ალილუია!“

ეპისკოპოს ვიქტორ ბელიხს სახე გაუნათდა ამ სიტყვების თქმისას. მან ისწავლა ადამიანის გულის დაპყრობის საიდულოს ღვთისათვის გადაცემის სიძლიერე, ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი. ოცი წლის განმავლობაში იტანჯებოდა რუსული კომუნისტური ციხის განმარტოებულ საკანში, სტუმრისა და ოჯახიდან მიღებული ცნობის გარეშე.

ყოველ საღამოს, უბრალო თივის ლეიბს შლიდნენ საკანში. მას მხოლოდ 7 საათი ძილის უფლება ჰქონდა და მერე ლეიბი მიჰქონდათ. დანარჩენი ჩვიდმეტი საათის განმავლობაში საკანში წრეზე უნდა ევლო. თუ გაჩერდებოდა ან დაეცემოდა, დაცვა მანამდე ურტყამდა ან წყალს ასხამდა, ვიდრე სიარულს არ გააგრძელებდა. ოცწლიანი ტანჯვის შემდეგ, მომდევნო ოთხი წელი ჩრდილო ციმბირის შრომა-გასწორების კოლონიაში გააგზავნეს, სადაც ყინული არასოდეს დნება. ის მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ სიბრაზისა და სიმწარის გალღობის ნება დართო ღმერთს.

ბელიხის მდგომარეობა იშვიათია, მაგრამ მის მიერ მიღწეული შედეგი ნებისმიერ ტანჯვაში მყოფი ადამიანისათვისაა მისაღწევი იესო ქრისტეს საშუალებით. იესომ სიყვარულის ცეცხლი დაანთო ბელიხის გულში-ღვთიური ღუმელი, რამაც ოცი წლის განმავლობაში თბილად შეინახა იგი.

ცეცხლი. ეს უბრალო სიტყვა წარმოგვიდგენს ძლიერ სურათებს. ის ნიშნავს საშიშროებას ხალხმრავალ შენობაში. ის გგვრის კომფორტს კარავში ყინვიან ამინდში. ის დაკავშირებულია ძლიერ ემოციასთან „ცხელი“ და „ცეცხლოვანი“ ტემპერამენტისას. ცეცხლს აგრეთვე იყენებენ მეტალის გასაწმენდად და გასამაგრებლად დნობის პროცესში. ცეცხლი ანათებს და წმენდს სიბნელეს. ყველა ამ პროცესში, ერთი რამ რჩება მუდმივი. ცეცხლი ასოცირდება ცვლილებასთან. იესო ქრისტეს შთამაგონებელმა, გამწმენდმა, გამაძლიერებელმა, კომფორტულმა და გამანათებელმა ცეცხლმა გაგათავისუფლათ თუ არა ბელიხის მსგავსად? ადამიანური სისასტიკე ვერასოდეს შეძლებს ღვთის სიყვარულის ცეცხლის ჩაქრობას. არის თუ არა შენში ღვთის სიყვარული ცოცხალი?



109-ე დღე

ექსტრემალური
რეპუტაცია

იერუსალიმი: იაკობი

იაკობი, იესოს აღდგომის შემდეგ ახალშობილი ეკლესიის წინამძღოლი, „ნამდვილად“ ერთგულად ემსახურებოდა ეკლესიას. არც ერთ ურწმუნოს არ შეეძლო მისი სწავლების მოსმენა მოქცევის ან გაქცევის გარეშე.

ამის გამო, მღვდელმთავარმა და სხვა ებრაელმა წინამძღოლებმა იაკობი ტაძრის ქიმზე დააყენეს და უთხრეს უარეყო იესო და მისი აღდგომა ხალხის წინაშე ან დაბლა გადააგდებდნენ. ამან ქადაგების კიდევ ერთი შესაძლებლობა მისცა იაკობს.

„ისმინეთ ხალხო! იესო არის აღთქმული მესია, ღვთის ძე, და ჩვენი მხსნელი! ის ღვთის მარჯვნივ ზის და კვლავ მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად.!“

ქვევით, ზოგიერთები ღმერთს აქებდნენ და იესოს სახელს განადიდებდნენ; დანარჩენები კი გაოცებულნი იყვნენ მისი სითამამითა და დარწმუნებულობით. იგი ნამდვილად ის კაცი იყო! მოულოდნელად, ხელი ჰკრეს-და დაეშვა....

ხალხი გაინაბა; შემდეგ ვიღაცამ დაიყვირა, „შეხედეთ! ის ცოცხალია!“ იაკობი მკვდარი კი არ იყო, არამედ მუხლმოყრილი ლოცულობდა. ბევრმა ქვას დაავლო ხელი ჩასაქოლად, როცა ერთ-ერთი მღვდელი წინ გამოიჭრა და თქვა, „რას აკეთებთ? ‘ნამდვილი’ კაცი ჩვენთვის ლოცულობს და თქვენ კი ქოლავთ?“ როგორც კი მან ეს თქვა, მეორე მოვიდა და ქვა ჩასცხო თავში, და მყისვე მოკლა. იმ ადგილზე დაასაფლავეს სადაც დაეცა.

ყოველი ისტორიის უკან დგას ამბავი. ნიუანსები და სიტუაციის განცდა შეიძლება დაიკარგა, მაგრამ ისტორიული წყაროების მეშვეობით ადვილია მათი აღდგენა. იაკობის ეს ამბავი ლაპარაკობს მის პიროვნულობასა და იესოს შესახებ გულახდილ მოწმობაზე. ყველა, ვინც მას იცნობდა, იცოდა მისი ქრისტესადმი პირობის შესახებ. ისინი, რომლებიც არ იცნობდნენ, სმენიათ მისი მხნე მქადაგებლის რეპუტაციის შესახებ. მისი სიკვდილი არის კიდევ ერთი დამოწმება ქრისტეში სწორუპოვარი რწმენის შესახებ. ქრისტიანული ისტორია ამოწმებს ქრისტეს ერთგული მიმდევრების უდაო ფაქტებზე. რას იტყვის ისტორია შენს შესახებ? რა ამბავი გსურთ უამბოთ თაობებს თქვენი რწმენის შესახებ?

ამიტომ ტანჯულებმა ღვთის ნებისამებრ, თვიანთი სულები მიანდონ ჭეშმარიტ გამჩენს სიკეთის ქმნაში.

1 პეტრე 4:19

110-ე დღე

ექსტრემალური
ნათლობა

სლოვაკია: ანამარია

ანამარია, ახალგაზრდა სლოვაკი ქრისტიანი, რამდენიმე თვეა ციხეში იყო არარეგისტრირებულ ეკლესიაში მონაწილეობისათვის. ის რეგულარულად მიჰყავდათ ოთახში, სადაც დაცვა სცემდა მას, რათა აეძულებინათ დაესმინა ეკლესიის სხვა ქრისტიანები.

ღვთის ძალით უარს ამბობდა მათ დასმენაზე. მან ეს დრო დაცვისათვის ქრისტეს სიყვარულის გასაზიარებლად გამოიყენა. დაცვამ დასცინა, „თუ არ მეტყვი იატაკქვეშა ეკლესიის საიდუმლოს, სიყვარულით გცემ.“

ანამარიამ უპასუხა, „მე მყავს შეყვარებული, ტკბილი ადამიანი. ის არის სიყვარული. მისი სიყვარული არ ეძებს სიამოვნებას, არამედ ცდილობს სხვების სიხარულით აღვსებას. ამ შეყვარებულის გაცნობის შემდეგ, მეც ყველა უნდა მიყვარდეს. შენ ახლა სიძულვილი გიყვარს. მე კი გთხოვ სიყვარული შეიყვარო.“

დაცვა ისე გაბრაზდა, რომ გოგონას წაქცევამდე ურტყა. როცა გოგონა გონს მოვიდა, დაინახა დაცვა ჩუმად იჯდა ღრმად ჩაფიქრებული. ბოლოს მან იკითხა, „ვინ არის შენი შეყვარებული?“ ანამარიამ მას ქრისტესა და მისი მოსვლის მისიის შესახებ უამბო.

როცა მან ჰკითხა, თუ როგორ შეიძლებოდა ქრისტე მისი მეგობარი გამხდარიყო, გოგონამ უთხრა, რომ უნდა მოენანიებინა და მონათლულიყო. „მაშინ სასწრაფოდ მომნათლე, თორემ გესვრი,“ თქვა მან მოთხოვნის ტონით.

ანამარიამ ის მონათლა, და მოგვიანებით ის იმ ხალხის თანაპატიმარი გახდა, რომელთაც ადრე სცემდა.

როცა ადამიანებს უყვართ, ყველას აგებინებენ. ისინი ეუბნებიან ოჯახის წევრებს, მეგობრებს, მეზობლებს და ყველას ვინც მოუსმენს. სიყვარული ისე მოიცავს მათ, რომ არ შეუძლიათ თავი შეიკავონ შეყვარებულზე ლაპარაკისაგან. ანალოგიურად, ადამიანის ნათლობა არის სახალხოდ ქრისტეს სიყვარულის განცხადება. ნათლობა არის ყველა დამსწრის წინაშე მოწმობა-თუნდაც მარტო ერთი თანასაკნელი ესწრებოდეს- რომ ეს ადამიანი მზად არის გაჰყვეს ქრისტეს, სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს. ჩვენი ქრისტესადმი სიყვარული გვაძლევს მოტივს განუცხადოთ ქვეყნიერებას ჩვენი პიროობის შესახებ. თუ მუქარის ქვეშ არ ვართ, გვაქვს თუ არა საკმარისი მხნეობა ქრისტეს სიყვარულის სხვებისათვის გასაზიარებლად?



111-ე დღე

**რწმენა არასოდეს არ არის
პასიური. ის მოითხოვს პასუხს.
ის ითხოვს ხედვას. ის გვიჩვენებს
ჩვენში მცხოვრები სულიწმიდის
თანდასწრებასა და ძალას.**

ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

112-ე დღე

ექსტრემალური
მხნეობა

რუმინეთი: დედა-შვილი

ყველა პატიმარი გაბრაზდა დედასთან ერთად პატარა გოგონას ციხეში დანახვით. ციხის დირექტორმაც კი თქვა, „რატომ არ შეიცოდე შენი პატარა გოგონა? თუ უარს იტყვი ქრისტიანობაზე ორივე წახვალთ სახლში.“

გასაგებია როგორი განცდა ჰქონდა ქალს შინაგანად. თავისი ხუცესის დაპატიმრების გაპროტესტების გამო პატარა გოგონასთან ერთად დააპატიმრეს, მაგრამ მოგვიანებით უარი თქვა საკუთარ რწმენაზე, ქალიშვილისათვის ტანჯვის აცილების მიზნით. ორი კვირის შემდეგ, იგი აიძულეს ათასი კაცის წინაშე სცენაზე გამოსულიყო და ხმამაღლა ეყვირა: „მე ქრისტიანი აღარა ვარ.“

სახლში დაბრუნებისას, პატარა გოგონა დედას მიუბრუნდა და უთხრა, „დედიკო, დღეს იესო შენით კმაყოფილი არ არის.“ დედა ეცადა აეხსნა, რომ ეს ყველაფერი მან სიყვარულით გააკეთა. პატარა გოგონამ დარწმუნებით ჩასჩურჩულა დედას ყურში, „გპირდები, თუ იესოსთვის კვლავ წახვალ ციხეში, აღარ ვიტირებ.“

დედა აქვითინდა, დარწმუნდა რა საკუთარი ქალიშვილის სიყვარულში, სიამაყესა და სისუსტეში. ღმერთს სთხოვდა ძალას რთული სიტუაციის გადასალახად, ციხის დირექტორთან დაბრუნდა და უთხრა, „თქვენ დამარწუნეთ ჩემი ქალშვილის გულისათვის უარი მეთქვა რწმენაზე, მაგრამ მას ჩემზე მეტი მხნეობა აქვს.“ ორივენი ციხეში დაბრუნდნენ და გოგონამ დაპირება შეასრულა.

იესო ნავეს ძე სირთულეს წააწყდა-ღვთის რჩეული ხალხი წაეყვანა იქიდან, სადაც მოსემ დატოვა ისინი. საშიში იყო თუ არა ეს საქმე? უდაოდ. ეშინოდა თუ არა იესო ნავეს ძეს? ალბათ. იესოს ღმერთი დაპირდა, რომ მასთან იქნებოდა, რამაც ისე დაარწმუნა იესო, როგორც ამ ამბავში პატარა გოგონა. ორივე, იესო და გოგონა დარწმუნდნენ, რომ საქმის გაგრძელებისათვის საჭირო იყო ღვთის თანდასწრების განცდა. ღმერთი გვიბრძანებს გავძლიერდეთ და გავმხნევდეთ იმის ცოდნით, რომ იგი არასოდეს არ მიგვატოვებს. განსაცდელის დროს, ხშირად მხნეობა ხელიდან გვეცლება. განსაცდელისას აირჩიე, რომ მიენდო ღვთის დაპირებას, რომ ის ჩვენთან იქნება. დღეს იყავი მორჩილი და მხნე.

აჰა, მე გიბრძანებ შენ: გამაგრდი
და განმტკიცდი, ნუ შედრკები
და ნუ შეძრწუნდები, რადგან
შენთანაა უფალი, შენი ღმერთი,
ყველგან სადაც კი წახვალ.

იესო ნავეს ძე 1:9

113-ე დღე

ექსტრემალური
რჩევა

ალბანეთი: ვალერი ნასარუკი

ალბანეთში, მსოფლიოში პირველ თვით-გამოცხადებულ ათეისტურ ქვეყანაში, ხელზე ამოტვიფრული ჯვრის გამო ახალგაზრდა ქრისტიანი, სახელად ვალერი ნასარუკი დაიჭირეს. მას სურდა ხელის ჩამორთმევისთანავე გაეგო ყველას, რომ ღმერთი სწამდა. ვალერი იმედგაცრუებული იყო, რომ სხვებისათვის სიტყვიერად ღვთის სიყვარულის გაზიარების უფლება არ ჰქონდა.

სასამართლოზე, მოსამართლემ ვალერის დედას უთხრა, „უთხარით თქვენს შვილს, რომ შეიცვალოს გზა და გავათავისუფლებთ.“

ცრემლმორეული პასუხის გაცემამდე ცოტა ხანს დაფიქრდა და თქვა, „ვალერი, ჩემი რჩევა იქნება მტკიცედ იდგე და ქრისტე არ უარყო, სიკვდილმაც რომ გიწიოს.“

არარეგისტრირებული ეკლესიისადმი მიწერილ წერილში დედამისი წერდა, „სასამართლოს დავესწარი, რომელიც ძალიან მძიმე ასატანი იყო ჩემთვის. ვისურვებდი, რომ მე ვყოფილიყავი მის ადგილზე. ყველაზე რთული ის იყო, რომ სასამართლოს მსვლელობისას მთხოვეს ვალერისთვის გზის შეცვლა მერჩია, მაგრამ ამის გაკეთება არ შემეძლო. მისი დაპატიმრებისათვის მთელი ქვეყანა მის მშობლებს გვადანაშაულებს, ამბობენ, რომ ეს ჩვენი გავლენის შედეგია. ზოგიერთ ქრისტიანსაც კი არ ესმის რატომ გავაკეთე ეს, მაგრამ შემდეგ გამახსენდა, რომ იესოსიც არ ესმით. როცა დეპრესია მემართება, მახსენდება, რომ პეტრემ იესოს საკუთარი სიცოცხლის დაცვა ურჩია. ღმერთი მაძლევს ყველაფრის ატანის ძალას. გთხოვთ ილოცოთ ჩემთვის.“

ღმერთს ვუყვარვართ და მას დიდი გეგმები აქვს ჩვენთვის ცხოვრებაში. პრობლემა ის არის, რომ ყველა დანარჩენ ადამიანებსაც აქვთ გეგმები ჩვენთვის. გააკეთე ეს. გააკეთე ის. ეს სცადე. ის სცადე. რჩევის სიტყვები იაფი და უხვია. ხშირად დგება დრო, როცა სიტყვები საფასურს მოითხოვს. ნებისმიერ ვითარებაში გვამხნევებენ მორწმუნეები გავაგრძელოთ ღვთის მოწოდებით სიარული, მიუხედავად შედეგებისა და ვიცით, რომ ეს ღვთიური ადამიანიდან მოვისმინეთ. ყოველივე ამის საწინააღმდეგო, როგორი კეთილი განზრახვითაც არ უნდა იყოს მოწოდებული, ცუდი რჩევაა. თქვენ ვის სულიერ რჩევებს უსმენთ? გაიხსენე და ჩაწერე შენი სულიერი მეგობრის ბოლოდროინდელი მოცემული რჩევების სია. რამდენად კარგად შეძელი მათი დაცვა?

> მე კი, თუ დავიკვეხო, მხოლოდ
> ჩვენი უფლის იესო ქრისტეს
> ჯვრით, რომლითაც სოფელია
> ჯვარცმული ჩემთვის და
> მე სოფლისთვის.
>
> გალატელთა *6:14*

114-ე დღე

ექსტრემალური
ფოკუსი

ჩინეთი: მი ლინგი

„გავწმინდე ჩემი გული ადამიანთა შიშისაგან და ვისწავლე ღვთის ხილვა.“

მი ლინგი ახალგაზრდა იყო, როდესაც ქრისტიანული საქმიანობისათვის დააპატიმრეს კომუნისტურ ჩინეთში. პოლიცია დაკითხვისას აწამებდა არარეგისტრირებული ეკლესიის სხვა წევრების დასმენის მიზნით.

თავიდან მი ლინგს ძალიან ეშინოდა და უჭირდა დაენახა ის მიზანი, რატომაც ჩააყენა ღმერთმა ასეთ საშინელ მდგომარეობაში. მაგრამ შემდეგ გაახსენდა ხუცესის სწავლება, რომელმაც თქვა, „ნამდვილი ტანჯვა მხოლოდ ერთი წუთი გრძელდება და შემდეგ მარადისობას გავატარებთ ჩვენს დიდებულ მხსნელთან.“

როცა ჰკითხეს, როგორ მოახერხა და არ გაგიჟდა ასეთ საშინელ მდგომარეობაში, მან უპასუხა, „როცა თვალებს დავხუჭავდი, ვეღარ ვხედავდი ჩემი მწამებლების გაბრაზებულ სახეებსა და მათ მიერ გამოყენებულ ტკივილისმომგვრელ იარაღებს. გამუდმებით ვუმეორებდი ჩემს თავს ქრისტეს დაპირებას: ‘ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ’ (მათე 5:8). და აღმოვაჩინე, რომ როცა გული გავითავისუფლე ადამიანების შიშისაგან, მაშინ ნამდვილად ვხედავდი ღმერთს. ჩემი წინამორბედებისა და ღმერთზე ყურადღების გამახვილება მამხნევებდა მანამდე, ვიდრე ყველაფერი დასრულდებოდა. როცა ხელმძღვანელობამ ჩემი თავდაცვის იარაღის შესახებ შეიტყო, გახელილ წამწამებს წარბებზე მიწებებდნენ. მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან ჩემი ხედვა უსაფრთხოდ იყო დაცული.“

ჩვენ ვაფასებთ ხალხს, რომელთა საქმიანობაც მოითხოვს დიდ კონცენტრაციასა და ყურადღების ფოკუსირებას. დახელოვნებული ნეიროქირურგი, ოლიმპიური ათლეტი და კორპორაციის მენეჯერი ერთ ბედს იზიარებენ: ზედმიწევნით ამახვილებენ ყურადღებას საკითხზე. ფოკუსირების დისციპლინა აბიჯებს ინტელექტუალურ, ათლეტურ სიმარდესა და ქარიზმატულ ზღვარს. მათი მიზნისაკენ სწრაფვის უნარი განსაზღვრავს მათ წარმატებას. ამქვეყნიურ საკითხებზე ყურადღებას ამქვეყნიური წარმატება მოაქვს, მაგრამ რა სარგებელი მოაქვს მას მარადისობისათვის? თუ დროებით საგნებზე უფრო მეტად ხარ ფოკუსირებული, მიზანს აცდები. რისი გაკეთება შეგიძლია დღეს, რათა დარწმუნდე რომ ქრისტესა და მისი კეთილი უწყების გავრცელებაზე ხარ ფოკუსირებული?

ზეციერზე იფიქრეთ და
არა მიწიერზე.

კოლოსელთა 3:2

115-ე დღე

ექსტრემალური
წერილები

უკრაინა

საბჭოთა გაზეთმა, მალადაია გრუზიამ, სამი ქრისტიანის დაპატიმრების ცნობა გამოაქვეყნა. მათი დანაშაული იყო მთელს საბჭოთა კავშირში გაგზავნილი ორგანიზებული წერილები, რომლებიც ხალხს იესო ქრისტეს სწავლების შესახებ ატყობინებდნენ.

ბიბლიისა თუ ქრისტიანული წიგნების ბეჭდის შესაძლებლობას მოკლებულებმა, წერილის ასლების გაგზავნა დაიწყეს, ადრესატს სთხოვდნენ ამ წერილის ასლის გაკეთებას და სხვისთვის გადაცემას. ასეთი შემოქმედებითი გზით სახარების გავრცელებით, საბჭოთა კავშირის მრავალ რეგიონში ათასობით წერილმა მიაღწია. ბავშვებს განსაკუთრებული სიხარული მოჰგვარა ამ წერილებმა, რადგან მათ ეკლესიაში მსახურებაზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ და ეს წერილები მათი ქრისტიანული სწავლების ძირითადი ნაწილი გახდა.

უფრო მეტიც, ეს წერილები იმ დროს ქვეყანაში მყოფ ქრისტიანებს რწმენაში განმტკიცებაში დაეხმარა. ეკლესიებში მთავრობის ძალადობისა და ჩარევის შემდეგ, ხალხი მზად იყო რაღაც ახალი და გაბედული ეცადა. მათ გულწრფელად უნდოდათ ყველას გაეგო ღვთის სიყვარულის შესახებ, და მიუხედავად აკრძალვებისა, მათმა უბრალოებამ შესაძლებელი გახადა ღვთის სიტყვის გავრცელება თბილისსა და თვით უკრაინაში!

სხვა გაზეთი წერდა, „ქრისტიანებმა წალეკეს ჩვენი ქალაქი წერილებით.“ რაც „ქრისტიანების შეურაცხყოფას“ გულისხმობდა.

ვინ იფიქრებდა თუ ასეთ ეფექტს მოახდენდა ეს უბრალო, ჯაჭვური წერილები!

ქრისტიანებისადმი ორმოცდაათწლიანი ტირანიის შემდეგ, საბჭოთა ხელმძღვანელობამ ამ წერილების შედეგად თავი ძალადობის ქვეშ იგრძნო. მათი მშიშარა პასუხი ღვთის სიტყვის სიძლიერეზე მეტყველებს. შევიწროებები ხელს არ უშლის ადამიანის ძალისხმევას. იგი არ აღძრავს სიმპათიის განცდას. ის წინააღმდეგობას უწევს ღვთის ძლიერ სიტყვას-მორწმუნეების ცხოვრებაში ცოცხალს და მოქმედს. სატანა კანკალებს ღვთის სიტყვის სიძლიერის წინაშე. გვაქვს თუ არა გაცნობიერებული ღვთის სიტყვის სიძლიერე ისევე როგორც მის მოწინააღმდეგეებს? თუ დიდი ხანია გასული მას შემდეგ რაც ღვთის სიტყვის კითხვისას მისადმი მოწიწება იგრძენი, სთხოვე ღმერთს კიდევ მოგცეს ამისი შესაძლებლობა. დღეს სთხოვე ღმერთს, გაჩვენოს თავისი ძალა, რათა განიცადო სიტყვის ეფექტი შენს ცხოვრებაში.



116-ე დღე

ექსტრემალური
მოხალისე

ჩინეთი: და ხუანგ

ხანგრძლივი, მძიმე მუშაობისა და თითქმის სასიკვდილო დიეტის შემდეგ, ჩინეთის პოლიციამ ტუალეტების ყოველდღიურად მრეცხავი მოხალისე მოითხოვა. არც ერთ პატიმარ ქალს ხმა არ გაუღია.

ბოლოს, და ხუანგმა გადმოდგა წინ ნაბიჯი და ამ ჭუჭყიანი სამუშაოს კეთების სურვილი განაცხადა. მან ეს საქმე დაინახა თანაპატიმარ ქალებთან თავისი რწმენის გაზიარების შესაძლებლობად, ურომლისოდაც ამის დანახვა შეუძლებელი იქნებოდა. ციხეში გატარებული დროის განმავლობაში მან ასობით ქალი მიიყვანა ქრისტესთან.

ხუანგის მსახურება ყველა მისი ნაცნობისათვის თვალშისაცემი იყო, რაც დიდი ტანჯვის შედეგად მოვიდა. დაპატიმრებამდე, მან და მისმა ქმარმა ორგანიზება გაუწიეს საევანგელიზაციო ჯგუფს, რომელიც ჩინეთში მოგზაურობდა და პატარა საოჯახო ეკლესიებს აარსებდა.

როცა კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ ხუანგის საქმიანობის შესახებ შეიტყო, მისი თორმეტი წლის შვილი სასიკვდილოდ სცემეს. მიუხედავად ამისა, ქრისტე კი არ უარყო, არამედ გააგრძელა საოჯახო ეკლესიების მშენებლობის მოძრაობა.

ბოლოს, 1974 წელს, კომუნისტებმა გადაწყვიტეს „დედა ხუანგის," მაგალითი შეექმნათ, როგორც მას ეკლესიის წევრები უწოდებდნენ. და თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მიწისქვეშა საკანში ჩაკეთეს ტუალეტის ვედრით და ჭუჭყიან ბრინჯს აჭმევდნენ.

ათი წლის შემდეგ სასწაულებრივად გაათავისუფლეს ციხიდან და იქ გატარებულ დროს ყოველთვის კარგად იხსენებს, ვინაიდან ეს დრო ხალხისათვის ქრისტეს სიყვარულის გაზიარების განსაკუთრებული შესაძლებლობის დრო იყო. ისინი ხომ სხვაგვარად ვერასოდეს მოისმენდნენ ღვთის სიტყვას.

მოხალისეობა თოთქმის პროფესიული მოვალეობაა ზოგიერთისათვის. მოხალისეობენ სკოლებში, ეხმარებიან ბავშვების/მშობლების საღამოების მოწყობაში, ეხმარებიან ბავშვებს ფეხბურთის თამაშის სწავლაში. არც თუ ისე პოპულარულ საქმეში მოხალისეობა ადვილი არ არის. ყველაზე ნაკლებად მოხუცთა და ობოლთა თვშესაფრებში სურთ მოხალისეებს დროის გატარება. სუნი, დეპრესიული გარემო და სხვა არაკომფორტული სიტუაციები განიზიდავენ ხალხს ამ ადგილებიდან. მაგრამ, რას ფიქრობთ, სად გაატარებდა ქრისტე დროის ყველაზე დიდ ნაწილს? ეცადე პირველმა გამოთქვა ასეთ საქმეზე მოხალისეობის სურვილი.



ექსტრემალური
აუდიენცია

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

მაშინაც კი, როცა ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი განმარტოვებულ საკანში მოათავსეს და სინათლესა და ხმაურს ჩამოაშორეს, უხილავ აუდიენციას უქადაგებდა.

ციხიდან მისი სასწაულებრივი გათავისუფლებისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიგრაციის შემდეგ, ხუცესმა ვურმბრანდმა რამოდენიმე წიგნი დაწერა ციხეში მიღებული გამოცდილების, განმარტოებულ საკანში შექმნილი და დაზეპირებული მსახურებების შესახებ. წიგნის გამოცემიდან რამდენიმე წლის შემდეგ, მან ასეთი წერილი მიიღო.

ძვირფასო ხუცესო ვურმბრანდ.

მორწმუნეების ოჯახში გავიზარდე, მაგრამ გზას ავცდი და კანადის ციხეში მოვხვდი. მინდოდა ღმერთს დავბრუნებოდი, მაგრამ არ ვიცოდი როგორ, ვილოცე, „ღმერთო, თუ ქვეყნიერებაზე სადმე კიდევ არის მარტოსული პატიმარი, რომელიც შენ გიცნობს, გთხოვ მისი ფიქრები გამიზიარო.“ შინაგანი ხმა მომესმა და მითხრა, ჩუმად დავმჯდარიყავი და ღმერთი შემეხებოდა.

სასწაულებრივად, ყოველ ღამე მესმოდა ქადაგების მსგავსი სიტყვა, რომელიც შორიდან მოდიოდა. მოვინანიე და ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ქრისტიანულ მაღაზიაში წავაწყდი თქვენს წიგნს, *მსახურება განმარტოვებულ საკანში.* მაშინვე ვიცანი, რომ წიგნში მოცემული ქადაგებები მსგავსი იყო ჩემს მიერ ციხეში მოსმენილი ქადაგებებისა. მადლობა მათი გამოცემისათვის!

ხუცესმა ვურმბრანდმა, ორი ანალოგიური შინაარსის წერილი მიიღო სრულიად სხვადასხვა ქვეყნიდან. ნამდვილად, ანგელოზებმა მიიტანეს ეს ქადაგებები იმ ადამიანებთან ვისაც ღვთის მოსმენა სწყუროდა.

ნათქვამია, რომ ქრისტიანები ხშირად არ იყენებენ ანგელოზებს თავიანთი რწმენის სიმცირის გამო. ძალიან ხშირად მორწმუნეები კმაყოფილები არიან კარგი ცხოვრებითა და იშვიათი კურთხევებით. მაგრამ ღმერთს იმაზე მეტის მოცემა სურს ჩვენთვის ვიდრე უბრალოდ კარგის. მას სურს უკეთესი მოგვიტანოს და ასე გასინჯეთ საუკეთესოც კი; რატომღაც, კურთხევები რწმენით მთხოვნელთათვის აქვს შემონახული. რატომ უნდა ვთხოვოთ ღმერთს, როცა უკვე იცის ჩვენი საჭიროებები? რწმენით უნდა ვთხოვოთ, რათა გამოვხატოთ ჩვენი მასზე დამოკიდებულება. ხართ თუ არა კმაყოფილი იმ სიკეთეებით რასაც ღმერთი გაძლევთ? მაშინ რწმენით სთხოვეთ უკეთესი. ნუ დაისახავ მიზნად იმაზე ნაკლებს, ვიდრე მის საუკეთესო სურვილებს შენს ცხოვრებაში.



118-ე დღე



მთელი კაცობრიობა რომ მართალი ყოფილიყო და მხოლოდ ერთი კაცი ცოდვილი, ქრისტე მაინც მოვიდოდა, რათა იმ ერთი კაცისათვის ეტვირთა იგივე ჯვარი. ისე შეიყვარა მან ყოველი ადამიანი.

წმ. ავგუსტინე

119-ე დღე

ექსტრემალური „მშიშარა“

ტარსუსი: იოანე მარკოზი

„ის არ წამოვა ჩვენთან!“ თქვა პავლემ. „ის მშიშარაა და მსახურებისათვის არ გამოდგება.“

ბარნაბამ უპასუხა, „შენ შეიძლება ხელი ჩაიქნიე მასზე მაგრამ ღმერთმა არა.“

პავლე მტკიცედ იდგა. „ვერ მაიძულებ, ბარნაბა. მხოლოდ ისეთ ხალხს წამოვიყვან ვისაც ვენდობი. ამ მოგზაურობისას ის არ დაამოწმებს რწმენაზე.“

„მაშინ არც მე წამოვალ. ეს შენი გადასაწყვეტია პავლე. ღმერთი გაძლევს გადაწყვეტილებებს მოგზაურობაში. დაე, მშვიდობით დავშორდეთ ერთმანეთს. როცა ეკლესიას შენი ეშინოდა, ღვთის მადლით მოვედი და დავარწმუნე ისინი, რომ შენ დიდებულ საქმეს აკეთებ ღვთის სასუფევლისათვის. ღმერთსაც იგივე მოწოდება აქვს იოანე მარკოზისათვის.“

პავლე ყოყმანობდა. „მაშინ ასე იყოს. ვიმედოვნებ, რომ მართალი ხარ ჩემო ძველო მეგობარო, თუმცა არ ვიზიარებ შენს აზრს.“ პავლეს და ბარნაბას გზები გაიყარა.

ბოლოს, პავლემ და იოანე მარკოზმა რომის ციხეში ამოყვეს თავი ერთად, რამაც პავლე თავისი ახალგაზრდა მეგობრის ქრისტესადმი ერთგულ მსახურებაში დაარწმუნა. იოანე მარკოზმა, მარკოზის სახარება დაწერა და თავისი შიში და უშიშრობა დაამტკიცა პავლესთან ერთად ციხეში გადატანილი ყოველდღიური სირთულეებით. მძიმე განსაცდელებისას, მარკოზი მთავარი გზიდან არ უხვევდა, რის შესახებაც პავლე ტიმოთესადმი მიწერილ წერილში საუბრობდა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.

საქმეები 15:35-41; 2 ტიმოთე 4:11

ღმერთი ხშირად უშვებს ჩვენს ცხოვრებაში გამოსაცდელ სიტუაციებს ორიდან ერთი ჭეშმარიტების გამოსააშკარავებლად: განსაცდელს გამოიყენებს იმისათვის, რომ დაგვანახოს რამდენად გავიზარდეთ რწმენაში, ან პრობლემების საშუალებით დაგვანახებს სად უფრო გვჭირდება გაზრდა. მშიშარა იოანე მარკოზის მიძღვნილ ქრისტიანად გარდაქმნა შეგვახსენებს, რომ სულიერი ზრდა არის პროცესი. შეიძლება გავიხსენოთ წარსულის სისუსტეები, სადაც უფრო მეტ სიძლიერეს ვისურვებდით: მაგრამ წარსულმა არ უნდა იმოქმედოს ჩვენს მომავალზე. როგორც მარკოზს, გჭირდება თუ არა შენი პირობის განახლება ქრისტეში? ილოცე ხელსაყრელი შემთხვევისათვის, რაც სულიერ ზრდაში დაგეხმარება.

აიყვანე მარკოზი და თან
წამოიყვანე, ვინაიდან
მჭირდება მსახურებაში.

2 ტიმოთე 4:11

120-ე დღე

ექსტრემალური
მსახურება

ჩინეთი

„ესროლე მათ, და შენ ცოცხალს გაგიშვებთ!“

კომუნისტური ჩინეთის ციხეში დაპატიმრებულ ხუცესს პირობა შესთავაზეს. მაგრამ, მის გვერდით მდგომ ორ გოგონას მტკიცედ გადაეწყვიტა უარი არ ეთქვათ რწმენაზე. საშინელი სცენის მოწმე თანასაკნელი მათ სახეებს ფერმკრთალს, მაგრამ ლამაზს-უსასრულოდ მოწყენილს, მაგრამ ტკბილს უწოდებდა. მათ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი მომკვდარიყვნენ, ვიდრე ქრისტესათვის ზურგი შეექციათ.

ხუცესმა განმარტა, „სამივე რატომ უნდა მოვკვდეთ? რომ მოგკლათ და მე გამიშვან, ეკლესიებთან მუშაობას გავაგრძელებ.“

გოგონებმა მას თბილად უპასუხეს, „ვიდრე გვესროდე, მადლობა გვინდა მოგიხადოთ იმისათვის რაც ჩვენთვის გააკეთე. თქვენ მიგვიყვანეთ რწმენაში, მოგვნათლეთ და ზიარება მიგვაღებინეთ. ღმერთმა მოგაგოთ ყველა სიკეთისათვის. თქვენ ისიც გვასწავლეთ, რომ ხანდახან ქრისტიანები სუსტები არიან და საშინელ ცოდვებს ჩადიან, მაგრამ კვლავ შეიძლება ღმერთმა მიუტეოთ. როცა ჩვენდამი ჩადენილ საქციელს ინანებ, იუდასავით კი არ მოიქცე, არამედ პეტრესავით მოინანიე. და გახსოვდეს, რომ ჩვენი ბოლო ფიქრები შენდამი სიძულვილითა და სიბრაზით კი არ არის გაჟღენთილი, არამედ სიყვარულითა და პატიებით. ჩვენ ყველა გავივლით ბნელ გზას. ჩვენ სიხარულით ვკვდებით.“

მაგრამ ხუცესს გული გაქვავებოდა, და გოგონებს ესროლა. მყისვე, კომუნისტებმა ხუცესიც დახვრიტეს.

მოსალოდნელი სიკვდილის შიშისაგან ადამიანებმა შესაძლოა საკუთარ მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და აუსრულებელ ოცნებებს უღალატონ. ზოგიერთები ამას იხსენებენ როგორც საკუთარი ცხოვრების „თვალწინ გაელვება.“ ეს მოგონებები შეიძლება უკავშირდებოდეს შენი მეგობრისადმი გამოჩენილ სიბრაზეს, სიმწარესა და სიძულვილს რასაც გამართლებას უძებნი.აქვს თუ არა ადგილი მიტევებას? როგორც ქრისტიანებმა, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მივანიჭოთ უპირატესობა მიტევებას, სიკვდილ-სიცოცხლის შემთხვევაშიც კი. როგორც ამ მოთხრობის გოგონები, შენი ღალატისადმი დამოკიდებულება კარგ ქადაგებას გამოაცხობდა. როგორ წარუძღვებოდა შენი პატიება შენს ნაცნობს ქრისტესაკენ?



121-ე დღე

ექსტრემალური
ფარი

პაკისტანი: თაჰირ იქბალ და რაიმონდ ლული

„თოკს ვაკოცებ მაგრამ არასოდეს უარვყოფ რწმენას!“ ახსნა ტაჰირ იკბალმა. ჯარისკაცებმა პარალიზებული ხუცესი ინვალიდის სკამიდან აიყვანეს და კისერზე მარყუჟი ჩამოაცვეს. დღეს იგი თავისუფლად დადის ზეცაში ქრისტესთან.

პაკისტანელ ხუცესს სროლის ხმა მოესმა საკუთარი სახლის გარეთ. ტყვია ოდნავ აცდა ხუცესს და მის სკამს უკან კედელს მოხვდა. მან მადლობა მოუხადა ღმერთს კიდევ ერთი დღის გათენებისათვის, რათა მუსულმანურ ერში ქრისტეს ქადაგების შესაძლებლობა მისცემოდა.

რაიმონდ ლულუმ ოქსფორდის პროფესორის კომფორტული ცხოვრება დათმო და თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სახარებისთვის ტანჯვაში გაატარა. იგი წერდა, „ერთხელ მდიდარი ვიყავი და თავისუფლად ვიღებდი ამ ცხოვრების სიამტკბილობას. ყველა ამ სიამოვნებას თავისუფლად გავცვლი ჭეშმარიტების ცოდნის გასავრცელებლად. ციხეშიც ვყოფილვარ და ტანჯვაც ამიტანია... ახლა, თუმცა მოხუცი და ღარიბი ვარ, რწმენა არ დამიკარგავს; მზად ვარ, თუ ღვთის ნება იქნება, სიკვდილამდე შეუპოვრად ვიდგე.“

ასეთ მორწმუნეებს „რწმენის ფარის“ უნიკალური გაგება აქვთ. მათ გააცნობიერეს, რომ ეს თავიდან კი არ ააცილებდათ ტანჯვას, არამედ ძალას აძლევდათ ტანჯვის გადატანაში. რწმენის ფარმა მისცა მათ ქრისტესათვის სულიერი ბრძოლის გაგრძელების გადაწყვეტილება, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ ამ დედამიწაზე.

პირველი საუკუნის ბრძოლა მოიცავდა ცალ ხელში ფარის და მეორეში ისრის ჭერას. ერთით, ჯარისკაცები მტერზე გამარჯვებას იპოვებდნენ. მეორეთი კი, თავს იცავდნენ. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს დღევანდელ სულიერ ომს, „რწმენის ფარს“ დამტვერილსა და კუთხეში მიგდებულს ვნახავდით? როცა ღვთის ფარის მიერ შემოთავაზებული დაცვიდან გამოვდივართ, მტრის თავდასხმა იარას გვაყენებს. რწმენის გარეშე, შეუძლებელია თავი აარიდო შიშსა და იმედგაცრუებას. მტრის პირველი თავდასხმისთანავე გზას ვუჭრით სახარების წარმატებას. რამ ჩამოგაშორა შენს გარემოცვაში სახარების წარმატებისადმი ხელისშეწყობას? რა ასპექტში გჭირდებათ რწმენის ფარის მოქნევა საშიში ოპოზიციის არსებობისას?



122-ე დღე

ექსტრემალური
მადლი

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

ხუცეს რიჩარდ ვურმბრანდს თავისებური მიდგომა ჰქონდა პატიმრებთან. ხუცესი, რომელიც ეს-ესაა საკანში შეაგდეს, გაუნძრევლად იჯდა იატაკზე. მაგრად იყო ნაცემი. ვურმბრანდი დარწმუნებული არ იყო გადაიტანდა თუ არა ახალმოსული იმ ღამეს.

ხუცესმა ვურმბრანდმა სიყვარულით დაიჩოქა ნაცემ ხუცესთან და ჰკითხა, „ჩემო ძმაო... შეგიძლია ილოცო, 'მამაო მიუტევე'?"

კაცი ტკივილისაგან შეკრთა, დასივებულ და დალურჯებულ სახეზე ხელი მოისვა. საუბარი უჭირდა. ნელა წარმოთქვა სიტყვები, „არ შემიძლია."

ვურმბრანდმა თანაგრძნობა გამოხატა კაცის მიმართ, ნაცემმა ხუცესმა ლაპარაკი დაიწყო. ცრემლმორეულმა თქვა, „ჩემი ლოცვა არ არის 'მიუტევე.' ჩემი ლოცვაა...,მამაო, მიუტევე მათაც და *მეც.*' უკეთესი ხუცესი რომ ვყოფილიყავი უფრო მეტი მოქცეული მწამებელი გვეყოლებოდა."

ამ განადგურებულ ხუცესს ის აწუხებდა, რომ მტრის ქრისტესაკენ მოქცევის შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. ორივე ხუცესმა იცოდა, რომ რუმინეთის კომუნისტური ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი დაიჭირეს და სავარაუდოდ ქრისტიანმა პოლიციელმა უმოწყალოდ სცემა. ამ შემთხვევამ ახალგაზრდას სამუდამოდ გაუქვავა ქრისტეს მიმართ გული. სახარების სასარგებლოდ გამოსაყენებელმა შესაძლებლობამ რუმინეთის ყოფილი კომუნისტური პარტიის წევრი დიქტატორი გახადა. ახლა ეს ახალგაზრდა-ნიკოლაი ჩაუშესკუ უთვალავი ქრისტიანის წამებაზე პასუხისმგებელი პირი იყო, ხუცესი ვურმბრანდისა და მისი თანასაკნელი ნაცემი ხუცესის ჩათვლით.

იმაზე სამწუხარო არაფერია, ვიდრე გამოტოვებულ შესაძლებლობაზე სინანული. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ვერ დაესწრები ბავშვის დაბადებას, გამოტოვებ შობის დილას, დააგვიანებ თვითფრინავის რეისზე. თუმცა, არაფერი არ შეედრება იმ გამოტოვებულ შემთხვევას, რომელსაც ადამიანის საუკუნო ცხოვრების შეცვლა შეეძლო. რა ვიცით როგორ გავლენას მოახდენდა მატარებელში ჩვენს გვერდით მჯდომი უბრალო ადამიანი ქრისტიანულ სამყაროზე-ჩვენ რომ რაღაც გვეთქვა. ანალოგიური სიმართლეა, რომ ჩვენს მიერ სიჩუმის დარღვევას შესაძლოა ქრისტიანობის მოწინააღმდეგეს გზა შეაცვლევინოს. შეიძლება სახარების სასარგებლოდ გამოსაყენებელი მრავალი შესაძლებლობა გაიხსენო წარსულიდან. თუმცა, მომავალის შეცვლა ყოველდღიურად ბოძებული შესაძლებლობის გამოყენებითაც შეგიძლია.



123-ე დღე

ექსტრემალური
მიძღვნა

ჩინეთი: ლუი ქსიაობო

ლუი ქსიაობუ ცეცხლს აფრქვევდა საკანში, მხოლოდ კომუნისტი მჩაგვრელების მიერ ჩადენილ ცოდვებზე ფიქრობდა. როგორც ჩინეთის ტიანანმენის მოედნის გაფიცვის წინამძღოლი, მისი დაჟინებული ლოცვა ჩინეთის ეკლესიის მთავრობის ზეწოლისაგან მშვიდობიან გათავისუფლებას შეეხებოდა. ის ფიქრობდა, რომ მშვიდობიანი ქრისტიანების მოწყალე ღმერთის სიყვარული დაძლევდა კომუნისტებს. მაგრამ ეს ყველაფერი ცუდად დასრულდა.

უყურებდა როგორ მამაცურად იდგნენ მისი მეგობრები საშინელების ბოლომდე. ახლა ის დაიჭირეს და დააპატიმრეს. როგორ შეიძლებოდა, რომ ღმერთს ასეთი საშინელება დაეშვა მათზე? მათმა მცდელობამ ადამიანური აზროვნების შედეგს ვერ მიაღწია.

შემდეგ ღვთის გამხნევება მოვიდა მასთან თანასაკნელი ქრისტიანი პატიმრის მეშვეობით. მასთან საუბრის შედეგად საკუთარი ცოდვიანობის გაცნობიერების შემდეგ ის წერდა, „როგორ შეიძლება ადამიანმა გაიგონოს ღვთის ხმა, როცა ცოდვის განცდა არა აქვს? კომუნისტებთან მათი ცოდვიანი საქმეების გამო ბრძოლის ნაცვლად, უმჯობესია ჩემი სიცოცხლე მივუძღვნა მათ ქრისტესაკენ მოქცევას, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს. იესო ცოდვილთა სიყვარულის გამო გაეკრა ჯვარს. საკუთარი თავი კომუნიტების სიყვარულს უნდა მივუძღვნა. თუ არადა, ყველანი უფსკრულში დავრჩებით, მწვერვალზე ასვლის ნაცვლად.“

ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ რადგან ქრისტეს მიუძღვნეს თავი, ცხოვრება ადვილი იქნება. შეიძლება ამას საჩუქრად იღებენ და მოელიან, რომ ყველაფერი თავისი გზით წავა ცხოვრებაში. ისინი ხომ „ღვთის ნებას“ ასრულებენ? რატომ არ უნდა იყვნენ წარმატებულები? მალე, რატომღაც, პრობლემები იწყება. შესაძლოა ფიზიკური ტკივილიც კი განიცადონ რწმენის გამო. როცა ქრისტიანობას ვირჩევთ, ხშირად ვხვდებით რამდენი მტერი ჰყავს ქრისტეს. იესო დაგვპირდა, რომ მისი სახელის გულისათვის მოგვიძულებდნენ. ჩვენი მტრებისადმი დამოკიდებლება არის გამოცდა, რამდენად ვგავართ ქრისტეს. გსურს თუ არა შენი მტრების სიყვარული და მათი ხსნისთვის ლოცვა? გაუზიარებ თუ არა მათ ქრისტეს შესახებ? ჩვენ თუ არ ვუქადაგეთ ქრისტე მჩაგვრელებს, ვინ გააკეთებს ამას?

აკურთხებდეთ თქვენს
მაწყევრებს და
ლოცულობდეთ თქვენსავე
შეურაცხმყოფელთათვის.

ლუკა 6:28

124-ე დღე

ექსტრემალური
კონტრასტი

რუსეთი: კლაუდია ვასილევნა

საბჭოთა პოლიციის საიდუმლო დოკუმენტები მოწმობენ, რომ ბოტოვოში, მოსკოვის გარეუბანში, ორმოცდაოთხი ათასი კაცი დახვრიტეს ორასკაციან ჯგუფებად და ჩუმად დამარხეს. მკვლელობის ერთ ღამეს, კლაუდია ვასილევნამ კარები გააღო... ქანცგამოლეული ქალი იდგა მის წინ, რომელიც ქრისტიანული რწმენის გამო უნდა დაეხვრიტათ, მაგრამ როგორღაც გამოქცევა მოუხერხებია. ქალი კლაუდიას დამალვას სთხოვდა.

შეშინებულმა კლაუდიამ უარი თქვა. კარი დაკეტა და ქალი გარეთ დატოვა, რითაც ბეჭედი დაუსვა მის სასიკვდილო განაჩენს. ორმოცდაათი წელი იტანჯებოდა კლაუდია და უჭირდა ქალის სახის დავიწყება.

კლაუდიას ტანჯვის საპირისპიროდ, რუმინული ეკლესიის წევრებს გულში სიხარული ჰქონდათ, საბჭოთა ციხიდან ორი გამოქცეული გერმანელი ჯარისკაცისათვის დახმარების განევით. ისინი თავშესაფარს ხუცეს რიჩარდ ვურმბრანდის ეკლესიაში ეძებდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს, რუმინეთში მკაცრი გერმანელი ნაცისტები ბატონობდნენ. როგორც კი გერმანიამ ომი წააგო, რუსული არმია შეიჭრა რუმინეთში და გერმანელი ჯარისკაცები ტყვედ აიყვანა. გერმანელის დახმარება ან დამალვა სიკვდილით ისჯებოდა.

გერმანელ ჯარისკაცებს ჯერ კიდევ ეცვათ სამხედრო ფორმა და სიკვდილის კანდიდატები იყვნენ. ეკლესიური ოჯახები შეთანხმდნენ გერმანელებს დახმარებოდნენ. ეს საქმე არ იყო მათი განსასჯელი, არამედ ისინი ცდილობდნენდახმარებოდნენ ნებისმიერ ადამიანს და სიკვდილისაგან დაეხსნათ. ამ დროს ისინი გერმანელ ბავშვებთანაც ეწეოდნენ მსახურებას; მათ იცოდნენ, რომ ისე მოქმედებდნენ როგორც ქრისტე მოიქცეოდა მათ ადგილზე.

ქრისტიანებს ხშირად უწევთ არჩევანის გაკეთება სხეულებრივ ტანჯვასა და სულიერ განსაცდელს შორის. ეს არის განსხვავება ამქვეყნიურ ტანჯვასა და მარადიულ სინანულს შორის. ძნელია წარმოიდგინო როგორ კონტრასტულ სიტუაციაში უწევთ ექსტრემალურ ქრისტიანებს ცხოვრება ქვეყნიერების მეორე კიდეში. მათი მდგომარეობა ხშირად ძალიან ექსტრემალურია. მათთან შედარებით ჩვენს ჩვეულებრივ მდგომარეობაშიც კი ხშირად ისეთი რთული გადაწყვეტილებების მიღება გვიწევს, რომელშიც გამხნევებას ვსაჭიროებთ. ვარჩევდით თუ არა ამქვეყნიურ უსაფრთხოებას მარადიულს? გავწევდით თუ არა ამქვეყნიურ რისკს სულიერი უპირატესობისათვის?

როცა შენს შესაძლებლობაზე აღმატებული გამხნევება გჭირდება, სთხოვე ღმერთს დახმარება. ის მოგცემს საჭირო სიბრძნესა და საჭირო დროს, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.



125-ე დღე

**ვინაიდან ქრისტეს გულისათვის
მოგეცათ თქვენ არა მარტო რწმენა,
არამედ მისთვის ტანჯვაც.**

ფილიპელთა 1:29

126-ე დღე

ექსტრემალური
მოგზაურობა

ჩინეთი: ბობ ფუ

ჩინელი პროფესორი ბობ ფუ და მისი ცოლი საიდუმლოდ ატარებდნენ ბიბლიის გაკვეთილებს მივარდნილ სოფლებში. პროფესორს მუდამ აოცებდა მცხოვრებლების ღვთის სიტყვისადმი ინტერესი.

ერთი დასამახსოვრებელი თორმეტსაათიანი ავტობუსით მგზავრობა ისე დაიწყო, რომ რამოდენიმე საათი ეკლესიის წინამძღოლი ჩამტვრეულ ფანჯარასთან იდგა, რათა ფუს წვიმა არ დასხმოდა და დასვენების შესაძლებლობა მისცემოდა. მეორე საღამოს, პატარა 'მარშრუტკით' წავიდნენ საქადაგებლად ცუდი და ტალახიანი გზით და ტალახში ჩაეფლნენ; ტრაქტორი მოიყვანეს მანქანის დასახმარებლად, მაგრამ ტრაქტორიც ტალახში ჩაეფლა. ამის შემდეგ, მთვარის შუქზე იარეს მთელი ღამე, ფეხი უსრიალებდათ და ტალახში ეცემოდნენ.

მეორე დილით დანიშნულების ადგილზე მივიდნენ სადაც თბილად შეხვდნენ. თანასოფლელებმა მსახურებამდე ორი საათით ადრე დაიწყეს საოჯახო ეკლესიაში სალოცავად შეკრება. ზოგიერთებმა ორმოცდაათი კილომეტრი გამოიარეს ღვთის სიტყვის მოსასმენად. სახლში საკმარისი სკამები არ იყო, ასე რომ ეკლესიის წევრები ქვებზე ან ხის მორებზე ისხდნენ. ამ რეგიონში მათ სხვა კურთხევაც ჰქონდათ: ძალიან რთული იყო პოლიციისათვის მათი დევნა. რამოდენიმე დღის განმავლობაში შეეძლოთ თავისუფლად მსახურება!

თითოეულმა მათგანმა დაძლია ექსტრემალური მგზავრობის სირთულე მსახურებისათვის, მაგრამ არავინ არ თვლიდა ამას მსხვერპლის გაღებად. მათ უბრალოდ დავითივით სწყუროდათ, ვინც მთელი არსებით ადიდებდა ღმერთს.

ქრისტიანობა აკრძალულ ქვეყნებში, ეკლესია სავალდებულო კი არ არის, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. როცა თავისუფალ ქვეყნებში პირიქით არის და ადამიანები ყოველ კვირას ეკითხებიან საუთარ თავს წავიდნენ თუ არა ეკლესიაში. აქვთ თუ არა დრო? წვიმს? გვიანობამდე ძილს ამჯობინებენ? რა იქნება მსახურების თემა? ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირად გაგვივლის ხოლმე თავში კითხვა, ღირს თუ არა ეკლესია ჩვენი დროის დაკარგვად. დავითისა და სხვებისათვის, ღმერთთან შეხვედრა კითხვას არ იწვევდა. უფრო მეტიც, არაფერს არ მისცემდნენ მსახურებაზე ჩამოშორების ნებას. როდის სთხოვე ღმერთს ბოლოს ანალოგიური მსახურების ძალა. დღეს სთხოვე ღმერთს, დაგეგმე ამ კვირას ეკლესიაში წასვლა და ღმერთთან შეხვედრა.

როგორც ირემი მიილტვის წყლის
ნაკადულებისაკენ

ფსალმუნი 41:2

127-ე დღე

ექსტრემალური
კომპოზიტორი

რუსეთი: ნიკოლაი მოლდოვა

მკაცრი ზამთრის შუადღეს, რუსი, მთვრალი, დაცვის თანამშრომელები შემოვიდნენ ცივ საკანში. ერთი პატიმარი, ნიკოლაი მოლდოვა, პოეტი და კომპოზიტორი, ამავდროულად მიძღვნილი მორწმუნე და მართლმადიდებლური ეკლესიის ევანგელური მოძრაობის წინამძღოლი იყო. მას ხუთი წელი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს თავისი მსახურების გამო.

„დაწექი მუცელზე!“ დაუყვირა დაცვამ ნიკოლაის. თხელი პერანგითა და შარვლით დაწვა გაყინულ იატაკზე. თავისი მძიმე ჩექმებით შედგა დაცვა მას ზურგსა და ფეხებზე ერთი საათის განმავლობაში.

დაცვის წასვლისთანავე თანასაკნელები ნიკოლაისთან მიცვივდნენ დასახმარებლად. მათდა გასაოცრად, ნიკოლაიმ თქვა, „ახალი საგალობელი დავწერე, მათი ჩემს ზურგზე სიარულისას.“ სიმღერა დაიწყო, „არა მხოლოდ მომავალი სასუფევლის შესახებ ვილაპარაკებ, ნეტავ აქ მქონდეს ზეცა და ლხინი.“

ნკოლაის ციხიდან გამოსვლის შემდეგ პოლიციამ სახლი გაჩხრიკა და უნიკალური ხელნაწერი ჩამოართვა, რომელზედაც იგი მრავალი წელი მუშაობდა. ასობით ძვირფასი საათის შრომა, ნაწერები და ქადაგებები ჩამოართვეს. ამის შემდეგ, ნიკოლაიმ ახალი საგალობელი დაწერა. „თაყვანს გცემ მთელი მადლიერებით ყველაფრისათვის რაც მომეცი, და ყველა ჩემი საყვარელი საგნის წაღებისათვის. შენ ყველაფერს კარგად აკეთებ და ყველაფერში გენდობი.“

დღეს, ნიკოლაი მოლდოვას საგალობლებს მთელი მისი ერი გალობს.

ნათქვამია, რომ ცხოვრება არის ათი პროცენტი იმისა რაც ხდება და ოთხმოცდაათი პროცენტი თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ადამიანს მომხდარისადმი. ამ გადასახედიდან, რეალობას კი არა აქვს იმდენი მნიშველობა, რამდენადაც პიროვნების დამოკიდებულებას მომხდარისადმი. ვითარება ადამიანის კონტროლს არ ექვემდებარება. მაგრამ შენი რეაქცია ან პასუხი დამოკიდებულია არჩევანზე. რადგან ცხოვრებამ შესაძლოა მოგვიტანოს არასასურველი მრავალფეროვნება და მინორული ტონი. ღვთის დახმარებით, როგორღაც, შეიძლება ავირჩიოთ ნოტი, რომელიც წარმოქმნის განდიდებისა და გამარჯვების საგალობელს. ჩვენი ცხოვრების ურთულეს მდგომარეობაშიც კი შეგვიძლია ავირჩიოთ მელოდიის მოსმენა. როგორ აღწერდი შენი ცხოვრების ნამდვილ მდგომარეობას? როგორია შენი დამოკიდებულება ამ მდგომარეობისადმი? რა გჭირდება იმისათვის რომ ნოტი შეცვალო?

ისმინეთ, მეფენო, ყურს იღეთ,
დიდებულნო: მე ვუმღერი
უფალს, ვუგალობ უფალს,
ისრაელის ღმერთს.

მსაჯულთა 5:3

128-ე დღე

ექსტრემალური ძალადობა

ალექსანდრია: იოანე მარკოზი

მარკოზის სახარების დაწერის შემდეგ. იოანე მარკოზი მოგზაურობდა, ჩრდილო აფრიკასა და ეგვიპტეში, თესავდა რწმენის მარცვალს, ბოლოს ალექსანდრიაში დასახლდა და ეკლესია დაარსა.

ჩვენი წელთ აღრიცხვით, აპრილის 21, მარკოზმა ქრისტეს ტანჯვასა და სიკვდილზე იქადაგა როგორც გამოსვლის დღესასწაულზე, რასაც ჩვენ აღდგომის კვირას ვუწოდებთ. თვალში უცნაურად ხვდებოდათ ადგილობრივ წარმართ მღვდლებს ეს, ამიტომაც ის დღე მთელი მოსახლეობის მის წინააღმდეგ წასაქეზებლად გამოიყენეს.

აჯანყებულნი ეკლესიაში შეიჭრნენ და მარკოზი შეიპყრეს. კავებითა და თოკებით გამოათრიეს ეკლესიიდან ქუჩაში და ქუჩიდან ქალაქგარეთ. სისხლისა და ხორცის ნაფლეთების კვალი დატოვა ქვებზე. თითქოს სხეულის ყველა ნაწილიდან სდიოდა სისხლი, ბრბო დასცინოდა და აბუჩად იგდებდა. ბოლო სიტყვებით საკუთარი სული ღმერთს გადასცა ხელში და მოკვდა.

მარკოზის სიკვდილით ვერ დაკმაყოფილდა სისხლს მოწყურებული ბრბო და მღვდლების ბრძანებით მისი სხეული კი არ დამარხეს, არამედ დაწვეს.

მოულოდნელად, ქარიშხალი ამოვარდა, ბრბო აქეთ-იქით მიმოფანტა და მარკოზის სხეული იქ დარჩა სადაც მოკვდა. შემდეგ ქრისტიანთა ჯგუფი მოვიდა, მისი სხეული წაიღო და საკადრისი პატივით დაკრძალა.

იესო არასოდეს გასძღოლია სამხედრო ჯარს, არასოდეს წაუქეზებია აჯანყებულები, და არასოდეს ულაპარაკია ომზე, მიუხედავად ამისა მის მიმდევრებზე გამუდმებით ძალადობდნენ მოწინააღმდეგეები. იესოს უწყება ლაპარაკობს სიყვარულზე, მშვიდობასა და შერიგებაზე, მიუხედავად ამისა მთავრობის ხელმძღვანელები სახარებას ომის გამოცხადებად მიიჩნევდნენ. რეალურად ომში ვართ ჩართული-ჩვენს მხსნელსა და სატანას შორის ბრძოლაში. ბოროტი ძალა თავს არ დაზოგავს იმისათვის, რომ ძირი გამოუთხაროს ღვთის სამეფოს ქრისტიანებზე ძალადობით. აღმოჩნდები თუ არა გამარჯვებულთა მხარეს ბრძლის დასასრულს?

> რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის
> სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ,
> არამედ მთავრობათა წინაარმდეგ,
> ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ
> სოფლის სიბნელის მპყრობელთა
> წინააღმდეგ, ცისქვეშეთის
> ბოროტების სულთა წინააღმდეგ.
>
> *ეფესელთა 6:12*

129-ე დღე

ექსტრემალური
წყალობა

რუმინეთი: მიმტევებელი ებრაელი

რუმინელი ხუცესი და მისი მეუღლე საბჭოთა ჯარისკაცებს მალავდნენ ქვეყანაში ნაცისტების გამარჯვების შემდეგ. ახლა ნაცისტებს სჭირდებოდათ დახმარება.

სამი გერმანელი ჯარისკაცი იმალებოდა მათი სახლის უკან მდებარე პატარა შენობაში. ხუცესის მეუღლეს ჩუმად მიჰქონდა მათთან საჭმელი და ღამით გამოჰქონდა ტუალეტის ვედრო. როგორც ებრაელს, სძულდა მათი საქციელი-გერმანელებმა მთელი მისი ოჯახი ამოხოცეს. მაგრამ, როგორც ქრისტიანი, ვალდებული იყო ლტოლვილებისათვის ფიზიკური და სულიერი დახმარება გაეწია.

კაპიტანი გააოცა წყალობამ: „ვფიქრობ, რატომ იგდებს ებრაელი ქალი სიცოცხლეს საფრთხეში? ებრაელები არ მიყვარს და ღმერთისა არ მეშინია. უნდა გითხრათ, რომ როცა გერმანელები ბუქარესტს ხელახლა დაიბრუნებენ და ეს მართლა მოხდება, სამაგიეროს სიკეთით არ გადაგიხდი.“

ხუცესის მეუღლეს არ შეშინებია მისი გულცივობის. მაინც აგრძელებდა ქადაგებას, „ყველაზე საშინელ დანაშაულსაც კი პატიებს იესო ქრისტე. მე პატიების ძალაუფლება არა მაქვს თუ მოინანიებ, მაგრამ იესოს აქვს.“

ოფიცერმა უპასუხა, „ვერ ვიტყვი რომ გაგიგეთ. მაგრამ, ალბათ უფრო მეტ ხალხს რომ შეძლებოდა ბოროტებაზე სიკეთით მიგება ნაკლები მკვლელობები იქნებოდა.“

ოფიცრები მალე გაიქცნენ გერმანიაში, მოუნანიებლები. მაგრამ ხუცესმა და მისმა მეუღლემ თავისი მოვალეობა შეასრულეს ქრისტიანობის ნამდვილი მნიშვნელობის წარმოჩენით.

იესომ თესლის სხვადასხვა ნიადაგზე მთესველის იგავი გვიამბო, რომელთაც სხვადასხვა ნაყოფი გამოიღეს. ამ ამბავში თესლი არის ღვთის სიტყვა. როგორც ჩიტები კენკავენ ბაღში დაცვენილ თესლს, ასევე სურს ეშმაკს ღვთის სიტყვის მსმენელის გულიდან მოტაცება. როცა, კარგი მიწის მაგალითები ღვთის სიტყვას იღებენ და პასუხობენ. როცა ღვთის სიტყვას ვუზიარებთ ადამიანებს არ ვიცით როგორი „ნიადაგია“ მათ გულში. ჩვენ ვერ ვაგებთ პასუხს მათ დადებით თუ უარყოფით რეაქციაზე. იმედგაცრუებული ხომ არ ხართ, რომ ვიღაცამ დადებითად არ უპასუხა სახარებას? თქვენ თქვენი როლი შეასრულეთ. ახლა, იგივეს გაკეთების ნება მიეცით ღმერთს.



130-ე დღე

ექსტრემალური
ქადაგება

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

1991 წელს, რუმინეთის კომუნისტურმა მთავრობამ ახალი სახე მიიღო. მთვრობას მოწინააღმდეგე პარტიის გამარჯვების ეშინოდა. და რუმინელ ხუცესებს საზოგადოებრივი შეხვედრის ადგილებში ქადაგება სთხოვეს. თუმცა ხუცესებს უბრძანეს განსაკუთრებულ საკითხზე ექადაგათ-მტრის სიყვარულზე-რათა ხალხს მათთვის ეპატიებინა. მთავრობა ფიქრობდა, რომ ქრისტიანული უწყებით თავის სასარგებლოდ მოახდენდა ხალხზე მანიპულირებას.

ქრისტიანებმა სიხარულით მიიღეს მოწვევა და ღიად ქადაგებაც დაიწყეს, თუმცა იცოდნენ, რომ მთავრობა საკუთარ თავდაცვას ისახავდა მიზნად. მაგრამ ფიქრები, „რატომ უნდა ვუქადაგოთ დაჩაგრულებს მჩაგვრელთა სიყვარული?“ ისინი ფიქრობდნენ, რომ მიტევებაზე ქადაგება სახელმწიფოს გააძლიერებდა.

ასეთ ატმოსფეროში დაბრუნდა ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი ოცდახუთწლიანი გადასახლებიდან. იგი მიწვეულ იქნა რუმინეთის ტელევიზიაში, სადაც „მტრის სიყვარულზე“ გაამახვილა ყურადღება.

მისმა სიტყვებმა ეკლესია დამნაშავედ სცნო: „გიყვარდეს, უბრალოდ იმიტომ, რომ სიყვარული ყველაფრის შიშს თავისი ზემოქმედების ქვეშ აქცევს. მტრის სიყვარულზე ქადაგება არ უნდა შევწყვიტოთ, თუმცა, ხანდახან, ღვთის მოძულენი ამით სარგებლობენ. ჩვენ გვჯერა, რომ სიტყვა არის ღმერთი და ეს სიტყვა ბოლოს ღვთის მოძულე ადამიანებსაც გარდაქმნის.“

ბიბლია სავსეა საკვირველი დასასრულის ისტორიებით... თავიდან ბოლომდე. როცა ბოროტი იმარჯვებს კეთილზე, მაშინ მოაქვს ღმერთს კეთილისათვის გამარჯვება. საბედნიეროდ, ღმერთია ჩვენი ცხოვრების ავტორი. უფლება არ გვაქვს კითხვა დავსვათ თუ როგორ განვითარდება იგი. შესაძლოა განვიცდით, რომ ეფექტურად არ ვართ ღვთის საქმისათვის გამოყენებული. შესაძლოა იმასაც განვიცდით, რომ ჩვენი ევანგელიზაციის მცდელობა სხვებმა ჩაშალეს. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოვალეობაა ერთგულად ვიქადაგოთ მისი სიტყვა და ღმერთს რთულ მდგომარეობაში მოქმედების ნება მივცეთ. ღმერთი ჯერ კიდევ წერს ისტორიებს და საუკეთესოს ჯერ კიდევ ველოდებით!

აჰა, თქვენ ბოროტება განიზრახეთ
ჩემთვის, მაგრამ ღმერთმა
სიკეთედ მოაქცია იგი, რათა
გაეკეთებინა ის, რაც ახლა არის:
სიცოცხლე შეენარჩუნებინა
უამრავი ხალხისათვის.

დაბადება 50:20

131-ე დღე

ექსტრემალური
გახსენება

ტიბეტი: უილიამ სიმპსონი

„შენი ვაჟი მოკლეს.“

ბატონმა სიმპსონმა საშინელი ცნობა მიიღო იმ დღეს. მის მისიონერ შვილს, უილიამსს, ტიბეტის საზღვარზე აუშენებია პატარა სკოლა, სადაც ღვთის სიტყვას ასწავლიდა ბავშვებს. უილიამის მამა შვილთან ახლოს ცხოვრობდა და ამბის შეტყობინებისთანავე სკოლაში გაიქცა. როგორც კი ირგვლივ მიმოიხედა მაშინვე თავისი შვილის მსახურების სურათმა გაუელვა გონებაში.

უილიამი ოთხი ათას კილომეტრს გადიოდა წელიწადში ცხენით ტიბეტელებისათვის ღვთის სიტყვის გასაზიარებლად. მუსულმან ფანატიკოსებს ორმოცდაათი ათასი კაცი მოუკლავთ ერთ ქალაქში, მაგრამ ამანაც ვერ ჩამოაშორა მისი ვაჟი გადაწყვეტილებას.

უილიამი წერდა, „ყველა განსაცდელი, მარტოობა, გულისტკივილი, სიცივე, დაღლა, ტკივილი, გრძელი გზა, იმედგაცრუება, მძიმე დანაკლისები, ცდუნებები და გამოცდა, ძნელია შეადარო ‘დიდებული სურვილის სიხარულის მოწმობას.’“

უილიამის მამამ დანგრეულ სკოლას შემოუარა და დაჩეხილი შვილის გვამი დაინახა იატაკზე. მოგვიანებით გაიგო, რომ მუსულმანთა ბრბო დასხმია თავს ქრისტიანულ სკოლას და მის დამაარსებელს უმოწყალოდ მოპყრობიან.

ბატონი სიმპსონი, როგორც მისიონერი, ამაყობდა თავისი შვილის ადამიანებთან ქრისტესმიერი დამოკიდებულებით. მისი ვაჟის სხეულის ქვეშ იყო დასისხლიანებული ფურცელი. მოწიწებით აიღო ფურცელი და შემდეგი სიტყვები წაიკითხა, „ჩემს მოსაგონებლად.“

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მიმფანტულია საფლავები. თითოეული მათგანი გმირობის, სიმამაცისა და განსაცდელისას პიროვნულ მიძღვნას გვახსენებს. ისტორიის ყველა ეპოქაში აქვთ აღმართული მოსაგონებელი ძეგლები. ეს ადამიანური ბუნების ნაწილია. არ გვინდა დავივიწყოთ ისინი, რომელთაც უმაღლესი ფასი გადაიხადეს ჩვენი თავისუფალი იდეალების, სამართლის, სიყვარულისა და პატივის დასაცავად. ჩვენი გული იხსენებს ქრისტესათვის წამებულებს, რომელნიც ქრისტესა და მისი სახარებისათვის მოკვდნენ. სამხედრო პატივი არ მიუგიათ მათი დასაფლავებისას. არც ძეგლი აღუმართავთ მათ საფლავებზე. მაგრამ ვკითხულობთ ამ ისტორიებს და მათ არასოდეს არ დავივიწყებთ. დაუთმე დრო დღეს მათ მოგონებას და განადიდე ღმერთი მათი შთაგონებისათვის.

ვმადლობ ჩემს ღმერთს
თქვენს ყოველ
გახსენებაზე.

ფილიპელთა 1:3

132-ე დღე

რომ შეგძლებოდათ და
გეჩვენებინათ, რომ თქვენა ხართ
ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია,
დაუყოვნებლივ თქვენს მხარეს
გადმოვიდოდით, რადგან ჩვენი
სურვილი ქრისტესთან ყოფნაა.
მაგრამ თქვენ აქ ჭეშმარიტებაზე
საკამათოდ არ მოსულხართ.
თქვენ ციხეში ჩაგვსვით.
თქვენ შეგიძლიათ სიცოცხლე
წაგვართვათ მაგრამ არა რწმენა.

ეპისკოპოსი იოანე ბალანი-მართლმადიდებელი/
კომუნისტი ხელმძღვანელების პასუხად, რომელთაც
მისი რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიისაკენ
გადაბირება სცადეს.

133-ე დღე

ექსტრემალური „სიმბოლო“

კუბა: ტომ უაითი

ვინც ციხეში იტანჯება ქრისტეს რწმენისათვის, მათთვის ზიარება ძვირფასი ცერემონიალია; თუმცა, ზიარებას ძალიან იშვიათად აქვს ადგილი ციხის მეთვალყურეების ხელში.

ტომ უაითმა და მფრინავმა მელმა, კომუნისტურ კუბას გადაუფრინეს პატარა თვითმფრინავით და ათასობით სახარებისეული ბროშურა ჩამოყარეს, ფიდელ კასტროს დიქტატორული რეჟიმის მიერ შევიწროვებული ათასობით ადამიანისათვის. თვითმფრინავი ჭექა-ქუხილში მოყვა და იძულებით დაეშვა მიწაზე. ტომი და მელი უვნებლად გადაურჩნენ უბედურ შემთხვევას, მაგრამ კუბის შეიარაღებული კომუნისტი პოლიციელები დაადგნენ თავს. ტომს და მელს ოცდაოთხი წელი მიუსაჯეს.

ტომს ცოლის, ოფელიას სტუმრობის ნება დართეს, რომელიც სხვა მსახურებას ეწეოდა. ოფელიამ პლასტმასისა და რეზინის ზონრით ჩუმად შეიტანა ციხეში ყურძნის ფხვნილი. ტომმა ყურძნის ფხვნილი საკანში წაიღო და თანასაკნელ ქრისტიან პატიმრებთან ერთად მიიღო ზიარება, როცა დაცვა არ უთვალთვალებდათ.

ტომს და ოფელიას ესმოდათ ერთი რამ. ქრისტეს მიერ ჯვარზე დაღვრილი სისხლი იყო მათი ქორწინებისა და მსახურების ხელშეუხებლობის უძლიერესი სიმბოლო.

ტომი და მელი თვრამეტი თვის შემდეგ გაათავისუფლეს. დღეს, ტომი და ოფელია ქრისტეს მიერ მათთვის გაღებული მსხვერპლის დიდებას აგრძელებენ ოკლაჰომაში, სადაც ტომი წამებულთა ხმას ხელმძღვანელობს.

ქრისტემ ორი რამის ზეიმი დაუტოვა მცნებად თავის მოწაფეებს: ნათლობა და ზიარება. ეს არის მისადმი მსახურების სიმბოლო-მისი სიკვდილისა და აღდგომის ზეიმი. რადგან ეს ქრისტიანული ტრადიციაა, არასოდეს არ უნდა გახდეს უბრალოდ ტრადიციული ღონისძიება. შესაძლოა ვერასოდეს გავუგოთ იმ მორწმუნეებს, რომლებიც სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ ქრისტეს ზიარების მისაღებად, რადგან ეს ტრადიცია ჩვენს კულტურაში არასოდეს არ წარმოადგენდა საფრთხეს. მაგრამ რწმენისთვის დევნილები პრიორიტეტების ცვლილების წინაშე დგანან. მათთვის სიმბოლები მსახურების მნიშვნელოვანი გამოხატვის ფორმა ხდება. რას ნიშნავს შენთვის ნათლობისა და ზიარების ქრისტიანული სიმბოლო? მომავალში როგორ მნიშვნელობას მიანიჭებ ნათლობაზე დასწრებასა და ზიარებაში მონაწილეობას?

აიღო პური, მადლი შესწირა, დატეხა, დაურიგა მათ და უთხრა: „ეს ჩემი სხეულია, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად.“

ლუკა 22:19

134-ე დღე

ექსტრემალური
მიძღვნა

რუმინეთი

გერინას ციხეში, რუმინეთში, წესების დამრღვევი პატიმრების სიას ადგენდნენ და თითოეულს ოცდახუთჯერ სცემდნენ მათრახით. ერთი დღე იყო განსაკუთრებით გამოყოფილი ამ მტკივნეული სასჯელის აღსასრულებლად. იმ დღეს, ოფიცერი დაივლიდა საკნებს და გასაწკეპლ ხალხს შეაგროვებდა ხოლმე.

რადგან ხელმძღვანელები გამუდმებით ცვლიდნენ სმენას და მრავალი პატიმარი იყო ციხეში, შეუძლებელი იყო ყოველი პატიმრის სახელის დამახსოვრება. როცა საკანში ვიღაცის სახელს დაიძახებდნენ გასაწკეპლად, რომელიმე ქრისტიანი პატიმარი გამოვიდოდა წინ და იტყოდა, „მე ვარ“. და რამოდენიმეჯერ სასტიკად სცემდნენ სხვის ნაცვლად.

ბოლოს, როცა ქრისტიანი პატიმარი თითქმის სიკვდილის პირას იყო მისული ცემისაგან, სხვა პატიმრები მის დამშვიდებას ცდილობდნენ, „ძმაო, გიხაროდეს. მალე ყველაფერი დასრულდება. სამოთხეში იქნები. იქ ტკივილი აღარ იქნება, მხოლოდ სიხარული!“

ნაცემი ქრისტიანი გამამხნევებლებისაკენ შებრუნდა და უპასუხა, „დაე ისე მიყოს ღმერთმა როგორც ენებოს... მაგრამ ჩემთვის რომ ეკითხა ვთხოვდი, რომ სამოთხეში არ წავეყვანე. ციხეში დარჩენას ვამჯობინებდი. რადგან ვიცი, რომ ენით აღუწერელი სიხარულის მიუხედავად, სამოთხეში ერთი რამ არ არის: სხვისთვის თავის მიძღვნა.“

ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში, სადაც გაზიარებაზე მეტად დროებით სიამოვნებას ამჯობინებენ, მიძღვნის ბიბლიისეული პრინციპი უცხოდ ეჩვენებათ. „მიიღე უფრო მეტი და უფრო სწრაფად“ არის ამქვეყნიური იდეალების თამაშის პრინციპი. ბიბლია კი სხვაგვარ გზას გვასწავლის წარმატებისაკენ. ამას ჰქვია მიძღვნა-ერთის მიერ მეორისათვის სიცოცხლის გაწირვა. ეს ბუნებრივად არ მოდის. თითქოს ეს იდეა ჩვენს შინაგანს არ ეთანხმება. მაგრამ, თუ ერთხელ ვცდით, ცხოვრებისელ გზად გადაგვექცევა. ჩვენში არსებული სულიწმიდა გვაძლევს ჩვენზე წინ სხვების დაყენების ძალას. უფრო მეტიც, მისი სული გვეხმარება ამის კეთების სურვილში. გსურს თუ არა სხვების საჭიროების საკუთარ თავზე მაღლა დაყენება?

იმაზე დიდი სიყვარული
არავის აქვს, როცა ვინმე თავს
სწირავს მეგობრისათვის.

იოანე 15:13

135-ე დღე

ექსტრემალური
ლეგენდა

ისრაელი: გორუნის ამბავი

ძველი ლეგენდის მიხედვით, იესომ თავის მიმდევარ გორუნს უთხრა, „წადი კარმელის მთაზე და დარჩი იქ მედიტაციისა და ლოცვისათვის.“ გორუნი ისე მოიქცა როგორც უთხრეს.

ერთ დღეს გორუნი ახლომდებარე სოფელში მივიდა და ხალხს უთხრა, „მომეცით საბანი. ვირთხებმა დამიხიეს და ვეღარ ვიძინებ.“ სოფლელებმა სიხარულით მისცეს საბანი. გორუნი კვლავ დაბრუნდა სოფელში, რადგან იგივე შემთხვევა განმეორდა. ბოლოს ვიღაცამ ურჩია, „კატას მოგცემთ შენი პრობლემების სასიკეთოდ გადასაწყვეტად.“

რამოდენიმე დღის შემდეგ გორუნი სოფელში დაბრუნდა. „შეგიძლიათ ცოტაოდენი რძე მომცეთ კატისათვის?“ დაინახეს რა, პრობლემის უსასრულობა, სოფლის მცხოვრებლებმა ძროხის მიცემა გადაწყვიტეს.

გორუნი კვლავ დაბრუნდა, „რაღაც მინდა ძროხის გამოსაკვებად.“ მათ მიწა მისცეს ამისათვის. შემდეგ გორუნმა მიწის დასამუშავებლად მუშები მოითხოვა, მუშებისათვის სახლების აშენება, და ასე შემდეგ.

წლების შემდეგ, იესო საყვარელი მოწაფის სანახავად მივიდა. მსუქანი კაცი მიესალმა მას და ჰკითხა, „რა საქმემ მოგიყვანა აქ? რისი ყიდვა გნებავთ?“ გორუნმა, ახლა მდიდარმა ბიზნესმენმა თავისი ბატონი ვეღარ იცნო.

ქრისტიანები ხშირად ყვებიან ასეთ ისტორიებს ქრისტიანობა შეზღუდულ ქვეყნებში, სადაც მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ქრისტიანებმა თავიანთი რწმენა და ღვთისმსახურება მნიშვნელოვან და მაღალანაზღაურებად თანამდებობებში გაცვალონ.

ხანდახან ამბები გვჭირდება საკითხის სხვაგვარი კუთხიდან დასანახად, რათა შეგვახსენონ რა არის მნიშვნელოვანი და ყურადღება გავამახვილოთ მიზანზე. შეიძლება კატა და ძროხა არ შემოგვთავაზონ, მაგრამ მოწინააღმდეგე ხშირად გვაცდუნებს სხვადასხვა ხერხებით მთავარ გზას ჩამოგვაშოროს. საკუთარ ქვეყანაში უსაფრთხოებას გვთავაზობს, რათა უარი ვთქვათ სხვა ქვეყანაში საქადაგებლად წასვლაზე. იგი ღვთის კურთხევებზე გადაგვატანინებს ყურადღებას-მეგობარი, ოჯახი, ან სამსახური-ისე დაგვაკავებს ჩვენი ცხოვრებისეული საქმიანობით, რომ უარს ვიტყვით ჩვენი მისიის შესრულებაზე. ეს ისტორია შენს პირად ცხოვრებაში რას ხდის ფარდას ისეთს, რომელიც შენს მოძღვარს გაშორებს? ისეთი დაკავებული ხომ არ ხარ ცხოვრებაში, რომ უარს ამბობ შენი სულიერი მისიის შესრულებაზე?

„გაფრთხილდით, არ დამძიმდეს თქვენი გულები ღრეობით, ლოთობითა და სიცოცხლეზე ზრუნვით, და იმ დღემ არ გიწიოთ უცაბედად.“

ლუკა 21:34

136-ე დღე

ექსტრემალური
დრო

ერთი კაცი მიდიოდა ქალაქში გვიან ღამით და გზაზე რაღაცას წამოკრა ფეხი. დაბლა დაიხარა და ქვებით სავსე პატარა ჩანთა აიღო. ირგვლივ მიმოიხედა და სიბნელეს თვალი გაუშტერა, იქნებ ჩანთის დამგდები დაენახა. არავინ ჩანდა და გადაწყვიტა, ჩანთა თან წაეღო უმთვარო ღამეში გრძელი მოგზაურობისას.

რაღაც დროის შემდეგ, პატარა ქვების მდინარეში სროლა დაიწყო. წკაპ... წკუპ... მოწყენილ მგზავრს ეს ხმა სასიამოვნოდ ესმოდა. როცა დანიშნულების ადგილს მიაღწია, მხოლოდ ორი პატარა ქვაღა ედო ჩანთაში. ქალაქში შესვლისას, პარკის ლამპიონს მიუახლოვდა. ხელში ათამაშებდა დარჩენილ ქვებს და მოყვითალო შუქზე უცნაური ციმციმი შეამჩნია ქვებს. ახლოს დააკვირდა. მისდა გასაოცრად, პატარა ქვები ბრილიანტები აღმოჩნდნენ!

ბრძენმა ციხის ხუცესმა ეს ამბავი მრავალჯერ გამოიყენა თანაპატიმრების გაქრისტიანებისათვის. მან ტანჯვაში ისწავლა, რომ ყოველი წუთი შეიძლებოდა გამოეყენებინა კაცს ღვთის სასუფევლისათვის სასარგებლოდ, მნიშვნელობა არა აქვს როგორი მდგომარეობაც არ უნდა ყოფილიყო. იგი ხშირად აჯერებდა სხვებს, რომ „შეიძლება დაკარგული ფული დაიბრუნო, მაგრამ დაკარგულ დროს ვეღარასოდეს დაიბრუნებ. ბრძნულად გამოიყენე დრო ღვთის საქმისათვის.“

წელიწადში ოცდათორმეტი მილიონი წამია და ჩვენი სიცოცხლის თითოეული წამი ღვთის ძვირფასი საჩუქარია მისი მიზნისათვის გამოსაყენებლად. თუ მათ უქმად დავხარჯავთ, წამები ღმერთს დაუბრუნდება და არა ჩვენ. ისინი სამუდამოდ გაგვშორდებიან, როგორც შლამიანი მდინარის ფსკერზე დაკარგული ბრილიანტები. იესომ ჯვარცმისას ბოლო ამოსუნთქვა ქურდის დახსნასა და დედამისისათვის ნუგეშისცემას დაუთმო. წარმოიდგინეთ, როგორი მნიშვნელოვანი იყო ის დრო ქურდისათვის, ვინც იესოს შეუერთდა იმ დღეს ზეცაში. აღავსებ თუ არა შენს ძვირფას წუთებს მიზნით? სთხოვე ღმერთს, როგორ გამოიყენო ბრძნულად დრო და არ დაკარგო იგი.

ჩვენი დღეების დათვლა
გვასწავლე, რათა შევიძინოთ
ბრძენი გული.

ფსალმუნი 89:12

137-ე დღე

ექსტრემალური
რისკი

ჩინეთი: ორი ეკლესიის მშენებელი

ორი ქალბატონი ყოველ კვირა გადიოდა შორ მანძილს არარეგისტრირებულ საოჯახო ეკლესიაში დასასწრებად. დაღლილი და იმედგაცრუებულები იყვნენ, რომ მათ საკუთარ სოფელში არ არსებობდა ეკლესია.

მორწმუნეები თავის სოფელში ეკლესიის აშენებისათვის ლოცულობდნენ. რამდენიმე თვის ლოცვის შემდეგ, ერთმა ქალბატონმა თქვა, „შეიძლება ღმერთი გველოდება, რომ ეკლესია ავაშენოთ. რატომ მოუსმენს ღმერთი ჩვენს გამუდმებულ წუწუნს თუ ჩვენ თვითონ არაფერი ვიღონეთ?“

ასე რომ გადაწყვიტეს რისკი გაეწიათ. ორმა ქალბატონმა და მათმა მეუღლეებმა ეკლესია ააშენეს თავიანთ პატარა სოფელ ანჰუიში, ჩინეთის პროვინციაში. მთავრობა დაუყოვნებლივ დაიმუქრა ეკლესიის დანგრევით, თუ მას რელიგიურ დაწესებულებაში არ დაარეგისტრირებდნენ. მშენებლებმა მოთხოვნა შეასრულეს, საბედნიეროდ მათი სოფელი ცენტრალური დასახლებიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა და ისეთ ზედამხედველობას არ განიცდიდა მთავრობისაგან როგორც ცენტრალური ნაწილის ეკლესიები. მათ გაბედეს და სხვადასხვა საოჯახო ეკლესიის ხუცესებიც კი მოიწვიეს თავიანთ ეკლესიაში საქადაგებლად წერილობითი ნებართვის გარეშე.

ეს ქალბატონები ევანგელიზაციას ეწეოდნენ საავადმყოფოში, გამოჯანმრთელების იმედდაკარგულ პაციენტებთან სტუმრობით. შემდეგ ისინი ლოცულობდნენ და ღმერთს ავადმყოფის გამოჯანმრთელებას სთხოვდნენ. ერთ წელიწადში, ეკლესიის წევრთა რაოდენობა ორასამდე გაიზარდა!

ერთ-ერთმა დამ თქვა, „ოცი დღე ვლოცულობდით ერთი კაცისათვის და ბოლო მომენტამდე ვერ გამოჯანმრთელდა. მისი ოჯახი გვემუქრებოდა, ამბობდნენ, რომ ღმერთებს ვაბრაზებდით ჩვენი საქციელით. ღვთის საქმისათვის რისკის გაწევის სურვილი უნდა გქონდეს.“

ქრისტეს სახარება საკამათოცაა, აშკარაც და მარტივიც. რატომ მოაქცევდა ეშმაკი ქრისტიანობას აკრძალვის სიაში პირველს? მაგალითად. ბუდისტებს არა აქვთ ფართო ქრისტიანული იატაკქვეშა ეკლესიის სისტემა, რაც იძულებით არსებობს ქრისტიანულ ქვეყნებში. ახალი ერის მედიტაციის ექსპერტებს არ ეშინიათ ქრისტიანობა აკრძალულ ქვეყნებში ცხოვრების. ქრისტიანობა საკამათოა, იმიტომ რომ იგი მტერზე ძლევამოსილია. სატანა დროს არ კარგავს მცდარ რელიგიებზე. ხარ თუ არა სატანისათვის სულიერი რისკის ქვეშ? თუ უსაფრთხოებანას თამაშობ? წარმოადგენ თუ არა მისი გეგმებისათვის საშიშროებას შენი რწმენის გამო? თუ ასეა, ელოდე წინააღმდეგობას. მაგრამ გიხაროდეს, შენ ჭეშმარიტების ნაწილი ხარ!

ყველა, ვისაც სურს ქრისტე იესოში
იცხოვროს ღვთისმოსაობით,
დევნილი იქნება.

2 ტიმოთე 3:12

138-ე დღე

ექსტრემალური
სიყვარული

რუმინეთი: ებრაელი ქრისტიანები

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, გერმანელმა ჯარისკაცებმა იცოდნენ, რომ რუსები მათ ციმბირის მუშათა ბანაკებში გააგზავნიდნენ, სადაც მრავალი დაიღუპებოდა. ეს-ესაა საბჭოთა ჯარმა ხელში აიღო ნაცისტების მიერ ოკუპირებული ქალაქი, ორმა ჯარისკაცმა დრო იხელთა და ჯგუფიდან გაიქცა. შეშინებულები რუმინეთის ქალაქ ბუქარესტის ქუჩებში დადიოდნენ ღამის სიბნელეში.

როგორც კი ლუთერანული ეკლესიის შენობას მოჰკრეს თვალი, გაეხარდათ, რადგან რუმინელი ლუთერანები გერმანელების შთამომავლები იყვნენ. მაგრამ გაიგეს, რომ ეს ხალხი ებრაელები ყოფილან და შეშინდნენ.

ხუცესმა სასწრაფოდ გააქარწყლა მათი შიში. „ჩვენ ებრაელები ვართ, მაგრამ ქრისტიანები და არცერთ თავშესაფრის მძებნელს არ გადავცემთ მათ მტერს.“

იმ დროს, გერმანელის დამმალავ რუმინელებს სიკვდილით სჯიდნენ. მაგრამ კეთილი ხუცესისათვის, გერმანელები-ნაცისტურ უნიფორმაში-დაკარგული სულები იყვნენ, რომელთაც ხსნა სჭირდებოდათ. ის ისევე დაეხმარებოდა მათ, როგორც დევნილ ებრაელებს.

მან ჯარისკაცებს უთხრა, „დიდი ტანჯვა გამოვიარეთ გერმანული ოკუპაციის შედეგად. პიროვნულად დამნაშავეები ხართ თუ არა, ჩვენ თქვენი გამსამართლებლები არა ვართ. ჩვენ გთავაზობთ ჩვენს სახლებსა და სამოქალაქო ტანსაცმელს, რათა სამშობლოში დაბრუნება შეძლოთ. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ღვთის დიდი სიყვარულისა და წყალობის შესახებ დაგიმოწმოთ. მხოლოდ მას ძალუძს თქვენი ბრალისაგან გათავისუფლება.“

სიყვარული ხალხს უცნაურ საქმეს აკეთებინებს. შეყვარებული წყვილები განსაკუთრებულ მიძღვნილებას გამოხატავენ ერთმანეთის მიმართ. ანალოგიურად, არავის ისე არ უყვარს შვილი ამ დედამიწაზე, როგორც საკუთარ დედას. მიუხედავად ამისა, ქრისტესა და ქრისტიანს შორის სიყვარული არ არის მხოლოდ ამ ორს შორის. არამედ, ეს არის მხოლოდ ერთადერთი ურთიერთობა რომელიც სხვებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით იზრდება. ქრისტიანული სიყვარულით უნდა გვიყვარდეს სხვები, რათა ჩვენი ქრისტესადმი მიძღვნილება დავამოწმოთ. ქრისტეს ექსტრემალურ სიყვარულს მაშინ გამოვხატავთ, თუ იმ ადამიანების სიყვარულის სურვილი გვაქვს, რომელთაც არ უყვარვართ. ჩვენ ვის სიყვარულს გთხოვს დღეს ღმერთი?



139-ე დღე

ღმერთი არ განგვსჯის ჩვენს მიერ გადატანილის მიხედვით, არამედ რამდენად გვიყვარდა. სიყვარული შეუძლიათ ციხეში რწმენის გამო ტანჯულ ქრისტიანებს. მე ვარ მოწმე, რომ მათ ღმერთიც უყვართ და ადამიანიც.

რწმენის გამო დაპატიმრებული ყოფილი
არარეგისტრირებული ეკლესიის ხუცესი



140-ე დღე

ექსტრემალური
გმირი

რუსეთი: ვანია მოისეევი

საბჭოთა წითელი არმიის ჯარისკაცს, ვანია მოისეევს მუდამ საყვედურს უცხადებდნენ რწმენის გაზიარების გამო. მისი დამოწმების შედეგად რამოდენიმე ჯარისკაცმა მიიღო ქრისტე მის შტაბში. როცა მეთაურმა უბრძანა ხმა არ ამოეღო თავისი რწმენის შესახებ, მან უპასუხა, „როგორ მოიქცეოდა ბულბული მისთვის რომ სიმღერის შეწყვეტა გებრძანებინათ? როგორც მას, ისე არც მე ძალმიძს ამის გაკეთება.“

ვინც ვანიას იცნობდა ყველა ამბობდა, რომ მისი რწმენა გადამდები იყო. მალე ის დააპატიმრეს და სასტიკ წამებას მისცეს. მან დედამისს წერილი მისწერა, რომელშიც ამბობდა, „ვიცი, რომ ალბათ ვეღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ნუ მიტირებ. ანგელოზმა მაჩვენა ზეციური იერუსალიმი, ძალიან ლამაზია. ძვირფასო დედა, გთხოვ ეცადო და იქ შემხვდე.“

წერილს აგრძელებდა და დედას არწმუნებდა, რომ ღმერთი მას ანგელოზის გამოგზავნით ამხნევებდა. იგი ანგელოზის დანახვის რამოდენიმე შემთხვევას იხსენებდა. „ანგელოზები გამჭვირვალენი არიან. როცა ანგელოზი შენს წინაშე დგას და ადამიანი მის უკან, ეს ხელს არ გიშლის ადამიანის დანახვაში. პირიქით, უკეთესად ხედავ მას. როცა ანგელოზს ხედავ, მაშინ შეგიძლია შენს მწვალებელს გაუგო და დააფასო კიდეც.“

ბოლოს, ვანია ოცდაერთი წლის ასაკში მოკლეს რმწენის გამო. ამ ახალგაზრდა წამებულის მხნეობით სავსე ცხოვრებამ მთელს აღმოსავლეთ ევროპაში გმირის წოდება მიანიჭა.

ანგელოზები ყველგან არიან. წიგნებში, ანგელოზის ფორმის სასანთლე, საშობაო ნაძვის ხის ორნამენტი და ნამცხვრის დასაჭრელი ფორმა. უამრავი ადამიანი ნანობს, რომ არასოდეს უნახავთ ნამდვილი ანგელოზი-ღვთის ზეციური მაცნე. თუმცა ყოველდღიურ ანგელოზებს ხშირად შეხვდებით. ანგელოზი შეიძლება იყოს ჩვენი დახმარების მიღების მოლოდინში მყოფი, ჩვენთვის არასასიამოვნო პიროვნება. მტერი, რომელიც ტკივილს გვაყენებს შეიძლება ის ანგელოზური არსება იყოს, რომლის დანახვაც ასე გვწყურია. თუნდაც აღმოჩნდეს, რომ ეს არსება ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანია, ამ პიროვნებისადმი სიყვარული კიდევ ერთი ნაბიჯით გვაახლოვებს ზეცასთან. როგორც ვანია, უყურებ თუ არა შენს ცხოვრებას ზეციური სამოთხის პერსპექტივიდან? ეძებ თუ არა ანგელოზებს იქ, სადაც ადრე მხოლოდ მტერს ხედავდი? დღესვე მოძებნე პოტენციური ანგელოზები რათა შეიყვარო.

სტუმართმოყვარეობა
არ დაივიწყოთ, ვინაიდან
ზოგიერთებს ანგელოზებისათვის
გაუწევიათ სტუმართმოყვარეობა
და არ სცოდნიათ.

ებრაელთა 13:2

141-ე დღე

ექსტრემალური
სადილი

აღმოსავლეთ ევროპა: მშიერი პატიმარი

პატიმარი უკიდურეს შიმშილსა და გაღიზიანებას განიცდიდა. ლეიტენანტი კვლავ მოვიდა მის დასაკითხად, პატიმარი კითხვებზე პასუხის გაცემის ხასიათზე არ იყო. მან გაიფიქრა, „ყოველთვის მე რატომ მიწყობენ დაკითხვას?“

და ლეიტენანტს კითხვები დააყარა, „ღმერთის გწამს? რა დაგემართება სიკვდილის შემდეგ? როგორ გაჩნდა ეს ლამაზი სამყარო?“ ბოლოს, მან სრულად შეძლო ხსნის უწყების გაზიარება დაინტერესებულ ლეიტენანტთან. პატიმრის გასაკვირად, ოფიცერმა დაუყოვნებლივ ჩააბარა სიცოცხლე ქრისტეს!

ოფიცერმა მშიერ პატიმარს თავისი სადილი მისცა. ქრისტიანი მადლიერი იყო, რომ ღმერთმა გამოკვება და უხასიათობისასაც კი გამოიყენა.

სხვა დროს, იგივე კაცი განმარტოებულ საკანში იჯდა ძალიან მშიერი. უცბად იესო ქრისტეს სიტყვები გაახსენდა დევნისას სიხარულის შესახებ, რომ განსაცდელისას სიხარული მისგან კურთხევაა. ის მაშინვე წამოდგა და პატარა საკანში ღვთის დიდება და ცეკვა დაიწყო. მისი სიხარულის ხმამ მალევე მიაღწია დაცვის ყურამდე.

როცა დაცვა მის სანახავად მოვიდა, დარწმუნდა, რომ ქრისტიანი გაგიჟდა. დაცვას კი ნაბრძანები ჰქონდა გიჟებს კარგად მოქცეოდნენ და მანაც პატიმარს ყველი და ერთი პური მოუტანა.

კიდევ ერთხელ იზრუნა მასზე ღმერთმა. ქრისტიან პატიმარს აზრმა გაუელვა თავში, „უმჯობესია სულელი იყო ქრისტეში, ვიდრე ‘ბრძენი’ რომელიც სულელურად ბრაზობს იმაზე, რისი შეცვლაც შეუძლებელია.“

უამრავი ადამიანია „უცნაური ახირების კონტროლის ქვეშ“-ისინი, რომლებიც სიტყვების გამუდმებულ კონტროლს საჭიროებენ. სამწუხაროდ, არის საკითხები, რომლებიც არავის კონტროლს არ ექვემდებარება. წარმატების საიდუმლოა იმის გაცნობიერება თუ რა საკითხებზე შეგვიძლია გავლენის მოხდენა და რაზე არა. მაგალითად, ჩვენ არ შეგვიძლია სხვებს ავუკრძალოთ აზრის გამოთქმა, მაგრამ ჩვენი დამამცირებლებისათვის ლოცვა კი შეგვიძლია. ჩვენი შესაძლებლობების მიღმა არსებულ საკითხებზე წუხილი უბრალოდ ადამიანის ბუნებაა. რისი გაკონტროლებაც არ შეგვიძლია, მასზე მანიპულირებას ვცდილობთ. თუმცა, ღმერთი გვირჩევს სიტუაციაზე მანიპულირების შეწყვეტას და მისადმი ნდობას. ამ ამბავში მოთხრობილი პატიმრის მსგავსად, ღმერთი შეგვახსენებს, რომ უბრალოდ სრული მორჩილებით განვახორციელოთ მისი სიტყვა. დანარჩენზე კი ის იზრუნებს.

ნეტარნი ხართ, როცა
შეგიძულებენ ადამიანები, როცა
გაგყრიან და გაგლანძღავენ, ხოლო
თქვენს სახელს განდევნიან,
როგორც ბოროტს,
კაცის ძის გამო.

ლუკა 6:22

142-ე დღე

უფრო მეტი წერილები-ნაწილი პირველი

რომი: ფლინი

რომის იმპერატორისადმი მიწერილი ეს წერილი მმართველი ფლინის აზრს მოიცავს ქრისტიანების რიცხვის ზრდის თაობაზე და ქრისტეს ჯვარცმიდან პირველი საუკუნით თარიღდება:

არასოდეს დავსწრებივარ ქრისტიანთა სასამართლოს და წარმოდგენა არა მაქვს ჩვენს მიერ გამოყენებული წამების მეთოდებსა და მათ შეზღუდვებზე. გამოვხატავთ თუ არა რაიმე პატივისცემას რომელიმე ასაკისა და სქესის მიმართ? თუ ქრისტიანმა რწმენა უარყო, მაინც ვსჯით თუ ვპატიობთ?

ამჟამად, მე ვაწარმოებ ამ საქმიანობას-დაკითხვას ვუწყობ მათ რწმენის თაობაზე; თუ იტყვიან, რომ ქრისტიანები არიან, ხელახლა ვიმეორებ ჩემს შეკითხვას და საშინელი სასჯელით ვემუქრები. თუ მაინც შეუპოვრად დგანან, მაშინ მათი სიკვდილით დასჯას ვბრძანებ. დარწმუნებული ვარ, რომ მათი სიჯიუტე დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

ახლახანს დავკითხე ქრისტიანთა ჯგუფი, რომლებმაც დაკითხვის შემდეგ, რწმენა უარყვეს. ორი პატიმარი ქალის წამების შემდეგ ყველაზე მეტად დავინახე ჭეშმარიტების გამორკვევის საჭიროების მნიშვნელობა. მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინე გარდა გადაჭარბებული ცრურწმენისა.

ბრძნულად მივიჩნიე გამოძიების გაგრძელებამდე ამ საკითხზე თქვენგან რჩევის მოსმენა. ეს საკითხი თქვენთან შეთანხმების ღირსად მივიჩნიე, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ საშიში ადამიანების რიცხვის ზრდას. ეს გადამდები ცრურწმენა მხოლოდ ქალაქში არ გავრცელებულა, არამედ მთელი სოფლები მოიცვა.

თუმცა განკურნებადი კი ჩანს.

ადვილად „იკურნებიან“ ქრისტიანები ქრისტიანობისაგან? როცა საქმე საქმეზე მიდგება, ქრისტიანების უმეტესი ნაწილი ქრისტეს რწმენის განუკურნებელი სენით არის შეპყრობილი თუ ადვილად ნებდებიან? დევნა არის საუკეთესო გზა ჭეშმარიტების გამოსააშკარავებლად. მხოლოდ ღმერთმა იცის ადამიანის გული. თუმცა დევნა გვაცნობს საკუთარ თავს ყველაზე უკეთ და გვეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში, ქრისტე მივატოვოთ თუ მისი ბოლომდე ერთგულნი დავრჩეთ. რაც უფრო მეტად მიძღვნილნი ვართ ქრისტესადმი, მით უფრო მეტ ამტანობას გვაძლევს ღმერთი მისი სახელის გულისათის. მაგრამ თუ იდეოლოგიით უფრო ვართ შეპყრობილნი ვიდრე იესო ქრისტეთი, მაშინ უფრო ვმერყევობთ ზეწოლის შედეგად. ხარ თუ არა ქრისტესათვის განუკურნებელი, თუ შენი რწმენა „გადაჭარბებული ცრურწმენა“ აღმოჩნდება?

ჩვენ რომ დაგვევიწყებინა სახელი ჩვენი ღმერთისა...განა ღმერთი არ გვაზღვევინებდა ამას? რადგან მან იცის საიდუმლონი გულისა.

ფსალმუნი 44:21-22

ექსტრემალური

უფრო მეტი წერილები-ნაწილი მეორე

რომი: ადრეული ქრისტიანები

„ქრისტიანული სისხლის დაღვრა ნიშნავს თესლის დათესვას; ის აღმოცენდება მიწიდან და უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს.“

ადრეული ეკლესიის ქრისტიანები ყვაოდნენ სასტიკი მთავრობის დევნის შედეგად. მათ და-ძმებს აწამებდნენ, ამახინჯებდნენ, წვავდნენ და კლავდნენ ქრისტეს სახელის გულისათვის. თითოეული წამებული ქრისტიანი დარჩენილ ქრისტიანს სწორი გადაწყვეტილების მიღების ძალას აძლევდა. ისინი უყურებდნენ წარსულის სიცოცხლისათვის შიშის განცდას და მხოლოდ გადათეთრებულ სამკალს ხედავდნენ, როგორც იესო ახასიათებს ქრისტეს მისაღებად მზადმყოფ ადამიანებს. დევნის მიუხედავად, მამაცურ პასუხს აძლევდნენ მოსამართლეებსა და ძალაუფლებაში მყოფ პირებს:

ახლა თქვენ, მოსამართლენო, წარმართეთ თქვენეული სამართლის ჩვენება და იმდენად მართალნი იქნებით ხალხის თვალში, რამდენადაც უფრო მეტ ქრისტიანს შესწირავთ მსხვერპლად.

ჯვარს გვაცვით, გვაწამეთ და მსჯავრი დაგვდეთ. თქვენი უსამართლობა არის ჩვენი უმწიკვლობის მოწმობა, ამის მოწმობა კი ისაა, რომ ღმერთი უშვებს ჩვენზე ამ ტანჯვას.

დაე უარესიც გააკეთეთ და გამოიგონეთ ქრისტიანების წამებისათვის ახალი იარაღები; ამით მიზანს ვერ მიაღწევთ. თუმცა ამით ქვეყნიერების ყურადღებას უფრო იზიდავთ და უფრო მეტად აყვარებთ მათ ჩვენს რწმენას. რაც უფრო მალე დაგვცემთ დაბლა, მით უფრო მალე წამოვიმართებით.

ქრისტიანის სისხლის დაღვრით თესლს თესავთ; იგი აღმოცენდება მიწიდან და უფრო გამრავლდება.

თუმცა ეს სიტყვები საუკუნეების წინ დაიწერა, მაგრამ ეს უწყება დღეს კიდევ სრულდება. მსოფლიოში ორმოცზე მეტ ქვეყანაში ინერგება დღეს რელიგიური დევნა. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნების უმეტესობაში ეკლესიები ყვავის და მორწმუნეების სიმამაცე იზრდება, დევნამ ვერ მიაღწია სასურველ მიზანს მორწმუნეების შემცირების საქმეში. პირიქით, იგი ხშირად ემსახურება ქრისტესათვის თავდადებული მორწმუნეების რიცხვის ზრდას. როგორც ქრისტეს მიმდევრებმა, ოპოზიცია შეიძლება განვიხილოთ ქრისტეს მისაღებად მომლოდინე სულების მინდვრის დარაჯად და ჩვენი ჩასანსვლის მომლოდინე გოლიათად. ან შეიძლება მოწინააღმდეგე განვიხილოთ ნამდვილ საფრთხობელად-შიშის იმიჯის სიყალბედ. შეხვალ თუ არა მინდორში სამკალად ქრისტეს სამსახურისათვის?

> მე გეუბნებით თქვენ: აახილეთ
> თვალები და შეხედეთ ყანებს,
> როგორ გადათეთრებულან
> სამკალად.
>
> *იოანე 4:35*

144-ე დღე

ექსტრემალური
ზრდა

ჩინეთი: საოჯახო ეკლესიები

საგალობლის ხმამ აავსო დილის სუფთა ჰაერი. „დილის ოთხი საათია. საიდან მოდიან?“ გაოცებისაგან თითქმის გაეცინა კაცს.

„სამკალი ბევრია, ჩემო მეგობარო. გრძელი დღე იქნება, მაგრამ სასუფევლისათვის კარგი.“ თქვა ხუცესმა ღიმილით. „მოდი საქმეს შევუდგეთ.“ მორწმუნეების ზღვას დასასრული არ უჩანდა მდინარესთან. ხუცესი ანთებული ლაპარაკობდა მათი ნათლობისას, ყოველი მათგანი ხელის აღმართვით ამოწმებდა ქრისტეში ახალი ცხოვრების შესახებ. ხუცესმა და მისმა თანაშემწეებმა ათას ასი ახალი მორწმუნე მონათლეს იმ დღეს.

ღმერთი დიდებული ძალით მოქმედებს ჩინეთში. მრავალი მორწმუნე ემატება ყოველდღიურად კრებულს. ექვსი წლის წინათ, ჩრდილო შან ხაის ქალაქში, რამოდენიმე ასეული მორწმუნე ესწრებოდა საოჯახო ეკლესიის მსახურებას. ამჟამად ეს რიცხვი სამოცდაათი ათასამდე გაიზარდა. მეორე ქალაქში კი ორმოცდაათი ათასამდე, სადაც ძლიერი დევნაა, თუმცა სამი ათასი მიძღვნილი მორწმუნე იკრიბება არარეგისტრირებულ ეკლესიაში ყოველკვირეულად.

ერთმა ხუცესმა გონივრულად შენიშნა, „მორწმუნეები ადრინდელზე უფრო ძლიერები ვართ. რაც უფრო მეტად ცდილობენ ქრისტეს დროშის დაბლა დაშვებას, უფრო მაღლა ფრიალებს.“

ათეულობით წლების განმავლობაში, მორწმუნეები გამუდმებულ დევნას განიცდიდნენ ჩინეთში. მთავრობამ ამაოდ გამოსცა „დაარტყი-მაგრად“ წესი ქრისტიანების ზრდის შეჩერების მიზნით. დღევანდელი იატაკქვეშა ეკლესიის წევრთა რაოდენობა ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრთა რაოდენობასთან შედარებით საგრძნობლად დიდია!

ზრდა არის ჯანმრთელობის ნიშანი. ჯანმრთელი ეკლესიები ჯანსაღი მცენარის მსგავსად იზრდებიან. საკვები, სინათლე, წყალი არის ჯანსაღი მცენარისათვის საჭირო ნივთიერებები. ანალოგიურად, ეკლესიასაც განსაკუთრებული პირობები ესაჭიროება ზრდისათვის. ჯანსაღი ეკლესიის ზრდისათვის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი თვისება არის დევნა. დევნა წმენდს მორწმუნეებს და საკუთარი რწმენის დაფასების ძალას აძლევს. ამ ხუცესის ისტორიის მაგალითის ფონზე, რაც უფრო მეტად იდევნება ეკლესია, უფრო მეტად აღსდგებიან წევრები ქრისტეში ურყევი რწმენის მოწმობად. გამწარებული ხარ თუ უკეთესი დევნის შედეგად? იყენებ თუ არა დევნას ცათა სასუფევლის ზრდის უპირატესობისათვის?

როგორც მთელ მსოფლიოში,
მოაქვს ნაყოფი და იზრდება.

კოლოსელთა 1:6

145-ე დღე

ექსტრემალური „ანგელოზი“

რუმინეთი: ანგელა კაზაკუ

ანგელა კაზაკუ ჩვეულებრივი რუმინელი ქალი იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტები მის ქვეყანაშიც შეიჭრნენ. ძალიან სწრაფად, ებრაელებისა და ქრისტიანებისათვის სიცოცხლე საშინელებად გადაიქცა. ანგელა ებრაელ ბავშვებს გეტოდან იპარავდა და მისი ქალაქის გარშემო არსებულ ციხეებში მყოფ ქალებს ჩუმად ამარაგებდა ტანსაცმლითა და საჭმლით.

მოგვიანებით, როცა ნაცისტები განდევნეს და საბჭოთა კომუნისტებმა დაიპყრეს ქვეყანა. ახლა ანგელა ღვთის სიყვარულის უწყების გავრცელებით იყო დაკავებული, რუსულ ბიბლიებსა და ახალ აღთქმებს არიგებდა ჯარისკაცებით სავსე მატარებლის სადგურში.

1951 წლის ზამთარში, ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი თირგულ-ოცნას ციხეში იჯდა და ძალიან მძიმედ იყო ავად. მისი ჩონჩხად ქცეული სხეული საშინელი სიცივისაგან კანკალებდა გაუსაძლისი ზამთრის სიცივეში. ყოველ პატიმარს მხოლოდ ერთი ‘ადიალის’ გამოყენების უფლება ჰქონდა, და საკვები იშვიათობას წარმოადგენდა, რადგან დიდთოვლიანობის გამო ციხემდე მისვლა შეუძლებელი გახდა.

ამ დროს ხუცესმა რიჩარდ ვურმბრანდმა მეტადრე საჭირო საკვებისა და თბილი ტანსაცმლის ამანათი მიიღო, რომელიც ხუცესმა დიდი სიხარულით გაუზიარა სხვებს. მისი აზრით ეს ამანათი ალბათ ანგელოზმა გამოუგზავნა სიცოცხლის გადასარჩენად.

ანგელა (რაც „ანგელოზს“ ნიშნავს რუმინულად) დაკავებული იყო მამამისის საქმეებით. ჩვეულებრივი ადამიანი ეთქმოდა ანგელას? შეიძლება. მაგრამ ღმერთს სიამოვნებს ჩვეულებრივი ადამიანების მოწყალების ანგელოზებად გამოყენება.

წლების წინ, საინფორმაციო საშუალებით გავრცელებული შემთხვევითი ძალადობის ფაქტის საპასუხოდ, მანქანებზე მიკრული წარწერები გამოჩნდა, რომელიც ხალხს „შემთხვევითი სიკეთის“ კეთებისაკენ მოუწოდებდა. უცხო ადამიანისადმი გამოჩენილი სიკეთე ან მოწყალება შეიძლება თვალშისაცემად მნიშვნელოვანია, როგორც სუპერმარკეტის წინ საუკეთესო სადგომის დათმობა, ასევე მაღაზიაში გამყიდველთან თვალით კონტაქტის დასამყარებლად დროის გამოყოფა. რადგან, ღმერთს შეუძლია გამოგიყენოს და ყველაზე ჩვეულებრივი სიკეთე მადლის ძლიერ საჩუქრად გარდაქმნას ვიღაცის ცხოვრებაში. დღეს სთხოვე ღმერთს დაგეხმაროს მისი სახელით შემთხვევითი სიკეთის გამოსახატავად. შესაძლოა შენ ეს ვერასოდეს გაიგო, მაგრამ ვიღაცისათვის „ანგელოზი“ იყო.

ამიტომ, როგორც ღვთის
რჩეულებმა, წმიდებმა და
საყვარლებმა, შეიმოსეთ
მოწყალება, სახიერება,
თავმდაბლობა, სიმშვიდე,
სულგრძელება.

კოლოსელთა 3:12

146-ე დღე

როგორც ვეფხვისათვის თმის გაპარსვით არ გაქრება მისი ზოლები, მეც ასე დავრჩები ქრისტიანად. მაინც მექნება შეხვედრები. თავიდან რამოდენიმე შეხვედრა იყო ჩემს სახლში; ახლა ათობით შეხვედრა იმართება.

ქალბატონი ვო თი მანჰი, რწმენის გამო
დაპატიმრებული ვიეტნამელი ბებია



147-ე დღე

ექსტრემალური
საკმარისობა

ნიგერია: როსე

„ჩქარა, კარადაში დაიმალე. ჩუმად იყავი ვიდრე ჩემს ხმას არ გაიგებ. გასაგებია?“ და როუზს თავისი ორი პატარა, სკოლამდელი ასაკის ბავშვების პასუხი მოესმა, „დიახ, დედა.“ შემდეგ კარებში გავარდა და თავისი ქალშვილის სკოლისაკენ გაიქცა, ლოცულობდა, რომ ძალიან დაგვიანებული არ ყოფილიყო.

შარიათის მომხრეების გამოსვლებისას, (ისლამური კანონი) ნიგერიის მთავრობამ მცირერიცხოვანი ჯგუფების მიერ ძალადობრივი აქტი მოაწყო ქრისტიანების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთა მიერ კანონისადმი წინააღმდეგობის გაწევის გამო. როზას უფროსი გოგონა გამოსვლების დროს სკოლაში იმყოფებოდა და დარწმუნებული იყო, რომ მისი ქალიშვილი იქ უსაფრთხოდ ვერ იქნებოდა. როცა სკოლაში მივიდა, გოგონა სამხედრო ბაზაზე დახვდა წაყვანილი უსაფრთხოების მიზნით. როზამ შეძლო მისი პოვნა და სახლში მშვიდობით დაბრუნება, სადაც ორი პატარა გოგონა უვნებლად ელოდა.

მეორე დღეს, როცა მისი ქმარი ქრისტიანული ჯგუფის შეხვედრაზე მიდიოდა, ეს იყო უკანასკენელი წუთები, როცა თავისი მეუღლე ცოცხალი ნახა. დაახლოებით 260 ეკლესია დაანგრიეს ამ აჯანყების დროს და 460-ზე მეტი ქრისტიანი მოკლეს.

ქმრის მკვლელობის შემდეგ, როზამ სიმშვიდე საქმეების წიგნში იპოვა. მან თქვა, „იგივე ღმერთმა, რომელმაც სტეფანეს ჩაქოლვა დაუშვა, პეტრეს ციხიდან გაქცევაც დაუშვა. ღმერთი ერთგულია და მისი წყალობა საკმარისია.“ დღეს როზა იმ ეკლესიაში აგრძელებს მუშაობას, სადაც მისი მეუღლე ხუცესობას ეწეოდა და სამ შვილსაც ზრდის.

ნათქვამია, რომ ღმერთი არასოდეს წაგვიძღვება იქ, სადაც მისი მადლი არ დაგვხვდება. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მისი გეგმები ყოველთვის არ მოიცავს სასწაულებრივ გათავისუფლებას ავადმყოფობის, სიკვდილის ან შევიწროებებისაგან. და მაინც, მისი მადლი საკმარისია და არ მიგვატოვებს. უნდა გვჯეროდეს, რომ ღმერთი არ წაგვიძღვება მსახურების ადგილისაკენ ან საქმისაკენ თავისი საკმარისი მადლის გარეშე, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა ამ საქმის შესრულება. ხანდახან მისი გეგმები მოიცავს ჩვენს მწარე გამოცდილებაში ჩაყენებას და არა მისგან გათავისუფლებას. მისულხარ თუ არა გადაწყვეტილებამდე, რომ სრულიად ენდობი მას? ალბათ ვერასოდეს შეძლებ იმის თქმას, რომ მხოლოდ მისი მადლის საჭიროებას განიცდი, ვიდრე მისი მადლი არ არის ის ერთადერთი რამ, რაც გაგაჩნია.



148-ე დღე

ექსტრემალური ხედვა

ინდონეზია: დომინგუსი

ოცი წლის ბიბლიის სკოლის სტუდენტი „ალაჰ-ო-აკბარის!“ ყვირილმა გამოაღვიძა! (ალაჰი ყოვლისშემძლეა!) რადიკალი მუსულმანები მის საძინებელში შეიჭრნენ და უგონოდ სცემეს. დომინგუსი გაქცევას ეცადა მაგრამ ნამგალი დაუსვეს კისრის ზემოთ და თავი თითქმის მოსწყდა კისერს. თავდამსხმელებმა საკუთარი სისხლის ტბაში მიატოვეს იმ იმედით, რომ მალე სულს განუტევებდა.

დომინგუსმა თქვა, რომ მისმა სულმა სხეული დატოვა და ანგელოზებმა ზეცაში წაიყვანეს, საკუთარ გვამს ხედავდა მიწაზე. ახლა აღარც შიშს გრძნობდა და აღარც ტკივილს, მხოლოდ ენით გამოუთქმელ სიმშვიდეს განიცდიდა ქრისტეში ახალი ცხოვრების მომლოდინე. შემდეგ მოესმა, „ჯერ შენი აქ მსახურების დრო არ არის.“

ამის შემდეგ დომინგუსს ინდონეზიელი სასწრაფო დახმარების თანამშრომელთა ხმა შემოესმა. რადგან არ იცოდნენ მსხვერპლი ქრისტიანი იყო თუ მუსულმანი, ბჭობდნენ სად წაეღოთ მისი გვამი.

დომინგუსმა ღმერთს ლაპარაკის ძალა სთხოვა. ბოლოს, სიტყვები „ქრისტიანი ვარ“ გამოსცრა. ადვილი წარმოსადგენია მედიკების სახეზე აღწერილი გაოცება, „მკვდარი“ სტუდენტის მიერ მათ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ.

დღეს, დომინგუსი სრულიად გამოჯანმრთელებულია. ფიზიკური დაღი ჯერ კიდევ ატყვია, მაგრამ განახლებული სულიერი რწმენითა და მიტევების უწყებით. დომინგუსი აცხადებს, რომ ის ახლა უფრო ახლოს არის ღმერთთან და აქტიურად ლოცულობს მუსულმანი მეზობლებისათვის-მისი თავდამსხმელებისათვისაც კი.

ძალადობისა და მუქარის ახალ სამყაროში, ქრისტიანებს მცნებად აქვთ მიცემული უშიშრად შეხედონ მომავალს. შიში მხოლოდ ცუდ სიტუაციებს წარმოშობს ზეწოლის შემსუბუქების გარეშე. დარწმუნებით შეგვიძლია შევხედოთ საეჭვო მომავალს დედამიწაზე, რადგან ვიცით, რომ ჩვენი სამუდამო ადგილსამყოფელი დაცულია. ვიცით, რომ ჩვენი ზეციური მომავალი მუდმივია ქრისტესთან, როგორც დომინგუსმა დაინახა ეს ცხადად. უბრალოდ ამქვეყნიურ სხეულზე მეტი ვართ, რომლის დამახინჯება და მოკვლაც ჩვენს მტერს შეუძლია. თქვენი სიცოცხლე გაგრძელდება სხეულის განადგურების შემდეგ. თქვენი ნამდვილი მომავალი ის არის, თუ რა მოგელით სამუდამო სამყოფელში, და არა ამ დედამიწაზე. რა შიშები გაქვს მომავალთან დაკავშირებით? შეგიძლია თუ არა ეს შიშები ღმერთს მიანდო და შიშის გარეშე შეხედო მომავალს?



ექსტრემალური
სიმღერა

ჩრდილოეთ კორეა: სუნ ოკ ლი

„მანამდე არ ვიცოდი რას მღეროდნენ ეს პატიმრები ვიდრე ქრისტიანი არ გავხდი.“

ოკ ლი ჩრდილოეთ კორეაში 1987-1992 წლებში დააპატიმრეს. თუმცა ქრისტიანი სამხრეთ კორეაში გაქცევამდე არ გამხდარა. ქრისტეს მიღების შემდეგ აოცებდა ციხის მოგონებები, რაც იქ უნახავს და მოუსმენია.

ეს მოგონებები სრულიად უბრალო იყო, თუ როგორ კლავდნენ ქრისტიანებს სიმღერისათვის. იმ დროს მას ეს არ ესმოდა და ფიქრობდა, რომ ისინი გიჟები იყვნენ. მას ლაპარაკის უფლება არ ჰქონდა, ამიტომ არასოდეს მისცემია ქრისტიანებთან საუბრის შესაძლებლობა. ახსოვს მოსმენილი სიტყვა, „ამინ.“

„ჩემი ცხოვრებაში ყოფნის დროს არ მახსოვს, რომ ქრისტიანებს რწმენაზე უარი ეთქვათ. არც ერთს არ უთქვია უარი. როცა ეს ქრისტიანები ჩუმად იყვნენ, ოფიცრები ბრაზობდნენ და სცემდნენ. იმ დროს არ მესმოდა, რატომ იგდებდნენ სიცოცხლეს საფრთხეში და არ ამბობდნენ, ‘არ მწამს,’ რათა ოფიცრის სურვილი აესრულებინათ. ხშირად დამინახავს როგორ მღეროდნენ ცემისას. ოფიცრები მათ გიჟებს ეძახდნენ და ელექტრო შოკის ოთახში მიჰყავდათ. არასოდეს მინახავს იქიდან ცოცხლად დაბრუნებული ადამიანი.“

სიმღერამ იმოქმედა მასზე. ალბათ სიმღერა იყო ის ძვირფასი წმინდანი, რომელმაც მის სულში თესლი დათესა და ბოლოს ქრისტემდე მიიყვანა.

ჯაშუშების მსგავსად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქრისტიანობით და მიზანში ამოიღებენ მორწმუნეს ჭეშმარიტების შეფასების მიზნით. ისინი აკვირდებიან. უყურებენ. გონებრივ შენიშვნებს აკეთებენ. როცა ქრისტიანები სასამართლოზე გადიან, ეს ჩუმი დამკვირვებლები ხშირად იმედოვნებენ, რომ მორწმუნეების დაცემას იხილავენ, რათა დარწმუნდნენ, რომ ქრისტიანებიც დანარჩენების მსგავსნი არიან. მაგრამ, როცა ქრისტიანები ტანჯვისას იღიმიან, მაშინ ისინი წაიბორძიკებენ. როცა მორწმუნეები ტაშს უკრავენ ტირილის ნაცვლად, გაოცებულნი რჩებიან. როცა ქრისტიანები მწუხარებისას მღერიან, იმ მდგომარეობამდე მიდიან, რომლის ახსნაც არ ძალუძთ. თუ ამჟამად განსაცდელს გადიხართ, თქვენ გაქვთ ქრისტეს შესახებ დამოწმების უპრეცენდენტო შესაძლებლობა. ილოცე, რომ შენი სიხარულის მაგალითი სხვებსაც შთააგონებდეს.



ექსტრემალური
მოთმინება

თურქმენეთი: შაგელდი ატაკოვი

„გატეხეთ ის მორალურად ან გაანადგურეთ ფიზიკურად!“ თურქმენეთის ბიუროკრატიულ აპარატს აღარ შეეძლო ქუჩის მქადაგებლის მეტად ატანა.

შაგელდი ატაკოვს თავისუფლება მისცეს, პრეზიდენტ საპარმურატ ნიაზოვის 2000 წლის 23 დეკემბრის ამინისტიის მიხედვით, იმ პირობით, რომ პრეზიდენტის ერთგულებას დაიფიცებდა და მუსულმანურ მრწამსს წარმოთქვამდა. შაგელდიმ კვლავ უარი განაცხადა ამინისტიის მიღებაზე.

შაგელდის სახელმწიფო მოხელეები ემუქრებოდნენ და ქადაგების შეწყვეტას სთხოვდნენ. იგი კვლავ დააპატიმრეს 1998 წელს და ორი წელი მიუსაჯეს, მაგრამ პროკურორმა გამოაცხადა, რომ განაჩენი „ძალიან რბილი იყო,“ და კიდევ ორი წელი დაუმატა.

შაგელდი ისეთ ტკივილებს განიცდიდა სასტიკი ცემისაგან, რომ შვილებს სთხოვა არ შეხებოდნენ.

2000 წლის თებერვალში, მისი მეუღლე და ხუთი შვილი ძალით წაიყვანეს სახლიდან, კაკხაში გადაასახლეს და „სოფლის პატიმრობაში“ ამყოფებდნენ.

2001 წლის თებერვალში, სანახავად მოსულ ოჯახის წევრებს შაგელდიმ გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართა. მისმა ცოლმა შენიშნა, „ჩვენი სტუმრობისას ძალიან დალურჯებული და ნაგვემი იყო, ღვიძლი, თირკმელები და სახსრები ტკიოდა. სიარული უჭირდა და ხშირად კარგავდა გონებას.“ დიდხანს სიცოცხლეს აღარ მოელოდა.

მიუხედავად ამისა, შაგელდი არ გატყდა. არ დანებებულა, თუმცა თავისუფლება მის ხელში იყო; ვერ მიიღებდა ისეთ თავისუფლებას, რომელიც ქრისტეს ერთგულებას შეენაცვლებოდა.

ადამიანს შეუძლია რამოდენიმე კვირა იცოცხლოს საკვების გარეშე, მაგრამ წყლის გარეშე ვერ გავძლებთ დიდხანს. ანალოგიურად, ჩვენს სულსაც სჭირდება სულიერი საკვები. შეიძლება რამოდენიმე დღე, თვე და წლებიც გავძლოთ კომპანიონის გარეშე- ჩვენს სულს შესწევს მარტოობის გადატანის ძალა. შეიძლება გავძლოთ მშვიდობის გარეშე, ავიტანოთ ავადმყოფობა-თუმცა სული დასუსტდება, მაგრამ მაინც გადარჩება. თუ ვეცდებით დიდხანს ვითმინოთ და ვიყოთ იესო ქრისტეს იმედის გარეშე, ჩვენი სული დაკნინდება. ვერ ვიცოცხლებთ იმედის გარეშე, ღვთისგან მოცემული ამ ძვირფასი საჩუქარის გარეშე. თუ ფიქრობ, რომ მეტის გაგრძელება აღარ შეგიძლია, სთხოვე ღმერთს გაგამხნევოს და მოტივი აღძრას შენში. მაშინ ყველაფერს იესო ქრისტეს ძლიერი იმედით აიტან.

> განუწყვეტლივ ვიხსენებთ თქვენი რწმენის საქმეს და სიყვარულის შრომას და ჩვენი უფლის იესო ქრისტესადმი, ჩვენი ღვთისა და მამის წინაშე, თქვენს იმედიან მოთმინებას.
>
> *1 თესალონიკელთა 1:3*

151-ე დღე

ექსტრემალური
ლოიალობა

ლაოსი: ეზეკია

1997 წელს, ქრისტიანობაზე მოქცევიდან მოკლე ხანში, ეზეკია „ტაძარში“, წავიდა, როგორც მას ადგილობრივები უწოდებდნენ, დამოწაფებისა და ევანგელიზაციის საკითხში სწავლების მისაღებად. შემდეგ კვლავ მამამისის სახლში დაბრუნდა. ოცდათხუთმეტიოდე ნათესავი და თანასოფლელები მივიდნენ მასთან და ქრისტიანად მოქცევის მიზეზის ახსნას სთხოვდნენ. მან უთხრა, „იესო არის ერთადერთი გზა, რომლითაც შეიძლება გადავრჩე ჩემი ცოდვებისაგან და საუკუნო სიცოცხლე მივიღო.“

ამაზე ბრბო გაბრაზდა, მაგრამ ეზეკია მიზეზის ახსნას შეეცადა. ბოლოს, ისინი თმებში სწვდნენ და იმდენი ურტყეს ვიდრე გული არ წაუვიდა.

ეზეკიას მეგობარმა შეძლო მისი სახლში წაყვანა, სადაც ოთხი დღის განმავლობაში საწოლში იწვა მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ეზეკიამ ვეღარ შეძლო მამამისის სახლში დაბუნება, მაგრამ ლაოსის სოფლიდან სოფელში დადის და ხსნის შესახებ კეთილ უწყებას ავრცელებს.

პირველი შემთხვევის შემდეგ, ეზეკია ათჯერ მაინც სცემეს სხვადასხვა სიტუაციაში. ხანდახან სიკვდილი ერჩია მძიმე ტანჯვას. ის ამბობს: „რაც უფრო გავიზარდე ქრისტეში, მით უფრო ვიტან ტანჯვას. განსაცდელმა განმიმტკიცა რწმენა და ღვთის ერთგულებამ გამათავისუფლა. ვმადლობ ღმერთს, რომ შევძელი ხალხისათვის მეცნობებინა იესოში ხსნის შესახებ.“

ღვთისერთგულებათავისშვილებისადმისამაგიეროსმიზღვაზეარარისდამოკიდებული. არამედ, ღმერთმა კარგად იცის ჩვენი სისუსტეები მაგრამ ირჩევს, რომ ვუყვარდეთ. ფრთხილად უნდა წავიკითხოთ წამებულთა ისტორიები ღვთის თავისი შვილებისადმი ერთგულების შუქზე. წამებულები გვახსენებენ, რომ ეს ისტორიები მათზე კი არ არის. არამედ ღმერთის შესახებაა! თუმცა მრავალი მორწმუნის ისტორიას ვკითხულობთ, რომელთაც ხალისით აიტანეს გამათრახება და ქრისტე მაინც არ უარყვეს, მაგრამ საკვირველი დასკვნა პიროვნების ექსტრემალური ერთგულება კი არ არის, არამედ ღვთის დიდების ექსტრემალური ერთგულება. თქვენი ერთგულება შეიძლება მერყეობდეს, მაგრამ მისი შენდამი ურყევი ერთგულება არასოდეს მთავრდება. გამოყავი დღეს დრო და მოუხადე ღმერთს მადლობა მისი შენდამი ერთგულებისათვის.

თუ ჩვენ არ გვწამს, იგი მაინც
სარწმუნო რჩება, ვინაიდან
საკუთარ თავს ვერ უარყოფს.

2 ტიმოთე 2:13

152-ე დღე

ექსტრემალური
გარემოცვა

რუმინეთი: საბინა ვურმბრანდი

ახალგაზრდა ებრაელი ექიმი მოწყენილი იყო, საბინა ვურმბრანდი მის დამშვიდებას ცდილობდა: „ღმერთი ებრაელ ხალხს ნათელ მომავალს დაჰპირდა. ისინი ზღვის ქვიშასავით და ცის ვარსკვლავებივით ურიცხვნი იქნებიან.“

ცრემლმორეულმა ექიმმა მაღლა აიხედა და თქვა, „ძირს ქვიშასავით ურიცხვნი, კომუნისტი დაცვის ფეხქვეშ ვკანკალებთ. მეტად აღარ მიხსენო შენი ღმერთი.“

რამდენიმე დღის შემდე საბინა ძალიან ავად გახდა. თითქმის მომაკვდავი ინახულა ციხის დირექტორმა საავადმყოფოში. მან თქვა, „ჩვენ კომუნისტებს გვაქვს წამალი და საავადმყოფოები და ჩვენ შენს ღმერთზე ძლიერები ვართ. ამ საავადმყოფოში ღმერთის სახელის ხსენების უფლება არა გაქვს.“ მხოლოდ საბინა ბედავდა ღვთის არსებობის შესახებ საუბარს. სხვა ქალები ისეთი ექსტაზით იყვნენ შეპყრობილნი, რომ ერთ-ერთმა მათგანმა დირექტორიც კი გამოიწვია.

მეორე დღეს მათ აიძულეს საბინა სამუშაოდ წასულიყო. ღმერთი სასწაულებრივად შეეხო მის სხეულს და სრულიად განკურნა. ეს ამბავი მთელს ციხეს მოედო და რა თქმა უნდა ახალგაზრდა, მოწყენილი ექიმის ყურსაც არ გამოპარვია სიახლე.

იმავე საღამოს გი საბინასთან მივიდა და უთხრა, „თუ შენს ღმერთს შეუძლია შენი სხეულის აღდგენა და ამ ჯოჯოხეთის ორმოში ასეთი სიხარულის მოგვრა, მაშინ მეც უნდა ვირწმუნო მისი არსებობა. სხვა არანაირ ძალას არ შეუძლია ამის გაკეთება. როგორ შეიძლება გადავრჩე?“

როცა ვგრძნობთ, რომ ჩვენი ცხოვრება ორმოშია, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ხალხი გვიყურებს და აინტერესებთ დაინახონ, როგორ დავაღწევთ თავს ამ მდგომარეობას. როგორც ჩანს ქრისტიანობა იზიდავს ინტერესში ჩავარდნილ მაყურებლებს-განსაკუთრებით მაშინ, როცა ვიტანჯებით. ხალხი შორიდან უყურებს ჩვენს რწმენას რათა განსაზღვრონ როგორია ღმერთი. დიდი ინტერესით გვიყურებენ, როცა კრიზისში ვართ. თუ განსაცდელის დროს რწმენის შესაბამისად ვცხოვრობთ, ხალხს არ შეუძლია იმის უარყოფა, რასაც ჩვენს ცხოვრებაში ხედავენ. რას ხედავს ხალხი შენს ცხოვრებაში? რას ეუბნება შენი ცხოვრებისეული მდგომარეობა ღმერთის შესახებ ხალხს? თუ გრძნობ, რომ ცხოვრების ორმოში ხარ გახსოვდეს, რომ ხალხი გიყურებს როგორ გამოხვალ ამ მდგომარეობიდან.



153-ე დღე

მიუხედავად მტკივნეული
მოგონებებისა, სიმწარისათვის
დრო არა მაქვს. ჩემი ცხოვრება
დიდი სიხარულით, უამრავი
მოსიყვარულე და მზრუნველი
ადამიანებით აღივსო და ნებას
არ მივცემ საკუთარ თავს
სიძულვილის კიბომ შემჭამოს.
ვხარობ. ვმღერი. ვიცინი. ვზეიმობ,
რადგან ვიცი, რომ ჩემი ღმერთი
მეფობს ბოროტ ძალებსა და
სატანის გეგმებზე.
და ყველაზე საუკეთესო-ჩემი
ღმერთი მეფობს ჩემში!

ხუცესი ნობლ ალექსანდრე, კუბაში ოცდაორი წლით
დაპატიმრებული-*მე მოვკვდები თავისუფალი*

154-ე დღე

ექსტრემალური
თხოვნა

ჩინეთი: ჩანგ რონგლიანგი

ჩანგ რონგლიანგი არის ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოჯახო ეკლესიის ჯგუფის ხუცესი, რომელსაც დაახლოებით ათი მილიონი ჩინელი მორწმუნე ესწრება ყოველკვირეულ მსახურებაზე. 1998 წელს, ჩანგმა და ეკლესიის სხვა ხელმძღვანელებმა-თხუთმეტმილიონიანი იატაკქვეშა მორწმუნეების წარმომადგენლებმა-ხელი მოაწერეს დოკუმენტს სათაურით „საოჯახო ეკლესიის რწმენის დამოწმება“ რომელიც სახალხოდ მოუწოდებდა კომუნისტურ მთავრობას, რომ შეეწყვიტათ საოჯახო ეკლესიების შეწუხება.

ამ დოკუმენტის სახალხოდ გამოცხადებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, ჩანგი და სხვა ხელმომწერნი დააპატიმრეს. ჩანგი მოგვიანებით იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ მომდევნო შვიდი წლის შემდეგ კარგად „მოიქცეოდა“. ამჟამად ჩანგი სხვადასხვა ეკლესიების მსახურებისათვის ბევრს მოგზაურობს. რადგან ის ისე კარგად არ „იქცევა“ როგორც მთავრობას სურს, ჩანგს ერთი და იგივე საწოლში რამდენიმე დღეზე მეტ ხანს არასოდეს სძინავს.

პავლე რომაელთა 13 თავში ჩვენი მთავრობისადმი მორჩილების ვალდებულების შესახებ წერდა, მან ყველაზე მეტად იცოდა ამ რისკის შესახებ, თუმცა, რომაელებისაგან დევნას განიცდიდა, მათი კანონის თანხმობით გაავრცელა სახარება რომში. მისმა, უფლებამ, რომელიც ჰქონდა როგორც რომაელ მოქალაქეს, მისცა მას რომში სახარების წარმატებით გავრცელების შესაძლებლობა, თუმცა ეს მისი ბოლო მოგზაურობა იყო.

პავლეს მსგავსად ჩანგმა ექსტრემალური რისკი გასწია ფორმალური თხოვნის მეშვეობით. თუმცა, მისი პიროვნული რისკის საშუალებით მრავალმა შეძლო ქრისტესთან მისვლა.

პავლეს მსგავსად, ჩინეთის ეკლესიის ხელმძღვანელებმა იციან, რომ ღმერთი ირჩევს მთავრობას. მაგრამ მათ ისიც იციან, რომ ღმერთს შეუმჩნეველი არ რჩება მთავრობის უსამართლობა. გადმოცემის თანახმად რომაელებმა პავლეს თავი მოჰკვეთეს. ანალოგიურად, ჩინეთის მორწმუნეები უსამართლობაში იტანჯებიან თავიანთი მთავრობისმიერ ქრისტესსახელისათვის. თუ კი თავიანთი სიცოცხლის რისკისსაფასურად ეკლესიის ხელმძღვანელები სამართლიანობას მოუტანენ ჩინეთს, მაშინ ხუცესები მზად არიან სიკვდილისათვის. რამდენად ძლიერია ჩვენში სამართლიანობის აღდგენის სურვილი? რამდენად ვაფასებთ ღვთის სიტყვის თავისუფლად ქადაგების უფლებას? ილოცეთ დღევანდელი ჩინეთის მორწმუნეებისათვის, რომელნიც შთაგვაგონებენ ვეძიოთ ღვთის სამართლიანობა მათი მჩაგვრელებისათვის. სთხოვე ღმერთს გიჩვენოს თუ როგორი გზით შეგიძლია დაეხმარო მათ საქმიანობას ღვთის სასუფევლის დაწინაურებისათვის.



155-ე დღე

ექსტრემალური
წინასწარმეტყველება

რომი: პეტრე

მესამედ ჰკითხა ქრისტემ პეტრეს, „სიმონ, იოანესავ, გიყვარვარ?“

პეტრე დამწუხრდა. სამჯერ უარყო ღმერთი; ახლა ქრისტემ სამჯერ დააყენა კითხვის ქვეშ მისი სიყვარული, თითქოს თავის გულში თითოეული სიტყვის მნიშვნელობას წონიდა, „უფალო, შენ ყველაფერი იცი. იცი, რომ მიყვარხარ.“

„აძოვე ჩემი ცხვრები,“ სამჯერ გაიმეორა ქრისტემ. ამჯერად, დაამატა მან, „სანამ ახალგაზრდა იყავი, შენ თვითონ შემოირტყამდი სარტყელს და მიდიოდი, სადაც გსურდა, როცა დაბერდები, გაშლი ხელებს და სხვა შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს იქ, სადაც არ გსურს.“ ეს რომ თქვა, უთხრა: „მომყევი.“ (იოანე 21:15-19, პერიფრაზირებული).

ნერონმა სამოცდაათი წლის ასაკში დაუწყო დევნა პეტრეს. ლეგენდის მიხედვით, პეტრეს მეგობრები და მიმდევრები რომიდან გაქცევას ურჩევდნენ. თავდაპირველად უარი განაცხადა, მაგრამ გაქცევა აიძულეს. როცა ქალაქის ჭიშკარს მიუახლოვდა, ქალაქისაკენ მიმავალი იესო იხილა. პეტრე მუხლებზე დაეცა და თაყვანი სცა. „უფალო, სად მიდიხარ?“

„კვლავ ჯვარზე საცმელად მოვედი. მომყევი.“

პეტრე მობრუნდა და გაყვა „სადაც არ უნდოდა წასვლა.“ იგი ნერონის წინაშე წარსდგა. როცა დააპატიმრეს, მან ითხოვა, რომ თავდაყირა გაეკრათ ჯვარზე, რადგან უფლის მსგავსად ჯვარცმის ღირსად არ თვლიდა თავს.

ეს ლეგენდა იესოს მეორედ ჯვარცმას არ გულისხმობს. იესო მოკვდა და ყველასათვის დაბრუნდა. არამედ, ლეგენდა გვახსენებს, რომ იესო ჩვენს ტკივილებსა და ტანჯვებს საკუთრად იღებს, თითქოსდა თავად გადის ამ ტანჯვებს. პეტრეს შემთხვევაში, ბიბლია იესოს ადრინდელ წინასწარმეტყველებაზე ამბობს, რომ იგი პეტრეს ჯვარცმას გულისხმობდა. იესოს გარდა სხვას ვის შეეძლო პეტრეს თანაგრძნობა? იესო არის ტანჯვის ექსპერტი. მან ყველაფერი იცის ტანჯვის შესახებ და ამ დროს ჩვენს გვერდით ყოფნა სურს. თუ ტკივილია შენს ცხოვრებაში, იესოს ესმის. თუ გული გტკივა, იესოს ესეც გამოცდილი აქვს. მოდი დღეს და მას მიანდე შენი ტვირთი და მწუხარება ლოცვაში.

ეს თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით განადიდებდა ღმერთს. ეს რომ თქვა უთხრა: „მომყევი.“

იოანე 21:19

156-ე დღე

ექსტრემალური
ხუცესის ცოლი

რუმინეთი: საბინა ვურმბრანდი

მკვეთრი კონტრასტი არსებობდა რუმინეთის ლამაზ გარეუბანსა და დამპყრობელი ნაცისტი კომუნისტების მიერ, ქრისტიანებისა და ებრაელების ტანჯვას შორის. საბინა ვურმბრანდისათვის ეს ტანჯვა სამმაგი იყო: გარდა იმისა, რომ ის ქრისტიანი იყო, იყო ებრაელიც და კარგად ცნობილი ხუცესის მეუღლეც.

ერთ დღეს მან შეიტყო, რომ თავისი დედ-მამა, სამი ახალგაზრდა და და ცხრა წლის ძმა სასტიკი წამებით მოკლეს საკონცენტრაციო ბანაკში. იმ დღეს მისი რწმენა გაცოცხლდა და ნამდვილი გახდა.

ღვთის მადლით აღვსილმა საბინამ თქვა, „მოწყენილ სახეს არავის ვაჩვენებ. მოვალე ვარ ღვთის წინაშე სიხარულით აღვსილი და ეკლესიისათვის მხნეობის მაგალითის მიმცემი მორწმუნე ვიყო; და ჩემი ქმრისათვის, უშფოთველი მეუღლე.“

საბინას პიროვნულ მწუხარებასა და აგონიას ხელი არ შეუშლია გაემხნევებინა მის გარშემო მყოფნი. თავის გონებაში, მას სხვა არჩევანი არ ჰქონდა. სიკვდილი და ტანჯვა განსაკუთრებით იატაკქვეშა ეკლესიის წევრებში იყო გავრცელებული. მრავალი ადამიანის თვალი შეჰყურებდა მას, როგორც ხუცესის ცოლს. მას რომ რწმენა დაეკარგა, როგორი რწმენა ექნებოდათ დანარჩენებს?

მოგვიანებით საბინამ სამი წელი გაატარა ციხესა და შრომა გასწორების კოლონიაში, სადაც ქალები ყველაზე სასტიკ და დამამცირებელ მოპყრობას განიცდიდნენ სხვა პატიმრებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მას ციხეში იცნობდნენ, როგორც ყველას მეგობარსა და კარგი სიტყვის პატრონს.

რუმინეთის დატოვებამდე ღმერთმა ჯილდო მისცა საბინას. მან და მისმა მეუღლემ, რიჩარდმა, მოგვიანებით მისი ოჯახის მკვლელი ქრისტესთან მიიყვანეს!

ხუცესობა, ხუცესსა და მის მეუღლეს შორის თანამშრომლობაა. ერთის მსახურება ვერ იქნება მეორის მსახურებისა და გამხნევების გარეშე სრულყოფილი. ღმერთი არცერთ ქრისტიანს არ მოუწოდებს მარტოობაში ცხოვრებისა და მსახურებისათვის- არამედ მოგვიწოდებს ვიყოთ საზოგადოებაში. ჩვენ სხვა ქრისტიანების დახმარებაც გვჭირდება მსახურებაში, რათა მოგვცენ ბრძნული რჩევა და დროდადრო გვამხნევებდნენ. ჩვენგან არ მოელიან საქმის მარტო კეთებას-და არც უნდა ვცადოთ. იფიქრეთ თქვენი გავლენის სფეროზე. ვინ არის თქვენს გვერდით მსახურებაში? ვინ ლოცულობს თქვენთვის, რათა იყოთ ეფექტური მსახურებაში, სახლში და სკოლაში?

სთხოვე ღმერთს გამოგიგზავნოს ქრისტიანი თანამზრახველი, რომელიც გაგამხნევებს და გაგაძლიერებს საჭიროების ჟამს.



157-ე დღე

ექსტრემალური ძალა

ინდონეზია: ფრითსი

ფრითსი ყოველ დარტყმას გრძნობდა თავში და ძალისათვის ლოცულობდა. მუსულმანი თავდამსხმელები გარს შემორტყმოდნენ და რიგ-რიგობით სცემდნენ სახეში. ერთ-ერთი მუსულმანი დიდ დანას იქნევდა და ფიქრობდა, რომ ერთი ქრისტიანი ხუცესისაგან გათავისუფლდებოდნენ. პირველად, როცა დანა ჩაესო, სიმწრისაგან წამოიყვირა, „იესო!“ კიდევ რამდენჯერმე ჩაარტყეს დანა. და ყოველი დარტყმისას, ყვიროდა, „იესო!“ თავდამსხმელები ბრაზობდნენ, რომ ხუცესი არ კვდებოდა!

რადიკალმა მუსულმანებმა სკამები და კათედრა ეკლესიიდან გამოათრიეს და ცეცხლს მისცეს. ორმა მუსულმანმა ფრითსი დაიჭირა და ცეცხლმოკიდებული შეშით ურტყამდნენ. თავდასხმით კმაყოფილები გაიქცნენ. ფრითსს ამის შემდეგ ბევრი აღარაფერი ახსოვს, მაგრამ ერთი რამ კი იცის: რომ თავზე არცერთი თმის ღერი არ დაწვია.

მალე ფრითსი ინდონეზიის ყველაზე დიდ საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ქრისტიანობის გამო უარი უთხრეს მკურნალობაზე. შემდეგ სხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მორიგე ექიმმა თქვა, რომ თუ ამ ღამეს გაათევდა, ტვინი სამუდამოდ დაზიანებული დარჩებოდა.

დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ, ფრითსი ახლა სხვა ეკლესიაში ქადაგებს. მისდა გასაოცრად, ფრითსის ერთ-ერთმა მუსულმანმა თავდამსხმელმა მისი ძებნა დაიწყო, მხოლოდ ერთი კითხვის დასასმელად: „ვინ არის ეს იესო?“

ვის არ სიამოვნებს, რომ მეზობლები მასზე ფიქრობდნენ, როგორც საუკეთესო „ექსპერტზე“? ეს შეიძლება იყოს მექანიკოსის, მათემატიკოსის, ხუროს, ხელოვნების, მარკების კოლექციონერის, ან სპორტის ექსპერტი-ყველა შეიძლება იქნეს მიჩნეული რაღაცის ექსპერტად, ერთ საქმეში მაინც. გვიხარია იმ სფეროში დაგვისვან კითხვა რასაც კარგად ვფლობთ. მაგრამ, ვინმეს რომ ეკითხა, „ვინ არის ეს იესო”? ვიქნებოდით თუ არა „ექსპერტებივით“ მზად? ყველა ქრისტიანი არ არის ევანგელისტი. მაგრამ ყველა ქრისტიანმა შეიძლება გასწიოს ევანგელიზაცია საჭიროების შემთხვევაში, დახსნის გეგმის გაზიარებით. ეს შეკითხვა რომ ურწმუნო მეგობარს დაესვა შენთვის, რას უპასუხებდი? თუ პასუხში დარწმუნებული არა ხარ, გაესაუბრე მას ვინც იცის ამის შესახებ.

> წმიდაჰყავით ქრისტე, როგორც
> უფალი, თქვენს გულებში
> და მუდამ მზად იყავით, რომ
> სიმშვიდით და მოწიწებით
> უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი
> იმედის გამო ახსნა-განმარტებას
> მოგთხოვთ.
>
> *1 პეტრე 3:15*

158-ე დღე

ექსტრემალური
ახალგაზრდული ჯგუფი

რუსეთი: ხუცესი სერებრენიკოვი

ადგილობრივი გაზეთი ვითარებას „ველურს“ უწოდებდა. იგი არ იყო მკვლელობის ან ავარიის შემთხვევა; არამედ ბიბლიის შესწავლა.

ეს ამბავი კომუნისტურ რუსულ გაზეთებში 1960 წელს გაჩნდა. ერთ ადგილას წაიკითხავდით, „ახალგაზრდა ბიჭები და გოგონები სასულიერო საგალობლებს მღეროდნენ. მათ ცერემონიალი ჩაატარეს და მოინათლნენ და მტრის სიყვარულის შესახებ სწავლებას იცავდნენ.“ ეს ამბავი იმ შოკისმომგვრელი დასკვნით სრულდებოდა, რომ თურმე ახალგაზრდული კომუნისტური პარტიის რიგებში უამრავი ახალგაზრდა ყოფილა საიდუმლოდ ქრისტიანი.

„ჩვენც ისევე უნდა გვწამდეს ჩვენი მხსნელი, როგორც პირველ ქრისტიანებს,“ უთხრა ხუცესმა სერებრენიკოვმა თავის ახალგაზრდულ ჯგუფს. „თქვენთვის პრინციპული კანონი არის ბიბლია. სხვას არაფერს ვაღიარებთ. უნდა ვიჩქაროთ ადამიანების ცოდვისაგან დახსნისათვის, განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ახალგაზრდებისათვის.“

გაზეთის სარედაქციო კოლეგიას უკვირდა, რატომ ირჩევდნენ ახალგაზრდები ქრისტეს გაჰყოლოდნენ და კომუნისტური სკოლა დაედანაშაულებინათ „უძლურებასა“ და „უსინათლობაში.“ ისინი ამბობენ, რომ ქრისტიანობას შეუძლია „გულგრილი მასწავლებლების თვალწინ ხელი სტაცონ მათ მოწაფეებს და წაიყვანონ.“

ეს არ იყო გულგრილი მასწავლებლების ბრალი. არამედ ქრისტეს მოწოდება, რაც ხუცეს სერებენიკოვსა და მისი ახალგაზრდული ჯგუფის წევრებს გააჩნდათ-ქრისტიანები, რომლებმაც ბნელ მიწაზე სინათლის გაბრწყინებისათვის იშრომეს.

„ეს ჩემი პატარა სინათლე, უნდა გავანათო...“ ამ ნაცნობ საბავშვო სიმღერას მარტივი მელოდია და სულ რამოდენიმე სიტყვა ჰქონდა ადვილად დასამახსოვრებლად-რომელიც სიმღერის შემდეგ რამოდენიმე დღე მაინც ჩარჩება ადამიანის გონებაში. პატარა ბავშვები ადვილად სწავლობენ სიმღერებს, მაგრამ უფრო რთულია მათი დავიწყება, განსაკუთრებით სიბერეში გვახსენდება. რამდენი შემთხვევა გვაქვს დღის განმავლობაში ჩვენი სინათლის განათებისა და ღვთის განდიდებისათვის? ერთი თუ ორი? ათი? ოცი? ნამდვილ ციფრს მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ვიყენებთ ჩვენს ყოველდღიურ შესაძლებლობებს. ვინ იცის? შეიძლება თქვენი სინათლე არის ზუსტად ის, რაც სხვებს სახლისაკენ მიმავალი გზის პოვნაში სჭირდებათ.



159-ე დღე

ექსტრემალური „ვაჭრობა“

რუმინეთი: საბინა ვურმბრანდი

გამაგიჟებელი განმეორებითი შეკითხვები და საბინას ნერვები აღარ ჰყოფნიდა. ოფიცერი შეუბრალებელი იყო. „ჩვენ გვაქვს შენი ალაპარაკების მეთოდები, რომელიც არ მოგეწონება. ნუ ეცდები ჩვენთან სიბრძნის გამოჩენას. უბრალოდ დროს დაგვაკარგვინებს.“

მათი შეკითვები საბინას მიერ ქრისტიანების სახელების ჩამოთვლას ისახავდა მიზნად-ისინი, რომელთათვისაც საბინას დედობა გაუწევია სულიერად და დევნისას მტკიცე რწმენის შენარჩუნებისათვის გაუმხნევებია. ახლა მისი სიმტკიცის ჯერი იყო, თუმცა ფიქრობდა, რომ ამაზე მეტ დაკითხვებს ველარ გაუძლებდა. შემდეგი დაკითხვა უფრო თავაზიანი და მოხერხებული მეთოდით შედგა. ოფიცერი მარტო იყო და იცინოდა. „ძვირფასო ქალბატონო, თქვენ მხოლოდ ოცდათექვსმეტი წლის ხართ, მთელი ცხოვრება კიდევ წინ გაქვთ. მხოლოდ გამყიდველთა სახელები გვინდა თქვენგან.“ საბინა ჩუმად იყო.

მან გააგრძელა, „მოდი რეალურად ვიმსჯელოთ. ყველას აქვს თავისი ფასი, რატომ არ იტყვით თქვენ რამდენს ითხოვთ? მარტო გვითხარი რა გინდა. შენი და შენი ქმრის თავისუფლება? კარგი სახლი და ეკლესია? ჩვენ ვიზრუნებთ თქვენს ოჯახზე.“

საბინამ მტკიცე დარწმუნებულობით უპასუხა, „მადლობთ, მაგრამ უკვე გავიყიდე.“

„უკვე?“ შეაწყვეტინა ოფიცერმა. „რამდენად და ვის?“

„ღვთის ძე იტანჯა და ჩემთვის მოკვდა. მისი მეშვეობით ზეცაში შემიძლია ასვლა. თქვენ ამაზე მეტის გადახდა შეგიძლიათ?“

ჩვენ მოველით, რომ მხოლოდ თინეიჯერებს უწევთ იმ პროცესის გავლა, რასაც თანატოლთა ზეწოლა ჰქვია. ვერასოდეს ვიფიქრებთ თუ ეს ჭირი უფროსებსაც გადაგვედება. როცა ფასეულობის დათმობის წინაშე ვდგავართ, ამ დროს კარგად ნაცნობია ვიღაცისაგან რაღაცით „მოსყიდვა“. როცა საქმე გასრულდება, დამნაშავედ ვგრძნობთ თავს. თუმცა, ქრისტემ უკვე გადაიხადა საბოლოო ფასი ჩვენს გამოსასყიდად. თუ ყველა თავის ფასს გთავაზობთ, ქრისტემ ხომ ერთხელ და სამუდამოდ უკვე გადაიხადა ფასი ჩვენი გამოსყიდვისათვის. მისი გამომსყიდველი სისხლის გამო შეუფასებელნი ვართ მის თვალში. თქვენ უკვე გამოგისყიდეს და გადახდილია თქვენი ფასი, ამიტომ ნუ გაყიდით საკუთარ თავს. დაიცავით თქვენი თავი იმ დღისათვის.

ფასით ხართ ნაყიდნი,
ნუ გახდებით
ადამიანთა მონები.

1 კორინთელთა 7:23

160-ე დღე

ეკლესია, რომელსაც არ ახსოვს თავისი დევნილი და-ძმები, ის ეკლესია არ არის.

ლუთერანი ხუცესი, ვინც საშინელი წამება აიტანა
იატაკქვეშა ეკლესიის წევრების დასაცავად

161-ე დღე

ექსტრემალური
იარაღები

შეერთებული შტატები

მატარებლის შეჯახებისაგან გამოწვეული ალი და განწირული ადამიანების აგონია ისმოდა დასახიჩრებული მგზავრების სისხლის ზღვაში, დამტვრეული ადამიანები დაჭეჭყილ მანქანებში იყვნენ. დაჭრილებსა და დასახიჩრებულებს შორის დადიოდა ერთი ქირურგი, რომელიც შეჯახებისას გადარჩენილიყო. თუმცა, მისი ბარგი, იმ არეულობაში დაკარგულიყო და ყვიროდა, „ჩემი იარაღები! ჩემი იარაღები! მე რომ ჩემი იარაღები მქონოდა!“

სამედიცინო იარაღების მეშვეობით კაცს მრავალი ადამიანის გადარჩენის ძალა შესწევდა. შიშველი ხელებით კი უმწეოდ იდგა და უყურებდა როგორ კვდებოდა უამრავი ხალხი.

დღევანდელი დევნილი ეკლესიაც იმ ქირურგს ჰგავს. მათ აქვთ ცოდნა და სურვილი კომუნიზმისა თუ ისლამის ბრჭყალებში მომწყვდეულთა გადასარჩენად. მაგრამ არა აქვთ იარაღები.

„მოუსმინეთ დატყვევებული ერების და-ძმების ღაღადს!“ წერდა ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი, ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად ჩამოსვლისას. „ისინი არ ითხოვენ გაქცევას; ისინი არ ითხოვენ უსაფრთხოებას ან ადვილ ცხოვრებას. ისინი მხოლოდ იარაღებს გთხოვენ მათი ახალგაზრდების მომწამვლელი ნივთიერების წინააღმდეგ საბრძოლველად-მომავალი თაობისათვის-ათეიზმის წინააღმდეგ. ისინი ბიბლიებს ითხოვენ. როგორ შეძლებენ ღვთის სიტყვის ბიბლიის გარეშე გავრცელებას?“

ქრისტიანობა აკრძალულ ქვეყნებში ქრისტიანებს არ ძალუძთ ამ იარაღით საკუთარი ეკელსიების მომარაგება. ისინი დამოკიდებულნი არიან თავისუფალი ქვეყნის ქრისტიანების დახმარებაზე. „მოგვეცით ჩვენთვის საჭირო იარაღები,“ გვითხრა ერთმა ქრისტიანმა, „და ჩვენ გადავიხდით ფასს მისი გამოყენებისათვის!“

ცარცი მასწავლებელს, ნემსი ექთანს, მოთმინება მშობელს, და ტრაქტორი ფერმერს. ყოველი ადამიანი, მიუხედავად მოწოდებისა, იარაღს იყენებს. ეს იარაღი შეიძლება ისეთი რთული იყოს, როგორც კომპიუტერი ან ისეთი მარტივი როგორც ჩვენი საკუთარი ხელები, მაგრამ ჩვენი ცხოვრება მნიშვნელოვნად იცვლება ამ იარაღების გამოყენებით. როგორც ქრისტიანებმა, ვიცით ჩვენი სულიერი იარაღი, რადგან მის შესახებ ვკითხულობთ ღვთის სიტყვაში, ბიბლიაში. მაგრამ რას ვიტყვით იმათ შესახებ, რომელნიც არასოდეს კითხულობენ იმ იარაღის შესახებ რასაც თანადგომა, მიტევება, სიყვარული და გაზიარება ჰქვია და ყველა ნიჭებისა და უნარების შესახებ, რომელთაც ღმერთი გვაძლევს? შეუძლებელია ეს სულიერი ნიჭები მხოლოდ შენთვის შეინახო, ისე როგორც ძუნწი იმარაგებს თავისთვის ოქროს. შესაძლებლობისამებრ გაუზიარე შენი იარაღები სხვებს საჭიროებაში.

> მაგრამ როგორ მოუხმონ მას,
> ვისიც არ ირწმუნეს?
> როგორ ირწმუნონ, ვისზეც
> არ სმენიათ? როგორ მოისმინონ
> მქადაგებლის გარეშე?
>
> *რომაელთა 10:14*

162-ე დღე

ექსტრემალური
მოგზაურობა

ვიეტნამი

მატარებლის მიერ ყოველი გუგუნის გამოცემისას ვიეტნამელი ქალბატონის მყიფე სხეული მაგარ სკამზე თრთოდა. მაგრამ ის დავალებას ასრულებდა.

მას სულიერი საკვები უნდა მიეტანა იმ ქრისტიანებამდე, რომელთაც თავად წარუძღვა ქრისტესკენ, ჩრდილო ვიეტნამში. სამი ჯგუფი ლოცულობდა ხელმძღვანელისათვის, რომ როგორმე მათთვის ბიბლიის ძვირფასი წიგნების ჩამოტანა მოეხერხებინა.

მისთვის შრომა მომქანცველი იყო. ის იყო ერთადერთი ზრდასრული ქრისტიანი თავის სოფელში და არაფრისაგან დაარსა სამი ეკლესია, მხოლოდ საკუთარი დამოწმების ხარჯზე იძენდა სულებს. მას არც მანქანა ჰყავდა და არც ველოსიპედი. ის ან ფეხით მიდიოდა საეკლესიო შეხვედრებზე ან ხის პატარა ნავით.

რწმენის გამო მას არაერთხელ დამუქრებია პოლიცია და საკუთარი ბუდისტი მშობლები. ახლა რვაასი მილი უნდა გაევლო მატარებლით, სამი დღის განმავლობაში და იმედოვნებდა, რომ ერთი მორწმუნე მაინც შეხვდებოდა და დახმარებას გაუწევდა. ბოლოს ჰო ჩი მინჰის ქალაქში ჩავიდა.

სადაც სტუმრად მყოფ დასავლელ ქრისტიანებს შეხვდა, რომელთაც ჩრდილოელი ქრისტიანებისათვის ბიბლიები გადასცეს. ამასთან ერთად ველოსიპედიც აჩუქეს, სამ ეკლესიაში მსახურებისათვის. განშორებამდე, ერთად ილოცეს, ღმერთს მისი კურთხევა და მსახურებაში დახმარება სთხოვეს.

„რამდენი წლისა ხარ?“ ჰკითხა ერთ-ერთმა, წასვლისას.

ქალმა შავი კულულა თმა მხრებზე გადაიყარა და ჩურჩულით უპასუხა, „ოცდაორის.“

ბავშვებს მათი ასაკის მიუხედავად შესწევთ სასწაულების განსაკუთრებული უნარი. ჩვენ შეიძლება ვიცნობთ ვიღაცას, ვინც თხუთმეტი წლის ასაკში დაამთავრა კოლეჯი, ან თორმეტი წლის ასაკამდე დაწერა სიმფონია, ან თექვსმეტ წლამდე წარმატებას მიაღწია სპორტში. ხშირად ჩვენი პასუხი შურით არის სავსე, ჩვენც გვინდა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი გაგვეკეთებინა ახალგაზრდულ წლებში და ამით აღიარებისათვის მიგვეღწია. ვიეტნამელმა ქრისტიანმა ქალმა ზუსტად ეს გააკეთა, თუმცა შესაძლოა თავისი თანატოლებისაგან განსხვავებით არანაირი განსაკუთრებული ნიჭი არ ჰქონდა. სურვილი ჰქონდა ქრისტეს გაჰყოლოდა და თავისი ქვეყნის ხალხიც მიეყვანა მასთან. იესო შენც მოგიწოდებს სიბეჯითეში. ღვთის სიყვარულის სხვებისათვის გაზიარება არ მოითხოვს განსაკუთრებულ უნარს-მხოლოდ შენს სურვილს.

ამაზე იზრუნე და ამაზე იდექი,
რათა ყველასათვის ცხადი
იყოს შენი წარმატება.

1 ტიმოთე 4:15

163-ე დღე

ექსტრემალური
ინსტრუქცია

საფრანგეთი: ფრანს რავენასი და მარტინ გუილაბერტი

„სიკვდილით დასჯის გამოცხადებას ისე მიიღებ როგორც დიდების მეფის მოწვევას, რომელმაც თავის ქორწილში დაგპატიჟა.“

ინსრტუქცია რთული, მაგრამ ნათელი იყო. ფრანგმა ავტორებმა ფრანს რავენასმა და მარტინ გუილაბერტმა სიკვდილმისჯილ ქრისტიანთათვის ინსტრუქციის სახელმძღვანელო დაწერეს. საფრანგეთის რევოლუციის განამვლობაში მათი „სტამბა“ მათი ციხის საკანი იყო. ისინი თავიანთ საკანს ისე ხედავდნენ, როგორც „სამოთხის წინა ოთახს.“

„როცა შენი განაჩენის კითხვას დაასრულებენ,“ აგრძელებს სახელმძღვანელო, „შენამდე წამებულ მრავალ წმინდანთან ერთად იტყვი, ‘მადლობა ღმერთს.’ იმღერე სიხარულით სავსე საგალობელი. როცა ხელებს შეგიკრავენ, წმინდა პავლეს სიტყვები გაიმეორე: ‘მზად ვარ არა მარტო შეკვრისათვის, არამედ იესო ქრისტეს სახელის გამო სიკვდილისათვის.’

„დასახვრეტად მიმავალმა, დაცვას ესაუბრე სახარებიდან ქრისტეს სახელისათვის ტანჯვისა და წამების სიხარულზე. ‘ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს?’ (რომაელთა 8:35)

„როცა ჯალათს შეხვდები, გაიხსენე დიდი წამებულის, ეგნატეს სიტყვები: ‘როდის მოვა ის ბედნიერი დრო, როცა ჩემი მხსნელის გამო მომკლავენ? რამდენხანს უნდა ველოდო?’ გაიხსენე, რომ ილოცო სხვა წამებულებისათვისაც.“

რავენას და გუილაბერტს თავები მოჰკვეთეს. მათი სიტყვები წარმოუდგენელია თავისუფალი ქვეყნის ქრისტიანებისათვის, მაგრამ ქრისტიანობა აკრძალულ ქვეყნებში მრავალი მიმდევარი ჰყავთ.

ყოველღიური ცხოვრება გაფრთხილებას უნდა მოიცავდეს. შეხედე! ნებისმიერ წუთს ტრაგედია ადვილი მოსალოდნელია. მანქანაში ვკითხულობთ თუ ქუჩაზე გადასვლისას, თუ უბრალოდ სამსახურში მივდივართ, დაცულები არა ვართ უბედური შემთხვევისაგან, დაავადებისაგან, ან მიზანმიმართული ძალადობისაგან. ვიდრე შეუძლებელია ამქვეყნიური ბოროტისაგან დაცულად ცხოვრება, მანამდე ღვთის მიერ მოცემული დაპირებით ცხოვრება შეგვიძლია. არაფერს, სრულიად არაფერს, არ შეუძლია იესოს სიყვარულს ჩამოგვაშოროს. შეიძლება თქვენ არასოდეს მოგიწიოთ რწმენისათვის სიკვდილმა, მაგრამ შეიძლება განიცადოთ უარყოფა და სხვა მტკივნეული დევნის სახეები. ღვთის სიყვარული მოგცემთ ინსტრუქციას და დაგეხმარებათ დღევანდელი განსაცდელის გადატანაში.

> და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და
> ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები
> და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი,
> ვერც აწმყო და ვერც მყოფადი,
> ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე,
> ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება
> ვერ შესძლებს ჩვენს ჩამოშორებას
> ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს
> უფალ ქრისტე იესოში.
>
> *რომაელთა 8:38-39*

164-ე დღე

ექსტრემალური
უფრო მეტი იარაღები

ირანი

„ჩვენ თიხა ვართ, ის კი მექოთნე.“

ერთი მორწმუნე ფანჯარასთან იდგა და ქუჩაში ღამის მოძრაობას ადევნებდა თვალს, რათა მსახურების მონაწილეთათვის პოლიციის მოახლოების შესახებ ეცნობებინა. ქრისტიანები ჩუმად იკრიბებოდნენ სამხრეთ ირანში. საშიშროებას უცხოელი სტუმარიც ემატებოდა, ირანული პოლიცია გარეშე პირის ქრისტიანებთან მსახურებაში მონაწილეობის გამო გაშმაგდებოდა.

ერთი მორწმუნე ახლახანს იქნა გათავისუფლებული პოლიციიდან და მისი სხეულის დალურჯებული ადგილები მეტყველებდნენ პოლიციაში მისადმი მოპყრობის შესახებ. პოლიცია მას თვალყურს ადევნებდა და ყველაფერი იცოდა მისი ქრისტიანული მსახურების შესახებ, იგი შეძლებისდაგვარად აგრძელებდა მსახურებას, თუკი დაპატიმრებული არ იყო.

დიდი ენთუზიაზმით საუბრობდა და შეკრებილ მორწმუნეებს ქრისტეს მსგავებისაკენ მოუწოდებდა, მიუხედავად საზღაურისა. ყველამ იცოდა, რომ დიდი იქნებოდა საზღაური, ყველა მათგანმა იცოდა, რომ დაპატიმრებულ ქრისტიანებს სცემდნენ ან კლავდნენ. დანარჩენები კი უბრალოდ გაუჩინარდნენ.

ღვთისმსახურება იყო გრძელი და სულით აღვსილი. დასასრულს, გაოცებულმა უცხოელმა სტუმარმა მქადაგებელს ციხეში გადატანილი ტანჯვის შემდეგ ჰკითხა. „როგორ შეგიძლია,“ ჰკითხა მან, „ასეთი სულისა და იმედის, ასეთი მხიარულების შენარჩუნება ასეთი ტანჯვის შემდეგ?“

„ეს გამოცდა უბრალოდ ‘იარაღია’ ღვთის ხელში,“ თქვა ირანელმა მორწმუნემ. „ვინ ვარ მე რომ გავაკრიტიკო ღმერთი იმ იარაღისათვის, რომელსაც ჩემი გაწმენდისათვის იყენებს?“

ადამიანს ხიბლავს მომავალი. საუკუნეების განმავლობაში ასტროლოგებსა და სხვებს ვეკითხებოდით რჩევას, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი მომავლის გამოცნობა შეეძლოთ. იწერება წიგნები და ფილმები გამოდის მომავალში მოგზაურობის შესახებ. გვინდა ვიცოდეთ რა მოგველის ცხოვრებაში. როგორც თიხას არ ძალუძს ჰკითხოს მექოთნეს რა იქნება, ასევე, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს შემქმნელს ვკითხოთ რანი ვიქნებით. მაგრამ შეგვიძლია ღმერთს ვენდოთ, რომ რაღაც ლამაზი და წმინდა იქნება ჩვენს ცხოვრებაში. რწმენით ვიცით, რომ ღვთის ქმნილებანი ვართ. რწმენითვე უნდა ვენდოთ ღმერთს, რომ მექოთნემ ხელოვნების ნიმუშად გამოგვძერწოს?

და ახლა, უფალო, ჩვენი მამა ხარ
შენ, ჩვენ თიხა ვართ, შენ კი ჩვენი
შემქმნელი; შენი ხელის ნაკეთები
ვართ ჩვენ ყველანი.

ესაია 64:8

165-ე დღე

ექსტრემალური
ჯვრის სიყვარული

რომი: ანდრია

„თუ არ უარყოფ ამ იესოს, ჯვარზე მოკვდები,“ დაამოწმა მმართველმა აეგაეასმა. ამ ქრისტიანმა მას პიროვნული სირცხვილი მოუტანა რომის თვალში, ქრისტიანობის ბერძნულ პროვინციაში გავრცელებით და ასე გასინჯეთ მისმა მეუღლემაც კი ირწმუნა იგი.

„ჯვარზე სიკვდილის რომ მშინებოდა აღარ ვიქადაგებდი ქრისტეს ჯვრის დიდებასა და სიამაყეს,“ უპასუხა ანდრეუმ.

„ხოდა მიიღებ კიდეც! ჯვარს აცვით!“

როცა ანდრეუ X-ფორმის ჯვარს მიუახლოვდა, სიხარულით განაცხადა,

„ო, ძვირფასო ჯვარო! მიხარია შენი ხილვა. მშვიდი სინდისითა და სიხარულით მოვდივარ შენთან და მიხარია; ვიცი ვისი მოწაფეცა ვარ და ვინც ჯვარს ეცვა ჩემთვის.მეც ეს ხვედრი მერგო. რაც უფრო ახლოს მივდივარ ჯვართან, უფრო ვუახლოვდები ღმერთს.“

ანდრეუ ჯვარს აცვეს, სამი დღე ჯვარზე იყო გაკრული, ქადაგებდა და მოუწოდებდა მის წინაშე მყოფ ხალხს, „მტკიცედ იდექით ქვეყნიერებაზე და უერთგულეთ სწავლებას, რომელიც მიგიღიათ, დაარიგეთ ერთმანეთი, რათა ღმერთთან იცხოვროთ სამუდამოდ, და მიიღოთ მისი დაპირებების ნაყოფი.“

ანდრეუმ განაცხადა, „უფალო იესო ქრისტე! ნუ დაუშვებ, რომ აქ, ამ ხეზე შენი სახელისათვის დაკიდებული შენი მსახური გაათავისუფლონ და კვლავ ადამიანთა შორის იცხოვროს.“ შემდეგ, სიტყვა დაასრულა და ღმერთს ჩააბარა სული.

ფაიფური. ვერცხლის სტერლინგი. ოცდაოთხ-კარატიანი ოქრო. პლატინიუმიც კი. დღეს მრავალგვარი ფორმით ვხვდებით ჯვარს. სამკაული. კედელზე ჩამოკიდებული. სარკის დეკორაცია. ყველგანმყოფი ჯვარი. თავისი პოპულარობით, მაგრამ, რამდენი ქრისტიანი დაფიქრებულა რას ნიშნავს ჯვრის გამოფენა? მაშინ როცა, ზოგიერთებისათვის ჯვარი ნიშნავს წამებას-წარმოიდგინე ჩამოსახრჩობის ან ელექტრონული სკამის სახლში გამოფენა! ჯვარი ქრისტეს ტანჯვით სიკვდილს გვახსენებს. ამას გარდა, ის წარმოადგენს ხიდს ცოდვაზე, რომელმაც ერთხელ დააშორა ღმერთი და ადამიანი. იესომ დაგვაბრუნა ღმერთთან ჯვრის მეშვეობით. ახლა იფიქრე რა მნიშვნელობა აქვს ჯვარს შენთვის.

> შევხედოთ რწმენის მიზეზსა
> და სრულმყოფელს-იესოს,
> რომელმაც მისთვის შეთავაზებული
> სიხარულის ნაცვლად დაითმინა
> ჯვარი, უგულებელყო
> სირცხვილი და ღვთის ტახტის
> მარჯვნივ დაჯდა.
>
> *ებრაელთა 12:2*

166-ე დღე

ექსტრემალური
მაშველი

ნიდერლანდები: დერკ ვილემსი

მეთექვსმეტე საუკუნის ნიდერლანდებში, დერკ ვილემს „ანაბაპტისტის“ იარლიყი მიაკრეს კათოლიკური ესპანეთის მმართველობის დროს და დააპატიმრეს. ახლა იგი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად გარბის.

პატარა ფანჯრიდან გაიქცა და ძველი ნაჭრებისაგან გაკეთებული თოკით ჩამოეშვა ქვემოთ. ციხის კედელთან გაყინულ ტბაზე დაეშვა და შიშობდა, ვაი თუ შიგ ჩავარდნილიყო. მაგრამ ციხეში გადატანილმა რამდენიმეთვიანმა შიმშილობამ უშველა. ორმოცდაათ კილოსაც ძლივს იწონიდა.

ვიდრე ტბის მეორე მხარეს მიაღწევდა, ყვირილი გაისმა ღამის სიბნელეში. „სასწრაფოდ შეაჩერეთ!“ ყვიროდა დაცვა იმ ფანჯრიდან, საიდანაც დერკი ეს-ესაა გადმოძვრა. დერკი ახლოს იყო თავისუფლებასთან. სიარული გააგრძელა.

დაცვამ კვლავ დაიყვირა და ყინულზე დაადგა ფეხი. მაგრამ მესამე ნაბიჯის გადადგმისთანავე ყინულის მსხვრევის ხმაც გაისმა. დაცვა ყინულში ჩავარდა, რასაც წყლის შხეფები მოჰყვა. გულგამგმირავად ყვიროდა სიცივისა და შიშისაგან. “მიშველეთ, გთხოვთ! მიშველეთ!“

დერკი შეჩერდა, თავისუფლებისაკენ იხედებოდა. შემდეგ შემობრუნდა და სწრაფად გაუდგა ციხისაკენ მიმავალ ტბას. მუცელზე დაწვა და ხელი თითქმის გაყინულ დაცვას გაუწოდა წყლიდან ამოსაყვანად. მადლიერების სანაცვლოდ, დაცვამ დერკს ხელი სტაცა და საკანში დააბრუნა.

მიუხედავად მისი გმირობისა, დერკი რწმენისათვის კოცონზე დაწვეს.

მიძღვნილი ქრისტიანები ადამიანური ინსტიქტებით არ ცხოვრობენ. შეუძლებელს ისე აკეთებენ თითქოს ამაში განსაკუთრებული არაფერი ყოფილიყოს. მორწმუნეები მაღალი მოწოდების მიხედვით მოქმედებენ. მათი მოქმედებები და რეაქციები იმდენად არაბუნებრივია, რომ ხშირად არ ესმით მათი. ზოგიერთებისათვის, დერკის ექსტრემალური შველა არაბუნებრივ არჩევანად აღიქმება. ცოტა არ იყოს სულელურადაც კი. დერკი, კი უბრალოდ ფიქრობდა, რომ ბიბლიის პრინციპებს ემორჩილებოდა. მან სხვისი საჭიროება საკუთარზე მაღლა დააყენა. ჩვენს მიერ მსხვერპლის გაღება ყოველთვის გონივრულად არ მიაჩნია ქვეყნიერებას, მაგრამ ვიცით, რომ ამას ზეციური პერსპექტივიდან ვაკეთებთ. თქვენ როგორი ცხოვრების გზას ირჩევთ უმეტეს შემთხვევაში, ადამიანური ინსტიქტებით? თუ ნებისმიერი საზღაურის მიუხედავად ღვთის მცნებების დაცვა გაქვთ გადაწყვეტილი?



167-ე დღე

მძულს კომუნისტური სისტემა, მაგრამ მიყვარს ადამიანები. მძულს ცოდვა, მაგრამ მიყვარს ცოდვილნი. კომუნისტები მთელი გულით მიყვარს. კომუნისტებს შეუძლიათ ქრისტიანების მოკვლა, მაგრამ არ შეუძლიათ მათ გულში სიყვარულის ჩაკვლა თუნდაც მკვლელებისადმიც კი. არანაირი სიმწარე და უარყოფა არა მაქვს კომუნისტებისა და ჩემი მწამებლებისადმი.

რწმენის გამო კომუნისტური პარტიის
ყოფილი პატიმარი



168-ე დღე

ექსტრემალური
დაცვა

ეგვიპტე: აჰმედი

„რატომ აყენებ ჩვენს ბავშვებს რისკის ქვეშ?“ იკითხა სამიდან ერთ-ერთმა ეგვიპტელმა ოფიცერმა.

„აჰმედი“ მრავალჯერ იქნა დაპატიმრებული რწმენის გაზიარებისა და ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელების გამო. მაგრამ იგი ყოველ დაკითხვას ქრისტეზე დამომწების შესაძლებლობად იყენებდა.

„ჩემი ბავშვების უსაფრთხოება ჩემზე არ არის დამოკიდებული,“ უთხრა მან ოფიცერს მშვიდად. „ის ღმერთიდან მოდის.“

„რატომ არ გინდა, რომ მთავრობას დაემორჩილო?“ იკითხა უფროსმა ოფიცერმა.

„მე არ შევწყვეტ ქრისტეზე დამოწმებას, რადგან ის არის გზა ჭეშმარიტებისა,“ თქვა აჰმედმა. „იესომ შეცვალა ჩემი გული.“

ოფიცრებმა საიდუმლოდ დაბეჭდილი ქრისტიანული ლიტერატურის შესახებ დაკითხეს. მათ რამოდენიმე ქრისტიანის საქმიანობის შესახებაც იკითხეს. აჰმედმა ორივეჯერ დუმილი არჩია.

„არაფერი არ ვუთხარი,“ თქვა მან. „ქრისტეს სხეულის გამცემად ვერ გამოვდგები.“

როცა მათ სხვა ქრისტიანების თვალთვალი და პოლიციისათვის ცნობების მიწოდება დაავალეს, შემდეგნაირად უპასუხა, „ეს ჩემი საქმე არ არის.“

აჰმედი სხვა დროს თურქეთის პოლიციამ დააკავა და ქრისტიანული ლიტერატურით სავსე ჩანთის ტარების გამო დაკითხა. „თუ ჩვენს შეკითხვებს არ უპასუხებ და არ დაგვეხმარები, თურქეთის მთავრობისათვის პრობლემების შექმნის გამო დაგაპატიმრებთ.“ არწმუნებდა მას პოლიცია.

„იესო არ გვავალებს მთავრობისათვის პრობლემების შექმნას,“ უპასუხა აჰმედმა. „მას სურს, რომ ჩვენ მისი სიყვარულისა და მიტევების შესახებ დავამოწმოთ.“

პრობლემატურები. ისინი არიან ბავშვები, რომლებიც ლაპარაკს არ წყვეტენ კლასში. ისინი სკოლის ბავშვებს აშინებენ ბუფეტში და სადილის ფულს ართმევენ. ისინი ჭორაობენ ოფისებში, ცილს სწამებენ სხვებს და დაავადებასავეთ ავრცელებენ ხმებს. ქრისტიანები არ არიან ამისათვის მოწოდებულნი. არამედ, იესო მშვიდობისმყოფელობისაკენ მოგვიწოდებს. თუმცა ამ წესს ერთი გამონაკლისი აქვს: ჩვენ პრობლემებს უნდა ვუქმნიდეთ სატანასა და მის ზრახვებს. არ უნდა დავუშვათ, რომ სატანამ ზემოდან გვიყუროს, თითქოს მას არაფერი საზიანო არ მოაქვს ღვთის სასუფევლისათვის. ლოცვა არის ჩვენი ყველაზე ეფექტური იარაღი. რამდენად ხშირად აფერხებს თქვენი ლოცვა სატანის გეგმებს? დღესვე ილოცე იესოს სახელით შენი მტრის გეგმების წინააღმდეგ.

და ყოველივე ამასთან ერთად
აიღეთ რწმენის ფარი,რომლითაც
შეძლებთ ბოროტის
გავარვარებული
ისრების ჩაქრობას.

ეფესელთა 6:11

169-ე დღე

ექსტრემალური
მორჩილება

ჩინეთი: ხუცესი და დედამისი

ხუცესი ხშირად მიჰყავდათ დაკითხვაზე და სცემდნენ, მაგრამ დღეს იგი დაცვამ სალაპარაკოდ შეიყვანა ოთახში. დაცვამ ხუცესს უთხრა, „შენი რწმენის შესახებ მაინტერესებს და გთხოვ, რომ ათი მცნების შესახებ გამიზიარო.“

გაკვირვებულმა ხუცესმა მცნებების ჩამოთვლა დაიწყო. როცა ის იმ მცნებასთან მივიდა, რომელიც ამბობს, „პატივი ეცი დედას და მამას შენსას,“ ოფიცერმა ხუცესს საუბარი შეაწყვეტინა. „თქვენ ქრისტიანებს გჯერათ, რომ ეს მცნება ‘პატივი ეცი დედას და მამას შენსას’ ღმერთმა მნიშვნელოვნად მიიჩნია? გთხოვთ იმ კუთხისაკენ მიიხედოთ.“ ხუცესმა მიიხედა და მოხუცებული ქალი დაინახა ხელბორკილებში, დალურჯებული და ფეხის ტილოსავით ერთ ადგილას დაგრაგნილი. ქალი ხუცესის დედა იყო.

დაცვამ თქვა. „შეხედე რამდენი იტანჯა დედათქვენმა. თუ იატაკქვეშა ეკლესიის საიდუმლოს გაგვიმხელთ, შენც და დედაშენსაც გაგათავისუფლებთ. თუ დედაშენი ჩვენი ტანჯვისაგან მოკვდება, მაშინ ღვთის მცნებას ვერ შეასრულებ მშობლების პატივისცემის შესახებ და მისი სისხლი შენს კისერზე იქნება.“

ხუცესი დედამისისაკენ შებრუნდა, რომელიც თანდათან მოდიოდა აზრზე. „ძვირფასო დედა, როგორ მოვიქცე?“

დედამ მოსიყვარულე ტონით უპასუხა, „პატარაობიდან გასწავლიდი ქრისტესა და ეკლესიის სიყვარულს. ნუ უღალატებ ღმერთს. მე მზად ვარ მისი წმინდა სახელისათვის მოვკვდე.“

ხუცესმა ახლა დაცვას შეხედა და განახლებული ძალით უპასუხა, „თქვენ მართალი იყავით, კაპიტანო. პირველ რიგში, ადამიანი დედას უნდა დაემორჩილოს.“

„რატომ არის დედამიწაზე ამდენი ტანჯვა?“ ხშირად კითხულობენ სკეპტიკოსები ქრისტიანობის დამცირების მიზნით. მათ არ შეუძლიათ იმ ღმერთთან შერიგება, რომელიც უმწიკვლოების ტანჯვას უშვებს. სინამდვილეში, შეიძლება მოუწოდონ ქრისტიანებს ტანჯვისაკენ, რათა მათმა განსაცდელმა როგორღაც დაამტკიცოს ღვთის გეგმების არასწორად წარმართვის შესახებ. არის თუ არა ტანჯვა ღვთის გეგმა? ამ კითხვაზე პასუხისათვის, შეხედეთ იესოს ამქვეყნიურ ცხოვრებას. ჯვარზე მისი ტანჯვა ღვთისათვის გულისგანმგმირავი გეგმა იყო-ჩვენი ხსნისა და მისი დიდების შედეგი. როცა ღვთის გეგმისამებრ იტანჯები, იქ დადიხარ სადაც იესო დადიოდა: ჯვარზე, საფლავში, და-საპოლოოდ-ზეცაში. ენდობი თუ არა ღმერთს, რომ მან იცის რასაც აკეთებს შენი ტკივილების ჟამსაც კი?

> არამედ გიხაროდეთ, როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა თქვენც იხაროთ და იმხიარულოთ მისი დიდების გამოცხადებისას.
>
> *1 პეტრე 4:13*

170-ე დღე

ექსტრემალური
მაგალითები

შეერთებული შტატები: სოფიას დედა

„1996 წელს, ჩვენს ქალიშვილ სოფიას შეტევები ჰქონდა, რაც მუდმივად ტვინის დაზიანებას იწვევდა. რამოდენიმე თვე ძალიან იტანჯებოდა, ორი-სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ტიროდა და ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა. ჩვენ ვერ გვცნობდა და არც პასუხს გვცემდა.

„ერთ ექთანს არ შეეძლო იმის გაგება, თუ რატომ არ ვიყავით ღმერთზე გაბრაზებული იმის გამო, რომ ეს დაუშვა. ვეცადე დავხმარებოდი და დაენახა, რომ ჩვენ მისი მსახურები ვართ და შეუძლებელია იმ უდიდესი საჩუქრის უარყოფა, რომელიც ღმერთმა თავისი ძის მეშვეობით მოგვცა. შეტევიდან ოთხი თვის შემდეგ სოფია გარდაიცვალა.

„მისი გარდაცვალების დღეს, წამებულთა ხმის ჟურნალში ვნახე სუდანელი დის სურათი, რომლისათვისაც მკერდი მოეჭრათ და ჩვილი ბავშვი მის გვერდით დაესვათ. მდევნელებმა იგი აწამეს და აიძულეს თავისი მშიერი შვილის სიკვდილისათვის ეცქირა. მისი ადგილსამყოფელიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულს მესმოდა მისი ტკივილის, ვტიროდი და ვფიქრობდი, არ დავუშვებ, რომ საკუთარი თავის შეცოდების მორევში გადავეშვა.

„იმ ქალბატონსა და სხვა მის მსგავსებს არა აქვთ სამედიცინო დაზღვევა, მორწმუნეებთან ურთიერთობა და ძმური სიყვარული, რაც ჩვენ გვაქვს. მიუხედავად ამისა, მათ ძალიან ბევრი აიტანეს და მე, ღვთის მადლით, უნდა შევძლო ამის ატანა.

„მე მჭირდება უფალ იესო ქრისტეს ეს ცოცხალი წერილი იმ რეალობის გამოსახატავად, რომ იესო ცოცხალია და ეს ქვეყნიერება ჩემი სახლი არ არის.“

ვიდრე ღმერთის თანდასწრება ყოველთვის ახლოს არის სულიწმინდის მეშვეობით, ხშირად გვჭირდება ადამიანის საშუალებით რწმენაში მიღებული სულიერი გამხნევება. საუკუნეების მანძილზე წამებული ადამიანები და სხვა მორწმუნეები რეალური პიროვნებები არიან, რომელთა მხნეობის პრაქტიკული მაგალითები შთაგვაგონებს, რომ შეიძლება, მხოლოდ შეიძლება, ჩვენც დაგვჭირდეს ანალოგიური პასუხის გაცემა ცხოვრებაში. შეიძლება ჩვენ არასოდეს გამოვიაროთ ანალოგიური უბედურებები, მაგრამ მათი სულიერი შეუდრეკელობითა და სიმამაცით ვისარგებლოთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ შთაგონება მოგანიჭა ექსტრემალური რწმენის მაგალითებმა, სხვებსაც გაუზიარეთ. მაგალითი გაავრცელეთ. ასწავლეთ სხვებს წინამორბედებისაგან მხნეობის მიღება და რწმენის მაგალითით ცხოვრება ყველასათვის სანიმუშოდ.

თქვენ აჩვენებთ, რომ თქვენ
ხართ ქრისტეს წერილი, ჩვენგან
გაგზავნილი, დაწერილი არა
მელნით, არამედ ცოცხალი ღვთის
სულით, არა ქვის ფიცრებზე,
არამედ გულის ხორციელ
ფიცრებზე.

2 კორინთელთა 3:3

171-ე დღე

ექსტრემალური
უარყოფა

რუსეთი: სერგეი მეჩენი

„ქრისტიანობა არ არის სწავლება, რომელსაც ადამიანი წიგნიდან ან მსახურებიდან მიიღებს," ქადაგებდა სერგეი მეჩენი, მოსკოვში მაროსეიკას ეკლესიის წინამძღოლი. „იესომ თქვა, 'მე ვარ ჭეშმარიტება.' ჭეშმარიტება არის განსაკუთრებული ცხოვრების სტილი, რომელსაც ქრისტეს მაგალითის მიბაძვით ახორციელებ."

1923 წელს, რუსეთის ახალმა კომუნისტურმა მთავრობამ ეგრეთ წოდებული „ცოცხალი ეკლესიის" კანონი გამოსცა, რაც სხვა არაფერი იყო თუ არა სოციალიზმით შენიღბული ქრისტიანობა.

ხუცესმა სერგეიმ უარი თქვა წინასწარ დაწერილი ლოცვის წაკითხვასა და ღმერთის შესახებ კომუნისტების მიერ შემუშავებულ ჩარეცხილ იდეაზე. იგი აგრძელებდა თავისი საკრებულოსათვის ჭეშამრიტების ქადაგებას. იცოდა რა, რომ ამისათვის შესაძლოა ეტანჯა კიდეც.

სერგეი ხუთი წლით დააპატიმრეს და კომუნისტებმა მისი ეკლესია დახურეს. მაგრამ ციხეში გატარებულმა დრომ სერგეი უფრო მოამზადა სრული დატვირთვით მსახურებისათვის. გათავისუფლებისთანავე, მუშაობა განაახლა იატაკქვეშა ეკლესიასთან. იგი ყოველ დღე ერთგულად ემსახურებოდა ეკლესიას, ვიდრე მისმა ყოფილმა ხუცესმა არ დაასმინა, ადამიანმა, ვინც ზურგი აქცია ღმერთს. მთავრობამ ყოფილი ხუცესი პროფესორის თანამდებობით დააჯილდოვა.

სერგეი ხშირად კითხულობდა იესოს სიტყვებს, „კეთილი მწყემსი თავის სულს დასდებს ცხვართათვის." მან გადაწყვეტილება მიიღო, რომ არასოდეს არ გასცემდა თავის ძმებს. ურყევი ქრისტიანული მსახურებისათვის, 1941 წელს სერგეი მეჩენი სიკვდილით იქნა დასჯილი, მსროლელთა ჯგუფის მიერ. მისი ცხოვრება გარდახდა, მაგრამ მისი სიტყვა რჩება: „ჭეშმარიტება არ იცვლება ადამიანის საჭიროების სასარგებლოდ."

ღმერთს ყუთში ვერ ჩასვამ. იგი მოდის მთელი თავისი დიდებითა და სისრულით, თუ არა და ის ღმერთი არ არის მაშინ. ზოგიერთებმა შეიძლება დაუფიქრებლად თქვან, რომ ღმერთს არ ეწინააღმდეგებიან, თუ ეს ის ღმერთია, თვითონ რომ უნდათ იქადაგონ. ისე თითქოს სულიერ კაფეტერიაში არიან, აირჩევენ იმას რომელი იდეაც თვითონ მოსწონთ და სიამოვნებას ჰგვრით ღმერთის შესახებ და დანარჩენს კი მიატოვებენ როგორც ნარჩენებს. ღმერთის ხასიათი და ბუნება არ იცვლება ადამიანის კაპრიზების მიხედვით. შეიძლება ვეცადოთ ღვთის სხვა ჭრილში წარმოჩენას, მაგრამ აუცილებლად განვიცდით მარცხს. ყოველთვის უარყავი ღვთის სრული ხასიათისა და ბუნების მოწინააღმდეგენი. შეგიძლია თუ არა ერესი დანახვისთანავე გამოიცნო?

ხოლო ღმერთი ყოველგვარი მადლისა, რომელმაც მოგვიწოდა თავისი სამუდამო მადლისაკენ ქრისტეში, თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და დაგამყარებთ.

1 პეტრე 5:10

172-ე დღე

ექსტრემალური
სიმშვიდე

რუმინეთი

ხუცესმა, მისმა მეუღლემ და მათმა ექვსმა პატარა ბავშვმა ეს-ესაა 22-ე ფსალმუნი წაიკითხეს საუზმეზე. უცბათ, პოლიცია შემოიჭრა მათ სახლში და ხუცესი დააპატიმრა.

პოლიციამ ხუცესს ჰკითხა, „არაფერი გაქვს სათქმელი? ან დარდი ან სინანული?“ ხუცესმა სიფრთხილით თქვა, „თქვენ ხართ ჩვენი დღევანდელი ლოცვის პასუხი. ახლახანს წავიკითხეთ 22 ფსალმუნი, რომ ღმერთი გააწყობს ტაბლას ჩვენს წინაშე ჩვენს მტერთა თვალწინ. ჩვენ სუფრა გვქონდა მაგრამ მტრები არა. ახლა თქვენც მოხვედით. თუ რაიმე გნებავთ სუფრიდან, შემიძლია გაგიზიაროთ. თქვენ ღვთის გამოგ ზავნილები ხართ.“

„როგორ შეგიძლია ასეთი სისულელის თქმა? ციხეში ჩაგაგდებთ, სადაც მოკვდები. ვეღარასოდეს ნახავ შენს შვილებს.“ ხუცესმა ჩვეულებრივი სიმშვიდით უპასუხა, „ამ დღის შესახებაც წავიკითხეთ: ‘შავეთის ველზეც რომ ვიარო, ბოროტებისა არ მეშინია.’ “

ოფიცერმა დაიყვირა, „სიკვდილის ყველას ეშინია. ვიცი, რადგან მინახავს მათ სახეებზე.“

„ძაღლის ჩრდილს არ შეუძლია გიკბინოს და სიკვდილის ჩრდილი ვერ მოგკლავს. თქვენ შეგიძლიათ მოგვკლათ ჩვენ ან ციხეში ჩაგვსვათ, მაგრამ არაფერი ცუდი არ მოგვეკარება. ჩვენ ქრისტეში ვართ და თუ მოვკვდებით, ის წაგვიყვანს თავისთან.“

მშვიდობა. ეს ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც დღევანდელი საბაზრო ბირჟის ხელმძღვანელობა, ამ მშფოთვარე და ძალადობით სავსე ცხოვრებაში. საბედნიეროდ, ყველა მორწმუნე იზიარებს ღვთის საჩუქარს იესო ქრისტეში. მაგრამ ბევრ ადამიანს აკლია ეს მშვიდობა. ზოგიერთები რეცეპტს მიიღებენ, მაგრამ მათ დარდს დასასრული არ უჩანს და სიმშვიდის მიღებას ღვთის გარეშე ცდილობენ. როგორი კარგი განწყობაც არ უნდა მიიღონ იგი მხოლოდ დროებითია. შემდეგ კვლავ იწყება დარდი და წუხილი. ჩვენ კი პირიქით, ღვთის მშვიდობა გვაძლევს ტანჯვებში სიმშვიდის მიღწევას. არანაირ განსაცდელს არ შეუძლია შენი მისადმი ნდობის შევლა. ამ ამბავში მოთხრობილი მშვიდი ხუცესის მსგავსად, თუმცა უბედურება შეიძლება გაუფრთხილებლად დაგეცეს თავს, მაგრამ მზად იქნები ღვთის მშვიდობით.

სულს, რომელიც შენ გენდობა,
იფარავ მშვიდობაში, რადგან
შენზეა მონდობილი.

ესაია 26:3

173-ე დღე

ექსტრემალური
ფიქრები

რუსეთი: პრინცი ვლადიმირი

„ფეხი გადადგი, პრინცო!“ გაიცინა დაცვამ, და ახალგაზრდა კაცს ხელში ხელი წაავლო. „მოდი, ვნახოთ როგორ მოგეწონება შენი ახალი საცხოვრებელი.“ და პრინც ვლადიმირს ფეხი ჰკრა დაცვამ Ghica-ს სასახლიდან მკაცრი საპყრობილის საკანში. ერთ კუთხეში დაინახა, თუ როგორ აძრობდნენ საბანს და ტანსაცმელს ხდიდნენ პატიმრები მკვდარ პატიმარს. კედლებს მიღმა კი წამებული პატიმრის განწირული ყვირილი ისმოდა.

აქაური ცხოვრება უცნობი იყო მისი მდიდრული სახლისათვის. მიუხედავად ამისა, ვლადიმირი ციხის არაადამიანურ პირობებს გადაურჩა, ქრისტეს რწმენაზე დაიმედებული, ვინც ნუგეშს ჰგვრიდა და გზას უკვალავდა. ერთხელ ვლადიმირის თანასაკნელმა თქვა, „არსად არ მსმენია ისეთი წმინდა ლოცვა და ამაზე მეტი აზრები საუკუნო ცხოვრების შესახებ, როგორც კომუნისტურ ციხეში.“

ვლადიმირის სამოთხეზე იმდროინდელი ფიქრები ერთ ძლიერ წიგნში დაიბეჭდა. მან დაწერა, „ნეტარნი არიან ისინი, ვინც სიხარულს ავრცელებენ ტანჯვაში. ვინც სხვების გამო თავს უარყოფს და ქრისტეთი იმოსება. ეძიეთ ის, ვინც ვერ ბედავს თქვენთან მოახლოებას. მიეცი ვინც არ გთხოვს. შეიყვარეთ თქვენი მდევნელები. დაე არასოდეს გამოიწვიოს ჩემი სიხარული სხვების ტანჯვამ. დაე ჩემმა ტანჯვამ მოგვაროს სხვებს სიხარული.“

ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი „წმინდა ლოცვები და ფიქრები მარადისობის ფასეულობაზე“ ტახტიდან ჩამოგდებული პრინცის მიერ იქნებოდა ნათქვამი, რომელიც ძლივს გადაურჩა ცოცხალი კომუნისტურ სასტიკ დილეგს?

ნეგატიურმა ფიქრებმა შეიძლება ღრმა გავლენა იქონიოს. თუ მთელს ყურადღებას ტანჯვაზე გადავიტანთ, შედეგად გავმწარდებით და ავები გავხდებით. თუ კრიზისის დროს პოზიტიურად ფიქრს ვარჩევთ, მაშინ საკუთარი თავის მდგომარეობაზე ამაღლებას შევძლებთ. არა მხოლოდ უიმედობისა და სასოწარკვეთილებისაგან დავიცავთ თავს, არამედ სხვებსაც შეიძლება გავუწიოთ დახმარება. ვლადიმირმა სიხარული განიცადა ტანჯვისას. სავსე ხარ თუ არა უარყოფითი აზრებით განსაცდელისას? გახსოვდეს, რომ არ შეგწევს იმის შეცვლის ძალა რაც ცხოვრებაში ხდება. მაგრამ შენ შეგიძლია შენი დამოკიდებულებების გაკონტროლება. უარი თქვი ნეგატიურობაზე. სთხოვე ღმერთს დადებითი განწყობილებები განსაცდელისას და გაახილე თვალები სხვების დასახმარებლად.

> და ღვთის მშვიდობა, რომელიც
> ყოველგვარ გონებას აღემატება,
> დაიფარავს თქვენს გულებს და
> თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში.
>
> *ფილიპელთა 4:7*

174-ე დღე

ვერ დამშვიდდება გული
ვიდრე შენში არ დაივანებს

წმ. ავგუსტინე

175-ე დღე

ექსტრემალური
წმინდანი

რომი: წმინდა ნიკოლოზი

„არ დაარტყა," დაიყვირა ნიკოლოზმა როგორც კი ჯალათის შემართული მახვილი დაინახა სხვა პატიმრის დასასჯელად. „მას ამის ღირსი არაფერი ჩაუდენია." კაცს კინაღამ თავი მოჰკვეთეს იესო ქრისტეს რწმენისათვის. ნიკოლოზმა მანამდე გამოსტაცა მახვილი ხელიდან ჯალათს მამაცურად, ვიდრე პატიმრის სხეულამდე მიაღწევდა.

„შენი ნებისამებრ იყოს ნიკოლოზ... ბევრი მყავს დღეს მოსაკლავი." თქვა ჯალათმა, ნიკოლოზს შეაფურთხა და თავისი მოვალეობის სხვაგან შესასრულებლად გასწია.

ნიკოლოზი თამამად ლაპარაკობდა ქრისტეს შესახებ რთულ ისტორიულ დროში. 303 წელს, იმპერატორმა დიოკლეტიანემ ქრისტიანების ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დევნა დაიწყო. იმდენ ქრისტიანს კლავდნენ, რომ დამსჯელები იღლებოდნენ და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საქმის სისრულეში მოსაყვანად.

ნიკოლოზი ცხელი რკინით დადაღეს. იგი დამცველების სასტიკ ცემას გადაურჩა. სხვა მრავალი წამებაც გადაიტანა, იმიტომ რომ უარს არ ამბობდა იესო ქრისტეს ღვთის ძეობაზე. როგორ შეეძლო უარი ეთქვა მასზე, ვინც რეალობა იყო მისთვის? ნიკოლოზი მტკიცედ იდგა უდიდესი უსამართლობის ჟამს.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, მთელი დარჩენილი სიცოცხლე უპატრონო ბავშვთა სახლების დაარსებასა და ღარიბების დაცვას შეალია. მან თავი მიუძღვნა ქრისტეს სახარების შემოქმედებითი გზით გავრცელებას. ერთხელ, მან წინდაში გახვეული ფული შეაგდო ღარიბების ფანჯარაში, გოგონების პროსტიტუციის სახლისათვის მიყიდვისაგან დახსნის მიზნით.

გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ ნიკოლოზს, წმინდა ნიკოლოზი უწოდეს. მრავალი ბავშვისათვის, შობის წინა ღამე წლის ყველაზე სასწაულებრივი ღამეა, რადგან ისინი სანტა კლაუსის სტუმრობას ელიან, წმინდა ნიკოლოზის კარიკატურით. წმინდა ნიკოლოზის ნამდვილი ცხოვრების იტორია უფრო გმირული და მოსიყვარულეა, ვიდრე ეს ბავშვების უმეტესობამ შეიძლება წარმოიდგინოს. იფიქრე შენი საკუთარი ცხოვრების ისტორიაზე. იცის თუ არა ხალხმა სიმართლე იმის შესახებ, რომ იესო ქრისტეს მორწმუნე ხარ? თუმცა სანტა კლაუსი ნამდვილი არ არის, მაგრამ წმინდა ნიკოლოზი იყო და შენც უნდა იყო. შეიძლება წმინდანად ვერ გრძნობ თავს, მაგრამ ქვეყნიერებას სჭირდება მტკიცე ქრისტიანების ნამდვილი მაგალითები. რას გააკეთებდი დღეს შენი რწმენის მიხედვით ცხოვრებაში გატარებისათვის?

შეიყვარეთ უფალი, მისნო
წმიდანო; ერთგულს
იცავს უფალი.

ფსალმუნი 30:24

176-ე დღე

ექსტრემალური
სურვილი

ბეთლემი: მარიამი იესო ქრისტეს დედა

„ასე არ წარმომედგინა ჩვენი პირველი შვილის დაბადება,“ თქვა შეწუხებულმა ახალგაზრდა ქალმა. „დარწმუნებული ხარ, რომ მართალია?“ ჰკითხა თავის საქმროს, იოსებს.

„არ ვიცი, ძვირფასო,“ თქვა მან, მზრუნველად. „მაგრამ ასე მოხდა. ვიცით, რომ ღმერთი დაიცავს ბავშვს. მას აუცილებლად მნიშვნელოვანი გეგმა უნდა ჰონდეს მისი აქ ყოფნისათვის.“

ხელახალი მტკივნეული შეტევისას საქმრომ ურჩია, „ეცადე ისუნთქო,“ და სახე სველი ნაჭრით გაუწმინდა. „მოითმინე... კიდევ რამოდენიმე წუთი იქნები ასე.“

ქალმა კბილების ღრჭიალით თქვა, „მინდოდა, რომ ბავშვი ჩემს სახლში გამეჩინა. მინდოდა დედაჩემი იქ ყოფილიყო და დამხმარებოდა.“

„მე ვარ აქ შენს დასახმარებლად,“ თქვა იოსებმა, „ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს თავს. და ორივემ ვიცით, რომ ღმერთი აქ არის.“ შემდეგ მსუბუქად გაიხუმრა, „თუ დახმარება დაგვჭირდა ძროხები და ცხვრები ყოველთვის აქ არიან.“

შეტევებმა გაიარა, და მარიამმა საქმროს გაუღიმა. შემდეგი შეტევისას მარიამი ეცადა სხეული დაეჭიმა. მალე, მისი ვაჟი ქვეყნიერებას მოევლინა. მას იესო დაარქვეს, როგორც ანგელოზმა უთხრათ.

ხანდახან გვავიწყდება ის სირთულე, რაც მარიამმა და იოსებმა გამოიარეს მეფეთა მეფის შობისათვის: თავლა სამშობიარო ოთახად, ეგვიპტეში გაქცევა, სიღარიბე და სკანდალი. მიუხედავად ამისა თავიანთი სურვილითა და ღვთის სიყვარულით აიტანეს ყველაფერი.

ბიბლიის კითხვისას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ღვთის დაპირებების დაჯერება ადვილი იქნებოდა განსაზღვრული ნიშნებით რომ მოგვცემოდა, მაგალითად ანგელოზის უწყებით. თუმცა მარიამს, ვინც ასეთი ნიშანი მიიღო, მაინც ჰქონდა ეჭვები. როცა ანგელოზმა გაბრიელმა მარიამს განუცხადა, რომ ღვთის ძეს შობდა, მას ეს წარმოუდგენლად მოეჩვენა. ამიტომაც ჰკითხა გაბრიელს, „ეს როგორ იქნება... მე ხომ მამაკაცი არ ვიცი?“ მიუხედავად დაეჭვებისა, მარიამმა ღვთის დაპირებების დაჯერება და მისადმი მორჩილება არჩია თავისი სურვილით. მისმა უბრალო სურვილმა მოიტანა ღვთის დახსნის გეგმა დედამიწაზე. მოგიწოდებს თუ არა ღმერთი შენი სურვილით რაიმეს გასაკეთებლად, მიუხედავად ეჭვებისა? მარიამის მსგავსად, შენი მორჩილების სურვილმა შესაძლოა მარადიული გავლენა იქონიოს ღვთის სასუფეველზე.

„აჰა, უფლის მხევალი ვარ,“
თქვა მარიამმა. „მეყოს მე შენი
სიტყვისამებრ.“

ლუკა 1:38

177-ე დღე

ექსტრემალური
ლექსი

რუმინეთი: დიმიტრი ბაგუ

დიმიტრი ბაგუ ქრისტიანი პატიმარი იყო 1950-1960-იან წლებში. სხვა მრავალი დანარჩენების მსგავსად, მისი დანაშაული უბრალოდ ქრისტიანობა იყო. დიმიტრიმ ოცწლიანი პატიმრობა ღვთისათვის სიყვარულის ლექსების მისაძღვნელად გამოიყენა. პოემა ფრთხილად იწერებოდა საპონზე ან კედლებზე მორზეს კოდის საშუალებით, რათა სხვებს მისი წაკითხვა შეძლებოდათ და საკნიდან საკანში ერთმანეთისათვის გადაეცათ.

„ჩვენი სხეულის დამასუსტებელი ტკივილი გავლენას ვერ ახდენდა ჩვენს გულზე," თქვა ბაგუმ გათავისუფლების შემდეგ. „სიძულვილის ნაცვლად, სიყვარული გამოვიმუშავეთ, გაგება და სიბრძნე."

აი, ერთი მისი პოემათაგანი, რომელიც განმარტოებულ, ვირთხებით, რწყილებითა და ტილებით სავსე საკანში დაიწერა:

წუხელ იესო გამომეცხადა;
ის მაღალი; მოწყენილი, მაგრამ ნათელი იყო.
ძვირფასი მთვარის სხივები გამკრთალდა
გაოცებულმა და ბედნიერმა ავხედე მას.
მოვიდა და ჭილობთან დადგა სადაც ვბორგავდი
და წყნარად მაჩვენა თავისი ტანჯვის საზღაური.
ყველა ჭრილობა ჰქონდა, ხელებზეც და ფეხებზეც,
და განგმირული ფერდი სადაც გული უფეთქავდა.
გაიღიმა და წავიდა. ქვაზე დავეცი და ავტირდი,
„ძვირფასო იესო, ნუ დამტოვებ მარტო."
გისოსებს ჩავეჭიდე, ხელებ განგმირული:
კურთხეული საჩუქარი, კურთხეული იარები.

როგორც წესი მქრქალი ციხის საკანი და დაკარგული თავისუფლება არ არის პოეტური შთაგონების წყარო. დიმიტრიმ შეძლო ტანჯვა ღვთის დიდების წყაროდ გადაექცია და ხალხის ცხოვრებაზე ქრისტეს გავლენა მოეხდინა. მისი ტანჯვები გაფერმკრთალდა, როცა დარწმუნდა, როგორ იტანჯა ქრისტემ მის გამო. დიმიტრის მდგომარეობა ბევრისათვის იმედგამაცრუებელი და დამამცირებელი იქნებოდა და არა შთაგონების მომგვრელი. ზოგიერთებს საერთოდ ეჭვი შეეპარებოდათ, რომ საერთოდ ღმერთი მათზე ზრუნავდა. მათი გონებისათვის ყველაზე წარმოუდგენელი რამ იქნებოდა ღვთის სადიდებელი ლექსების დაწერა. თუმცა დიმიტრიმ ყურადღება გაამახვილა ქრისტეზე და არა საპყრობილის საკანზე და დიდებით აღევსო გული. როგორ რეაგირებთ ტანჯვის დროს? როცა ტანჯვისათვის ხართ მოწოდებულნი, გიჭირთ თუ არა სიხარული ან განდიდება და ღვთის მსახურება?

ვისწავლე იმით დაკმაყოფილება,
რაცა მაქვს.

ფილიპელთა 4:11

178-ე დღე

ექსტრემალური ადვოკატი

რუმინეთი: ანუცა მოისეი

საბჭოთა კომუნისტებმა რუმინეთი დაიკავეს თუ არა გერმანელებზე ნადირობა დაიწყეს, როგორც ნაცისტების მომხრეებზე. ანუცა მოისეიმ გადაწყვიტა რამდენიმე კაცისათვის დასამალი ადგილი მიეჩინა, მათთვის ვისაც იგი ებრაელობის გამო სძულდათ. გერმანელებისათვის ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ მან კომუნისტებისაგან დაცვის მიზნით დასამალი ადგილი შესთავაზა.

„განა არ გახსოვს, რომ ჩვენ გაგზავნეთ პირველებმა ციხეში?“ იკითხა ერთ-ერთმა მათგანმა.

„რა თქმა უნდა მახსოვს,“ თქვა ანუცამ. „მაგრამ მე ქრისტიანი ვარ და ღმერთი წყენის გულში ჩადების უფლებას არ მაძლევს. მე გაპატიეთ თქვენ და ახლა საშუალება მაქვს დაგეხმაროთ. იესოს თქვენ უყვარხართ, მეც ასევე მეყვარებით.“

მისმა სიყვარულმა გააოცა ისინი და მრავალი მივიდა ქრისტესთან მისი მაგალითით.

ანუცამ, რიჩარდ და საბინა ვურმბრანდებთან და სხვებთან ერთად ებრაელი ბავშვები აღზარდეს, რომელთა მშობლები ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში მოსპეს.

მოგვიანებით, ანუცა ნორვეგიაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც იგი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ემიგრანტ ებრაელებთან. ამ მსახურებისას, მან $ 10, 000 შეაგროვა თავისი ყოფილი ხუცესის, რიჩარდ ვურმბრანდის რუმინეთის ციხიდან გათავსუფლებისათვის. ანუცამ შეუწყო ხელი რიჩარდ ვურმბრანდისა და მისი ვაჟის, მიხეილის, დასავლეთში მგზავრობას. ანუცას დახმარების გარეშე, გავლენიანი ხუცესი და წამებულთა ხმის დამფუძნებელი შესაძლოა კომუნისტურ ციხეში გარდაცვლილიყო.

როცა ღმერთი მოგვიწოდებს გავყვეთ და ჩვენც შესაბამისად ვპასუხობთ, ეს ნიშნავს ყველგან გაყოლას და ყველაფრის გაკეთებას რასაც კი გვთხოვს. რადგან ანუცამ სერიოზულად მიიღო მოწოდება, იგი სიყვარულითა და მიტევებით პასუხობდა მტერს. ყოფილი მჩაგვრელების შეფარება არც ისე ადვილი ჩანდა, მაგრამ ანუცამ შეძლო ამის გაკეთება. მან მორჩილებით აირჩია მიტევება სიმწარესა და შურისძიებაზე და ქრისტეს სიყვარულის მაგალითს მიბაძა. რისი გაკეთება დაგავალა შენ ღმერთმა? ნუ გაუშვებ ხელიდან შემთხვევას სამუდამოდ მნიშვნელოვანი საქმის გასაკეთებლად.



179-ე დღე

ექსტრემალური
წყურვილი

ირანი: დევნილი ხუცესი

„ხანდახან დევნის დღეები მენატრება!“

თქვა დასავლეთში გაქცეულმა ირანელმა ხუცესმა. ირანში დაპატიმრება და პოლიციისაგან შეწუხება ჩვეულებრივი ამბავი იყო. მან საკუთარი სახლი და სამსახურიც კი დაკარგა რწმენის გამო. ახლა ის თავისუფალი იყო და შეეძლო სადაც უნდოდა და როცა უნდოდა იქ ელოცა. როგორ შეიძლებოდა დევნის დღეები მონატრებოდა?

„ხანდახან მენატრება ის დღეები,“ თქვა მან, „იმიტომ, რომ მაშინ ცოცხალი ვიყავი. ყოველდღე ვგრძნობდი, რომ იესო ჩემთან იყო.“

ხუცესმა ირან-ერაყის საომარი მოქმედებების წინა ხაზზე დაარსა ეკლესია. იგი ტაქსზე მუშაობდა და ფულსაც გამოიმუშავებდა ხოლმე. ეკლესიაც იზრდებოდა მგზავრებისადმი ქრისტეს გაზიარებით. ორი წლის მანძილზე ცხრა ენოვანი ხალხიდან შეიძინა ადამიანები ქრისტესათვის. მრავალი ჯარისკაცი ესწრებოდა ყოველკვირეულად მსახურებაზე და თხუთმეტი ყოფილი მუსულმანი მონათლა.

ხუცესი და მისი მეუღლე ყველაფერში ღმერთზე იყვნენ დაიმედებულნი. ომის დროს მათ გარშემო ბომბები ცვიოდა და უსაფრთხოებისათვის ლოცულობდნენ. როცა საკმარისი თანხა არ ჰქონდათ, ლოცულობდნენ. და ყოველ დღე ღმერთი იყო მათთან.

მათი მსახურება დაფასდა. მისი ეკლესიის ათი წევრი ხუცესობას შეუდგა. ახლაც კი ხედავს ხუცესი წინა ხაზის დროინდელი მსახურების შედეგს.

თუ არასოდეს ყოფილხარ შეყვარებული, ვერ გაიგებ რას ნიშნავს გულგატეხილობა. თუ არასოდეს დაგიკარგავს საყვარელი ადამიანი, ნამდვილად ვერასოდეს განიცდი დამწუხრებული ადამიანების მდგომარეობას. ვერასოდეს გაიგებ იმის წყურვილს, რაც არასოდეს გამოგიცდია. რწმენის გამო დევნა გამოვლილ ადამიანებს ახასიათებთ განსაკუთრებული წყურვილი. მათ წამება კი არ ენატრებათ მაინცდამაინც, არამედ ის ურთიერთოებები რაც დევნამ მოუტანა. ეს ბოლო შედეგი გადაწონის დევნას. თუ გსურს, რომ იესოსთან ღრმა ურთიერთობა და მასთან ერთად სვლა განიცადო, უნდა გსურდეს მორჩილებით მიუძღვნა თავი მას. ესეც ტანჯვის ერთ-ერთი სახეა.

ვინაიდან ჩვენი მსუბუქი და
ხანმოკლე ტანჯვა დიდ და
მომეტებულ საუკუნო დიდებას
ქმნის ჩვენთვის.

2 კორინთელთა 4:17

180-ე დღე

ექსტრემალური
განცხადება

რუსეთი: პეტრე სიემენსი

პეტრე სიემენსი რუსეთის ციხის ჭუჭყიან იატაკზე უგონოდ იწვა სამი დღე. იგი დაკავებულ იქნა ბავშვებთან სახარების გაზიარების გამო. მისმა თანაპატიმრებმა უწყალოდ სცემეს დაცვის მიერ შეთავაზებული გასეირნების სანაცვლოდ. პეტრეს ხმა არ გაუღია მათი თავდასხმისას.

როგორც კი ერთმა პატიმარმა დაინახა, რომ პეტრე გონზე მოდიოდა ჰკითხა, „რატომ არ დაიყვირე რომ გცემდით?“

„ვფიქრობდი შეიძლება საკუთარი ვარჯიშისათვის მცემდით, დაცვის ნებართვის გარეშე,“ გამოსცრა პეტრემ დასისხლიანებული ტუჩებიდან. „თუ ეს ასე იყო, და დავიყვირებდი, მაშინ ციხის კანონების დაუმორჩილებლობისათვის დაგსჯიდნენ. მე კი თქვენი ტანჯვა არ მინდოდა, იმიტომ რომ ქრისტეს უყვარხართ და მეც მიყვარხართ.“

პეტრეს თავაზიანმა განცხადებამ გაქვავებული გული მოულბო თანასაკნელ კრიმინალებს. მათ სიტყვა გაავრცელეს ციხეში, რომ არავის არ ეცემა იგი, სადაც არ უნდა გადაეყვანათ ან როგორი მოტივებიც არ უნდა დაესახელებინა დაცვას.

სიკვდილით დასჯის მოლოდინში მყოფმა პატიმრებმა გაიგეს თუ არა ეს ამბავი დასახმარებლად მოუხმეს პეტრეს. პეტრემ უპასუხა და იესოს სიყვარულის ამბავი გაუზიარა. შეიძლება ზოგიერთებმა სიკვდილით დასჯამდე, აღიარეს კიდეც იესო ქრისტე პეტრეს მსახურების შედეგად. მის მიერ ქრისტეს სიყვარულის ცხოვრებაში გატარებამ ხელსაყრელი შემთხვევა მისცათ სხვებს. სხვაგვარად რომ ვერასოდეს მოისმენდნენ სახარებას.

ნათქვამი სიტყვა ძლიერია. დროულად ნათქვამი რჩევის, სიყვარულის ან გამხნევების სიტყვას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მაგრამ, რას იტყვთ იმაზე როცა ვიღაცას სულიერ გასაჭირშია? პეტრე სიემენსის სიტყვები ქრისტეს სიყვარულით იყო მოტივირებული. ამ სიყვარულმა მისცა მას მხნეობა ელაპარაკა ქრისტეს სიყვარულის შესახებ თავის მტრებთან, როცა ეს მათ ყველაზე მეტად სჭირდებოდათ. პეტრე დაემორჩილა ღვთის წინამძღოლობას და ღმერთმა მისი სიტყვები მრავალი თანაპატიმარის საბოლოო ხვედრის შესაცვლელად გამოიყენა. გამოიყენა თუ არა ღმერთმა ვიღაცის სიტყვები თქვენს ქრისტესთან მისაყვანად? როცა ღმერთი ვიღაცისათვის ქრისტეს შესახებ გასაზიარებლად მოგიწოდებთ, ემორჩილებით თუ არა მაშინვე? დაფიქრდი რა სამუდამო ცვლილების მოტანა შეუძლია შენს მაგალითსა და სიტყვას.



181-ე დღე

დევნა არ გვაშორებს ჩვენს სახლს.
დევნა გვეხმარება ნამდვილი
„სახლის“ გზაზე დაგვაყენოს.

ხუცესი ჯ. კოლაუ

182-ე დღე

ექსტრემალური
იმედგაცრუება

აღმოსავლეთ ევროპა: ცნობილი ევანგელისტი

„თინეიჯერი უკან აღარ დაბრუნებულა.“

ცნობილმა ევანგელისტმა ციხის გისოსებიდან ილაპარაკა. ძლიერი მქადაგებელი, აღმოსავლეთ ევროპაში კარგად ცნობლი, ის ამბობდა თუ როგორ ვერ იპოვა მშვიდობა. ამ კაცმა ათასობით ადამიანი მიიყვანა ქრისტესთან, ამიტომ სხვა პატიმრებს არ ესმოდათ მისი მარცხის შესახებ.

„საევანგელიზაციო შეხვედრაზე ვიქადაგე,“ თქვა მან. „მთელი ჩემი გული გადმოვღვარე, და, ბოლოს, ორასი კაცი გამოვიდა წინ ქრისტეს მისაღებად. ავღელდი, მაგრამ დაღლილიც ვიყავი. წასვლისას, ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა ჩემთან. ‘ხუცესო, მინდა გელაპარაკოთ,’ მითხრა მან. ვუთხარი, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი, და თუ შეიძლება ხვალ დილით მოსულიყო. მაგრამ აღარ მოსულა. გვიან, იმ საღამოს კომუნისტებმა დამიჭირეს. შეუსვენებლად მისვამდენენ კითხვებს, დღისით და ღამით, ხუთი დღის განმავლობაში. ყველა მათ შეკითხვას ვუპასუხე. ვუპასუხე იმიტომ, რომ მეშინოდა მათი წამების და ცემისა თუ არ ვუპასუხებდი. კომუნისტების შიშისაგან ხუთი დღე-ღამე შეუჩერებლად ვლაპარაკობდი.

„რატომღაც, ღვთის სიყვარულის გამო ხუთი წუთით მეტი ვერ ველაპარაკე იმ თინეიჯერ ბიჭს, რომელიც ცხოვრების გზას ეძებდა. როგორ შევძლებ ღვთის წინაშე დგომასა და იმ დღეს ორასი ადამიანის ღმერთთან მიყვანის ანგარიშის ჩაბარებას, როცა ორას ერთის მიყვანა შემეძლო?“

შეიძლება არჩევანი გავაკეთოთ ღვთის მიერ მოცემულ შესაძლებლობებს შორის სხვებისათვის ქრისტეს გაზიარების საქმეში, და ვიფიქროთ, რომ მოგვიანებით დავუბრუნდებით ამ საკითხს ან უკეთეს დროს გამოვნახავთ ამისათვის. როცა უარს ვამბობთ ღვთაებრივად მოცემულ შესაძლებლობაზე, ჩვენც, ევანგელისტის მსგავსად, უნდა მივხვდეთ, რომ მომენტი გაგვიფრინდა ხელიდან. სამწუხაროდ, შეიძლება მხოლოდ ერთხელ მოხდეს, რომ ადამიანმა ღვთის ძის მეშვეობით საუკუნო სიცოცხლის მიღების სურვილი გამოთქვას. ზეცაში, შეიძლება ღმერთმა გკითხოს თუ რატომ არ გაუზიარე სახარება როცა ამის საშუალება გქონდა. როგორ უპასუხებ ამ შეკითხვას?

ჩვენ უნდა ვაკეთოთ იმისი
საქმეები ვინც მე მომავლინა,
სანამ დღეა. მოდის ღამე, როცა
ვეღარავინ შეძლებს კეთებას.

იოანე 9:4

183-ე დღე

ექსტრემალური
საჩუქარი

ჩინეთი: ახალგაზრდა გოგონა

„მინდა არაჩვეულებრივ საჩუქარზე გესაუბროთ," უთხრა ჩინელმა მამამ თავის ლამაზ, შავთმიან გოგონას. გოგონამ მოუთმენლობისაგან გაიღიმა. მას უყვარდა ბრძენი მამის მიერ ღმერთზე განსაკუთრებული ამბების მოსმენა. მამას ქრისტე უყვარდა, და ყველა ვინც კი მას იცნობდა გაოცებული იყო მისი გულკეთილობითა და თანადგომით.

მან გაცვეთილი ბიბლია გადაშალა და დაიწყო, „ამ საჩუქრის პოვნა შეგიძლია ფილიპელთა 1:29. ის ამბობს, 'ვინაიდან ქრისტეს გულისათვის მოგეცათ თქვენ არა მარტო რწმენა, არამედ ტანჯვაც.' რაღაცა, რასაც გვაძლევენ არის 'საჩუქარი.' ამ მუხლში ორ საჩუქარზეა საუბარი, რწმენასა და ტანჯვაზე. ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია ჩვენი ღმერთისადმი რწმენის გამო ძვირფასი საჩუქარია, რომლის ფასსაც მხოლოდ ზეცაში მივხვდებით."

გოგონამ გაიღიმა. „მადლობთ, მამა," თქვა მან და გადაეხვია. „გავიგე."

გოგონა გაიზარდა და ხუცეს, ლი დექსიანის მეუღლე გახდა, ვინც ათჯერ დააპატიმრეს და სასიკვდილოდ სცემეს რწმენისათვის. ეს გოგონა მეუღლესთან ერთად ეწევა მსახურებას, დაჟინებით, რადგან ახალგაზრდულ ასაკში ისწავლა, რომ ღვთიური ტანჯვა არის საჩუქარი. ხუცესმა ლიმ და მისმა მეუღლემ მრავალი სული შეიძინეს კომუნისტურ ჩინეთში, და ისინი მუდმივი მუქარისა და დაპატიმრების შიშის ქვეშ აგრძელებენ მუშაობას.

რწმენა და ტანჯვა ერთად მოდის. არა მარტო შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან განშორება, არამედ ერთმანეთს აძლიერებენ. ქრისტეს რწმენის საჩუქარი რომ მოგვცემოდა, გავყვებოდით ქრისტეს. მისი გაყოლა ნიშნავს რისკს, პოპულარული ტენდენციების წინააღმდეგ წასვლას, ფიზიკურ და ემოციურ ტკივილს. რწმენას ხშირად მივყავართ ტანჯვასთან. თუ იესო ქრისტეს ტანჯვებს გავივლით, მაშინ უფრო მდიდრული და სიღრმისეული გზით გავიცნობთ მას. და ისევ იწყებს წრე ტრიალს, რადგან ტანჯვა აძლიერებს ჩვენს რწმენას. ნუ მოელით თქვენი ცხოვრებიდან ტანჯვისაგან თავის დაღწევას, ქრისტეში რწმენის შემცირების გარეშე.

სიხარულად ჩათვალეთ ჩემო ძმებო, როდესაც მრავალნაირ განსაცდელში ვარდებით.

იაკობი 1:2

184-ე დღე

ექსტრემალური
ავტორი

ინდოეთი: უილიამ ქერი

„მათ არ შეუძლიათ ამის უბრალოდ გაკეთება," წამოიძახა უილიამმა. „ვერ ხედავ რომ ეს არასწორია?"

„შეხედე, ამ ქალაქის უმეტესობა ფიქრობს, რომ ამის გაკეთება კარგი საქმეა," უპასუხა იმედგაცრუებულმა მთავრობის ოფიციალურმა პირმა. „ეს მათი რელიგიის ნაწილია."

უილიამმა კითხვა დასვა, „როგორ შეიძლება ცოცხალი ცოლის გარდაცვლილ ქმართან ერთად დაწვა სწორი საქმე იყოს?"

ამის გაგონებისას, ოფიციალურმა პირმა ხელები გაასავსავა. „უილიამ," უპასუხა მან, „მხოლოდ ერთ კაცს არ შეუძლია ამის შეცვლა. დანებდი და გაბრუნდი შენი ფარის სამწყემსად."

როცა მისმა დენომინაციამ თქვა, რომ „მხოლოდ ღმერთი" მოაქცევს წარმართული ქვეყნების ბნელ ხალხებსო, უილიამმა ამას ყურადღება არ მიაქცია და წარმატებული სამისიონერო მოგზაურობა წამოიწყო ეკლესიის ისტორიაში. ამასთან ერთად, რამოდენიმე ენა შეისწავლა და გამოსცა წიგნი, რომელიც თანამედროვე მისიონერების მოძრაობის წყარო გახდა. მან ოცდათოთხმეტ ენაზე გადათარგმნა ახალი აღთქმა; ძველი აღთქმა კი რვა ენაზე.

უილიამ ქერი წლების განმავლობაში იბრძოდა ცოცხალი ცოლების მკვდარ ქმრებთან ერთად დაწვის ინდური პრაქტიკის წინააღმდეგ. ბოლოს, მიუხედავად მთავრობის წინააღმდეგობისა, მან წარმატებას მიაღწია ცოცხალი ცოლების დაწვის ტრადიციის აკრძალვაში.

ქერიმ თავისი სიცოცხლე ქრისტეს საქმის ერთგულებას შესწირა, მრავალი სირთულის გადალახვა მოუხდა განსხვავებულობის დამკვიდრებისათვის. იგი ცნობილი იყო სხვების გამხნევებაში, „მოელოდეთ დიდ საქმეებს ღვთისაგან; გააკეთეთ დიდებული საქმეები ღვთისათვის" (ესაიას 54:2-3 დაყრდნობით).

უილიამ ქერი ზუსტად ასე მოიქცა.

ადამიანების უმეტესობა ამ სამიდან ერთ-ერთ კატეგორიაში ხვდება, როდესაც საქმე რწმენის გაზიარებას ეხება: სწრაფი, ნელი და უმოქმედო. როცა ქრისტე მოწაფეებს ქვეყნიერებაზე წასლასა და მათი დამოწაფებისაკენ მოუწოდებდა, ზოგიერთებმა ამ მოწოდებას დიდი ინტერესით უპასუხეს. როგორც უილიამ ქერი, ისინი შეუჩერებლივ მოქმედებენ სახარებისათვის. მათგან განსხვავებით ზოგიერთები კი პასუხობენ, მაგრამ ნახევარი გულით, ასაკისა თუ მათი საქმიანობის გამო ნელი ტემპით. სამწუხაროდ, ქრისტიანების უმეტესობა საერთოდ არ პასუხობს ამ მოწოდებას. ისინი ისმენენ ამ მცნებას, მაგრამ ფიქრობენ, რომ ვიღაც სხვამ უნდა გააკეთოს ეს. რომელი კატეგორია აღწერს შენს მდგომარეობას უკეთესად ქრისტეს ევანგელიზაციისათვის მოწოდების საქმეში? სთხოვე ღმერთს განაახლოს შენში დამოწმების საქმეში მონაწილეობის სურვილი. თუ დიდ საქმეებს მოელი მისგან საპასუხოდ, მაშინ მოემზადე მისი სახელისათვის დიდი საქმეების საკეთებლად.



185-ე დღე

ექსტრემალური
ძველი დროის წამებულები

რომი: ქირსანთესი

„შვილო, შეუძლებელია ირწმუნო, რომ იესო ნამდვილია," უთხრა ქირსანთესს მამამ.

„მამა, ვიცი, რომ ეს ნამდვილია." უპასუხა ქირსანთესმა. „მე მჯერა, რომ იესო ქრისტე შენი და ჩემი მსგავსი ცოდვილების დასახსნელად მოვიდა ამ ქვეყნიერებაზე. ის არის ამ სოფლის ნათელი. არანაირი იმედი არ არის იმ კერპებში შენ რომ ეთაყვანები."

დასჯის მიზნით, მამამ რამდენიმე დღე ჩაკეტა ქრისანთესი ბნელ საწყობში, მაგრამ მაინც ესმოდა შვილის ღვთის სადიდებლების გალობის ხმა. ქრისანთესის რწმენიდან ჩამოშორების მიზნით, მამა ეცადა თავისი შვილი ამქვეყნიური სიამოვნების გარემოცვაში და გოგონების წრეში მოეხვედრებინა, მაგრამ ქრისანთესი მტკიცედ იდგა. შემდეგ, ქრისტეს დავიწყების მიზნით, მამამ დარია მოიყვანა სახლში, არაჩვეულებრივი სილამაზის კერპთაყვანისმცემელი ქალი. და პირიქით მოხდა, ქრისანთესის მეშვეობით მან ხსნა მიიღო და მოინათლა.

მოგვიანებით, ქრისანთესი და დარია დაქორწინდნენ და ერთად ეწეოდნენ სხვების ქრისტესთან მიყვანის შესანიშნავ და სასწაულებრივ მსახურებას. როცა რომაელმა ჯარისკაცებმა ამ მსახურების გამო მათი თოკებით შეკვრა მოინდომეს, თოკები ხელებიდან დაცვივდა. მმართველმა ქირსანთესის ბოძზე მიბმა და მისი კვერთხით ცემა ბრძანა, მაგრამ დარტყმებს არანაირი კვალი არ დაუტოვებიათ მის სხეულზე. ამის გამო, ჯარისკაცები და მმართველი მის ფერხთა წინ დაეცნენ და ღვთის ძალა აღიარეს.

მიწაზე, რომელიც კერპებს ემსახურებოდა, ქირსანთესი მტკიცედ დადგა, რადგან მას სწამდა ცოცხალი ღმერთი და არა ქვისგან ან ხისგან ნაკეთები ღმერთი.

ქრისტეს სახარებაში ახალი არაფერია. საუკუნეების განმავლობაში მისით ადამინების ცხოვრება გარდაიქმნებოდა და ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ასეც გაგრძელდება. ძველი ამბები დღევანდელობას შეეფერება. ხელით ნაქსოვ მანტიასა და სანდლებში გამოწყობილი ქრისტიანი წამებულები და ჯინსიანი თაობის თანამედროვე ქრისტიანები ერთ მოწოდებას იზიარებენ. თაობათა შორის სხვაობა არ განასხვავებს იმ ადამიანებს ერთმანეთისაგან, რომლებმაც ქრისტიანობა ჩვენამდე მოიტანეს და თაობა, რომელიც დღეს ამ მემკვიდრეობას იცავს. რომელ თაობას ერგები შენ? გსურს, რომ შენი დამოწმებაც ძველი წამებულების სიაში მოხვდეს? სრულად მიუძღვენი შენი ცხოვრება დღეს ქრისტეს და დატოვე ხვალისათვის მემკვიდრეობა. შენ შეგიძლია მონაწილეობა მიიღო და გარდაქმნა შენი ოჯახი, სამსახური ან საზოგადოება, ან მთელი შენი ქვეყანა ქრისტესთვის.

როგორც დაცილებულია
აღმოსავლეთი დასავლეთისაგან,
ისე გაგვაშორა მან
დანაშაული ჩვენი.

ფსალმუნი 102:12

186-ე დღე

ექსტრემალური
დამოწაფება

იერუსალიმი: იაკობი, ზებედეს ძე

ისტორია მოგვითხრობს, რომ ადამიანმა, რომელსაც იაკობი უნდა მოეკლა უარი თქვა ამ საქმის შესრულებაზე. მეფე ჰეროდემ კი ორივეს მოჰკვეთა თავი. ალბათ ეს ასე მოხდა.

ალბათ სიმბოლური დამთხვევა იყო პარასკევი, გამოსვლის დღესასწაული, დაახლოებით იესოს ჯვარცმიდან თოთხმეტი წლის შემდეგ. იაკობი, ზებედეს ძე, სიკვდილმისჯილთა ოთახამდე მიაცილეს. ზოგიერთი ჯარისკაცი უკვე ოთახში იყო. ზეთის ლამპების შუქზე სისხლის კვალი მოჩანდა იატაკზე. მის მოსვლამდე რამდენი ქრისტეს მიმდევარი მოუყვანიათ ამ ოთახში?

იაკობმა თვალებში შეხედა დაცვას, მაგრამ დაცვა უკან შებრუნდა, მისი გული ღრმად იყო დაჭრილი. იაკობს ხშირად უსაუბრია მასთან იესოს შესახებ ციხის კარების ჭრილში და როგორც ჩანდა დაცვას გულის კარი გაეღო მოსმენილისათვის. ახლა მისი „მეგობარი“ მისი ჯალათი გამხდარიყო.

იაკობმა თავისი ნებით დაიჩოქა. როცა მახვილმა მის სიმაღლემდე მოაღწია, საეჭვოდ შეირხა და იაკობის გვერდით იატაკს ჩაესო. მას არაფერი დაშავებია. „არ შემიძლია!“ ატირდა ჯალათი. „მე მას ვერ მოვკლავ! რასაც ის ქრისტეზე ამბობს მართალია და მის მსახურ იაკობს მე ვერ მოვკლავ.“

ჰეროდემ ნიშანი მისცა და ჯარისკაცებმა ჯალათი ფეხზე წამოაყენეს, ხელები უკან შეუკრეს და იაკობის გვერდით იატაკზე დააჩოქეს.

ერთად მუხლმოყრილებს მოჰკვეთეს თავები.

დამრიგებლობა ძალიან პოპულარულია სამოქალაქო თუ სულიერ სამყაროში. უფრო პოპულარული ხდება ორ ადამიანს შორის ურთიერთობის შესახებ ჩანაწერების გაკეთება. ერთს შეუძლია ისწავლოს: მეორეს შეუძლია ასწავლოს. ერთს რაღაცის შეძენა სჭირდება: მეორეს რაღაცის გაცემა შეუძლია. გაყვე იმ ადამიანის მაგალითს, ვინც ქრისტეს მიჰყვება დამრიგებლობის სულიერი განსაზღვრებაა. ვინ არის შენი სულიერი დამრიგებელი? ქრისტეს რა თვისების მსგავსებას ხედავ მის ცხოვრებაში რომელსაც მიბაძავდი?



187-ე დღე

ექსტრემალური
ლოცვის განსაზღვრება

ჩინეთი: ჯარისკაცი წითლების დაცვაში

ამ საინტერესო წერილმა ჩუმად გამოაღწია კომუნისტური ჩინეთიდან:

„მე თინეიჯერი ვარ და წითელი არმიის დაცვაში ვმსახურობ. მე არ მწამს არცერთი ღმერთის, არც ზეცის, არც ჯოჯოხეთის, არც მხსნელის, საერთოდ არაფრის არ მწამს. ერთ დღეს შემთხვევით გადავრთე რადიო თქვენს ტალღაზე. ჯერ სხვაგან გადართვა მინდოდა. კარგ კომუნისტებს ღმერთის არ სჯერათ. მაგრამ პროგრამა მომეწონა, და ხშირადაც ვუსმენდი. ახლა მე მჯერა ქრისტესი, მაგრამ ორი შეკითხვა მაქვს.

„პირველი: ღმერთი მიიღებს ვინმეს კომუნისტური ჩინეთიდან? თქვენს გადაცემაში საუბრობთ ეკლესიის შესახებ, მაგრამ მე ჩინეთში ვარ, სადაც ეკლესია თითქმის არა გვაქვს. შეიძლება ღმერთმა ვინმე მიიღოს ეკლესიის გარეშე?“

ამ ახალგაზრდა ყმანვილმა არ იცოდა თუ რამდენი არაოფიციალური ეკლესია არსებობს ჩინეთში, ან ადამიანები, რომელთაც ღმერთი უყვართ. შემდეგ მან მეორე შეკითხვა დასვა: „მასწავლით როგორ ვილოცო? თქვენ ყოველ რადიოგადაცემას ლოცვით იწყებთ და ლოცვითვე ამთავრებთ. მეც მინდა ვილოცო, მაგრამ არ ვიცი როგორ.“

ჯარისკაცი არასოდეს არ ყოფილა ეკლესიაში, მაგრამ მისი აზრით შეგეძლო „მთელი დღე გელაპარაკა და ბოლოს შეგეძლებოდა ‘ამენის’ თქმა.“

ლოცვის ლამაზი განმარტება.

ლოცვა არ არის ბუნებრივი. სინამდვილეში, იგი არავისთან არ მოდის ბუნებრივად, რადგან ეს სულიერი გამოცდილებაა. ღმერთი გვაძლევს მასთან ურთიერთობის სულიერ სურვილს. როგორც მათემატიკა ან ენა, ლოცვაც შესწავლას ექვემდებარება. რაც უფრო მეტად ვილოცებთ, უფრო ბუნებრივი გახდება ლოცვა. ახალგაზრდა მორწმუნემ ამ ამბავში ლოცვა წარმოაჩინა როგორც ცხოვრების ყოველ ასპექტზე ზეგავლენის მქონე, პიროვნების მთელი ცხოვრების ღვთისადმი ლოცვად გარდაქმნა. შენ რამდენად იზრდები ლოცვაში? თუ იშვიათად ლოცულობ? დღესვე სთხოვე ღმერთს დაგეხმაროს და მოგცეს მასთან საუბრის სულიერი სურვილი და ლოცვა გადააქციე შენი ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივ ნაწილად. შემდეგ დაიწყე მისი პრაქტიკაში გატარება. რათა შენი მთელი ცხოვრება ლოცვა იყოს.

ამიტომ ილოცავს შენს
მიმართ ყველა

ფსალმუნი 31:6

188-ე დღე



ციხემდე გვესმოდა
ღმერთის შესახებ.
მაგრამ ციხეში განვიცადეთ იგი.

ხუცესი სჟე-ჩინეთის საოჯახო ეკლესიის
ხელმძღვანელი, ვინც რწმენისათვის იქნა
დაპატიმრებული. იგი გადაურჩა შიმშილს,
ავადმყოფობას და ნახშირის მაღაროში აფეთქებას,
სადაც იძულებით ამუშავებდნენ.

189-ე დღე

ექსტრემალური
სიგიჟე

რუსეთი: ანა ჩერტიკოვა

გიჟებისათვის განკუთვნილი ხალათი წამება იყო ანა ჩერტიკოვასათვის. სძულდა დამალული და სხეულთან მაგრად მიკრული ხელები. მისი თანმხლებლებისათვის იგი სხვა არაფერი იყო თუ არა ცხოველი, არანაირი ყურადღების ღირსი.

ანამ ათი წელი გაატარა რუსულ საგიჟეთში. თუმცა გონებრივად სრულიად ჯანსაღი გახლდათ. მოსამართლემ იქ იმიტომ გააგზავნა, რომ ქრისტიანი იყო. და რადგანაც უარი არ თქვა ქრისტეზე, მოსამართლემ ის შეურაცხადად ჩათვალა.

გონებრივი ავადმყოფების გარემოცვაში, ხანდახან ანას ეჭვი ეპარებოდა საკუთარ ჯანმრთელობაში. მთელი ღამეები ანა ღმერთს შეღაღადებდა გონებაში, თუმცა მის გარშემო მყოფთაგან ზოგიერთები ხმამაღლა ტიროდნენ სიბრაზისა და შიშისაგან. მიუხედავად ამისა, იგი არასოდეს გამწარებულა. როგორც სასამართლოში ისე დავრდომილთა თავშესაფარში არ უთქვამს რწმენაზე უარი. ავადმყოფებს, რომელთაც რამის გაგება შეეძლოთ, ანა ეცადა რწმენა გაეზიარებინა და ქრისტეს სიყვარული ეჩვენებინა.

„მოგესალმები ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სიყვარულით," წერდა ანა დავრდომილთა თავშესაფრიდან. „მე ვლოცულობ, რომ ღმერთი გარდაგვქმნის ღამაზად და სრულყოფილად და ის იზრუნებს ყველა ჩვენს სადარდებელზე. მე მჯერა, რომ ღმერთი, რომელმაც შექმნა ყველა ადამიანის გული და ვინც განიკითხავს ყოველი მოკვდავის საქმეს, ათეიზმის კერპთაყვანისმცემობასაც განსჯის და სასამართლოს სამართლიანად წარმართავს."

ხანდახან შეიძლება ქრისტიანები გიჟურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რაც მათ მოთმინებასა და ხასიათს ამჟღავნებს. რთული ცხოვრება. პოლიციის თანამშრომლის დაკითხვები. დაუმორჩილებელი შვილი. შეგვიძლია თუ არა შევინარჩუნოთ ღვთის რწმენა, მიუხედავად რთული მდგომარეობისა? ამის გაკეთებას შევძლებთ თუ გვეცოდინება კმაყოფილების საიდუმლო. ბიბლია გვასწავლის, რომ ჩვენი შინაგანი კმაყოფილების განცდა უნდა წაგვიძღვეს რთულ მდგომარეობაში. ჩვენი დამოკიდებულება იღებს განკურნებას ღვთისაგან და არა ჩვენი მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხის წინაშე ვდგებით გავხდეთ ისეთები, როგორიც ჩვენი მდგომარეობაა. აიღეთ ანას მაგალითი. სთხოვეთ ღმერთს დაგეხმაროთ იმ მდგომარეობით კმაყოფილების განცდაში, რომელშიც დღეს იმყოფებით.

ვისწავლე იმით დაკმაყოფილება,
რაცა მაქვს.

ფილიპელთა 4:11

190-ე დღე

ექსტრემალური სიხარული

რუმინეთი: ექიმი კარლო

საბუთების შევსების პროცესი გრძელი და მძიმე იყო. წარსულის ფაქტები ფართო ასპექტს მოიცავდა. და ექიმ კარლოს ფორმა თითქმის „ქრისტიანულ“ კატასტროფას იწვევდა. მაგრამ შეძლო ამ დაბრკოლების გადალახვა და საიდუმლო პოლიციის ექიმი გახდა. მან მოახერხა და არ გაამხილა, რომ ქრისტიანი იყო.

ექიმ კარლოს საკუთარი ოჯახი განუდგა, რადგან ფიქრობდნენ, რომ კომუნისტი გახდა. მისი ეკლესიის ოჯახმა და ყველა მისმა ახლობელმა სათითაოდ აქცია ზურგი. არავის ესმოდა მისი მისია: ხუცესის პოვნა.

სამსახურიდან გამომდინარე მას დაკითხვის გარეშე შეეძლო ციხეში შესვლა-გამოსვლა. მას ყველა საკანში შესვლა შეეძლო, ხოდა-ბოლოს-ხუცესი ჩაკეტილი აღმოაჩინა.

კარლომ ამის შესახებ სხვა ქრისტიანებს შეატყობინა, რომელთაც ხმა სხვა ქვეყნებში გაავრცელეს. მათ ეუბნებოდნენ, რომ ის მკვდარი იყო, მაგრამ ახლა მტკიცებულება ჰქონდათ, რომ რიჩარდ ვურმბრანდი ცოცხალი იყო. 1956 წელს, ხრუშოვსა და ეიზენჰაუერს შორის საუბრისას, გამოიკვეთა, რომ მსოფლიოს ქრისტიანები ვურმბრანდის გათავისუფლებას ითხოვდნენ. ბოლოს იგი გათავისუფლებულ იქნა $ 10 000 გამოსასყიდის ფასად.

„რომ არა ეს ექიმი,“ წერდა მოგვიანებით ვურმბრანდი, „ვინც საიდუმლო პოლიციას ჩემი პოვნის მიზნით შეუერთდა, ვერასოდეს გამათავისუფლებდნენ. მე ან ციხეში დავრჩებოდი-ან ციხის სასაფლაოზე.“

შენიღბული აგენტები დიდი სცენის ვარსკვლავები არიან. მათი საქმიანობა ერთი თავგადასავლიდან მეორეზე გადასვლას მოიცავს უფროსების დავალების შესასრულებლად. ანალოგიურ ცხოვრებას ეწევიან ექსტრემალური მორწმუნეები ქრსტიანობა აკრძალულ ქვეყნებში. მათი ამბები სამუდამო ცვლილებას ახდენენ მრავალ ადამიანზე. ისინი ბედავენ და არ ააშკარავებენ თავიანთ მსახურებას, მაგრამ ყოველთვის მზად არიან ქრისტეს უწყების სხვებისათვის გასაზიარებლად. მიუხედავად გეოგრაფიული თუ ცხოვრებისეული მდგომარეობისა, ღმერთი მოგვიწოდებს სულიერ აგენტებად და ზეციური მთავრობის მაცნეებად. ჩვენი დავალებაა ყოველ დღე გავუზიაროთ ხალხს ღვთის სიყვარული. ღმერთი არ იძლევა უსაფრთხოების ან სამსახურის დაცვის გარანტიას, მაგრამ საუკუნო ცხოვრებას კი გვპირდება.



191-ე დღე

ექსტრემალური
წამება

რომი: პოლიკარპე

პოლიკარპე მოციქულ იოანეს მოწაფე იყო, მაგრამ ახლა სიცოცხლის გადასარჩენად გარბოდა. მოგზაურობისას, ბავშვმა ამოიცნო და ჯარისკაცებს შეატყობინა. როცა იპოვეს პოლიკარპე საჭმელს მიირთმევდა და ჯარისკაცებსაც შესთავაზა.

ერთად ჭამის შემდეგ, პოლიკარპემ ერთი საათი ითხოვა ლოცვისათვის. ჯარისკაცები დათანხმდნენ, რაზეც მოგვიანებით ინანეს. პოლიკარპე ისე მხურვალედ ლოცულობდა, რომ ჯარისკაცები თავიანთ ცოდვაში დარწმუნდნენ.

ბოლოს პოლიკარპე მმართველს მიჰგვარეს, ვინც ბაზარზე დაწვის განაჩენი გამოუტანა 'დამნაშავეს'. მმართველმა გადარჩენის შესაძლებლობა მისცა ქრისტეს უარყოფის შემთხვევაში. პოლიკარპემ უარი თქვა და განაცხადა, „ოთხმოცდაექვსი წელი ვემსახურე ღმერთს. როგორ უნდა დავგმო ჩემი მეფე, რომელმაც დამიხსნა?"

პოლიკარპე სარზე მიაბეს და მის გარშემო ცეცხლი დაანთეს. ცეცხლმა მხნე მორწმუნემდე მიაღწია მაგრამ-სასწაულებრივად-მის სხეულზე თმაც კი არ დამწვარა. მმართველი გაცეცხლდა. მან ჯარისკაცს მისი ფერდის განგმირვა უბრძანა. მათ წარმატებით მოკლეს პოლიკარპე, მაგრამ მისი რწმენა და გამარჯვებული სული კი ვერ ჩაკლეს.

პოლიკარპეს საბოლოო ლოცვის ჩანაწერი: გადიდებ შენ, რადგან ღირსად ჩამთვალე წამებულთა რიცხვს შევუერთდე დღეს, ამ წუთში, რათა ქრისტესთან ერთად შევსვა სასმისი ჩემი სულის აღდგომისას.

პოლიკარპე ახალ გაგებას გვაძლევს ფრაზისა, „აქტიური გადადგომა." ოთხმოცი წლის წმინდანმა, პოლიკარპემ იმდენ ხანს იცოცხლა, რომ აღარ ედარდა თუ რას იფიქრებდნენ მისი მოწინააღმდეგეები მისი ქრისტეში რწმენის შესახებ. მაგრამ მეორე კუთხით, ახალგაზრდა ფანატიკოსები საშიშროების წინააღმდეგ სრული მზაობით ებრძვიან მოწინააღმდეგეს. ხშირად მორწმუნეების უმეტესობა ამ ორ მდგომარეობას შორის იმყოფება. ფანატიზმის ნაკლებობას განვიცდით და არც იმდენ ხანს გვიცხოვრია, რომ ჩვენს რწმენაზე სხვების წარმოდგენას ყურადღება არ მივაქციოთ. საბედნიეროდ, იესო ისეთებს გვიღებს როგორებიცა ვართ და არა ისეთებს, როგორებიც უნდა ვიყოთ. დღეს მიიღე გადაწყვეტილება და მიეცი ღმერთს პირობა რომ ნებას დართავ ხვალ რწმენაში გაგზარდოს.

ვალდებულნი ვართ, ვმადლობდეთ
ღმერთს თქვენთვის, რადგან
უაღრესად იზრდება
თქვენი რწმენა.

2 თესალონიკელთა 1:3

192-ე დღე

ექსტრემალური
მსახური

პაკისტანი: ზება

„გაიმეორე ეს მუხლები!“ უბრძანეს ზებას.

„ამ მუხლებს არ გავიმეორებ. მე ქრისტიანი ვარ. და მუდამ ქრისტიანი ვიქნები.“ მისი ოჯახის სიღარიბის გამო ზება იძულებული იყო მდიდარი მუსულმანი ოჯახის მოსამსახურე გამხდარიყო. როცა მუშაობდა, ოჯახის უფროსი ცდილობდა მისთვის ისლამი ესწავლებინა და ყურანიდან მუხლები დაეზეპირებინა. სამ სხვადასხვა შემთხვევაში ზებამ ამაზე უარი განაცხადა და თქვა, „მე ქრისტიანი ვარ.“ ყოველი უარყოფისას სცემდნენ.

ზებას დამქირავებლებმა ისე მოაწყვეს რომ გოგონა დაიჭირეს და ქურდობაში ცილი დასწამეს. ზებას გათავისუფლების შემდეგ, ზებას დედა მუსულმან ოჯახს ესტუმრა ქალიშვილის დაცვის მიზნით. მაგრამ ოჯახმა იგი არ მიიღო.

ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა დედას ყვირილი დაუწყო, „შენ უღმერთო ხარ! შენ და შენი გოგონა უღმერთოები ხართ და სიცოცხლეს არ იმსახურებთ.“ ზებას დედას გაზოლინი დაასხეს და ასანთს მოუკიდეს. ამის შემდეგ ზებას დედამისი აღარასოდეს უნახავს. ტრაგედიის მიუხედავად, გოგონამ ქრისტეში სიარული გააგრძელა და ახლახანს მოინათლა.

დღეს პაკისტანში, სამკერვალო სკოლა დაარსდა, რათა ზებასნაირ ქრისტიან გოგონებს მოსამსახურის საქმიანობის ძებნა აღარ დასჭირდეთ ოჯახის გამოკვების მიზნით. მიუხედავად მისი ტკივილისა, ზება წყენას არ ინახავს გულში და იგი თავის ქვეყანაში რწმენის სხვებისათვის გაზიარებაზე ოცნებობს. მას უნდა, რომ ბიბლიის მასწავლებელი გამოვიდეს.

ღვთის სასუფეველი წაღმაა, მხოლოდ მაშინ როცა უკუღმაა. მისი იერარქიის მნიშვნელობა უკუღმაა იმის მიხედვით, თუ როგორ განალაგებს საზოგადოება ხალხს. ნიჭიერების, ლამაზების და მდიდრების ნაცვლად, თავმდაბალი მსახურები მოხვდებიან ზეცაში პირველ ადგილზე. ზება არაფერია ქვეყნიერების თვალში, მაგრამ ის დიდ საქმეს აკეთებს ცათა სასუფევლისათვის. მსახური შესაძლოა განსაკუთრებული ნიჭით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ ყოვეთვის მზად არის სამუშაოდ. მსახური შეიძლება სხვებს არ ჰგავს, მაგრამ შეუფასებელია ღმერთის თვალში. რას ნიშნავს იცხოვრო ამქვეყნიერების საწინააღმდეგო ცხოვრებით? თუ ჩაბარდები ღმერთს როგორც მსახური, მაშინ განიცდი ამ გრძნობას ყველაზე კარგად. გსურს თუ არა დაიმდაბლო თავი მსახურის როლისათვის და გააკეთო ყველაფერი რაც საჭიროა ღვთის კეთილი უწყების გასავრცელებლად?

ვისაც თქვენს შორის პირველობა
სურს, ის იყოს ყველას მსახური.

მათე 20:26

193-ე დღე

ექსტრემალური
შემობრუნება

ჩინეთი: ჩანგ შენი

მოქცევამდე, ჩანგ შენი აზარტულ მოათამაშედ, ქალების მოყვარულად და ქურდად იყო ცნობილი. როცა შუახნის ასაკში დაბრმავდა, მეზობლებმა თქვეს, რომ ღმერთებმა ბოროტის კეთებისათვის დასაჯეს.

1886 წელს, ჩანგმა ასობით კილომეტრი გაიარა მისიონერების საავადმყოფომდე, სადაც ხალხს სინათლე უბრუნდებოდა. მისი მხედველობა სანახევროდ აღსდგა და ქრისტეს შესახებაც პირველად გაიგონა. „არასოდეს გვყოლია პაციენტი, ასეთი სიხარულით რომ მიეღოს ქრისტე," ამბობდა ექიმი.

როცა ნათლობა მოითხოვა, მისიონერმა ჯეიმს ვებსტერმა უპასუხა, „წადი და უთხარი შენს მეზობლებს, რომ შეიცვალე. როცა მეორედ გესტუმრებით, თუ კიდევ ქრისტეს მიმდევარი იქნები, მაშინ მოგნათლავ." ხუთი თვის შემდეგ, ვებსტერი უკან დაბრუნდა და ასობით მორწმუნე იხილა. მან ახალი ევანგელისტი დიდი სიხარულით მონათლა.

მოგვიანებით, მოუქნელმა, ადგილობრივმა ექიმმა ჩანგს ნაწილობრივი სინათლეც დააკარგვინა, მაგრამ ჩანგი მაინც აგრძელებდა სხვადასხვა სოფლებში მოგზაურობას. ზოგიერთები აფურთხებდნენ, ზოგნი უარს ამბობდნენ მის მიღებაზე, მაგრამ ასობით ადამიანი კიდევ მიიყვანა ქრისტესთან.

როდესაც ბოქსიორების აჯანყება დაიწყო, ქრისტიანებმა გამოქვაბულში გააგზავნეს ჩანგი უსაფრთხოების მიზნით. აჯანყებულებმა მახლობელ ქალაქში ორმოცდაათამდე ქრისტიანი დაიჭირეს და სიკვდილით ემუქრებოდნენ, თუმცა ჩანგის გამოჩენის შემთხვევაში გათავისუფლებას პირდებოდნენ. როცა ეს ამბავი ჩანგმა შეიტყო, თქვა, „მე სიხარულით მოვკვდები მათთვის." სამი დღის შემდეგ ჩანგს თავი მოჰკვეთეს და ადგილობრივი ქრისტიანები გაათავისუფლეს.

უდიდესი გაცვლა უდიდესი სახარების უწყებაა. იესო ძველი ცხოვრების ახლით შეცვლის შესაძლებლობას გვაძლევს. შეხედეთ როგორ შეცვალა მან ჩანგი, საკუთარი ინტერესებისათვის მცხოვრებიდან მთლიანად ქრისტესათვის შეწირულ პიროვნებად. მნიშვნელობა არა აქვს რამდენი შეცდომები ჩავიდინეთ წარსულში, მაინც შეიძლება ღმერთთან ურთიერთობის აღდგენა. ამიტომ აქვს ჩვენს პიროვნულ დამოწმებას ძალა. ცხოვრების ცვლილება არის გადარჩენის ძლიერი მოწმობა. ისე აღარ ვლაპარაკობთ როგორც ადრე. ისე აღარ დავდივართ როგორც დავდიოდით. ვის სჭირდება ქრისტეს მიერ შენს ცხოვრებაში მოხდენილი ცვლილებების შესახებ მოსმენა?

მიტოვებული გაქვთ წინანდელი ცხოვრება ძველი კაცისა, მაცდური გულისთქმებით გახრწნილი, და განახლებული ხართ თქვენი გონების სულით. და შეგიმოსიათ ახალი კაცი, რომელიც შექმნილია ღვთისამებრ, სიმართლითა და ჭეშმარიტების სიწმინდით.

ეფესელთა 4:22-24

194-ე დღე

ექსტრემალური
ტვირთი

კოლუმბია: ჯუანი

არც ნარკოტიკებს და არც სამოქალაქო ომს არ შეუძლია სახარების გავრცელების შეჩერება კოლუმბიაში.

ჯუანი და მისი მეუღლე, მარია, მისიონერები არიან ჩრდილო კალის ადგილობრივ ეკლესიაში, კოლუმბიაში. კალს აკონტროლებს კოლუმბიის რევოლუციური სამხედრო ძალა (FARC), მემარცხენე პარტიზანთა ჯგუფი. მრავალმა კოლუმბიელმა ხუცესმა და მისიონერმა გამოიარა FARC-ის ხელში წინააღმდეგობები და იძულებულნი გახდნენ რეგიონი დაეტოვებინათ. სამი წლის წინ, ჯუანი ორმოცდაათ კაციან პარტიზანთა ჯგუფს შეხვდა და ოცმა მათგანმა მიიღო ქრისტე. როგორც ის ამბობს, „ჩვენ იარაღს სახარებაში ვცვლით."

ახლა, ეს ეროვნული თავისუფლების არმია თავს ესხმის იმ რეგიონის ქრისტიანულ ეკლესიებს. ახლახანს, ოცზე მეტი ეკლესია დაიხურა და მრავალი ხუცესი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით გაიქცა. აჯანყებულები ხშირად მოდიან და მეათედსა და შესაწირავებს ითხოვენ ან ხუცესს სიცოცხლეს გამოასალმებენ. ჯუანი ერთადერთი ხუცესია იმ რეგიონში და არანაირ დახმარებას არ იღებს გარეშეებიდან.

მიუხედავად ამისა, ჯუანმა და მისმა მეუღლემ ადგილზე დარჩენა და ხალხის მსახურება გადაწყვიტეს. ისინი ამბობენ, „თუ ღვთის სიტყვის ქადაგებისათვის უნდა მოვკვდეთ, უმჯობესია მოვკვდეთ ვიდრე ეკლესია მივატოვოთ."

ჯუანი მსჯავრს არ სდებს ხუცესებს ეკლესიების მიტოვებისათვის, არც მათ მიერ განვლილი სირთულეების შესახებ საუბარი სურს. არამედ ღვთის საქმეებსა და მსახურების ტვირთზე საუბარს ამჯობინებს. მისი გონება დაკავებულია, არა საშიშროებით, არამედ კოლუმბიელებამდე ქრისტეს უწყების მიტანით.

იესო აღწერს ბარგით დატვირთულ ცხოველს. ცხოველი არ იტანჯება ტვირთის წონით, რადგან ის მისთვის საერთოდ არ წარმოადგენს სიმძიმეს. სახარების ტვირთი არ ჰგავს ამქვეყნიურ სადარდებლს. სახარების ტვირთი უბრალოდ ნიშნავს სხვების სულიერი საჭიროების გაცნობიერებას. ჯუანს აქვს „ტვირთი," მაგრამ ეს ტვირთი მსუბუქია. ქრისტეს მაგალითის მიბაძვა გულისხმობს დაკარგულებისათვის წუხილს. ეს ტვირთი ადვილია, რადგან გამუდმებით ვუზიარებთ მას სხვებს. კეთილ უწყებას მხოლოდ ჩვენთვის არ უნდა ვინახავდეთ. ოდესმე უარგყვეს ქრისტეს გაზიარებისას? ალბათ გიფიქრიათ დანებებოდით წინააღმდეგობას. დაე იესოს ზრუნვამ დაკარგულებისათვის აღძრას თქვენში მოტივი კიდევ ერთი დღე იდგეთ მტკიცედ.

ვინაიდან ჩემი უღელი ადვილია და
ჩემი ტვირთი-მსუბუქი.

მათე 11:30

195-ე დღე



თუ ქრისტიანები არ გავაგრძელებთ სახარების გავრცელებას და ხელს არ შევუწყობთ საზღვრების გადაადგილებას, ჩვენ ჩავიკეტებით საზღვრებში. თუ „ჩუმ მოწმობას“ დავუჭერთ მხარს, მოწმეები აღარ იქნებიან საერთოდ და ამერიკაში ქრისტიანობა მოკვდება.

რეი თორნე-დევნილი ეკლესიის მისიონერი

196-ე დღე

ექსტრემალური ევანგელისტი

ჩინეთი: ხუცესი ლი დექსიანი

„სიკვდილამდე ვიქადაგებ.“

მსახურებას შეუდგა თუ არა ხუცესი ლი დექსიანი, სახალხო დაცვის ბიუროს თანამშრომელები სახლში შემოიჭრნენ. ხუცესი გარეთ გაათრიეს და სცემეს, იგივე ბედი ეწიათ ჩინეთის საეკლესიო კრების სხვა მორწმუნეებსაც.

ევანგელისტს მანამდე სცემეს პოლიციის განყოფილებაში, სანამ სისხლი არ აღებინა. ოფიცრებმა საკუთარი ბიბლიით ურტყეს სახეში და დასისხლიანებული და უგონო მდგომარეობაში მყოფი მიატოვეს საკანში ცემენტის იატაკზე.

შვიდი საათის შემდეგ გაათავისუფლეს თუ არა, მსახურება გააგრძელა. მეორედ, როცა იმავე ეკლესიაში მსახურებას ეწეოდა, ბიუროს შვიდი თანამშრომელი მოვიდა და ევანგელისტის მისამართით ბრალდებებს ყვიროდნენ. როცა ბიუროს თანამშრომელებმა უცხოელი სტუმრები დაინახეს შეკრებილთა შორის, იქაურობა დატოვეს, მაგრამ თხუთმეტი წუთის შემდეგ გაძლიერებული ძალებით დაბრუნდნენ. ოფიცრებმა ლი გარეთ გამოათრიეს და ქვის კედელზე არტყმევინეს თავი.

„რატომ სცემთ?“ დაიყვირა რამოდენიმე უცხოელმა. „რას იტყვით ჩინეთში არსებული ‘რელიგიური თავისუფლების’ შესახებ?“

ბიუროს თანამშრომელებმა უცხოელებიც პოლიციაში წაასხეს, მათთან ერთად ის ქალბატონიც, რომლის სახლშიც მსახურება ტარდებოდა. მის ვაჟს უცნობებია თურმე პოლიციისათვის შეხვედრის შესახებ.

თავდასხმის შემდეგ, სოფელში დიდი შეხვედრები აღარ ჩატარებულა, მაგრამ ეკლესიას მსახურება არ შეუწყვეტია. ახლა ისინი ორმოცამდე პატარა ჯგუფებად იკრიბებოდნენ და ყოველ კვირა ახალი ადამიანები ემატებოდნენ ქრისტეს.

როცა ოპოზიცია ეკლესიის კლანჭებში მოქცევას ცდილობს, მაშინ იგი პატარა-პატარა ჯგუფებად იშლება, როგორც ვერცხლის წყლის წვეთები. ქრისტიანობა აკრძალულ ქვეყნებში შეიძლება ვერასოდეს ნახონ ორმოც ჰექტრიანი დასავლური უზარმაზარი ეკლესიების ტერიტორიები; მაგრამ მათი ეკლესიების რიცხვი დღითი დღე იზრდება. მაგალითად კორეაში ერთი ქრისტიანული ეკლესის წევრთა რაოდენობა რამდენიმე დასავლური მეგაეკლესიის რიცხვს აჭარბებს. თუმცა, ჩინეთის სტრატეგიის მსგავსად, კორეული თემიც ათასობით პატარა საოჯახო შეხვედრებისა და „უჯრედებისაგან“ შედგება. რასაც ევანგელიზაციაში დაბრკოლებად ვხედავთ იგი შენიღბული წარმატებაა. ადვილად ნებდებით თუ არა წინააღმდეგობას? თუ შეუპოვრად დგეხართ და ცდილობთ სხვა გზა გამონაახოთ სახარების გასავრცელებლად?



197-ე დღე

ექსტრემალური ძალები

ბანგლადეში: იდრის მიაჰი

„თუ აბუს ქრისტიანობა სურდა, სხვაგან უნდა ეცხოვრა. მის სახლს ალყა შემოვარტყით მის გარეთ გამოსაყვანად და სახლის დასაწვავად მოვემზადეთ.

„როცა ახლოს მივედით, მისი საუბრის ხმა შემოგვესმა. *ნუთუ სხვები შემოიკრიბა დასახმარებლად?* გაგვიკვირდა. შემდეგ გავიგონეთ როგორ ლოცულობდა მთელი სოფლისათვის და იესოს იმის პატიებას სთხოვდა რის გაკეთებასაც ვაპირებდით! ამან უფრო გაგვაბრაზა და ოცდახუთი კაცი მისი ოთხისაკენ გავექანეთ. მაგრამ რაღაც უხილავი ძალა არ გვიშვებდა სახლში და დიდად შევშინდით.

„როცა სახლში მივედი, ვერ დავიძინე. სულ აბუს ლოცვაზე ვფიქრობდი. ბოლოს დილის სამ საათზე, აბუსთან წავედი სახლში. ვთხოვე ქრისტეს შესახებ მოეთხრო.

აბუსთან სამსაათიანი საუბრის შემდეგ, იესოს პატიება ვთხოვე და ჩემი ცხოვრება მას ჩავაბარე. სასწრაფოდ სახლში წავედი და ჩემს ცოლს ვუამბე მომხდარის შესახებ და ბავშვებთან ერთად მანაც მიიღო ქრისტე.“

რამდენიმე დღეში, იდრის მიაჰი, ვინც ეს ამბავი მოგვითხრო, გამოცდის წინაშე დადგა. სამსახურიდან დაითხოვეს და ბავშვებს სკოლის დატოვება აიძულეს. მიუხედავად ამისა ის ამბობს, რომ სიხარული აქვს, რადგან გულში იესო ჰყავს.

ხშირად არ შეგვიძლია ჩვენი ცხოვრებისეული მდგომარეობის არჩევა, მაგრამ ჩვენი მისადმი დამოკიდებულებისა და პასუხის არჩევის ძალა კი შეგვწევს. ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ამ გადაწყვეტილებების მიღება, მიუხედავად მდგომარეობისა. როცა აბუს მსგავსად უბედურების ზღვარზე ვდგავართ, ქრისტესმიერ ლოცვით პასუხს ვირჩევთ თუ პანიკასა და დეპრესიაში ვვარდებით? მიუხედავად მათი ძალისხმევისა, სხვებს არ შესწევთ ჩვენზე ზეგავლენა და გაბრაზება. ჩვენ თვითონ ვიღებთ ამ გადაწყვეტილებას. ანალოგიურად, შეგვიძლია ავირჩიოთ და მივბაძოთ ქრისტეს ჩვენი მოწინააღმდეგეებისადმი პასუხში. ვინ იცის რა შედეგს მივაღწევთ? სთხოვე ღმერთს დაგეხმაროს დღეს ნებისმიერ სიტუაციაში შესაფერისი პასუხის არჩევაში.

მიპასუხე, ოდეს მოგიხმობ,
ჩემი სიმართლის ღმერთო.
შევიწროების დროს შენ მაძლევდი
გასაქანს, შემიწყალე და
ისმინე ჩემი ლოცვა.

ფსალმუნი 4:1

198-ე დღე

სიკვდილამდე

„მონა“

ვირჯინიის კუნძულები: ლეონარდ დობერი

ლეონარდ დობერს აინტერესებდა, ძალიან ბევრს ფიქრობდა თუ არა იესო ჯვარზე; შემდეგ იესოს ბაღში ლოცვა გაახსენდა, „არა ჩემი ნება, არამედ შენი, მამაო.“ ლეონარდის დავალება შეუძლებლად ჟღერდა, მაგრამ ის ღვთის ნებას ეძებდა და არა საკუთარს.

ლეონარდი დარწმუნებული იყო, რომ მას ღმერთი ვირჯინიის კუნძულებზე მონებთან ქადაგებისათვის გზავნიდა. მან ამ ხალხთან დაკავშირება საკუთარი თავის მონად მიყიდვითა და მათთან ერთად ყოველდღიური მუშაობისას იესო ქრისტეს სიყვარულის გაზიარების გზით მოიფიქრა. მონობაზე ფიქრი აშინებდა და ცუდად ხდიდა. შიშის ზარს გვრიდა იმაზე ფიქრი თუ როგორ მოეპყრობოდნენ. „მაგრამ იესო თავისი სურვილით ეცვა ჩემს გამო ჯვარზე,“ გაიფიქრა მან. „არანაირი საზღაური არ იქნება მისი მსახურებისათვის დიდი.“

მაგრამ დობერის მკაცრი მოწინააღმდეგეები მონის ბატონები კი არ იყვნენ, არამედ მისი თანამორწმუნენი. მათ ეჭვი ეპარებდათ ღვთისაგან მონებისადმი მსახურებისათვის მოწოდებაში და მასხარად იგდებდნენ ამისათვის. მაგრამ დობერს ველარ გადაათქმევინებდი. იგი 1730-იან წლებში ვირჯინიის კუნძულებზე ჩავიდა.

როცა მან მმართველის სახლში მსახურობა დაიწყო, შიშობდა, რომ თავისი პოზიციით ძალიან შორს იყო იმათგან რომელთა მსახურებისათვისაც აქ ჩამოვიდა. დობერი მმართველის სახლიდან ტალახიან ქოხში გადავიდა, სადაც ერთი-ერთზე მუშაობის შესაძლებლობა ექნებოდა მონებთან.

სამი წლის განმავლობაში, დობერის მსახურება ცამეტიათასზე მეტ ახალ მორწმუნეს ითვლიდა.

იესო ახირებულია. აი რას უწოდებს ქვეყნიერება მათ, რომელთა რწმენა რადიკალური ჩანს. უცნაურია. ექსტრემალი. დობერი მეთვრამეტე საუკუნის „ახირებული ადამიანი“ იყო-თავისუფალი, ვინც მონად ცხოვრება გადაწყვიტა მათი ქრისტეში შეძენის მიზნით. იგი თანახმა იყო ყველაფერი გაეკეთებინა თავისი გულიდან ქრისტესათვის მსახურების გამო. დობერისათვის ეს ნიშნავდა განსაკუთრებულ გეგმას, რასაც მის გარდა არავინ ეთანხმებოდა. დაგანებეს თუ არა თავი, იმიტომ რომ უარი თქვი ახირებულობაზე და დაეთანხმე უმრავლესობას? თუ ღმერთმა მოგიწოდა რაღაც რადიკალურის გასაკეთებლად შენს ოჯახში, ეკლესიაში ან საზოგადოებაში, უნდა დაემორჩილო. დაე სხვებმა გიჟი დაგიძახონ, მაგრამ იესოს თვალში მიძღვნილი აღმოჩნდე.

ვინაიდან, თუ გონს გადასულნი ვართ-ღვთისათვის, ხოლო თუ გონიერები-თქვენთვის.

2 კორინთელთა 5:13

199-ე დღე

სიკვდილამდე
მსახურება

ძველი დროის ბაბილონი: დანიელი

მან ეს ბრძანება ფანჯრიდან მოისმინა. „მომდევნო ოცდაათი დღის განმავლობაში, ვინც მეფის გარდა ვინმეს სახელით ილოცებს, ლომების ხაროში ჩავაგდებთ.“

დანიელმა დარაბები გახსნა. მეფის ორი მრჩეველი გზის მეორე მხრიდან დაჟინებით იცქირებოდა, რომელთაც მისი ფეხზე დგომა არ ახარებდათ. მან გულითადად დაუკრა თავი, ისინიც მიესალმენენ, მაგრამ თვალთმაქცური ღიმილით.

დანიელმა მთელი სახლი დაიარა და ფანჯრები ფართოდ გახსნა. როგორც ჩანდა ყოველი ფანჯრიდან უთვალთვალებდნენ. შემდეგ იგი ოთახის ცენტრში დადგა, საიდანაც ყველას შეეძლო მისი დანახვა, დაიჩოქა და ღმერთს თაყვანი სცა.

მეფე ძალიან დამწუხრდა როცა დაცვამ დანიელი მის წინაშე დააყენა. მეფე მოატყუეს. მისი ბრძანება ველარ შეიცვლებოდა, თუმცა მთელი დღე დანიელის გათავისუფლებაზე ფიქრობდა, რადგან კარგ ადამიანად მიიჩნევდა.

„წაიყვანეთ,“ თქვა მეფე დარიოსმა. შემდეგ დანიელს თვალებში შეხედა, „დაე, იმ შენმა ღმერთმა გიხსნას, რომელსაც ემსახურები!“ (დანიელი 6:16). ჯარისკაცებმა დანიელი ხაროში ჩააგდეს, მეფეც უკან მიყვებოდა დანიელს. დანიელს არაფერი უთქვამს, ქედი მოიხარა მეფის წინაშე და ლომებში გაიარა. კარი მაგრად იყო ჩაკეტილი.

დანიელი ხაროს ცენტრში დადგა, დაიჩოქა და ღმერთს თაყვანი სცა.

სიკვდილამდე მსახურება არ არის განდიდების მანერა. ეს არ არის განსაკუთრებული მეთოდი ან ტრადიცია. ეს არ განისაზღვრება თანამედროვე მუსიკის დიდებით. სინამდვილეში, ამას საერთო არაფერი აქვს როგორ განვადიდებთ ღმერთს. ექსტრემალური მსახურება განისაზღვრება იმით, თუ როდის და სად განვადიდებთ ღმერთს. როცა ჩვენთვის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ვემსახურებით ღმერთს, ეს ნიშნავს ექსტრემალურ მსახურებას. როცა დიდების საგალობელს ვგალობთ ოპოზიციის სიძლიერისას, ეს ნიშნავს ექსტრემალურ მსახურებას. როგორც დანიელი, არ უნდა დავუშვათ, რომ მდგომარეობამ განსაზღვროს სად და როდის ვემსახუროთ ღმერთს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ჩვენი რწმენისამებრ ნებისმიერ დროში ცხოვრებით. ხარ თუ არა თანახმა ემსახურო ღმერთს ექსტრემალური გზით დღეს?

მიუგო მეფემ დანიელს და თქრა,
„დაე, იმ შენმა ღმერთმა გიხსნას,
რომელსაც ემსახურები.“

დანიელი 6:16

200-ე დღე

ექსტრემალური
უარყოფა

ჩრდილო კორეა

„ძალიან მეხვეწებოდნენ და მთხოვდნენ, მაგრამ არ შემეძლო მიცემა," თქვა კაცმა, „ვიცი, რომ ქრისტიანებმა უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს, მაგრამ არ შემეძლო მასთან განშორება." დამწუხრებულმა ხელი ასწია, რათა მოსაუბრეს მისი ძვირფასი საჩუქარი დაენახა.

„მართლა მინდოდა დახმარება, მაგრამ არ შემეძლო. ჩრდილო კორეაში მითხრეს, რომ ხალხი ორმოცდაათი წელი ლოცულობდა ბიბლიის მისაღებად. მაგრამ ჩემი ბიბლია ვერ მივეცი, რადგან ოცი წელი ვლოცულობდი მისთვის და სულ ახლახანს მაჩუქა სამხრეთ კორეელმა ხუცესმა."

დამწუხრებულმა ამოიოხრა და მისი გონება იმ ჩრდილო კორეელების საჭიროებისაკენ გადაერთო, რომლებიც სასოწარკვეთილნი ლოცულობენ ბიბლიისათვის. კაცმა გულში ჩაიკრა თავისი ბიბლია. მას კომუნისტური ციხიდან გაქცევა მოუხერხებია და ახლა ის თავისუფლად ცხოვრობდა სამხრეთ კორეაში.

ჩრდილო კორეაში ბიბლიები იშვიათია. კომუნისტური ოპოზიციის გამო, მორწმუნეები მას ოქროზე მეტად აფასებენ. ერთი კაცი რკინის ჯოხით სასიკვდილოდ სცემეს ჩინეთის საზღვარზე ჩრდილო კორეაში ბიბლიების შემოტანის გამო. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ძალიან ხშირია.

„არ შემიძლია იმ ხალხის დავიწყება," თქვა მან ოხვრით. „არ შემიძლია მათი სახეების გამომეტყველების დავიწყება ჩემი ბიბლიის დანახვისას. ძალიან ვწუხვარ მათ გამო."

მათ იყენებენ ჭიქის ან ტელევიზორის პულტის დასადებად. მათი მაგარი ყდა მოსახერხებელია სასტუმროებში საკანცელარიო წერილების დასაწერად ან სიგარეტის ფერფლის დასაგროვებლად. ისინი ალამაზებენ ყავის მაგიდას, კარამელის კამფეტის თეფშებისა და სატელევიზიო მეგზურის გვერდით. თუმცა ეს წიგნი ყოველწლიურად ბესტსელერის სიაშია, მაგრამ როგორც ჩანს ძალიან არავინ იწუხებს თავს მისი კითხვით. ბიბლიას ბოროტად იყენებენ და უგულებელყოფენ იმ ქვეყნებს მიღმა, სადაც მისი ფასეულობის ძალიან კარგად ესმით. რამდენად განსხვავებულად მოვეპყროდით ჩვენს ბიბლიას ოცი წელი რომ გველოცა მის მისაღებად! რისი გაკეთება შეგიძლია ღვთის ძვირფასი სიტყვისადმი წყურვილის განახლების მიზნით?



ექსტრემალური ხედვა

რუსეთი: ლიუბა განევსკაია

ლუბა განევსკაიას გამუდმებით სცემდნენ რუსეთის ციხეში. მაგრამ, როცა თავის მწამებელს ახედა, რომელსაც ხელში ჯოხი ეჭირა, გაუღიმა.

„რატომ იღიმები?“ ჰკითხა მან, გაოცებულმა.

„იმიტომ, რომ შენში იმისაგან განსხვავებულ პიროვნებას ვხედავ როგორსაც ახლა სარკე გაჩვენებდა,“ თქვა ლიუბამ. „ზუსტად ისეთს გხედავ, როგორიც იყავი-ლამაზი, უცოდველი ბავშვი. ჩვენ ერთი ასაკისანი ვართ. შეიძლება ერთადაც გვითამაშია.“

ღმერთმა აუხილა ლუბას თვალები და ეს კაცი სხვაგვარად დაანახა. მან კაცში დაინახა დაღლილობა; ის ისევე დაღლილი იყო მისი ცემით, როგორც ქალი ცემისაგან. იმედგაცრუებული იყო, რადგან ვერ შეძლო სხვა მორწმუნეების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება.

„ის შენ გგავს,“ უთხრა ღმერთმა ლიუბას გულს. „ორივენი ცხოვრების ანალოგიურ დრამაში ხართ გახვეულნი. შენ და შენი მწამებლები ერთ მწუხარებას იზიარებთ.“

კაცის ღვთის თვალით დანახვის შემდეგ, ლიუბას დამოკიდებულება შეიცვალა. ის აგრძლებდა მასთან საუბარს. „მე ისეთს გხედავ შენ, როგორსაც ვიმედოვნებ, რომ იქნები. ერთხელ შენზე უარესი მდევნელი ცხოვრობდა-ტარსუსელი სავლე-და იგი მოციქული და წმინდანი გახდა.“ მან კაცს მშვიდად ჰკითხა, თუ რამ აიძულა ეს ადამიანი ის ქალი ეცემა, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია.

მისი მოსიყვარულე დამოკიდებულებით, ლიუბამ თავის მწამებელს ქრისტეს სასუფევლის შესახებ გაუზიარა.

ამქვეყნიური ხედვა ხშირად შეფერხებულია მრავალი მიზეზის გამო: ასტიგმატიზმით, ახლომხედველობით, გლუკომით და სხვა. როგორც ჩვენი მხედველობა აღსდგება სწორი ლინზების გამოყენებით, ისე ჩვენი გულის თვალებისათვის მოაქვს შედეგი სულიერებით შემოსვას. ჩვენი გეგმებით დაინტერესებულნი მხოლოდ ცუდს ვხედავთ სხვებში და არა კეთილს. მაგრამ ღმერთი აძლევს სულიერ ხედვას მათ, ვისაც ცხოვრების ზეციური პერსპექტივიდან დანახვა სურს. შეიძლება შეუწყნარებელ ხელმძღვანელსა და ჩვენს დამამცირებელ პიროვნებაში დავინახოთ გულგატეხილი პიროვნება, რომელსაც სიყვარული სჭირდება. დაუმორჩილებელი თინეიჯერის ნიღბის უკან დავინახოთ შეშინებული გოგონა ან ბიჭუნა, რომელსაც ადამიანებისაგან აღიარების მიღება სწყურია. უყურებ თუ არა სხვა ადამიანებს ზეციური თვალით? რა განსხვავებას მოახდენდა სულიერი ხედვა შენს ცხოვრებაში?

მე, უფალმა მოგიწოდე
სიმართლეში... გაქცევ შენ
ბრმათათვის თვალის ასახელად,
აღთქმად, ხალხების სინათლედ.

ესაია 42:6-7

202-ე დღე

ჩამოხრჩობას ვარჩევდი ვიდრე ჩემი უფლის გაყიდვას.

სალეემა-ცხრამეტი წლის მორწმუნე პაკისტანში
რომელიც მკაცრად იდევნებოდა თავისი რწმენის გამო

203-ე დღე

ექსტრემალური
პატივი

რუმინეთი: ვალერია გაფენკუ

ვალერია გაფენკუმ და მისმა ოჯახმა მამა დაკარგა და ძალიან იტანჯებოდნენ კომუნისტური მწამებლების ხელში. მიუხედავად ამისა არაფერი ჰქონდა სათქმელი კომუნისტების საწინააღმდეგოდ, რომელთაც ამდენი ტკივილი მიაყენეს ოჯახს. როგორ შეეძლო ამდენის მოთმინება და არაფერი არ ეთქვა მწამებლების საწინააღმდეგოდ?

ის პასუხობს: „როცა დავით მეფე მძიმე მდგომარეობაში იყო, შიმნიმ ქვები ესროლა, დაწყევლა, და იმაში დასდო ბრალი, რაშიც მართალი იყო. (2 სამუელი 16). დავითის ერთ-ერთი ჯარისკაცი მზად იყო შიმნის მოსაკლავად, მაგრამ დავითმა შეაჩერა იგი. მან შიმნის წყევლის ნება მისცა, რადგან ღმერთმა უბრძანაო ასე. მაგრამ დავითმა იცოდა, რომ უდანაშაულო იყო იმაში რაშიც შიმნი ბრალს სდებდა, მაგრამ მან იცოდა, რომ სხვა საქმეებში იყო დამნაშავე, რაზეც შიმნის წარმოდგენა არ ჰქონდა.

„კომუნისტები ბანდიტებსა და ხალხის მტრებს გვიწოდებენ, მაგრამ არ ვართ. თუმცა დამნაშავენი ვართ იმაში, რომ ყოველდღიურად ქრისტეს არ ვემსგავსებით სიწმინდეში. კომუნისტების არასწორი ქმედების წინააღმდეგ ჩვენი პასუხი შინაგანი სიძულვილიდან კი არა განახლებიდან უნდა გამოდიოდეს. ჩვენი მოქმედებით სიწმინდის გამოსხივება დაანგრევს ბოროტს. ბერძნული სიტყვა ღმერთი, თეოს, წარმოსდგება სიტყვიდან ‘გადმოღვრა ან გადმოდინება.’“

გაფენკუსის ციხეში დამოწმებამ მრავალი ადამიანი მიიყვანა ქრისტესთან, და სიკვდილამდე, უარს ამბობდა იმ ადამიანების წინააღმდეგ ცუდის თქმაზე, რომელთაც მას ტკივილი მიაყენეს.

იმსახურებს თუ არა მტერი პატივის მიგებას? ალბათ რთულია ამის გაკეთება. მაგრამ შეგვიძლია ვისწავლოთ, დევნილი ეკლესიისაგან რომ ღმერთს ჩვენი მტრის გამოყენებაც კი შეუძლია იმისათვის, რომ ღმერთთან ახლოს მიგვიყვანოს. ამ გაგებით, შეიძლება პატივი მივაგოთ მტერს ჩვენს ცხოვრებაში. მტერის შეურაცხყოფით ზიზღს გამოვხატავთ ღვთის გეგმისადმი. თუ შენი მტრების წყევლითა ხარ დაკავებული იმიტომ, რომ ცუდად მოგექცნენ, შეჩერდი და დაფიქრდი რატომ დაუშვა ღმერთმა ეს შენს ცხოვრებაში. უადვილებ თუ ურთულებ ღმერთს ამის მეშვეობით რაღაც გასწავლოს. თუ ასეა, მანამდე იქნებით ამ მდგომარეობაში ვიდრე რაიმეს არ ისწავლით.

ნუ განიკითხავთ და არ
განიკითხებით; მსჯავრს ნუ
დასდებთ და არ დაგედებათ
მსჯავრი: მიუტევეთ და
მოგეტევებათ.

ლუკა 6:37

204-ე დღე

ექსტრემალური
ჭორები

ჩინეთი: ჩინელი მორწმუნეები

„ჩვენ გავიგეთ, რომ თურმე დასავლეთში ამბობენ ჩინეთში დევნილი ქრისტიანები არ არიანო," ასე იწყება ჩინელი მორწმუნეების ერთ-ერთი ჯგუფის წერილი.

„ასზე მეტი მორწმუნეა დღეს აქ დაპატიმრებული და მრავალი თვრამეტ წლამდე ახალგაზრდა ქრისტიანი იმყოფება პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. ზოგიერთებს განავლის ორმოში აგდებენ; ზოგიერთები ელექტრო-გამაბრუებლებით სცემეს; ზოგიერთები ისე მაგრად სცემეს, რომ ფეხზე წამოდგომა ვეღარ შეძლეს და მხოლოდ დახოხავდნენ.

„ზოგიერთებს ამის ატანა აღარ შეეძლოთ. მათ პოლიციას თავისი თანაქრისტიანი თანამშრომელების სახელები და მისამართები მისცეს. დამსმენები დააპატიმრეს, მაშინ როცა, არასაკმარისი მტკიცებულების გამო, ისინი გაათავისუფლეს რომელთაც არაფერი უთქვამთ.

„ჩვენთვის დევნა ნორმალურია, ხშირად, დაკითხვების შემდეგ გვათავისუფლებენ. შემდეგ ჩვენს ადგილებს ვუბრუნდებით საქადაგებლად.

„ზოგიერთ ახალგაზრდას სურვილი აქვს ღმერთს მიუძღვნას თავი და მთელი დრო-მისი სიტყვის ქადაგებაში გაატაროს. სახლიდან გამოყრილებს უნდათ, რომ მთელი ცხოვრება ის საქმე აკეთონ, რასაც ევანგელიზაცია ჰქვია. ამას შიშითა და კანკალით ვუყურებთ, გვეშინია, რომ ქადაგების შემდეგ შეიძლება განგვდევნონ.

„ჩვენ დიდი საზღაური გადავიხადეთ სახარებისათვის-დიდძალი სისხლი და ოფლი, მრავალი ცრემლი დაიღვარა, მრავალთა ცხოვრება შეეწირა, მრავალმა წყალმა ჩაიარა ამ ბრძოლებში."

ჩინეთში ქრისტიანების დევნის შეწყვეტის შესახებ ხმები ტყუილია. ეს ჭორები შეიძლება ლოცვისა და სხვა სახის დახმარებების მიღების შესაწყვეტად გამოყენებული იარაღია, რაც ძალიან სჭირდებათ დევნილ მორწმუნეებს. ხშირად თუ ვგრძნობთ, რომ რაღაც ისე ვერ არის როგორც უნდა იყოს, მართლა ცუდად არის საქმე. თუ თავს დავიცავთ დევნილთა და გადარჩენილთა შესახებ ინფორმაციის მიღებისაგან, მხოლოდ მაშინ შეიძლება დავიწყოთ ფიქრი, რომ დევნა არ არსებობს. არ შეგვიძლია დიდხანს დავმალოთ ან უარვყოთ სიმართლე. ჩვენი და-ძმები დღეს დევნას განიცდიან ქრისტიანობა შეზღუდულ ქვეყნებში. ამის შემდეგ, როგორია შენი პასუხი? ილოცებ? იმსახურებ? შეეწევი? დაუთმობ თუ არა დროს ფიქრს და ილოცებ თუ არა შენს რეაქციაზე.

გაიხსენეთ პატიმარნი, თითქოს
თქვენც მათთან ერთად იყოთ
შებორკილნი და ტანჯულნი,
რადგან თქვენ თვითონაც
სხეულში იმყოფებით.

ებრაელთა 13:3

205-ე დღე

ექსტრემალური
კითხვები

რომი: პტოლემაუსი

„ქრისტიანი ხარ?“ სამჯერ დაუსვეს ეს შეკითხვა. პასუხი სამჯერვე იყო „დიახ.“ სამი ქრისტიანი აწამეს. რომაელი მმართველი ურბიკუსი ქრისტიანებს არ წყალობდა ჩვ.წ.ა-ის 150 წელს.

პტოლემაუსს ადანაშაულებდნენ სწავლებაში, რომ ხსნა მხოლოდ იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობითაა შესაძლებელიო. მას სძულდა ტყუილები და უღმერთოება. როცა ურბიკუსმა ჰკითხა ქრისტიანი იყო თუ არა, არ შეეძლო ტყუილი ეთქვა. იგი მტკიცედ უნდა მდგარიყო სამართლიანობის დასაცავად და თამამად გაეცა პასუხი, „დიახ.“ ამისათვის იგი მრავალჯერ დააპატიმრეს და სცემეს.

კვლავ მიიყვანეს ურბიკუსთან. კვლავ იგივე კითხვა დაუსვეს, „ქრისტიანი ხარ?“

ტკივილსა და ტანჯვას არ შეეძლო სიმართლის შეცვლა. „დიახ,“კიდევ უპასუხა პტოლემაუსმა.

პტოლემაუსის დაპატიმრება ერთმა მოხუცმა კაცმა შეიტყო და ურბიკუსთან მისი სულის გამოსასყიდად მივიდა. „რატომ უნდა დასაჯო სიკვდილით ასეთი კარგი მასწავლებელი? რა სარგებელს მოგიტანს იგი ან შენ ან იმპერატორს? მას არავითარი კანონი არ დაურღვევია. მან მხოლოდ ქრისტიანობა აღიარა.“

მოხუცის დაცვის მიზნით დაინტერესებულმა მმართველმა ერთი კითხვა დასვა. „შენც ქრისტიანი ხარ?“ მოხუცი კაცი მტკიცედ დადგა და უპასუხა, „დიახ, ვარ.“

„მაშინ შეგიძლია მასწავლებელს შეუერთდე.“

ვითომ ეს საკმარისი არ იყო და მესამე კაცი წარსდგა მმართველის წინაშე იგივე პროტესტით. მასაც ანალოგიური კითხვა დაუსვეს, „ქრისტიანი ხარ?“

იმ დღეს, სამ ღვთის შვილს თავი მოჰკვეთეს პასუხისათვის, „დიახ.“

კითხვა მარტივია. „ქრისტიანი ხარ?“ პირდაპირი კითხვაა. პირადული. ეს არის დიახ და არას პასუხი ჭეშმარიტებაზე. მაშინ რატომ არის პასუხის გაცემა ძნელი? პრობლემა იმაში კი არ არის, რომ ქრისტიანებმა არ იციან როგორ უპასუხონ. პრობლემა იმაშია, რომ საკმარისად არ გვეკითხებიან ამის შესახებ. ისე არ ვცხოვრობთ, რომ ვინმემ იფიქროს და გვკითხოს რა არის განსხვავებული ჩვენს ცხოვრებაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან ცოტა ადამიანს დაუსვამს ჩვენთვის პტოლემაუსის შეკითხვა. ეს არის ნამდვილი პრობლემა. როდის იყო ბოლოს, როცა შენი თანამშრომელი შენი ცხოვრების სტილმა დააინტერესა? ახლა შენ იცი პასუხი-იცხოვრე ისე, რომ კითხვა დაგისვან სხვებმა.



206-ე დღე

ექსტრემალური
ღიმილი

რუმინეთი: მილან ჰაიმოვიჩი

ციხის ცივი, ბნელი საკანი სავსე იყო რუმინელი ქრისტიანებით, რომელთაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი სიბნელეში იესოს სინათლე გაევრცელებინათ. ამ პატიმართაგან ერთ-ერთი ებრაელი მორწმუნე, სახელად მილან ჰაიმოვიჩი იყო.

ერთ დღეს, მილანმა იესოს შესახებ დაუწყო საუბარი სხვა საკნის პატიმარს, რომელიც დიდი მეცნიერი მაგრამ უღმერთო იყო. პროფესორმა ზიზღით უპასუხა, „დიდი მატყუარა ხარ. იესო ორი ათასი წლის წინ ცხოვრობდა. როგორ შეგიძლია თქვა, რომ შენ მასთან ერთად დადიხარ და საუბრობ?“

მილანმა უპასუხა, „მართალია, რომ ორი ათასი წლის წინათ მოკვდა, მაგრამ აღსდგა და ახლა ცოცხალია.“

პროფესორმა მილანი გამოიწვია, „კარგი, შენ ამბობ, რომ გელაპარაკება. როგორი სახის გამომეტყველება აქვს?“

მილანმა უპასუხა, „ხანდახან ის მიღიმის.“

„როგორი ტყუილია,“ გაიცინა პროფესორმა. „აბა მაჩვენე როგორ იცინის.“ ამჯერად მილანმა დათმო. ის ანათებდა და მხოლოდ ძვლები და კანი უჩანდა თვალების. მას კბილები აკლდა და პატიმრის ფორმა ეცვა, მაგრამ ლამაზი ღიმილი აღიბეჭდა მის სახეზე. მისი ჭუჭყიანი სახე ანათებდა. სიმშვიდე, კმაყოფილება და სიხარული ეფინა სახეზე.

უღმერთო პროფესორმა თავი დახარა და აღიარა, „ბატონო, თქვენ იესო გიხილავთ.“

სიცილი არის ადამიანის დაჯერებულობის, მშვიდობისა და კმაყოფილების ბუნებრივი გამოხატულება. ტკივილისა და ტანჯვის ან აგონიის დროს ღიმილმა შეიძლება ღვთის ზებუნებრივი მოწმობა მოგანიჭოს. თუ იესო ქრისტე, ღვთის მხოლოდშობილი ძე, მართლა ცხოვრობს ჩვენს გულებში, ჩვენს სახეზე უნდა აღიბეჭდოს ეს! ხანდახან, ეკლესიაში დაკრძალვის მსახურებისას ვგალობთ, მაგრამ ჩვენი ფიქრები სიტყვებისაგან შორს არიან. რას გამოხატავს შენი სახე იესო ქრისტესთან ურთიერთობის შესახებ? ხარ თუ არა მოწმობა შენს ქუჩაზე გამვლელი ადამიანებისათვის? არის თუ არა შენი გული ქრისტეს კმაყოფილებით გაჟღენთილი? თუ მუდამ წარბშეკრული და ტუჩ-შეჭმუხნული ხარ მწუხარებისაგან? სთხოვე ღმერთს დაგეხმაროს კეთილი უწყების გადაცემის გაცნობიერების აუცილებლობაში და აგავსოს სიხარულით.



207-ე დღე

ექსტრემალური
გამოწვევა

იუდა: ჯ. ოსვალდ სმითი

იესო ქრისტემ განსაკუთრებული სტრატეგია გამოიყენა ხუთი ათასი კაცის გამოსაკვებად, რომლებიც გარშემო ქალაქებიდან მიჰყვებოდნენ მას. საღამოვდებოდა, მოწაფეები მივიდნენ მასთან და სთოვეს ხალხი სხვაგან გაეშვა ღამის გასათევად. იესოს კი სხვა გეგმა ჰქონდა. მან ბალახზე დასხა ხალხი მწკრივში, აიღო პური, მადლობდა, გატეხა და მოწაფეებმა პურის დარიგება დაიწყეს წინა რიგიდან და ბოლო რიგებამდე ასე გააგრძელეს.

მქადაგებელი და მწერალი, ჯ. ოსვალდ სმითი, უჩვეულო კითხვას გვისვამს: „მობრუნდნენ თუ არა მოწაფეები შუა გზიდან და მოითხოვეს თუ არა წინა რიგებში პურის დამატება?

„არა! ასე რომ გაეკეთებინათ, მაშინ უკანა რიგებიდან პროტესტის ნიშნად აღსდგებოდა გაბრაზებული ხალხი. ისინი იტყოდნენ, ‘აქ მოდით. ჩვენც მოგვეცით პური. წინა რიგებში მყოფებმა რატომ უნდა მიიღონ პური დამატებით, როცა ჩვენ ერთხელაც კი არ მოგვიღია?“

„და ისინი მართლები იქნებოდნენ. როცა ქრისტეს მეორედ მოსვლაზე ვსაუბრობთ. მრავალს ჯერ ერთხელაც არ მოუსმენია მის შესახებ. რატომ უნდა მოისმინონ სხვებმა სახარება მეორედ, როცა ზოგიერთებს ერთხელაც არ მოუსმენიათ? იმ ხუთიათას კაცში არცერთ ადამიანს არ მიუღია პური მეორედ, ვიდრე მთელმა საზოგადეობამ არ მიიღო პირველად.“

მრავალი ქრისტიანი განიცდის შიშს, იმ ქვეყნებში წასვლაზე სადაც მისიონერს ჯერ ფეხი არ დაუდგამს. უფრო ადვილია ნაცნობ ქვეყანაში დარჩენა. მიუხედავად ამისა, იესომ მოწაფეებს „მთელს ქვეყნიერებაზე“ წასასვლელად მოუწოდა და იმ ახალი ადგილების აღმოჩენა, სადაც ქრისტეს სახელი არასოდეს ყოფილა გაცხადებული. სმითის ხუთი ათასი კაცის დანაყრების რეალური ინტერპრეტაცია არის ჩვენი ევანგელიზაციის მეთოდოლოგიაში გამოწვევა. რატომ იხარჯება თანხები იმ ქვეყნებისათვის სადაც სახარება უკვე ცნობილია? მაშინ როცა, ამ ქვეყნების უმეტესობა ეკლესიების სიმრავლის საშიშროების წინაშე დგას, მაშინ როცა სხვა ერები ბიბლიის საკუთარ ენაზე უქონლობას განიცდიან. შეიძლება თუ არა რომ, შენმა დახმარებამ ცვლილება მოახდინოს და ბალანსი შეცვალოს? შეიძლება თუ არა, რომ შენმა ცხოვრებამ ევანგელიზციის ხვალინდელ ბედზე გავლენა იქონიოს?

> რამეთუ ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.
>
> *იოანე 3:16*

208-ე დღე

ექსტრემალური
მძევალი

ინგლისი: ბილი და ჯონი

ბილმა და ჯონიმ სამხრეთ ინგლისის ნავსადგურში, რუმინული დროშა დაინახეს გემის კიჩოზე. ეს ის დრო იყო, როცა რუმინეთი კომუნიზმის ზეწოლას განიცდიდა.

საუბრიდან გამომდინარე, მიხვდნენ რომ საევანგელიზაციო ადგილის წინაშე იმყოფებოდნენ და გემბანზე ავიდნენ. სასადილო ოთახში შევიდნენ, სადაც გემის სრული ეკიპაჟი იმყოფებოდა, ოცდათხუთმეტი კაცის შემადგენლობით. ბილმა და ჯონმა მასპინძლებს მოსვლის მიზეზი აუხსნეს და რუმინული ბიბლიები ამოიღეს ჩანთიდან. მუშებმა პირადი ინტერესი გამოიჩინეს მომსვლელების მიმართ. მათ უმეტესობას არასოდეს სმენია ღვთისა და მისი ძის, იესოს შესახებ.

ბილმა და ჯონმა შეიტყვეს, რომ მათ საკმარისი რუმინული ბიბლიები არ ჰონდათ, ორმა ზორბა მეზღვაურმა ბილს თავაზიანად, მაგრამ გაბედულად ხელი ჩასჭიდა და სკამზე დასვა. მათ დამტვრეული ინგლისურით ახსნეს, რომ ბილი აქ დარჩებოდა ვიდრე ჯონი ყველა მათგანისათვის ბიბლიებს მოიტანდა.

მძევალი ბიბლიისათვის-ჯონმა აღარ იცოდა ეცინა თუ ეტირა, მაგრამ რუმინელებს მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ ჯონი დაბრუნდებოდა. კომუნისტურ ქვეყანაში პირობის ხშირად გატეხვის გამო აღარავის ენდობოდნენ.

ჯონი ოფისში გაიქცა და ჩანთა რუმინული ბიბლიებით გაავსო. ერთ საათში იგი სასადილო ოთახში დაბრუნდა, სადაც მეზღვაურებმა ბიბლიები დიდი მადლიერებით მიიღეს და „მძევალი“ გაათავისუფლეს.

გაიტანე გარეთ სიტყვა. თქვა იესომ სახარების უწყების შესახებ. როგორც შეგვიძლია, სადაც წავალთ, რასაც ვაკეთებთ, ყველგან ქრისტეს სიტყვის გავრცელებას უნდა ვეწეოდეთ. ჩვენმა ვალდებულებამ შეიძლება პორტში წაგვიყვანოს ან ურწმუნო მეზობლის საუზმის მაგიდაზე. ნებისმიერ სიტუაციაში უნდა ვიყოთ მზად ღვთის სიტყვის იმ ადამიანებისათვის გასაზიარებლად რომლებიც სულიერად იღუპებიან. ხარ თუ არა მოწოდებული ღვთის სიტყვის გარეთ გასატანად? გაქვს თუ არა გაცნობიერებული დროის სიმცირე ამ მისიის შესასრულებლად? ნუ დაკარგავ დროს უქმად, იმაზე ფიქრში, რომ ვიღაც სხვა გააკეთებს ამას შენს ნაცვლად. რისი გაკეთება შეგიძლია დღეს კეთილი უწყების გასავრცელებლად?

ამრიგად, რწმენა-მოსმენისაგან,
ხოლო მოსმენა-ქრისტეს
სიტყვისაგან.

რომაელთა 10:17

209-ე დღე



ვლოცულობთ სუდანის მთავრობისათვის მაგრამ ვმადლობთ კიდეც ღმერთს მისთვის. მადლობა მისი პოლიტიკისა და ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლისათვის- ტერორი, მუქარა, დაპატიმრებები- შეხედეთ როგორ გაიზარდა ეკლესია. შეხედეთ რისი კეთების შესაძლებლობა მოგვცა ღმერთმა აქ ამ ყველაფრის შუაგულში! შეხედეთ რამდენი ადამიანი უბრუნდება ქრისტეს.

სუდანელი ქრისტიანი

210-ე დღე

ექსტრემალური
მბეჭდავი

ჩინეთი: ქეთი ლი

სტუმრები ჩუმად და საიდუმლოდ ეწვივნენ მოხუცებულ ჩინელ ქალბატონს. ფარდის მიღმა გაიყვანეს და ასი მეტრის სიმაღლეზე აცოცდნენ, მაღალ, ბნელ გვირაბში, რომელიც ორ პატარა გამოქვაბულის მსგავს ოთახებამდე მიდოდა.

ერთ-ერთ ოთახში, ცხრამეტიოდე წლის გოგონამ, სახელად ქეთი ლიმ, პატარა პრიმიტიული პრესა გახსნა. რამდენიმე თვის განმავლობაში ქეთი ამ გამოქვაბულში მუშაობდა, არალეგალურ ქრისტიანულ მასალასა და წიგნებს ბეჭდავდა. რომ მიეგნოთ, გოგონა ამის შემდეგ ხალხში ვეღარ გამოჩნდებოდა.

რაც უფრო მეტად იზრდებოდა არალეგალური ლიტერატურის რიცხვი, მით უფრო შესამჩნევი ხდებოდა ეს ფაქტი სახალხო დაცვის ბიუროსათვის, რომელთაც სოფლელების დაკითხვა დაიწყეს. ვინც კი რაიმე იცოდა ამ პრესის შესახებ პოლიციისათვის არანაირი დახმარების სურვილი არ გამოუჩენია.

ბოლოს, გაბრაზებულმა სახალხო დამცველებმა, ყველა სახლი დინამიტით ააფეთქეს, სანამ მოხუცი ქალბატონის სახლში არ მივიდნენ. გამოქვაბული აღმოაჩინეს და საბეჭდი მასალები წაიღეს. თანამშრომელებმა კი მანამდე მოახერხეს უსაფრთხოდ გაქცევა.

ქეთი ლი და მისი თანამშრომელები დღემდე იმალებიან. რომ იპოვონ, დააპატიმრებენ და შესაძლოა სიკვდილითაც კი დასაჯონ. ისინი ვერასოდეს შეძლებენ თავიანთი ოჯახის წევრებისა და მეგობრების ნახვას. მაგრამ ქეთის მოწმება ცოცხალია მის მიერ გამოცემული წიგნებისა და ბროშურების მეშვეობით. დღეს ისინი ათასობით ჩინელ ქრისტიანს ამარაგებენ ლიტერატურით.

საქმე შეიძლება შეწყდეს. შეიძლება გადაადგილდეს. შეიძლება შეაჩერონ. მაგრამ ღვთის სასუფევლის საქმე ყოველდღიურად წინ მიდის. მისი შეჩერება შეუძლებელია. ქრისტემ მოწაფეებისათვის დიდი დავალების მიცემით დაიწყო სასუფევლის საქმე. იმ დღიდან მოყოლებული ღვთის სამეფოს განუწყვეტლივ ემატება ხალხი მიუხედავად წინააღმდეგობებისა. მრავალმა მიატოვა კიდეც სახარება, მაგრამ ისინი დაეცნენ. შეგიჩერებიათ თუ არა თქვენი მსახურება? გამოგიცდიათ თუ არა, რომ უსუსური ხართ გაუთვალისწინებელი დაბრკოლებების წინაშე? გახსოვდეთ, რომ ღმერთს ჯერ არ დაუმთავრებია თქვენთან თანამშრომლობა. სახარებაზე თქვენი გავლენა მანამდე გაგრძელედება, სანამ მისადმი ერთგული დარჩებით.



211-ე დღე

ექსტრემალური „მიღწევა“

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია: ხმონგის ქრისტიანები

ბიბლიების აღმოჩენისათვის, „მათ დანა ჩაარჭვეს ერთ მორწმუნეს ხახაში, მეორეს კი ადუღებული წყალი ჩაასხეს პირში. მთელი ოჯახი გაასახლეს.“

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხმონგის ქრისტიანები შეთანხმდნენ, რომ ვიდეოზე ჩაეწერათ დამოწმება. დასავლელი ქრისტიანების გამხნევების მიზნით.

ერთმა ხმონგელმა ქრისტიანმა გვითხრა: „კომუნისტური მთავრობა მუქარას ხედავს მრავალი ხმონგელის გაქრისტიანებაში. ისინი ქრისტიანებს სცემენ და აიძულებენ ბოროტი სულის მსახურებას დაუბრუნდნენ.“

„ადგილობრივი პოლიცია გვიკრძალავს ქრისტიანად გახდომას. ისინი ციხეში ჩასმითა და მოკვლითაც კი გვემუქრებიან,“ დაამატა ქალმა. „მაგრამ თუ ქრისტეს გულისათვის სიკვდილი გვემუქრება, მზად ვართ ამის გასაკეთებლად.“

ეს მორწმუნეები საკუთარ თავს უფრო დიდი საშიშროების წინაშე აყენებენ იმისათვის, რომ მსოფლიომ შეიტყოს დევნაში მათი მტკიცედ დგომის შესახებ. ხმონგი ყველაზე დიდი ტომია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ყველაზე მეტად განიცდის ქრისტიანების ზრდას. ამასთან ერთად, ისინი ყველა ტომზე მეტად განიცდიან ქრისტიანების დევნას.

სხვა ქალბატონმა თქვა, „ვმადლობ ღმერთს, რომ ძლიერნი ვართ. დარწმუნებული ვარ, რომ დევნა ქრისტეში ჩვენი რწმენის გამოცდას ემსახურება. იგი ამჟღავნებს ხასიათს. მას ერთნაირად გამოაქვს გარეთ ოქრო და ვერცხლი. ილოცეთ, რომ ბოლომდე ერთგულები დავრჩეთ.“

რკინა ცეცხლით გამოიწრთობა-ექსტრემალურ ტემპერატურაში გავლით, ამუშვებენ და აცივებენ, შემდეგ ეს პროცესი რამდენჯერმე მეორდება, გაცხელებასა და დამუშავებას ჭუჭყი გარეთ გამოაქვს, გაცივების შედეგად კი მისი მოხრა შესაძლებელი ხდება. ანალოგიური პროცესი აძლიერებს ჩვენს რწმენას. როცა სხვებისაგან სიძულვილითა ვართ გაცხელებული, დევნისაგან დამუშავებული და ვგრილდებით ღვთის თანდასწრებისაგან დარწმუნებულები, ჩვენი ჭუჭყი გარეთ გამოდის და ჩვენი რწმენა ძლიერდება. განგიცდია თუ არა წრთობის პროცესი შენს ცხოვრებაში? ნუ იტყვი უარს ასეთ პროცესზე. ისწავლე შენი ხმონგელი და-ძმებისაგან. შენმა მტერმა არ იცის რომ მათი სიძულვილისაგან ძლიერდები.

> რათა გამოჩნდეს, თქვენი გამოცდილი რწმენა, ხრწნად ოქროზე ძვირფასი, რომელიც ცეცხლში იცდება, ქების, პატივისა და დიდებისათვის იესო ქრისტეს გამოცხადებისას.
>
> *1 პეტრე 1:7*

212-ე დღე

ექსტრემალური

უფრო მეტი კონტრაბანდისტები

აღმოსავლეთ ევროპა: მიხეილი

მიხეილის ფოლკსვაგენი ნელა მიუახლოვდა ჩეხეთის საზღვარს. აღელვებულმა მოკლე ლოცვა ჩაიჩურჩულა, „ძვირფასო იესო, გთხოვ, რომ დაიცვა შენი სიტყვა, რომ ვერ აღმოაჩინონ და არ ჩამომართვას ის, სასაზღვრო დაცვამ.“

დაცვამ მკაცრი ტონით უბრძნა მიხეილს მანქანიდან გადმოსვლა და შეკითხვები დააყარა: „რა მიზეზით მოდიხართ ჩვენს ქვეყანაში? ესტუმრებით თუ არა აქ ვინმეს? თუ კი, ვის? გაქვთ თუ არა იარაღი?“

მიხეილმა ფრთხილად უპასუხა ამ შეკითვებს, მაგრამ გულმა სწრაფად ცემა დაუწყო, რადგან დაინახა, რომ დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი მისი მანქანის ყველა სკამს ამოწმებდა. მიხეილი დაიღალა ამდენხანს დგომით. მისი პასუხებით კმაყოფილმა დაცვამ ქვეყანაში შესვლის ნება დართა, მისი ძვირფასი საქონელი წარმატებით იქნა დამალული.

წლების განმავლობაში, ეს მამაცი კურიერი კონტრაბანდის გადატანას ეწეოდა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებში, მისი საიდუმლო ჭურჭელი ვერასოდეს აღმოაჩინეს. მიხეილი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ხოლო არაჩვეულებრივი მიზანი საკმაოდ გამომწვევი. მას არც ფეხები ჰქონდა-თითქმის თეძოებამადე იყო ამპუტირებული-მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მისი ფიზიკური ნაკლი ამ საქმეში ხელისშემშლელი არ ყოფილიყო.

პავლე მოციქულის მსგავსად, მიხეილმა იცოდა, რომ ქრისტეს ძალა სრულყოფილს გახდიდა მის ფიზიკურ ნაკლს. მეტალის კიდურების ჩასმის შემდეგ, ცარიელ ადგილში ბიბლიას დებდა და ერთი სული ჰქონდა როდის დაიწყებდა მოგზაურობას.

როცა საქმე მსახურებისათვის თანამშრომლობაზე მიდგება ღმერთი თანაბარ შესაძლებლობას აძლევს ყველას. მიხეილის პიროვნული შესაძლებლობები შეზღუდული იყო, ამავდროულად ეს იყო დიდებული გზა ღვთის შემოქმედებით საქმიანობაში. ყოველი პასუხისმგებლობა შეიძლება გარდაიქმნას უნიკალურ მსახურებად. მაგალითად, განქორწინებულ ადამიანებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ ადამიანებს, რისი გაკეთებაც სხვებს არ შეუძლიათ. რას ფიქრობთ, რა პრობლემა გაფერხებთ ღვთის სასუფევლის მსახურებაში? იფიქრეთ ამის შესახებ ღვთის პერსპექტივიდან. შემდეგ შესთავაზეთ იგი ღმერთს და ნახეთ როგორ გამოიყენოს ღმერთმა იგი თავისი დიდებისა და თქვენი სარგებლისათვის.

მაგრამ ეს განძი ჩვენ გვაქვს თიხის
ჭურჭლებში, რათა გადამეტებული
ძლიერება ღვთისაგან იყოს
და არა ჩვენგან.

2 კორინთელთა 4:7

213-ე დღე

ექსტრემალური
მეტი საგანძური

ტაჯიკეთი: გრეის სანმინის თემი

კვირა დღე იყო და გრეის სანმინის ეკლესიის თემი დუშამბეში, ტაჯიკეთში, საკვირაო მსახურებისათვის შეკრებილიყო. თუმცა ახლა მათი ქვეყანა თავისუფალი იყო კომუნისტური მჩაგვრელი მმართველობისაგან, რადიკალი მუსულმანები მაინც აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიანობას. ძალადობამ ერთი ტერორისტული ძალიდან მეორეს ხელში გადაინაცვლა.

სტუმარი ხუცესი ქადაგებას ამთავრებდა, რომ ეკლესიის უკანა მხრიდან, ხმამაღალმა აფეთქებამ შენობა შეაზანზარა. ბომბი. ერთ წუთში, მორწმუნეები ღვთისმსახურებიდან შეშინებულები გარბოდნენ სიცოცხლის გადასარჩენად. ჰოლიდან გაქცევას ლამობდნენ, მაგრამ მეორე ბომბი აფეთქდა მათ წინ. დასისხლიანებული და დაჭრილები ირგვლივ იყვნენ მიმოფანტულნი ეკლესიაში, რომელსაც ადრე „ტაძარს“ უწოდებდნენ.

ასაკიანი ქალბატონი იატაკზე იწვა და განძრევა არ შეეძლო. ბიბლია, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ სწავლობდა მსახურებაზე მის გვერდით ეგდო, თავისი სისხლით დასვრილი. ბიბლია იმ გვერდზე იყო გადაშლილი სადაც მას ეკლესიაში მომხდარ თავდასხმამდე ცოტა ხნის წინ, სამი მუხლი შემოეხაზა. „მაგრამ ეს განძი ჩვენ გვაქვს თიხის ჭურჭლებში, რათა გადამეტებული ძლიერება ღვთისაგან იყოს და არა ჩვენგან.

ყველაფერში შევიწროვებულნი ვართ, მაგრამ არა ვართ დათრგუნულნი. შეწუხებულნი ვართ, მაგრამ არა სასოწარკვეთილნი. დევნილნი ვართ, მაგრამ არა მიტოვებულნი. გადაყრილნი ვართ, მაგრამ არა დაღუპულნი.“(2 კორინთელთა 4:7-9).

რადიკალი მუსულმანები ფიქრობენ, რომ თავისუფლად შეიძლება უცოდველი ხალხის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება. მაგრამ მორწმუნეების სიკვდილი ისე ანათებს, როგორც ღვთის ერთგულების მოწმობის სამკაული. მტერს შეიძლება მოხუცი ქალბატონის სხეული გაენადგურებინა-მისი „თიხის ჭურჭელი“-მაგრამ მისი შინაგანი საგანძური თავდასხმიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოაშკარავდა, მისი სულის ზეცაში ამაღლებისას. ახლა უფრო მოველით მტრის ხელით ჩვენს მოულოდნელ სიკვდილს. მიუხედავად ამისა არ უნდა გეშინოდეს სიკვდილის. ყველაზე მეტი, რისი გაკეთებაც ჩვენს მტერს შეუძლია ეს არის ჩვენი მომაკვდავი სხეულის მოკვდინება. თუმცა შეგიძლია ინუგეშო გული, რომ შენი სულის ნამდვილ საგანძურს ვერ შეეხებიან.

და მუდამ სხეულში ვატარებთ
უფალ იესოს სიკვდილს, რათა
იესოს სიცოცხლეც ჩვენს
სხეულში გამოჩნდეს. ვინაიდან
ჩვენ, ცოცხლები, მუდამ
ვეძლევით სიკვდილს იესოსთვის,
რათა იესოს სიცოცხლეც ჩვენს
მოკვდავ სხეულში გამოჩნდეს.

2 კორინთელთა 4:10-11

214-ე დღე

ექსტრემალური
დასაწყისი

შეერთებული შტატები: რიჩარდ და საბინა ვურმბრანდები

1967 წლის შემოდგომის ლამაზ დღეს, ცოლ-ქმარი ძველ საბეჭდ მანქანასთან იჯდა თავისი ახალი სახლის პატარა სამზარეულოში-ამერიკის შეერთებულ შტატებში. არც ისე დიდი ხნის წინ ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი რუმინეთის ციხის ბნელ, ცივ საკანში იჯდა იატაკქვეშა ეკლესიაში მსახურებისათვის. მისი მეუღლე, საბინა, კი მუშათა საკონცენტრაციო ბანაკში იყო გაგზავნილი.

ცოლ-ქმარი ახლა ღვთისაგან მიცემულ უწყებაზე ფიქრობდნენ. მათ სურდათ დევნილი ქრისტიანების მიერ კომუნისტურ ქვეყნებში განცდილი ტანჯვებისა და წარმატებების გაზიარება. ცოლ-ქმარს რუმინეთის საიდუმლო პოლიცია ემუქრებოდა კომუნისტების წინააღმდეგ საუბრის შემთხვევაში, მაგრამ დაშინებამ ვერ შეაჩერა ისინი. იძულებულები გახდნენ ხმა ამოეღოთ ქრისტეს წამებული სხეულისათვის-ხმა, რომელიც მრავალი ადამიანის მიერ იქნა დავიწყებული თავისუფალ ქვეყნებში.

სიტყვები წყალივით მოედინებოდა ფურცლებზე და მალე წამებულთა ხმის ყოველკვირეული წერილების ახალი ამბების პირველი გამოცემა გამოქვეყნდა. მათ მხოლოდ ასი დოლარით დაიწყეს ეს საქმე და რამოდენიმე ასეული ქრისტიანი ადამიანის სახელითა და მისამართით, რომელნიც მზად იყვნენ მათ დასახმარებლად.

ხედვა, რომელიც ციხის განმარტოვებულ საკანში დაიბადა, ახლა მსოფლიო მასშტაბის ორგანიზაციად გადაიქცა და დევნილი ეკლესიების მსახურებას ეძღვნება. მას შემდეგ მილიონობით წამებულთა ხმის ახალი ამბების წერილები ვრცელდება მსოფლიოს გარშემო, რამდენიმე ათეულ ენაზე.

დაიწყე საიდანღაც. დაიწყე საიდანაც ღვთისმსახურების კარგი იდეები იწყება ყოველთვის. ქრისტესადმი მსახურებისათვის მნიშვნელობა არა აქვს საიდან და როგორ დაიწყებ-ოღონდ დაიწყე. მრავალი ადამიანი ცდილობს გადადოს ოცნების განხორციელებისათვის ზრუნვა დაწყების ნაცვლად. საკუთარ თავს ვეუბნებით, რომ ერთ დღეს ქრისტეს მსახურებას შევუდგებით: როცა ბავშვები გაიზრდებიან და სახლიდან წავლენ; როცა გადასახადების გადახდას მოვრჩებით და მეათედის გაღების საშუალება გვექნება. ყოველთვის ვეუბნებით საკუთარ თავს, რომ ქრისტეს მსახურებას დავიწყებთ რაიმე საქმის დასასრულის შემდეგ, ამასობაში კი ვკარგავთ მსახურებისადმი მოწოდებას. რის საკეთებლად მოგიწოდებს დღეს შენ ღმერთი? არა როდის მოგვიწოდებს ამის დასაწყებად, არამედ რის გაკეთება სურს მას? რას აკეთებ ამჟამად მისი მოწოდების შესასრულებლად?

სიბრძნით მოიქეცით გარეშეთა
მიმართ და მოივაჭრეთ ჟამი.

კოლოსელთა 4:5

215-ე დღე

ექსტრემალური
ვაჟი

საბერძნეთი: ტიმოთე

თუმცა ტიმოთე ახალგაზრდა იყო, პავლე მას ყველასათვის სამაგალითო ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა. ტიმოთემ დაამოწმა, რომ მას შეეძლო ამ მოწოდების ღირსად ცხოვრება.

ტიმოთე იყო ლუსტრადან, იმ ერთ-ერთი ქალაქიდან, რომელსაც პავლე პირველად ეწვია სამისიონერო მიზნით. ტიმოთეს მამა ბერძენი იყო, მისი დედა და ბებია კი ებრაელები, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს ახალგაზრდა ტიმოთეზე. სინამდვილეში, ბიბლია ამბობს, რომ ისინი პავლეს მაგალითნი იყვნენ რწმენაში. პავლეს შენიშნული უნდა ჰქონოდა ტიმოთეს ძლიერ მორწმუნედ ჩამოყალიბების შესაძლებლობა. როცა პავლე მეორედ ეწვია ქალაქს, სილასა და ლუკასთან ერთად, მათ ტიმოთეც შეუერთდათ მაკედონიაში გასამგზავრებლად.

პავლე ტიმოთეს თავისი რწმენის შვილად მიიჩნევდა. როცა ეფესელთა ეკლესიას ხუცესი სჭირდებოდა, პავლემ ტიმოთე დატოვა იმ ქალაქში მორწმუნეების სწავლებისა და გამხნევებისათვის. ტიმოთე პავლეს ცხოვრებასა და მსახურებას იზიარებდა. შეიძლება ტიმოთე პავლესთან ერთად იყო მისი სიკვდილით დასჯის დღეს, რადგან პავლემ სთხოვა საბოლოოდ სტუმრებოდა.

პავლეს სიკვდილის შემდეგ, ტიმოთე ეფესოში დაბრუნდა იქაური ეკლესიის სახელმძღვანელოდ. იგი კიცხავდა კერპთმსახურებას, რამაც ეფესოს მრავალ მკვიდრს სიმდიდრე მოუტანა. დომიციანეს მიერ ქრისტიანების მეორე ლეგალურმა დევნამ გაბედულება მიანიჭა კერპთაყვანისმცემლებს. ტიმოთე დაახლოებით ჩვ.წ.აღ-ის 98 წელს ჩაქოლეს-სიკვდილამდე ერთგული, როგორი შეხედულებაც ჰქონდა პავლეს მასზე.

არავინ არ მოელის და არც არავის მოუწოდებენ ქრისტიანული ცხოვრებით მარტო ცხოვრებას. სინამდვილეში, ამის გაკეთება შეუძლებელიცაა. როგორც პავლემ აღზარდა ტიმოთე, ასევე ჩვენც გვჭირდება, რომ ვიღაცამ გზა გვასწავლოს და ჩვენი პოტენციალის სჯეროდეს, რათა ქრისტეს სასარგებლოდ მოვახდინოთ ცვლილება. ჩვენ სხვების ყურებით ვიზრდებით, რომლებიც სამაგალითო ცხოვრებას ეწევიან ჩვენს ეკლესიაში, ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს ოჯახებში და სკოლებში. როგორც კი ჩვენი გავლენის სფეროში ვიწყებთ მსახურებას, გულშემატკივარი გვჭირდება, ვინც გაგვამხნევებს ჩვენი მიზნისაკენ მავალს. ვინ არის შენი მაგალითი რწმენაში? ვინ არის პასუხისმგებელი, რომ გასწავლოს როგორ იცხოვრო ქრისტესათვის? ეს შეიძლება იყოს შენი ოჯახის წევრი, მეგობარი, ხუცესი. მადლობდე ღმერთს მათი გავლენისათვის შენს ცხოვრებაში.

შენ კი იდექი იმაზე, რაც
გისწავლია და რაც გირწმუნია,
ვინაიდან იცი, ვისგან გისწავლია.

2 ტომოთეს 3:14

216-ე დღე



დარწმუნებული ვარ, რომ
ღმერთი თავისი სიბრძნით, ყოველ
თაობაში უშვებს წამებას, რადგან
მათ გარეშე, ჩვენთვის ქრისტეს
სიკვდილის რეალობა
ბუნდოვანი გახდებოდა...
როცა წამებულებს ვუყურებთ,
ნისლი-რომელიც ხანდახან
სუდარას აფარებს პირველი
საუკუნის გოლგოთას,
გამქრალია და ვხედავთ...
ჯვარზე მილურსმულ უფალს.

მარკ გალი

217-ე დღე

ექსტრემალური სახეები

რუმინეთი: პატიმარი ხუცესი

„საკვირველია როგორ შეგიძლია დაინახო ქრისტე მორწმუნე ადამიანების სახეებზე. მათი სახეები ანათებს და დიდი მიღწევა იყო მორწმუნე ადამიანის სახეზე ღვთის დიდების გამონათება კომუნისტურ ციხეში. ჩვენ არ გვქონდა დაბანის საშუალება სამი წლის მანძილზე, მაგრამ ღვთის დიდება ჭუჭყიანი სახის მიღმაც ანათებდა. და მათ ყოველთვის გამარჯვებულის ღიმილი ჰქონდათ სახეებზე," წერდა პატიმარი ხუცესი.

„მე ვიცნობ სხვა ქრისტიანებს, რომლებიც ჩემსავეთ გაათავისუფლეს კომუნისტური ციხიდან. სხვების მსგავსად, მეც მაჩერებდნენ ქუჩაში და მეკითხეებოდნენ, 'ბატონო, რა არის შენში? ბედნიერი ადამიანივით გამოიყურებით. რა არის თქვენი ბედნიერების წყარო?' მათ ვეუბნებოდი, რომ ეს ბედნიერება მოდის კომუნისტურ ციხეში ჩემი მხსნელის გამო მრავალწლიანი ტანჯვისაგან.

„მათ ამის გაგება არ შეეძლოთ, რადგან ვერ სწვდებოდნენ საკუთარი ცხოვრების მიღმა არსებულ სირთულეს. მათ არ უსწავლიათ სულით სიარული და ღვთის თანდასწრების განცდა. მრავალი იფიქრებდა, 'თქვენ რომ ჩემი ცხოვრება იცოდეთ-ქმარი, რომელიც მბეგვავს, ცოლი, რომლის შარიდანაც ვერ ამოვსულვარ და შვილები რომელთაგანაც გული მაქვს გატეხილი.' ძალიან ბევრი ამქვეყნიური სირთულე და ქარიშხალია შენს სულში. მაგრამ მერე რა? როგორ უნდა შევადაროთ ეს ყველაფერი იესოს სიხარულს?"

არავის არ შეუძლია იმის წართმევა, რასაც იესო გვაძლევს. ის გვაძლევს სულიწმიდის სიხარულს. შეიძლება ჩვენი მდგომარეობა დამძიმდეს, მაგრამ ჩვენი სიხარული მაინც გაანათებს. კომუნისტური ციხის სამწლიან ჭუჭყსაც კი არ შესწევს ქრისტიანული სიხარულის შენიღბვის ძალა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უბედურებები გვახარებს. ჩვენ არ გვიხარია მწუხარება. თუმცა მაინც სიხარულში ვრჩებით ქრისტესათვის. დაკარგული გაქვს თუ არა სიხარულის განცდა? გააცნობიერე, რომ არავის არ შეუძლია სიხარულის წართმევა. თუ ამის ნაკლებობას განიცდი შენს ცხოვრებაში, ეს იმიტომ რომ შენი ნებით დათმე სიხარული შენი მდგომარეობის გამო. სთხოვე ღმერთს აღგიდგინოს სიხარული დღეს.

კვლავ გიხილავთ და გაიხარებს
თქვენი გული, და თქვენს
სიხარულს ვეღარავინ
წაგართმევთ.

იოანე 16:22

218-ე დღე

ექსტრემალური
განკურნება

პაკისტანი: ასიფი

ასიფს ფეხი მოტყდა საავტომობილო შემთხვევისას, პაკისტანის ქუჩაში. ტკივილისას ხელი შეიგრძნო ფეხზე. მან აიხედა და ქალი ლოცულობდა იესოს სახელით მისი განკურნებისათვის. ასიფი გაბრაზდა, რადგან თვითონ მუსულმანი იყო. შემდეგ უცნაურმა ენერგიამ დაუარა მთელს სხეულში. ფეხი გამრთელდა და ძვალი თავის ადგილზე ჩადგა. ასე გასინჯეთ, რომ სახლში ფეხით წავიდა შემთხვევის ადგილიდან.

ძალიან უნდოდა მეტი გაეგო „იესოს“ შესახებ, ვინც განკურნა იგი. მან იესოს სხვა სასწაულების შესახებაც წაიკითხა ბიბლიაში, რომელიც მლოცველმა ქალმა მისცა. ასიფი თავისი შეკითხვებით მივიდა მულასთან (რელიგიურ წინამძღოლთან) მეჩეთში. „რატომ ლაპარაკობ ქრისტეს შესახებ?“ ჩაიცინა მულამ.

„როგორ არ უნდა დავინტერესებულიყავი მისით?“ იკითხა ასიფმა. „მან განმკურნა.“

მულამ და მეჩეთში მყოფებმა ასიფი აიძულეს საწამლავი დაელია, რადგან თუ ქრისტეს მიღებამდე მოკვდებოდა კიდევ შეძლებდა სამოთხეში მოხვედრას. როგორღაც ასიფმა გაიღვიძა და იესოს მოუხმო.

უცბად, ნათელმა შუქმა მოიცვა ოთახი. ასიფი პირობას დებდა, „ეს სიცოცხლე შენთვის მომიცია. რამდენ ხანსაც ამ დედამიწაზე ვიცოცხლებ, მხოლოდ შენთვის ვიშრომებ.“

იმ დროიდან მოყოლებული, ასიფის ოჯახმა იგი უარყო, და გამუდმებით ცემენ, რადგან უარს ამბობს თავისი ახალი მეგობრის, იესო ქრისტეს შესახებ ხალხისათვის გაზიარების შეწყვეტაზე.

ხანდახან საჭიროა ღვთის რწმენამდე მისი ძალის შეგრძნება. სინამდვილეში, მრავალ ურწმუნო ადამიანს ურჩევნია რელიგიაზე შორიდან საუბარი, ვიდრე პირადად მისი განცდა. არავის არ შეუძლია პიროვნული გამოცდილების განსჯა. ინდივიდი არის ამ პრობლემის ექსპერტი. ღმერთთან შეხვედრა არის მისი ძალის წყარო. ზოგიერთები ამას გალობით პასუხობენ. დანარჩენებმა უარი თქვეს მის ძალაზე და დაიტანჯნენ კიდეც მისი უარყოფის შედეგებით. ნებისმიერ შემთხვევაში, პიროვნება ვეღარასოდეს ვერ იქნება ისეთივე, როგორიც იყო ღმერთთან შეხვედრის შემდეგ. თითქოს ამით ღმერთი ადამიანის დაეჭვებულ გულს დარწმუნებით ეუბნება, „მე მართალი ვარ. შეეგუე ამას.“ როგორ დაგანახა ღმერთმა, რომ ის ნამდვილია? ვის შეგიძლია გაუზიარო შენი გამოცდილება?

ყურმოკვრით მქონდა გაგონილი
შენზე, ახლა კი ჩემმა
თვალმა გიხილა შენ.

იობი 42:5

219-ე დღე

ექსტრემალური
ბუშტები

ჩრდილო კორეა: წამებულთა ხმა

„ბებია, ნახე რა ვიპოვე!“ გახარებული იყო ჩრდილო კორეელი გოგონა. ხელში ისეთი საგანი ეჭირა, რომელიც აქამდე არასოდეს ენახა. ბებია დააკვირდა მაგრამ ვერ გაარჩია საგნის დეტალები. და გოგონას დედას დაუძახა. „მოდი და ნახე რა იპოვა ამ ბავშვმა.“

მოხუცის ქალიშვილი ოთახში შევიდა და დედამისის დანაოჭებული ხელიდან საგანი აიღო. ქალიშვილმა კარგად გაკეთებული ბუშტიდან დაბეჭდილი სიტყვების კითხვა დაიწყო. „უფალ იესოს უყვარხარ. თქვენს და-ძმებს არ დავიწყებიხართ. რამეთუ ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე.“

ბებიამ წამოიძახა, „ეს წმინდა წერილია! მათ ბიბლიის მუხლები ბუშტით გამოგვიგზავნეს! გააგრძელე კითხვა, გთხოვ.“

რეზინის ბუშტი ჩრდილო კორეელების სამი თაობის გამამხნევებელ სიტყვებს შეიცავდა. ეს ცნობა იყო დასავლელი ქრისტიანებისაგან და ექვსასზე მეტი ბიბლიის მუხლი დაბადებიდან დაწყებული, ჯვარზე სიკვდილამდე და იესო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. ბოლო ათწლეულებში, ასი ათასზე მეტი ასეთი „წერილისეული ბუშტი“ იქნა გაშვებული ჩრდილო კორეაში.

წამებულთა ხმის თანამშრომელებმა არაჩვეულებრივი გზა იპოვეს ჩრდილო კორეის ჩაგრულ ხალხებთან სახარებისეული ღვთის სიტყვის მისატანად. ფსალმუნი 18:1 ამბობს, „ცანი ღაღადებენ უფლის დიდებას, და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო.“

ამ ისტორიაში მონათხრობი ბუშტის მსგავსად, ღმერთს სურს ჩვენი გული და გონება მოიცვას წერილისეული გამამხნევებელი სიტყვებით, მაშინ როცა ყველაზე მეტად გვჭირდება. ღმერთი წაკითხვის გარეშე არ მოგიტანს სიტყვებს. ირონიულია, რომ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ისე ვიქცევით თითქოს ჩრდილო კორეელებივით გვეკრძალებოდეს ღვთის სიტყვის კითხვა. ბიბლიას ისე იშვიათად ვკითხულობთ- თითქოს არ გვქონდეს. ალბათ დადგა დრო, ღმერთს ვთხოვოთ რომ „მოაცუროს“ ღვთის სიტყვა შენი დახურული გონების საზღვართან. ყოველდღიურად გამოყავი დრო შენს განრიგში ბიბლიის კითხვისათვის და სთხოვე მას განგიახლოს მისი სიტყვის კითხვის სურვილი.

მთელი წერილი ღვთივსულიერია
და სასარგებლოა
სასწავლებლად, სამხილებლად,
გამოსასწორებლად,
დასარიგებლად სიმართლეში.
რათა სრულყოფილი იყოს
ღვთის კაცი, ყოველი კეთილი
საქმისათვის გამზადებული.

2 ტიმოთე 3:16-17

220-ე დღე

ექსტრემალური ჭეშმარიტება

პაკისტანი: ნადია ნაირა მასიჰ

თხუთმეტი წლის ნადია ნაირა მასიჰი მიძღვნილი ქრისტიანია. როცა სახლში ცხოვრობდა, ყოველ დილით ადრე ლოცულობდა და ბიბლიას კითხულობდა. ნადია 2001 წლიდან მშობლებს თვალით აღარ უნახავთ, ისინი ფიქრობენ, რომ იგი ტყვეობაშიც აგრძელებს ლოცვასა და კითხვას.

მუსულმანმა მასუდ აჰმედმა ნადია მოიტაცა. მასუდის დედა, ნადიას ოჯახის მეგობარი, დაეხმარა ვაჟს ნადიას სახლიდან გამოტყუებაში, სადაც ძალით ჩასვეს მანქანაში მასუდთან, მის ორ ძმასთან და მეგობართან, რომლებიც ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. მას შემდეგ გოგონა აღარავის უნახავას.

პაკისტანში პატარა ბავშვების მოტაცება იშვიათია, მაგრამ პაკისტანის პოლიციისათვის ამ საქმის განსახილველი სხვა გზაც არსებობს, როცა დანაშაული ქრისტიანების წინააღმდეგ არის ჩადენილი, განსაკუთრებით ქრთამის შეთავაზებისას. ასეთია ნადიას გატაცების სიტუაცია და ადგილობრივი პოლიცია ძალისხმევას არ იჩენს გამოძიების წინსვლის საქმეში.

ნადიას სახლში მისი მასუდზე ქორწინების სერთიფიკატი მოიტანეს. სერთიფიკატში ეწერა, რომ ქორწინება ნებით შედგა და ნადია ქრისტიანული რწმენიდან მუსულმანობაზე გადავიდა. თუმცა ნადია თინეიჯერია. ნადიას მშობლები არაფერს ამბობენ მასუდზე, მიუხედავად სიბრაზისა და დანაკარგისა. სჯერათ, რომ ღმერთი საკმარისად ძლიერია იმის გასაკეთებლად, რაც საჭიროა მათი შვილის სახლში დასაბრუნებლად.

ნდობა არის ისეთი რამ, რომლის გაგებაც ადამიანს სრულად არ შეუძლია თუ თვითონ არ გააჩნია. ნადიას მშობლებმა იციან რას ნიშნავს ნდობა. არა მხოლოდ სჯერათ, რომ ნადია ერთ დღეს აუცილებლად დაბრუნდება. არამედ, ის რომ ღმერთს შეუძლია მისი მშვიდობით დაბრუნება. განსხვავება ძალიან დიდია. თუ მხოლოდ ერთი საკითხისადმი ექნებოდათ დაჯერებულობა, მათი რწმენა შეირყეოდა ასე რომ არ მომხდარიყო. მაგრამ მათ არჩიეს ღვთის უცვლელი ძალისა და შესაძლებლობისადმი ნდობა მათი რწმენის სისრულეში მოსაყვანად. თუ ღმერთი დაუშვებს, რომ ნადია არ დაბრუნდეს, მათ მაინც ღმერთის იმედი ექნებათ. ღმერთს მხოლოდ შედეგის მისაღწევად ენდობი? თუ მიუხედავად ნებისმიერი მდგომარეობისა მაინც ენდობი?

ჩვენს ღმერთს, რომელსაც
ვემსახურებით, შესწევს ძალა,
რომ შენი ხელიდანაც გვიხსნას,
მეფეო! თუ არა და, იცოდე, მეფეო
ჩვენ მაინც არ ვემსახურებით შენს
ღმერთებს და თაყვანს არ ვცემთ იმ
ოქროს კერპებს, შენ რომ აღმართე.

დანიელი 3:17-18

221-ე დღე

ექსტრემალური
დარწმუნება

რომი: ჯასტინი

„თუ გაგამათრახებენ ან თავს მოგჭრიან როგორც კრიმინალს, გჯერა რომ მაინც სამოთხეში მოხვდები?“ იკითხა რუსტიკუსმა, ქალაქის ოფიციალურმა პირმა.

„მჯერა, რომ თუ ამას ავიტან, ყველაფერი მომეცემა რასაც ქრისტე დამპირდა,“ თქვა ჯასტინმა. „რადგან ვიცი, რომ მისი სიცოცხლის საჩუქარი რჩება მათში რომლებიც ღმერთში რჩებიან.“

„ფიქრობ, რომ იქ ჯილდოს მიიღებ?“

„კი არ ვფიქრობ; ვიცი და დარწმუნებული ვარ ამაში.“

რუსტიკუსი მოუთმენლობისაგან დაჯდა. „ღმერთებისათვის შესაწირის გაღებას უნდა დათანხმდე.“

ჯასტინი გაუნძრევლად იჯდა. „სწორი აზროვნების ადამიანი არ გაცვლის ღმერთთან ურთიერთობას ულმერთოებთან შეერთებით.“

რუსტიკუსმა საკმარისი მოისმინა. „თუ არ დაემორჩილები, უმოწყალოდ დაგსჯით.“

„ვიცი, რომ თუ მისი მოწმობისათვის მოვკვდები არ უნდა მეშინოდეს. მე მოვკვდები ჩვენი მხსნელისა და ქრისტეს რწმენისათვის.“ უპასუხა ჯასტინმა.

ჯასტინთან ერთად მყოფებმა კი უპასუხეს, „გვიყავით რაც გენებოთ, რადგან ქრისტიანები ვართ და არ მივუძღვნით შესაწირავს კერპებს.“

რუსტიკუსმა იმ ქრისტიანების სასჯელი გამოაცხადა, რომელთაც მისი მოთხოვნა უარყვეს. „ამ ხალხს, რომელთაც უარყვეს ღმერთებისათვის მსხვერპლთშეწირვა და არ ემორჩილებიან იმპერატორის ბრძანებებს, გაამათრახებენ და თავს მოჭრიან კანონის შესაბამისად.“

როცა ჯასტინმა ჯალათებს უთხრა, „თქვენ შეიძლება მოგვკლათ, მაგრამ არ შეგიძლიათ ნამდვილი ტკივილის მოყენება,“ იყო თუ არა ეს გიჟი ადამიანის სიტყვები? შეშინებული ხომ არ იყო საკუთარ სიკვდილში დარწმუნებული? არა, იგი მხოლოდ ერთ საკითხში იყო დარწმუნებული: იესო ქრისტეს საუკუნო სიცოცხლის საჩუქარში. როცა ის ამ დედამიწაზე ცხოვრების ბოლოს მიუახლოვდა, ჯასტინი თითქმის ხედავდა საკუთარი ცხოვრების სილამაზეს ზეციურ სახლში. ამ დედამიწაზე შენი სიცოცხლის დაკარგვა უფრო გაშინებს თუ საუკუნო ზეციური ცხოვრების დაკარგვა? სიკვდილში აღარ არის ეჭვის დრო. გადაჭერი პრობლემა ვიდრე ცოცხალი და ჯანმრთელი ხარ. მიიღე ღვთის საუკუნო სიცოცხლის საჩუქარი იესო ქრისტესთან ურთიერთობის მეშვეობით.

ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავენ, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ. უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია გეენაში და სხეულისაც.

მათე 10:28

222-ე დღე

ექსტრემალური

ავტორი

ინგლისი: ჯონ ფოქსი

ჯონ ფოქსი, მაგდალენის კოლეჯის ახალგაზრდა მასწავლებელი, ლოცვაში ითხოვდა, „ისინი საკუთარ თავს შენს მღვდლებსა და მსახურებს უწოდებენ, მაგრამ ისინი საკუთარ თავსა და პოლიტიკურ ძალას ემსახურებიან. დაეხმარე მათ გაიგონ, რომ არ არის სხვა შუამდგომელი საჭირო ღმერთსა და ადამიანს შორის, გარდა იესო ქრისტესი და მისი სიტყვისა.“

ვიღაცამ ეს ლოცვა მოისმინა და სასწრაფოდ აცნობა კოლეჯის ადმინისტრაციას. მათ ბრალი დასდეს მთავრობისა და სახელმწიფო ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ რწმენაში. მან არ უარყო ეს აღიარება, რისთვისაც საბჭომ უნივერსიტეტიდან გარიცხა.

ამის გამო ჯონი დიდ სირთულეებს აწყდებოდა და მასწავლებლის ადგილს ვერ შოულობდა. ერთ დღეს, შიმშილისაგან დაღლილი, ეკლესიაში იჯდა და ლოცულობდა. კაცი, რომელსაც ჯონი არასოდეს შეხვედრია მოულოდნელად მივიდა მასთან და ხელში ფულის დასტა ჩაუდო. „გამხნევდი,“ თქვა მან. „რამდენიმე დღეში ახალი სამსახური გამოგიჩნდება.“ რამდენიმე დღის შემდეგ იგი კერძო მასწავლებლად დაიქირავეს.

ჰენრი მერვეს მეფობის დროს, ჯონისნაირ ქრისტიანებს წყალობდნენ. როცა სათავეში მერი პირველი მოვიდა, მან ყველა სახელმწიფო რელიგიის მოწინააღმდეგე სიკვდილით დასაჯა. სამასი ადამიანი მოკვდა მისი ხუთწლიანი მმართველობის განმავლობაში. ჯონი და მისი ფეხმძიმე მეუღლე ბელგიაში გაიქცნენ ინგლისიდან, ძლივს დააღწიეს თავი საშინელებას.

რწმენის გამო მოკლული ადამიანების დაცვის მიზნით, ჯონმა წამებულთა ცხოვრების შესახებ წიგნი დაწერა.

ერთია კითხულობდე დევნის შესახებ და სხვა არის მისი განცდა. ანალოგიურად, მრავალი ადამიანი კითხულობს მიძღვნილი ქრისტიანების ცხოვრებას და აღფრთოვანებულნი არიან მათი მხნეობით. მაგრამ მათ არ განუცდიათ ეს რწმენა, რომ საკუთარი უწოდონ. განადიდებენ წამებულთა მხნეობას, მაგრამ არანაირი კავშირი არა აქვთ ამ მხნეობის წყაროსთან: პიროვნული ურთიერთობა იესო ქრისტესთან. შეიძლება კითხულობენ სახარების უწყებას, მაგრამ რწმენით არ პასუხობენ. წამებულები ცხოვრობდნენ და მოკვდნენ და სხვებს მოუწოდებდნენ ქრისტეს რწმენისაკენ, თავიანთ მჩაგვრელებსაც კი. მოგიწოდებენ თუ არა ისინი შენ ქრისტიანული ვალდებულებებისაკენ ახლა, მათი ისტორიების კითხვისას? უბრალოდ ნუ განადიდებ მათ რწმენას, მაშინ როცა მის განსაცდელად გეპატიჟებიან.

ვინაიდან სახარება ჩვენც გვეუწყა, როგორც მათ. მაგრამ მათთვის სარგებლობა არ მოუტანია მოსმენილ სიტყვას, ვინაიდან არ შეერწყა მსმენელთა რწმენას.

ებრაელთა 4:2

223-ე დღე

ციხე არ არის სასარგებლო ქრისტიანული ცხოვრების დაბრკოლება.

ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

224-ე დღე

უკიდურესი
დარტყმა

ინგლისი: ჯონ უიკლიფი

1428 წლის ინგლისურ ცივ დილას, შეიმჩნეოდა, რომ კაცები უპატივცემულოდ დადიოდნენ სასაფლაოზე. ერთ-ერთმა მათგანმა, მშვენიერი სასულიერო მანტიით შემოსილმა, თქვა, „აი, ისიც. ამოთხარეთ. მოდი დავასრულოთ ეს საქმე.“

სასულიერო მანტიით შემოსილი კაცი მიწის მთხრელის გვერდით იდგა და ზიზღით იყურებოდა, როცა ბარი მაგარ საგანს მოხვდა, თქვა, „გახსენით.“

„მაგრამ, ბატონო, უკვე ორმოცდაათი წელია რაც აქ არის!“ უპასუხა ერთ-ერთმა მესაფლავემ. „აღარაფერი იქნება დარჩენილი!“

რელიგიური წინამძღოლი შეკრთა და გაღიზიანებისაგან მხრები აიჩეჩა. „მაშინ სულ ამოთხარეთ. და დავწვავთ.“

რამ გააბრაზა ეს კაცი ასე ძალიან? რატომ უნდა ამოეთხარა კაცი გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ და ცერემონიულად დაეწვა როგორც ერეტიკოსი? დაახლოებით 1376 წელს, ჯონ უიკლიფის დოქტრინა დაიბეჭდა „მადლში ნაპოვნი ბატონობა.“ ეს მეტად საკამათო ცნობა გულისხმობს, რომ „მხოლოდ სახარება არის საკმარისი წარმართოს ქრისტიანთა ცხოვრება ყველგან.“

უიკლიფმა ლათინური ბიბლიის თარგმნა დაიწყო ინგლისურად და საიდუმლოდ ავრცელებდა მას ბროშურებისა და წიგნების საშუალებით. ის ამ საქმიანობას სიკვდილამდე, 1384 წლამდე ეწეოდა, რეფორმაციამდე ას ოცდაცამეტი წლის წინ.

„გადაყარეთ ფერფლი მდინარეში,“ ბრძანა კაცმა ცეცხლის ჩაქრობისთანავე. „უკანასკნელად მოვისმენთ ჯონ უიკლიფისა და მისი სწავლების შესახებ.“ ამის შემდეგ ასი წელი გავიდა, ინგლისურენოვანი ბიბლიის კითხვის კანონიერ ნებართვამდე.

ბევრი ეცადეს რელიგიურმა წინაძღოლებმა ჯონ უიკლიფის „საბოლოოდ“ დავიწყება. მაგრამ, როგორც ჩანს ჯონის დამწვარი სხეულის ფერფლმა ღვთის სიტყვის ახალი წყურვილი წარმოშვა მთელს ევროპაში. მათმა მცდელობამ არათუ მიზანს ვერ მიაღწია, არამედ დახმარება გაუწია ქრისტიანობას. ანალოგიურად, შეიძლება ხშირად ვხედავთ ჩვენი მტრის, სატანის ძალისხმევას, ჩააქროს ქრისტიანობა. მაგრამ ასეთ მცდელობას შედეგად უკუაფეთქება მოსდევს. ღმერთი უშვებს დევნას მორწმუნეების შთაგონებისა და მათში დიდი ვალდებულების აღძვრის მიზნით. აძლევთ თუ არა პირად დევნას ღვთის გეგმის მიხედვით მოქმედების საშუალებას? მაშინ მალე დაინახავთ, რომ თქვენი მდევნელების წინააღმდეგობა გაგაძლიერებთ და მათი წყევლა ღვთის კურთხევებს მოგიტანთ.

არამედ გასაჭირითაც ვიქადით,
რადგან ვიცით, რომ გასაჭირი
შეიქმს მოთმინებას, მოთმინება-
სიმტკიცეს, სიმტკიცე-სასოებას.

რომაელთა 5:3-4

225-ე დღე

ექსტრემალური
მოწამეობა

რომი: კარპუსი

„ჩემი პირველი არჩეული სახელი არის ქრისტიანი. ამ ქვეყანაზე კი კარპუსს მეძახიან.“

„თქვენ იცით იმპერატორის ბრძანება,“ განაცხადა კონსულმა, „თქვენ რომის ყველა ძლევამოსილ ღმერთებს უნდა ემსახუროთ. ახლა, გიბრძანებ გამოხვიდე და მსხვერპლი შესწირო მათ.“

„მე ქრისტიანი ვარ. მე პატივს ვცემ ქრისტეს, ღვთის ძეს, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ მოვიდა და ეშმაკის ბორკილებისაგან დაგვიხსნა. ასეთ კერპებს მე მსხვერპლს ვერ შევწირავ. ისინი მხოლოდ აჩრდილებს წარმოადგენენ, ნამდვილ ეშმაკებს. ჩემთვის შეუძლებელია მათთვის მსხვერპლის შეწირვა.“

„უნდა შესწირო; კეისარი ბრძანებს ამას.“

„ცოცხლები მკვდარს არ სწირავენ.“

„გჯერა, რომ ღმერთები მკვდრები არიან?“

„ისინი არც ადამიანები ყოფილან და არც არასოდეს უცოცხლიათ, რომ მომკვდარიყვნენ. ისინი, ვინც მათ ემსახურებიან ტყუილის ხაფანგში არიან გაბმულნი.“

„ბევრი სისულელის ლაპარაკის ნება მოგეცი და ახლა ღმერთებსა და მის უდიდებულესობას, იმპერატორს გმობ. ახლავე შეჩერდი, თუ არა და ყველაფერი გვიან იქნება. ან მსხვერპლს შესწირავ, ან მოკვდები!“

„არ შემიძლია მსხვერპლის შეწირვა. არასოდეს არ შემიწირავს მათთვის მსხვერპლი და ვერც ახლა დავიწყებ ამის გაკეთებას.“

კონსულმა მისი ჩამოკიდება და საწამებელი იარაღებით გატყავება ბრძანა, კარპუსი კი მაინც ყვიროდა, „მე ქრისტიანი ვარ! მე ქრისტიანი ვარ! მე ქრისტიანი ვარ!“

ამ ამბავში მოთხრობილი პროკონსულის მსგავსად, ჯვრის უწყება სისულელე ჩანს მათთვის ვისაც ეს არ ესმის. და რაც არ ესმით გონიათ, რომ უნდა შეეწინააღმდეგონ. ალბათ იმის ეშინიათ, რაც არ ესმით. ალბათ სიამაყე უშლით ხელს თავმდაბლურად ღვთის სახარების რწმენით მიღებაში. რა მიზეზიც არ უნდა იყოს, მოკვდებიან და ჯვრის უწყებას მაინც არ მიენდობიან. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ხშირად ადამიანებს, რომელნიც სახარებას ეწინააღმდეგებიან, არ ძალუძთ ჭეშმარიტების რწმენით მიღება. ლოცულობ თუ არა სახარების მოწინააღმდეგეებისათვის? როცა მდევნელებისათვის ლოცულობ, სთხოვე სულიწმინდას დაეხმაროს მათ ჯვრის უწყების გაგებაში.

ვინაიდან სიტყვა ჯვრის შესახებ
სისულელეა მათთვის, რომელნიც
იღუპებიან, ხოლო ჩვენთვის,
რომელნიც გადავრჩებით,
ღვთის ძალაა.

1 კორინთელთა 1:18

226-ე დღე

ექსტრემალური
მოწამეობა-ნაწილი მეორე

რომი: პაპილუსი

პროკონსული ახლა პაპილუსს მიუბრუნდა, ძელზე გაკრული და დასისხლიანებული კარპუსისაგან არც ისე შორს მდგომს. „შვილები გყავს?“ ჰკითხა პროკონსულმა.

„დიახ, ბევრი შვილები მყავს ღმერთში.“

გარშემომყოფი ბრბოდან ვიღაცამ დაიყვირა, „ის გულისხმობს, რომ შვილები ჰყავს ქრისტიანულ რწმენაში.“

ამის გამგონე პროკონსული უფრო გაბრაზდა. „რატომ იტყუები, რომ შვილები გყავს?“ დაიყვირა მან.

„სიმართლეს გეუბნები. ყოველ ქალაქსა და სოფელში მყავს შვილები ღმერთში.“

პროკონსული არ დაცხრა. „ან მსხვერპლს შესწირავ ან კარპუსის ხვედრი გერგება წილად! ახლა რას იტყვი?“

პაპილუსმა მედგრად უპასუხა, „ბავშვობიდან ვემსახურები ღმერთს. არასოდეს შემიწირია კერპებისათვის მსხვერპლი. მე ქრისტიანი ვარ. ამაზე დიდებულს და შესანიშნავს ვერაფერს ვიტყვი, მე ქრისტიანი ვარ.“

პროკონსულმა მისი კარპუსის გვერდით ჩამოკიდება და რკინის იარაღებით გატყავება ბრძანა. პაპილუსს ხმა არ ამოუღია, სრული გამბედაობით აიტანა წამება.

როცა პროკონსულმა მათი შეუდარებელი სიმტკიცე იხილა, მან კარპუსისა და პაპილუსის ცოცხლად დაწვა ბრძანა. ორივემ თავისი ნებით გადაინაცვლა ამფითეატრში, ამ ქვეყნიერებისაგან მალე გათავისუფლების მოლოდინით კმაყოფილებმა. პაპილუსი ბოძზე გააკრეს. ცეცხლის აგიზგიზებისას ჩუმად ლოცვაში განუტევა სული.

ქრისტიანები ხშირად ფიქრობენ რას იტყვიან, როცა თავიანთი რწმენის დაცვა მოუწევთ. ფიქრობენ, როგორ უპასუხებენ სხვადასხვა შეკითხვებს. მაგალითად. „სამების შესახებ?“ „იმათი ბედის შესახებ, რომელთაც არასოდეს სმენიათ სახარება?“ „ვთქვათ, როგორ ავხსნი ქალწულისაგან შობის ფაქტს?“ სინამდვილეში, შეუძლებელია იმაზე სანდო და უკეთესი პასუხების მოძებნა, ვიდრე ქრისტეში საკუთარი რწმენის გაზიარება. „იმაზე დიდებული და შესანიშნავი არაფერია, ვიდრე იმისი თქმა, რომ ქრისტიანი ხარ.“ შენი დაზეპირებული ფრაზები იმაზე მეტად ვერ დაარწმუნებს ურწმუნოს, ვიდრე იესოს სიყვარულის გაზიარების გულწრფელი სურვილი.

მეც მოვედი თქვენთან, ძმებო,
მოვედი ღვთის მოწმობის
საუწყებლად, არა ამაღლებული
სიტყვით ან სიბრძნით.

1 კორინთელთა 2:1

227-ე დღე

ექსტრემალური
წამებულები-ნაწილი მესამე

რომი: აგათონიკა

კარპუსი ძელზე მიალურსმეს და როცა ცეცხლი მოეკიდა, გულმხურვალედ ლოცულობდა, „დიდება შენ, ღმერთო, იესო ქრისტე, ღვთის ძეო, რომ შენმა საქმემ გამომისყიდა, ცოდვილი, შენს მსგავსად წამებით სიკვდილის ღირსი!“ და სული განუტევა.

კარპუსმა ილოცა, აგათონიკამ მის წინაშე გარდმომავალი ღვთის დიდება იხილა. ცა გაიხსნა და ღვთის კრავის საქორწილო ნადიმი გამოჩნდა, მდიდრული სუფრა იყო გაშლილი და სუფრის თავში ქრისტე იდგა. გული აუძგერდა და ზეციური მოწოდების ხმა იცნო.

ის ფეხზე წამოდგა და დაიყვირა, „ეს სუფრა ჩემთვისაც არის გაშლილი. დიდების სუფრა უნდა მივიღო.“

ამ დროს მოწინააღმდეგის ხმაც გაისმა, „შეიბრალე შენი შვილი, შენი ვაჟი!“

„მას ჰყავს ღმერთი და ის იზრუნებს მასზე,“ უპასუხა აგათონიკამ, „რადგან ღმერთია ყველაფრის მომცემი. წავალ და მასთან ვიქნები.“

ის ამფითეატრიდან გადმოხტა, მოსასხამი მოიძრო და მხიარულად მივიდა ძელზე მისალურსმად.

მაყურებლები ცრემლად იღვრებოდნენ და ყვიროდნენ, „ეს სასჯელი სასტიკი და უსამართლოა!“

აგათონიკა ცეცხლის ალში ყვიროდა, „უფალო, უფალო, უფალო, დამეხმარე, რათა შენთან მოვიდე!“ მალე სული განუტევა და თავის ღმერთს შეუერთდა. ეს მოხდა ჩვენი წელთ აღრიცხვით 165 წელს.

ჯაჭვური რეაქცია. ეს არის მოულოდნელი შედეგი ერთი ადამიანის მეორეს ცხოვრებაზე გავლენისა-რაღაც აუხსნელი და დაუგეგმავი. ეს დაიწყო კარპუსთან, რამაც მხნეობის გზა აჩვენა პაპილუსს და ორივენი რწმენის გამო აწამეს. მათმა მოწამეობრივმა მხნეობამ შთააგონა მხილველი და საკუთარი ნებით გაეშურა ძელზე სასიკვდილოდ. დღეს, რწმენის ჯაჭვური რეაქციის შედეგებს ვხედავთ ეკლესიებსა და ბიბლიის სკოლებში. ამას ვხედავთ სოფლებსა და ქალაქებში და სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ერთი ადამიანის ცხოვრება მეორეს და მესამეს დიდი ვალდებულებისაკენ უბიძგებს. რამდენი ხანია რაც ვალდებულების ჯაჭვური რეაქციის გავლენა არ განგიცდია შენს ეკლესიასა თუ საზოგადოებაში? ილოცე, რომ გამოღვიძება დაიწყოს შენით-ჯაჭვის ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლით.



228-ე დღე

ექსტრემალური
გაქცეული

ჩინეთი: ლუ ლიეუ

ლუ ლიეუ ფრთხილად მიდიოდა ხალხით გადაჭედილ ერთ-ერთ ჩინურ ქუჩაზე, თან უკან იხედებოდა რათა დარწმუნებულიყო, რომ არავინ მოსდევდა და ვერავინ იცნო. მეორე აფიშას გასცდა, სადაც თავის სურათთან ერთად მისი დაჭერისათვის ექვსას დოლარიანი ჯილდოც იყო გამოცხადებული.

ჩვიდმეტი წლის იყო ლიეუ, როცა სახლი დატოვა ღვთის მსახურებისათვის. მან დააფუძნა ორგანიზაცია, რომელიც არარეგისტრირებულ საოჯახო ეკლესიებს ეხმარება ჩამოყალიბებაში. ეს ორგანიზაცია კომუნისტური მთვრობის თვალში არალეგალურია. მისმა საქმიანობამ იგი უცხოელ ქრისტიანებთან დააკავშირა, რომლებიც ქვეყანაში ბიბლიების საიდუმლოდ შემოტანას ეწეოდნენ.

თითქმის ათი წელია რაც მსახურებას ეწევა და ახლა დააკავა პოლიციამ. ინტენსიურ დაკითხვას უწყობდნენ. ერთხელ ისე სცემეს, რომ რამდენიმე საათი კომაში ჩავარდა. მაგრამ მაინც უარს ამბობდა მორწმუნე თანამშრომელების სახელებისა და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე.

რამდენიმე თვის შემდეგ, მისი საქმიანობის შესახებ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო პოლიციამ გაათავისუფლა, მაგრამ ზედამხედველობის ქვეშ ყოფნის პირობით. ხუთი წლის შემდეგ, ის და სხვა ხუთი ადამიანი კიდევ დააპატიმრეს და საკუთარი ნივთები ჩამოართვეს. ამჯერად, ხუთი წლით შრომა-გასწორების კოლონიაში თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ლიეუმ სასჯელი მოიხადა. გაათავისუფლეს, მაგრამ მაინც პოლიციის დაკვირვების ქვეშ იმყოფება. დაპატიმრების შიშის მიუხედავად, ლიეუ მაინც აგრძელებს ქრისტესათვის დევნილ ცხოვრებას და ქრისტეს სიყვარულისა და ამ სიყვარულის სხვებისათვის გაზიარების „დანაშაულს“ ჩადის.

იფიქრე ამაზე: მიძღვნილი ქრისტიანების დაპატიმრების ბრძანება რომ იყოს, ვინ დაგასმენდათ ხელისუფლებასთან? ეუბნება თუ არა ყოველ კვირას შენი მადლიერი სული მაღაზიის გამყიდველს შენი ქრისტიანობის შესახებ? გრძნობენ თუ არა შენს პოტენციურ ქრისტიანობას მშობლები ავტოსადგომზე გამოჩენილი მოთმინებისას? იმსჯელებენ თუ არა შენი თანამშრომელები შენი დასმენა-არდასმენის შესახებ, ქრისტეში შენი რწმენის მათ ხელთ არსებული უდაო მტკიცებულებების გამო? დარეკავდა თუ არა პოლიციაში შენი საკუთარი ოჯახი? თუ დარწმუნებულები არიან, რომ შენი საქციელი არ შეეფერება „მიძღვნილი ქრისტიანის“ სტანდარტს? რას ფიქრობ? როგორ უნდა მოიქცე?

ამრიგად, ყოველი ჩვენგანი
საკუთარი თავისათვის პასუხს
აგებს ღვთის წინაშე.

რომაელთა 14:12

229-ე დღე

ექსტრემალური
ნაყოფი

პაკისტანი: საფენა

საფენა წყნარი და საყვარელი გოგონაა. პაკისტანში გაზრდილმა ისწავლა, რომ როგორც ქალს და ქრისტიანს ცხოვრებაში მწირი შესაძლებლობები აქვს.

როცა მდიდარი მუსულმანის ოჯახში დამლაგებლად და მზარეულად დაიწყო მუშაობა, გაუხარდა, რომ თავისი ღარიბი ოჯახის დახმარებას შეძლებდა.

საფენას სილამაზემ და თავაზიანობამ მიიზიდა დამქირავებლის ვაჟი. და გოგონას მშობლებთან მივიდა მისი ხელის სათხოვნელად, მაგრამ საფენა ქრისტიანი იყო. მუსულმანობაზე გადასვლას აძალებდნენ, მაგრამ საფენა მტკიცედ იდგა გადაწყვეტილებაზე. ძალადობიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, უნდოდა იქაურობა დაეტოვებინა, მაგრამ იცოდა რომ მის ოჯახს ძალიან სჭირდებოდა ფული.

ბოლოს, ყმაწვილმა უარი თქვა საფენას დარწმუნებაზე და სასტიკი განაჩენი გამოიტანა. მან ბოროტი განზრახვით შეიტყუა გოგონა ოთახში და გააუპატიურა.

საფენა განადგურდა. სასწრაფოდ მიატოვა სამუშაო, მაგრამ ვიდრე პოლიციას მომხდარის შესახებ აცნობებდა, დამქირავებლებმა დაასწრეს და ქურდობის ბრალდებით პოლიციაში დაასმინეს. საფენა დააპატიმრეს და ახლა ციხეში გააგრძელეს მასზე ძალადობა.

საფენა არ ნანობს ქრისტეს სახელისათვის მტკიცედ დგომას, თუმცა ჯერაც იტანჯება გადატანილი ძალადობის გამო. მას ღვთის იმედი აქვს და აგრძელებს ცხოვრებას.

რელიგიის შესახებ ბევრს ვსწავლობთ მისი მიმდევრების ცხოვრებით. ეს არის ამბავი ოჯახისა, რომელთა მიერ არჩეულმა მცდარმა გზამ მიიყვანა ისინი მანიპულაციებამდე, ამორალობამდე, სიცრუესა და უსამართლობამდე. საფენას ღმერთმა კი, რომელიც სიყვარულის ღმერთია, მიიყვანა იგი შრომისმოყვარეობამდე, მიძღვნილებასა და სიმტკიცემდე. საფენას ღმერთი დაეხმარება მიეტევებინა მოძალადეებისათვის. ფრთხილად იყავი, როცა ამბობენ, რომ თითქმის ყველა რელიგია ერთნაირია. ჩვენ მოწოდებულნი ვართ ნაყოფის გამოცნობისაკენ-ფრთხილად გამოიკვლიეთ ადამიანების ცხოვრების ნაყოფები და მათი მოქმედების მოტივები. თავს ნუ გაისულელებ იმით, რასაც ყველა რელიგიის შესახებ წაიკითხავ. დააკვირდი იმ რელიგიის მიმდევრების ცხოვრების ნაყოფებს.

მათი ნაყოფით იცნობთ მათ. განა ეკლისაგან ყურძენს კრეფენ ან კუროსთავიდან ლეღვს? ასე, ყოველი კარგი ხე ნაყოფსაც კარგს იძლევა, ხოლო ცუდი ხე ნაყოფსაც ცუდს იძლევა.

მათე 7:16-17

230-ე დღე

რაც უფრო ძლიერია
ბოროტის თავდასხმა,
უფრო მეტად გავიხარებთ
მისი დამარცხებით!

სუდანელი ქრისტიანი

231-ე დღე

ექსტრემალურად
უსაფრთხო სახლები

ბანგლადეში: ანდრია

ანდრიას მსახურებამ 749 მუსულმანი მოქცეული მონათლა. დამატებით, ჩაბმული იყო მსახურებაში, რომელმაც 3,000 ბიბლია და ახალ აღთქმისეული 137,000 ბროშურა გაავრცელა.

ანდრიამ მრავალი მუსულმანის მოქცევის პერსპექტივა დაინახა და ტაძარი დაარსა, რომელიც უსაფრთხო სახლის როლს ასრულებს. ქრისტიანული ოჯახები თუ ინდივიდები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან ამ საიდუმლო ტაძარში, მაგრამ არა დასვენებისა და უსაფრთხოებისათვის. ქრისტიანებს აქ დამოწაფებასა და ევანგელიზაციას ასწავლიან მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე.

პროგრამის დასრულების შემდეგ, მათ აგზავნიან სხვა სოფელში სადაც აქამდე მათ არ იცნობდნენ. ეს ხდება მათი ახალი სამისიონერო ტერიტორია! ამ სახლში ქრისტიანები მოდიან საშიშროებისაგან თავდაცვის მიზნით, რათა უფრო მეტი საშიშროებისათვის მოემზადონ. მათ იციან, რომ ისინი მარტონი არ არიან; ასობით მათი და-ძმა წასულა მათზე წინ იესო ქრისტეს ბანგლადეშში საქადაგებლად.

ანდრიას საქმიანობა უსაფრთხო არ არის. იგი რამდენჯერმე დააკავეს და მისი ქადაგებით შეშინებულმა რადიკალმა მუსულმანებმა სცემეს. მის ოჯახსაც განუწყვეტლივ ემუქრებიან. ანდრიას მსახურების მიზანი მუსულმანი მოქცეულების უსაფრთხოდ დაცვაა, მაგრამ თვითონ მისი მსახურება არ არის უსაფრთხო. მისი ოჯახისა და თანამშრომლებისათვის ეს არის ყოველდღიური რისკი, თუმცა, მისი სტუდენტები საუკუნო სიცოცხლეს იღებენ და კურსის გასრულების შემდეგ სხვებსაც ეხმარებიან იგივეს მიღებაში.

წარმოიდგინეთ ფერმერი, რომელიც ხორბლის დიდი მინდვრის მარტო მომკას ცდილობს. მნიშვნელობა არა აქვს როგორ ბეჯითად იმუშავებს, მას ამ სეზონზე საკმარისი დრო არ ექნება მის დასამთავრებლად. იესომ დაკარგული ადამიანები სულიერად მომწიფებულ ყანას შეადარა. ეს საქმე ერთი ადამიანის ძალას აღემატება გასასრულებლად. შედეგად, მოწოდებულნი ვართ ბანგლადეშში ანდრიას სტრატეგიას მივბაძოთ უსაფრთხო სახლების შესახებ. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ჩვენს ძმებს, თუ როგორ გაუზიარონ სხვებს ქრისტე. ქრისტიანობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ მოქცეულების შეძენა. ჩვენ უნდა შევიძინოთ მოწაფეები, რომლებიც ისწავლიან როგორ დაიმოწაფონ სხვები. მარტოხელა ფერმერივით ხომ არ იტანჯები? თუ ასწავლი სხვებსაც როგორ იშრომონ მინდორში?

მაშინ თავის მოწაფეებს უთხრა: „სამკალი ბევრია, მუშაკნი კიცოტა. ამიტომ ევედრეთ სამკალის უფალს, რომ გამოგზავნოს მუშაკნი სამკალში.“

მათე 9:37-38

232-ე დღე

ექსტრემალური
შეუპოვრობა

აზერბაიჯანი: ხუცესი რომან აბრამოვი

ხუცესი რომან აბრამოვი და მისი მეუღლე სამი წლის მანძილზე ბეჯითად შრომობდნენ ეკლესიის დასაარსებლად ისმაილში, აზერბაიჯანში. მაგრამ სოფელში ჩასვლიდან ერთი წლის შემდეგ ოფიციალურმა პირებმა დააკავეს და ადგილის დატოვება მოსთხოვეს.

ეკლესიას ყოველკვირეულად ათამდე მორწმუნე ესწრება, მაგრამ იესო ქრისტეს სახარებას მაინც ქადაგებენ. დიასახლისები ოფიციალური პირებისაგან ზეწოლას განიცდიდნენ და აბრამოვებს სახლის დაქირავების პრობლემა შეექმნათ. მათ მოახერხეს სახლის აშენება, სადაც ცხოვრობდნენ და კანონის ფარგლებში შეხვედრებსაც მართავდნენ.

როდესაც აბრამოვებმა საკუთარ ახალ სახლში მსახურებები დაიწყეს, დამსწრეთა რიცხვმა ნელ-ნელა იმატა. შარშან დეკემბერში, მოლა (მუსულმანი რელიგიური წინამძღოლი) მათ სახლში მივიდა და უთხრა, რომ მსახურებების გამართვის უფლება არ ჰქონდათ.

ხუცესმა აბრამოვმა ეკლესია დაიცვა და მოლა მსახურებაზე დაპატიჟა. მან მოწვევა მიიღო და შეხვედრას დაესწრო. მეორე მოლამ ქრისტიანები ყურანზე ფეხის დაბიჯებაში დაადანაშაულა და რეგიონალურ მთავრობას ეკლესიის დახურვა სთხოვა. ადგილობრივმა მთავრობამ ეკლესიის წევრთა ოჯახებში სტუმრობა, მათი მუქარა და დაშინება დაიწყო და ზოგიერთი მათგანი ათი დღით დააპატიმრა.

მიუხედავად გაკიცხვისა და მრავალი მორწმუნის დაშინებისა, ხუცესი რომანი ლოცულობს და სჯერა, რომ გამოღვიძება მოვა. მათი სახლის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისათვის.

ხანდახან არ გვინდა რაღაცის გაკეთება. სასამართლოს წინაშე წარდგომა ერთ-ერთი მათგანია. რატომ ხდება, რომ ცხოვრებაში ერთ პრობლემას მეორე მოსდევს? თუმცა ბიბლია გვასწავლის, რომ პრობლემების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ბავშვებივით ხშირად ზურგს ვაქცევთ საქმეს გართულების შემთხვევაში. რაც უფრო ვიზრდებით, ვსწავლობთ მოთმინებას და მტკიცედ ვდგევართ ბოლომდე. ანალოგიურად, როცა რწმენაში ვიზრდებით, მოთმინების ფასს ვსწავლობთ. ხარ თუ არა ზრდასრული, ადვილად გიცრუვდება იმედები და დანებების ცდუნება გეძალება? უთხარი ღმერთს, რომ მზად ხარ „გაიზარდო“.



233-ე დღე

ექსტრემალური
გაპარსვა

ამერიკის შეერთებული შტატები: პარკ გილესპიესი

ხალხი ხშირად გამოხატავს მსოფლიოს გარშემო დევნილი და-ძმების დახმარების სურვილს. მეშვიდე კლასის ბიოლოგიისა და სამოქალაქო საგნის მასწავლებელი, პარკ გილესპიესი, შეიძლება პირველი იყოს, რომელმაც საკუთარი თმა გაიღო ამ საქმისათვის!

ქრისტიანებმა მეშვიდე კლასში სუდანის შესახებ ისაუბრეს და პარკის მოსწავლეებს რწმენის გამო დევნილი ქრისტიანების დახმარების სურვილი აღეძრათ. მოსწავლეების მონდომებამ მასწავლებელიც კი გააოცა.

მეშვიდე კლასელებმა წამებული სუდანელებისათვის თეთრეულის შეგროვება დაიწყეს, რაც მთელ სკოლასა და ასე გასინჯეთ მთელს საზოგადოებას გადაედო. გილესპიე ტელევიზიას დაუკავშირდა ჩარლოტეში, ჩრდილო კაროლინაში და ამ საკითხზე ბავშვების გადაწყვეტილების შესახებ აცნობა.

თეთრეულს უკვე საკლასო ოთახი აევსო, მაგრამ ტრანსპორტირების ხარჯებზე საუბარი ჯერ არ ყოფილა. როცა ტელევიზიიდან რეპორტიორი მოვიდა გადასაღებად, გილესპიემ თქვა, რომ საკუთარ თმას გადაიპარსავდა ტრანსპორტირების ხარჯებში მონაწილეობის მისაღებად. სატელევიზიო გადაცემიდან მოკლე ხანში ხალხმა ფინანსური დახმარება დაიწყო.

იმ ხალხის სიყვარულის გამო, რომლებიც გილესპიეს არასოდეს ენახა, მან თმაც კი გადაიპარსა. მთელი სკოლა შეიკრიბა მისი თავის გადაპარსვის დღეს და რეპორტიორმა ეს ცერემონიალი გადაიღო. ამერიკელები ხშირად ფიქრობენ, რომ სხვა ქვეყნის დევნილ ქრისტიანებს საკმარის დახმარებას ვერ უწევენ. მაგრამ პარკ გილესპიემ საპირისპირო რამ დაამტკიცა.

პარკ გილესპიე და მისი მოწაფეები გვასწავლიან თუ როგორ აღვიძებს სიბრალული შემოქმედებითობას, ვალდებულებას და რაღა თქმა უნდა-ფასეულობის განცდას. პარკმა და მისმა მოსწავლეებმა დიდი სიხარულით გაიღეს ეს საფასური-საკუთარი თმაც კი! თანადგომა ტანჯვისას ბუნებრივი რეაქციაა, მაგრამ მხოლოდ გრძნობა თავისთავად საკმარისი არ არის. ჩვენი თანადგომა უნდა გამოვხატოთ პრობლემის გადაჭრის შემოქმედებითი გზებით. შემდეგ ჩვენი გადაწყვეტილება უნდა განვახორციელოთ და საზღაურიც გადავიხადოთ. რომელ პროცესში იმყოფები ამჟამად? ამჟღავნებ თუ არა შენს თანადგომას შემოქმედებით აზროვნებაში? დადე თუ არა პირობა, რომ მოახდინო ცვლილება? მზად ხარ თუ არა საზღაურის გადასახდელად?

როცა ხალხის ბრბო დაინახა
შეეცოდა ისინი.

მათე 9:34

234-ე დღე

ექსტრემალური
უფრო მეტი სასჯელი

პაკისტანი: აბუ მასიჰი

„ეს საკანი ვერ შემიშლის ხელს ჩემი უფლის, იესო ქრისტეს სიყვარულში," წერდა აბუ მასიჰი. იგი უკვე ხუთი წელია ცილისწამებისათვის ციხეში იჯდა.

პაკისტანში ხშირად სწამებენ ცილს ქრისტიანებს ისლამის დამაარსებლის, მუჰამედის გმობაში. მუსულმანური წესის თანახმად, გმობა არის დანაშაული, რომელიც სიკვდილით უნდა დაისაჯოს. აბუ ხანდახან თავის მუსულმან მეგობართან საუბრობდა, ხშირად კამათობდნენ და საწინააღმდეგო ვერსიებზე ხუმრობდნენ; საუბარი წიგნად დაიწერა, სატანური მუხლები-საკამათო წიგნი ისლამის წინააღმდეგ. ხმა გავრცელდა და სხვების ზეგავლენის შედეგად აბუ 'მეგობარმა' პოლიციაში დაასმინა.

აბუ დააპატიმრეს და მუჰამედის გმობის გამო სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. ამ შემთხვევიდან მალე, აბუს სოფელს თავს დაესხნენ და თორმეტივე ქრისტიანი ოჯახი საკუთარი სახლებიდან გამოაძევეს. სასამართლოში აბუს უდანაშაულოდ გამოცხადების მოთხოვნა შეიტანეს. უკვე ხუთი წელია რაც ციხეში ზის და პასუხისათვის ლოცულობს.

ის ახლა საჰივალშია, მულტონის მთავარ ციხეში, პაკისტანში. მან იცის, რომ გათავისუფლების მიუხედავად მისი ცხოვრება მაინც საფრთხის ქვეშ იქნება და საშიშროებას მოუტანს საკუთარ ოჯახსა და საზოგადოებას. 1998 წელს, მისი მოკვლა სცადეს, მოლამ მისი მკვლელობისათვის ათი ათასი დოლარი დააწესა ჯილდოდ.

დღეს მუსულმანურ სამყაროში, რელიგიურ საკითხზე მსჯელობა ისლამის საწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება და სიკვდილს გულისხმობს. ირონიულად, მუსულმანი მსახურებიც კი იმსახურებენ სასიკვდილო განაჩენს. ბიბლია გვასწავლის, რომ ცოდვის სასჯელი სულიერი სიკვდილია. ქრისტეს გარდა ყველა იმსახურებს სამუდამო სიკვდილს. მადლობა ღმერთს, რომ ეს საზღაური ქრისტემ გადაიხადა ყველა მისი მორწმუნის ნაცვლად, მუსულმანებისთვისაც. იესო ჩაუვარდა ხელში ჯალათს ჩვენს ნაცვლად-და ჯვარს აცვეს. მისი სიკვდილი გვაძლევს ზეცაში ღმერთთან საუკუნო ცხოვრების ჯილდოს. მადლობა ღმერთს, რომ მან შენი სასიკვდილო განაჩენი შეცვალა და გაპატია. ილოცეთ მუსულმანურ სამყაროში მცხოვრები არაქრისტიანებისათვის, რომლებმაც შეიძლება მოკლან ქრისტიანები ამ დედამიწაზე და ამით საუკუნო სიკვდილი დაიმსახურონ.

ვინაიდან ცოდვის საზღაური
სიკვდილია, ხოლო ღვთის მადლი-
საუკუნო სიცოცხლე ჩვენს
უფალში, ქრისტე იესოში.

რომ 6:23

235-ე დღე

ექსტრემალური
ლოგიკა

სუდანი

„იგალობე ეს სიმღერა [მუსულმანური საგალობელი], თორემ მოგკლავთ," ყვიროდა ჩრდილო სუდანელი ჯარისკაცი. ტყვე ქრისტიანი სიძულვილს ხედავდა მის თვალებში და ფიქრობდა, ნეტავ რამდენი ქრისტიანი ეყოლებოდა მოკლული ამ ჯარისკაცს, რომელმაც დიდი დანა დააჭირა მას ყელზე.

ლოგიკამ უკარნახა, „იმღერე! ღმერთმა იცის, რომ ძალადობის ქვეშ ხარ. რატომ უნდა გასწირო შენი სიცოცხლე იმ სიტყვებისათვის, რომელიც მაინც არ გწამს?"

მეორე კუთხით, მან იცოდა ბიბლიის სწავლება, რომ ადამიანის სიტყვას ძალა აქვს. გაახსენდა, რომ ადამიანის მიერ ქრისტეს აღიარებას ძალა აქვს. „ღვთისგმობასაც ძალა ექნება?" ფიქრობდა ის. „წარმოთქმულს რომ არ ვგულისხმობდე მაინც?" როგორც ჩანდა კითხვები ერთმანეთს ებრძოდნენ მის გონებაში. მისი ლოგიკა იბრძოდა ქრისტეს სიყვარულის წინააღმდეგ.

სუდანში ხშირად დგანან ქრისტიანები ასეთი არჩევანის წინაშე და მრავალი მეგობარი და ოჯახის წევრი უნახავთ ქრისტეს რწმენის გამო მოკლული. წმინდანები არჩევენ, რომ არ იგალობონ მუსულმანური საგალობელი, არ სურთ მოწამლონ თავიანთი სულები ღვთისმგმობელი საგალობლებით და ღმერთს გული ატკინონ.

ლოგიკის წინააღმდეგ მათი თავდაცვა ის არის, რომ მათში მცხოვრები ქრისტე არ იგალობებდა ასეთ საგალობელს: თუმცა ამის სანაცვლოდ შედეგზე უნდა აგონ პასუხი. მათში მცხოვრებ ქრისტეს, რომელიც ამ საგალობელს არ იგალობებდა, არც სიკვდილს შეუშინდებოდა. ეს ქრისტიანები საკუთარ თავს უკვე მკვდრად მიიჩნევენ ქრისტეში- მათში მცხოვრებ ქრისტეს ზიანს ვერ მიაყენებენ.

ყოველ დღე სასწორზე ვაყენებთ ჯვარს-ლოგიკასა და რწმენაზე საუბრისას. ლოგიკა გვეუბნება მას დავუჯეროთ. რწმენა პოპულარობის წინააღმდეგ წასვლას გვთხოვს. როცა ლოგიკას ვუსმენთ, შეიძლება ჩვენი რწმენა გვერზე გადავდოთ სხვისი თხოვნის გამო. რამდენად ხშირად ვმღერით სხვების საგალობლებს დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით? სამსახური რომელიც არასწორი ქმედებების ჩადენას მოითხოვს. ლოგიკა გეუბნება, რომ ხმა არ გაიღო და სამსახური შეინარჩუნო. თუ გრძნობ, რომ დიდხანს უსმენდი მიზეზის ხმას, სთხოვე ღმერთს დაგეხმაროს, რომ მას აუწყო ნოტი. სთხოვე რწმენა, რომელიც სიმართლის დასაცავად გესაჭიროება არასწორ საქმეში.

მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი გადასცა ჩემთვის.

კოლოსელთა 2:20

236-ე დღე

ექსტრემალი

უფრო მეტი კონტრაბანდისტები

უკრაინა: იატაკქვეშა ქრისტიანები

რუსი სასაზღვრო დამცველი პატრულირებისას აქეთ-იქით დადიოდა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულისაკენ, საზღვრები განსაკუთრებული სიმკაცრით კონტროლდებოდა ნებისმიერი საეჭვო საქმიანობის წინააღმდეგ: საბჭოთა მოქალაქეები გაქცევას ლამობდნენ და კონტრაბანდისტები ისეთი არალეგალური საქონლის შემოტანას ცდილობდნენ, როგორიცაა ბიბლია.

ზემოთ აღნიშნული დაცვა უკრაინასა და რუმინეთს შორის საზღვარს აკონტროლებდა. ნელა დადიოდა მშვიდ, ცივ ღამეში და ახლად დათოვლილ მიწაზე შუქს ანათებდა. მოულოდნელად ოცნება შეწყვიტა, როცა მისი შუქი თოვლში ჩაფლულ კბილანების ფორმის ნივთს დაეცა, გულგამგმირავი განგაში.

მალე დაცვის სხვა მუშაკები გარს შემოეხვივნენ. „აქეთ! აქეთ!“ ყვირილით გადახტა დარაჯი ოთხი ადამიანის ნაკვალევისაკენ. „შორს არ იქნებიან! შეიძლება დავეწიოთ ვიდრე რუმინეთს მიაღწევენ!“ ჯგუფი მთელი სისწრაფით გარბოდა სიბნელეში.

ხმის გაგონებისთანავე, ოთხი რუმინელი ქრისტიანი სიბნელეში გაიყინა. დაძაბულები დაცვის ყვირილს უსმენდნენ და ძაღლების ხმა თანდათან შორიდან ისმოდა. ისინი შებრუნდნენ და ერთმანეთს გაულიმეს. ხელმძღვანელმა თავი დაუქნია და მგზავრობა გააგრძელეს, უკუსვლით ფრთხილად მიდიოდნენ უკრაინისაკენ და ბიბლიების ძვირფასი ტვირთი მიჰქონდათ თავიანთი იატაკქვეშა ეკლესიის და-ძმებისათვის.

ბიბლია ამბობს, რომ ჩვენი სულიერი მოწინააღმდეგე ცდილობს ეშმაკური გზებით ჩაშალოს ქრისტიანული ზრახვები. როგორც ჩანს უმწიკვლოდ მშვიდობის სახარების მატარებლები მგლის ლუკმანი ვართ. იესო გვასწავლის, რომ გავაცნობიეროთ მგლებს შორის ცხვრად ყოფნის საშიშროება და ანალოგიურად ვიმოქმედოთ. ზუსტი სტრატეგია და გონივრული ტაქტიკა უნდა გამოვიყენოთ ოპოზიციაზე გასამარჯვებლად. სატანას აქვს ძალა, მაგრამ ღმერთი ყოვლისშემძლეა. ღმერთი გაძლევს შენს მტერზე გამარჯვების ძალას. შენი საქმეა, რომ სთხოვო ღმერთს სიბრძნე და მხნეობა ღვთის გამარჯვების გეგმის ასასრულებლად. გაქვთ თუ არა ამჟამად რაიმე პრობლემა? ილოცე და სთხოვე ღმერთს სიბრძნე შემდეგი ნაბიჯის დაგეგმვისათვის? მიენდე მას მტრის დამარცხების გეგმის ცოდნაში-დიდი ხანია ის ამას აკეთებს.



237-ე დღე

მას შემდეგ რაც ქრისტე აღარ არის დედამიწაზე, სურს, რომ მისმა სხეულმა, ეკლესიამ, გამოააშკარავოს მისი ტანჯვა. რადგან ჩვენ ვართ მისი სხეული, ჩვენი ტანჯვა მისი ტანჯვაა.

ჯონ ფაიფერი-ისურვე ღმერთი



238-ე დღე

ექსტრემალური
იმპულსი

ვიეტნამი: ლინ დაოლინ

დაო და დედამისი ციხეს მიუახლოვდნენ, დედამ იცოდა რასაც გააკეთებდა. მაგრამ ამაღლვებელი ხასიათი უნდა შეეძინა მოქმედებისათვის, ისე თითქოს ახალგაზრდა გოგონა გამოვიდა ემოციური მდგომარეობიდან.

ლინის მამა იატაკქვეშა ეკლესიის ხუცესია ვიეტნამში. ერთი წლის წინ, როცა ის ათი წლისა იყო, ოთხი პოლიციელი თავს დაესხა მათ სახლს და გაჩხრიკეს, ბიბლიას ეძებდნენ, რომელიც სკოლის ზურგჩანთაში ჰქონდა დამალული. მამამისი დააპატიმრეს და შრომა გასწორების კოლონიაში გაგზავნეს.

როცა მავთულ-ხლართის ღობეს მიუახლოვდნენ, რომელიც მათ ლინის მამისაგან აშორებდათ, ლინმა დრო იხელთა. სწრაფად შეძვრა ღობის ნაპრალში, მამისაკენ გაიქცა და მაგრად გადაეხვია. დაცვა გაოცებული უყურებდა, მაგრამ ხელი არ შეუშლიათ მამა-შვილისათვის. ბოლოს და ბოლოს რა ზიანის მოტანა შეეძლო პატარა გოგონას?

ლინის ოჯახმა მამისათვის იმ საწერის ჩუმად გადაცემა შეძლო, რომლითაც იგი ქადაგებებს წერდა ციხეში სიგარეტის ქაღალდზე. ეს „სიგარეტის მსახურებები“ საკნიდან საკანში გადადიოდა და მრავალი პატიმარი მიიყვანა ქრისტესთან. ლინ დაო ახლა ის მგზნებარე თინეიჯერია, რომელიც არ ფიქრობს სწორი საქმის კეთებამდე რისკის შედეგებზე. მას სურს, რომ მამის ნაკვალევს გაჰყვეს და სახარებას ქადაგებდეს. საკუთარი გამოცდილებიდან იცის კომუნისტურ ვიეტნამში რწმენის გაზიარების საშიშორების შესახებ და ადამიანების ნაცვლად ქრისტესადმი მორჩილებისაკენ ისწრაფის.

ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც მორწმუნეები უფრო მეტად არ ისწრაფიან ქრისტეს დამოწმებისაკენ ის არის, რომ მათ ორი ხმა ესმით, მაშინ როცა ერთი ხმა უნდა ესმოდეთ. იმპულსური მორჩილება არასოდეს წარმოიშობა გაფანტული ყურადღებიდან. გულში გვესმის ღვთის ხმა და დაუყოვნებლივ ვგრძნობთ როგორც უნდა მოვიქცეთ ამა თუ იმ სიტუაციაში. „ახლა თქვი. ახლა გაუზიარე შენი რწმენა.“ ამავდროულად სხვადასხვა მიზეზებით სავსე საკუთარი ხმა გვესმის. „ახლა არა. მოგვიანებით. რას აკეთებ?“ ღმერთი გვაძლევს განუყოფელ, მთლიან გულს, რომელიც მხოლოდ მის ხმას უგდებს ყურს. როცა რწმენაში გავიზრდებით, მივხვდებით, რომ მორჩილება უფრო ბუნებრივად მოდის-ისე იმპულსურად, როგორც რეფლექსი. რომელ ხმას უსმენ დღეს შენ?



239-ე დღე

ექსტრემალური ძალა

ბანგლადეში: აბდულა არამედ

მას შემდეგ რაც აბდულამ ქრისტე მიიღო, მისი ოჯახი დიდი გულმოდგინებით ცდილობდა მის გადაბირებას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მამამისი პატივცემული კაცი იყო სოფელშიც და მთელ ბანგლადეშშიც, იმიტომ რომ საკუთარი სახლის გვერდით მეჩეთი ააშენა.

როცა თხოვნის შედეგად არ მოექცა აბდულა ისლამზე, მაშინ ცემას მიმართეს. როცა ცემამაც არ გასჭრა, სხვებს სთხოვეს მისი სასტიკად ცემა. სულ ტყუილად; აბდულა მტკიცედ იდგა ქრისტეს რწმენაზე. ბოლოს, გაღიზიანებულმა დედამ, საკვების მიწოდება შეუწყვიტა და მხოლოდ ნაცარს უყრიდა თეფშზე. აბდულა ღმერთს ძალას სთხოვდა და მტკიცედ იდგა.

ოჯახმა დახმარებისათვის მოლას მიმართა (ისლამის რელიგიური წინამძღოლი) რათა მოსულიყო და ისლამური ცერემონიალი ჩაეტარებინა იმ „ეშმაკის“ განსადევნად მათ შვილს რომ დაპატრონებოდა. მოლა მოვიდა და მუსულმანური ლოცვა წაუკითხა ბიჭს. ბუტბუტებდა. მან ბიჭს ხელები დაასხა. ცეკვავდა და ყვიროდა. აბდულას შინაგანში სული მტკიცედ იდგა. ხუთი საათის შემდეგ, დაქანცულმა მოლამ ხელი ჩაიქნია.

„აბდულას სული უფრო ძლიერია ვიდრე ჩემი,“ უთხრა მოლამ ბიჭის მამას და წავიდა. აბდულა ვერ მოაქციეს და ვერც ამ ძლიერი სულის სხვებისათვის გაზიარება შეაწყვეტინეს. რამოდენიმე თვეში აბდულამ ოცდაშვიდი მუსულმანი მიიყვანა ქრისტესთან და მისი სული გადმოვიდა მათზე!

თანამედროვე ინჟინრები ცდილობენ, რომ ენერგიის კრიზისისას მანქანის ისეთი დიზაინი შექმნან, რომელიც მუდმივად შეერთებული იქნება ენერგიის უწყვეტ წყაროსთან. რომლის გამომწვევი ბიძგი იქნება ის, რომ მანქანას ძალის წყაროსთან კონტაქტი ექნება ელემენტის დასატვირთად. ეს იდეა იმდენად ახალია და იმდენად უმნიშვნელო დამხმარე ენერგიის სადგურები არსებობს, რომ მისი განხორციელებისაგან ჯერ კიდევ შორს ვდგავართ. ძალის წყაროს გარეშე მანქანა უსარგებლოა. ანალოგიურად, ქრისტიანები, რომლებიც ეფექტურ დამოწმებას სულიწმიდის ძალის გარეშე ცდილობენ, უსარგებლონი არიან. ღვთის სიტყვის შესწავლასთან ერთად, დამოკიდებულნი უნდა ვიყოთ სულიწმინდის სიბრძნეზე, დაცვასა და ჩვენი დამოწმების ძალაზე. საკუთარი ძალით საქმის კეთებას ცდილობ თუ იესოს აძლევ უფლებას თავისი ძალა გადმოღვაროს შენში?



240-ე დღე

ექსტრემალური

ღვთის სიტყვის სიყვარული

ინგლისი: ახალგაზრდა მსახური ქალი

მეთექვსმეტე საუკუნეში, ფილიპ მეორემ ბიბლიის თვითნებურად მკითხველთათვის სასტიკი სასჯელი გამოაცხადა. მისი მეფობის დროს თუ ვინმეს ნახავდნენ, რომ ბიბლიას კითხულობდა, მას ან ჩამოხრჩობა ელოდა, ან ძელზე გაკვრა, ან დახრჩობა; ნაკუწებად ქცევა, ან ცოცხლად დაწვა.

მეფემ ინკვიზიტორები გაგზავნა ბრუგეს გასაჩხრეკად, რათა შეემოწმებინათ ვინმე თუ სწავლობდა ბიბლიას. ძებნისას მათ ბიბლია აღმოაჩინეს. არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ. შემდეგ ახალგაზრდა მსახური ქალი შემოიყვანეს დასაკითხად. როცა ბიბლიის შესახებ ჰკითხეს, მან თქვა, „მე ვკითხულობ ბიბლიას!“

ქალაქის მერმა მისი დაცვა გადაწყვიტა და თქვა, „ოჰ, არა, მან კითხვაც კი არ იცის.“

მაგრამ ახალგაზრდა მსახურს ტყუილებით დაცვა არ სურდა. „მართალია, ეს წიგნი ჩემია. მე ვკითხულობ მას და იგი ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია!“

მას დახრჩობით სიკვდილი მიუსაჯეს, ქალაქის კედელში ჩაშენებით. დახჩობამდე მას ჯალათებმა და ქალაქის ოფიციალურმა პირებმა უთხრეს, „როგორი ახალგაზრდა და ლამაზი ხარ, რატომ უნდა მოკვდე?“

მან უპასუხა, „ჩემი მხსნელი მოკვდა ჩემთვის. მეც მოვკვდები მისთვის.“

ბოლოს როცა ერთი აგური დარჩა დასაშენებელი კედლის დასასრულებლად, კვლავ უთხრეს,

„მოინანიე! მხოლოდ ერთი სიტყვა თქვი მონანიებისა!“

ამის ნაცვლად მან იესოსთან ყოფნის სურვილი გამოხატა და დაამატა,

„უფალო, მიუტევე ჩემს მკვლელებს!“

ზოგიერთებისათვის ბიბლია მხოლოდ წიგნია, რომელიც წლების განმავლობაში ყველაზე კარგად იყიდება. დანარჩენებისათვის, უბრალოდ ტრადიციაა, წიგნი, რომელსაც ჩუქნიან ქორწილებზე, დაბადების დღეებსა და გასვენებებზე. მრავალთათვის კი ეს ღვთის წმინდა და შთამაგონებელი სიტყვაა. ისინი ისე არიან ჩაჭიდებულნი სიტყვას, როგორც შეყვარებულნი სატრფოს წერილს და გამუდმებით კითხულობენ. რას ხედავენ ისინი ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებაში? რა იწვევს მათში მისი კითხვისათვის სიცოცხლის გაწირვის სურვილს? სთხოვეთ ღმერთს ამაზე პასუხი. თუ ჭეშმარიტება თქვენთვის გამოცანაა, სთხოვეთ ღმერთს აგიხილოთ თვალი მისი სიტყვის უფრო ცხადად დანახვისათვის. მისი დახმარების გარეშე, სიტყვები უბრალო ლაქად მოგვეჩვენება ფურცელზე. მაგრამ ღმერთს შეუძლია ამ სიტყვების გაცოცხლება.



241-ე დღე

სიკვდილამდე
მოწმე

ჩრდილო კორეა: უცნობი დედა და შვილი

რა მოხდა? ჰკითხა დედამ ოთახში შემოსულ გაოცებულ შვილს.

„დღეს ჩემს მეგობართან ერთად ორმა პოლიციელმა გაგვაჩერა. მათ ჩემი მეგობარი წააქციეს, სცემდნენ და ქრისტიანობაში სდებდნენ ბრალს. სახეში იარაღს უმიზნებდნენ, მაგრამ მაინც მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა.

„მან თვალებში შემომხედა და უსიტყვოდ მივხვდი რასაც გულისხმობდა. მას სურდა, რომ მეც იგივე მერწმუნა, რაც მას სწამდა. და შემდეგ თქვა 'აკურთხე ისინი.' მას ჩემს თვალწინ ესროლეს ქრისტიანობის გამო. არც კი ვიცი რას ნიშნავს ქრისტიანობა. არაფერი გამეგება ამის შესახებ.

ამ ამბის მოყოლის შემდეგ, დედამ შვილს ხელები თავზე მოხვია და უბრალოდ თქვა, „გასაგებია." და შვილს თავისი მხსნელის-ქრისტეს შესახებ საუბარი დაუწყო. უამბო იესოს სასწაულებრივი შობისა და მისი ჯვარზე სიკვდილის მეშვეობით ადამიანთა დახსნის შესახებ. თუმცა მტკივნეული იყო ის ფაქტი, რომ აქამდე არასოდეს უსაუბრია დედას შვილთან ამ საკითხზე მისი უსაფრთხოების მიზნით, მაგრამ ახლა ფიქრობდა, რომ ღმერთმა მას მეორედ მისცა შესაძლებლობა. „როგორც შენს მეგობარს მოხვდა ტყვიები გულში, ისე ღმერთმა თავისი იმედის მარცვალი ჩათესა შენში."

დღეს ეს ახალგაზრდა ბიჭი აქტიურად ეწევა ბიბლიების კონტრაბანდას და საოჯახო ეკლესიების დაარსებას ჩრდილო კორეაში.

ბიჭს დედამ ფიზიკური სიცოცხლე აჩუქა მისი შობით, მაგრამ ვერ გამოიყენა შესაძლებლობა, რომ შვილს ხელახლა შობით საუკუნო სიცოცხლის მიღებაში დახმარებოდა. ფიზიკური სიცოცხლე გარდამავალია, მაგრამ ღვთის საუკუნო ცხოვრება სამუდამოდ გრძელდება. როდის გავუზიარეთ ღვთის სიტყვა ბოლოს მათ ვინც ჩვენ გვიყვარს? სთხოვე ღმერთს მოგცეს მეორე შესაძლებლობა, როგორც ამ ყმაწვილის დედას მისცა. უბედურებას ნუ დაელოდები ნაბიჯის გადადგმამდე.

როგორც ხელახლა შობილნი
არა ხრწნადი თესლისაგან,
არამედ უხრწნელისაგან, ღვთის
ცოცხალი და მარადარსებული
სიტყვის მიერ.

1 პეტრე 1:23

242-ე დღე

ექსტრემალური
ჰიმნი

ჩრდილო კორეა: ელიზაბეტ პრენტისი

„ცარიელი ვარ," ტიროდა ელიზაბეტ პრენტისი. ორი შვილის დაკარგვა აუტანელ მდგომარეობად ეჩვენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხებში გრძნობის დაკარგვის გამო დიდ ტკივილს განიცდიდა ცხოვრებაში, მისი ქრისტესადმი რწმენა ყოველთვის აძლევდა მის სახეს უნიკალურ ღიმილს, რომლის მეშვეობითაც სხვებს ამხნევებდა.

ახლა აუტანელი იყო ეს ტკივილი. „ღმერთო, დაეხმარე ჩემს გატეხილ სულს." ღმერთმა უპასუხა მის ლოცვას. ერთხელ, ღრმა მწუხარებისაგან სიტყვები წარმოთქვა, რომელიც მოგვიანებით ჰიმნად დაიწერა:

შენდამი მეტი სიყვარული, ქრისტევ, შენდამი მეტი სიყვარული!
ისმინე ჩემი მუხლმოდრეკილი ლოცვა შენდამი.
ჩემი გულწრფელი თხოვნა: მეტი სიყვარული, ქრისტევ, მეტი სიყვარული...
ოდესღაც ამქვეყნიურ სიხარულს ვნატრობდი, მშვიდობასა და მოსვენებას;
ახლა მხოლოდ შენ გეძებ, მომეცი საუკეთესო...
დაე მწუხარებამ თავისი საქმე შეასრულოს, გამომიგზავნე დარდი და ტკივილი;
ტკბილია შენი მაცნე, ტკბილია მათი აკრძალვები
როცა ჩემთან ერთად მღერიან: მეტი სიყვარული, ქრისტევ, შენ...

ელიზაბეტს არ შეეძლო მაშინ წარმოედგინა, თუ როგორ გავლენას მოახდენდა მისი საგალობელი თანამედროვე ქრისტიანობაზე. როცა ჩრდილო კორეის ბოლო ხელმძღვანელმა კიმ სუნგ მეორემ, ოცდაათი იატაკქვეშა ქრისტიანი აღმოაჩინა და სახალხოდ სიკვდილით დასაჯა. ეს ქრისტიანები სიკვდილს ამ საგალობლის სიტყვებით შეეგებნენ, „მეტი სიყვარული შენ."

იესოს არ ენანება ჩვენთვის მწუხარება. მან იცის, რომ ხანდახან ეს საჭიროა. მაგრამ მას ისე ვუყვარვართ, რომ არ უნდა მწუხარებამ გვშთანთქას. ის მწუხარებას მანამდე უშვებს ჩვენს ცხოვრებაში ვიდრე თავის სასარგებლო ნაყოფს არ მოგვიტანს, და მის მსგავსებაში არ გავიზრდებით. მერე, როცა ვფიქრობთ რომ მეტის ატანა აღარ შეგვიძლია, ვხედავთ, რომ ჩვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ გარდაქმნილა. მოვა დღეები, როცა უფრო ძლიერებად ვიგრძნობთ თავს. ტვირთი უფრო მსუბუქად მოგვეჩვენება. როგორც ჩრდილო კორეელები მოელიან დევნას, ბოლოს ჩვენც მივხვდებით რას ნიშნავს ტანჯვაში სიხარული. განგიცდიათ თუ არა მწუხარება სრულად? მოგიტანათ თუ არა მან ქრისტესადმი მეტი სიყვარული?

არამედ ყველაფერში
წარმოვსდგებით, როგორც
ღვთისმსახურნი... როგორც
მწუხარენი, მაგრამ
მუდამ მოხარულნი.

2 კორინთელთა 6:4,10

243-ე დღე

ექსტრემალური
საწყობი

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

ხუცესმა რიჩარდ ვურმბრანდმა რკინის მძიმე კარი გააღო და ცემენტის დიდ ოთახში შევიდა. იატაკზე სართულებად დაწყობილ წიგნებს თვალი მოავლო. ფართო ღიმილით და თვალცრემლიანმა, ერთი წიგნი აიღო და მეგობარს აჩვენა. ეს რუმინულ ენაზე გამოცემული საბავშვო ბიბლია იყო.

ცოტა ხნის შემდეგ თქვა, „ამ საწყობის ქვედა ნაწილში ვიყავი. ზუსტად აქ, ოცი მეტრით ქვევით ვიყავი სამი წლის განმავლობაში განმარტოებულ საკანში. მთვარე და მზე არ მინახავს ამ დროის განმავლობაში. თითქმის ყოველ დღე მცემდნენ. ახლა ბიბლიები და ჩემი წიგნებია აქ შენახული. ამაზე უკეთესს რაღას მოიმოქმედებდა ღმერთი!“

1989 წლის კომუნიზმის ნგრევის შემდეგ, წამებულთა ხმის თანამშრომელებმა წიგნების საწყობისა და პრესისათვის ადგილი უმნიშვნელო თანხად შეისყიდეს. მათ რიჩარდ ვურმბრანდის ათასობით წიგნი დაბეჭდეს და დროებით შესანახად ადგილი ესაჭიროებოდათ. ბუქარესტის ახალმა მერმა ჩაუშესკოს სასახლის ქვედა ნაწილი შესთავაზა მყიდველებს საწყობად-ზუსტად ის ადგილი, სადაც რიჩარდ ვურმბრანდმა რამოდენიმე წელი გაატარა ციხესა და თავისი ქვეყნის, რუმინეთის გამოღვიძებისათვის ლოცვაში!

ციხეში ყოფნისას რიჩარდს დაცვამ უთხრა, რომ არასოდეს გაათავისუფლებდნენ და ვერასოდეს შეძლებდა ღვთისათვის სასარგებლო საქმის კეთებას. დღეს, მათი წამების ადგილი მსახურების ადგილად არის ქცეული!

ვანილი, კარაქი, შაქრის ფხვნილი, ფქვილი და კაკაო არის შოკოლადის ნამცხვრის საუკეთესო რეცეპტი. ყველა ამ შემადგენლობის ერთმანეთთან შერევისას ვიღებთ ტკბილ დესერტს. მაგრამ თუ ამ მასალიდან ცალკე ავიღებთ ერთ ინგრედიენტს-მაგალითად ვანილს-ვნახავთ, რომ მას ისეთი ტკბილი გემო არა აქვს, პირიქით მწარეა. ანალოგიურად, ღმერთი არის მთავარი მზარეული, ჩვენს ცხოვრებაში ისეთ კომპონენტებს ურევს ერთმანეთთან, რის შედეგადაც მისადმი ტკბილ შესაწირავს ვიღებთ. თავისთავად მხოლოდ ერთი გამოცდილება შესაძლოა მწარე იყოს; მაგრამ მთლიანობასთან კავშირში, ჩვენი ცხოვრება ღვთიურ შემოქმედებად გვევლინება. გადიხარ თუ არა ახლა მწარე განსაცდელს? მოიცადე და ნახე, როგორ გამოიყენებს ღმერთი ამ გამოცდილებას და სხვა გამოცდილებებს შეურევს მას. მიენდე მას, დაელოდე და ნახე.

ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველმხრივ ეწევა სასიკეთოდ.

რომაელთა 8:28

244-ე დღე

მხოლოდ შენმიერ გადატანილი ტანჯვის პროპორციის მიხედვით შეგიძლია დაეხმარო სხვებს. რაც უფრო დიდია საზღაური, უფრო მეტად ეხმარები სხვებს. რაც უფრო მცირეა საზღაური, უფრო ნაკლებად ეხმარები სხვებს. როცა საშინელ სასამართლოს, დაკითხვებს, უბედურებებს, დევნებს, კონფლიქტებს გადიხარ-ნებას რთავ სულიწმინდას იესოს სიკვდილით შენში არსებული სიცოცხლე გადაეცეთ სხვებს.

ჩილელი ქრისტიანი ვოჩმენ ლი-
რწმენის გამო ჩინეთში დაპატიმრებული

245-ე დღე

ექსტრემალური
ერთგულება

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

თორმეტი სტუდენტი ხუცესთან ერთად იდგა ღობესთან. ღობის მეორე მხარეს დიდი თხრილი იყო, რომლის მიღმაც ადამიანის ხელით გაკეთებული გამოქვაბული მოჩანდა. დიდი ლომი დადიოდა ღია გამოქვაბულის წინ და უკან.

ხუცესმა ახალგაზრდებს მიმართა, „თქვენს წინაპრებს ამ ლომების ხახაში ყრიდნენ თავიანთი რწმენის გამო. იცოდნენ რა, რომ თქვენც უნდა გეტანჯათ. თქვენ ლომების ხაროში არ ჩაგყრიან, მაგრამ ადამიანთა ხელით უნდა იტანჯოთ, რომლებიც ამ ლომებზე უარესები არიან. გადაწყვიტეთ ახლა და აქ, მისცემთ თუ არა ქრისტეს ერთგულების პირობას.“

სტუდენტებმა ერთმანეთს შეხედეს. მათ წინაშე იდგა მათი ხუცესი, რიჩარდ ვურმბრანდი, კაცი, რომელმაც თოთხმეტი წელი გაატარა ციხეში მისი იატაკქვეშა ეკლესიაში მსახურების გამო. ეს იყო ხუცესის ბოლო კვირა რუმინეთში, ის და მისი ოჯახი გამოისყიდეს და რამოდენიმე დღეში რუმინეთს დატოვებდნენ.

რიჩარდმა არ იცოდა დაიტანჯებოდნენ თუ არა საკვირაო სკოლის მოსწავლეები ათეისტი კომუნისტების ხელში, მაგრამ მას სასტიკი განსაცდელის გადამტანი რწმენის ჩანერგვა სურდა ბავშვებში. ამიტომ მიიყვანა მან ისინი ადგილობრივ ზოოპარკში ლომების სანახავად.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერაც ახალგაზრდები იყვნენ, მათ გაიგეს რას გულისხმობდა მათი ხუცესი. და ცრემლმორეულემბა უპასუხეს, „ჩვენ ერთგულებას ვუცხადებთ ქრისტეს.“

რიჩარდის გაკვეთილი დროული იყო ახალგაზრდებისათვის. შეიძლება ისინი უფროს ასაკამდე ვერ ჩასწვდნენ სრულად ტანჯვის არსს და შეიძლება არასოდეს გამოიარონ ანალოგიური ტანჯვა თავად, მაგრამ ეს ილუსტრაცია დაეხმარა მათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში. მათ თავისი ერთგულება წინასწარ მიუძღვნეს ქრისტეს. წინასწარი გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვანია წინააღმდეგობისას წარმატების მიღწევაში. გამოცდამდე დიდი ხნით ადრე უნდა გვქონდეს გადაწყვეტილი ვის ეკუთვნის ჩვენი ერთგულება. ზეწოლის მომენტი არ არის გადაწყვეტილებების მიღების სწორი დრო. ეს არის ადრე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების დრო. გაქვს თუ არა მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც ვერც შენი უფროსი, ვერც მეუღლე, ვერც ოჯახი, ვერც მთავრობა, და ვერც რომელიმე ხელისუფლება შეცვლის?

ის, რომელიც თქვენთან ერთად
გვამტკიცებს ქრისტეში და
რომელმაც გვცხო
ჩვენ, ღმერთია.

2 კორინთელთა 1:21

246-ე დღე

ექსტრემალური
დამოწმება

სომხეთი: ბართლომე

მეფე ასტიაგესი გაცოფდა. „ჩემი საკუთარი ძმა, მეუღლე და რამოდენიმე შვილი გადაიყვანე რწმენიდან! შენ შეუშალე ხელი ჩვენი ღმერთების მსახურებას! აშტაროტის მღვდლები ითხოვენ შენს სისხლს! თუ არ შეწყვეტ ამ იესოზე ქადაგებას და ჩვენს ღმერთებს არ შესწირავ მსხვერპლს, ყველაზე სასტიკი წამებით მოგკლავენ!“

მოციქულების ერთმანეთთან განშორების შემდეგ, ბართლომემ სახარება წაიღო ლიკონიაში, სირიას, ზემო აზიასა და ინდოეთში. შემდეგ სომხეთის დედაქალაქ ალბანაში წავიდა, სადაც მრავალმა მიიღო ქრისტე. რისთვისაც ბართლომე მეფის წინაშე წარადგინეს სასამართლოზე.

„მე არ გადამიბირებია ისინი,“ უპასუხა ბართლომემ, „არამედ ჭეშმარიტებისაკენ მოვაქციე. მე ვერ მივუძღვნი შესაწირავს თქვენს ღმერთებს. მე მხოლოდ ჭეშმარიტ ღმერთს ვქადაგებ, ამ მოწმობისათვის სისხლის დაღვრას ვამჯობინებ, ვიდრე ჩემი რწმენის უარყოფას!“

მეფე განრისხდა. ბართლომეს გასაჩუმებლად, მისი გამათრახება და წამება ბრძანა. მიუხედავად ამისა ბართლომე რწმენაში მტკიცედ დგომისაკენ მოუწოდებდა სხვებს. შემდეგ იგი თავდაყირა აცვეს ჯვარს და დანებით გაატყავეს. და მაინც ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთსა და მის ძესთან, იესო ქრისტესთან მისვლას ქადაგებდა. ბოლოს, მეფემ ბართლომეს ნაჯახით თავის მოკვეთა ბრძანა. ჩუმი ღაღადით მაგრამ მოწმობის დაცვით, ბეჭედი დაუსვა თავის ბედს ქრისტეში.

შეიძლება ზოგიერთებს, ვისაც ესმით წამებულთა ისტორიები ან მათი ცხოვრების შესახებ კითხულობენ, დამარცხების განცდა ეუფლებათ. რადგან, როგორც ბართლომე, დანარჩენებიც მტრის ხელით მოკვდნენ. იესოზე ანალოგიური დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. ისინი ვინც მის აღდგომას უარყოფენ ფიქრობენ, რომ იგი შესანიშნავი მასწავლებელია. რომლის მსახურებაც მისმა მოკლე ცხოვრებამ შეწყვიტა. სიკვდილი მართლა არის სატანის გამარჯვების ნიშანი? იესოს შემთხვევაში, არა. არამედ, იესოს სიკვდილი, ცოდვაზე ღმერთის უდაო გამარჯვების ნიშანია. ქრისტიანი წამებულების შემთხვევაში კი, მათი მოწმობით გამოწვეულმა მხნეობით სავსე სიკვდილმა უფრო მეტი ადამიანი მიიყვანა რწმენაში ვიდრე-მათმა სიცოცხლემ. ღვთის განდიდება შესაძლებელია როგორც სიკვდილით ასევე სიცოცხლით.

გაიმარჯვეს მასზე კრავის
სისხლით და მათი მოწმობის
სიტყვით და არ შეიყვარეს მათი
სული თვით სიკვდილამდე.

გამოცხადება 12:11

247-ე დღე

ექსტრემალური
განცხადება
რომი: მოციქული პავლე

პავლემ ტიმოთეს მიწერა, „იღვაწე რწმენის კეთილი ღვაწლით. ჩაეჭიდე საუკუნო სიცოცხლეს, რომლისთვისაც მოწოდებულნი ხართ.“ (1 ტიმოთე 6:12). მისთვის კარგად იყო ცნობილი ბრძოლა.

იგი კორინთელებს თავისი გამოცდილების შესახებ მოუთხრობს: „დიდ მოთმინებაში, მწუხარებაში, გაჭირვებაში, შევიწროვებაში, ცემაში, საპყრობილეში, შფოთში, უძილობაში, მარხვაში... როგორც მომაკვდავნი, და აჰა, ვცოცხლობთ! როგორც დასჯილნი, მაგრამ არ ვკვდებით; როგორც მწუხარენი, მაგრამ მუდამ მოხარულნი; როგოც ღატაკნი, მაგრამ მრავალთა გამამდიდრებელი, როგორც უქონელნი, მაგრამ ყველაფრის მქონენი“ (2 კორინთელთა 6:4-5; 9-10).

სასიკვდილო განაჩენით ციხეში მყოფმა პავლემ ფილიპელებს მისწერა, „ვინაიდან ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი-მონაგები. თუ ხორციელი ცხოვრება ნაყოფს შემატებს ჩემს საქმეს, არ ვიცი, რა ამოვირჩიო. მიზიდავს ორივე: მსურს წავიდე და ვიყო ქრისტესთან, რაკი ეს ბევრად უკეთესია, მაგრამ ხორცში დარჩენა უფრო მეტად თქვენთვის არის საჭირო. მე კი დანამდვილებით ვიცი, რომ დავრჩები და ვიქნები თქვენთან ყველასთან ერთად თქვენი წარმატებისა და რწმენის სიხარულისათვის“ (ფილიპელთა 1:21-25).

რამდენიმე წლის შემდეგ, ტიმოთეს მისწერა, „კეთილი რწმენით ვიბრძოდი, განვვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე“ (2 ტიმოთე 4:7). რომში, სამოცდაოთხი წლის ასაკში პავლეს თავი მოჰკვეთეს იმპერატორ ნერონის ბრძანებით და იესოსთან წავიდა სამუდამოდ.

თუ ტანჯვაში ძალისხმევის მოპოვებისათვის შთაგონება გვჭირდება, პავლეს ცხოვრების სხვა ასპექტებიც უნდა განვიხილოთ. პავლეს სარბიელი ბრძოლებით დაიწყო. საქმეების წიგნში მრავალ, მის მიერ გადატანილ განსაცდელზეა საუბარი. მიუხედავად ამისა ეს ყველაფერი არაფრად მიაჩნდა ქრისტეს შეცნობისა და მისი ხალხისათვის გაცნობის გამო. შეგიძლია თუ არა იგივეს თქმა, რაც პავლემ თქვა, როცა საქმე ტანჯვაზე მიდგება? შესწევს თუ არა სხვა რაიმე ძალას ჩამოგაშოროს შენს მიზანს ქრისტეს შეცნობასა და მისი სხვებისათვის გაზიარების საქმეში? თუ შიშობ, რომ ერთგულების მსახურების ბოლო წრეზე მირბიხარ, მოუსმინე პავლეს გამამხნევებელ სიტყვებს და განიახლე ძალა.

> მაგრამ სიცოცხლე არად მიღირს,
> ოღონდ კი იმ ჩემს სარბიელსა
> და მსახურებას დავასრულებდე,
> რომელიც უფალ იესოსგან
> მივიღე, რათა დავამოწმო ღვთის
> მადლის სახარება.
>
> *საქმეები 20:24*

248-ე დღე

ექსტრემალური
„ბაპტისტი“

იუდეა: იოანე ნათლისმცემელი

იოანე ნათლისმცემელს არასოდეს განუცდია მარცხი სიმართლის ლაპარაკში. როცა მეფე ანტიპამ ცოლი გაუშვა და საკუთარი ძმის ცოლი შეირთო, იოანემ ეს უსამართლობად აღიარა. მან ჰეროდეს უთხრა, რომ ღვთის კანონისადმი დაუმორჩილებლობა იქნებოდა ეს ქმედება. ამის გამო სძულდა ჰეროდეს იოანე, მაგრამ ეშინოდა კიდეც, რადგან ხალხს იგი წინასწარმეტყველად მიაჩნდა. ჰეროდეს იოანეს მოკვლა სურდა, მაგრამ ხალხის შიშით ამას ვერ ბედავდა. მისი ახალი ცოლის, ჰეროდიას, ზეწოლის შედეგად, სხვა გამოსავალი ნახა და ციხეში ჩასვა.

ციხეში ყოფნისას, იოანემ იესოს მოწაფეები გაუგზავნა და სთხოვა დაემოწმებინა, რომ იესო იყო ის, ვისზედაც მან იწინასწარმეტყველა. როცა იესომ ამის შესახებ დაამოწმა, იოანემ მოისვენა, დარწმუნდა რა იმაში, რომ მისი მისია აღსრულდა. მესია მოვიდა. იოანემ იცოდა, რომ ის რაც მას შეემთხვა უმნიშვნელო იყო. მხოლოდ იესო იყო ყველაფერზე მნიშვნელოვანი.

მეფე ჰეროდეს დაბადების დღეზე, დედოფალმა ჰეროდიამ თავისი ქალიშვილი მეფის წინაშე საცეკვაოდ გააგზავნა. მეფე ჰეროდე დაუფიქრებელად დაჰპირდა გოგონას იმის მიცემას რასაც სთხოვდა; მან კი იოანეს თავი მოითხოვა ლანგრით. ჰეროდე, სტუმრების წინაშე შეცბა, მაგრამ გამბედაობა არ ეყო ამ თხოვნაზე უარის სათქმელად და იოანეს თავი მოჰკვეთა.

მრავალი ადამიანია აღტაცებული საკუთარი სიმამაცით, მაგრამ წამებულები არ ცხოვრობენ ამისათვის. შეიძლება ისეთი პატივი მიაგო მათ ისტორიებს, რომ მათი ცხოვრების მიზნის ხედვა დაგეკარგოს. ვინც თავისი რწმენისთავის გასწირა სიცოცხლე, იესოს განდიდებისათვის მოკვდა და არა მისი დაჩრდილვისათვის. ადამიანი თავის ცხოვრებით პატივისცემას უნდა გამოხატავდეს ღვთის მიმართ და არა ხორცისა და სისხლის მიმართ მოკრძალებას. შენი ვალდებულების განცდა არ უნდა ატარებდეს რაინდად კურთხევის მოლოდინს. შენი ერთგულება არ არის ის, თუ როგორი სახელით შეხვალ გამოჩენილ ქრისტიანთა სიაში. შენმა ვალდებულებამ დიდება უნდა მოუტანოს მხოლოდ იესოს.

ის უნდა იზრდებოდეს,
მე კი ვმცირდებოდე.

იოანე 3:30

249-ე დღე

ექსტრემალური
ჩანაწერების დამცველი

კომუნისტური ციხე: ფლორიცა

ფლორიცა სკეპტიკოსი იყო და იმედი დაკარგა. უკვე რამოდენიმე კვირის განმავლობაში ხედავდნენ, რომ ქალები ციხიდან გაჰყავდათ. არავინ იცოდა სად მიდიოდნენ ისინი; მათ ჯერ ეზოში კრებდნენ და სიის მიხედვით იძახებდნენ. შეიძლება მართლა ათავისუფლებდნენ.

როცა თავისი სახელი გაიგონა, გადაწყვიტა მორჩილად შეხვედროდა ღვთის ნებას, მნიშვნელობა არ ჰქონდა რაც უნდა ყოფილიყო.

საწერ მაგიდასთან მჯდომმა მაიორმა თქვა, „ამ ადგილზე, უნდა იცოდე, რომ მე უფრო ძლიერი ვარ ვიდრე შენი ღმერთი. აქამდე ჯერ არაფერი გაუკეთებია ღმერთს შენს გამოსასარჩლებლად. მართლა შეეგუე ამ მდგომარეობას? აქამდე უნდა მიმხვდარიყავი, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში შენი ღმერთი არავის სჭირდება! და არც შენ უნდა გჭირდებოდეს. თუ ოდესმე გაგათავისუფლეს, ნახავ როგორი მიღწევები გვაქვს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და ეს ჯერ კიდევ დასაწყისია!“

ფლორიცამ მაგიდაზე დაწყობილ დოკუმენტებს დახედა და უპასუხა, „ვხედავ, რომ ძლიერი ხარ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს შესახებ ფლობ ინფორმაციას, რაც მე არასოდეს მსმენია და რასაც ჩემი ბედის გადაწყვეტა შეუძლია. მაგრამ ღმერთიც ინახავს ჩანაწერებს. მის გარეშე არცერთ ჩვენთაგანს არ გვექნება სიცოცხლე. ასე რომ, აქ დავრჩები თუ გამათავისუფლებენ, ისე მივიღებ როგორც ჩემთვის საუკეთესო შესაძლებლობას.“

სამი დღის შემდეგ ფლორიცა გაათავისუფლეს.

სკოლის ბავშვები მალე აცნობიერებენ დაფის ძალას. ბავშვის პერსპექტივიდან, დაფაზე დაწერილი სახელი გულისხმობს მეამბოხე მოსწავლეს. ვოცნებობდით ამ დაფაზე იმ ბავშვების სახელების მოხვედრას პრობლემებს რომ გვიქმნიდნენ. დარწმუნებული ვიყავით რომ ნამდვილად და სწრაფადაც დასჯიდნენ. ბავშვური რწმენა ხომ არ დავკარგეთ? ისეთი ღონემიხდილნი ხომ არ ვართ დღევანდელ მსოფლიოში ბოროტის გავრცელებით, რომ აღარ გვჯერა, რომ ღმერთი „სახელების ჩანაწერებს ინახავს?“ ბიბლია გვასწავლის, რომ მთელი ქვეყნიერება აგებს პასუხს ღვთის წინაშე. ჰოდა, იმედს ნუ დაკარგავ დაუსჯელი ბოროტების დანახვისას. ღმერთი მოუვლენს მათ სამართალს.

... რათა დაიხშოს ყოველი ბაგე და
მთელი სოფელი ბრალდებული
გახდეს ღვთის წინაშე.

რომაელთა 3:19

250-ე დღე

ექსტრემალური
რევოლუციონერები

რომი

პირველი ქრისტიანები სულიერი რევოლუციონერები იყვნენ. საზოგადოებაში, რომელიც კერპებს ეთაყვანებოდა და მათ უარმყოფელებს „ათეისტებს“ უწოდებდა, ქრისტიანობა რადიკალურ საფრთხედ მიიჩნეოდა რომის მომავლისათვის. ქრისტიანები რომის უმეტეს კანონებს ეწინააღმდეგებოდნენ და რომის ძალაუფლების საშიშროებად აღიქმებოდნენ. ისინი იმდენად სძულდათ, რომ არა მარტო ახარებდათ მათი სიკვდილი, არამედ მათი საშინელი მკვლელობისათვის ზეიმებს მართავდნენ.

რევოლუციონერები ის ქრისტიანები იყვნენ, რომლებიც საბოლოო სასამართლოსა და ქრისტეს მეორედ მოსვლის ფაქტით ქვეყნიერების გარდაქმნის შესახებ იუწყებოდნენ მრავალთა გადასარჩენად. ისინი ქრისტეს რომის იმპერატორის ძალაუფლებაზე მაღლა აყენებდნენ. ამიტომ გამოსცა რომის იმპერატორმა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ყოველი, ვინც ქრისტიანობას აღიარებდა სიკვდილით უნდა დასჯილიყო ყოველგვარი გასამართლების გარეშე. არანაირი შესაფერისი პროცესით საქმის წარმართვა იმ „რევოლუციონერებისათვის“ რომლებიც იმპერატორის ძალაუფლებას კითხვის ქვეშ აყენებდნენ. რომაულმა იმპერიამ დევნის ათი საშინელი პერიოდი დააფინანსა, ახალი დევნა უკანასკნელზე უარესი იყო.

რევოლუციონერები წამებულის სახელით იყვნენ ცნობილნი. ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა იმ მოწმეთა მიმართ, რომელნიც მტკიცედ იცავდნენ თავიანთ მოწმობას მოსამართლეებისა და იმპერატორების წინაშე, კარგად გაწვრთილი ჯარისკაცისათვის შესაფერისი ურყევობით. მათ უწოდებდნენ წამებულებს ან მოძღვრებს თუნდაც წამების შედეგად არ მომკვდარიყვნენ. ისინი უბრალოდ არ იცვლიდნენ აზრს. წამებული ნიშნავს ადამიანის ქრისტესადმი რწმენის დამოწმებას, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა. ქრისტეს ყოველი მოწმე არის თანამედროვე რევოლუციონერი.

წამებულები ისეთივე ადამიანები იყვნენ ისტორიაში, როგორც დღეს ჩვენ ვართ, ჯარისკაცები სულიერ ომში. ეს ომი დაიწყო მაშინ, როცა ქრისტემ ჯვარზე თავისი სიკვდილით სატანას ძალა გამოაცალა. ამ სიკვდილში მან განაიარაღა ჯოჯოხეთი და მისი დემონები. წამებულები ამ ბრძოლას აგრძელებენ არა ფიზიკური, არამედ სულიერი იარაღით. მათი აღიარება მათი იარაღია. ისინი გაბედულად მიაბიჯებენ მტრის ტერიტორიაზე, და უშიშრად აცხადებენ ქრისტეს სატანაზე გამარჯვებას. ეს ფასდაუდებელი საკუთრება არ არის მათი ცხოვრება, არამედ მათი დამოწმება. ამიტომ ცვლიან სიცოცხლეს რწმენაში თავისი სურვილით. შეუდგები თუ არა ბრძოლას? გსურს თუ არა აღმართო იარაღი შენი დამოწმების დასაცავად?

ჩაეჭიდე საუკუნო სიცოცხლეს,
რომლისათვისაც მოწოდებული
ხარ და აღიარე კეთილი აღსარება
მრავალი მოწმის წინაშე.

1 ტიმოთე 6:12

251-ე დღე

დიდი დავალება

ღმერთს ჩემი მეზობლის დახმარება,
შორეულ ქვეყანაში სახარების წაღება,
და ავადმყოფთათვის ნუგეშის ცემა
ვთხოვე, მაგრამ მან მითხრა,
თუ გიყვარვარ, იყავი ჩემი ხელები.

ღმერთს მომაკვდავების, ობლების,
და პატიმრების მონახულება ვთხოვე,
მაგრამ მან მითხრა,
თუ გიყვარვარ, ფეხზე იდექი მყარად.

ღმერთს ღარიბების დახმარება ვთხოვე,
და ყოველი მოტირალი
ბავშვის თვალყური,
და ყოველი კაცის საჭიროების
განხილვა, მაგრამ მან მითხრა,
თუ გიყვარვარ, იყავი ჩემი თვალები.
ღმერთს ვუთხარი, რომ
მინდა მას ვემსახურო,
მაგრამ არ ვიცი საიდან დავიწყო.
სიყვარული არის პასუხი, მითხრა მან.
თუ გიყვარვარ, იყავი ჩემი გული.

გ. შირიე ვესტფოლი

ექსტრემალური
სიმტკიცე

პატმოსი: მოციქული იოანე

როგორ უნდა მოექცე ადამიანს, რომელიც ზეთში მოხარშეს მაგრამ არ მოკვდა?

ამბობენ, რომ იმპერატორმა დომიციანემ იოანეს ზეთში მოხარშვით სიკვდილი ბრძანა, მაგრამ იოანემ ქვაბიდან ქადაგება გააგრძელა. მეორედ იოანეს საწამლავი დაალევინეს, მაგრამ მარკოზის 16:18 დაპირებისამებრ არაფერი ევნო. და იოანე, ეფესოს ეკლესიის იმდროინდელი თავი, პატმოსზე გააძევეს ჩ.წ.ა-ით 97 წელს.

იოანე ყოველივე ამას იმიტომ გადაურჩა, რომ ღმერთს მისი მეშვეობით გასაკეთებელი საქმე ჯერ არ დაუსრულებია. „გამოცხადება“ ჯერ კიდევ არ მიუღია.

პატმოსის კუნძულზე გამოქვაბულში ყოფნისას, იოანეს მიეცა ხედვა. ეს ხედვა გადაიქცა გამოცხადების წიგნად-წიგნი, რომელიც ეკლესიის ისტორიაში მამოძრავებელი ძალა გახდა. იგი წინასწარმეტყველებს იესო ქრისტეს დაბრუნების შესახებ. იოანემ იესოს მეორედ მოსვლაზე დაწერა და სიხარულით შეხვდა ამას. მისი ნაწერები დღესაც კი შთააგონებს მორწმუნეებს ქრისტეს დიდებით დაბრუნების მოლოდინს.

იოანეს გადასახლებიდან ორი წლის შემდეგ, იმპერატორი დომიციანე გარდაიცვალა, და იოანე ეფესელთა ეკლესიას დაუბრუნდა. ყველაზე ახალგაზრდა მოციქულმა ყველაზე დიდხანს იცოცხლა და მშვიდობით განუტევა სული ეფესოში ოთხმოცი წლის ასაკში, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იესოს ეკლესიისადმი ურყევ მსახურებაში.

შეუძლებელია ღვთის სამსახურიდან უკან დახევა. ჰკითხეთ იოანეს. მაშინ, როცა სიკვდილიანობის საშუალო ასაკი უფრო ახალგაზრდულ წლებს მოიცავდა, იოანემ ოთხმოც წლამდე იცოცხლა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ღმერთს. შეიძლება დარწმუნებული არა ხართ გამოდგებით თუ არა ღვთის სამსახურისათვის. შეიძლება მოხუცებულად თვლით თავს და მოელით, რომ უფრო ახალგაზრდას გამოიყენებს ღმერთი საქმეში. ან დაუქორწინებელი ხართ და ფიქრობთ, რომ ღმერთს დაოჯახებული წყვილი ჰყავს მხედველობაში. მიზეზების გამო უკან ნუ დაიხევ, ღმერთს შენი სულის განმტკიცება სურს, რაზეც ადვილად გულს ვერ გაიტეხ. დღესვე სთხოვე ღმერთს გაჩვენოს მსახურების შემდეგი ნაბიჯი.

მე ვარ იოანე, თქვენი ძმა და
მოზიარე გასაჭირში, სუფევასა
და იესო ქრისტეს მოთმინებაში.
ვიყავი კუნძულზე, რომელსაც
ეწოდება პატმოსი, ღვთის
სიტყვისათვის და იესო ქრისტეს
მოწმობისათვის.

გამოცხადება 1:9

253-ე დღე

ექსტრემალური
დაუმორჩილებლობა

იერიხო: რახაბი

როცა იესო ნავეს ძემ ორი მზვერავი გაგზავნა იერიხოს მიწის დასაზვერად, ისინი მრუში ქალის, რახაბის სახლში დაიმალნენ, რახაბის სახლი იერიხოს კედლის გასწვრივ ისე იყო აშენებული, რომ არასასურველი სტუმრებისათვის გასასვლელს კეტავდა. როცა მეფემ ისრაელი მზვერავების ქალაქში მოსვლის შესახებ შეიტყო, დაუყოვნებლივ გაუგზავნა სიტყვა რახაბს. და მის სახლში შესული მზვერავების გამოყვანა მოსთხოვა.

რახაბი არ დაემორჩილა მეფის ბრძანებას და მზვერავები დამალა, ტყუილიც კი თქვა მათი ადგილსამყოფელის შესახებ. იმ საღამოს, მზვერავები თავისი სახლის ფანჯრიდან თოკით ჩაუშვა და გააპარა ქალაქიდან.

რახაბმა რაღაც იცოდა ისრაელის ღმერთის შესახებ და მზად იყო დახმარება გაეწია მისი ხალხისათვის. მან დაუმორჩილებლობა გამოუცხადა საკუთარ წარმართულ ხელისუფლებას და ამით საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო. რის შედეგადაც საბოლოოდ გადარჩა.

ანალოგიური ამბავი არის აღწერილი საქმეების 9:25. მოქცევიდან მოკლე ხანში, პავლემ რამოდენიმე დღე დაჰყო მოწაფეებთან დამასკოში, სინაგოგებში ქადაგებასა და სწავლებაში. ებრაელები იმდენად გულგატეხილნი იყვნენ პავლეს ცვლილებით, რომ მას მუქარად მიიჩნევდნენ. მოწაფეებმა პავლე ქალაქის კედლიდან გააპარეს, რადგან ებრაელები მის ჩუმად მოკვლას ლამობდნენ.

ზოგიერთი ქრისტიანი ფიქრობს, რომ ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა დევნის გარანტიაა ქრისტიანობა აკრძალულ ქვეყნებში. იმსახურებენ თუ არა ჩინელი ქრისტიანები იმ ცემის ატანას, რასაც ისინი ეკლესიის ოფიციალურ ეკლესიად დარეგისტრირების უარისათვის იტანენ? იმსახურებენ თუ არა ჩაქოლვას მუსულმანურ სამყაროში ქრისტიანობაზე მოქცეული მუსულმანები? შეიძლება სახარებისეული ადგილები სხვადასხვაგვარად იქნეს განმარტებული, მაგრამ ყველა ქრისტიანი შეთანხმდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მთავრობას ნება დავრთოთ, ღვთის კანონებისადმი დაუმორჩილებლობა გვაიძულოს. რა თქმა უნდა, ეს სახელმწიფოსადმი პიროვნული შურისძიების უფლებას არ აძლევს ქრისტიანებს. დაუმორჩილებლობა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა გვაიძულებენ არჩევანი გავაკეთოთ ქრისტესა და სახელმწიფო კანონებს შორის. რომელ აზრს ემხრობით ამ შემთხვევაში? შეისწავლე წერილი და მიიღე გადაწყვეტილება.

> არ არსებობს ხელმწიფება,
> თუ არა ღვთისაგან, ხოლო
> არსებულნი ღვთის მიერ
> არიან დადგენილნი.
>
> *რომაელთა 13:1*

254-ე დღე

ექსტრემალური
მოტყუება

ჩრდილო კორეა: მოხუცი ქალბატონი

„ერთ დღეს მასწავლებელმა გვითხრა, რომ განსაკუთრებული თამაში უნდა გვეთამაშა. ყურში განსაკუთრებული წიგნის სახელი ჩაგვჩურჩულა, რომელიც შეიძლება ჩვენს მშობლებს სადღაც ჰქონდათ სახლში დამალული. უნდა დაგვეცადა ვიდრე მშობლები დასაძინებლად წავიდოდნენ, წიგნი მოგვეძებნა და ჩუმად წაგვეღო სკოლაში განსაკუთრებული საჩუქრის სანაცვლოდ. სახლში მისვლისთანავე შევუდექი წიგნის ძებნას.

„მეორე დღეს ერთი თოთხმეტთაგანი ვიყავი ვინც შავი წიგნი, ბიბლია, მოიტანა კლასში. წითელი, კაშკაშა ყელსახვევით დაგვაჯილდოვეს და ბავშვები ტაშს უკრავდნენ როცა მასწავლებელმა მარშით ოთახი შემოგვატარა.

„იმ დღეს გახარებული გავიქეცი სახლში, რათა დედაჩემისათვის მეთქვა წითელი ყელსახვევით დაჯილდოვების შესახებ. ვუცდიდი, მაგრამ არც დედა და არც მამა არ გამოჩნდნენ და შემეშინდა. მშიოდა და ღამდებოდა. შინაგანად ცუდად ვიყავი და სკამზე ჩამეძინა.

„მეორე დღეს პოლიციის ოფიცერი მოვიდა და მითხრა, რომ ამიერიდან სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ უნდა ვყოფილიყავი. ამის შემდეგ აღარასოდეს მინახავს ჩემი მშობლები.“

ეს ამბავი ერთმა მოხუცმა ქალბატონმა გვიამბო ჩრდილო კორეიდან. მას არაფერი სმენია მშობლებისაგან და უჭირს თავის პატიება. ეს ქალბატონი მრავალთაგან ერთ-ერთია, რომლებმაც ასეთი განსაცდელი გაიარეს.

პოპულარული კარიკატურისაგან განსხვავებით, ეშმაკი არ გვეცხადება წითელ კოსტუმსა და ფიწლით ხელში. ადვილად გამოვიცნობდით ეშმაკის ასეთ აშკარა ფორმას. თუმცა, ამ ამბავში მოთხრობილი გოგონას მსგავსად ხშირად წავაწყდებით სატანას განსხვავებული ფორმით. მტრების წარმომადგენლები ხშირად მაღალი თანამდებობის მომხიბვლელი ადამიანები არიან. წარმოიდგინეთ რბილად მოლაპარაკე ბიზნეს პარტნიორი, ან უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც მთელი აკადემია უპყრია ხელთ. როგორც ამ ამბავში აღმოაჩინა გოგონამ, ეშმაკი ბინძურ თამაშს თამაშობს. მიამიტობა უნდა მივატოვოთ და თავი დავიცვათ მტრისა და მისი წარმომადგენლებისაგან, სადაც არ უნდა შევხვდეთ მათ. ადვილად ნადიროობს მტერი შენზე? თუ ფხიზელსა და დაცულ მდგომარეობაში გხედავს?

და არ არის საკვირველი, რადგან თვით სატანაც ხომ სინათლის ანგელოზად გარდაისახება. ამიტომ დიდი ამბავი არ არის, თუ მისი მსახურნიც სიმართლის მსახურებად გარდაისახებიან. მაგრამ მათი ბოლო მათი საქმეთამებრ იქნება.

2 კორინთელთა 11:14-15

255-ე დღე

ექსტრემალური
პატიმარი

ვიეტნამი: დინჰ ტრუნგი

დინჰ ტრუნგი ათასობით კილომეტრს გადიოდა ტალახიან გზებზე ველოსიპედით, კხოს ტომისათვის სახარების საქადაგებლად. ეს იმ სამოც ტომთაგან ერთ-ერთია, რომელსაც ვიეტნამის სახელმწიფო ევანგელისტი სტუმრების მიღებას უკრძალავს. 1995 წლის 4 აპრილს, სოფელში შესვლისას მოულოდნელად პოლიციამ ველოსიპედიდან ჩამოაგდო და ცემა დაუწყო. ვიდეო გადაუღეს და სოფლელების წინაშე მასხარად აიგდეს.

ციხეში ჩასვეს და ექვსი თვე სასამართლომდე ალოდინეს. როცა საბავშვო საგალობელი იგალობა, „გიყვარდეს ღმერთი დღე და ღამე," უფრო მეტი დროის გატარება მიუსაჯეს ციხეში.

ბოლოს, სახელმწიფოზე ქრისტიანული ჰუმანიტარული ორგანიზაციიდან ზეწოლის შედეგად, ტრუნგს ექვსი თვით ადრე გათავისუფლება შესთავაზეს. მას ერთგული მეუღლე და ორი პატარა ბავშვი ელოდებოდა სახლში, მაგრამ ევანგელისტი სახლში წასასვლელად მზად არ იყო! მან დაკარგულებისათვის ქადაგების შესაძლებლობა დაინახა ციხეში. როგორ უნდა მოპყრობოდნენ? ის უკვე ციხეში იჯდა!

ტრუნგის მცდელობის შედეგად მრავალი მივიდა ქრისტესთან ნქუანგ ნგაის ციხეში. გაიგო, რომ მრავალი ქრისტიანი ლოცულობდა და შუამდგომლობას აღძრავდა მისთვის, როგორ შეეძლო არ გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა და მაგალითი არ მიეცა ხალხისათვის და საკუთარი სიცოცხლე არ გაეწირა ღვთის სასუფევლისათვის? ტრუნგმა უარი თქვა ადრე გათავისუფლებაზე, ციხეში დარჩა და ევანგელიზაცია გააგრძელა.

როცა ტრუნგი სხელმწიფო პატიმრობაში იმყოფებოდა და სასტიკად აწამებდნენ. როცა თავისი სურვილით უარი თქვა ადრე გათავისუფლებაზე, მაშინ იესო ქრისტეს პატიმარი გახდა. სახელმწიფო მის გატეხვას ეცადა. მისმა ახალმა ბატონმა-იესომ-აღადგინა იგი. სახელმწიფო მისი უწყების მიჩუმათებას შეეცადა. იესომ კი ეს უწყება ციხის ყველა საკანში წაიღო, და ტრუნგი ორჯერ იმაზე უკეთესი ევანგელისტი გახადა ვიდრე დაპატიმრებამდე იყო. ტრუნგი გვახსენებს რას ნიშანვს ქრისტეს ხელმძღვანელობის ქვეშ თავისუფლების სიხარული, ამ ცხოვრების მწუხარებასა და უბედურებაში მონობის განცდისასაც კი. შეიძლება გრძნობ, რომ ანალოგიური დეპრესიული მდგომარეობის მონა ხარ. იესო გაგათავისუფლებთ თუ მას თქვენი ცხოვრების ნამდვილ ბატონად აღიარებთ.

ამისათვის მე, პავლე, ქრისტეს
პატიმარი თქვენთვის,
წარმართებისათვის...

ეფესელთა 3:1

256-ე დღე

ექსტრემალური
ხუცესი

სუდანი: ხუცესი ლუკა

ძნელი იყო ხუცეს ლუკასათვის ხუთ შვილთან და მეუღლესთან გამომშვიდობება და ლტოლვილთა ბანაკიდან სამხრეთ სუდანში მსახურებისათვის გამგზავრება. სამი თვე ვეღარ ნახავდა საკუთარ ოჯახს, რადგან მისი მსახურების ადგილი ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული ადგილია სამოქალაქო ომისა და ისლამური მთავრობის თავდასხმებისაგან.

ხუცეს ლუკას კრებულს ეკლესიის შენობა არ გააჩნია, რადგან უამრავი შენობა დაინგრა ათეული წლების განმავლობაში სუდანის ომში. ისინი ყოველ კვირა დიდი ხის ჩრდილის ქვეშ იკრიბებიან, რომელზედაც ჯვარია ამოკვეთილი. მსახურების განმავლობაში წევრები მიწაზე სხედან ან დგანან, სანამ ხუცესი ლუკა ხეზე ამოკვეთილ ჯვარზეა მიყრდნობილი და ქადაგებს.

ხუცესი ლუკა რომ თავის ოჯახთან დარჩენილიყო, ყოველ დღე ექნებოდა მათთვის დრო. რა თქმა უნდა, ჰუმანიტარული ორგანიზაციები აგრძელებენ იძულებით გადაადგილებული სუდანელებისათვის საკვებით მომარაგებას, მათი ფიზიკური საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით. მაგრამ, ლუკას ღმერთმა ხალხის სულიერი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მოუწოდა. მის ნაცვლად სხვა ვინ წავიდოდა თუ არა ის?

ლუკა იმ რეგიონში მუშაობს სადაც აქამდე ეკლესია არ ფუნქციონირებდა. ის ღვთის ნებას ემორჩილება და მარილისა და სინათლის დანიშნულებას ასრულებს ომის შედეგად დაზარალებულ სოფლებში. ლუკასათვის რთულია-ხანდახან გამაოგნებელიც-ოჯახის დატოვება. ამიტომ დააჯილდოვა ღმერთმა მისი მიძღვნილება მზრდადი და მოძრავი „ხის ეკლესიით“.

ხანდახან ღვთის საქმე ჩვენს საყვარელ ადამიანებს გვაშორებს. თვით იესომ ყველაფერი დატოვა, თავისი სოფელი, ოჯახი და ოცდაათი წლის ასაკში მსახურებას შეუდგა. თუ ჩვენს ცხოვრებაში ღვთის გეგმების დაცვას ვაპირებთ, მაშინ იგი ხშირად ჩამოგვაშორებს ნაცნობ გზას და უცნობი გზისაკენ წაგვიძღვება. მაგრამ, როცა ჩვენი მოგზაურობის შედეგად ჩამოშორებულნი ვართ ჩვენს საყვარელ ადამიანებს, სახლს, კომფორტს და უსაფრთხოებას, არასოდეს არ ვართ დაშორებული ქრისტეს სიყვარულთან. მისი სიყვარული ჩვენი განუყოფელი თანამგზავრია, თუმცა მარტო არასოდეს ვართ. გენატრება სახლი? ოჯახი? მეგობრები? თუ დარწმუნებული ხარ რომ ღვთის ნებას მიჰყვები შენს ცხოვრებაში, მაშინ არ უნდა ჩამოშორდე ამ გზას. ქრისტე იქნება შენი მუდმივი თანამგზავრი.

ვის შეუძლია ჩვენი ქრისტეს
სიყვარულისაგან ჩამოშორება?

რომაელთა 8:35

257-ე დღე

ექსტრემალური
სატელევიზიო მქადაგებელი

ვიეტნამი: ძმა კებე

როცა კებეს შვილებმა მამა პირველად ნახეს ვიეტნამის ტელევიზიით, ძალიან გაუხარდათ. მაგრამ მათი სიხარული მაშინვე გაქარწყლდა, როგორც კი დიქტორმა მათი მამა კრიმინალად გამოაცხადა. ისინი ამბობდნენ, რომ მას ბრალი ედებოდა ვიეტნამის მთავრობის წინააღმდეგ მრავალი „დანაშაულის“ ჩადენაში.

ძმა კებეს „დანაშაული“ იყო სახარების არარეგისტრირებულ საოჯახო-ეკელსიებში ქადაგება. მთავრობამ მისი სურათი ტელევიზიით გამოაქვეყნა, მისი შერცხვენისა და საზოგადოების გაფრთხილების მიზნით, რათა მისგან შორს დაეჭირათ თავი. მათ რადიო-ტელევიზიით გაუშვეს პოლიციის დაკითხვის ჩანაწერი, რამაც მხოლოდ სახარების გავრცელებას შეუწყო ხელი და რამაც საშუალება მისცა კებეს უფრო მეტი ადამიანისათვის ექადაგა ქრისტე. ტელევიზიით მისი სახის მხილველნი რწმენის შესახებ ეკითხებოდნენ და ისიც ქრისტეს შესახებ უამბობდა მათ.

მან ახსნა, „მათ ჩემი სურათი გამოაქვეყნეს ტელევიზიით, რათა ხალხს ადვილად შეძლებოდა ჩემი ცნობა. ჩემი მეზობლები მეუბნებოდნენ, ‘რატომ ტოვებ ოჯახს?’ მე მათ ვუთხარი, რომ ღმერთი იზრუნებს ჩემს ოჯახზე. მე უნდა წავიდე. სამკალი მზად არის, და მუშაკნი მცირედნი არიან.“

დაინახეს რა, რომ სახალხოდ შერცხვენამ კებეს მსახურებას ხელი ვერ შეუშალა, პილიცია დაემუქრა, რომ თუკი ნახავდნენ, რომ ქადაგებდა დააპატიმრებდნენ. „ჩემს მეუღლეს ახარებს, რომ ჩვენი სახელები სიცოცხლის წიგნშია ჩაწერილი რომლის მოწმობაც ტელევიზიით გამოქვეყნებული ჩემი სურათია. პოლიცა დახმარებას უწევს სახარების გავრცელებას. მათ შეუძლიათ დახურონ ეკლესია, მაგრამ ჩვენს დამოწმებას ვერ შეეხებიან.“

მორწმუნეები შეიძლება ძელზე გააკრან, ციხის საკანში გამოკეტონ ან მავთულხლართებში გამოამწყვდიონ. მორწმუნეები მოკვდებიან კიდეც. მიუხედავად ამისა სახარება იცოცხლებს. კებე გვახსენებს, რომ სახარება არ არის ეკლესიის შენობა, შეხვედრა, ან რომელიმე მორწმუნე. საეკლესიო შენობა შეიძლება დახურონ. შეხვედრა შეიძლება დაარბიონ. მორწმუნეები შეიძლება დააპატიმრონ ან მოკლან. ქრისტიანობის შენეული გაგება რომელიმე ხუცესთან ან საეკლესიო საქმიანობასთან ხომ არ არის გაიგივებული? ეს გარეგნული ფორმები რომ გაქრეს, მაინც იქნება თუ არა შენი რწმენა აყვავებული (ისე როგორც აკრძალულ ქვეყნებში)? ღვთის სიტყვა მაინც დარჩება მიუხედავად ამ აკრძალვებისა. იპოვი თუ არა გზას, კებეს მსგავსად, რწმენის ცხოვრებაში
განსახორციელებლად?

სახარებისათვის ვიტანჯები
თვით ბორკილებამდე, როგორც
ბოროტმოქმედი, მაგრამ ღვთის
სიტყვა შებორკილი არაა.

2 ტიმოთე 2:8-9

258-ე დღე

**უფლის მსახურების
შესაძლებლობა
არსებობს ყოველთვის და
ყოველ ადგილას.
წინააღმდეგობას მნიშვნელობა
არ უნდა ჰქონდეს. სულიერად
მხოლოდ ერთი
წინამძღოლი გვყავს.
ის წარმართავს ჩვენს ნაბიჯებს.**

ტომ უაითი, რომელიც კუბის კომუნისტურ ციხეში
იტანჯებოდა კუნძულზე სახარებისეული ბროშურების
ჰელიკოპტერიდან გადმოყრის გამო

259-ე დღე

ექსტრემალური
ფიზიკოსი

რუმინეთი: დოქტორი მარგარიტა პესკარუ

კომუნისტურ რუმინეთში, ყოველ ციხეს ჰყავდა ექიმი, ვინც ხშირად ესწრებოდა დაკითხვებს და წამება ისეთი მეთოდებით მიჰყავდა, რომელიც ტკივილს იწვევდა, მაგრამ ადამიანს არ კლავდა. მაგრამ ზოგიერთები ექიმის ფიცს სერიოზულად იღებდნენ და სძულდათ კომუნისტების ნამოქმედარი.

ერთ-ერთი ასეთი ექიმი იყო ლამაზი ქრისტიანი ქალი, მარგალიტა პესკარუ. მედიცინის მუშაკები ციხეში ნავარდობდნენ, ექიმი პესკარუ კი თავს საფრთხეში იგდებდა და ხშირად წამლები ჩუმად შეჰქონდა ციხეში. მისმა თავგამოდებამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.

ერთხელ იგი ციხის საავადმყოფოში გააგზავნეს, რომელიც განკუთვნილი იყო მხოლოდ ტუბერკულიოზით დაავადებულთათვის. ამ დროს, კომუნისტებს დანიშნული ჰყავდათ ე.წ. „ხელახლა განმანათლებლები“. მათ უფლება ჰქონდათ ნებისმიერი გზა გამოეყენებინათ, რათა ადამიანს უარი ეთქვა საკუთარ რწმენაზე და სრული ერთგულება გამოეცხადებინა მხოლოდ კომუნისტებისათვის.

ეს ხელახლა განმანათლებლები შეუბრალებელი ადამიანები იყვნენ და მრავალი ქრისტიანი გარდაიცვალა მათი სასტიკი წამების შედეგად. როცა ექიმმა პესკარუმ გაიგო, რომ ციხის საავადმყოფოში ამ დამანგრეველი გეგმის განსახორციელებლად მივიდნენ ტუბერკულიოზით დაავადებულ პატიმრებში, დაუჯერებელი რამ მოიმოქმედა. იგი ციხის უფროსთან მივიდა და ამ უმწეო პატიმრების დაცვა სთხოვა. არავინ იცის როგორ, მაგრამ ექიმმა წარმატებას მიაღწია.

იმ დროს კომუნისტურ რუმინეთში, გულწრფელი ადამიანების „ხელახლა განმანათლებლების“ მიერ წამება შეწყდა, მადლობა პესკარუს მისი სითამამისათვის.

სცადე. ეს არის განსხვავება წინსვლასა და მშვიდად დგომაში. მცდელობა. ეს ევალებათ ქრისტიანებს, როცა ქრისტეს სახარებაზე აქვთ ყურადღება გადატანილი. ეცადა. მართალია-თუ არ ეცადე ვერასოდეს გაიგებ რა მოხდება. შეიძლება ძალიან სწრაფად ვამბობთ უარს სახარების გავრცელებისათვის შემოქმედებით იდეებზე სამსახურში, სახლში თუ ჩვენს თემში. ვფიქრობთ, რომ ეს გეგმები შედეგს ვერ მოგვიტანენ. საკუთარ თავს ვირწმუნებთ, რომ ოპოზიცია ძლიერია. მაგრამ დანამდვილებით ვერასოდეს გავიგებთ თუ არ ვეცადეთ. გსურს თუ არა დაემორჩილო ქრისტეს ნებისმიერი საზღაურის ფასად, დაიწყებ თუ არა დღესვე?

ასე წავალ მეფესთან, თუმცა ეს
კანონს ეწინააღმდეგება. და, თუ
დავიღუპები, დავიღუპო.

ესთერი 4:16

260-ე დღე

ექსტრემალური
კედლის ქაღალდი

კორეა: რობერტ ჯ. თომასი

რობერტ ჯ. თომასი და მისი მეუღლე პირველ მისიონერებად წავიდნენ კორეაში 1863 წელს. მისი მეუღლე ჩასვლიდან მოკლე ხანში გარდაიცვალა. 1866 წელს, რამდენიმე თვის ევანგელიზაციისა და ენის შესწავლის შემდეგ, თომასმა ამერიკული გემით-გენერალ შერმენით, მდინარე თედონგი გაიარა-დღევანდელი ჩრდილო კორეის დედაქალაქის ტერიტორია. შერმენი სანაპიროზე სილის გორას წამოედო და გაჩერდა. სანაპიროზე მყოფი კორეელი ჯარისკაცები დაეჭვდნენ, შეშინდნენ, გემზე ავიდნენ და მგზავრებს დიდი, ბასრი დანებით ემუქრებოდნენ. თომასმა დაინახა, რომ მოკვლას უპირებდნენ, კორეული ბიბლია ამოიღო და იძახდა, „იესო, იესო.“ მას თავი მოაჭრეს.

თომასის სიკვდილიდან ოცდახუთი წლის შემდეგ, სანაპიროზე ვიღაცამ სასტუმრო სახლი აღმოაჩინა კედელზე გაკრული უცნაური ქაღალდით. ქაღალდზე კორეული ხასიათები იყო დაბეჭდილი. სახლის პატრონმა ახსნა, რომ ეს ნაწერები მან შენახვის მიზნით გააკრა კედელზე. მეპატრონე და სხვა მრავალი სტუმარი „კედლის წასაკითხად“ მოდის და ამ ოთახში რჩება. ეს იყო ის ბიბლია თომასმა თავის მკვლელებს რომ მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონში კომუნისტური მმართველობაა, ეკლესია მაინც ცოცხლობს. რობერტ ჯ. თომასის საქმე „დროებითი მისია“ ჩრდილო კორეაში გრძელდება, სადაც ღვთის სიტყვა არა მარტო კედლებზეა გაკრული, არამედ მათ გულებშია დამალული.

წარმოიდგინე, რომ გაზაფხულზე ბოსტანს მხოლოდ ზაფხულისთვის თესავ. პამიდვრის, წიწაკისა და საზამთროს თესვის, მარგვლისა და რწყვისათვის დახარჯული დრო და ენერგია წყალში ჩაყრილია. ანალოგიური შეიძლება ითქვას ჩვენს მიერ ქრისტეზე მოწმობის შესახებ. სადაც სარი უფრო მაღალია ვიდრე პამიდორი. ჩვენი შრომის ნაყოფის ხილვის გარეშე, ძნელია დაიჯერო, რომ შენს მძიმე შრომას დააფასებენ. გახსოვდეთ, რომ ღმერთია ყოველი მცენარის გამზრდელი. შეიძლება ვირწმუნოთ, რომ ღმერთი დაასრულებს ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს-მაშინაც კი როცა სხვა საქმეზე გადაგვიყვანს. როგორი ბაღი გინდა დაუტოვო სხვას გასაზრდელად?

მე დავრგე, აპოლოსმა მორწყა,
მაგრამ ღმერთმა გაზარდა. ამიტომ
არც დამრგველია არაფერი, არც
მომრწყველი, არამედ
გამზრდელი ღმერთი.

1 კორინთელთა 3:6-7

261-ე დღე

ექსტრემალური
მოთმინება

რომის იმპერია: ბლანდინა

მსახური ბლანდინა, ისე იყო აღვსილი ღვთის ძალით, რომ მისი მწამებლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ დღე და ღამე. ბოლოს ხელი ჩაიქნიეს. როგორც ჩანდა წამება უფრო აძლიერებდა ბლანდინას რწმენაში. იგი თამამად საუბრობდა თავის რწმენაზე და ამბობდა, „მე ქრისტიანი ვარ; ჩვენ ამის არ გვრცხვენია.“

ბლანდინა რომის იმპერატორის მარკუს ავრელიუს ანტონიუსის მმართველობის დროს აწამეს (ჩვ. წ.აღ-ით 161-170 წლებში). ეს იმ დროს იყო, როცა ქრისტიანები ზედმიწევნით აკეთებდნენ ჩანაწერებს თავანთი წამების შესახებ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამით სხვა მორწმუნეებს გაამხნევებდნენ, რომლებსაც ჭეშმარიტების დამოწმებისათვის ტანჯვის ატანა მოუწევდათ.

ბლანდინა ბოძზე გააკრეს, მოითმინა და მისი წამების მაყურებლებს პირიქით ამხნევებდა. ამ სცენას გადარჩენილი ლომებთან შეუშვეს თხუთმეტი წლის ბიჭ-პონტიუსთან ერთად, რომელიც ბლანდინას საქციელმა გაამხნევა. ბლანდინას ცხოველების შიშით რწმენის დაკარგვა არ გამოუმჟღავნებია, არამედ „ხარობდა და ისეთი აღტაცებული იყო, თითქოს საქორწინო ნადიმზე იყო მიწვეული.“

ბლანდინა ორჯერ ჩააგდეს მშიერ ლომებთან მაგრამ მათ თათიც არ შეახეს. და ციხეში უვნებელი დაბრუნდა. ბოლოს ლომებისაგან დაფლეთილი, გაამათრახეს და ბადით ჩაუშვეს გარეულ ხარებთან დასაჯიჯგნად და შიშველი დასვეს ცხელი რკინის სკამზე. და მაინც გადარჩა და ყველა გარშემომყოფს ამხნევებდა თავისი რწმენის სიმტკიცით. ბოლოს, რადგან მწამებლებმა შედეგს ვერ მიაღწიეს და ბლანდინას რწმენა ვერ შეაცვლევინეს, მახვილით მოკლეს.

შეიძლება ქრისტიანულ დამოწმებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს, მაგრამ ხშირია სიტუაცია, როცა გვეჩვენება რომ თავს ვერ დავაღწევთ მძიმე და მტკივნეულ მდგომარეობას. სახლში რთული ხასიათების ბავშვის აღზრდა. მძიმე ხასიათის თანამშრომელთან მუშაობა. მძიმე ცხოვრების წესის ატანა. არის დრო, როცა ვფიქრობთ რომ მეტ დაძაბულობას ვეღარ გავუძლებთ და მზად ვართ ხელი ჩავიქნიოთ. მნიშვნელობა არა აქვს მდგომარეობას, ღმერთი გვაძლევს მოთმინებასა და იმის გაკეთების ძალას, რის გასაკეთებლადაც მოგვიწოდა. ღმერთმა მოუწოდა ბლანდინას ტანჯვის ატანისათვის. შეიძლება ღმერთი მოგვიწოდებს, რომ დახმარება ვეძიოთ შვილების აღზრდის საქმეში ან ვანუგეშოთ ჩვენი თანამშრომელი ერთი დანახვით რთულ საქმეში მონაწილეობისათვის. იესოს მიღების შემდეგ, შეგვიძლია დავამოწმოთ. მიუხედავად სიტუაციისა, ღმერთი ჩვენთან არის, გვაძლევს მოთმინებასა და სიხარულსაც კი. რა სფეროში გჭირდებათ ისეთი ექსტრემალური მოთმინება, რომელიც მხოლოდ ჩვენი მწყალობელი ღმერთისაგან მოდის?

მთელი ძალით გაძლიერდეთ
მისი დიდების სიმტკიცისამებრ
ყოველგვარ მოთმინებაში...
ჰმადლობდეთ მამას, რომელმაც
წმინდანთა მონაწილეობის ღირსი
გაგვხადა ნათელში,

კოლოსელთა 1:11-12

262-ე დღე

ექსტრემალური
ქურდი-ნაწილი პირველი

რუსეთი: ნიკოლაი ხამარა

ნიკოლაი ხამარა ქურდობისათვის დაიჭირეს და ათი წელი მიუსაჯეს. ხამარა ქრისტიანებს აკვირდებოდა და ფიქრობდა როგორი არსებები იყვნენ. ისინი კაცები იყვნენ, მაგრამ მიუხედავად მათი მდგომარეობისა სიხარულს გამოხატავდნენ და მძიმე განსაცდელისასაც გალობდნენ. როცა ერთი ნაჭერი პური ჰქონდათ არმქონეს უზიარებდნენ. მათ სახეები უბრწყინავდათ სხვებთან საუბრისას, რომელთაც ხამარა ვერ ხედავდა.

ერთ დღეს ორი ქრისტიანი მივიდა ხამარასთან და ამბავი გამოკითხეს. ხამარამ სამწუხარო ისტორია უამბო და ასე დაასრულა, „დაკარგული კაცი ვარ."

ერთმა ქრისტიანმა, ღიმილით ჰკითხა ხამარას, „ვინმემ რომ ოქროს ბეჭედი დაკარგოს, რა ეღირება ეს ბეჭედი?"

„რა სულელეური კითხვაა! ოქროს ბეჭედი ოქროს ბეჭედია. თქვენ კი დაკარგეთ მაგრამ ვიღაც სხვა იპოვის."

„ძალიან კარგი პასუხია," თქვა ქრისტიანმა. „ახლა მითხარი, რა ფასი აქვს დაკარგულ კაცს? დაკარგულს, თუნდაც ქურდს, მრუშს, მკვლელს, აქვს ადამიანის ფასი. მას ისეთი ფასი აქვს ღვთის თვალში, რომ ღვთის ძემ ზეცა მიატოვა მისთვის და ჯვარზე მოკვდა მის დასახსნელად."

ქრისტიანმა ქურდს უთხრა, „თქვენ შეიძლება დაკარგული ხართ, მაგრამ ღვთის სიყვარულს შეუძლია თქვენი პოვნა." ამის გაგონების შემდეგ, ხამარამ თავისი სიცოცხლე ღმერთს ჩააბარა.

როგორ დგინდება ფასი? როგორც წესი, ადამიანის მიერ დროის, თანხის ან ემოციის გაღების მიხედვით. ამის მიხედვით ეპყრობა ადამიანი თავის საგანძურს, საქმიანობას, ან თვით ურთიერთობები ავლენენ რამდენად ფასეულია ეს ადამიანი. მაგალითად, ჩვენი დამოკიდებულება ძველ სამუშაო ტანსაცმელთან ან ახალ კოსტუმთან. ქაღალდის ჭიქასა და ბროლის სასმისთან. და როცა ჩვენთვის ფასეული საკუთრება დაიკარგება ან საყვარელი ნივთი დაზიანდება, ცრემლად ვიღვრებით. რამდენად ფასეული არიან ადამიანები? როგორც ქრისტიანმა უთხრა ხამარას, ისეთი ფასეული, რომ იესომ ზეცა დატოვა და ჯვარზე მოკვდა თავისი დაკარგული და მეამბოხე ქმნილებისათვის. ამდენად უყვარს ღმერთს ისინი. შენ საყვარელი ქმნილება ხარ; ფასეული. იმხიარულე და გაავრცელე „საყვარელი ქმნილების" კეთილი უწყება შენს გარშემო.

მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს
ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ
ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა
ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით.

რომაელთა 5:8

263-ე დღე

ექსტრემალური
ქურდი-ნაწილი მეორე

რუსეთი: ნიკოლაი ხამარა

ნიკოლაი ხამარა ქურდი შევიდა ციხეში და ქრისტიანი გამოვიდა. გათავისუფლების შემდეგ იგი არარეგისტრირებულ ეკლესიას შეუერთდა რუსეთში.

ცოტა ხნის შემდეგ, ხამარას ეკლესიის ხუცესი დააპატიმრეს. ხელისუფლების წარმომადგენლები მას აწამებდნენ, იმედოვნებდნენ, რომ ეკლესიის წევრებს დააბეზღებდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. შემდეგ ნიკოლაი ხამარა დააპატიმრეს. იგი ხუცესის წინაშე დააყენეს და უთხრეს, „თუ საიდუმლოს არ გასცემ, ხამარას შენს წინაშე ვაწამებთ.“

ხუცესს ვერ წარმოედგინა, რომ მის გამო ვინმესთვის ტანჯვა მიეყენებინათ. მაგრამ ხამარამ უთხრა მას, „იყავი ქრისტეს ერთგული და არა გამყიდველი. მე სიხარულით ვეწამები ქრისტეს სახელისათვის.“

და ხამარას თვალები დათხარეს.

ხუცესმა ეს ვერ აიტანა. და ხამარას ტირილით უთხრა, „როგორ ვუყურო ამას? ბრმა დარჩები!“

ხამარამ უპასუხა, „როცა სინათლე წამერთმევა, უფრო მეტ სილამაზეს დავინახავ. მე დავინახავ მხსნელს. თქვენ ბოლომდე ქრისტეს ერთგული უნდა დარჩეთ!“

როცა მწამებლებმა ხუცესს უთხრეს, რომ ხამარას ენას მოაჭრიდნენ, ხამარამ თქვა, „დიდება უფალ იესო ქრისტეს. ყველაზე აღმატებული სიტყვა რისი თქმაც კი შეიძლება უკვე ვთქვი. და ახლა, თუ გნებავთ შეგიძლიათ ენაც მომაჭრათ.“ ყოფილმა ქურდმა პოლიციის მუშაკებს შესაძლებლობა წაართვა მისთვის რწმენა მოეპარათ. იგი წამებულის სიკვდილით მოკვდა.

ხამარას ისტორია ასახავს კონტრასტს ღვთისა და ეშმაკის სამეფოებს შორის. ბიბლია გვასწავლის როგორ გამოვიცნოთ ეშმაკის სამეფოს წარმომადგენლები როგორც ქურდები, მკვლელები და დამანგრეველები. ხამარას შემთვევაში, მტერმა მისი სინათლე მოიპარა, მისი მეტყველება გაანადგურა და ბოლოს მოკლა კიდეც. ამის საპირისპიროდ, იესოს სამეფო არის სიცოცხლე-სრული სიცოცხლე. იესომ ხამარას ახალი სიცოცხლე მისცა და ყოფილი ქურდი სიმართლით განაახლა. ეს ორი სამეფო ერთმანეთის საწინააღმდეგოა და ჩვენს ცხოვრებას აზიანებს. ხამარამ მეორე მხარეს „უღალატა“, როცა ქრისტიანებმა მას ღვთის სამეფოსთან მისასვლელი გზა აჩვენეს. რას აკეთებ სხვებისათვის ღვთის სამეფოში მისაყვანად?

ქურდი მხოლოდ იმისთვის
მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას
და მოსპოს. მე იმისთვის
მოვედი, რომ სიცოცხლე
ჰქონდეთ და უხვად ჰქონდეთ.

იოანე 10:10

264-ე დღე

ექსტრემალური

თარგმანი-ნაწილი პირველი

ინგლისი: ქრისტიანი ქვრივი

ექვსი კაცი და ერთი ქვრივი დედაკაცი წარადგინეს სასამართლოს წინაშე ინგლისის ეკლესიის წინაშე ჩადენილი ექსტრემალური დანაშაულისათვის. მათ თავიანთი შვილებისათვის უსწავლებიათ მამაო ჩვენოს ლოცვა და ათი მცნება ინგლისურად.

ლათინური იყო ბიბლიური ინსტრუქციებისათვის ერთადერთი დასაშვები ენა 1519 წელს.

თუმცა ჩვეულებრივი ადამიანები ინგლისურად საუბრობდნენ. მორწმუნეები ჩუმად თარგმნიდნენ ბიბლიის ნაწილებს ინგლისურად და ფრთხილად ავრცელებდნენ ამ თარგმანებს ხელიდან ხელში. მაგრამ ახლა ეს ადამიანები დაიჭირეს და ძელზე უნდა გაეკრათ სახალხოდ დასაწვავად.

სასამართლომ წყალობის თვალით გადმოხედა შვიდიდან ერთ ბრალდებულ ქვრივს და გაათავისუფლა. არავის გაუპროტესტებია, რადგან მარტოხელა იყო და შვილებზე უნდა ეზრუნა.

დაცვამ, სახელად სიმონ მოურტონმა სახლში გააცილა ქვრივი. სიმონს ხელკავით მიჰყავდა ქალი და მისი ლაბადის მკლავიდან შრიალი მოესმა. სიმონმა მისი ლაბადიდან ინგლისური თარგმანი ამოიღო, იგივე მასალა, რასაც ისინი თავიანთ ბავშვებს ასწავლიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქალმა ახლახანს დააღწია თავი სასიკვდილო განაჩენს, მან შეგნებულად თქვა უარი ამ თარგმანთან განშორებაზე, დარწმუნებული იყო, რომ მის შვილებს კიდევ სჭირდებოდათ ღვთის სიტყვის ჭეშმარიტების შეცნობა.

მალე, ექვსი კაცი და მხნეობით სავსე ქვრივი სამ ძელზე მიაბეს და ცოცხლად დაწვეს.

ციფრული ტექნიკის ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც სახლის უსფრთხოდ დაცვა მეტოქეობას უწევს ბანკს. ჩვენი ფასეულობა ცხადია-ჩვენი სახლები და საკუთრება იმდენად ძვირფასია, რომ გვეშინია არ დავკარგოთ. თუმცა, მეთექვსმეტე საუკუნეში მცხოვრები ქრისტიანებისათვის, წმინდა წერილი იყო მათი ყველაზე ძვირფასი ქონება. შეიძლება დრო შეიცვალა მაგრამ ღვთის სიტყვის ფასი არ შეცვლილა. ჩვენი ცხოვრება ჯერ კიდევ უნდა იყოს სხვებისათვის იმის დამოწმება, რომ ჩვენთვის ღვთის სიტყვა ძვირფასია-მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთებისათვის არ მოვკვდებით. იციან თუ არა სხვებმა როგორ მნიშვნელობას ანიჭებ ბიბლიას? შეუძლიათ თუ არა მათ თქვან, რომ შენს ცხოვრებაში ღვთის სიტყვას პიროვნული ფასი აქვს?

უმჯობესია ჩემთვის რჯული
შენი ბაგისა, ვიდრე ათასი
ოქრო და ვერცხლი.

ფსალმუნი 118:72

265-ე დღე

უნდა გვაცნობოთ ქრისტიანი მისიონერების შესახებ და-წარმატებით უნდა ინადიროთ მათზე, რადგან ისინი ცბიერი მგლები არიან, რაც იმპერიალიზმის იარაღია.

ჩრდილო კორეის ღია გაფრთხილება
თავისი ხალხისადმი



266-ე დღე

ექსტრემალური
თარგმანი-ნაწილი მოერე

ინგლისი: უილიამ ცინდალი

„მაგრამ, ბატონო ცინდალო, უნდა აღიაროთ," დაცინვით თქვა სწავლულმა თეოლოგიის დოქტორმა, „ამ კაცებმა ეკლესიის კანონები უფრო კარგად იციან ვიდრე ღვთის ბიბლიური კანონი!"

გააფთრებული იყო უილიამ ცინდალი. „მე ვამხელ მღვდლებსა და მათ კანონებს! თუ ღმერთს ჩემთვის სიცოცხლის გაგრძელება უნებებია, დიდი ხანი არ დასჭირდება და დავინახავთ, რომ გუთნის დამჭერ ბიჭს უფრო კარგად ეცოდინება ბიბლია ვიდრე მათ!" ამ შენიშვნამ ცინდალსა და ეკლესიას შორის დავა ჩამოაგდო. ის მალე გაიქცა ინგლისიდან ევროპაში, სადაც ახალი აღთქმის „არაავტორიზებული" ინგლისური ვერსია შექმნა.

წლების განმავლობაში, ცინდალის პატარა ახალი აღთქმები ბამბის ფუთებით გაჰქონდათ გერმანული გემების მეშვეობით და სხვა ნებისმიერი გზით, რომლითაც საიდუმლოდ შეეძლოთ ინგლისში შეღწევა. ბოლოს ცინდალი „მეგობარმა," ჰენრი ფილიპსმა დაასმინა და ერესში დასდო ბრალი.

ცინდალმა ერთ წელზე მეტი გაატარა ციხეში სიკვდილის მისჯის მოლოდინში და ამბობენ, რომ ამ დროში მან ძველი აღთქმის თარგმანიც დაასრულაო. 1536 წელს, ძელზე ცოცხლად დაწვამდე, მისი საბოლოო სიტყვები იყო, „უფალო! აუხილე მეფეს თვალები!"

ღმერთმა ისმინა. და ცინდალის წამებიდან ერთი წლის შემდეგ, ხელისუფლებამ პირველი ინგლისური ბიბლიის ლეგალურად გამოცემის ნებართვა გასცა. მეფე იაკობის ავტორიზებული ვერსია გამოჩნდა მხოლოდ სამოცდათხუთმეტი წლის შემდეგ. დღევანდელი მეფე იაკობის ბიბლიის ვერსია დაახლოებით ოთხმოცდაათი პროცენტით სიტყვა-სიტყვით შესაბამისობაში მოდის ცინდალის ბიბლიასთან.

ოპოზიცია ყოველთვის მარცხს არ ნიშნავს. ხანდახან ის უბრალოდ საპირისპიროს გულისხმობს. ხანდახან თანამშრომელები შეიძლება კარგი გაგებით შეეწინააღმდეგონ ჩვენ მსახურების მიზნებს. მათი კრიტიკის შედეგად შეიძლება უკან დავიხიოთ და კითხვის ქვეშ დავაყენოთ ჩვენი მოწოდება. როცა ღმერთი გვაძლევს ხედვას, როგორც ცინდალს, მაშინ ერთგულება უნდა გამოვიჩინოთ დავალებისადმი მიუხედავად განსხვავებული აზრებისა. კრიტიკა არ უნდა იყოს ჩვენი ენთუზიაზმის გამანადგურებელი პასუხი-პირიქით მეტი მონდომება და საქმის წინსვლისადმი სურვილი უნდა აღძრას ჩვენში. მოგცათ თუ არა ღმერთმა მსახურების ხედვა? შეიძლება ცინდალის მსგავსად თქვენი შრომის ნაყოფი კარგა ხანს ვერ მოიმკათ, შეიძლება საერთოდაც ვერ დაინახოთ შედეგი. ამისათვის შეიძლება გაგკიცხონ კიდეც. მიუხედავად ყველაფრისა, დარჩი დავალებისადმი ერთგული და ღმერთი მიხედავს კრიტიკას.



267-ე დღე

ექსტრემალური
მხნეობის ბავშვები

ჩრდილო კორეა: ჩენგ ლი და ჰონგ ჯუნი

კომუნისტები ჩრდილო კორეელ ბავშვებს ეუბნებიან, რომ საშინელი ბედი ხვდებათ წილად ჩინეთში თუ დაიჭირეს. მაგრამ ბავშვებმა ისიც იციან, რომ თუ გაუმართლათ და გაქცევა წარმატებით დასრულდა, დახმარების სათხოვნელად უნდა მოძებნონ შენობა, ჯვრის ნიშნით. ორმა ჩრდილო კორეელმა ბავშვმა მოახერხა ჩინეთის ეკლესიამდე მისვლა და ეს ამბავი უამბეს ხუცესს.

„მე მქვია ჩენგ ლი. მე და ჩემმა დამ ვუყურეთ ჩვენი მშობლების შიმშილით სიკვდილს. ჩვენ მოვახერხეთ და გაყინული იალუს მდინარე გამოვიარეთ. მგზავრობისას, ჩემმა უფროსმა დამ თქვა, 'შენ აქ დარჩი. მე ცოტა წინ წავალ.' და აღარ დაბრუნებულა." ჩენგი მხოლოდ ექვსი წლისაა.

ჰონგ ჯუნმა, თერთმეტი წლის ბიჭმა თქვა, „მინდა ჩრდილო კორეაში დავბრუნდე და ყველას ვუამბო ქრისტეს შესახებ." და ტირილით იგალობა:

ოჰ, უფალო, მოგვეცი სახარების ხმა,
ჩვენი საყვარელი და-ძმებისათვის ღმერთს რომ ძალიან უყვარდა.
სად წავიდა ყველაფერი? ღმერთი იხედება ზევიდან.
ოჰ, უფალო, გაგვაგზავნე მათთან, ჩვენს საყვარელ კორეელ ძმებთან.
ოჰ, უფალო, გაგვაგზავნე მათთან, ჩვენს საყვარელ კორეელ ძმებთან.
სად არიან ისინი, დაე ყვავილივით გაიფურჩქნონ.

რამოდენიმე თვის შემდეგ, ჰონგ ჯუნი სოფლიდან მოიტაცეს და ჩრდილო კორეაში ძალით დააბრუნეს. ალბათ ის ახლაც კი უმოწმებს თავის მომტაცებლებს.

მხნეობა ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელზეც ადამიანები ფიქრობენ, რომ არ გააჩნიათ ვიდრე სიტუაცია მის საჭიროებას არ მოიტანს. გადამწყვეტ მომენტში გაიგებ ფლობ თუ არა ამ ძალას. იგივე შეიძლება ითქვას ხასიათზე-განსაკუთრებულ სიტუაციას შეუძლია გამოავლინოს გვაქვს თუ არა ესა თუ ის ხასიათი. როგორც წესი, ხასიათი და მხნეობა არის ორი რამ რისი გაყალბებაც რთულია. საბედნიეროდ, იესო ქრისტე გვაძლევს საჭირო მხნეობასა და მტკიცე ხასიათს. შეიძლება სითამამე წინა პლანზე წამოვწიოთ, მაგრამ მხოლოდ იესოს შეუძლია მხნეობა მოგცეს. შეიძლება უნაკლო რეპუტაცია გვქონდეს საზოგადოებაში, მაგრამ ღმერთი გაძლევს ხასიათს იმ დროისათვის როცა არავინ გიყურებს. შენი ცხოვრების რომელ სფეროში ხედავ ხასიათისა და მხნეობის მოქმედებას?

როცა ხედავდნენ პეტრესა და
იოანეს ესოდენ სიმტკიცეს...
გაუკვირდათ. თანაც იცოდნენ,
რომ ისინი იესოსთან
ნამყოფები იყვნენ.

საქმეები 4:13

268-ე დღე

ექსტრემალური
მეორე სინათლე

პაკისტანი: ზაჰიდი

ზაჰიდი იყო პაკისტანელი მუსულმანი კულტმსახური, ვინც ქრისტიანებს უსაფრდებოდა და მათ ბიბლიებს წვავდა. ერთხელ ერთი ბიბლია შეინახა და მისი შესწავლა დაიწყო, რათა დაემტკიცებინა, რომ ქრისტიანობა სიცრუეა.

„მე წავიკითხე ბიბლია, და ქრისტიანული რწმენის საწინააღმდეგო მტკიცებულებების ძებნა დავიწყე," თქვა ზაჰიდმა. „უცბათ, დიდებული სინათლე გამობრწყინდა ჩემს ოთახში და გავიგონე, რომ ხმამ ჩემი სახელი წარმოთქვა. სინათლემ მთელი ოთახი გაანათა.

„'ზაჰიდ, რატომ მდევნი მე?' იკითხა ხმამ.

„შემეშინდა. არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. ვიკითხე, 'ვინ ხარ შენ?'

„'მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე.' მომდევნო სამი ღამის განმავლობაში სინათლე და ხმა კვლავ დაბრუნდა. მეოთხე საღამოს, მუხლი მოვიყარე და ქრისტე საკუთარ მხსნელად მივიღე."

ქრისტიანობაზე მოქცევის გამო, ზაჰიდი როგორც ისლამის მოღალატე დაიჭირეს და დააპატიმრეს. ორი წელი აწამებდნენ ციხეში და ბოლოს სიკვდილი მიუსაჯეს. როცა კისერზე მარყუჟი ჩამოაცვეს, ზაჰიდმა ჯალათებს უთხრა, რომ იესო არის „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე." მას უნდოდა, რომ ბოლო ამოსუნთქვაც კი თავისი ქვეყნის შვილების გადასარჩენად გამოეყენებინა.

მოულოდნელად, დაცვა შემოვიდა და თქვა, რომ სიკვდილით დასჯა გადაიდო და ზაჰიდი გაათავისუფლეს. არავინ იცის რატომ შეიცვალა ზაჰიდის განაჩენი, მაგრამ დღეს ზაჰიდი პაკისტანში ევანგელიზაციას ეწევა.

ადამიანებს, რომელთაც სიკვდილის მოახლოება განუცდიათ ერთი და იგივე რამეს ამბობენ. ისინი ასკვნიან, რომ ღმერთს მათი სიცოცხლის გაგრძელებისათვის რაღაც გეგმა ჰქონდა. სამწუხაროდ, სატელევიზიო ინტერვიუები აღარ უბრუნდებიან ამ მიზეზის გამოკვლევის საკითხს! აღმოაჩინეს თუ არა თავიანთ ცხოვრებაში ღვთის მიზანი? სინამდვილეში, ღმერთს ყველასათვის ერთი და იგივე მიზანი აქვს. სურს რომ მას ვიცნობდეთ და სხვებისათვისაც გავხადოთ ცნობილი. ზოგიერთები, ზაჰიდის მსგავსად წარმოუდგენელ ვითარებაში ჩავარდებიან იმ ქვეყნებში სადაც ძალიან რთულია სხვებისათვის ღვთის სიტყვის გაცნობა. მაგრამ, ჩვენი მისიაც იგივეა. ოდესმე გიგრძვნია რომ ღმერთმა ამ დედამიწაზე განსაკუთრებული მიზნით მოგავლინა? ეს არის იცნობდე მას-და გააცნო სხვებს.

ეუბნება მას იესო: „მე ვარ გზა,
ჭეშამარიტება და სიცოცხლე.
მამასთან ვერავინ მივა
თუ არა ჩემით."

იოანე 14:6

269-ე დღე

ექსტრემალური
ძალა

რომი: ვინსენტი

მაჯებსა და ფეხებზე მობმული თოკები იქამდე იჭიმებოდა ვიდრე რომაელმა ქრისტიანმა ვინსენტმა ხელების მხრებიდან ამოვარდნა და თეძოებიდან ფეხების ამოგდება არ იგრძნო.

დეციუსი, რომაელი იმპერატორი, იმ ძელთან იდგა, სადაც ვინსენტი იყო მიბმული. „საშინელი ტკივილით მოკვდები," უთხრა მან ახალგაზრდა ქრისტიანს.

„წამებულთა სიკვდილზე მეტად არანაირი სიკვდილი არ არის დაფასებული," უთხრა დარწმუნებულმა ვინსენტმა იმპერატორს. „მე ვხედავ ზეცას და მძულს შენი კერპები."

მძვინვარე მბრძანებელმა ქრისტიანის უარესად წამება ბრძანა. მიუხედავად ამისა ვინსენტის სახეზე ღიმილი არ გამქრალა. წამებისას იმპერატორს უთხრა, „თქვენ მხოლოდ ჩემი სხეულის განადგურება შეგიძლიათ, რაც სულ ერთია მაინც უნდა მოკვდეს. ჩემში ცხოვრობს მეორე ვინსენტი, რომელზეც არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეგიძლიათ. იმ ვინსენტს ძელზე ვერ გააკრავთ და ვერ მოკლავთ." ვინსენტი ღიმილით შეეგება სიკვდილს.

ბოლოს, რომაელმა ჯარისკაცმა ძელიდან ჩამოხსნა, მაგრამ მისი ტანჯვა ჯერ არ დასრულებულიყო. ტანსაცმელი შემოაძარცვეს და საკანში შეაგდეს, რომლის იატაკიც დამსხვრეული მინით იყო დაფარული. ფეხზე დგომა არ შეეძლო და იატაკზე უნდა დაწოლილიყო. იქაც ღვთის მშვიდობა იყო მასთან. მოგვიანებით დაცვამ იმერატორს აცნობა, რომ ვინსენტი ისე ისვენებდა დამსხვრეული მინის იატაკზე როგორც „ყვავილების საწოლზე."

თანამედროვე კულტურაში ძალაუფლების შესახებ წარმოდგენა დაკავშირებულია ავტორიტეტთან და ოფისთან. ძალაუფლება დაცული, განვითარებული და გაწმენდილია გარეგნულ მნიშვნელობაში. თუმცა, ისტორია გვიჩვენებს, რომ უბრალო ძალაუფლების მფლობელი პოზიცია არაეფექტურია შინაგანი ძალის გარეშე მოვალეობის შესრულების საქმეში. პირიქით, ღმერთი მიზნად ისახავს ჩვენს შინაგან გაძლიერებას სულიწმინდის მეშვეობით. ტანჯვა არის მისი საკლასო ოთახი, სადაც ის გვასწავლის რას ნიშნავს იყო ძლიერი. ამის შედეგად იმაზე მეტის ატანა შეგვიძლია ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია. ჩვენს შესაძლებლობებზე მეტად მამაცები ვართ. ხომ არ ფიქრობ, რომ ტანჯვამ უფრო დაგასუსტა. სთხოვე ღმერთს დაგანახოს, როგორ შეიძლება ტანჯვებმა გაგაძლიერონ. მოდუნდი. დაინახავ, რომ იმაზე ძლიერი ხარ ვიდრე ფიქრობ.

მთელი ძალით გაძლიერდეთ
მისი დიდების სიმტკიცისამებრ
ყოველგვარ მოთმინებაში და
სულგრძელებაში სიხარულით.

კოლოსელთა 1:11

270-ე დღე

ექსტრემალური
ჯარისკაცები

რომის იმპერია: ორმოცი ერთგული კაცი

იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა ლეგალურად გამოაცხადა ჩვ. წ. აღ-ით 320 წელს. ლიცინიუსმა, რომელიც აღმოსავლეთ სამეფოს ნახევარს მართავდა, კანონი დაარღვია და ქრისტიანების შევიწროვება დაიწყო.

როცა ლიციინიუსმა თავისი გავლენის ქვეშ მყოფი ჯარისკაცებისაგან რომის ღმერთებისადმი შესაწირავის გაღება მოითხოვა, „რისხვის ლეგიონიდან“ ორმოცმა ჯარისკაცმა ამაზე უარი განაცხადა. მათმა გენერალმა, ლიციასმა, ისინი გაამათრახა, ბორკილები დაადო და დააპატიმრა. მათ ქედი არ მოიხარეს და უარი არ თქვეს თავიანთი ღმერთის მსახურებაზე, მან მათი გაშიშვლება და გაყინულ ტბაზე მანამდე დაგდება ბრძანა ვიდრე გონებას არ მოეგებოდნენ.

თბილ აბაზანას ჰპირდებოდნენ მას, ვინც რწმენაზე უარს იტყოდა. ჯარისკაცებმა ერთად ილოცეს, რათა მათი რიცხვი არ შემცირებულიყო. მიუხედავად ამისა, ერთმა ვეღარ გაუძლო და თბილი წყლისაკენ გაიქცა.

ერთი ჯალათი, რომელიც ამ ორმოცი მამაცი ჯარისკაცის ქრისტესადმი გალობას უსმენდა, ლუსიას ბრძანებისადმი დამორჩილებულ ჯარისკაცზე გაბრაზდა. მისი სიბრაზე დაჯერებულობაში გადაიზარდა, დაჯერებულობა კი რწმენაში. მან ტანსაცმელი შემოიხია და გაყინული ტბისაკენ გაიქცა, რათა „ქრისტეს ორმოცი მამაცი ჯარისკაცის!“ დაპირება სისრულეში მოეყვანა.

იმ დღეს ორმოცი ჯარისკაცი ერთად მოკვდა. ისიც მოკვდა, ვინც თბილი წყლის გამო უარი თქვა რწმენაზე.

ქრისტიანული საზოგადოება შედგება რამოდენიმე მიძღვნილი ინდივიდისაგან, რომლებიც ერთ ნოტზე მღერიან. მნიშვნელობა არა აქვს ეს ქრისტიანული მსახურებაა, ეკლესია, თუ ოჯახი, და-ძმების ჯგუფი არის ძალა, რომლითაც გამარჯვება მიიღწევა. ყოველთვის ძლიერად ვდგავართ როცა ერთად ვართ. სახარებაში ღმერთი ერთიანი პირობისაკენ მოგვიწოდებს-რწმენის ოჯახისაკენ. რიცხობრივი პრინციპის სიძლიერეზე მეტად, ქრისტიანული საზოგადოება თავის წევრებს რწმენაში სიძლიერისაკენ მოუწოდებს. ამ ამბის მსგავსად, ძალა ემატებათ სუსტებს. ხარ თუ არა ქრისტიანული თემის წევრი? დაარწმუნე თუ არა შენი ეკლესია ან ოჯახი ან სხვა ჯგუფი ქრისტესადმი შენს სიყვარულში მიუხედავად საზღაურისა?

იტანჯე ჩემთან ერთად,
როგორც იესო ქრისტეს
კეთილმა მეომარმა.

2 ტიმოთე 2:3

271-ე დღე

ექსტრემალური
სილამაზე

ლენინგრადი: აიდა სკრიპნიკოვა

„ციხეში, ყველაზე დიდი სირთულე ბიბლიის გარეშე ცხოვრება იყო.“

აიდა სკრიპნიკოვა ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა იყო. ოცი წლის ასაკში, ლენინგრადის ქუჩებში იდგა და მისი ქრისტესადმი სიყვარულისა და მხსნელის შეცნობის სიხარულის ამსახველ ლექსებს ურიგებდა გამვლელებს. მალე დააპატიმრეს. მან სიმტკიცე გამოავლინა, რისთვისაც ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ოცდაშვიდი წლის ასაკში აიდა მეოთხედ იქნა დაპატიმრებული სახარების გავრცელების გამო. დაუვიწყარი გახდა მისი ერთ-ერთი სიტყვა, „შეუძლებელია გაჩუმდე იმაზე რაც მთელს ჩვენს ცხოვრებას ნიშნავს-შეუძლებელია გაჩუმდე ქრისტეზე.“

მისი მეოთხე პატიმრობა ყველაზე რთული აღმოჩნდა. დაცვა გამუდმებით ცდილობდა მისი რწმენიდან გადაბირებას, ძალადობიდან დაწყებული შოკოლადის შეთავაზებით დამთავრებული. მაგრამ მისთვის ყველაზე რთული ღვთის სიტყვის გარეშე ცხოვრება იყო. წმინდა წერილის ხელნაწერი ჩამოართვეს. რისთვისაც დასაჯეს და ათი დღე განმარტოვებულ საკანში გამოამწყვდიეს. მოგვიანებით ახალი აღთქმა მიიღო, რასაც სკუთარ სიცოცხლეზე მეტად უფრთხილდებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა გაათავისუფლეს, მაგრამ ახლობლები ვეღარ ცნობდნენ- მისი მომხიბვლელი სილამაზე გამქრალიყო და ასაკთან შედარებით უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. მაგრამ ღვთის სიყვარული გამოკრთოდა მის ღიმილში, შინაგანი სილამაზის განახლებით.

მრავალ მაღაზიაში, უთვალავი მცენარეული სახის კრემებს გვთავაზობენ. ისინი ჩვენი გარეგანი სილამაზის აღდგენასა და განახლებას გვპირდებიან. ნეტავი ასე რომ ჩვენი შინაგანი სილამაზის აღდგენით ვიყოთ დაინტერესებულნი. შინაგანი მე. ეს არის პიროვნება, რომლის შეშფოთებაც არანაირ წამებას არ ძალუძს. შეიძლება ადამიანებზე ამქვეყნიური სტანდარტებით შთაბეჭდილების მოხდენა გსურთ. მაგრამ, ღმერთი ფიქრობს, რომ თქვენი შინაგანი მე უფრო გასაოცარია. ხართ თუ არა დაინტერესებული თქვენს შინაგანზე ისევე როგორც გარეგნულზე? როგორ იზრდება თქვენი შინაგანი მეს სილამაზე ასაკზე მეტად?



272-ე დღე

ძალა ვითხოვე-
და ღმერთმა სირთულეები მომცა
გასაძლიერებლად.
სიბრძნე ვითხოვე-
და პრობლემები მომცა
გადასაჭრელად.
წარმატება ვითხოვე-
და ღმერთმა გონება მომცა
შრომისათვის.
მხნეობა ვითხოვე-
და ღმერთმა საშიშროება მომცა
დასაძლევად.
სიყვარული ვითხოვე-
და ღმერთმა შესაძლებლობა მომცა
სიყვარულის გამოსახატავად.
ვერაფერი მივიღე რაც მსურდა-
ყველაფერი მივიღე რაც
მჭირდებოდა.
ჩემი ლოცვა შესმენილ იქნა.

მაიკლ ჯობის ოჯახიდან, ინდოელი ქრისტიანი
სტუდენტი, რომელიც მოკლულ იქნა 1999 წელს
მამამისის საევანგელიზაციო მსახურების გამო.

273-ე დღე

ექსტრემალური

„სწავლება“-ნაწილი პირველი

ინგლისი: დოქ. როლანდ ტეილორი

ჰადლეის მოსახლეობა როლანდ ტეილორს სთხოვდა არ წასულიყო ვინჩესტერის ეპისკოპოსთან და ლორდ კანცლერთან. მათ იცოდნენ, რომ ეპისკოპოსი განრისხებული იყო ტეილორის სწავლებაზე.

თითქმის ოცი წლის მანძილზე, ინგლისური ბიბლია ლეგალურად ვრცელდებოდა ინგლისში. ტეილორი თავისი ეკლესიის წევრებს უბრალოდ ასწავლიდა თვითონ წაეკითხათ ბიბლია და დამორჩილებოდნენ მის სწავლებას. მაშინ, როცა დედოფალ მერი პირველის სასტიკი მმართველობის რელიგიურმა წინამძღოლებმა შეუწყნარებლობა გამოუცხადეს ეკლესიის ჩვეულებას.

ეპისკოპოსისაგან შეურაცხყოფასა და ბრალდებას როლანდმა უპასუხა, „მე ქრისტიანი კაცი ვარ. ღმერთი არ დამიგმია. თქვენი ბრალდებიდან გამომდინარე, თქვენა ხართ ერეტიკოსი. ქრისტე ერთხელ მოკვდა ყველა ადამიანის ცოდვებისათვის. ეს საკმარისია. თქვენ და თქვენს ტრადიციას მეტი არაფრის შეთავაზება არ ძალგიძთ.“

ტეილორმა მომდევნი ორი წელი ციხეში გაატარა. როცა გაიგო, რომ ჰადლში ძელზე უნდა გაეკრათ და ცეცხლზე დაეწვათ, სიხარულით ხტუნვა დაიწყო. მას თავისი უსაფრთხოება არ ადარდებდა. არამედ, ჰადლის ქუჩებში გავლა და კიდევ ერთხელ რწმენაში თავისი სულიერი და-ძმების ხილვა ახარებდა.

დოქტორი ტეილორი 1555 წლის ზამთარში აწამეს.

მრავალ ენაზე ლაპარაკობენ სიყვარულზე. ხალხს სჭირდება საკუთარ ენაზე სიყვარულის შესახებ მოსმენა მისი გაცნობიერების მიზნით. ზოგიერთი ქმარი სიყვარულის გამოხატვის მიზნით მეუღლეს საწოლში მიართმევს საუზმეს. თუმცა ზოგიერთებს საჩუქარი სჭირდებათ იმისათვის, რომ ხმამაღლა და ნათლად მოისმინონ, „მე შენ მიყვარხარ.“ მისალოცი ბარათების კომპანიები იმედოვნებენ რომ ამ გრძნობას სიტყვებით გამოვხატავთ. რატომღაც ქრისტე ამბობს, რომ მისი სიყვარულის ენა არის მორჩილება. აი როგორ გამოვხატავთ ჩვენს სიყვარულს მისადმი. როცა ვემორჩილებით, მისადმი სიყვარულს გამოვხატავთ. ტეილორი მისი მიმდევრებისათვის იესოს სიყვარულის ენის სწავლების გამო აწამეს. ის მათ ბიბლიის კითხვასა და მისადმი მორჩილებას ასწავლიდა. დღეს დაანახე იესოს რომ გიყვარს იგი და პატივი მიაგე დოქტორ ტეილორის ხსოვნას.



274-ე დღე

ექსტრემალური

„სწავლება“-ნაწილი მეორე

ინგლისი: დოქტორი როლანდ ტეილორი

დოქტორმა როლანდ ტეილორმა ეს სიტყვები დაწერა, ვიდრე ბიბლიის სწავლებისათვის დაწვავდნენ.

„ჩემს ცოლ-შვილს ვეუბნები, თქვენი თავი ღმერთმა მომცა, და ღმერთმა დაგვაშორა ერთმანეთს: კურთხეულია უფლის სახელი! იგი ნებისმიერ ქმარსა და მამაზე უფრო ერთგული და მოსიყვარულეა. ირწმუნე, შეიყვარე, გეშინოდეს და დაემორჩილე მას. ილოცე, რადგან დახმარებას დაგპირდა. მკვდრად ნუ მიმიჩნევთ, რადგან საუკუნოდ ვიცოცხლებ და არასოდეს მოვკვდები. ჯერ მე წავალ ჩვენს საუკუნო სახლში და მერე თქვენ გამომყვებით.

„ჩემს ჰალელ მეგობრებსა და ყველა იმას მივმართავ, ვისაც ჩემი ქადაგება მოუსმენია, რომ სუფთა სინდისით მივდივარ აქედან ჩემი სწავლების გამო, რისთვისაც ვლოცულობ, რომ მადლობას მოუხდით ღმერთს. რადგან ჩემი მცირედი ნიჭით, ყველას განვუცხადე ის გაკვეთილები, რაც ღვთის წიგნის-კურთხეული ბიბლიის მეშვეობით შემისწავლია. თუ მე, ან ანგელოზი ზეციდან სხვა სახარებას გასწავლით რაც არ მიგიღიათ, ღვთის წყევლა იყოს იმ მქადაგებელზე!

„მტკიცე იმედით მივდივარ აქედან, არანაირი ეჭვი არა მაქვს საუკუნო ხსნის შესახებ, ვმადლობ ჩემს ზეციერ მამას, ჩემი მხსნელი იესო ქრისტეს მეშვეობით.“

როლანდ ტეილორი.

შეიგიძლია თუ არა გაიხსენო შენი ბავშვობის ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი მასწავლებელი? შეიძლება იგი სასიამოვნო სუნამოს იყენებდა. შეიძლება ეს იყო მის მიერ სიმელოტის განსაკუთრებული გზით დაფარვა. რაღაც განსაკუთრებული გვრჩება გონებაში ადამიანის შესახებ. თუმცა, როცა ვიზრდებით, განსხვავებული მიზეზების გამო ვაფასებთ მასწავლებელს. ვიხსენებთ იმას, რაც გვასწავლეს- გაკვეთილები რომლებიც არასოდეს არ დაგვავიწყდება. ყოველთვის გვემახსოვრება ის, ვინც პირველად გვასწავლა ღვთის სიტყვა. ვერ დავივიწყებთ მასწავლებლების მიერ ჩვენთვის ნასწავლ მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას ღვთის სიყვარულისა და მისი ხსნის შესახებ. როცა ვიღაცა გამოჩნდება ჩვენს გასანათლებლად, ღვთის ჭეშმარიტება დაგიცავთ მცდარი სწავლების შესაცნობად. რაც იმაზე მეტია ვიდრე უბრალოდ მახსოვრობა. ის არის შენთვის ყველაზე ძვირფასი რასაც კი ოდესმე ფლობდი.



275-ე დღე

ექსტრემალური
ოჯახი

კამბოჯია: ჰაიმი და მისი ოჯახი

კამბოჯიის ტყეში, ჰაიმს და მის ოჯახს ბარები მისცეს და საკუთარი სამარხების გათხრა უბრძანეს. ისინი ქხმერ როუს ტყვეები იყვნენ, ვინც ქრისტიანობას „დიდებული რევოლუციის მტრად მიიჩნევდა."

ჯარისკაცებმა მათ უფლება მისცეს მუხლი მოეყარათ, ერთმანეთისათვის ხელი ჩაეჭიდათ და ელოცათ. შემდეგ ჰაიმმა ჯარისკაცებს სთხოვა მოენანიებიათ და იესო ქრისტე მხსნელად და უფლად მიეღოთ. ჯარისკაცები გააოცა სიკვდილის წინ მისმა თანადგომის ტონმა.

საუბრისას, მისი ერთ-ერთი ვაჟი წამოხტა და ტყეში გაიქცა. ჯარისკაცები მას გამოედევნენ, მაგრამ ჰაიმმა ისინი შეაჩერა. მისმა სიმშვიდემ კომუნისტები მის საქციელში დაარწმუნა.

მისი ოჯახის წევრები მუხლმოყრილნი იყვნენ, ჯარისკაცები კი ავტომატს უმიზნებდნენ, ჰაიმი ტყის ნაპირთან მივიდა. „შვილო, შეიძლება ტყეში გაქცევით რამოდენიმე დღის სიცოცხლის შემატება შენს ოჯახთან საფლავის გარშემო ერთად ყოფნას შეადარო, მაგრამ მალე სამუდამოდ გათავისუფლდე და ქრისტესთან ერთად სამოთხეში იყო?" ცოტა ხნის შემდეგ, ჰაიმის ვაჟი ცრემლმორეული გამოვიდა ტყიდან და მამამისის გვერდით მუხლი მოიყარა.

ჰაიმმა ჯარისკაცებს შეხედა, „ახლა მზად ვართ."

მაგრამ ვერცერთმა ჯარისკაცმა სასხლეტს ხელი ვერ გამოკრა. მალე, ოფიცერი მოვიდა, რომელსაც ვაჟის დაბრუნების სურათი არ უხილავს, ჯარისკაცები სიმხდალეში დაანაშაულა და ქრისტიანები მოკლა.

ზოგიერთი ოჯახი ერთმანეთთან სიახლოვით გამოირჩევა. ზოგიერთები უკიდურესი სიმდიდრით ამაყობენ. ზოგიერთი ოჯახები თავიანთი საქმიანობის მნიშვნელოვანებაზე მიუთითებენ. ღმერთს ამ ფასეულობების გამოყენებაც შეუძლია, მაგრამ გავლენაზე მისი წარმოდგენა სრულიად განსხვავებულია. რა სარგებელი აქვს ოჯახს ღვთის სასუფევლისათვის? ექსტრემალური მორჩილება. ოჯახის მიკრო ავტობუსის სიდიდეს არა აქვს მნიშვნელობა; არამედ მათ ქრისტესადმი ვალდებულებას. ღმერთმა ოჯახი შექმნა ადგილად, სადაც მშობლები ქრისტესადმი მორჩილების მაგალითს მისცემენ შვილებს. ჰაიმის მაგალითი უნიკალურია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მორჩილება გამოვიჩინოთ სიტუაციის მიხედვით. როგორ დაახასიათებდი შენი ოჯახის მიძღვნილებას? ვისი ოჯახია შენთვის ექსტრემალური ოჯახის მაგალითი?



276-ე დღე

ექსტრემალურად
ტყუილის გამოყენება

რუსეთი: უნივერსიტეტის სტუდენტი

უღმერთო პროფესორმა კარების გვერდით ჩამოკიდებულ ლენინის სურათს გაუღიმა და შემდეგ მაგიდისაკენ წავიდა, სადაც წყლით სავსე სურა იდგა. მან ფხვნილიანი პაკეტი ამოიღო და ნელა ჩაყარა სურაში, მალე წყალი წითლად შეიღება.

„სულ ეს არის სასწაული," დაიწყო მან გაკვეთილი. „იესოს ასე ჰქონდა დამალული ფხვნილი სახელოში და ვითომ წყალი ღვინოდ გადააქცია. იესოზე მეტის გაკეთება შემიძლია; მე ღვინის წყლად გადაქცევა შემიძლია."

მან მეორე ფხვნილით სავსე პაკეტი ამოიღო და წითელ სითხეში ჩაასხა. სითხე გაწმინდავდა. მეორე ფხვნილით კვლავ წითლად შეიღება.

ერთ-ერთი მისი სტუდენტი მერხთან იჯდა და უკმაყოფილების ნიშნად თავს იქნევდა. ბოლოს, იგი პროფესორს შეედავა: „ნამდვილად გაგვაოცეთ, ამხანაგო პროფესორო. ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ-დალიეთ თქვენი ღვინო!"

პროფესორმა ჩაახველა და თქვა, „ამის გაკეთება არ შემიძლია. ფხვნილი შხამს შეიცავს."

ქრისტიანმა უპასუხა, „ამაში მდგომარეობს თქვენსა და ქრისტეს შორის მთელი განსხვავება. მან თავისი ღვინით სიხარული მოგვანიჭა, მაშინ როცა თქვენ ამ ღვინით გვწამლავთ." გაბრაზებულმა პროფესორმა ოთახი დატოვა, სტუდენტი დააპატიმრებინა და ციხეში ჩასვა. მაგრამ, ამ შემთხვევის შესახებ ამბავი მრავალმა შეიტყო და ადამიანები რწმენაში განამტკიცა.

მტრისთვის ადვილი გარიგების ხერხი არის ტყუილი. მაღაზიების უმეტესობა საშუალებას აძლევს მომხმარებელს, გადაცვალოს ნაყიდი საქონელი. ხალხი რიგში დგას პატარა ზომა ტანსაცმლის დიდ ზომაში, ან ერთი ფერის მეორე ფერში გადაცვლისათვის, იმ იმედით, რომ სხვა ზომა თუ ფერი უფრო გამხდარს, ლამაზს ან ბედნიერს გამოაჩენს. ანალოგიურად, ცხოვრების მანძილზე მრავალი ადამიანი დგას რიგში, რომელთაც ღვთის ჭეშმარიტება უჭირავთ ხელში. მათ ეუბნებიან, რომ ღვთის ჭეშმარიტება გადაცვალონ ნებისმიერ რამეში, რაც მათ ბედნიერ მომხმარებლად გადააქცევთ. ბოლოს კი ყოველთვის იმედგაცრუებულნი ვრჩებით. ღმერთს უნდა, რომ მტერი ტყუილების მეშვეობით ამოიცნო. ჩაეჭიდე ღვთის ჭეშმარიტებას-ნებისმიერი საზღაურის ფასად.



277-ე დღე

ექსტრემალური
თხოვნა

ინდონეზია: დელორესი

დოლორესს ასაკიანი სხეული სირბილისაგან დაქანცვოდა, და ატირდა, „ღმერთო, გთხოვ შეგვიწყალე შენი შვილები!“ დოლორესი სიცოცხლის გადასარჩენად გარბოდა სხვა მორწმუნეებთან ერთად, რადგან მის სოფელს თავს დასხმოდნენ. ნედლი ჯოხის დახმარებით, ნაბიჯ-ნაბიჯ ცოცვით გადალახა ციცაბო მთა და უსაფრთხო ადგილს მიაღწია. ლტოლვილთა ბანაკში დაიდო ბინა, ასობით იძულებით გადაადგილებულ ადამიანს შორის.

დოლორესი ერთი ადამიანია ინდონეზიაში მცხოვრებ მილიონობით ქრისტიანს შორის-ცამეტი ათასზე მეტი კუნძულისაგან შემდგარ სახელმწიფოში. ინდონეზია მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მუსულმანური ქვეყანაა. მიუხედავად ამისა მუსულმანები და ქრისტიანები ერთ მიწაზე ცხოვრობენ, თაობების განმავლობაში მშვიდობიანი თანაცხოვრებით. თუმცა, ახალი მტერი გამოუჩნდათ: ფანატიკური მუსულმანური ჯგუფები, რომელთაც ჯიჰადის მრავალი (წმინდა) ომები წამოიწყეს კუნძულებზე. დღეს ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის მშვიდობა აღარ სუფევს.

ერთ ქალაქში, ქრისტიანები მშვიდობიანი განზრახვით შეიკრიბნენ ქრისტეს სახელის გამო და მმართველის ოფისის წინ იგალობეს „ყველაფერს ვთმობ“. ისინი მთავრობას მუსულმანი სამხედროების მიერ მოკლული ქრისტიანების რიცხვის გამოცხადებას სთხოვდნენ. ამ დროს, მუსულმანები სხვა სოფელს დაესხნენ თავს და გაანადგურეს. მრავალი თემი, რომელიც ადრე ყვაოდა, ახლა ნაცარტუტად არის ქცეული.

დოლორესი მრავალთაგან ერთ-ერთი დევნილი ქრისტიანია ინდონეზიაში, რომლებიც ღმერთს თავისუფლებისათვის შეღაღადებენ. გამოცხადება მრავალი წამებულის შესახებ ლაპარაკობს, რომლებსაც ღვთის სამართლიანობისა და სასამართლოს ხილვა სწყურიათ. თუმცა ისინი მარტო არ უნდა ღაღადებდნენ. ჩვენ, ცოცხალმა ქრისტიანებმა უნდა შევუერთოთ ხმა მათ გულწრფელ თხოვნას. შეიძლება ძალიან შორსა ვართ მათგან ჩვენს კომფორტულ სახლებში, ჩვენი გულწრფელი თანადგომა იქნება ნამდვილი ლოცვა. როცა ლოცვით თანადგომას ვუცხადებთ უსაფრთხოებისა და გათავისუფლებისათვის, ჩვენი გულები ტანჯული ადამიანების გულებს უერთდება. დღეს ილოცებ დოლორესისა და მისნაირი მორწმუნეებისათვის ინდონეზიაში? სთხოვ თუ არა ღმერთს დაიცვას ისინი და შეისმინოს ჩვენი ლოცვა მათი გათავისუფლებისათვის?

დიდი ხმით ღაღადებდნენ და ამბობდნენ: „ხელმწიფევ, წმიდაო და ჭეშმარიტო, როდემდე არ განიკითხავ და არ იძიებ შურს მიწის მცხოვრებლებზე ჩვენი სისხლისათვის?“

გამოცხადება 6:10

278-ე დღე

ექსტრემალური ლოცვა

შვეიცარია: მაიკლ სატლერი

მაიკლ სატლერი ერეტიკოსობაში ბრალდების სასჯელს არ გაუოცებია-ენის ამოჭრასა და შემდეგ ცოცხლად დაწვას. ეს იყო მეთექვსმეტე საუკუნე და მაიკლი კი ანაბაპტისტი, მორწმუნეების მოძრაობა, რომელთაც ახალ აღთქმისეული ეკლესიის ფორმის დაბრუნება სურდათ. თუმცა, ევროპის რელიგიური და სოციალური ინსტიტუტები ანაბაპტისტებს საშიშროებად აღიქვამდნენ.

მაყურებელთა ბრბო ბაზრობაზე იკრიბებოდა. ერთ-ერთი მაყურებელი ოცი წლის კლაუს ვონ გრაფენეკი იყო, რომელიც მსჯავრდებულთან ახლოს იდგა და განაჩენის სისრულეში მოსაყვანად მოფუსფუსე ჯალათს უცქერდა.

მაიკლმა ბუტბუტით ლოცვა დაიწყო, „ძვირფასო ღმერთო, აუხილე თვალები ამ ახალგაზრდას...“

კლაუსი მოულოდნელად უკან გადახტა, გაოცდა, რომ კრიმინალი მისთვის ლოცულობდა!

როცა ჯალათმა მაიკლი დააჩოქა, პატიმარი ბრბოს მიუბრუნდა და თქვა, „მოიქეცით!“ შემდეგ თვალები დახუჭა და ილოცა: „ყოვლისშემძლე, მარადიულო ღმერთო... მე... დღეს ვამოწმებ ჭეშმარიტების შესახებ და ჩემი სისხლით ბეჭედს დავუსვამ.“

და ჯალათმა მაიკლი ცეცხლში მოისროლა. როცა ხელებზე შემოხვეული თოკები დაიწვა, მან ხელები მაღლა აღაპყრო და ილოცა, „მამაო, შენს ხელთ გადმომიცია ჩემი სული.“

კლაუსს ისე შეეხო მის მიმართ მსჯავრდებულის ლოცვა, რომ ეს სასიკვდილო სცენა მსჯავრდებულისადმი ხარკის გადახდის განცდით აღწერა. რასაც შემდეგნაირად ასრულებს. „დაე ღმერთმა ჩვენც მოგვმადლოს მისთვის ასე მამაცურად და მოთმინებით დამოწმების ძალა.“

ლოცვა არის ქრისტიანის საიდუმლო იარაღი. ქრისტიანის ჩუმი განცხადება თუ ღია მოლაპარაკება მეტყველებს მის ქრისტეში რწმენაზე. კლაუსი მსჯავრდებულის ლოცვის მოსმენამ აიძულა შეჩერებულიყო და ეფიქრა. ანალოგიურად, როცა რესტორანში სადილის წინ ჩვენს ლოცვას სხვები ხედავენ, შეიძლება ამით მათ შეჩერებასა და ღმერთზე ფიქრს ვიწვევდეთ. თუნდაც ერთი წუთით მივაპყროთ მათი ყურადღება ქრისტესაკენ, მაინც ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ. როგორც მაიკლმა გააკეთა კლაუსთან მიმართებაში, ლოცვა ცვლის ადამიანის ცხოვრებას და შთააგონებს მოვალეობებს. თუმცა, ღმერთს არ შეუძლია წარმოუთქმელი ლოცვების გამოყენება. გამოყავი მცირეოდენი დრო და ილოცე იმ ადამიანისათვის, რომელსაც დღეს შეხვდი. რა იცი როგორი შედეგის მოტანა შეუძლია შენს ლოცვას.

ყოველგვარი ლოცვით და
ვედრებით ილოცეთ ყოველ
ჟამს სულით.

ეფესელთა 6:18

279-ე დღე

სიტყვა „მისიონერი“არ არის ბიბლიაში-სიტყვა „მოწმე“ კი არის.

ჯიმ ელიოტი, მისიონერი ეკვადორში, რომელიც მოკლულ იქნა ინდიელთა ტომის აკვას ხალხისათვის სახარების გავრცელებისას-ციტატა ელიზაბეტ ელიოტის *ჩემი მტრები, ჩემი ნათესავები*

280-ე დღე

ექსტრემალური
ხელნაწერი

იტალია: ეუსებიუსი

რომში „დიდი დევნა“ დაიწყო ჩვ. წ. აღ-ით 303 წელს დიოკლეტიანეს დროს. ეს ის დრო იყო, როცა დიოკლეტიანემ ოფიციალური ბრძანება გამოსცა ქრისტიანების წინააღმდეგ მათი რწმენის განადგურების მიზნით. სხვა მრავალ დეტალთან ერთად ეს კანონი შემდეგსაც მოიცავდა.

თუ შენობას ფლობდნენ ქრისტიანები, შენობიდან უნდა გაეძევებინათ;
ქრისტიანების წინააღმდეგ ნებისმიერი ბრალდება მიიღებოდა;
ქრისტიანები რწმენის გამო უნდა ეწამებინათ;
წმინდა წერილი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთმიათ და დაეწვათ;
საეკლესიო შენობები უნდა გაენადგურებინათ;
ქრისტიანებს სამოქალაქო უფლებები უნდა ჩამორთმეოდათ; და ეკლესიის ეპისკოპოსები და ხელმძღვანელები ღმერთებისათვის შეწირვის მიზნით უნდა დაეპატიმრებინათ.

ამ დროს, ახალგაზრდა მწერალმა, სახელად ეუსებიუსმა გააკეთა ჩანაწერი პირველი ეკლესიის მიმართ ჩადენილი საშინელებების შესახებ. ეკლესიის წინამძღოლმა და თეოლოგმა, სახელად პამფილუსმა დიდი შთაგონება მოჰგვარა მას ამ ნაშრომისათვის. პამფილუსი დააპატიმრეს და ჩვ. წ. აღ-ით 308 წელს აწამეს, მაგრამ მანამდე მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეუსებიუსის ცხოვრებაზე.

შთამომავლობა ემსახუროს მას;
მოუთხრობს თაობებს უფლის
შესახებ.

ფსალმუნი 21:31

281-ე დღე

ექსტრემალური
დაფარვა

საუდის არაბეთი: ცოლ-ქმარი

ნავთობით მდიდარ საუდის არაბეთში სხვა ქვეყნიდან ჩამოვიდა ცოლ-ქმარი.

ისინი ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მუსულმანურ ქვეყანაში, რომელსაც ახალ სახლს უწოდებდნენ. ისინი სხვა უცხოელებს შეხვდნენ და მათთან ერთად ეწეოდნენ მსახურებას და თავის რწმენას-ქრისტიანობას უზიარებდნენ სხვებს. მაგრამ მუჰამედის დედაქალაქში ქრისტიანობა არა მხოლოდ არაპოპულარული, არამედ არალეგალურია. ამის გამო ცოლ-ქმარი შეგუებული იყო დაპატიმრების, დეპორტაციისა და სავარაუდოდ სიკვდილის რისკსაც კი მსახურების გაგრძელებისათვის.

ისინი მრავალი წლის განმავლობაში მშვიდობით ცხოვრობდნენ. ერთ დღეს საუდის არაბეთის პოლიცია მათ სახლში შეიჭრა. პოლიციაში წაიყვანეს და რწმენის ორიენტაციის შესახებ კითხვები დაუსვეს. მათი კომპიუტერი, რომელიც სხვა მრავალი ადგილობრივი ქრისტიანის საკონტაქტო ინფორმაციას შეიცავდა, ჩამოართვეს. შიშობდნენ, რომ დანარჩენებიც მალე მათ ხვედრს გაიზიარებდნენ.

ქმარი ციხეში დატოვეს, ცოლი კი გაათავისუფლეს. მან სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებას მეუღლის გათავისუფლების შესახებ თხოვნით მიმართა. მას თავისუფლების დამცველთა იმედი ჰქონდა. თუმცა ზოგიერთ ქვეყანას მის საქმეში ჩარევის სურვილი არ გამოუჩენია. მისი მეუღლე ფიქრობდა, ნეტავ ოდესმე თუ ნახავდა თავის ცოლს. მათი მდგომარეობა ერთ-ერთია მუსულმანურ საუდის არაბეთში მრავალ საიდუმლოდ დევნილ ქრისტიანთა შორის. თუმცა ერთ დღეს სიმართლე გამოაშკარავდება.

საუდის არაბეთი ის ქვეყანაა, სადაც ქრისტიანთა დევნა ყველაზე მაღალია. 1999 წელს, საუდის არაბეთმა $ 1, 000, 000 მეტი დახარჯა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გასაიდუმლოების ხელის შეწყობის მიზნით. მიუხედავად ამისა მარადიულად ვერ შეინახავენ საიდუმლოს. ჩვენ უნდა ვლოცულობდეთ, რომ ქრისტიანთა ხმა საუდის არაბეთის ციხეებში გაიგონ და ამაზე პასუხი ჩვენი სიცოცხლის განამვლობაში მივიღოთ. ჩვენ ვიცით, რომ როცა ქრისტე დაბრუნდება, ვერანაირი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვერ დაიცავენ მათ მისი სამსჯავროსგან. მაგრამ დღეს? ლოცვა არის ცვლილების მისაღწევი პირველი ნაბიჯი. საიდუმლო არ არის, რომ-მოწინააღმდეგე ძლიერია. თუმცა ღმერთი უფრო ძლიერია. რას აკეთებ დღეს იმისათვის, რომ ღვთის ძალა გამოვლინდეს ქრისტიან პატიმრებზე?

არ არსებობს დაფარული,
რომელიც ცხადი არ გახდეს,
არც დამალული, რომელიც არ
გაცხადდეს და არ გამჟღავნდეს.

ლუკა 8:17

282-ე დღე

ექსტრემალური
დისსუბორდინაცია

რომის იმპერატორი: თებანის ლეგიონი

ქრისტეს შობიდან 286 წელს, თებანის ლეგიონის 6, 666 კაცს იმპერატორ მაქსიმუსის მიერ გაულში წასვლა ებრძანათ ბურგუნდის აჯანყებულთა დასახმარებლად. ამ ლეგიონის ყველა წევრი მიძღვნილი ქრისტიანი იყო.

ალპებში რთული გზის გავლის შემდეგ, მაქსიმუსმა ბრძოლის დაწყებამდე გენერალს შესაწირავის მიძღვნა მოსთხოვა. ლეგიონის ყველა წევრმა უარი თქვა ღვთის შეურაცხყოფაზე. იმპერატორი განარისხა დაუმორჩილებლობამ და მოიფიქრა, რომ ყოველი მეათე კაცი მახვილით განეგმირა. ამ დავალების შესასრულებლადაც არანაკლებ მტკიცედ დადგა მთელი ლეგიონი. იმპერატორმა მათი პოზიციების ცვლილება გადაწყვიტა, და ჯარისკაცები თავიანთ ძველ წოდებაზე დააბრუნა, ყოველი მეათე კაცის მოკვლის მიზნით. ეს ჯარისკაცები ისეთი დიდი ღირსებით შეხვდნენ სიკვდილს როგორც ომში. მაგრამ ეს მეორე ხოცვა-ჟლეტა პირველზე ეფექტური არ ყოფილა.

ამის შემდეგ ცოცხლად დარჩენილმა ჯარისკაცებმა მტკიცედ გადაწყვიტეს უარი ეთქვათ თანამებრძოლების ხოცვაზე. სიკვდილი არ უნდოდათ და ოფიცრების დახმარებით, თხოვნით მიმართეს იმპერატორს. ისინი აცხადებდნენ, რომ მათმა რწმენამ და ღვთისადმი მიძღვნილებამ უფრო ლოიალური გახადა ისინი იმპერატორისადმი. იმედოვნებდნენ, რომ ამით იმპერატორს ასიამოვნებდნენ, მაგრამ საპირისპირო რამ მოხდა. იმპერატორი განრისხდა, და ლეგიონის დანარჩენი წევრების დახოცვაც ბრძანა.

დაუმორჩილებლობა ყველაზე დიდ წინააღმდეგობად არის მიჩნეული. თუმცა, თემაბის ლეგიონს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, რადგან ღვთისადმი დაუმორჩილებლობა უფრო დიდი დანაშაული იქნებოდა. ადამიანები ავტორიტეტით ხელმძღვანელობენ. თუმცა, მხოლოდ ღმერთი იძლევა ამ ძალაუფლებას. ბიბლია გვაძლევს ხელისუფლების მიერ ძალაუფლების არასწორად გამოყენების მაგალითებს, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანები არ დაემორჩილნენ. გავიხსენოთ ებრაელი ბებიაქალები და მოსეს მშობლები, რომლებიც არ დაემორჩილნენ ფარაონის ბრძანებას. გავიხსენოთ დანიელი და მისი მეგობრები, რომლებმაც უარი თქვეს უცხო ღმერთების მსახურებაზე. მათი მაგალითები და ეს მამაცი ჯარისკაცები გვახსენებენ, რომ მოვალენი ვართ დავემორჩილოთ ადამიანურ ძალაუფლებას. მაგრამ, ყველაზე მეტად პატივი უნდა მივაგოთ ღვთის ავტორიტეტს. როცა ადამიანური კანონი პირდაპირ ეწინააღმდეგება ღვთის ბრძანებებს, მაშინ მხედველობაში უნდა მივიღოთ ადამიანური ავტორიტეტის დაუმორჩილებლობის რისკი.

> მაგრამ პეტრემ და იოანემ
> მიუგეს და უთხრეს: „განსაჯეთ,
> მართებულია განა ღვთის წინაშე,
> თქვენ უფრო გისმინოთ,
> ვიდრე ღმერთს?“
>
> *საქმეები 4:19*

283-ე დღე

ექსტრემალური
თავშეკავებულობა

რომი: სებასტიანე

სებასტიანე ყოველ დღე დადიოდა სასახლის დერეფნებში. ძალიან ბევრი იწვალა სამეფო დაცვაში სამსახურის მისაღებად, მაგრამ რომში ჩასვლის დღიდან გადაწყვიტა, რომ სამეფო კარის კერპთაყვანისმცემლური ცხოვრების სტილისაგან თავს შეიკავებდა. მას მხოლოდ ქრისტესადმი მთელი გულით მსახურება სურდა.

როცა იმპერატორმა დიოკლეტიანემ შეიტყო ეს, აღარ დაინტერესებულა მისი სამსახურის დეტალებით; პირადად დაკითხა და გაიგო, რომ ქრისტიანი იყო. ამის გამო, ბრძანა ქალაქიდან გაეყვანათ და ისრებით მოეკლათ. ჯარისკაცებმა ბრძანება შეასრულეს და მისი სხეული გასახრწნელად მიატოვეს. მალე ქრისტიანები მოვიდნენ რათა მისთვის საკადრისი პატივი მიეგოთ.

როგორც კი სხეული ასწიეს, ერთ-ერთმა წამოიძახა, „მოძრაობს!“

„შშშ!“ აფრთხილებდა მეორე. „სადმე უსაფრთხო ადგილას წავიყვანოთ.“

სებასტიანი ერთ-ერთი ქრისტიანის სახლში წაიყვანეს, მოუარეს და ჭრილობებისაგან განკურნეს. როგორც კი გამომჯობინდა კვლავ იმპერატორის წინაშე წარსდგა. რადგან ერთხელ ზეციური იმედი იგემა, ამქვეყნიურმა სიამტკბილობებმა უფრო დაკარგა ფასი მის თვალში.

იმპერატორი რა თქმა უნდა განაცვიფრა სებასტიანის დანახვამ. იმპერატორმა მისი შეპყრობა, სასიკვდილოდ ცემა და კანალიზაციის არხში ჩაგდება ბრძანა. ქრისტიანები მის სხეულს პატივით მოეპყრნენ და კატაკომბებში დამარხეს.

სექსუალური ამორალობა. შეუფერებელი ლექსიკა. ქურდობა. ტყუილი. მითვისება. მრავალი ქრისტიანი ახასიათებს საკუთარ თავს განსაკუთრებულად და ამბობენ რა არ უნდა გააკეთონ. რა თქმა უნდა მთელი რიგი აკრძალვების სიაა, რა არ უნდა გააკეთოს ხალხმა. თუმცა თავისთავად აკრძალვებს არანაირი სარგებლობის მოტანა არ ძალუძს. სებასტიანი მხოლოდ აკრძალვების გამო არ აწამეს-ასე რომ ყოფილიყო ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი ადამიანობისათვის მოუკლავთ. იგი თავისი გულახდილი რწმენის გამო მოკლეს. ანალოგიურად, ჩვენც თავი უნდა შევიკავოთ ბოროტის საქმეებისაგან, რათა სრულყოფილად დავიცვათ ღვთის მცნებები. მორჩილება. ღვთისმსახურება. სიყვარული. მსახურება. განსაზღვრე შენი რწმენა შენი საქმეებით, და არა იმით რასაც არ აკეთებ. უბრალოდ კარგ ადამიანად გიცნობენ თუ გულწრფელად რწმენის გამზიარებელ კარგ ადამიანად?

ყოველგვარ ბოროტ გზას
მოვარიდე ფეხი, რათა
დავიცვა შენი სიტყვა.

ფსალმუნი 118:101

284-ე დღე

ექსტრემალური
თავისუფლება

მორავია: პოლ გლოკი

პოლ გლოკი მძიმე მდგომარეობაში იყო. იგი ანაბაპტისტური რწმენის გამო იქნა დაპატიმრებული, და მის ხელმძღვანელს ნაწილობრივი თავისუფლება მიუცია მისთვის, იმ პირობით, რომ არ გაიქცეოდა. მას უფლება ჰქონდა შეშა მოეტანა, ფეხსაცმელები შეეკეთებინა, უცნაური საქმეები გაეკეთებინა, დავალებების შესასრულებლად წინ და უკან ერბინა, მაგრამ უცხო ადამიანების გამოჩენისას თავი შორს უნდა დაეჭირა, რათა რელიგიის წინამძღოლებს მისი თავისუფლების შესახებ არ შეეტყოთ.

პოლს ცოტა არ იყოს უკვირდა ასეთი თავისუფლება. მისმა ხელმძღვანელმა, კლაუს ვონ გრაფენეკმა, თანამოძმე ანაბაპტისტის მაიკლ სატლერის წამება იხილა 1527 წელს. უბრალო მაყურებელმა კლაუსმა ირწმუნა, როცა სატლერმა სიკვდილის სასჯელის აღსრულებამდე მცირე ხნით ადრე მისთვის ილოცა. ეს ოცდახუთი წლის წინ იყო, შეიძლება კლაუსს გულში სიბრალული ჰქონდა უსამართლოდ დევნილი ანაბაპტისტების მიმართ.

პოლი არაფერს კარგავდა. მისი ცოლი და შვილი უკვე გარდაცვლილები იყვნენ; მხოლოდ თანამორწმუნეები ჰყავდა მორავიაში. მაგრამ პოლი გაქცევას არც ცდილობდა. რომ გაქცეულიყო, კლაუსი, ვინც ასე კეთილად ეპყრობოდა, უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა, და მის ახლო-მახლო ანაბაპტისტების დაპატიმრება გარდაუვალი იქნებოდა. პოლი სიტყვის კაცად იყო ცნობილი.

მოგვიანებით ღმერთმა დააფასა პოლის გადაწყვეტილება. 1576 წელს, იმ ციხეში ხანძარი გაჩნდა, სადაც პოლი იყო დაპატიმრებული. მან და მისმა თანაპატიმარმა ცეცხლი ჩააქრეს და ასე მოიპოვეს რელიგიური წინამძღოლებისაგან თავისუფლება, ადამიანი, ვინც სამართლიანად შეეწინააღმდეგა, განაჩენის გაუქმებაც შეძლო.

წამებულთა პატიმრობის ამბები ჰოლივუდის ფილმების თემას არ წარმოადგენს, სადაც გამჭრიახი ადამიანები გვირაბს თხრიან და საიდუმლო გასაქცევს აწყობენ. შეთქმულება არ აღწერს პატიმრის საფრთხიდან გაქცევის დეტალებს. სინამდვილეში, პოლ გლოკის მსგავსად, წამებულები არ გარბიან, მაშინაც კი, როცა ამის შესაძლებლობა აქვთ. ყოველ სიტუაციაში მათი ისტორიები არის ღვთის დიდების ანგარიში, მიუხედავად მათი მდგომარეობისა. გაიხსენეთ, როგორ მიიყვანეს პავლემ და სილამ ციხის ზედამხედველი და მისი ოჯახი ქრისტესთან, რადგან მათ არჩიეს არ გაქცეულიყვნენ ციხიდან. დაკავებული ხომ არ ხართ თქვენი განსაცდელიდან გასაქცევი გზის ძიებით? რას იტყოდით იმაზე ზუსტად იქ რომ იყოთ, სადაც ღმერთს თქვენი ყოფნა სურს? შეიძლება ღმერთს სურს, რომ აიტანოთ ვიდრე გაიქცეთ.

მიიყვანა ისინი თავის სახლში,
სუფრა გაუშალა და ხარობდა მთელ
თავის სახლეულთან ერთად,
რომ იწამა ღმერთი.

საქმეები 16:34

285-ე დღე

სიკვდილამდე
მოწმე

პაკისტანი: შერაზი

წერილის ძალა არ მოდიოდა მხოლოდ ერთი წინადადებიდან: „შეწყვიტეთ მუსულმანებთან ქადაგება.“ მისმა გადაცემის მეთოდმა მოახდინა დიდი გავლენა; ეს წერილი მიმაგრებული იყო ბიბლიის სტუდენტის, სახელად შერაზის სისხლიან სხეულზე. წერილი და შერაზის სხეული მისი ეკლესიის ჭიშკართან დააგდეს ლაჰორში, პაკისტანში.

შერაზი არ დაემორჩილა წერილის რჩევას. სადაც კი მიდიოდა ყველგან თავისი მხსნელის სიყვარულზე ქადაგებდა, რომელიც მისი ცოდვებისათვის მოკვდა. იგი უქადაგებდა იმ ქარხნის მუშებს სადაც თვითონ მუშაობდა, ბიბლიის სკოლაშიც და საკუთარ ოჯახში.

ერთი კვირის წინ, შერაზი ქარხანაში მუშაობდა, თავისი მშობლებისა და სამი დის დახმარების მიზნით, როცა მუსულმან თანამშრომელებთან საუბარში გაება. ისინი გაბრაზდნენ და დაასმინეს. ამის შემდეგ შერაზი აღარავის უნახავს ცოცხალი.

შერაზმა იცოდა, რომ რისკზე მიდიოდა. პაკისტანში მრავალი ადამიანი მოუკლავთ რწმენის გავრცელებისათვის. ზოგიერთები ღვთის გმობაში დაუდანაშაულებიათ და ციხეში გამოუმწყვდევიათ. მაგრამ სახარებისეული უწყება ძალიან კარგი იყო და შერაზს არ შეეძლო მისი დამალვა.

მისი ეკლესიის წევრებსაც არ გაუთვალისწინებათ წერილის რჩევა. ისინი მუსულმანებში ქადაგებას აგრძელებდნენ და იესოს სიყვარულს სთავაზობდნენ ისლამის შიშით დამონებულ ადამიანებს. მათაც ესმოდათ რისკის საფასური, მაგრამ მაინც გააგრძელეს ქადაგება და გააგრძელებენ კიდეც, შერაზის ბედიც რომ ხვდეთ წილად.

ყველაზე ეფექტური დამოწმება არის გულწრფელი დამოწმება. ჩვენ არ გვჭირდება გამოსყიდვის თეოლოგიური მნიშვნელობის დაზეპირება იმისათვის სხვებს ვუთხრათ, რომ იესოს ცვლილება მოაქვს ჩვენს ცხოვრებაში. იესო ჩვენგან მხოლოდ იმის დამოწმებას ითხოვს, რაც საკუთარი თვალით გვინახავს და ყურით მოგვისმენია. ჩვენი პიროვნული დამოწმება არის ყველაზე ძლიერი არგუმენტი იესო ქრისტეს რწმენაში. არავის არ შეუძლია მას შეეწინააღმდეგოს, რადგან ეს ამბავი ჩვენ გადაგვხდა თავს. ხომ არ ყოყმანობ შენი რწმენის გაზიარებაზე? ხომ არ გეშინია შეცდომით რაიმეს თქმის ან კითხვებზე პასუხისას წაბორძიკების? უბრალოდ თქვი რაც იცი რომ სიმართლეა. შენი პიროვნული გამოცდილება გაგხდის ქრისტიანობის დამოწმების ექსპერტად.

ჩვენ არ შეგვიძლია არ
ვილაპარაკოთ ის, რაც ვიხილეთ
და მოვისმინეთ.

საქმეები 4:20

286-ე დღე

იესომ გვითხრა, რომ
უნდა წავიდეთ.
მას არასოდეს უთქვამს,
რომ უკან დავბრუნდებით.

უცნობი

287-ე დღე

ექსტრემალური
მსხვრევა

საუდის არაბეთი: დევნილი ქრისტიანები

„არის ჩემი სახელი სიაში?“ ყველა ქრისტიანს უტრიალებდა ეს კითხვა გონებაში, ჯედადში, საუდის არაბეთში, მას შემდეგ რაც პოლიციამ ქრისტიანის სახლი დაარბია და პირადი კომპიუტერი წაიღო. კომპიუტერში იყო ინფორმაცია იმ რეგიონის ქრისტიანების შესახებ. „ახლა ჩემს კარზე ხომ არ დააკაკუნებენ?“

პრაბუ ისააკი იყო პირველი, ვინც მუტავას მოწვევა მიიღო, ანუ რელიგიური პოლიციის. ისააკი ინდოეთის მოქალაქე იყო, მაგრამ საუდის არაბეთში ისლამის გარდა სხვა რელიგიის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა კანონს ეწინააღმდეგება. ჯვრის ჩამოკიდებაც კი დანაშაულია. მუტავა ფლობდა ინფორმაციას, რომ საუდის მოქალაქეები ქრისტიანებთან საუბარში იყვნენ ჩართულნი. ისააკს თავის ქვეყნის კონსულთან შეხვედრის ნება არ დართეს, მიუხედავად საერთაშორისო კანონისა. პოლიცამ მისი ცოლიც დაკითხა და უცხო ადამიანებთან კონტაქტი აუკრძალა.

შემდეგ სხვა მორწმუნე, ესკინდერ მენგისი დააპატიმრეს, ისააკის კომპიუტერში მისი სახელის პოვნის შემდეგ. შემდეგი იყო ვიპფრედო კალიუაგი. მისი დაპატიმრებიდან მოკლე ხანში, კალიუაგი საავადმყოფოში გადაიყვანეს, როგორც ამბობდნენ „დამბლა დაეცა“ და უნდა ემკურნალათ. თუმცა, მნახველები ამტკიცებდნენ, რომ კალიუაგის სხეული დალურჯებული და ათქვეფილი იყო ცემისაგან.

საუდის არაბეთის კარი დახშულია სახარებისათვის, მაგრამ მამაცმა ქრისტიანებმა, რომლებიც მუსულმანურ ქვეყნებში მუშაობენ, რწმენის გაზიარება დაიწყეს თანამშრომელებსა და მეგობრებს შორის. საქმე რთულია და რისკი უდიდესი. მაგრამ კეთილი უწყების გავრცელება სასუფევლის წინსვლის საქმეა.

საუდის არაბეთის ქრისტიანებს ეშინიათ, რომ მათი სახელები რელიგიის პოლიციის მსხვრევის სიაში მოყვება. თუმცა, კომპიუტერების ჩამორთმევამდე, მათი სახელები განსხვავებულ, უფრო მნიშვნელოვან სიაში მოხვდა. ბიბლია ზეცაში „სიცოცხლის წიგნის“ არსებობის შესახებ გვასწავლის, რომელშიც უამრავი მორწმუნის სახელი წერია. ამ წიგნში ჩაწერილები გადარჩებიან. ისინი, რომელთა სახელები ამ წიგნში არ მოიძებნება სამუდამოდ დაიღუპებიან. თუ იესო ქრისტე საკუთრ მხსნელად მიიღეთ, დაე წერონ თქვენი სახელი მოწინაღმდეგეებმა. ხართ თუ არა ჩაწერილი ქრისტესთან რაც ყველაზე მნიშვნელოვანია?

> გამარჯვებული შეიმოსავს თეთრ
> სამოსლებს და მის სახელს არ
> ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან,
> და ვაღიარებ მის სახელს
> ჩემი მამის წინაშე და მისი
> ანგელოზების წინაშე.
>
> *გამოცხადება 3:5*

288-ე დღე

ექსტრემალური
სასჯელი

ავღანეთი: უცხოური ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომელები

ტალიბანი. ავღანეთის რადიკალური ისლამის მთავრობის სახელი მთელს მსოფლიოშია ცნობილი. ქრისტიანობა ყოველთვის დანაშაულად ითვლებოდა ტალიბანების მიერ მართულ ქვეყანაში.

მათ არ უნდათ ბავშვები, გადაწყვიტა ავღანეთის მთავრობამ.

მთავრობას მათი მამები უნდა. მტკიცების თანახმად ბავშვებს ქრისტიანობის შესახებ ასწავლეს, რის გამოც დააპატიმრეს. უცხოურმა ორგანიზაციებმა, რომელთაც ქვეყანაში შემოსვლის ნება დართეს, ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად ქრისტიანული წიგნები და სხვადასხვა მასალებიც შემოიტანეს. მრავალ ქვეყანაში, მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება არის სახარებისათვის ღია კარი. თუმცა, მთავრობამ მალე მიაგნო ლიტერატურას.

მთავრობის გადაწყვეტილების მიხედვით, ბავშვები უდანაშაულონი იყვნენ ამ საქმეში. მათმა მშობლებმა ვერ გამოიჩინეს შვილებზე სათანადო ზრუნვა. „დაპატიმრება უნდა იყოს მშობლებისათვის გაკვეთილი, რათა შვილებს ყურადღება მიაქციონ და იცოდნენ რას აკეთებენ ისინი," თქვა ტალიბანის მინისტრის წარმომადგენელმა, სათნოების წარმოჩენისა და ნაკლის აღმოფხვრის მიზნით.

ამის შემდეგ ოფიციალური ცნობა გამოქვეყნდა, რომ რვა უცხოელი თანამშრომელი დააპატიმრეს 2001 წლის აგვისტოში და მათთან ერთად მრავალი ავღანელი, რომლებიც ამ უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობდნენ. 2001 წლის ნოემბრის კანონის თანახმად, მუსულმანებისათვის იესო ქრისტეს შესახებ ქადაგება სიკვდილით ისჯება. ავღანელი მუშაკები ისლამთან დაბრუნების საკითხის წინაშე დგანან.

თუ ისლამზე უარს იტყვიან განდგომილად შერაცხავენ. ამასთან ერთად სასიკვდილო განაჩენსაც გამოუტანენ.

ორი ამერიკელი ქრისტიანი თანამშრომელი, რომელთა უსამართლო დასჯის ამბავი საშინელებადჟღერს.მაგრამ,რაცხანდახანსაშინელებადგვეჩვენებაშეიძლებაღვთის დიდებული მიზანი იყოს. აბა შეხედეთ იესოს ცხოვრებას. ზედაპირულად, ქრისტეს სიკვდილი ყველაზე დიდ საშინელებად ჩანდა რაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო. თითქოს მისი მსახურება დასრულდა. თუმცა, ღმერთმა მისი უსამართლოდ დასჯით მოგვიტანა დახსნა. ანალოგიურად, ის ფაქტი, რომ ეს თანამშრომელები თანახმა არიან თუნდაც თავიანთი სიკვდილის საფასურად კეთილი უწყება მიუტანონ ადამიანებს, მთელმა მსოფლიომ შეიტყო ამის შესახებ, რამაც მრავალი ადამიანი მიიყვანა ქრისტესთან და მრავლი მორწმუნე შთააგონა. უსამართლობით ხომ არ იტანჯებით? ეს ღვთის განსაკუთრებულობაა.

ჩვენი სასჯელი მასზე იყო; და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ.

ესაია 53:5

289-ე დღე

ექსტრემალური „მოლი“

რუმინეთი: ჟენია კომაროვი

ძაღლი წინ იწევდა, საყელურისაგან გათავისუფლებას ცდილობდა და კბილებს აღრჭიალებდა. „ეცი!“ დაიყვირა მისმა პატრონმა, ციხის დაცვის კაპიტანმა ნუდნიიმ.

„უფალო, შემიწყალე!“ დაიყვირა ჟენია კომაროვმა, ქრისტიანმა პატიმარმა. მან იცოდა, რომ დაცვის დაუნდობელ ძაღლებს მრავალი პატიმარი მოუკლავთ და ღმერთს დაცვას სთხოვდა.

დიდი გერმანული ნაგაზი მისკენ გაიჭრა და მოულოდნელად გაჩერდა. შიშისაგან უკან დაიხია და ქრისტიანის დაკბენაზე რატომღაც უარი თქვა. ნუდნიიმ ძაღლს უბრძანა და სცემა კიდეც, მაგრამ კომაროვს არ დაეტაკა.

პატიმრებს თითქმის არაფერს არ აძლევდნენ საჭმელად და როცა კომაროვმა თავმდაბლად ცოტა მეტი საჭმელი მოითხოვა, მისმა თხოვნამ ნუდნიის რისხვა დაიმსახურა.

მოგვიანებით, კომაროვმა ილოცა. „უფალო, სული მძვრება შიმშილისაგან, სიძულვილისა და მწუხარებისაგან. გთხოვ დაასრულო ეს ყველაფერი. დაე მოვკვდე და დავმშვიდდე, ან ისეთი სასწაული მომივლინე როგორც ელიას.“

მალე, ნუდნიი მოვიდა სწრაფი ნაბიჯით-ამჯერად ძაღლის გარეშე.

კომაროვმა იფიქრა, რომ ღმერთმა მისი ლოცვა შეისმინა და მალე მოკვდებოდა. მაგრამ, დაცვის უფროსმა ქრისტიანი სამზარეულოში წაიყვანა და სუში და პური მისცა. მან სხვა ქრისტიანებსაც მისცა საჭმელი.

„მაპატიე ძაღლისათვის,“ უთხრა ნუდნიიმ ქრისტიანებს. „ახლა ეს ჩემთვის ტანჯვაა.“

კომაროვმა აპატია დაცვას და მადლობა მოუხადა ღმერთს სასწაულისათვის.

მრავალ ადამიანს შეუძლია პარალელის გავლება დანიელსა და ლომების ხაროზე. მათი მდგომარეობა მსგავია დანიელის ბოროტის ხელში ტანჯვისა. დანიელის ისტორია იყო გამარჯვების ამბავი. მან შეძლო საშინელ მდოგმარეობაზე ამაღლება, რადგან ღმერთის დახსნის იმედი ჰქონდა. შეიძლება ჩვენც აღმოვჩნდეთ ანალოგიურ სიტუაციაში-ზოგიერთების სიცოცხლეს საფრთხეც დაემუქრება-რაც ჩვენს ძალებს აღემატება. ღმერთს შეუძლია საშინელი მდგომარეობიდან ჩვენი დახსნა და მშვიდობის მოცემა. უბრალოდ უნდა მივენდოთ მას და ჩვენი პრობლემების „ხაროსთან“ მოვაგვაროთ საქმე. რამდენად საშინელ მდგომარეობაში ხარ ახლა? სთხოვე ღმერთს მოგცეს მისი დაცვის თანდასწრების განცდა. მიენდე მას და უვნებლად გაგათავისუფლებს შენი
განსაცდელისაგან.

ჩემმა ღმერთმა თავისი
ანგელოზები მოავლინა, ლომებს
პირები აუკრა და მათაც არ მავნეს
მე, რადგან ღვთის წინაშეც სუფთა
აღმოვჩნდი და შენს წინაშეც
ბრალი არა მაქვს მე, მეფეო.

დანიელი 6:22

290-ე დღე

ექსტრემალური „მოქცევა“

ინდონეზია: ახალგაზრდა ქრისტიანი გოგონა

ხალხს ცივი წყალი გადაასხეს ინდონეზიის სოფლის მეჩეთის წინ. შეიარაღებულმა და თეთრებში შემოსილმა მებრძოლებმა ალყა შემოარტყეს შეკრების ადგილს. რიტუალური განბანა იყო ისლამზე მოქცევის ნაძალადევი მზადება. ხალხმა იცოდა, რომ ან მოექცეოდნენ ან ადგილზე თავს გააძრობდნენ.

ახალგაზრდა გოგონა ტიროდა რწმენის გამო, ფიქრობდა, რომ ნაძალადევ განბანვას მისი რწმენის შეცვლა შეეძლო. მან არ იცოდა, რომ მისი ქრისტესადმი რწმენა სულში ჰქონდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა რა მოუვიდოდა მის სხეულს. ის შიშითაც ტიროდა, რადგან იცოდა, რომ წინადაცვეთდნენ სხვა დანარჩენ კაცებთან, ქალებთან და ბავშვებთან ერთად. ნაძალადევი წინადაცვეთა იყო მათთვის საბოლოო ქმედება ახალი რელიგიის მისაღებად. მას არ უნდოდა ახალი რელიგია და ღმერთს შეჰღაღადა.

ინდონეზიელებს შემწყნარებლობა ახასიათებდათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ერი მსოფლიოში ყველაზე მეტი მუსულმანის სახლია, პრობლემები არ ჰქონიათ. მუსულმანები, ქრისტიანები და ბუდისტები გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ და ერთად შრომობდნენ მშვიდობით.

მდგომარეობა შეიცვალა. რადიკალი მუსულმანები ქვეყანას ჯიჰადისაკენ გაუძღვნენ, ანუ წმინდა ომისაკენ, სადაც ყოველი ქრისტიანი სამიზნეა. მრავალმა დაიზეპირა მუსულმანური მრწამსი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად; თუმცა, თავიანთ გულში მხოლოდ ღმერთს შეჰღაღადებენ, რადგან იციან რომ მხოლოდ მას ძალუძს ხსნის მინიჭება.

ხალხი ჩვენს შინაგანსა და გარეგნულ ცვლილებას ცდილობს. მაგრამ მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩვენი შეცვლა-შინაგანად და გარეგნულად. ვიდრე ქრისტეს წინაშე წარვსდგებოდეთ, ხშირად ჩვენი ქვეყნიერების სტანდარტებთან მორგებას ვცდილობთ და ნამდვილი ვინაობა გვავიწყდება. გვაიძულებენ იმ ადამიანად ყოფნას, რომლისათვისაც მოწოდებულნი არ ვართ. როცა ღმერთი ადამიანის შინაგანს ცვლის, სამუდამოდ ცვლის. ძველ ცხოვრებას ველარ დავუბრუნდებით. ამ ამბავში მოთხრობილი გოგონას მსგავსად, სხვებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ ჩვენზე და რაღაც დონეზე გვაკონტროლონ კიდეც. მაგრამ მათ აღარასოდეს შეუძლიათ ჩვენი შეცვლა ისე, როგორც ეს ერთხელ ქრისტემ გააკეთა. განგიცდიათ თუ არა ის „ცვლილება“ რასაც ბიბლია გვასწავლის?



291-ე დღე

ექსტრემალური
თავაზიანობა

რუსეთი: პეტრე

აღმდგარი იესო ორ მოწაფესთან ერთად მიდიოდა ემაუსის გზაზე და იერუსალიმში ახლახანს მომხდარ ამბავზე ესაუბრებოდა. თუმცა მათ ვერ იცნეს ის. ის მათ მესიის შესახებ ღვთის გეგმებზე ესაუბრებოდა. როცა ქალაქში ჩავიდნენ, იესომ ისე მოაჩვენა თავი თითქოს შორს წასვლას აპირებდა. რატომ? განა არ უნდოდა დარჩენილიყო და საუბარი გაეგრძელებინა?

რუსი მორწმუნე, პეტრეს აზრით, იესომ თავაზიანობა გამოიჩინა. მას არ უნდოდა დარჩენილიყო ვიდრე მთელი გულით არ ენდომებოდათ მისი დარჩენა. პეტრეს უნახავს მის ქვეყანაში კომუნისტი ხემძღვანელები. პოლიციას ნებისმიერ დროს შეეძლო სახლებში შეჭრა. ბოლოს, ქრისტიანმა პეტრეს გაუზიარა მხსნელის ამბავი, ვინც თავაზიანად დააკაკუნა მისი გულის კარზე, ვინც მიპატიჟებას ელოდებოდა. პეტრე მოიხიბლა ამ თავაზიანი ქრისტეთი და თავისი სურვილით გაუხსნა მას გულის კარი. იესო მისი მხსნელი და უფალი გახდა.

პეტრეს ესმოდა დიალოგის მნიშვნელობა. იგი შეიცვალა. ღმერთმა იგი არარეგისტრირებულ ეკლესიაში გააგზავნა სამუშაოდ. სადაც სხვების მაგალითზე ბევრი რამ ისწავლა. ზრდასრულმა ქრისტიანებმა ასწავლეს მას დამოწმების ეფექტურად გამოყენება და რწმენის პრაქტიკაში გატარება. მალე, პეტრემ რუსეთში მოგზაურობები დაიწყო ქრისტიანული ლიტერატურის ჩუმად გავრცელების მიზნით და თანდათან სითამამეც ეძლეოდა. იგი არა მარტო მოწაფე გახდა, არამედ სხვებიც დაიმოწაფა, სხვებიც მიჰყავდა ქრისტესთან.

ბოლოს დაიჭირეს და დააპატიმრეს. და აღარავის სმენია მის შესახებ.

ერთხელ რუმინელმა ხუცესმა, რიჩარდ ვურმბრანდმა თქვა: „არასოდეს არ უნდა შევაჩეროთ ქრისტესათვის სულების შეძენა. ამით მხოლოდ ნახევარ საქმეს ვაკეთებთ. ქრისტესათვის ყოველი ახლადშეძენილი სული უნდა გახდეს იგივე. რუსები არა მხოლოდ მოექცნენ არამედ იატაკქვეშა ეკლესიაც დაარსეს. ისინი ქრისტესათვის უგუნურები და გაბედულები იყვნენ...“ როგორ იზრდება ადამიანი პეტრეს მსგავსად საკუთარი დახსნის შემდეგ სხვების დახსნისათვის ზრუნვაში? როგორც ვიღაცა დაეხმარა პეტრეს ქრისტიანად გახდომაში, ასევე ვიღაცამ აჩვენა თუ როგორ გაზრდილიყო რწმენაში. ხალხს უნდა აჩვენონ როგორები უნდა იყვნენ ქრისტესათვის. არის თუ არა შენი მზრდადი რწმენა სხვებისათვის მაგალითი? ღმერთი მოგიწოდებს რათა იყო მოწაფე და დაიმოწაფო სხვები.



292-ე დღე

ექსტრემალური
კოლექცია

კუბა: ტომ უაითი

ვიდრე მათი პატარა თვითმფრინავი კუბის კუნძულზე ჩამოვარდებოდა, რამოდენიმე თვე ტომი და მისი მფრინავი სახარებისეული ბროშურების ჩამოყრით იყვნენ დაკავებულნი და არ იცოდნენ კუბელი ხალხის რეაქციის შესახებ. ახლა ოცდახუთწლიანი პატიმრობის სასჯელით კომბინადო დელ ესტელის ციხეში იჯდა და კუბის ეკლესიის რეალური მდგომარეობა ადგილობრივი მორწმუნეებისაგან მოისმინა. ეკლესია მტკიცედ იდგა ფეხზე!

იგი თავს ამაყად გრძნობდა აქამდე შეხვედრილ ქრისტიანებთან ერთად ციხეში ყოფნის გამო. თუმცა კაპიტანმა სანტოსმა მისი განმარტოებულ, გაყინულ საკანში გადაყვანა გადაწყიტა. ახლა კი გაუჭირდა პოზიტიური ხასიათის შენარჩუნება და მისი გული ისე ცივდებოდა როგორც საკანი.

შეუძლებელი იყო დაგეძინა, რადგან იატაკი ძალიან ცივი იყო. ერთადერთ მის დასვენებას წარმოადგენდა იატაკზე დგომა და ცემენტის კედელზე თავის მიყრდნობა.

გონებრივად იბრძოდა იმედგაცრუების წინააღმდეგ და საგალობლებს მღეროდა. მთელი ძალა მოიკრიბა და მხოლოდ ციხეში მყოფ ძმებზე ფიქრობდა. ისინი მას ამხნევებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მისთვის ლოცულობდნენ. მრავალი შთამაგონებელი დამოწმება გაიხსენა, რომელიც დედამისის მიერ ახალგაზრდობაში მიცემულ წიგნში წაუკითხავს.

ტომმა ეს რთული მდგომარეობა იმ წიგნის მოგონებებით გადალახა. წიგნის სათაური? Foxe's წამებულთა წიგნი.

როცა ვიღაცას ანალოგიური მდგომარეობა ჩვენამდე გაუვლია, ეს გვიადვილებს განსაცდელს. რასაც პიროვნული დამოწმების ძალა ჰქვია. სხვისი გამოცდილების კითხვა გვეხმარება ჩვენი მდგომარეობის იმედიანი თვალით დანახვაში. ხანდახან, შეიძლება ჩვენც ტომივით ჩვენეულ ცივ საკანში აღმოვჩნდეთ. მარტოობის ამ ჟამს, ყველაზე საუკეთესო ურთიერთობა რაც კი შეიძლება ვინმესთან გვქონდეს არის სხვა მამაცი მორწმუნეების ისტორიები. წამებულთა და სხვა ქრისტიანთა ბიოგრაფიებს შეუძლიათ დაგვარწმუნონ, გაგვამხნევონ და მოგვიწოდონ ისევე როგორც სისხლისა და ხორცის მეგობრებმა. განიცდი თუ არა ახლა ტანჯვას? დამშვიდდი შენს მარტობაში შენი ქრისტიანი და-ძმების ისტორიებით. მოიკრიბე ძალა დღეს და იმედი ხვალისათვის.

ამიტომ ანუგეშეთ ერთმანეთი
ამ სიტყვებით.

1 თესალონიკელთა 4:18

293-ე დღე

მეტი დევნა-მეტი ზრდა!

ხუცეს სამუელ ლამის საყვარელი ციტატა-ჩინეთის
საოჯახო ეკლესიის ხუცესი, რომელმაც ოცი წელი
გაატარა ციხეში რწმენის გამო

294-ე დღე

ექსტრემალური

კიდევ ერთი მისიონერი

ინდოეთი: ემი კარლმიშელი

1931 წლის 24 ოქტომბერს კარლმიშელმა ილოცა, „ღმერთო, გააკეთე ჩემით რისი გაკეთებაც გსურს. გააკეთე ყველაფერი რაც შენდამი უკეთესად მსახურებაში დამეხმარება.“ ინდოეთის მისიონერი და დედა მრავალი ინდოელი ბავშვისა, რომლებიც სატაძრო პროსტიტუციიდან დაიხსნა. ემის წესად ჰქონდა ელოცა და ღმერთის პასუხს დალოდებოდა.

მოგვიანებით იმავე დღეს, ემი დაეცა, მუხლი იღრძო და ფეხი მოიტეხა. ამის გამო დასახიჩრდა და მომდევნო ოცი წლის განმავლობაში ოთახში გამოიკეტა.

ემის ამ მდგომარეობის გამო დრო ფუჭად არ დაუკარგავს. მან ყურადღება გადაიტანა წერასა და მსოფლიოს გარშემო წმინდანების გამხნევებაზე. მან ათასობით წერილი გააგზავნა საწოლიდან, ცამეტი წიგნი და შესანიშნავი პოემა დაწერა.

ჭრილობა არა გაქვს?
არც ჭრილობა და არც იარა?
მსახური ბატონის მსგავსი უნდა,
და დაჩხვლეტილია ჩემი მიმდევარის ფეხები;
შენი ფეხები უვნებელია: ვისაც არც ჭრილობა აქვს და არც იარა
შეუძლია შორს გაყოლა?

ემი კარლმიშელის პოემიდან მთის სუნთქვა. საავტორო უფლება @ 1999 წელი, დოჰნავურის თემი. დაიბეჭდა ქრისტიანული ლიტერატურის კრუსეიდების მიერ, ვაშინგტონი, გამოყენებულია ნებართვით.

ემი დასახიჩრდა, მაგრამ მისმა ჭრილობებემა იგი ღმერთს უფრო დაახლოვა. იგი მხსნელთან შეხმატკბილებული დადიოდა და იარების გამო უკეთესად გაიგო ბევრი რამ. ხალხი, რომელთაც განსაკუთრებული ტრაგედია გადაუტანიათ უმალვე კავშირს ამყარებენ ერთმანეთის განსაცდელთან. განქორწინებული ოჯახის წევრები ერთმანეთთან ისეთ კავშირს ამყარებენ, რისი გაკეთებაც სხვებს არ შეუძლიათ. ქრისტეს შემთხვევაშიც იგივეა. როცა ვიტანჯებით, მაშინ სხვა დონეზე ვიწყებთ იესოსთან ურთიერთობას. ვგრძნობთ, რომ მას ესმის ჩვენი ტკივილები და რატომღაც განსაკუთრებულად ვგრძნობთ მის თანდასწრებას. როგორია შენი ჭრილობები, რომელიც იესოს შესახებ გასწავლის? შეგიძლია თუ არა ამის მეშვეობით უფრო მეტად პიროვნული ურთიერთობის დამყარება?

ის იხსნის ტანჯულს მისივე
ტანჯვით, და თრგუნვის ჟამს
უხსნის მათ ყურს.

იობი 36:15

295-ე დღე

ექსტრემალური
კოდი

რუმინეთი: ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

იტაკქცეშა საკანში განმარტოვებული ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი ღვთის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავდა, „შენ ამბობ, რომ მზეს და წვიმას ერთნაირად აძლევ კეთილსა და ბოროტს. რომელი ვარ? კეთილი თუ ბოროტი?“

ღმერთი მის გულს დაელაპარაკა: „შენ სრულიად განსხვავებული ხარ-ღვთის შვილი. ღვთის შვილი არ ელოდება მზეს და წვიმას. ის უნდა გასცემდეს მზეს. შენა ხარ სინათლე ბნელ ქვეყნიერებაზე, გაეცი ნათელი. იმაზე წუწუნის ნაცვლად რაც არ გაქვს, რატომ არ გასცემ? შენს გარშემო უამრავი სული იმყოფება სხვა საკნებში.“

ხუცესმა ვურმბრანდმა ილოცა, „როგორ შემიძლია ვინმე დასახსნელად მოქმედება, როცა მარტო ვარ საკანში?“

„შენ თვითონ იფიქრე.“

შემდეგ რიჩარდს აზრი მოუვიდა და კედელებზე დააკაკუნა. მალე საპასუხო კაკუნი მოესმა. და კედლის ყოველი კუთხის მიმართულებით დაიწყო მორზეს ანბანის სწავლება. რითაც ეფექტურად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და რიჩარდმა სახარების ქადაგება დაიწყო. სხვებმაც მას მიბაძეს.

მისმა ახალმა დამოკიდებულებამ ღმერთს საშუალება მისცა რიჩარდის უიმედო მდგომარეობა სახარების გავრცელების ეფექტურ მეთოდად გამოეყენებინა მთელს ციხეში.

რამოდენიმე წლის შემდეგ, რიჩარდმა დამოწმება მოისმინა, რომ მომიჯნავე პატიმარმა მორზეს კოდის კედელზე კაკუნის მეშვეობით შეიძინა იგი ქრისტეში.

განსაცდელში ყოფნა დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. როცა ხუცესმა რიჩარდ ვურმბრანდმა ციხის მდგომარეობა შეაფასა, ფაქტები სახარბიელოდ არ გამოიყურებოდნენ. თუმცა, მისმა ტანჯვამ იგი ახალ აღმოჩენამდე მიიყვანა. მან გააცნობიერა, რომ პიროვნების დამოკიდებულება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სინამდვილე. განახლებული იმედით შეიარაღებულმა ფაქტების გადასინჯვა დაიწყო. მას ლაპარაკი არ შეეძლო. თუმცა მორზეს ანბანით წერდა კედლებზე. მას სახარების გაზიარება შეეძლო-მისი ჭეშმარიტი სიყვარული. როცა მდგომარეობა ჩვენს წინააღმდეგაა, ჩვენი დამოკიდებულებებისათვის ლოცვაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ტანჯვისათვის უნდა მოვემზადოთ, როგორც ქრისტე. და დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ტანჯვა ვერ დაგვამარცხებს. ყველაფერს გადავიტანთ. ფაქტებზე უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებ? თუ რწმენის ადამიანი ხარ?



296-ე დღე

ექსტრემალური
შრომა

ჩრდილო ვიეტნამი: ძმა დაუ

ძმა დაუ კომუნისტური პარტიის ერთგული წევრი იყო ჩრდილო ვიეტნამში, როცა პირველად მოუსმინა ქრისტიანულ რადიო გადაცემას. თავიდან ისე უარყო იდეა როგორც ცრურწმენა, მაგრამ ორი თვის მოსმენის შემდეგ, ქრისტეს უარყოფა აღარ შეეძლო. იგი აღფრთოვანებული იყო ღვთისადმი სიყვარულით და მის გულს აღარ შეეძლო მეტის დატევა. მალე მან მრავალი თავისი მეზობელი მიიყვანა ქრისტესთან.

მისი აღფრთოვანება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1998 წლის 29 დეკემბერს, დაუს საევანგელიზაციო მსახურებით განრისხებული ვიეტნამის პოლიცია მის სახლში შეიჭრა და იარაღის მუქარით გარეთ გამოიყვანა. მისი მეუღლე და ოთხი შვილი ხელმოცარულნი უყურებდნენ როგორ მიჰყავდათ იგი ციხეში.

ახლახანს აშენებულ შრომა-გასწორების კოლონიაში, დაუს აგურის ქარხანაში მუშაობას აიძულებდნენ. რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველ დღე ორი ათასი აგური უნდა ეზიდა. თუ დაუ თავის ნორმას არ შეასრულებდა, სასტიკად სცემდნენ. როცა ფიქრობდა, რომ მეტის გაძლება აღარ შეეძლო, 2000 წლის 15 ოქტომბერს გაათავისუფლეს.

თუმცა საშინაო პატიმრობაში იმყოფებოდა და რწმენის გაზიარებას უკრძალავდნენ. „ახლახანს დაბრუნდი შრომა-გასწორების კოლონიიდან, კიდევ გინდა იქ დაბრუნება? დაფიქრდი.“

მაგრამ დაუ მიძღვნილი იყო ღვთის „შრომის სიყვარულისადმი“ და თავის გარშემო მყოფებისადმი რწმენის გაზიარებას მაინც აგრძელებდა. ვერც ფიზიკურმა შრომამ-ვერც ორი ათასი აგურის ყოველდღიურად ზიდვამ ვერ დააფრთხო იგი.

მხოლოდ რამოდენიმე ადამიანი თუ აღიარებს, რომ სიხარულით მიდის სამუშაოდ ყოველდღიურად. თუმცა, ღვთის დამმოწმებლებს სრულიად განსხვავებული აზროვნება აქვთ. ღვთის სამსახური არასოდეს არის დამღლელი. თუმცა გამუდმებით ვშრომობთ ღვთის სასუფევლის დაწინაურებისათვის. ღმერთი გვაძლევს ენერგიას დავალების შესასრულებლად და ამტანობას სირთულეებისას. რატომ შრომობენ ქრისტიანები მუხლჩაუხრელად? ანაზღაურების გამო? პრემიების, დაწინაურების თუ სხვა სარგებლის გამო? არა, სიყვარული გვაძლევს ღვთის სამსახურისათვის ყველაფრის გაღების სურვილს. თუ ქრისტე გიყვარს, სიხარულით იშრომებ მისთვის. რის გასაკეთებლად მოგიწოდა მან დღეს?



297-ე დღე

ექსტრემალური
თხოვნა

ჩრდილო კორეა: სტუმარი მისიონერი

ბიჭმა სასტუმროში მისულ „ბიზნესმენთან“ მიირბინა და ხელში ჩაეჭიდა. გაოცებულმა სტუმარმა უკამ დახევა სცადა, მაგრამ მალე შენიშნა, რომ ბიჭი ჩუმად ჯვარს ხატავდა ხელისგულზე თითებით. სტუმარმა მისიონერმა, ვინც ეკლესიასთან კონტაქტის დამყარებისათვის ლოცულობდა, ბიჭს შეხედა და მყისვე მიხვდა რაშიც იყო საქმე: „ჩრდილო კორეაში ეკლესია ცოცხალია!“

მეორე დღეს კაცი ჩუმად შეხვდა ბიჭს. გაიგო, რომ ბიჭის მამა ქრისტიანი ყოფილა, რომელიც წლების წინ დაუპატიმრებიათ. ბიჭის ოჯახს დიდი ტანჯვა გადუტანია სასტიკი მთავრობის ხელში და გადარჩენის მიზნით იძულებული გამხდარა მათხოვრობა დაეწყო საკვებისათვის. გვალვის შედეგად საკვების ნაკლებობის გამო ხალხი კვდებოდა.

როცა მისიონერმა ბიჭს ჰკითხა თუ რისი გაკეთება შეეძლო მისთვის, კაცი ფიქრობდა, რომ ოჯახისათვის საკვებს მოითხოვდა. მაგრამ ბიჭმა ოთხი რამ ითხოვა: აეღო მეათედი, რომელსაც რამოდენიმე წლის მანძილზე აგროვებდა, მოენათლა, ზიარება მიეღო და უკეთესი ბიბლია მიეცა.

ბიჭის სიბრძნის მხილველი კაცი ატირდა. ფიზიკური დახმარება მხოლოდ ერთი ან ორი დღე ეყოფოდა და ისევ მძიმე მდგომარეობას დაუბრუნდებოდა. სულიერი დახმარება კი სასუფევლისათვის მოამზადებდა.

სურვილი და საჭიროება ორი სრულიად განსხვავებული რამაა მრავალი ადამიანისათვის. რაც უნდათ ის არ სჭირდებათ. და რაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ის არ უნდათ. ამიტომ არიან ადამიანები იმედგაცრუებულნი. ამ ბავშვის ამბავი გვასწავლის რა ხდება, როცა ყველა ჩვენი სურვილები და საჭიროებები სწორი თანმიმდევრობით არის განლაგებული გეგმაში. მან სწორად დაგეგმა. მას ყველაზე მეტად ის უნდოდა რაც უფრო სჭირდებოდა: იესო ქრისტე. როცა რაც გსურს ის გჭირდება, უდიდეს კმაყოფილებას იპოვი. შეიძლება ამბობ, რომ ფული გჭირდება, მაგრამ მალე მიხვდები, რომ ფული ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებს. მხოლოდ იესოს შეუძლია შენი სურვილებისა და საჭიროებების დაკმაყოფილება.

ხოლო ჩემი ღმერთი აღავსებს
თქვენს ყოველ საჭიროებას,
თავისი სიუხვისამებრ, დიდებით
ქრისტე იესოში.

ფილიპელთა 4:19

298-ე დღე

ექსტრემალური
სიმტკიცე

ნიგერია: სარატუ ტურუნდუ

„არ გავიქცევი. მზად ვარ მტკიცედ ვიდგე.“

სარატუ ტურუნდუ ოცდათხუთმეტი წლის გაუთხოვარი ქალი იყო. მას ძალიან უყვარდა ბავშვები და საკუთარი შვილი უნდოდა ჰყოლოდა, მაგრამ ღმერთმა არ უპასუხა მის ლოცვას.

სარატუმ გადაწყვიტა, რომ ღვთისა და ეკლესიისათვის მიეძღვნა თავი. მთელი გულით მოსწონდა ეკლესიის ოჯახი და განსაკუთრებით უყვარდა საკვირაო სკოლაში სწავლება. ბავშვებთან ურთიერთობა და მათთვის ქრისტეს გზის ჩვენება სარატუს დაუჯერებელი სიხარულით ავსებდა. მან იცოდა, რომ ქრისტეს გარეშე ვერასოდეს იქნებოდა ბედნიერი.

მაგრამ ფანატიკოსმა მუსულმანებმა, რომლებიც მის ქალაქ კადუნაში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ნიგერიაში, ქრისტიანების დევნა დაიწყეს. სხვა სოფელში დევნის შესახებ ამბები გაიგო, მათი სახლები და ქონება გადაუწვავთ. ზოგიერთები უცემიათ და მოუკლავთ კიდეც.

როცა კადუნაში ქრისტიანებს ბრბო დაესხა თავს, სარატუს უკვე გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა, დარჩენილიყო და ქრისტეს სახელისათვის მტკიცედ მდგარიყო. სარატუს ძმები ეხვეწებოდნენ მათთან ერთად ტყეში გაქცეულიყო. მაგრამ საყვარელი ეკლესიაც რომ ენახა დამწვარი მაინც არ წავიდოდა. ბენზინით ხელში მუსულმანები მის შენობას გარს უვლიდნენ და ცეცხლი წაუკიდეს, მან თავისი ბინის იატაკზე მუხლი მოიყარა და ილოცა.

სარატუ მის ოჯახსა და მეგობრებს ახსოვთ როგორც კეთილი და ერთგული ადამიანი, ვინც ყველას მიმართ სიყვარულს გამოხატავდა. იგი თავისი მხსნელის სიყვარულში მოკვდა.

სუპერ ადამიანური ძალის ზღაპრები შთამაგონებელია მისი დაუჯერებლობის გამო. მოწიწებას გამოვხატავთ იმ დედების მიმართ, რომლებიც მანქანებს ეწევიან საშინელი ავარიიდან შვილების გამოსაყვანად. მოჭარბებული ადრენალინის ფონზე, ადამიანურ სხეულს გასაოცარი გმირობის ჩადენა შეუძლია. ანალოგიურ გავლენას ახდენს ადრენალინი ადამიანის კუნთზე, ჩვენი რწმენა საშუალებას აძლევს ჩვენს სულიერ კუნთს იმის გასაკეთებლად რასაც ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით. სარატუმ სულიერი კუნთი მოადუნა, თავის თემში ქრისტესათვის მტკიცედ დგომის გადაწყვეტილების მიღებით. მას აქამდე არ შეეძლო წარმოედგინა, რომ ამის გაკეთებას ოდესმე შეძლებდა. მაგრამ ღმერთმა მისცა ამის ძალა. ოდესმე ისეთი რამე გაგიკეთებიათ, რის შესახებაც გიფიქრიათ, რომ ვერასოდეს შეძლებდით ამის გაკეთებას? მადლობა გადაუხადე ღმერთს დღეს მისი ერთგულებისათვის, რათა მოგცეს მტკიცედ დგომის ძალა.



299-ე დღე

ექსტრემალური
შურისძიება

ესპანეთი: ბართლომე მარკესი

„გთხოვ, შური იძიო...“

ესპანელი წამებულის, ბართლომე მარკესის წერილმა გაოცება გამოიწვია, რადგან მისი საბოლოო წერილი შურისძიებისაკენ მოუწოდება. შემდეგ მათ დაინახეს, რომ ეს მოწოდება ადამიანის სისხლისადმი შურისძიება კი არ იყო, არამედ უფრო მეტი ადამიანის ქრისტეს მიერ დაღვრილ სისხლთან მისაყვანად.

„გთხოვ ქრისტიანული შური იძიო იმ ადამიანებისადმი კეთილის კეთებით, ვინც ბოროტად მომექცა,“ მოუწოდებდა მარკესი სხვა მორწმუნეებს. „ვიმედოვნებ იქ გიხილავთ სადაც მალე წავალ, ზეცაში.“

ესპანელმა კომუნისტებმა 1939 წელს მარკესი სხვა მრავალ ხუცესთან ერთად მოკლეს. მისი საბოლოო წერილი მეუღლისა და ქრისტიანი და-ძმებისადმი იყო სიხარულის ქადაგება.

„რამოდენიმე საათში ენით გამოუთქმელი სიხარულის კურთხევას განვიცდი. როგორი ადვილია ქრისტეს სახელისათვის დევნილთა სიკვდილი! ღმერთი დაუმსახურებელ პრივილეგიას მაძლევს: მისი მადლის სიხარულით სიკვდილი.

„სანამ ჩემი გული ცემს,“ წერდა იგი თავის ცოლს, „შენი სიყვარულით იძგერებს. როცა ჩემი მაღალი რელიგიური იდეალებისა და ოჯახის დაცვისათვის დამაპატიმრეს, ზეცის კარი გაიხსნა ჩემთვის. ჩვენი სიყვარულის მოსაგონებლად, ახლა მით უმეტეს, გთხოვ, რომ შენი სულის ხსნა უპირველეს მოვალეობად მიიჩნიო. ზეცაში სამუდამოდ გავერთიანდებით. სადაც, ველარავინ დაგვაშორებს.“

ისინი, ვინც ქრისტესათვის იტანჯებიან ფართო ხედვა უნდა ჰქონდეთ. ბიბლია სავსეა ისტორიებით, რომლებიც ინდივიდების ცხოვრებაზე მოგვითხრობენ. მათი ცხოვრება ფართო სპექტრს ეხება-ბრძოლა ღმერთსა და ბოროტს შორის. ეს სურათი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ სატანა შევიწროვებაშია და იტანჯება; თუმცა ჩვენ არ უნდა ვიძიოთ შური ჩვენს შემავიწროვებლებზე. ისინი უბრალოდ სატანის გეგმის მიერ არიან დაქირავებულნი. ქრისტიანი წამებულები, როგორც მარკესი გვახსენებს, იმაზე დიდი შურისძიება არაფერია ვიდრე მოწინააღმდეგეების ქრისტესთან მიყვანა. ილოცეთ შემვიწროვებელი მთავრობების ხელმძღვანელებსა და რეჟიმზე. დახმარება გაუწიეთ მისიონერებსა და სხვებს, რომლებიც სახარებას უზიარებენ ასეთ ადამიანებს.

ხოლო მშვიდობის ღმერთი
მალე თქვენს ფერხთით
შემუსრავს სატანას.

რომაელთა 16:20

300-ე დღე

ეკლესია არის და იქნება დევნილი. ჩვენ ყველა გვიყურებს. თუ რწმენაში, იმედსა და სიყვარულში მოვკვდებით, შეიძლება ამან ქვეყნის ისტორია შეცვალოს. თუ ვერ შევძელით ჩვენი რწმენის სიყვარულისა და იმედის დაცვა, ერებმა ხშირად შეიძლება უარი თქვან ქრისტეზე.

ჩინეთისა და ჩრდილო კორეის მისიონერი



301-ე დღე

ექსტრემალური
დაპყრობა

რუმინეთი: ჯოანა მინდრუტსი

ჯოანა მინდრუტსის მოქმედებამ მრავალი განაცვიფრა. იგი თამამად მივიდა პოლიციის ოფიცერთან და განუცხადა, „ღვთის რჩეული ხალხიდან ქრისტეს ექვსი მონაფე უნდა მოკვდეს დღეს აქ. მეც მათთან ერთად მინდა ვიტანჯო.“ მალე იგი ბრალდებულებთან ერთად გალობდა, რომლებიც იმ დღეს დააპატიმრეს-ებრაელი ქრისტიანი ხუცესი, მისი მეუღლე და ოთხი სხვა ქრისტიანი პატიმარი.

მას შემდეგ რაც რუმინეთის მთავრობა ნაცისტურ გერმანიასთან კავშირში შევიდა, ებრაელების საგანგაშო რიცხვი განდევნა და დახოცა. მაგრამ ეს განსაკუთრებული წყვილი მთელს რუმინეთში იყო ცნობილი და ყველას უყვარდა-ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი და მისი მეუღლე-საბინა.

სასამართლოზე რამოდენიმე ცნობილი რელიგიური ხელმძღვანელი მოვიდა ვურმბრანდების დასაცავად. მაგრამ მოულოდნელად საბჭოთა საომარი თვითმფრინავებით აივსო ცა და ყველა, პატიმრების ჩათვლით, ბომბსაწინააღმეგო თავშესაფარში წაიყვანეს. სადაც ხუცესმა ვურმბრანდმა ჯგუფისათვის ლოცვა შეძლო, მოსამართლეების ჩათვლით. მისი ლოცვა იყო რწმენისა და მონანიებისაკენ ნამდვილი მოწოდება და როცა საშიშროებამ გადაიარა და სასამართლო განახლდა, სასწაული მოხდა.

განსაცდელის ჟამს ღმერთმა მოსამართლეების გულში იმოქმედა და ვურმბრანდები გაამართლეს! ერთმა მოსამართლემ კი დაამატა, „პოლიციამ ექვსი ადამიანი დააპატიმრა, მაგრამ ჩემს წინაშე შვიდი დგას. უდაოდ შეცდომასა აქვს ადგილი. სასამართლო დაითხოვეს!“

სინამდვილეში, ეს იყო ერთადერთი საქმე, სადაც ებრაელები გაამართლეს.

აუხსნელი. დაუჯერებელია. როცა ღმერთი შემოდგამს ფეხს ჩვენს რეალობაში, მისი ნაბიჯები შეუცდომელია. ხანდახან ისეთი რამ ხდება, რომ ურწმუნოებიც კი ხედავენ და აღიარებენ, რომ ვიღაცა თუ რაღაცა გვიყურებს ზემოდან. შეიძლება ისინი ამას ადარებენ „გავლენიან კაცს“ რომელიც გვიცავს ან „დამცველ ანგელოზს.“ როგორც ქრისტიანებმა, ვიცით, რომ ჩვენი ზეციერი მამა ძლიერი და საკმაოდ მზრუნველია იმისათვის, რომ სასწაული მოახდინოს მაშინ, როცა გვჭირდება. გინახავს თუ არა ღვთის სასწაულებრივი შემოჭრა შენს ცხოვრებაში ან შენი საყვარელი ადამიანის ცხოვრებაში? გაატარე დღეს დრო და გადაუხადე ღმერთს მადლობა შენს ცხოვრებაში შემოჭრისათვის.

სიცოცხლე და წყალობა
მოავლინე ჩემზე და შენმა
ზრუნვამ შეინახა ჩემი სული.

იობი 10:12

302-ე დღე

ექსტრემალური
დაცვა

უკრაინა: ვერა იაკოვლევნა

უთვალავი ქრისტიანი გააგზავნეს უკრაინიდან ციმბირის მუშათა ბანაკებში რწმენის გამო. ახლა ვერა იაკოვლევნას ჯერი დადგა. ამ ბანაკის რეპუტაცია ყველასათვის ცნობილი გახლდათ და დარწმუნებული იყო, რომ ვერ გადარჩებოდა.

როცა დაცვამ მისი ქრისტეზე დამოწმების შესახებ შეიტყო, შიშველი ფეხით საათობით ყინულზე დგომით სჯიდნენ. როცა სამუშაო გეგმას ვერ ასრულებდა, სცემდნენ და წყალწყალა ბულიონსაც არ აძლევდნენ, რასაც ისინი ვახშამს ეძახდნენ.

ერთ საღამოს, დეპრესიაში ჩავარდნილი ტიროდა და ციხის ეზოში გამოვიდა რათა მარტო ყოფილიყო. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ვერ შენიშნა როგორ გადაკვეთა აკრძალული ზონა, სადაც პატიმრებს დაუყოვნებლივ ესვრიან.

უცბათ უხეში ხმით ვიღაცამ დაიყვირა, „ჰეი, დედაშენი ქრისტიანია?“

გაოცებულმა და შეშინებულმა ვერამ, რომელიც ახლა მართლა დედამისზე ფიქრობდა, უპასუხა, „რატომ მეკითხები?“

დაცვამ უთხრა, „იმიტომ რომ ათი წუთია გიყურებ და ვერ გესროლე. ხელს ვეღარ ვამოძრავებ. არადა კარგად ვიყავი-მთელი დღე ვამოძრავებდი ხელს. მე ვფიქრობ, რომ დედა უნდა გყავდეს, რომელიც შენთვის ლოცულობს. გაიქეცი-მე სხვა მხარეს გავიხედავ.“

ვერამ მეორე დღეს ის დაცვა დაინახა. დაცვამ გაუღიმა, ხელი მაღლა ასწია
და უთხრა, „ახლა კვლავ ვამოძრავებ ხელს.“

ჩვენ მოგვწონს უსაფრთხოება. უსაფრთხოება გვირჩევნია თავგადასავლებს. კომფორტს ვამჯობინებთ პრობლემებს. როცა საქმე საქმეზე მიდგება, რამდენადაც შესაძლებელია გვინდა ჩვენი ცხოვრება დავიცვათ ეჭვებისა და შიშისაგან. ხანდახან გვავიწყდება, რომ ღმერთი თავის დაცვას გვთავაზობს, როცა წინა ხაზზე ვიბრძვით მის სამსახურში. როდის გადადგი ბოლოს რწმენის ნაბიჯი ისე, რომ ღმერთის დაცვაზე უნდა დაგემყარებინა იმედი? იმდენად დაკავებული ხომ არ ხარ შენი ცხოვრების უსაფრთხოდ დაცვით, რომ დაგავიწყდა როგორ მიენდო ღმერთს? იმდენად ფრთხილი ხარ რომ არასოდეს გასწევ ღვთისათვის რისკს? მიუხედავად შედეგისა, მოწმობა უბრალოდ „რისკი“ არ არის. ის რწმენაა.



303-ე დღე

ექსტრემალური
გადაწყვეტილება

რუმინეთი: რიჩარდ და საბინა ვურმბრანდები

ჯერ კიდევ გვიანი არ იყო ქვეყნიდან გაქცევა; ათასობით ადამიანი ახერხებდა ამას. ხუცესსა და მის მეღლეს კი უჭირდათ ამ გადაწყვეტილების მიღება, წასულიყვნენ თუ არა. „თუ ციხეში გაგვაგზავნეს, რამოდენიმე წელს მოგვისჯიან. მერე რა ეშველება ჩვენს ვაჟს?“

მაგრამ მათ არ სურდათ ეკლესიის დატოვება. წევრები მათ ძალისა და დახმარებისათვის შეჰყურებდნენ, და ცოლ-ქმარი თავს დამნაშავედ გრძნობდა წასვლის ცდუნების გამო. მეგობარმა მათ ანგელოზის ლოტისადმი ნათქვამი სიტყვები შეახსენა, „გაიქეცი და უკან ნუ მოიხედავ.“

ხუცესი ფიქრობდა, „ეს სიტყვა ღვთიდან იყო თუ არა? უნდა გავიქცეთ თუ არა ჩვენი სიცოცხლის გადასარჩენად?“

მისმა ცოლმა სხვა ადგილი წაიკითხა წერილიდან. „ვისაც სიცოცხლის შენარჩუნება უნდა დაკარგავს მას, ხოლო ვინც თავის სიცოცხლეს დაკარგავს ჩემი ანდა სახარების გულისათვის შეინარჩუნებს მას“ (მარკოზი 8:35).

კამათი მანამდე გაგრძელდა, ვიდრე ერთ საღამოს, საიდუმლო საოჯახო ეკლესიის ორმოცდაათი წევრი არ შეიკრიბა მთელი ღამე სალოცავად. დაახლოებით შუაღამით, მუხლმოყრით მლოცველმა ქალმა დაიყვირა, „და თქვენ, რომელიც წასვლას ფიქრობთ- გახსოვდეთ, რომ კარგი მწყემსი თავის ცხვარს არ დატოვებს. და ბოლომდე დარჩება.“

ამ ქალბატონმა არაფერი იცოდა ხუცესისა და მისი მეუღის ტანჯვების შესახებ, მაგრამ მათთვის პასუხი აშკარა იყო. მათ დარჩენა და ეკლესიის მწყემსვა არჩიეს, რისთვისაც მოგვიანებით ციხეში ტანჯვამ მოუწიათ.

ვურმბრანდების მსგავსად, უნდა ვლოცულობდეთ ჩვენი გადაწყვეტილებებისათვის, ვიკითხოთ ბიბლია, და რჩევები სხვებსაც დავეკითხოთ. ვურმბრანდების მსგავსად, ღვთის პასუხის მიღებამდე უნდა გვქონდეს მისადმი მორჩილების სურვილი. ეს არის გასაღები. ეს იმას ჰგავს, რომ ლოცვას მტკიცე ‘ამინით’ ვიწყებთ, ვიდრე ღმერთს ვკითხავდეთ თუ რა უნდა გავაკეთოთ. არ უნდა ვებღაუჭებოდეთ საკუთრ ცხოვრებას და უნდა გვსურდეს საკუთრების შეგრძნებისაგან გათავისუფლება. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვიპოვოთ საკური ჭეშმარიტი ცხოვრება და სრულად მივიღოთ ღვთის ნება ჩვენს ცხოვრებაში. ხშირად ხომ არ ხართ ისე ჩაჭიდებული თქვენს ცხოვრებაზე, რომ თქვენი ცხოვრებისა და გონების შეცვლაც რომ სურდეს ღმერთს რაღაც საკითხთან დაკავშირებით, სულ ერთია მაინც არ მისცემდით ღმერთს ამის ნებას?

ვისაც სურს სული შეინარჩუნოს,
იგი დაღუპავს მას. ხოლო ვინც
ჩემი ანდა სახარების
გულისათვის დაღუპავს სულს,
იგი შეინარჩუნებს მას.

მარკოზი 8:35

304-ე დღე

ექსტრემალური
დაბადების დღე

რუსეთი

„დღეს ჩემი დაბადების დღეა თუ შენი?“ იკითხა ახალგაზრდა ქრისტიანმა და თვალებში ნაპერწკალმა გაუელვა.

„დღეს შენი დაბადების დღეა,“ უთხრა მამამ გოგონას. „ჩემი გასულ კვირას იყო.“ ქრისტიანებისათვის კომუნისტურ ქვეყნებში დაბადების დღე დიდი მიზეზი იყო ერთად შეკრებისათვის. ზოგიერთი ოჯახი ყოველ კვირა იკრიბებოდა დაბადების დღის წვეულებისათვის, რაც სინამდვილეში არარეგისტრირებული ეკლესიის მსახურება იყო.

ახალგაზრდები ამ „წვეულებებს“ სახარების მოვალეობისადმი გაძლიერებაში იყენებდნენ. 1966 წელს რუსეთში, სამი ახალგაზრდა გოგო და სამი ბიჭი დააკავეს საგალობლების მატარებელში სიმღერისათვის.

სასამართლოში, ექვსი ახალგაზრდა მუხლებზე დაეცა. „ღმერთის ხელში გადაგვიცია ჩვენი სიცოცხლე,“ თქვეს მათ მოსამართლეებისა და დამსწრეთა წინაშე. „მადლობას გიხდით ღმერთო, რომ შენი რწმენის გამო ტანჯვის უფლება მოგვეცი.“

მათი აღიარების შემდეგ, დარბაზში მსხდომმა სხვა ქრისტიანებმა იგივე საგალობელი წამოიწყეს, რომლის გამოც ეს ბავშვები დააკავეს. მათ თქვეს, „მოდი ჩვენი ახალგაზრდობა ქრისტეს მივუძღვნათ.“

კომუნისტებმა ვერ შეაჩერეს ეკლესიის შეხვედრები და მათი რიცხობრივი ზრდა. ერთი რუსული გაზეთი მოგვითხრობდა ხუცესის შესახებ, რომელიც სამჯერ დააპატიმრეს. რამდენჯერაც გაათავსუფლეს იმდენჯერ სასწრაფოდ დაიწყო საკვირაო სკოლის შეხვედრები.

ეს მორწმუნეები ნებისმიერ ხერხს მიმართავდნენ ღვთის სიყვარულის გამოსახატავად. ისინი ეწეოდნენ რისკს და იტანჯებოდნენ მათი ქვეყნის მიერ ღვთის ეკლესიის სამსახურში მსჯავრდებისათვის.

ჩვენი ფიზიკური კუნთების გასაძლიერებლად, საჭიროა ვარჯიში და მაგრად შრომა. ანალოგიურად, რწმენა არის კუნთი, რომელიც მოდრეკის შედეგად იზრდება. ტანჯვა დრეკს ჩვენი რწმენის კუნთებს. განსაცდელისას დაძაბული და „დამსხვრეული“ ვართ ღვთის წინაშე. მიუხედავად ამისა მაინც ვიზრდებით. ქრისტიანობა აკრძალულ ქვეყნებში ეკლესიები შეუდარებელ ძალას ავლენენ ტანჯვის გამო. შეგიძლია თუ არა, რომ იგივე თქვა შენს რწმენაზე ამერიკაში? ვარჯიში გვღლის-აღარ გვინდა მისი გაგრძელება. ანალოგიურად, ტანჯვაზე ფიქრმა შეიძლება სიმშვიდე დაგაკარგვინოს. თუმცა, კუნთის გავარჯიშების გარეშე ვერ გაიზრდები.

ხოლო ღმერთი ყოველგვარი
მადლისა, რომელმაც მოგვიწოდა
თავისი სამუდამო დიდებისაკენ
ქრისტეში, თქვენი მცირეოდენი
ტანჯვის შემდეგ სრულგყოფთ,
გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ
და დაგამყარებთ.

1 პეტრე 5:10

305-ე დღე

ექსტრემალური
მანიფესტი

რუსეთი: უსახელო პატიმარი

ქვრივი თავისი წამებული ქმრის გვამთან იდგა და ოთხიდან ორი შვილისათვის ხელი ჩაეჭიდა. მისი ქმარი ციხეში მოკვდა და მისი სხეულის იარები მოწმობდნენ, რომ სიკვდილი ნელა და მტკივნეულად მოვიდა.

დანარჩენმა მორწმუნეებმა იცოდნენ, რომ მათაც იგივე ბედი ხვდებოდათ წილად, მიუხედავად ამისა ასობით ადამიანი მოვიდა დასაფლავებაზე. მოქცევიდან სამი თვის შემდეგ მოკვდა რწმენის გამო და ახლა ხალხი მას დასტიროდა.

ხალხი იმ სახლის გარშემო შეიკრიბა სადაც დასაფლავება იყო და მრავალი გაამხნევა მისმა მაგალითმა. იმ დღეს ოთხმოცმა ადამიანმა სახალხოდ მიიღო ქრისტე, ახალგაზრდების ჩათვლით, რომლებიც ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციის წევრები იყვნენ.

ქრისტიანები მდინარისაკენ გაემართნენ, სადაც ახალი მორწმუნეები მონათლეს. ახლა შეკრებილთა რიცხვი ათას ხუთასამდე გაიზარდა.

მალე, პოლიციელებით სავსე მანქანები მოვიდნენ. ხელმძღვანელების დაპატიმრებას ეცადნენ, რადგან ყველა იქ მყოფის დაკავება შეუძლებელი იყო. ქრისტიანებმა მაშინვე მუხლი მოიყარეს და ღმერთს მსახურების დასრულების შესაძლებლობა სთხოვეს. შემდეგ ადგნენ, მხარდამხარ დადგნენ და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ ნათლობისათვის ხელი არ შეეშალათ. ხალხი ახალი მორწმუნეების მონათვლის შემდეგ დაიშალა და პოლიცია გაატარეს.

ათასი ადამიანი შთააგონა ერთი ახალი მორწმუნის მიძღვნის მაგალითმა.

მანიფესტაცია. უბრალოება, ხილულობა, დემოსტრაცია, ჩვენება, წინსვლა. სიტყვის მნიშვნელობა აშკარაა. არის თუ არა ჩვენი რწმენა სიტყვის მნიშვნელობასავით აშკარა? ამ ამბის გმირმა იესოს მიბაძა. აშკარად და უბრალოდ. მისი ნათელი მაგალითის შედეგად მრავალმა სულმა თავისი რწმენის მანიფესტაცია მოახდინა. ცხოვრების უბრალო მანიფესტაციით ყველას უნდა დავანახოთ ქრისტეში ჩვენი რწმენა. იციან თუ არა სხვებმა როგორ გაჰყვნენ ქრისტეს თქვენი მაგალითის მიხედვით? უბიძგებს თუ არა მათ ეს თქვენი რწმენისათვის მიბაძვის სურვილს? გაფრთხილდი, რომ ერთმანეთში არ აურიო შენი რწმენის გამოვლინება დამაბნეველ რიტორიკასთან ან სხვა რელიგიებთან. უბრალოდ იყავი როგორც ქრისტე და სხვებიც გამოგყვებიან.

306-ე დღე

ექსტრემალური
მუხლები

კომუნისტური ქვეყნები: არარეგისტრირებული ეკლესიები

„ბიბლიის მუხლები ჭეშმარიტებად რჩება, სატანამაც რომ მოიხსენიოს მაინც.“

მიზანი ბიბლიის მასხარად აგდებას ემსახურებოდა, ისე დაეცინათ, რომ არცერთი საკუთარი თავის პატივისმცემელ ადამიანს მისი არ ერწმუნა. გეგმის განსახორციელებლად, მილიონობით წიგნი დაიბეჭდა, კომიკური ბიბლიის ჩათვლით და ბიბლია მორწმუნეთა და ურწმუნოთათვის.

ეს წიგნები სასაცილოდ იგდებდნენ იესოს, მის სასწაულებს ეჭვის ქვეშ აყენებდნენ და აბუჩად იგდებდნენ ქრისტიანული რწმენის სხვადასხვა ასპექტებს. მაგრამ კრიტიკა იმდენად სასტიკი იყო, რომ არავინ მიიღო სერიოზულად. უთვალავი მუხლი იყო მოყვანილი წერილიდან, რაც კომუნისტური აზროვნების მიხედვით ბიბლიის „შეცდომაზე“ მიუთითებდა.

არარეგისტრირებული ეკლესიის წევრებმა გამოცემისთანავე დაიტაცეს „კომიკური“ წიგნები. წიგნებში მოხსენიებული მუხლები სასუსნავი იყო სულიერად დამშეული ადამიანებისათვის. და ეს ყველაფერი ლეგალური იყო, მათი ღვთისმოძულე მთავრობის მიერ დაბეჭდილი. როგორც ყვავებმა გამოკვებეს ელია შიმშილისას, ასე გამოიყენა ღმერთმა მთავრობის სტამბები თავისი მოშიმშილე შვილების გამოსაკვებად კომუნისტურ ერში.

გამომცემლობას ახარებდა ათასობით წერილის მიღება წიგნების განმეორებით ბეჭდვის თაობაზედ. მოთხოვნა სასწრაფოდ იქნა დაკმაყოფილებული. და არ იცოდნენ, რომ ეს წერილები მორწმუნეებისაგან მოდიოდა, რომელთაც ღვთის სიტყვით სავსე წიგნების გავრცელება სურდათ არარეგისტრირებული ეკლესიის წევრებისათვის.

ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანია ქრისტიანობა აკრძალულ ქვეყნებში ბიბლიების გაგზავნა? წაიკითხეთ წამებულთა ამბები და გადაწყვიტეთ. ერში, სადაც ბიბლია კაპიკებში იყიდება, ძნელია დააფასო სულიერად დამშეული ადამიანების ბიბლიისადმი წყურვილი. ჩვენ შეიძლება ბიბლიების გამოფენა გვაქვს სახლში, მაშინ როცა, სხვა მორწმუნეები ერთი ბიბლიით სარგებლობენ მთელს ეკლესიაში. სამართლიანია, რომ მრავალი ეკლესიის მქონე ქვეყანას თითქმის ყველა სახლში უამრავი ბიბლია ჰქონდეს და აკრძალულ ქვეყნებში კი არცერთი? ღმერთო, გამოაღვიძე ჩვენში წერილისა და მისი სიტყვის გავრცელების წყურვილი სულიერად დამშეული ადამიანებისათვის! დაფიქრდი, როგორ შეგიძლია დაეხმარო დღეს ბიბლიის გავრცელების საქმეს აკრძალულ ქვეყნებში.



307-ე დღე

იესო ქრისტესთან მეგობრობა საზღაურს მოითხოვს. რწმენა საკმარისია გადარჩენისათვის, მაგრამ დამხსნელი რწმენა მარტო არასოდეს არის. მას ყოველთვის თან ახლავს ქრისტეს გულისათვის უდიდესი მსხვერპლი.

ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი



308-ე დღე

ექსტრემალური
დამოწმება

სუდანი: კუვა ბაშირი

„თუ მოვკვდები, გამეხარდება, რადგან სხვა ქრისტიანებისათვის მისაბაძ მაგალითს დავტოვებ.“

კუვა ბაშირი, სუდანის ახალგაზრდული ჯგუფის ხუცესი ბიბლიის შემსწავლელი კლასისათვის ამზადებდა მასალას, როცა საშინელი, მაგრამ არა მოულოდნელი ამბავი გაიგო. ეს იყო 1987 წელი, და სუდანის მუსულმანურმა მთავრობამ ახლახანს დაიპყრო ბლუ ნაილის ტერიტორია სუდანში.

მუსულმანმა სამხედროებმა მალე დააპატიმრეს ბაშირი, მისი მუსულმანად მოქცევის მიზნით. ბაშირს გათავისუფლებამდე შვიდი დღის განმავლობაში სცემდნენ და აწამებდნენ, მაგრამ მაინც უარი თქვა მოქცევაზე. მათ უთხრეს, რომ აღარასოდეს მოეწყო ახალგაზრდული ღონისძიებები და არ დასწრებოდა ეკლესიას, მაგრამ ბაშირი არ შეშინდა. მან იცოდა, რომ ისლამურ არმიას არ შეეძლო მის სულს შეხებოდა.

როცა მეორედ დააპატიმრეს, ბაშირმა თქვა, „სიხარულით მოვკვდები შიშის გარეშე, ისე როგორც ქრისტე ჯვარზე.“ ის აგრძელებდა დამტყვევებლებთან ღმერთზე საუბარს და ზედამხედველი ოფიცერი სროლით ემუქრებოდა. სანაცვლოდ, გადაწყვიტეს, რომ მჟავა დაესხათ ხელებზე მუსულმანობაზე მოქცევის წინააღმდეგ სამუდამო მოსაგონებლად.

მაგრამ ბაშირი მტკიცედ იდგა რწმენაში და დღეს მისი დამწვარი, უსარგებლო ხელები ცოცხალი დამოწმებაა ბონგას ლტოლვილთა ბანაკის ახალგაზრდებისათვის, სადაც ის შრომობს სუდანისა და ეთიოპიის საზღვარზე.

სიტყვა, რომელსაც წამებულები გვიზიარებენ თავიანთი სიკვდილით ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა გავატაროთ. ღვთის მადლის ცოცხალი მოწმენი უნდა ვიყოთ. შეიძლება ვერასოდეს შევუერთდეთ წამებულებს ამ სიტყვის სრული გაგებით და არ მოვკვდეთ ქრისტეს რწმენისათვის. თუმცა ყოველდღიურად გვაქვს მისი სახელისათვის ცხოვრების შესაძლებლობა. ნათქვამია, რომ „რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს.“ ტანჯვას გადავურჩებით რათა ვიცოცხლოთ და სხვებს ვუამბოთ ღვთის მადლის შესახებ. ატყვია თუ არა შენს ცხოვრებას იარები? ნუ შეგრცხვება. დაე შენი ჭრილობები იყოს დამოწმება. დაე შენმა ამბავმა უთხრას ყველას შენი შეუდრეკელი რწმენის შესახებ.

ხოლო თუ ვინმე იტანჯება,
როგორც ქრისტიანი, ნუ
შერცხვება, არამედ ადიდოს
ღმერთი ამის გამო.

1 პეტრე 4:16

309-ე დღე

ექსტრემალური
ახალგაზრდა მისიონერი

რუმინეთი

თუმცა, საბჭოელებმა მათი ქვეყანა დაიკავეს, მაგრამ რუმინელი ბავშვები მტკიცე ნაბიჯით მიდიოდნენ რუს ჯარისაცებთან თბილი და თავდაჯერებული ღიმილით.

ჯარისკაცები მათ ტბილად ესალმებოდნენ და თავზე ხელს უსვამდნენ. ყოველი ჯარისკაცი საკუთარ შვილზე ფიქრობდა, რომელთა დატოვებაც აიძულეს.

„აიღეთ კამფეტი," უთხრა მათ ერთმა ოფიცერმა და ახალგაზრდებს შოკოლადები დაურიგა, რომლებმაც დიდი სიხარულით აიღეს სანატრელი ტკბილეულობა.

„მადლობთ, სერ," უთხრეს ბავშვებმა. „ჩვენცა გვაქვს თქვენთვის საჩუქარი." და ჯიბიდან სახარებისეული ბროშურები და რუსულ ენაზე გამოცემული ახალი აღთქმები ამოიღეს.

„ეს რა არის?" იკითხეს ჯარისკაცებმა.

„ეს არის კეთილი უწყების წიგნი," თქვეს შოკოლადით პირგამოტენილმა ბავშვებმა. ჯარისკაცებმა წიგნებს თვალი გადაავლეს. ერთმა რელიგიურმა ოფიცერმა ბროშურები იცნო და საშიშროების მოახლოება იგრძნო. ბავშვებს მწუხარებით შეხედა თვალებში. უფროსებს რომ ეს გაეკეთებინათ, უნდა დეპატიმრებინა. მაგრამ ბავშვებს რა უნდა დაეშავებინათ? გაიფიქრა მან.

მაგრამ ოფიცერმა არ იცოდა, რომ ამ ბავშვებმა ასობით ბროშურები და ახალი აღთქმები გაავრცელეს და რუს ჯარისკაცებს ღვთის შეცნობაში დაეხმარნენ. ეს ბავშვები სხვა „არმიის" სიაში ჩაეწერნენ საუკუნო „ბრძოლისათის."

სადაც უფროსები უსაფრთხოდ ვერ იმოქმედებენ, ბავშვები იქ სახარებისათვის ფართოდ გახსნილ კარში შედიან.

პესიმისტსა და ოპტიმისტს შორის განსხვავება არის „შესაძლებელსა" და „შეუძლებელს" შორის განსხვავება. ქრისტიანობა აკრძალულსა თუ თავისუფალ ქვეყნებში ორივეგან ხედავენ დაკეტილ კარს. ზოგიერთ ქვეყანაში ბიბლიის ქონება ციხეს ნიშნავს. ამერიკაში, „ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფა" უკიდურეს ზღვრამდეა მისული. ხანდახან იმაზე გადაგვაქვს ყურადღება, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ ქრისტიანები და რაც ღვთის ხელსაყრელ შემთხვევას გვაშორებს. დახურულ კარს უფრო ვხედავთ ვიდრე ღიას. მაგალითად, აკრძალულ ქვეყნებში მისიონერებს არ შეუძლიათ შესვლა, მაგრამ „პროფესიონალი" მუშაკები სჭირდებათ! შეგვიძლია ადგილობრივ ქრისტიანებს დავეხმაროთ. კარი ღიაა. შედით მასში.

ითხოვეთ და მოგეცემათ. ეძებეთ
და იპოვით. დააკაკუნეთ
და გაგეღებათ.

მათე 7:7

310-ე დღე

ექსტრემალური
სკოლის ბავშვები

სუდანი

ხის ჩრდილის ქვეშ კუნძებზე იჯდა 230 ქრისტიანი სტუდენტი და ის-ის იყო ინგლისურის გაკვეთილი უნდა დაეწყოთ, რომ ჰაერში საშინელი ხმა გაისმა. თვითმფრინავმა სკოლას გადაუფრინა თავზე. რამდენიმე წუთში, ისლამურმა ჯარმა ბომბები ჩამოყარა რუსული წარმოების თვითმფრინავიდან.

შეშინებულმა ბავშვებმა ყვირილი დაიწყეს და გაიქცნენ. ორი ბომბი სოფლის გარსშემოვლებულ მშრალ თხრილში ჩავარდა, მესამე კი არ აფეთქდა.

სამწუხაროდ, ორი დალურსმული ბომბი შეშინებულ სტუდენტებს დაეცა. საშინელი აფეთქება მოხდა. დაუჯერებელი მსხვერპლი.

ათის თხუთმეტი წუთისათვის თავდამსხმელი უკვე წასულიყო და საშინელი სანახაობა იდგა სკოლის ეზოში. გაოგნებული სტუდენტები ყვირილითა და ტირილით აქეთ-იქით დარბოდნენ. ცხრიდან თორმეტ წლამდე ასაკის თორმეტი მათი კლასელი აფეთქებას ვერ გადაურჩა. მათი საყვარელი ახალგაზრდა მასწავლებელი, როდა ისმაილიც მათთან ერთად იწვა ლოდებში.

დაბომბვიდან რამოდენიმე დღის შემდეგ შვიდი ბავშვი გარდაიცვალა და სამ ბავშვს კიდურების ამპუტაცია გაუკეთეს.

მეორე დღეს ბავშვები ჩვეულებრისამებრ მივიდნენ სკოლაში. განადგურებულმა და გულგატეხილმა სკოლის დირექტორმა უთხრა, რომ სახლში წასულიყვნენ. „ვერ გეტყვით გავაგრძელებთ თუ არა სწავლას და როდის.“

ათი წლის ბიჭმა უპასუხა, „გთხოვთ გავაგრძელოთ სწავლა. ჩვენ გვინდა რომ ვისწავლოთ და თუ ეს ღმერთის ნებაა მაშინ არ მოვკვდებით.“

ცხოვრება გზაჯვარედინზე. ჩვენ ყველას გამოგვივლია ეს გზა, ყოყმანი უკანდახევასა და წინსვლას შორის. როგორც ამ სკოლის მოსწავლე ბიჭმა, ისე იესოს მიმდევრებმა შენიშნეს, რომ ბილიკი, რომელზეც ისინი იდგნენ საშიშროებით იყო სავსე. როგორც გულგატეხილი სკოლის დირექტორი, იესოს მიმდევართაგანაც მრავალი გაბრუნდა სახლში და არ შეეძლოთ ეთქვათ საერთოდ თუ შემობრუნდებოდნენ უკან და გაჰყვებოდნენ ქრისტეს. პეტრე და სხვა მოწაფეები კი დარჩნენ. მოსწავლე ბიჭის თხოვნა პეტრეს პასუხს ჰგავს, „მოდი გავაგრძელოთ.“ როცა უკანდახევის ცდუნება გვძლევს, მოდი გავაგრძელოთ. როცა იესოს გაყოლა რთულად გვეჩვენება, მოდი გავაგრძელოთ. შენი პირობის შესრულების გზაჯვარედინზე ხომ არ დგეხარ ამჟამად? სთხოვე ღმერთს მოგცეს გაგრძელების ძალა უკანდახევის ნაცვლად.

მიუგო მას სიმონ-პეტრემ:
„უფალო, ვისთან უნდა წავიდეთ?
საუკუნო სიცოცხლის
სიტყვები შენა გაქვს.“

იოანე 6:68

311-ე დღე

ექსტრემალური
გადარჩენილი

ჩრდილო კორეა: ერთადერთი მოწმე

ნელ-ნელა მდგომარეობიდან გამოვიდა და გარშემო კვამლი დაინახა. მან ხუცესს მოუხმო, მაგრამ არავინ უპასუხა. შეშინებულმა, სწრაფად დაიწყო ადამიანის გვამების გროვიდან და ლოდებიდან თავის დაღწევა.

იმ დილით, 190 მორწმუნე ჩრდილო კორეელთან ერთად იყო, როცა პოლიცია შენობაში შემოიჭრა და შეკრებილნი იძულებით წაიყვანეს ქალაქის ცენტრში.

მათი ერის წინაძღოლი, კიმ სუნგ მეორე იდგა მათ წინაშე. უგულო დიქტატორი სკვერის ცენტრში მივიდა მიწაზე ზოლი გაავლო და უბრძანა, ვისაც სიცოცხლე უნდოდა უარი ეთქვა ქრისტეზე და ხაზი გადმოეკვეთა.

არცერთს ნაბიჯი არ გადმოუდგამს წინ. განრისხებულმა, კიმ სუნგმა მათი მაღაროში დინამიტებთან ერთად შეყრა ბრძანა.

ბოლო რამ რაც გადარჩენილ მორწმუნეს ახსოვს, ის იყო, რომ ხუცესი ჯგუფს ურჩევდა არ დანებებულიყვნენ და ამხნევებდა. კაცმა გააცნობიერა თუ არა, რომ ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი იყო, შეჰყვირა, „რატომ ღმერთო? რატომ მეც დანარჩენებთან ერთად არ მოვკვდი?“

ღმერთმა მალევე აღავსო მისი გული მშვიდობით და მიხვდა, რომ ვიღაც უნდა გადარჩენილიყო მათი რწმენის დასამოწმებლად. ეს სისასტიკე მრავალთაგან ერთ-ერთი თავდასხმა იყო კიმ სუნგის კომუნისტური მსახურების ფორმის, სახელად ჯუჩესაგან. გმირობის ეს ამბავი ფართოდ გავრცელდა ქრისტიანებს შორის და დღესაც ყვებიან მის შესახებ ჩრდილო კორეაში.

ამ მოთხრობის მორწმუნეების მსგავსად, მეხანძრეები, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის თავდასხმას გადაურჩნენ მდუმარე მოწმეები არ არიან. თუმცა არ შეუძლიათ ახსნან თვითონ რატომ გადარჩნენ და არა მათი ამხანაგები. ისინი გულწრფელი პატრიოტები არიან და იციან, რომ ვიღაც გადარჩება და იმათი სიკვდილის ამბავს იტყვის, სხვების სიცოცხლის გადასარჩენად რომ მოკვდნენ. როგორც ქრისტიანს, შენ უფრო საინტერესო გადარჩენის ისტორია გაქვს გასაზიარებლად. იესო ჯვარს კი არ გადაურჩა. მან გამარჯვება მოიპოვა მასზე. იგი უბრალოდ კი არ გადაურჩა მწარე გამოცდას; იზეიმა. იგი თავის აღმდგარ სხეულში დაბრუნდა, რათა თავისი მოწაფეებისათვის და მალე მთელი ქვეყნიერებისათვის ეუწყებინა, რომ იესო მოკვდა სხვების დახსნისათვის, რათა მათ იცოცხლონ. თუმცა ის ახლაც ცოცხალია, მკვდრეთით აღმდგარი და ქვეყნიერებას ხსნას სთავაზობს.

სარწმუნოა და სრულიად მიღების
ღირსია სიტყვა, რომ ქრისტე
იესო მოვიდა სოფელში
ცოდვილთა სახსნელად.

1 ტიმოთე 1:15

312-ე დღე

ექსტრემალური
ქალიშვილი

ტაჯიკეთი: მუნირა

„მუნირა, ხუთი წუთი დრო გაქვს ვიდრე მოგკლავდე. ვის აირჩევ-შენს ოჯახს თუ იესოს?“

რამოდენიმე თვის მანძილზე მალავდა მუნირა თავის რწმენას; მას ძალიან უყვარდა თავისი ოჯახი და არანაირი სურვილი არ ჰქონდა მათთვის ტკივილი მიეყენებინა. მაგრამ, როცა მამამისმა მუნირას გათხოვების საქმე მოაგვარა, მხოლოდ მაშინ უთხრა მათ მუნირამ ქრისტეს სიყვარულის შესახებ.

მუნირას თითქოს რწმენა გამოელია. მაგრამ მამამისს უპასუხა, „ქრისტე უნდა ავირჩიო.“ ტაჯიკი კაცი გააბრაზა, მუსულმანური რწმენის ურყოფით შვილის მიერ ოჯახის შეურაცხყოფამ და ორი საათის განმავლობაში სცემდა ქალიშვილს.

მაგრამ ღმერთი ჩაერია. ქრისტიანმა მეგობარმა წაიყვანა სახლში ცოტა ხნით უსაფრთხოების მიზნით. მუნირამ თქვა, „სახლიდან შორს ყოფნისას, ღმერთმა თავისი ერთგულება დამანახა ბევრი ლოცვის შემდეგ და ვიცოდი, რომ ჩემს ოჯახთან შერიგების დრო დადგა.“

როცა სახლში დაბრუნდა ყველას გაეხარდა, გარდა მამამისისა.

მისი პირველი სიტყვები იყო, „მძულხარ! მოშორდი აქედან! ჩემი ქალიშვილი სამი თვის წინ მოკვდა!“

განადგურებული მუნირა მამამისის ფეხებთან ტიროდა და ამბობდა, „ჩემმა ღმერთმა მითხრა დავბრუნებულიყავი შენთან. აღარასოდეს დაგტოვებ, რომც მცემო და მომკლა.“

მამა მოლბა და შვილს გადაეხვია. მალე მამამ შვილის ახალი რწმენისადმი მორჩილება გამოხატა და შვილის ბიბლიის კოლეჯში სასწავლებლად წასვლაზეც კი დათანხმდა.

ზოგიერთ მკითხველს ისე ძალიან აინტერესებს როგორ განვითარდება მოვლენები, რომ წინასწარ კითხულობენ დასასრულს. ხან ერთ თავს გამოტოვებენ და ხან დასასრულზე გადახტებიან. უბრალოდ უნდათ იცოდნენ გაიმარჯვებს თუ არა წიგნის გმირი ბოლოს. უნდათ დაინახან ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა თუ არა. სამწუხაროდ, შენი ცხოვრების მომავალს ვერ წაიკითხავ წინასწარ. როგორც მუნირამ, ისე უნდა გადაშალო ცხოვრების ერთი თავი, მხოლოდ ერთი დღით. მის მსგავსად არც თქვენ არ გაგიცრუვდებათ იმედები. აღელვებით ხომ არ უყურებ სად წაგიყვანს შენი მომავალი? გინდა გაიგო ღმერთის მომდევნო გეგმა შენს ცხოვრებაში? ყველაზე საუკეთესო რისი გაკეთებაც შეგიძლია არის ის, რომ დაემორჩილო ღმერთს დღეს და ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს საკუთარ თავზე.

ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე,
ვინაიდან ხვალინდელი დღე
თვითონ იზრუნებს თავის თავზე.
ყოველ დღეს საკმარისად აქვს
თავისი საზრუნავი.

მათე 6:34

313-ე დღე

ექსტრემალური
თანამშრომელი

ეგვიპტე: ორიგენე

„ჩვენი ქონება დაწვეს, მაგრამ ჩვენს გულებში იესოს დაწვა არ შეუძლიათ.“

ორიგენე არ იყო ტიპიური თვრამეტი წლის ბიჭი. იგი მეორე საუკუნის ეგვიპტეში მასწავლებელი იყო. მისი ეკლესია სასტიკი დევნისაგან იტანჯებოდა და არც თვითონ არ ცდილობდა დრო გოგონების დევნასა და თანატოლებისათვის თავის მოწონებაში დაეკარგა.

შიშისაგან გაქცევის ნაცვლად, რამაც საკუთარი მამაც კი იმსხვერპლა, გადაწყვიტა დევნილ ეკლესიას შეერთებოდა. მან თავისი ცხოვრება იმ ქრისტიანების გამხნევებაში გაატარა, რომლებიც სასამართლოს წინაშე იყვნენ წარდგენილნი. როცა სასიკვდილოდ მიჰყავდათ მათთან მივიდოდა და გადაეხვეოდა ხოლმე. ციხეშიც დადიოდა პატიმრების სანუგეშებლად.

მაგრამ მალე ორიგენემ მსჯავრდებული მორწმუნეების თანადგომის გამო, საკუთარი თავი დააყენა საშიშროების წინაშე. ჯარისკაცები დაუყენეს მის სახლს სათვალთვალოდ. მას მრავალი მტერი ჰყავდა და მისი მტრების რისხვა თანდათან იზრდებოდა.

ბოლოს ქალაქის დატოვება აიძულეს. სახლიდან სახლში გადადიოდა საშიშროების თავიდან აცილების მიზნით. მაგრამ იგი შთააგონა ებრაელთა წერილის რწმენის მაგალითებმა და ურთიერთობა გააგრძელა დევნილებთან. მან რამოდენიმე ადამიანი დაიქირავა კიდეც წერილის ხელით გადასაწერად.

მისმა საოცარმა დამოკიდებულებამ ბოლოს ზოგიერთი მისი მტერი ქრისტესთან მიიყვანა. მაინც დააპატიმრეს, აწამეს და მოკლეს მისი ასეთი დამოკიდებულებისათვის.

რას ნიშნავს დევნილებთან თანამშრომლობა? ხალხი ერთმანეთთან არ თანამშრომლობს იმიტომ, რომ ერთნაირ ტანჯვას განიცდიან. შეიძლება, ჩვენი და-ძმებისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში ვიყოთ აკრძალულ ქვეყნებში, მაგრამ მაინც შეგვიძლია მათთან თანამშრომლობა. პიროვნული მიძღვნა. უყოყმანო მხარდაჭერა, ლოცვა და თანადგომის ძაფი შეგვიძლია გავაბათ ჩვენს გულებსა და ცხოვრებაში. ორიგენეს მსგავსად, ვართ თუ არა თანახმა სახარებისათვის წამებულთა რიგში ჩავდგეთ? ან უნდა გვრცხვენოდეს ჩვენი მეგობრების ან შევეგუოთ რისკს. როცა გვესმის ლოცვისათვის წამებულთა ხმის მოწოდება, ვუპასუხებთ თუ არა მათ ღაღადს როგორც ამ საქმის თანამონაწილენი?

მე ვარ იოანე, თქვენი ძმა და
მოზიარე გასაჭირში, სუფევასა და
იესო ქრისტეს მოთმინებაში.

გამოცხადება 1:9

314-ე დღე

ჩემს საყვარელ უფალთან ერთად,
ყველგან კარგია.
მასთან ერთად სინათლეა
ბნელ საკანში.
მას ვთხოვე იქ გავეგზავნე
სადაც საჭირო ვარ,
და არა სადაც ადამიანისათვის
ჯობია, არამედ სადაც ნაყოფის
გამოღება შემიძლია.
ეს არის ჩემი მოწოდება.

რუსი ხუცესის პ. რუმატჩიკის-ამონაწერი წერილიდან,
რომელიც მეხუთე დაპატიმრებისას მოიწერა ციხიდან

315-ე დღე

ექსტრემალური

კიდევ ერთი ადვოკატი

გერმანია: დიტრიხ ბონჰოფერი

როცა თოთხმეტი წლის დიტრიხ ბონჰოფერმა გამოთქვა სურვილი ემსახურა, მისმა მდიდარმა ოჯახმა ეკლესია გააკრიტიკა. დიტრიხმა მათ უთხრა რომ ეკლესიის რეფორმას მოახდენდა.

ოცდაერთი წლის ასაკში, მისი დისერტაცია, წმინდათა ზიარება, შეფასებულ იქნა როგორც „თეოლოგიური სასწაული.“ როგორც ხელდასხმულმა მსახურმა და თეოლოგიის პროფესორმა, ბონჰოფერმა ცხოვრება ეკლესიის პრობლემების კვლევას მიუძღვნა.

1933 წელს, როცა ადოლფ ჰიტლერი მოვიდა გერმანიის სათავეში ეკლესიას ებრაელების მსახურებად კურთხევის უფლება ჩამოართვა. ეს კანონი ეკელსიამ მიიღო. მხოლოდ ბონჰოფერმა აიმაღლა ხმა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და კანონის გადახედვას ითხოვდა.

ლექციებსა და სტატიებში დიტრიხი ბოროტ ნაცისტებს ამხელდა და ეკლესია იმაში დაადანაშაულა, რომ „ხმა არ ამოიღო მსხვერპლთა დასაცავად და... და მათ დასახმარებლად მალევე არ გამონახა გზები.“

1943 წლის აპრილში, ბონჰოფერი ბერლინში დააპატიმრეს „შეიარაღებული ძალების დამხობის მცდელობისათვის.“ მაგრამ ციხეში წერა გააგრძელა. „ეკლესია დუმდა, როცა ხმა უნდა ამოეღო.“

1945-ში ფლოსენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს, სადაც ექვს სხვა ადამიანთან ერთად ჩამოახრჩვეს 9 აპრილს. ბანაკის ექიმმა სახრჩობელაზე წაყვანამდე ნახა, რომ მუხლმოყრილი ლოცულობდა და თქვა: „არასოდეს მინახავს ადამიანი ღვთის ნების სრული მორჩილებით მოკვდეს.“

ნათქვამია, თუ რაღაცის დასაცავად არ დავდგებით, დარწმუნებული შეგვიძლია ვიყოთ, რომ არაფრისთვის დავეცემით. ანალოგიური მდგომარეობა იყო ნაცისტურ გერმანიაში. ქრისტიანულ ქვეყანაში ეკლესია დუმდა, როცა ბოროტების ზღვა ბობოქრობდა. მისი ტალღები ეხეთქებოდა ისტორიის სანაპიროს და ბონჰოფერის ეული ყვირილის ხმას ახშობდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭეშმარიტების ადვოკატები ვართ, თუ გაჩუმებას ვამჯობინებთ ანალოგიურ სიტუაციაში? ამ პრობლემებთან დაკავშირებული ჩვენი სიჩუმე განა არ ახდენს გავლენას იმ ქვეყნებში არსებული სიტუაციაზე, სადაც ტირანია ბატონობს? ჭეშმარიტების დამცველი რწმენაში პირდაპირი უნდა იყოს. ბონჰოფერის მსგავსად უნდა გვსურდეს ჩვენი მოქმედების შედეგის ატანა. წინააღმდეგ შემთხვევაში რისკის წინაშე ვდგებით „დავეცეთ ნებისმიერი რამისათვის“ ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებდეთ დავდგეთ თუ არა მტკიცედ ქრისტეს გულისათვის.

ყველა მოგიძულებთ ჩემი სახელის
გამო. მაგრამ ბეწვიც კი არ
დაიკარგება თქვენი თავიდან.
მოთმინებით მოიპოვეთ
თქვენი სული.

ლუკა 21:17-19

316-ე დღე

ექსტრემალური
იარაღი

რუმინეთი: საბინა ვურმბრანდი

დილის 5 საათზე კარების კაკუნის ხმა შემოესმათ და მიხვდნენ, რომ ეს პოლიციის თავდასხმა იყო. საბინას ქმარი უკვე ციხეში იყო და ახლა დედა თავის პატარა ბიჭზე სწუხდა. როცა რუმინეთის პოლიცია სახლში შემოიჭრა დილით ადრე და ყვირილით სტუმრები გააღვიძეს, საბინამ ჩუმად ილოცა და საკუთარი თავი და ოჯახი ღვთის მზრუნველ ხელს გადასცა.

მათ დაიჟინეს, „საბინა ვურმბრანდ? ჩვენ ვიცით, რომ სახლში იარაღს მალავ. გვითხარი სადა გაქვს დამალული!“ ვიდრე შეეკამათებოდა, დაუპატიჟებელმა სტუმრებმა კარადებისა და უჯრების იატაკზე გადმოცლა დაიწყეს. თან ყვიროდნენ, „არ გვეტყვი სად იმალება იარაღი? აქაურობას ნაკუწებად ვაქცევთ!“

საბინას უჭირდა სიმშვიდის შენარჩუნება, უბრალოდ თქვა, „ერთადერთი იარაღი რაც ამ სახლშია, აქ არის,“ და იატაკიდან ბიბლია აიღო.

ოფიცერმა თქვა, „თუ სიმართლეს არ მეტყვი, ჩვენთან წამოსვლა და სრული ახსნა-განმარტების გაკეთება მოგიწევს იარაღზე.“

საბინამ ბიბლია მაგიდაზე დადო და უპასუხა, „გთხოვთ რამდენიმე წუთი მოგვცეთ ლოცვისათვის და შემდეგ თქვენთან ერთად წამოვალ.“

„იარაღს,“ ბიბლიას ჩამოშორებული საბინა წუხდა, მაგრამ ძალა შეემატა იმის გაფიქრებით, რომ მისი სიტყვები გულში ჰქონდა დამალული, საიდანაც ვერავინ წაართმევდა მას.

ეფესელთა წერილში პავლე ქრისტიანული რწმენის დაცვის საშუალებად ასახელებს ჩაფხუტს, ფარს, ქამარს და დამცავ ფეხსაცმელს. თუმცა ერთ იარაღზე ამახვილებს ყურადღებას: ღვთის სიტყვაზე. ეს იარაღი არჩევითია. როგორც ძველი ჯარისკაცები იყვნენ დამოკიდებულნი მახვილზე, ასევე ჩვენ უნდა დავამყაროთ იმედი წერილის ბასრ მახვილზე, ჩვენი უსაფრთხო ბილიკის გასაკვალად. სამწუხაროდ, მრავალი ქრისტიანია დარჩენილი დაცვის გარეშე სულიერ ომში. მათ ბიბლიის მუხლები ისე არა აქვთ დაზეპირებული როგორც საბინას; უმწეონი არიან მისი ძალის გამოსაყენებლად. ნუ იქნები მომდევნო სულიერი მსხვერპლი. აიღე შენი მახვილი დღეს.

აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის
მახვილი, რომელიც არის
ღვთის სიტყვა.

ეფესელთა 6:17

317-ე დღე

ექსტრემალური
მიტევება

რუმინეთი: დიანა და ფლორა

დიანა მხოლოდ ცხრამეტი წლისა იყო, როცა მამამისი რწმენის გამო დააპატიმრეს. დიანას და ფლორას დააწვათ კისერზე ოჯახზე ზრუნვა, მაგრამ მალე ქარხანაში სამუშოც დაკარგეს მამამისის პატიმრობის გამო.

ავადმყოფი დედისა და პატარა და-ძმების შემხედვარე დიანა და ფლორა სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. როცა ახალგაზრდა კაცმა მათ დაურეკა და უთხრა, რომ მუშაობის უფლების მოპოვებაში დაეხმარებოდა, დების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახალგაზრდა კაცმა სადილზე დაპატიჟა გოგონა, ბევრი ღვინო დაალევინა და შეაცდინა. ბოლოს ფული მისცა, რაც მოგვიანებით მათი ურთიერთობის ფონი გახდა. ამის შემდეგ აღარაფერი თქმულა მუშობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით და დიანამ გამოუვალი მდგომარეობის გამო ფული მიიღო.

დიანამ პროსტიტუცია ოჯახის დახმარების მიზნით გააგრძელა, ამასთანავე დანაშაულის შეგრძნებაც არ ასვენებდა. მალე მისი დაც ჩაება იმავე საქმეში და ცდილობდნენ ერთად დაემალათ სირცხვილი.

ახლა, დედას სახეში უყურებენ და ეუბნებიან, „როგორ შეგიძლია გვაპატიო? ვფიქრობთ, რომ უნდა გძულდეთ.“

დედა სიყვარულისა და ნუგეშის სიტყვებით ელაპარაკა შვილებს, „გრცხვენიათ თქვენი საქციელის და ასეც უნდა იყოს. მაგრამ სირცხვილისა და დანაშაულის ნაპერწკალი მიგიყვანთ სიმართლესთან. გახსოვდეთ, რომ ჯარისკაცებმა იმდენად კი არ განგმირეს ქრისტეს ფერდი, რამდენადაც ‘გახსნეს’ იგი, რათა ცოდვილები ადვილად შევიდნენ მის გულში და პატიება მიიღონ.“

ცოდვაზე წუხილი და საკუთარი თავის შეცოდება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული საკითხია. ტანჯვაში მყოფ ბევრ ადამიანს საკუთარი თავისადმი სიბრალულის გრძნობა ეუფლება. მთელი ძალისხმევით სხვების დადანაშაულებას ცდილობენ საკუთარ წარუმატებლობაში. როგორი ცდუნება უნდა დაუფლებოდათ ამ მოთხრობის გოგონებს მამამისის დადანაშაულებაში. „ის რომ ქრისტიანი არ ყოფილიყო არ დააპატიმრებდნენ და ჩვენც ამ მდგომარეობაში არ ჩავცვივდებოდით.“ ბოლოს გოგონები თავიანთი ნებით დაუმორჩილებლობის ჭეშმარიტ აღიარებასა და მონანიებამდე მივიდნენ. და პატიებაც მიიღეს. ღვთიურ მწუხარებას მონანიებამდე მივყავართ, რაც მიტევებისაკენ მიგვიძღვის. საკუთარი თავის სიბრალულს ხომ არ გრძნობ ტანჯვისას? გაფრთხილდი! სიბრალულს მალე შეუძლია წაგიძღვეს დაუმორჩილებლობამდე.

ვინაიდან ღვთის გულისათვის
დამწუხრება წამოშობს სინანულს
სახსნელად და არ გახდება
სანანებელი, ხოლო სოფლის
წუხილი სიკვდილს წარმოშობს.

2 კორინთელთა 7:10

318-ე დღე

ექსტრემალური

„კრიმინალი“-ნაწილი პირველი

საუდის არაბეთი: ხუცესი ვალე, ფილიპინელი თანამშრომელი

მას საუდის არაბეთში ეძებდნენ როგორც კრიმინალს. არა ქურდობის, ან მკვლელობის ან გაუპატიურებისათვის. არამედ ქრისტიანული ეკლესიის ხუცესობისა და საუდის არაბეთის დედაქალაქში დიდი ეკლესიის ხელმძღვანელობისათვის.

ხუცესი სახლიდან წაიყვანეს და სამ კაცთან ერთად სადღაც ოთახში შეიყვანეს. სადაც იგი სცემეს. მისთვის ყველაზე მტკივნეული იყო ფეხის გულებზე მათრახის ცემა. ცემის შემდეგ მისი ხელ-ფეხი ბადრიჯნისფერი გახდა.

ტკივილის მიუხედავად ველის ფეხზე დგომა უბრძანეს. „არ შემიძლია,“ თქვა მან. ფეხის ყველა წერტილი მტკივა და დგომას ვერ შევძლებ. „გთხოვთ, დაჩოქვის ნება მომეცით.“ მწამებლებმა თხოვნაზე უარი თქვეს.

როცა სამი კაცი სცემდა, ხუცესი მათთვის ლოცულობდა. ლოცვაში ერთი მუხლი გაახსენდა. „იგი თავის ანგელოზებს უბრძანებს... და ხელში აყვანილს გატარებენ და ქვაზე ფეხს არ წამოჰკრავ“ (ფსალმ 91:11-12). მიუხედავად მისი ფეხების ტკივილისა, ვალემ დგომა შეძლო. კაცები გაოცებულნი იყვნენ, რომ ამდენი ცემის შემდეგ კაცი ფეხზე დადგა.

ზოგიერთები ადრე აგზავნიან თავიანთ დამცველ ანგელოზებს უკან. ხუცეს ვალეს შემთხვევაში, ანგელოზები მუდამ მზადყოფნაში არიან ქრისტესათვის მლოცველი მოწმისა და გაბედული სულის ადმიანისათვის დასახმარებლად. ხუცესის მდგომარეობა უნიკალური იყო მაგრამ არა მისი ლოცვა. ხანდახან მტკიცედ უნდა ვიდგეთ ქრისტეს ერთგულებისათვის. გამოვხატავთ თუ არა ანალოგიურ სურვილს ჩვენს სამსახურში? სახლში? სკოლაში? თუ ფიქრობ, რომ რომელიმე საკითხში გიჭირს ქრისტესათვის მტკიცედ დგომა, სთხოვე ღმერთს დღეს გამოგიგზავნოს თავისი ანგელოზები წამოსაყენებლად.



319-ე დღე

ექსტრემალური
ხელმძღვანელობა

ფილიპე: პავლე და სილა

„მან მითხრა, ‘მოდი მაკედონიაში და დაგვეხმარე,’“ თქვა პავლემ.

სილამ უპასუხა, „ესე იგი გჯერა, რომ ეს ღვთიური სიზმარი იყო?“

„დიახ, მჯერა.“

სილამ გაიღიმა და უპასუხა, „მაშინ მაკედონიაში მივემგზავრებით ღვთიური სიჩქარით!“

როცა ისინი ფილიპეში ჩავიდნენ, პატივდებული ვაჭარი ქალი მოექცა და ახალგაზრდა გოგონა ეშმაკისაგან განიკურნა. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ სწორად გაიგეს ღვთის ხმა და მის გზას მიჰყვებოდნენ.

„და აი!“ კაცმა ყვირილი ატეხა ბრბოში. ვიდრე პავლე და სილა მიხვდებოდნენ რაში იყო საქმე, მანამდე ქალაქის მოსამართლესთან წაიყვანეს და სახარების სიტყვით მათი ქალაქის მშვიდობის დარღვევაში დაადანაშაულეს. მთავარმა მოსამართლემ ტანსაცმელი შემოიხია, მათი ცემა და ციხეში ჩაგდება ბრძანა.

იმ ღამით, დასისხლიანებულ და დალურჯებულ პავლესა და სილას შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ღმერთმა შეცდომაში შეიყვანა ისინი. მაგრამ კითხვა, „როგორ დაუშვა ღმერთმა ეს ჩვენს თავზე?“ არასოდეს დაუსვამთ. არამედ, შუღამისას, გალობდნენ და ღმერთს ადიდებდნენ. ისინი ენდობოდნენ ღვთის წინამძღოლობას. მათ იცოდნენ, რომ ღმერთს ისინი არ მიუტოვებია და მათი სასწაულებრივი გათავისუფლების ჟამიც მალე დადგა.

სილამ და პავლემ გააგრძელეს ღვთის წინამძღოლობის მორჩილების ქვეშ მოგზაურობა. და ბოლოს, სილა კორინთოს ეკლესიის ხელმძღვანელი გახდა. ორივე ღვთის წინამძღოლობით სარგებლობდნენ და ორივე რწმენისათვის წამებულნი გახდნენ.

ჩვენი ცხოვრების ნება რომ გვსიზმრებოდა! ღვთის გეგმები ისე ცხადი რომ ყოფილიყო ჩვენს ცხოვრებაში როგორც ქუჩაში შუქნიშანი. ვამჯობინებდით, რომ ვინმეს ეთქვა ზუსტად რა უნდა გავაკეთოთ! როგორ სასურველადაც არ უნდა გამოიყურებოდეს ეს მეთოდი, იგი რწმენის ელემენტებს გამორიცხავდა. ღმერთს სურს მასზე ვიყოთ მინდობილნი ჩვენი ცხოვრების გზის განსაზღვრისას. პავლემ და სილამ არ იცოდნენ ზუსტად რა მოხდებოდა ფილიპეში. მათ მხოლოდ იცოდნენ, რომ ღმერთმა უთხრა წასულიყვნენ. შეიძლება არ იცი სად მიყავხარ ღმერთს, მაგრამ ხარ თუ არა თანახმა გაყვე ყველგან? ვერ წახვალ თუ სავსებით არ მიენდობი მას.



320-ე დღე

ექსტრემალური
„კრიმინალი“-ნაწილი მეორე

საუდის არაბეთი: ხუცესი ვალე

„უფალო, შეიძლება ყველაფერი მოხდეს დღეს აქ,“ ლოცულობდა ხუცესი ვალე. „გთხოვ, არ მისცე ჩემი სიცოცხლის წართმევის ნება.“

ცემა გრძელდებოდა და ხუცესიც აგრძელებდა საუდელ მწამებლებზე ლოცვას. ლოცვისას მას გაახსენდა მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ჩვენი სხეულები სული წმინდის ტაძარია.

„მადლობა, რომ ნება მომეცი ვიყო შენი ტაძარი,“ აგრძელებდა ვალე ლოცვას. „ღმერთო, დარწმუნებული ვარ, არ გინდა რომ შენი ტაძარი განადგურებული და შეურაცხყოფილი იყოს მტრისაგან. გინდა, რომ შენი ტაძარი განდიდებული და შენი ბრწყინვალებით იყოს სავსე. ჩემი სხეულის სრულ აღდგენას გთხოვ, უფალო. მნიშვნელობა არა აქვს რას იმოქმედებენ ეს მწამებლები, ვლოცულობ, რომ უფრო მეტად განდიდდე ჩემი სხეულის სრულად განკურნების შემდეგ. ხალხი ვერ იხილავს მწამებლების მიერ ჩემს სხეულზე მიყენებულ ნაკვალევს.“

ხუცესს ჯოხით სცემდნენ ზურგსა და ფეხებზე და მისი ხელ-ფეხი თითქმის უმოძრაო მდგომარეობაში იყო. ბოლოს, მათ ქრისტიანი საკანში დააბრუნეს რადგან ამდენი ცემისაგან დაიღალნენ და მეტის გაგრძელება აღარ შეეძლოთ.

ხუცესი რამდენიმე საათის განმავლობაში ლოცულობდა და ბოლოს ღრმა ძილისას ღვთის თანყოფნა და მკურნალი ხელის შეხება იგრძნო. გაიღვიძა და ნახა, ხელ-ფეხი განკურნებოდა. ცემისაგან დარჩენილ არანაირ ტკივილს აღარ გრძნობდა. ვალე აღტაცებული იყო, რადგან ღმერთმა განკურნა იგი.

შესაძლებელზე მეტი ხომ არ ითხოვა რწმენით განკურნებისათვის სალოცავად? ბოროტად ხომ არ ისარგებლა წერილით? რეალობა გვეუბნება, რომ მას არც ერთი ამათგანი არ გაუკეთებია. ხუცესმა უბრალოდ მიიყვანა ღმერთი თავის სიტყვებთან. მრავალი ქრისტიანი უფრო მეტად ისარგებლებდა ანალოგიურ შემთხვევაში. თუმცა ჩვენ ვერ შევძლებთ ღმერთის თავის სიტყვებთან მიყვანას თუ წერილი არ გვეცოდინება. ხუცესმა შეძლო საჭიროების შემთხვევაში გამამხნევებელი მუხლების გახსენება, რადგან დროს უთმობდა წერილის კითხვას. მრავალი ერთგული და ნაცემი ქრისტიანი არ იკურნება დაუყოვნებლივ, მაგრამ ღმერთი იყენებს ჩვენს დამოწმებას განკურნებულნი ვართ თუ არა. შეგიძლია თუ არა ღვთის სიტყვის საჭიროების შემთხვევაში გახსენება? უთხარი ღმერთს, რომ მზად ხარ წაიყვანო ის თავის სიტყვასთან.



321-ე დღე

ვიხსენებ იესოს სიტყვებს: „ვისაც ის სწამს... საუკუნო სიცოცხლე აქვს.“ (იოანე 3:16)

კრიმინალებთან ერთად ვარ. დაუჯერებელია, რომ ადამიანი ცხოველს დაემსგავსოს. ცხოველები ცოდვისაგან თავისუფლები არიან. ციხეში, ჩემს გარშემო მყოფი ადამიანები კი ცხოველებისათვის მიუწვდომელ სატანურ სიღრმეებში ეფლობიან.

ბოსელში ცხოვრება უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ამ კრიმინალების გარემოში. მათი ყოველი სიტყვა ბინძურია, ყოველი გამოხედვა საზიზღარი. „მათი ხორხი ღია სამარეა... მათი პირი სავსეა წყევლითა და სიმწარით.“ (რომაელთა 3:13-14)

მაგრამ ამ ფონის მიღმა ანათებს ღვთის არაჩვეულებრივი სიყვარული. რადგან ჭეშმარიტებაა, რომ ვისაც მისი სწამს-ასეთ ადამიანებსაც კი-შეუძლიათ საუკუნო სიცოცხლის მიღება. ღმერთმა გამაგზავნა ციხეში მათთვის კეთილი უწყების მისატანად.

ქრისტიანი რუსი პატიმრის წერილი

322-ე დღე

ექსტრემალური
შვებულება

ირანი: ზღვისპირა ქალაქი

„ახლა შვებულებაში ვართ, საყვარელო," უთხრა ირანელმა ხუცესმა თავის ცოლს. „გთხოვ ნურაფერს გააკეთებ ისეთს პოლიცამ რომ დაგვკითხოს. მოდი, შევირგოთ ერთად ყოფნა."

ხუცესის მეუღლე იესო ქრისტეს მოსიარულე მოწმე იყო. მას ათასამდე ბიბლია და რამოდენიმე ათასი იესოს ფილმი დაურიგებია მუსულმანებისათვის ირანში.

ზღვისპირა ქალაქში, სადაც ისინი შვებულებას ატარებდნენ, მოლში შევიდნენ. ერთმანეთს დაშორდნენ სხვადასხვა ნივთების ყიდვის მიზნით, და როცა ხუცესი დაბრუნდა, დაინახა, რომ მეუღლე იესო ქრისტეს შესახებ ესაუბრებოდა ხალხს.

ირგვლივ საიდუმლო პოლიცია მოათვალიერა, სასწრაფოდ გამოიყვანა მეუღლე მაღაზიიდან და მანქანაში ჩასვა. „ძვირფასო, ახლა დასასვენებლად ვართ. როგორც იცოდი აქ, ამის გაკეთებას არ ვაპირებდით."

ცოლმა თვალებში ჩახედა ქმარს. „მაღაზიაში ბევრი ადამიანია რომელმაც ქრისტეს შესახებ არაფერი იცის," თქვა მან სერიოზულად. „თუ მოკვდნენ და ჯოჯოხეთში წავიდნენ შენ იქნები პასუხისმგებელი."

გამოსწორებულმა ხუცესმა მანქანა მოაბრუნა და მაღაზიისაკენ აიღო გეზი. მალე მისი მეუღლე მაღაზიაში შევიდა, და სახარებისა და იესოს ფილმების დარიგება დაიწყო.

ერთმა ქალბატონმა ამ დროს თქვა. „დიდი მადლობა," თქვა მან აცრემლებულმა. „ხუთი წელია ბიბლიისათვის ვლოცულობდი, და ახლა ღმერთმა უპასუხა ჩემს ლოცვას."

შვებულება კარგი სამახსოვრო დროა. სანაპიროზე სეირნობა. ქალაქში საყიდლებზე სიარული. რადგან ჩვენი ყოვლდღიური ცხოვრებიდან შესვენება გვჭირდება, მაგრამ არასოდეს არ გვაქვს დამოწმებაზე უარის თქმის დრო. უფრო მეტიც, ჩვენი დამოწმება იმდენად შესისხლხორცებული უნდა იყოს ჩვენს პიროვნულობასთან, რომ ამ ორი რამის ერთმანეთისაგან დაშორება შეუძლებელია. მოციქული პავლე არსად წასულა როგორც „ტურისტი". ზოგიერთებისათვის, ხუცესის მეუღლის მსგავსად, ეს ისეთი რამაა რომლის სინათლესავით ჩართვა და გამორთვა არ ძალუძთ. მათი მამაცური დამოწმება არის უბრალოდ ის, რანიც სინამდვილეში არიან და ბუნებრივად ამოწმებენ დროულად და უდროოდ. არაბუნებრივი რამ არის ცალკეული ჰერმეტიზირებული ნაწილებისაგან შემდგარი რწმენა-როგორც ყალბი რამ. დაე შენი რწმენა თავისუფლად იზრდებოდეს ყოველდღიურ პრაქტიკაში.

იქადაგე სიტყვა; დაჟინებით,
დროულად და უდროოდ.

2 ტიმოთე 4:2

323-ე დღე

ექსტრემალური
პასუხი

ჩრდილოეთ აფრიკა: ახალი მორწმუნე

„რატომ აგრძელებ შეხვედრებს?“ ჰკითხა საიდუმლო პოლიციამ ქრისტიანს. „გგონია, რომ შენი მეზობლები არ გვეუბნებიან?“

ახალგაზრდა კაცი ახლადმოქცეული იყო, მაგრამ უკვე ოცი ადამიანი მიეყვანა ქრისტესთან. ისინი ერთად შეხვედრისა და ლოცვისათვის ადგილის გამოჩენაზე ლოცულობდნენ.

სამი კვირის განამვლობაში, ჩრდილო აფრიკელი ქრისტიანები ბინაში იკრიბებოდნენ-არალეგალური შეხვედრა. რის გამოც შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ. მათი განდიდება და ლოცვა მეზობლებს ესმოდათ, და საიდუმლო პოლიცასთან დაასმინეს. სამჯერ დაკითხეს ახალგაზრდა ქრისტიანი.

„ლაპარაკობ თუ არა ისლამის წინააღმდეგ?“ იკითხა ოფიცერმა მესამე დაკითხვისას.

„არა,“ უპასუხა ქრისტიანმა. „ჩვენ არაფერი შეხება არა გვაქვს ისლამთან. ჩვენ იესოს ვეთაყვანებით.“

„ჩვენი ხელმძღვანელების წინააღმდეგ ლაპარაკობ?“

„არა, ბატონო. ჩვენი ხელმძღვანელებისათვის ჩვენ ვლოცულობთ, რისი გაკეთებაც იესომ გვიბრძანა.“

„რატომ სხვა ადგილს არ იპოვით შეხვედრისათვის? მერე თქვენი მეზობლები აღარ დაგასმენენ.“

„როგორ შევძლებთ ამას, ბატონო? კანონიერი უფლება არა გვაქვს.“

ოფიცერმა მაგიდიდან ფორმა აიღო. რამდენიმე წუთი წერდა და შემდეგ ფურცელი ქრისტიანს გადასცა. რაც ქრისტიანებს იმ ეკლესიის შენობაში შეკრების უფლებას აძლევდა, რომელიც ამჟამად გამოუყენებელი იყო. ლამაზი შენობა და იქ შეკრების მთავრობისაგან გაცემული ნებართვა-ეს იყო მათი ლოცვის პასუხი.

არ არსებობს უპასუხო ლოცვა. ღმერთი ყოველთვის პასუხობს თითოეული ჩვენგანის ლოცვას. შეიძლება ისეთი პასუხი ვერ მივიღოთ როგორიც ჩვენ გვსურდა. ხანდახან პასუხი არის „მოიცადე.“ მისთვის შესაფერის დროს უნდა დაველოდოთ მოქმედებისათვის. ხანდახან მისი პასუხი არის „გაიზარდე.“ ჩვენი თხოვნა ეხება განსაკუთრებულ საკითხს, მაგრამ ზრდა მაინც გვჭირდება მოქმედებისათვის. ხანდახან იმედგაცრუებულნი ვართ, როცა მისი პასუხი არის, „არა.“ ჩვენი თხოვნა მის ნებას არ შეესაბამება, ან ჯერ ადრეა. ხანდახან, მისი პასუხი არის „იმოქმედე.“ ჩვენი თხოვნა განსაკუთრებულ საკითხს ეხება. სულიერად მზად ვართ, და დროც სწორია. რა არის ღვთის პასუხი შენთვის ახლა?

მოგიხმობ შენ უფალო, რადგან
შენგან არის ჩემი შველა.

ფსალმუნი 17:6

324-ე დღე

ექსტრემალური
ყოყმანი

ირანი: ხუცესი როუბაკ

შუაღამეს გადაშორებული იქნებოდა, და პატიმარი დაღლილი იყო. განმარტოებულ საკანში ოცდარვადღიან სასჯელს იხდიდა ირანის ციხეში, ლოცულობდა, რომ ღმერთს ატანის ძალა მიეცა. როცა კარებზე დაკაკუნების ხმა შემოესმა დაღლილი და გაღიზიანებული იყო.

„ხუცესო," თქვა დაცვამ, „მინდა, რომ იესოზე გელაპარაკოთ."

„მოშორდი აქედან," დაიღრიალა ხუცესმა. „შენთან საუბარი არ მსურს."

„მაინც უნდა მელაპარაკოთ," თქვა დაცვამ. „თქვენ ხუცესი ხართ."

ახალგაზრდა ირანელ დაცვას ბევრი შეკითხვა ჰქონდა. მას უნდოდა გაეგო ქრისტიანობასა და ისლამს, ალაჰის მძიმე მოთხოვნებსა და მოსიყვარულე ზეციერი მამის მოწოდებას შორის განსხვავების შესახებ.

ოთხი საათის განმავლობაში საუბრობდა ორი კაცი, და ხუცესმა ახსნა ქრისტიანული რწმენის საფუძველი, იესო ქრისტეს ჯვარზე სიკვდილის მეშვეობით ცოდვებისაგან დახსნა და იესოს საკუთარ ცხოვრებაში მიღების გზის შესახებ.

დაახლოებით დილის 4:30 წუთზე, ორმა კაცმა ერთად ილოცა. თვალცრემლიანმა დაცვამ იესო მიიღო. თვალცრემლიანმა ხუცესმა კი სიხარულით მიიღო დაცვა ღვთის სამეფოში.

როგორც კი დაცვა ახალ ცხოვრებას შეუერთდა, ხუცესმა ცვლილება იგრძნო გულში. „პირველად," თქვა მან მოგვიანებით, „სიმწრისაგან გავთავისუფლდი." მან დამტყვევებლებისა და მის სამშობლოში მცხოვრები მუსულმანებისადმი სიყვარული იგრძნო. ამ შემთხვევის შემდეგ მისი მსახურება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ავეჯი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა სილამაზის ნაკლებობას განიცდის, მაგრამ მოგონებები ავსებს. სკამი, რომელიც თქვენს პაპას ეკუთვნოდა განსაკუთრებულ ამბებს გაგონებთ, რის გამოც თვალები გენისლებათ და ლაქებს და სხვა სიძველის ნიშნებს ვეღარ ამჩნევთ. გახეხილი და დაძველებული მაკაგონის კარადა, რომელიც ნათესავს ეკუთვნოდა განსაკუთრებული საგანძურის ფასია. ანალოგიურად, ღმერთს ძალუძს მოგვცეს განსაკუთრებული სიყვარული მათ მიმართ ვინც არ გვიყვარდა. მას შეუძლია დაგვეხმაროს და დაგვანახოს ღირსეული უღირსში. მის სიყვარულს შეუძლია გადაფაროს სხვა ადამიანის დანაშაული-ისევე როგორც ჩვენი ცოდვები. სთხოვე ღმერთს მოგცეს იმ ადამიანების სიყვარული, რომლებიც არ გიყვარდა, რათა სხვები მისი თვალებით დაინახო.

სიმშვიდით არწმუნებდეს
მოწინააღმდეგეთ, ვინძლო
მისცეთ მათ უფალმა მონანიება
ჭეშმარიტების შესაცნობად.

2 ტიმოთე 2:25

325-ე დღე

ექსტრემალური
მისიონერი

ირიან ჯავა: სტენლი ალბერტ დეილი

სათითაოდ ეცემოდა მის სხეულს ისრები და სათითაოდ იძრობდა მათ სტენლი დეილი და მუხლისთავებზე იმტვრევდა. მისი მრავალი ნაჭრილობევიდან სისხლი მდინარესავეთ მოედინებოდა. მყვირალი იალის მებრძოლები ფიქრობდნენ, რომ ეს თეთრი კაცი, ან დოუნგი, უკვდავი უნდა ყოფილიყო.

იაილის მცხოვრებლებმა დეილის სხვა სოფელში მოკვლა უკვე სცადეს. მის მიერ მოტანილი ამბის შეეშინდათ, რადგან მის მიმდევრებს ტრადიციული კერპები დაუწვავთ და სულიერი მსახურებით შეუცვლიათ იგი. მათ დეილს ესროლეს, მაგრამ ამ თეთრმა კაცმა სრულიად ჯანსაღმა გაიარა.

დეილი ირიან იაიას მთებში (დღევანდელი ინდონეზია) 1960 წელს მოვიდა ქრისტეს სიყვარულის გასაზიარებლად. ათასობით მყვირალ ჯარისკაცს შეეჩეხა, ისე სწრაფად იძრობდა სხეულიდან ისრებს, როგორც ნასროლი კანს ჩხვლეტდა. იაილის ტომი გაფრთხილებული იყო, რომ ამ კაცის შიგნით არსებული სული ძალიან ძლიერი იყო. ბოლოს დეილი და მისი მეგობარი მისიონერი დაეცნენ. სამოცზე მეტი დამსხვრეული ისარი ეყარა დეილის ფეხებთან. მებრძოლებმა მათი სხეულები ნაკუწებად აქციეს იმის შიშით, რომ კვლავ არ აღმსდგარიყვნენ.

იაიელებმა იფიქრეს, რომ მათ სოფელში სახარების გავრცელებას ბოლო მოუღეს, მაგრამ შეცდნენ. სხვა ქრსიტიანები მოვიდნენ, და მრავალი იმ მებრძოლთაგანი, რომელთაც დეილის სხეული ისრებით დაჩხვლიტეს მორწმუნეები გახდნენ. დოუნგი, რომელიც არ მომკვდარა, ახლა იესოსთან ერთად ზეიმობს თავისი მკვლელების მოქცევას.

თუმცა იაის ტომი ფიქრობდა, რომ დეილის სხეული უკვდავი იყო, სინამდვილეში მისი სული იყო უკვდავი. მისიონერები, რომლებიც დეილის მოწოდებას გაჰყვნენ, იაის ხალხს უკვდავების გაგებაში დაეხმარნენ. მათ ღმერთის შესახებ გაუზიარეს იაის ხალხს. ცოტა ხანს დაფიქრდი, რა ღონისძიებამ, ხალხმა ან საკითხებმა დაიკავა თქვენი დროის უდიდესი ნაწილი ამ კვირაში. რა თქმა უნდა, ცხოვრების რეალობა გვაიძულებს ისეთი საქმეების კეთებას, რომელსაც თითქმის არაფერი აქვს საერთო მარადისობასთან: ბავშვის ჭუჭყიანი ტანსაცმელი, ტელეფონზე პასუხი, მშრალი წმენდა და ფეხბურთის ვარჯიში. თუმცა, დეილის ამბავი გვახსენებს პრიორიტეტები მივანიჭოთ საკითხებს, რასაც მარადისობასთან აქვს კავშირი. შენი ყოველდღიური ცხოვრების რა ნაწილს აქვს მარადიულობის მნიშვნელობა? თუ თქვენ არ გამოყოფთ დროს ამისათვის, თქვენს მაგივრად
ამას ვინ გააკეთებს?

მარადიულობა ჩადო ღმერთმა
ადამიანის გულში. უკვდავება.

ეკლესიასტე 3:11

326-ე დღე

ექსტრემალური

კიდევ ერთი პოემა

რუსეთი: ალექსანდრე ზაცეპა

როცა ალექსანდრე ზაცეპა, კომუნისტური არმიის რუსი ჯარისკაცი, მოკლეს, ეს პოემა იპოვეს მის ტანსაცმელში.

ისმინე, ჩემი, ღმერთო; მთელი ცხოვრების მანძილზე არასოდეს მისაუბრია შენთან.
მაგრამ ახლა მსურს მოკითხვა გამოგიგზავნო.
იცი, ბავშვობაში მითხრეს შენს შესახებ რომ არ არსებობ.
როგორც სულელმა, მათ დავუჯერე.
ვერასოდეს განვჭვრიტე შენი შემოქმედება.
ახლა დაჟინებით ვუცქერ ჩემს ზემოთ მოციმციმე ვარსკვლავებს გაოცებული და უცბად ვიგრძენი ტყუილის სიმწარე.
ვფიქრობ გამომინვდი თუ არა ხელს, ჩემო ღერთო?
მე გეტყვი და შენ გაიგებ.
უცნაური არ არის, რომ ეს სინათლე მომაშუქებს და ამაღამ ჯოჯოხეთში გიხილავ?...
თუმცა აქამდე შენი მეგობარი არ ვყოფილვარ,
მაინც, შემომიშვებ თუ არა სამოთხეში, როცა მოვალ?
რატომ ვტირი! ღმერთო, ჩემო უფალო, ჩემი მომავლის მხილველო.
ამ ღამით თვალი ამეხილა.
მშვიდობით, ჩემო ღმერთო. მივდივარ და ალბათ უკან აღარ დავბრუნდები.
განა უცნაური არ არის? მაგრამ ამის შემდეგ სიკვდილის აღარ მეშინია.

წამებულები ღვთის ერთგულების, მისი მშვიდობის, მისი სიყვარულისა და დაცვის შესახებ გვასწავლიან. თუმცა, წამებულთა ისტორიები, მხოლოდ წამებულების შესახებ არ არის, არამედ მათი მტრის შესახებაც. კომუნისტობიდან ქრისტიანობაზე მოქცეული ადამიანები მონეტის მეორე მხრიდან დანახულ ამბებს გვიზიარებენ. ისინი ხედავენ ღვთის მოთმინებას, მის მადლს, მისი მიტევების სურვილს, მაშინაც კი როცა ყველაზე საშინელი ცოდვილიც კი პატიებას სთხოვს. ალექსანდრეს პოემის ხმა უერთდება ნებისმიერ მონანიე ცოდვილს, რომელთაც „თვალი აეხილათ“ ჭეშმარიტებისათვის. ეს ამბავი გვახსნებს, რომ მოსიყვარულე ღმერთს ვემსახურებით, რომელსაც სურს შევიცნოთ იესო ქრისტე და მასთან ხსნისათვის მივიდეთ. ეს წამებულისაგან ძალიან მნიშვნელოვანი უწყებაა. შენიც?

სულგრძელია თქვენდამი და არ
სურს, რომ ვინმე დაიღუპოს,
არამედ ყველა მოვიდეს
მოსანანიებლად.

2 პეტრე 3:9

327-ე დღე

ექსტრემალური
საშიშროება

ავღანეთი: ერიკ და ევა ბარენდსენები

ხალხი შორი მანძილიდან მოვიდა დახმარებისა და წამლების სათხოვნელად ევა ბარენდსენთან და მის მეუღლე, ერიკთან. მათი ღარიბული სახლი გახდა იმედი ათასობით ავღანელისათვის, ქაბულის-მუსულმანებისა და ქრისტიანებისათვის ერთნაირად.

ვინც ეკითხებოდა ყველას პასუხობდნენ, რომ აქ იესო ქრისტეს მსახურებისათვის იყვნენ. თუმცა მათი მსახურება ოპოზიციის სამიზნე გახდა.

ერიკი და ევა მცირე ხნის შვებულების შემდეგ 1980 წელს მალე დაბრუნდნენ ომისაგან განადგურებულ ერში, რომელიც მათი სამშობლო გახდა. „როგორ მიდიხართ უკან?“ ეკითხებოდნენ ზოგიერთები. „არ გეშინიათ? საშიში არ იქნება?“

ერიკი და ევა საშიშროებას კი არა შესაძლებლობას ხედავდნენ. ისინი ვერ ხედავდნენ პოტენციურ მკვლელებს; ისინი პოტენციურ ქრისტიანებს ხედავდნენ ადამიანებში. „მე მხოლოდ ერთი უდიდესი საშიშროება ვიცი,“ თქვა ევამ. „ერთადერთი საშიშროება არის, რომ არ აღმოჩნდე ღვთის ნების ცენტრში.“

ისინი ავღანეთში დაბრუნდნენ სამი და ხუთი წლის ბავშვებთან ერთად. მალე მათ სახლს თავს დაესხნენ, რომელსაც ქრისტიანობაზე მოქცეულთა შეხვედრის ადგილადაც იყენებდნენ. ცოლ-ქმარი ბასრი იარაღით გამოასალმეს სიცოცხლეს და ბავშვები ობლად დატოვეს. მიუხედავად ამისა ბოლო წუთებშიც კი ცოლ-ქმარს მშვიდობა ჰქონდა გულში.

შემთხვევამდე რამოდენიმე დღით ადრე, ევას დედამ ერიკი და ევა სამოთხეში ნახა სიზმარში და ანგელოზები ოქროს გვირგვინს ადგამდნენ მათ თავზე. ამ სიზმარმა მისცა მას ძალა, მწუხარებაში, როცა მათი მკვლელობის შესახებ შეიტყო.

მრავალ მუსულმანურ ერში, აქტიური ქრისტიანობა ყველაზე საშიშია. თუმცა ერიკმა და ევამ ახლებურად შეხედეს საშიშროებას. როცა მათმა მეგობრებმა უარი თქვეს ქაბულში დარჩენაზე, ერიკმა და ევამ თქვეს, რომ სხვაგან ყოფნა არ შეეძლოთ. ეს მათ თავიანთ მოწოდებად დაინახეს. ეს მათ ღვთის ნებად ჩათვალეს. ნათქვამია, რომ თუ ღვთის მოწოდების არეალიდან გავდივართ, ღვთის დაცვის დაკარგვის რისკის ქვეშ ვდგავართ. თუ ერთადერთი საშიშროება ღვთის ნების ცენტრიდან გასვლაა, ეს არის ერთადერთი საშიშროება რისი დაკარგვის ნებაც არ უნდა მივცეთ საკუთარ თავს. სინამდვილეში, რამდენად ხშირად აყენებ საკუთარ თავს უარეს საშიშროებაში, უსაფრთხოების მიზნით ღვთის ნებიდან გადახვევით? ექსტრემალური მორჩილება პერსპექტიულად წარმოგვიდგენს საშიშროებას.

ვინაიდან ქრისტეს თანაზიარნი
გავხდით, თუკი რწმენის საწყისს
მტკიცედ დავიცავთ ბოლომდე.

ებრაელთა 3:14

328-ე დღე

სადაც ჯვარი არ არის,
იქ არც გვირგვინია.
ამ მაგალითს წიგნებიდან
ვერ ისწავლი, და როგორც
წესი ადამიანს არ სურს მისი
დაგემოვნება. ასეთი მდიდრული
ცხოვრება არ არსებობს
კომფორტულ სამყაროში. თუ
მასალა არ გაიწმინდა ზეთს ვერ
მიიღებ, სუნამოს სურნელი არ
გადმოედინება; თუ ყურძენი
საწნახელში არ დაიჭყლიტა,
ღვინოს ვერ მიიღებ.

ჩინელი ქრისტიანი

329-ე დღე

ექსტრემალური
გამოხედვა

ჩინეთი: ქალბატონი, ლუ უანგი

„ავეჯი გადმოაყირავეთ და ბიბლია მოძებნეთ!“ თქვა დაცვის უფროსმა. ქალბატონ ლუ უანგს თვალები ცრემლით აევსო კომუნისტი დაცვის მიერ სახლის დარბევის შემხედვარეს.

„ვიპოვე!“ დაიყვირა დაცვამ. დაცვამ ბიბლია უფროს ოფიცერს გაუწოდა, და ქალბატონმა ლუ უანგმა თამამად გამოსტაცა წიგნი დაცვას.

„ეს წიგნი მოიცავს ყველაფერს რისი ცოდნაც მჭირდება ჩემი ძვირფასი უფლისა და მხსნელის იესო ქრისტეს შესახებ და მასთან განშორება არ მსურს,“ თქვა მან მგზნებარედ და ბიბლია გულში ჩაიკრა.

„გარეთ გაიყვანეთ,“ დაიყვირა უფროსმა. „ვნახავთ სადამდე ენდომება იესოს წიგნზე ჩაჭიდება.“

ოთხმა კომუნისტმა დაცვის თანამშრომელმა უანგი ქუჩაში გაიყვანა, დაცინოდა, აფურთხებდა და მანამდე სცემდა სანამ დგომა აღარ შეეძლო. „კიდევ გჯერა შენი მითების წიგნის?“ დასცინოდა დაცვა.

ბიბლია ისევ ხელში ეჭირა და დასიებული და დალურჯებული ტუჩებიდან რწმენის დამოწმება გამოსცრა.

დაცვამ რკინის ჯოხი აიღო და ხელის ძვლები ჩაუმტვრია, იმ იმედით, რომ ახლა მაინც გააშვებინებდნენ ხელს წიგნზე. ბიბლია ქუჩაში დაეცა და დაცვამ აიღო.

დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, კურიერმა ქალბატონ ლინგს ბიბლია გადასცა. თვალები ცრემლით აევსო. თავისი დეფორმირებული ხელი ჩასჭიდა წიგნს და თქვა, „ახლა კი აღარ გავუშვებ ხელიდან.“

მრავალი ადამიანი მთლიანად ეჭიდება სანახევრო ჭეშმარიტებას. ათეისტები არიან ისინი თუ აგნოსტიკოსები, ბუდისტები თუ ჰინდუსები, მათ მიძღვნილ მსახურებას არ შეუძლია მცდარი რწმენის ფაქტებად გადაქცევა. მათი გულწრფელობა ვერ გამოდგება სუბსტანციის ნაკლებობის ჩანაცვლებად. ამის საპირისპიროდ, ქრისტიანებს ღვთის სიტყვის მყარი რწმენა აქვთ თავიანთი რწმენის გასამყარებლად, და მათ იციან, რომ ღვთის სიტყვა ჭეშმარიტებაა. უფლება არა გვაქვს ბიბლია დაუფიქრებლად გავცეთ, თუნდაც ამაში შეიძლება ზოგიერთები მთელი ძალით შეგვეწინააღმდეგონ. ისე მაგრად გიჭირავს ღვთის სიტყვა როგორც სხვა მნიშვნელოვანი ფასეულობები შენს ცხოვრებაში, როგორიცაა მაგალითად ფული ან შენი რეპუტაცია? სხვა ყველაფერი გაუშვი ხელიდან; მაგრამ ნებისმიერი საზღაურის ფასად ჩაეჭიდე ღვთის სიტყვას.

მე უფლის წყალობის იმედი მაქვს.

ფსალმუნი 12:6

330-ე დღე

ექსტრემალური „სული“

ჩინეთი: მიზჰონგ მიაო

ჩინეთის შრომა-გასწორების კოლონიაში პირობები მძიმე იყო. საკვების რაციონი მინიმუმამდე დაყვანილი, ყინვიანი ზამთრის სიცივეში, ეპიდემია გავრცელდა ბანაკში. ზამთრის დასაწყისში, ათას სამასი პატიმარი იყო. ზაფხულში კი, მხოლოდ ორას ორმოცდაათი.

მიზჰონგ მიაო სახარების ქადაგებისა და რწმენაზე უარის უთქმელობის გამო გააგზავნეს ციხეში. მისი ხუთწლიანი პატიმრობა გაასამმაგეს თანაპატიმრებთან ქადაგების შეწყვეტაზე უარის გამო.

იმ ცივ ზამთარს, დაცვამ იფიქრა, რომ მიზონგი მოკვდა.

როგორც ჩანს მისი თითქმის გაყინული სხეული დაუტოვებია სიცოცხლეს, მაგრამ მიზონგის სული ცოცხალი იყო, და ლოცულობდა. მორგში მარტო დატოვეს და ხილვაში-თეთრებში გამოწყობილი და ნათელი სახის ანგელოზი იხილა. ანგელოზი მოუახლოვდა და სული შეუბერა. ანგელოზის შებერვის შემდეგ, იგრძნო, რომ ავადმყოფობამ დატოვა მისი სხეული და სითბომ დაუარა სხეულში. მაშინვე მუხლი მოიყარა და მადლიერების ლოცვა წარმოთქვა.

მორგიდან გარეთ გამოვიდა და ციხის ექიმთან მივიდა. ექიმი შეშინებული მზერით დააშტერდა სახეზე; ფიქრობდა რომ მოჩვენებას ხედავდა. „ნუ გეშინია. მე მიზჰონგ მიაო ვარ,“ თქვა ქრისტიანმა. „ღმერთმა აღადგინა ჩემი ჯანმრთელობა. მან გამომგზავნა, რათა ღმერთამდე მისასვლელი გზა გაჩვენოთ.“

ექიმმა მოწიწებით თქვა, „შენი ღმერთი ნამდვილია.“ იმ ღამით ექიმმა ქრისტე საკუთარ მხსნელად აღიარა.

დანახვა ნიშნავს რწმენას. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ღმერთის შესახებ. ვისწავლოთ ქრისტეს შესახებ. მიუხედავად ამისა, უნდა განვიცადოთ იგი რწმენით რათა ექიმივით ვაღიაროთ, რომ „ღმერთი ნამდვილია.“ ჩინელი ექიმისათვის ჩინეთის შრომა-გასწორების კოლონიაში ქრისტესთან მისვლის შესაძლებლობა ნულამდე იყო დაყვანილი. მაგრამ, ცოცხალი სასწაულის ხილვის შემდეგ, მან მიზონგ მიაოს ღმერთის რწმენა ირჩია. ხანდახან ვფიქრობთ, რომ ჩვენი საყვარელი ადამიანები ანალოგიურ განსხვავებულობას განიცდიან. მათთვის უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთი მიიღონ. შეიძლება ისინი ღმერთს მოულოდნელად შეხვდნენ მისი შემოქმედების მეშვეობით. შეიძლება ეს მოხდეს მორწმუნეების სიყვარულით სავსე ურთიერთობების მეშვეობით. რადგან მიზჰონგ მიაოს მსგავსი სასწაულები იშვიათია, ილოცე შენი საყვარელი ‘დაკარგული’ ადამიანებისათვის, რათა ცხოვრების გარდამქმნელი შეხვედრა ჰქონდეთ ცოცხალ და მოსიყვარულე ღმერთთან.

ისინი თხოვნით მივიდნენ
ფილიპესთან ... „ბატონო,
იესოს ნახვა გვსურს.“

იოანე 12:21

331-ე დღე

ექსტრემალური „გარიგება“

აღმოსავლეთ ევროპა: ციხის მეგობრები

მქადაგებელს ეს-ესაა სიტყვა დაეწყო, რომ ციხის დაცვა შემოიჭრა ოთახში, ხელი ჩაავლეს და ყველა დანარჩენი იატაკზე წააქციეს.

„იცით, რომ მას ქადაგება ეკრძალება,“ დაიღრინა ერთმა. „ახლა თქვენ დაისჯებით.“ დაცვამ მქადაგებელი საკნიდან გარეთ გამოათრია და დაბლა ჰოლში ჩაიყვანა. დანარჩენმა აღმოსავლეთ ევროპელმა კომუნისტური ციხის პატიმრებმა იცოდნენ, რომ მათი მეგობარი „საცემ ოთახში“ მიჰყავდათ. იმ საშინელი ოთახის კარის მიჯახუნების ხმა შემოესმათ და უმოწყალო დაცვის ცემისაგან მათი მეგობრის ყვირილი და ტირილი.

თითქმის ერთი საათი გავიდა ვიდრე დაცვა საკნის კარს გააღებდა და მქადაგებელს ოთახში შემოაგდებდა. პატიმრებმა დაინახეს, რომ მისი ტანსაცმელი დასისხლიანებული იყო და სახეზე ცემის კვალი ეტყობოდა. მან საკანში ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს დამსწრეთა ვინაობას ამოწმებდა.

„ახლა, ჩემო ძმებო, “ თქვა მან, „რაზე ვსაუბრობდი, როცა ასე უხეშად შეგვაწყვეტინეს?“ და ქადაგება გააგრძელა. ქრისტიანებმა იცოდნენ ციხეში ქადაგების საფასური და მიუხედავად ამისა მაინც ქადაგებდნენ. ზოგიერთები, ყოველგვარი თეოლოგიური განათლებისა და მსახურების გამოცდილების გარეშე, ქადაგებდნენ მოწოდებითა და მჭერმეტყველებით.

„გარიგებას ჰგავდა,“ წერდა ერთი პატიმარი მოგვიანებით. „ჩვენ ვქადაგებდით და ისინი გვცემდნენ. ჩვენ ბედნიერნი ვიყავით ქადაგებით და ისინი კი ჩვენი ცემით-ასე რომ ყველა ბედნიერი იყო.“

ქვეყანაში სადაც კონტრასტი აღარ არსებობს, ოჯახები იშლება, განქორწინებების რიცხვს თვლა აღარა აქვს, ქრისტიანებმა უნდა განაახლონ ვალდებულებები-ნებისმიერ ფასად. რა ფასი აქვს პირობას, თუ ის არაფერს არ ნიშნავს? თუმცა, ქრისტესადმი ჩვენი ვალდებულების შედეგები იაფი არ არის. ის შეიძლება ქვეყნიერების სტანდარტის მიხედვით წარმატების დაკარგვის ფასად დაგვიჯდეს. შეიძლება მეგობრებისა და პოპულარობის დაკარგვად. შეიძლება ჩვენი ოჯახის. ან უსაფრთხოების. ზოგიერთებს შეიძლება სიცოცხლის ფასადაც. ვალდებულებას უნდა ჰქონდეს ფასი. პატიმრებს ეს სრული სიცხადით ესმოდათ. თუმცა ქრისტეს ჯილდო ვაჭრობის საკითხია. იცავ თუ არა გარიგების შენეულ მხარეს?

> გაქვს მოთმინება და გაიტანჯე
> ჩემი სახელის გულისათვის
> და არ დაქანცულხარ.
>
> *გამოცხადება 2:3*

332-ე დღე

ექსტრემალური
მოწოდება

რუმინეთი: კაპიტანი რეკი

რამოდენიმე დღის განმავლობაში, კომუნისტი დარაჯები პატიმარ ხუცესს სცემდნენ, შემდეგ კარგი საკვებით მოაღონიერებდნენ და კიდევ სცემდნენ. სისტემატური ცემით სიკვდილის პირას მიჰყავდათ, მაგრამ არ უნდოდათ რომ სწრაფად მომკვდარიყო. მისი ტანჯვა სურდათ.

კაპიტანმა რეკმა ერთ დღეს ხუცესის ცემისას თქვა, „მე ვარ ღმერთი. მე მაქვს ძალაუფლება სიცოცხლესა და სიკვდილზე. ის ვინც ზეცაშია, არ შეუძლია შენი სიცოცხლის შენარჩუნების გადაწყვეტილების მიღება. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ მოვისურვებ ან მოკვდები, ან იცოცხლებ. მე ვარ ღმერთი!“

ხუცესმა სიმშვიდით უპასუხა. „წარმოდგენა არა გაქვთ რა ღრმა რამ თქვით. თქვენ არ იყავით შექმნილი მწამებლად და მკვლელად. თქვენ შექმნილი იყავით ღვთის მსგავსად, თქვენს გულში ჩადებულია მისი სიცოცხლე. მრავალი თქვენი მსგავსი მწამებელი მივიდა დასკვნამდე, როგორც მოციქული პავლე, რომ ადამიანისათვის სირცხვილია დამახინჯება. მათ უკეთესი საქმეების კეთება შეუძლიათ. მერწმუნეთ კაპიტანო, რეკ, თქვენი ნამდვილი მოწოდება ღვთის მსგავსად ყოფნაა და არა ღმერთობა. თქვენ შეგიძლიათ ღვთის ხასიათი იქონიოთ და არა მწამებლის.“

რეკმა თითქოს ვერ გაიგო ქრისტიანის სიტყვები და ხუცესის რწმენისათვის ცემას აგრძელებდა. არ შეეძლო მოწოდებაზე ფიქრის შეწყვეტა. ბოლოს, მუხლმოყრილმა მიიღო ქრისტე თავის გულში.

ყოველი აბრეშუმის ჭია ნამდვილი პეპელაა, თუ სწორად განვითარდება. თუ არადა, შეიძლება სიცოცხლე გააგრძელოს. მაგრამ ის არ იქნება რაც უნდა ყოფილიყო. ანალოგიურად, ჩვენი ნამდვილი მოწოდება, როგორც ადამიანის, არის იესო ქრისტესთან პიროვნულ ურთიერთობაში შესვლა და ქრისტესმიერი ხასიათის განვითარება. ქრისტეს გარეშე, შეიძლება ჩვენს სახელს რამოდენიმე დადებითი თვისება შევძინოთ. შეიძლება მრავალი შესაშური თვისება გამოვიმუშაოთ- წარმატებული ბიზნესმენი, მოსიყვარულე დედა, მიძღვნილი მამა. მაგრამ, თუ ნამდვილ მოწოდებას ავცდებით, ვერასოდეს გავხდებით ის პიროვნება რა მიზნითაც ვიყავით შექმნილნი. აბრეშუმის ჭია საინტერესოა. მაგრამ პეპელა უფრო გასაოცარია თავისი სილამაზითა და შესაძლებლობით. იქნებ ამქვეყნიური წარმატება მოიპოვეთ უკვე, და თქვენს ნამდვილ მოწოდებას აცდით?

ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი
ძალით შეუძლია განუზომლად
მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ
ვთხოვთ ან ვფიქრობთ.

ეფესელთა 3:20

333-ე დღე

ექსტრემალური
ლიმიტი

ბაბილონი: შედრაქი, მეშექი და ყაბედ-ნეგო

„ჩვენ არ გვჭირდება მაგ ამბავზე პასუხის გაცემა. ჩვენს ღმერთს, რომელსაც ვემსახურებით, შესწევს ძალა, რომ ცეცხლით გავარვარებული ღუმლიდანაც გადაგვარჩინოს და შენს ხელიდანაც გვიხსნას, მეფეო! თუ არა და, იცოდე, მეფეო, ჩვენ მაინც არ ვემსახურებით შენს ღმერთებს და თაყვანს არ ვცემთ იმ ოქროს კერპებს, შენ რომ აღმართე“ (დანიელი 3:16-18).

მეფის რისხვა აღინთო სამი ახალგაზრდა კაცის მიმართ. მათ უარი თქვეს იმ კერპების თაყვანისცემაზე მეფემ რომ აღმართა თავისი ერისათვის, ასეთი დანაშული ცეცხლში ცოცხლად დაწვით ისჯებოდა. „ჩაყარეთ ცეცხლში!“ ბრძანა მან. „ღუმელი ჩვეულებრივზე მეტად შვიდჯერ უფრო ცხელი უნდა იყოს.“ მისი ჯარიდან ყველაზე ძლიერი კაცი გამოვიდა და ხელები შეუკრა დამნაშავეებს. ღუმელი იწვოდა და მისი კედლები ისე გაწითლდა გეგონება დადნებაო. „ჩაყარეთ შიგნით,“ ბრძანა მეფემ.

პატიმრების ღუმელში გადაყრისას, ჯარისკაცები ცეცხლმა დახოცა, რადგან ღუმელი მეტისმეტად იყო გახურებული. ეს სამნი ცეცხლით გახურებულ ღუმელში ჩაცვივდნენ და ისე იყო ღუმელი გავარვარებული რომ შეუძლებელი იყო მათი დანახვა.

მაშინ შეცბა მეფე ნაბუქოდონოსორი და მკვირცხლად წამოიჭრა. და თქვა, „შეხედეთ! ჩვენ სამი შეკრული კაცი არ ჩავაგდეთ ცეცხლში, ოთხ ხელ-ფეხ გახსნილ კაცს ვხედავ, შუაგულ ცეცხლში მიმოდიან უვნებლად. მეოთხე შესახედაობით ღვთის ძესა ჰგავს“ (დანიელი 3:25).

უცბათ ნაბუქოდონოსორმა ნამდვილი ღმერთის წინაშე მოწიწება იგრძნო.

როცა საქმე კეთილისა და ბოროტის ბრძოლაზე მიდგება, იგი ლამაზი ბრძოლა არ არის. მტერი ძლიერია. მაგრამ ღმერთი უფრო ძლიერია. სატანამ თავისი დემონები უნდა გაგზავნოს ქვეყნიერებაზე ფასის შესათავაზებლად. მაშინ როცა ღმერთი პირიქით-ყველგანმყოფია-სრულად მყოფი, ყველგან და ყოველთვის. მაშინ მოწინააღმდეგე შეშინებული ჩანს. დამანგრეველი. დროებით გვავიწყდება ღვთის ყოვლისშემძლე ძალის შესახებ. გიჭირავს თუ არა თვალი თერმოსტატზე, როცა მტრის ღუმელში ხარ? ან გიჭირავს თუ არა თვალი ღმერთზე და პოულობ თუ არა ძალას ცეცხლს რომ გაუძლო?



334-ე დღე

ექსტრემალური ტაში

ინგლისი: თომას ჰაუკერი

თომას ჰაუკერი, ნიჭიერი, ავტორიტეტული, კარგი შესახედაობის ახალგაზრდა კაცი არ უარყოფდა ქრისტესთან პირად ურთიერთობას. რისთვისაც მას ცოცხლად ძელზე დაწვა მიუსაჯეს.

სიკვდილით დასჯამდე რამდენიმე დღით ადრე, მეგობრები ეწვივნენ თომასს ინგლისის ციხეში. ერთმა თქვა, „მსმენია, რომ ღმერთი განსაკუთრებულ მადლს აძლევს ადამიანს ცეცხლზე სიკვდილის უმტკივნეულოდ ასატანად. შენი წამების სისასტიკეზე ფიქრს რომ გავუძლო, შეგიძლია რაიმე ნიშანი მოგვცე ამის დასტურად? ამის გარეშე, არ მგონია ის დღე გადავიტანო.“

თომასი ცოტა ხნით დაფიქრდა. „თუ ტკივილი ასატანი იქნება, სიკვდილამდე ხელებს ზეცაში აღვაპყრობ ნიშნად.“

სიკვდილით დასჯის დღეს, ერთი სულით ელოდა შეკრებილი ხალხი თომასის ნიშანს. ძელზე გაკვრისას ხმადაბლა და მადლით ელაპარაკებოდა შეშის მომტან კაცებს. შემდეგ თვალები დახუჭა და ცეცხლიც აინთო.

თომასმა გარშემომყოფთათვის ქადაგება გააგრძელა, მაგრამ მალე, ცეცხლის ალი გამძვინვარდა და ლაპარაკი ვეღარ შეძლო. ყველას ეგონა რომ მოკვდა. მოულოდნელად, ხელები თავს ზემოთ აღმართა ღვთისაკენ განდიდებითა და მადლიერებით, სამჯერ შემოჰკრა ტაში. ბრბოდან შეძახილები გაისმა, თომასი ცეცხლის ალში გაეხვა და სული განუტევა.

„მეტის ატანა აღარ შემიძლია.“ რამდენად ხშირად დავიჭერთ ხოლმე საკუთარ თავს უმნიშვნელო განსაცდელისას. ბავშვის ტირილი. კარების ღრჭიალი. პროექტის გასრულებისათვის გვიან ღამემდე მუშაობა.

წამებულთა ისტორიები გვახსენებს თუ რამდენად უმნიშვნელო წვრილმანის ზეწოლის გამო ვაპირებთ უკან დახევას. ხშირად ვაზვიადებთ პრობლემებს და არასწორად ვფიქრობთ, რომ არ შეგვიძლია ამ ტვირთის ზიდვა. მაშინ როცა, ღმერთი გვპირდება, რომ არ დაუშვებს იმაზე მეტ განსაცდელს ჩვენს ცხოვრებაში, რომლის გადატანაც არ შეგვიძლია. თომასმა ხელები აღაპყრო განდიდებისა და ცეცხლის ალზე გამარჯვების საზეიმო ნიშნად, რაც საკმარისი მოწმობაა. როცა ფიქრობ, რომ მეტის ატანა აღარ შეგიძლია განსაკუთრებულ სიტუაციაში, გაიხსენე თომასი. გახსოვდეს ღვთის ერთგულება. მან ზუსტად იცის რისი გადატანა შეგიძლია და რისი არა.

ვუყურებთ არა ხილულს,
არამედ უხილავს.

2 კორინთელთა 4:18

335-ე დღე

**ღმერთო, მიიღე ჩემი ტანჯვა,
ჩემი დაღლილობა,
ჩემი შეურაცხყოფა,
ჩემი ცრემლები,
ჩემი ნოსტალგია, ჩემი შიმშილი,
სიცივეში ტანჯვა, ჩემს სულში
დაგროვილი სიმწარე, ძვირფასო
ღმერთო, შეიწყალე ჩვენი დღე და
ღამ მდევნელები. მიმადლე მათ,
ზეციური მადლი შენი სიყვარულის
სიტკბოება და ბედნიერება.**

ქრისტიანი ქალბატონი, ვორკუტას ციმბირის
მუშათა ბანაკიდან

336-ე დღე

ექსტრემალური
რეფორმატორი

გერმანია: მარტინ ლუთერი

1517 წლის 31 ოქტომბერს, მარტინ ლუთერმა ბიბლიური რწმენის ორმოცდათხუთმეტი თეზისი მიაჭედა ვიტენბერგის ეკლესიის კარზე, გერმანიაში, რის შემდეგაც დევნასთან ერთი ნაბიჯით იყო დაშორებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მიუხედავად ამ საშიშროებისა, მარტინ ლუთერს არასოდეს დაუხევია უკან და ყოველთვის იყენებდა შემთხვევას წერილისეული დოქტრინის ფასეულობასა და საქმეების დოქტრინაზე საკამათოდ, რომელსაც იმ დროის ეკლესია ანიჭებდა უპირატესობას.

თუმცა განუწყვეტლივ აფრთხილებდნენ ვორმში შეხვედრას არ დასწრებოდა, მან თქვა, „რადგან მგზავნიან, გადაწყვეტილი მაქვს და დარწმუნებული ვარ უნდა წავიდე, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით; თუმცა, ვიცი, რომ იმდენ ეშმაკთან მომიწევს შეჭიდება ვორმში, რამდენი კრამიტიცაა იქ სახლების გადასახურად გამოყენებული.“

როცა თავისი დოქტრინის უარყოფისაკენ მოუწოდეს, ლუთერმა უპასუხა, „ჩემი სინდისი შეკრული და დატყვევებულია ღვთის სიტყვით, ამიტომაც ამის გაკეთება არ ძალმიძს და რომ შემეძლოს მაინც არაფერზე არ ვიტყვი უარს; ღვთიურად და კანონიერად არ მივიჩნევ ჩემი სინდისის წინააღმდეგ წასვლას. რადგან, მე ასე მწამს და სხვაგვარად არ ძალმიძს: სხვა არაფერი მაქვს სათქმელი. ღმერთო შემიწყალე!“

მან თავი დააღწია მისი მკვლელობის მსურველებს-და მიმალვაში მყოფმა-სახარება გადათარგმნა გერმანულად. თუმცა, მუდამ საშიშროებაში იყო, სამოცდასამი წლის ასაკში ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

ადამიანები ადვილად აკრიტიკებენ ეკლესიას ამა თუ იმ საქმეში. ბროდვეის სპექტაკლისათვის კრიტიკული სცენარი რომ დაწერო, ეკლესიის წევრებს ისე უყვართ მსახურების განხილვა თითქოს წარმოდგენა იყოს. მუსიკა ძალიან ხმამაღალია. მსახურება მოკლეა. დარბაზში ყინავს. სკამები არაკომფორტულია. რატომღაც ლუთერი კრიტიკოსი არ ყოფილა, თუმცა არსებულ ეკლესიას მხარს არ უჭერდა. საყვედურობდა. შერისხვა კრიტიკისაგან განსხვავდება, შერისხვა ღვთის სიტყვიდან გადახვეულ ეკლესიას უკან დაბრუნებას მოუწოდებს. პირიქით, კრიტიკა უბრალოდ ადამიანური შეხედულებაა უპირატესობის მინიჭებაზე. ემსახურები თუ არა ეკლესიას ისეთი სიფრთხილით როგორც ლუთერი, თუ უბრალოდ აკრიტიკებ ღვთის ეკლესიას?

იქადაგე სიტყვა, დაჟინებით,
დროულად და უდროოდ, ამხილე,
შერისხე, შეაგონე მთელი
სულგრძელებითა და სწავლებით.

2 ტიმოთე 4:2

337-ე დღე

ექსტრემალური ტარება

რომი: იგნატიუსი

„ადამიანის სიცოცხლე გამუდმებული სიკვდილია, ვიდრე ქრისტე არ იცოცხლებს მასში.“ -იგნატიუსი

იგნატიუსი მოციქულ პავლეს მოწაფე იყო და სახალხოდ შეეწინააღმდეგა ანტიოქიის იმპერატორ ტრაჯანს კერპთმსახურებისათვის. ტრაჯანმა სახალხოდ დაიფიცა, რომ შურს იძიებდა იგნატიუსზე მისთვის სახალხოდ მიყენებული შეურაცხყოფისათვის.

იგნატიუსი დააპატიმრეს და რომში ჩაიყვანეს. როცა ლომების ხაროსაკენ მიჰყავდათ, სხვა მორწმუნეს უთხრა, „ჩემი ძვირფასი იესო, ჩემი მხსნელი, ისე ღრმად არის ჩაბეჭდილი მისი სახელი ჩემს გულში, დარწმუნებული ვარ, ჩემი გული რომ დასერონ და ნაკუწებად აქციონ, იესოს სახელს იპოვიან ყველა ნაჭერზე.“

მრავალი ადამიანი მოვიდა მისი სიკვდილის საყურებლად, იგნატიუსმა მამაცურად მიუგო ხმაურიან ბრბოს. „მე ღვთის მარცვალი ვარ, მხეცის კბილებში დაფქული, რათა ქრისტეს წმინდა პურში მიპოვონ, ვინც ჩემთვის სიცოცხლეა.“

როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა, ორმა მშიერმა ლომმა ჩაყლაპა იგი. მან გაამართლა თავისი გვარის მნიშვნელობა, თეოპორუსი, „ღვთის ამტანი.“ ბოლოს, ღვთისა და მისი მხსნელის სახელი წარმოთქვა. მას ხშირად უთქვამს, „ჯვარცმული ქრისტე არის ჩემი ერთადერთი და სრული სიყვარული.“ და ბოლოს ნუგეში ჰპოვა ამ მარტივ ჭეშამრიტებაში: „ქვეყნიერებას სძულს ქრისტიანები, ღმერთს კი უყვარს ისინი.“

ქორწინების ტრადიცია გულისხმობს, რომ ქალმა მეუღლის გვარი ატაროს, როგორც მათი კავშირის ერთობის სიმბოლო. ამის შემდეგ ისინი ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთი. როცა წყვილი ერთად ბერდება, უფრო მეტი აქვთ საერთო ვიდრე გვარი. მათ საერთო მეგობრები და საერთო ინტერესები აქვთ. ისინი ერთმანეთის დაწყებულ წინადადებებს ასრულებენ. ზოგიერთები უცნაურად ჰგვანან ერთმანეთს... ასეთია მათი გრძელვადიანი პიროვნული ურთიერთობების შედეგი. ისინი ვინც „ქრისტიანის“ ან „პატარა ქრისტეს“ სახელს ატარებენ, ანალოგიურად გამოიმუშავებენ მხსნელთან პირად ურთიერთობებს. ხარ თუ არა ქრისტიანის სახელის კარგი მატარებელი? როგორც იგნატიუსი, იესოს სახელის გაზიარება შთაგაგონებს თუ არა მისი ტანჯვის, მსახურებისა და ცხოვრების გაზიარებას?

შენი სახელი მქვია მე,
უფალო ღმერთო.

იერემია 15:16

338-ე დღე

ექსტრემალური

კიდევ ერთი დაკითხვა

შეერთებული შტატები: საბავშო სცენარისტი

„ვერ დავსვამთ ამ კითხვას, არ ვიცით ამაზე პასუხი!“

სცენარისტი საბავშვო ვიდეოზე მუშაობდა, სახელად სტეფანეს რწმენის გამოცდა, სადაც ახალგაზრდა ბიჭი დროში მოგზაურობს დევნის ისტორიის შესასწავლად. ისინი მუშაობდნენ სცენაზე, როცა ქრისტიანებს მშიერ ლომებს უყრიდნენ, რომში ხანძრის გაჩენაში ბრალდების გამო.

„ვერ დავსვამთ კითხვას. ‘თუ ღმერთმა დანიელი დაიხსნა ლომების ხაროდან, რატომ არ დაიცვა ქრისტიანები კოლიზეუმში?’“

რატომ დაუშვებდა ღმერთი ერთის გადარჩენას და ათასობით სხვა ადამიანის სიკვდილს? მათვარმა სცენარისტმა იფიქრა და თქვა, ‘პასუხი არ არის პრობლემა; კითხვა არის. არ უნდა ვიკითხოთ ‘რატომ?’ უნდა ვიკითხოთ, ‘გვსურს თუ არა?,’ დანიელი თანახმა იყო მშიერი ლომებისაგან მომკვდარიყო. ნერონის დროსაც თავისი სურვილით კვდებოდნენ ადამიანები ღვთის სახელისათვის. ფაქტი, რომ ერთი გადარჩა და დანარჩენები არა, არ ცვლის მათი გულის მდგომარეობას. ჩვენი მორჩილება გვხდის მოწმედ და არა წამების ფაქტი.

როცა შედრაქი, მეშექი და ყაბედ-ნეგო გავარვარებულ ღუმელში ჩაყარა ნაბუქოდონოსორმა, მათ თქვეს, „ღმერთს, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით შეუძლია ჩვენი აქედან დახსნა... თუ არ დაგვიხსნა, გვინდა იცოდე, მეფეო, რომ მაინც არ ვემსახურებით შენს ღმერთებს“ (დანიელი 3:17-18).

მრავალი ადამიანი კითხულობს დღეს რატომ. დღეს აუხსნელი ტრაგედიების გამო პასუხგაუცემელი კითხვების ახალ ერაში შევედით. ქვეყნიერება კითხვებზე პასუხს მოითხოვს, თუმცა ვიცით, რომ არცერთი პასუხი არ იქნება საკმარისი ჩვენი ტკივილის განსაკურნებლად. ნებისმიერი პიროვნების ყოველი ტრაგედიის მიზეზიც რომ ვიცოდეთ, ოდნავ თუ შეგვიმსუბუქებდა გულისტკივილს. არამედ, ჩვენ გვჭირდება დანიელის მეგობრების მსგავსი რწმენა, რომელთაც თქვეს, რომ შეიძლება ღმერთმა ჩვენს ლოცვაზე ისე არ გვიპასუხოს როგორც ეს ჩვენ გვსურს, მაგრამ გვჯერა, რომ სასიკეთოდ წარმართავს ყველაფერს. კითხვის დასმის ნაცვლად, ვთხოვოთ მოგვცეს გაგება, და ვილოცოთ მშვიდობისათვის, რაც ყოველივეს აღემატება.

ღვთის მშვიდობა, რომელიც
ყოველგვარ გონებას აღემატება,
დაიფარავს თქვენს გულებს

ფილიპელთა 4:7

339-ე დღე

ექსტრემალური
მემკვიდრეობა

შეერთებული შტატები: ანა ჰატჩინსონი

„ბავშვებო ძირს!“ დაიყვირა ანა ჰატჩინსონმა, როგორც კი ისარი მისი ოთახის კარს მოხვდა. შემდეგ ინდიელების ყვირილი შემოესმათ, რომლებმაც მის სახლს ალყა შემოარტყეს. ისრებს ყველა მხრიდან ისროდნენ და ფანჯარასთან მოახლოებული ფეხის ხმა შემოესმა. „დღეს გიხილავ, ღმერთო!“ თქვა ანამ.

ანა ჰატჩინსონი მამაცი ქალი იყო. ოცდასამი წლის ასაკში, უკვე სამჯერ ჰყავდათ დაპატიმრებული პურიტანებში რწმენის გაზიარებისათვის. პურიტანებს თავიანთ საეკლესიო მსახურებაზე ბიბლიის მოსმენა სურდათ, რადგან მხოლოდ რამოდენიმე ქრისტიანს ჰქონდა ბიბლია ინგლისურ ენაზე.

ანა და მისი მეუღლე, უილიამი, 1634 წელს ჩამოვიდნენ ამერიკაში რელიგიური თავისუფლების საძიებლად, მაგრამ ამერიკაშიც კი საკუთარ სახლში მსახურების გამართვის გამო რელიგიურ დევნას წააწყდნენ. მათი მსახურების მხარდამჭერები დააკავეს და არჩევნებში ხმის მიცემის უფლებაც ჩამოართვეს.

ორმოცდაექვსი წლის ასაკში, მეთვრამეტე შვილზე ფეხმძიმე ანას მსჯავრი დასდეს და ოთხი თვით დააპატიმრეს. კოლონიიდან განდევნის შემდეგ, მისმა ოჯახმა და მეგობრებმა ახალი ქალაქი და საოჯახო ეკლესია დაარსეს როდის კუნძულზე.

ანამ პიონერული სულით წამოჭრა თავისუფალი მსახურების ამერიკული იდეალის შესახებ წინადადება. ის და მისი ხუთი შვილი ინდიელებთან შეტაკებისას დაიღუპნენ. ანა მხნეობითა და რწმენით სავსე შეხვდა მხსნელს, ისე როგორც მთელი ცხოვრება გაატარა.

თავისუფლება არასოდეს არის თავისუფალი. მას ყოველთვის თან ახლავს საზღაური. იესო ქრისტე იყო პირველი, ვინც რელიგიური თავისუფლების საზღაური გადაიხადა-ჯვარზე სიკვდილით მამასთან მისასვლელი გზა გაგვიკვალა. ის იყო ერთადერთი, ვისაც ჩვენი ცოდვების გათავისუფლებაში საზღაურის გადახდა შეეძლო. მისმა სიკვდილმა და აღდგომამ დაამკვიდრა სრული თავისუფლება და მას შემდეგ მრავალმა მორწმუნემ მიანიჭა უპირატესობა ქრისტეში თავისუფლების განცდას. ანას მსგავსმა ადამიანებმა გახადეს რელიგიური თავისუფლების ოცნების ასრულება შესაძლებელი ამერიკაში. ღვთისადმი საკუთრი სიცოცხლის მიძღვნის უდიდეს მემკვიდრეობას ვფლობთ. რა საფასურის გადახდა გსურს, რომ მომდევნო თაობამ ისეთი რელიგიური თავისუფლება იგემოს ახლა რომ განიცდი? სთხოვე ღმერთს დაგეხმაროს და გაჩვენოს როგორ გადასცე ეს თავისუფლება მომავალ თაობას.



340-ე დღე

ექსტრემალური
კონტრაბანდისტები

ჩრდილო კორეა: კიკი

„მოძებნე ჯვარი," მოისმინა ახალგაზრდა კორეელმა კიკმა თანასოფლელების ნათქვამი.

ხმა გავრცელდა, რომ ჩრდილო კორეიდან ჩინეთში გაქცეულებს ჯვარ გამოსახული შენობა უნდა მოეძებნათ. ასეთ შენობას მიაგნო და მასთან ერთად საკვები და ტანსაცმელიც მიიღო. იესო ქრისტესთან ახალი ურთიერთობაც დაამყარა.

ეკლესიის წევრები სამი თვის განმავლობაში ასწავლიდნენ კიკს. მაგრამ მან იცოდა, რომ ჩრდილო კორეაში უნდა დაბრუნებულიყო და სხვებისათვისაც ეთქვა ქრისტეს შესახებ.

კიკს და მის თანმხლებ ახალგაზრდა მორწმუნეს ხუთი ბიბლია და მგზავრობისათვის საკმარისი სურსათი მისცეს. მესაზღვრეებმა ჩრდილო კორეაში მდინარის გადალახვისთანავე დააკავეს ისინი. კიკის მეგობრის ბიბლიები აღმოაჩინეს. რის გამოც სასიკვდილოდ სცემეს რკინის ჯოხით. შემდეგ კიკს დაუბრუნდნენ, რომელმაც როგორღაც გაქცევა მოახერხა. რამდენიმე თვის შემდეგ, მან სხვებისათვის ქრისტეს გაზიარება დაიწყო, რამაც სოფელში არარეგისტრირებული ეკლესიის გახსნას შეუწყო ხელი.

მალე კიკი მიხვდა, რომ მეტი ბიბლიები სჭირდებოდა რიცხობრივად მზარდი ეკლესიისათვის. გაახსენდა, როგორ დაკარგა მისმა მეგობარმა სიცოცხლე ღვთის სიტყვის სამშობლოში შემოსატანად. როცა კიკმა ჩინეთში ბიბლიების მოსატანად წასვლა გადაწყვიტა, მორწმუნეებს ძალიან აღელვებდათ მისი უსაფრთხოება.

კიკს დიდი ხნის წინათ მიცემული რჩევა გაახსენდა. და აუღელვებლად უპასუხა, „უბრალოდ, ჯვარს უყურე."

ჯვარი არის საკამათო. მრავალნი საუბრობენ რელიგიაზე, მაგრამ ჯვრის ხსენება უხერხულობაში აგდებს მათ და ასე გასინჯეთ, რომ წყინთ კიდეც. კიკს უთხრეს, რომ ჯვრისთვის ეცქირა უსაფრთხოების მიზნით. თუმცა, მან არ იცოდა, რომ მისი მტერიც იგივე ნიშანს ეძებდა კარგი მიზეზით. მათ იციან, რომ ჯვრის ნიშანი აღადგენს ქრისტიანებს. ქრისტიანობის წინააღმდეგობის გამო, ჯვარი მათი მტერი გახდა. ჩვენი სულიერი მტერი თვალმოუშორებლად უყურებს ჯვარს შიშითა და სიძულვილით. უცქერი თუ არა ჯვარს იგივე ინტენსივობით სიხარულის, იმედისა და მადლიერების განცდით? ჩვენი მტერი ისეა ჩასაფრებული ჯვარზე-როგორც თავდამსხმელი ბრძოლის დასაწყებად. ხარ თუ არა ანალოგიურად მიზანმიმართული ჯვრის დაცვის, მსახურებისა და სიყვარულისათვის?

ვინაიდან ბევრნი, რომელთა
შესახებ ხშირად მითქვამს
თქვენთვის და ახლა
ცრემლებითაც გეუბნებით, ისე
იქცევიან, როგორც ქრისტეს
ჯვრის მტრები.

ფილიპელთა 3:18

341-ე დღე

ექსტრემალური
ერთობა

მალუკუ: ნას რეიმას

„11 სექტემბრის მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმის სურათმა მტკივნეული მოგონებები ამიშალა," თქვა ნას რეიმასმა, ინდონეზიის საევანგელიზაციო თანამშრომლობის გენერალურმა მდივანმა.

„რამდენიმე წლის წინ, ასობით კბილებამდე შეიარაღებულ მუსულმანს ოსამა ბინ ლადენისაგან მალუკუს კუნძლზე თავდასხმა ებრძანა. მათი მიზანი კუნძულის ქრისტიანებისაგან გათავისუფლება იყო." როგორც ამბობენ ექვსი ათასზე მეტი ადამიანი მოკლეს და ხუთასი ათასი მცხოვრები განუწყვეტელი ცეცხლის სროლით სახლებიდან განდევნეს. „მუსულმანებმა ჩემი ოჯახის ოცდათექვსმეტი ახლობელი მოკლეს," თქვა რეიმასმა მოწყენით.

2001 წლის 22 ოქტომბრის ინტერვიუში, დღევანდელი ქრისტიანობის გამოცემაში, რეიმასმა განაცხადა, რამდენად რთული იყო მისთვის 1 თესალონიკელთა 5:18 აზრის მიღება, „მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის, ვინაიდან ეს არის ღვთის ნება თქვენს მიმართ ქრისტე იესოში." ტკივილი ძალიან ძლიერი იყო და ვფიქრობდი, რომ განკურნება არასოდეს მოვიდოდა. თუმცა, ღვთის მადლით, რეიმასმა გადაწყვიტა ღვთის სიტყვის სწავლების მიხედვით ეცხოვრა.

„მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებ ფეხზე დგომასა და მდგომარეობისადმი თვალის გასწორებას. არავინ მოელის ასეთ რამეს, მაგრამ ხდება." რეიმასი ახლა სხვადასხვა დენომინაციის წინამძღოლებს შორის შეხვედრებს უწევს ორგანიზებას. ისე როგორც ამერიკის ყველა ხალხი გაერთიანდა ამ შემთხვევის შემდეგ დახმარებისა და ლოცვისათვის, ასევე მრავალი ქრისტიანი ხელმძღვანელი იკრიბება ერთად ლოცვისათვის ინდონეზიაში. რეიმასი ღიმილით ამბობს, „აქამდე ასეთი რამ არასოდეს მომხდარა."

აქამდე ამის გაკეთებას ვერ შევძლებდით.

ადამიანური წესიერების მარცხის განცდა. დანგრეული ტყუპი შენობები. ამერიკის დროშა აფარიათ დაჭრილებს პენტაგონში. აქამდე ასე არასოდეს მომხდარა. ჩვენი ხალხი ლოცულობს. ეკლესიები სავსეა. განქორწინების განაცხადები უკან გააქვთ სასამართლოდან. არა, ჩვენ არასოდეს არ გაგვიკეთებია აქამდე ასე. რასებსა და კულტურებს შორის სხვაობის კედლები დაინგრა. სიბნელის პრინცმა ჩვენი გათიშვა სცადა. სიყვარულის ღმერთთან მიდის ხალხი. აქამდე ასე არასოდეს მომხდარა. იმის შემდეგ რაც ყველაფერი ითქვა და გაკეთდა, მხოლოდ ერთი რამ ვიცით: თუ კიდევ დაგვჭირდება ამ გზაზე დაბრუნება, ერთად დავბრუნდებით.



342-ე დღე

ოჯახური ალიაქოთი და
მღელვარებები,
გამუდმებული ზეწოლა
მანადგურებს.
თუ გავგიჟდები ან
გონებაზე შევიშლები,
ყველაფერს მივიღებ რასაც
ღმერთი მომცემს,
როგორც ბავშვი იღებს მამამისის
ხელიდან ყველაფერს.
მშიშარა მიუღებელია.
მოხუცებულთა თავშესაფარში,
ხშირად ვფიქრობდი, რომ
ღვთის ნება იცავს ადამიანის
თავისუფლებას.

ძმა შიმანოვი, რწმენის გამო ფსიქიატრიულ
მოხუცებულთა თავშესაფარში გამომწყვდეული.

343-ე დღე

ექსტრემალური „დანაკარგი“

ჩეხოსლოვაკია: ძმა ზავარსკი

ბოლოს, იმედგაცრუება ზღვარს გადასცდა. „მთელი ჩემი დრო მონობით შრომაში გამიტარებია!“ წუწუნებდა ჩეხი პატიმარი, ძმა ზავარსკი. „ათი საათის განმავლობაში კალათებს ვაკეთებ, რასაც კომუნისტები კარგ ფულად ჰყიდიან. რატომ ვისწავლე იმდენი, რომ ხუცესი გამოვსულიყავი? მაშინ როცა, კომუნიზმის მსახურებს ეკლესიაში მაღალი თანამდებობები უჭირავთ. ისინი ქადაგებენ, რჩევა-დარიგებას იძლევიან, და სამწყსოს მწყემსავენ. მე კი ვიტანჯები.“

„რატომ წუწუნებ?“ უთხრა სხვა ქრისტიანმა პატიმარმა. „ღმერთს შენი მსახურებები და თეოლოგია არ სჭირდება. კომუნისტების მარიონეტები აკეთებენ ამ საქმეს. მაგრამ ისინი მხსნელის ტანჯვას არ იზიარებენ. ეს უნდა იყოს ის ერთ-ერთი პირობა რასაც ადამიანები ხელდასხმისას უნდა დებდნენ. ოდესმე თუ გიქადაგია ქრისტეს გამო ტანჯვის ატანის შესახებ? მადლობა ღმერთს, რომ მან მოგცა ქადაგებაში ყველაზე ფასეული ნაწილის პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა.“

გამოსწორებულ ზავარსკის აღარასოდეს უწუწუნია ციხეში ყოფნისა და გრძელი სამუშაო დღის გამო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ზავარსკიმ ვეღარ შეძლო ხუცესობა, რადგან პატიმრობამ მის ჯანმრთელობას სამუდამო დაღი დაასვა. მაგრამ მისი მნახველები ვერ ხედავდნენ მასში ნაცემსა და განადგურებულ ადამიანს. ისინი ხედავდნენ მხსნელის სიხარულით გაბრწყინებულ სახეს. მან აღიარა, რომ ციხეში გატარებული დრო ტყუილ-უბრალოდ არ დაუკარგავს და არც წაურთმევიათ. მან თავისი ნებით გაიღო იგი იესოს ჯვრის ტარებაში დასახმარებლად.

რა იწვევს ადამიანებში ქრისტიანული სამშობლოს დატოვებისა და წარმართულ ქვეყანაში წასვლის სურვილს? რა იწვევს ადამიანში სიკვდილის სურვილს და არა განსაცდელის დანებებას? ეს არის ადამიანის ქრისტესადმი ექსტრემალური ვალდებულება. ისინი სულიერ მოგებას ხედავენ ყოველ პიროვნულ მარცხში. ისინი თავისი სურვილით ამბობენ თანხმობას შემოსავლის დაკარგვაზე, დღის განრიგის ცვლილებაზე, გეგმებზე, კომფორტზე და პირად სარგებელზე, ღვთის სასუფევლის დაწინაურებისათვის. როგორ გამოხატავ შენს ექსტრემალურ მსახურებას ღვთისადმი? შენს სიმტკიცეს, როცა ხედავენ სხვები, ფიქრობენ, რომ სულელი ხარ? იესოსათვის „მისი დაკარგვა“ სასუფევლისათვის მოგებას ნიშნავს.

ახლაც ყველაფერი წაგებად
მიმაჩნია ჩემი უფლის
იესო ქრისტეს ცოდნის
უპირატესობისათვის, რის გამოც
უარი ვთქვი ყოველივეზე და
ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა
ქრისტე შევიძინო.

ფილიპელთა 3:8

344-ე დღე

ექსტრემალური

უფრო მეტი რევოლუციონერები

პერუ: მარია ელენა მოიანო

რამაც მათში ნამდვილი სიბრაზე გამოიწვია, ის იყო, რომ ეს ახლადმოქცეული მათსავით ტერორისტი იყო.

მარია ელენა მოიანო მათთან ერთად გაყვიროდა პერუში რევოლუციისას. მას ბრალად ედებოდა გლეხების იარაღით მომარაგება. შემდეგ იგი იესო ქრისტეს შეხვდა და სხვაგვარი რევოლუციონერი გახდა-საკუთარ გულში სიყვარულის რევოლუციონერი.

ის გახდა ლიმას ღარიბების დასახლების ქალაქის მაიორის თანაშემწე. ის ორგანიზებას უწევდა ყველაზე ღარიბებში საკვების დარიგებასა და მშიერების გამოკვებას, ავადმყოფებზე და ობლებზე ზრუნვას.

„ისინი ქრისტიანებს 'რევოლუციის მებრძოლებს' უწოდებენ" თქვა მან, „რადგან მათ მიერ გაჩენილ ხანძარს ვაქრობთ. მათ უნდათ, რომ მოსახლეობას თითქმის არაფერი ჰქონდეს საკვებად, იმ იმედით, რომ ხალხი დახმარებისათვის არმიას მიმართავს. მაგრამ ტერორის არ უნდა გვეშინოდეს. არამედ უნდა შევეწინააღმდეგოთ უსამართლობასა და სისასტიკეს და დავეხმაროთ გაჭირვებულებს."

მარიამ იცოდა, რომ ტანჯვა უნდა გადაეტანა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ქრისტეს ტანჯვა უნდა გაეზიარებინა ხალხისათვის მისი დიდების გაზიარებამდე. მაოისტი ტერორისტები თავს დაესხნენ შენობას, სადაც საკვები ინახებოდა და ააფეთქეს. „ხანდახან მეშინია," თქვა მარიამ, „მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს არ უნდა მივმართოთ ძალადობას. რთულია ტერორიზმის დამარცხება, მაგრამ შეუძლებელი არ არის."

მარიას მუშაობის ეფექტითა და მისი შეუჩერებლობით გაბრაზებულმა აჯანყებულებმა 1992 წლის 1 თებერვალს მარია მოკლეს.

ფარისეველები ნამდვილი ტაქტიკური ექსპერტები არ იყვნენ. როგორც ლიმას ტერორისტებმა, ისე ფარისევლებმა ხალხი აიძულეს არ გაყოლოდა ქრისტეს, რამაც საპირისპირო შედეგები მოიტანა. ტერორისტები და ფარისევლები ერთნაირად ცდილოდნენ ხალხის ერთგულების მოპოვებას. ფარისევლებმა სულიერად დაამშიეს ხალხი, ტერორისტებმა კი ფიზიკურად. თუმცა იერუსალიმისა და პერუს ხალხი ერთნაირად გაჰყვა იესო ქრისტეს რევოლუციურ სწავლებას. რაც უფრო ძლიერად მუშაობს ოპოზიცია ქრისტეს წინააღმდეგ, უფრო მეტად უწყობს ხელს მის გავრცელებას. ოპოზიციამ შეიძლება იმუშაოს შენსა და შენი საქმიანობის წინააღმდეგ, მაგრამ ის ვერასოდეს დაგამარცხებს, როცა სასუფევლისათვის შრომობ. შეიძლება, ოპოზიციამ უნებლიედ დაასხას წყალი შენს წისქვილზე.

ფარისევლებმა კი ერთმანეთს
უთხრეს: „ხედავთ, რომ
ვეღარაფერს ხდებით? მთელი
ქვეყანა მას მიჰყვება!"

იოანე 12:19

345-ე დღე

ექსტრემალური
მოწმობა

რუსეთი: ხუცესი „გიორგი“

რუსმა კაპიტანმა ეკლესიის პატარა ოთახში სიარული შეწყვიტა და კედლისაკენ გადაიხარა. „შენ იცი, რომ ეს ტყუილია,“ თქვა მან. „ეს უბრალოდ ეშმაკური ხერხია, რასაც მსახურები ღარიბების მოსატყუებლად იყენებთ მდიდრებისათვის ფულის გამოსაცანცლავად. ჩვენ ახლა მარტოები ვართ. ჩემს წინაშე აღიარე, რომ არასოდეს გჯეროდა, რომ იესო ქრისტე ღვთის ძე იყო.“

ხუცესმა „გიორგიმ“ ჯვარს შეხედა და გაიღიმა. „რა თქმა უნდა მჯერა. ეს ჭეშმარიტებაა.“

„ჩემი გაცურების ნებას არ მოგცემ!“ ყვიროდა კაპიტანი. მან რევოლვერი ამოიღო ბუდიდან და მსახურს ახლოდან დაუმიზნა. „თუ არ აღიარებ, რომ ტყუილია, გესვრი.“

„ვერ ვაღიარებ, რომ ეს ტყუილია,“ თქვა გიორგიმ.“ ჩვენი უფალი ნამდვილად არის ღვთის ძე. სროლა არ შეცვლის ამას.

კაპიტანმა იარაღი იატაკზე მოისროლა. ხუცესი გაოცდა, როცა ჯარისკაცმა ცრემლმორეული კაპიტანი ხელკავით გაიყვანეს გარეთ.

„ეს ჭეშმრიტებაა!“ ყვიროდა კაპიტანი. „ეს ჭეშმარიტებაა. მეც მჯერა ეს. მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ადამიანს ამ რწმენისათვის სიკვდილი შეეძლო, ვიდრე ჩემი თვალით არ ვნახავდი. მადლობა! თქვენ გააძლიერეთ ჩემი რწმენა. ახლა მეც შემიძლია ქრისტესათვის სიკვდილი. თქვენ მაჩვენეთ როგორ.“

წამებულები ყველა რელიგიაში არიან. ჩვენ ვამბობთ, რომ მზად ვართ ჩვენი რწმენისათვის მოვკვდეთ. ისინი ამბობენ, რომ მზად არიან თავიანთი რწმენისათვის მოკვდნენ. როგორ შეუძლია ქრისტიან და-ძმას თავისი რწმენის მუსულმან ექსტრემისტზე მეტად დაამოწმოს?



346-ე დღე

ექსტრემალური
პატივისცემა

ნიდერლანდები: ჰანსი

ჰანსი ცნობილი იყო ანტუერპში, ნიდერლანდების ქალაქში, როგორც ბიბლიის სკოლის სერიოზული სტუდენტი. კვირასაც კი ახალმოქცეულებისათვის ინსტრუქციის მიცემაში ატარებდა. მაგრამ ჰანსს და დედამისს საშიშროებად აღიქვამდნენ. რადგან ანაბაპტისტები იყვნენ და ამ რწმენის გამო მათ ერეტიკოსებად მიიჩნევდნენ რელიგიური წინამძღოლები.

1577 წელს, სასამართლოს ოფიციალურმა პირებმა ჰანსი და სხვა რამოდენიმე პირი დააკავეს, მაგრამ დედამისმა გაქცევა შეძლო. რელიგიურმა წინამძღოლებმა ჰანსი მისი რწმენიდან გადაბირების მიზნით აწამეს. მაგრამ უარი თქვა და მიუხედავად სასტიკი წამებისა მაინც არ დანებდა.

ანტუერპის ციხის ბნელ საკანში მარტოობისას, გამამხნევებელი წერილები მიწერა ოჯახსა და მეგობრებს. ჰანსმა შემდეგი წერილი დაწერა:

„ყველაზე მეტად საყვარელო დედა, მოხარული ვარ გითხრა, რომ ხორციელად კარგად ვგრძნობ თავს. მაგრამ რაც შეეხება სულს, ვმადლობ ღმერთს, რომ ის მაძლევს ძალას სული წმინდის მეშვეობით და აზრს არ ვიცვლი. მხოლოდ მისგან ვიღებთ ამ სასტიკი მგლების წინააღმდეგობის გაწევის ძალას, რათა მათ ძალაუფლება აღარ ჰქონდეთ ჩვენს სულებზე.“

ჰანსი მალე წარადგინეს სასამართლოს წინაშე, სადაც მან თამამად შეძლო თავისი რწმენის გაცხადება. რისთვისაც ცეცხლზე დაწვა მიუსაჯეს. მისი წერილი ამოწმებს მისი სულის დაცვისა და დახსნისათვის ქრისტესადმი მადლიერებას.

„ღმერთი დიდებულია. ღმერთი კარგია. მოდი მადლობა მოვუხადოთ მას ჩვენი... ტანჯვებისათვის?“ ეს ის ბავშვობისდროინდელი კურთხევის ლოცვები არ არის ჩვენ რომ გვესმოდა. ეს ფრაზა მუსიკალურად ვერ ჟღერს ჩვენს ყურში, მაგრამ ეს გვახსენებს რამდენად მუსიკალურად შეხმატკბილებული უნდა იყოს ჩვენს გულთან. საკვებისათვის უფრო მოვუხდით ღმერთს მადლობას ვიდრე განსაცდელისათვის. ანალოგიურად, ჰანსმა წერილობით გამოხატა მადლიერება მისი-ტანჯვისათვის უცნაურ სამადლობელ წერილში. თუმცა, ეს წამებულის გულწრფელი ლოცვაა, რომლის ტანჯვამაც იგი იმ კაცად გახადა რომლად ყოფნაც მუდამ სურდა. ზუსტად ის ხარ თუ არა რაც გინდა რომ იყო ქრისტესათვის? ხარ თუ არა მზად მადლობა გადაუხადო ღმერთს და ნება მისცე მას რადაც არ უნდა დაგიჯდეს, მძიმე წამებადაც კი, რომ მოგანიჭოს ეს გამარჯვება?



347-ე დღე

ექსტრემალური
მოწოდება

პაპუა, ახალი გინეა: ჯეიმს ჩალმერსი

„ნეტავ, ის ბიჭი აქ ხომ არ არის, რომელიც... კანიბალებს სახარებას მიუტანდა?“ გამოწვევა გააკეთა ახალგაზრდა მისიონერმა იაკობ ჩალმერსის ეკლესიაში. იაკობმა სურვილი გამოთქვა, რომ ის ბიჭი ყოფილიყო.

1866 წელს, ჩალმერსმა და მისმა ახალგაზრდა მეუღლემ სამხრეთ ზღვისაკენ გაცურეს, სადაც გემმა მსხვრევა განიცადა რაროტონგაში და იქვე დასახლდნენ. თერთმეტი წლის შემდეგ, პაპუა ახალ გინეაში წავიდნენ სადაც თბილად მიიღეს კანიბალების სოფელ სუაუში.

ჩალმერსი ზღვის სანაპიროს ზემოთ-ქვემოთ მოგზაურობას შეუდგა. ერთ-ერთი გაჩერებისას, ადგილობრივებმა მას ალყა შემოარტყეს და ინდიელთა საბრძოლო ჯოხები და დანები მოსთხოვეს. თუ არა და მას და მის მეუღლეს მოკლავდნენ. ჩალმერსი მტკიცედ დადგა, რასაც ადგილობრივები პატივისცემით მოეკიდნენ. მეორე დღეს ბოდიშიც კი მოიხადეს და მალე დამეგობრდნენ.

1879 წელს, მისი მეუღლე გარდაიცვალა. რამაც იაკობს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა და მეგობარს უთხრა, „ნება მომეცი ჩემი მწუხარება ქრისტეს საქმიანობაში ჩავფლა.“

ჩარმერსი ორჯერ დაბრუნდა ინგლისში შვებულებაში, რათა უფრო დარწმუნებულიყო მოწოდებაში. „არ შემიძლია დავისვენო, როცა ათასობით ველური ადამიანი ღვთის მათთან ახლოს ყოფნის ცოდნის გარეშე ცხოვრობს.“

1901 წლის 7 აპრილს, ჩალმერსმა, ოლოვერ ტომპკინსმა და სხვა თანამოაზრეებმა გოარიბარის კუნძულისაკენ გაცურეს. მეორე დილით მან და ტომპკინსმა სანაპიროზე გაისეირნეს, საიდანაც ადგილობრივებმა დიდ შენობაში წაიყვანეს. შიგნით შესული კაცები დანებით მოკლეს და იმავე დღეს მოხარშეს.

როგორი დეპრესიულია. გასაგებია, რომ იაკობ ჩალმერსის მსგავსი ისტორიების კითხვისას, ჩვენი ბუნებრივი რეაქცია თანაგრძნობა და წუხილია და სირცხვილიც კი. ტყუილუბრალო დანაკარგი. მაგრამ, უფრო ახლოდან უნდა შევხედოთ მათ ისტორიებს. ჩალმერსმა თავისი ამქვეყნიური სიცოცხლე სხვებისათვის საუკუნო ცხოვრების გაზიარებისათვის გასწირა. ჩალმერსს თავისი წამებულება შეცდომად არ მიუჩნევია. რატომ უნდა გაგვიცრუვდეს იმედი? როცა ჩვენი ამამიწიური ტანჯვა ერთი ნაბიჯით დაახლოვებს დაკარგულებს ღვთის დიდებასა და პატივთან, არაფერია ამაო. ტანჯვა ხდება ღვთის რთული გეგმის ნაწილი... შენთვის და სხვებისათვის ერთნაირად. ხარ თუ არა თანახმა აიტანო ამქვეყნიური ტანჯვა სხვებისათვის ზეციური მემკვიდრეობისათვის მისაღებად?

ამიტომ გთხოვთ, გული არ გაიტეხოთ თქვენთვის ჩემი გასაჭირის გამო, რომელიც თქვენი დიდებაა.

ეფესელთა 3:13

348-ე დღე

ექსტრემალური
დანებება

ინდონეზიის მწარე კუნძულები: სუტარსი სელონგი

კაცმა ინდონეზიელ ქალს ხელი ჩაავლო და სახეში ჩაჰყვირა: „'თქვი, ალაჰ აკბარ' (ღმერთი დიდია)!" მაგრამ ახალგაზრდა სუტარს სელონგმა უარი თქვა დანებებაზე და თავისი ჭეშმარიტი ღმერთის შეურაცხყოფაზე.

კაცმა პირში დაუმიზნა იარაღი. ქალს თვალები გაუფართოვდა, მაგრამ მაინც უარი თქვა. კაცმა სასხლეტს ხელი გამოჰკრა. ტყვიამ სუტარსს მარცხენა ლოყაში გაუარა. ჯერ წაბარბაცდა მაგრამ მალევე თავი შეიკავა. გაბრაზებული სამხედრო პირი კმაყოფილი არ ჩანდა, ხიშტი დააძრო და ქალს სახეში ცემა დაუწყო.

სუტარსი სელონგი ერთ-ერთი იმ მრავალ ქრისტიანთგანია ინდონეზიის მწარე კუნძულებზე, რომლებიც ხშირად განიცდიან თავდასხმას მუსულმანური ფანატიკური ჯგუფისაგან, რომელსაც სახელად ლასკარ ჯიჰადი, ანუ წმინდა მებრძოლი ჰქვია.

სელონგმა და მისმა თანამორწმუნეებმა იციან, რომ ამ წმინდა მებრძოლების თეთრი მანტიებით შემოსვა და შენიღბვა მალევე თავდასხმას ნიშნავს. ისინი ნიტას ეკლესიაში შეიკრიბნენ, რომელსაც შვიდი ფუტის სიმაღლის კედელი აკრავს და რამდენიმე კაცი მორიგეობით მეთვალყურეობს.

როცა ისლამის მებრძოლები მოვიდნენ, ქრისტიანებმა მშვიდობიანი თავდაცვის ხერხს მიმართეს. თუმცა, მათი თეთრი დროშა ხმლით აკუწეს და რამდენიმე წუთში უბედურება დატრიალდა. ასეთი სცენები თანდათან გახშირდა ინდონეზიის კუნძულებზე, ფანატიკოსები ეკლესიებს წვავენ და მორწმუნეებს კლავენ.

საბედნიეროდ, ინდონეზიის მრავალი ქრისტიანი მორწმუნე უარს ამბობს მუსულმანობაზე, სუტარსი სელონგის მსგავსად. ისინი უარს ამბობენ ჯიჰადის მებრძოლების მოთხოვნაზე, მიიღონ ისლამი და უარი თქვან ქრისტეზე. ჩვენ ხომ არ დავნებდებოდით? არც ერთი მისხლით? რას დავაშავებდით? მტერი ისე დაგვცინებს როგორც ფანატიკმა მუსულმანებმა სუტარსის. თუმცა უარი თქვა დანებებაზე. არც ჩვენ გვაქვს მისგან განსხვავებული ვალდებულებები-აქა-იქ დანებება, როცა მდგომარეობა მძიმდება და აუტანელი გვეჩვენება. არ შეგვიძლია ავირჩიოთ როდის დავნებდეთ და როდის არა. მტკიცედ უნდა ვიდგეთ მუდამ. მტკიცედ დგომა არ ნიშნავს იმას, რომ შენ არსოდეს დანებდები მტერს. ეს იმას არ გულისხმობს, რომ უფრო მეტად უნდა ეცადო. ღმერთი გაძლევს მტკიცე გულს, რათა არ დანებდე. დღეს სთხოვე ღმერთს ურყევი გული.



349-ე დღე

აქ წყნარად ჯდომისათვის
არ მოვსულვარ
რათა გულზე ხელები დავიკრიფო.
არამედ ქრისტეზე
სასაუბროდ მოვედი.

გალინა ვილჩინსკაია. რწმენის გამო დაპატიმრებული ოცდასამი წლის გოგონა, რუსეთი 1980 წელი. იგი დაპატიმრებულ იქნა ქრისტიანულ ბანაკში ბავშვების სწავლებისათვის.

350-ე დღე

ექსტრემალური
გულუხვობა

ჩრდილო ნიგერია

ჩრდილო ნიგერიაში, მუსულმანებმა შარიათის კანონი შემოიტანეს-ყველაზე მკაცრი ისლამური კანონი. ნიგერიის უმრავლესობას ქრისტიანები წარმოადგენენ, ისლამის ხელმძღვანელები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეს კანონი მხოლოდ მუსულმანთა შიდა საკითხებს ეხება. თუმცა ქრისტიანებს უკეთ ესმით მისი რეალური მნიშვნელობა. უკვე დაუნგრიეს ასობით ეკლესიები ქრისტიანებს. რომ განაახლონ კვლავ დაწვავენ. მრავალი ქრისტიანი აწამეს.

ჩრდილო ნიგერიის ქალაქ კადუნაში, ერთი ეკლესიის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ყველა ქრისტიან ხელმძღვანელს თავზე გვირგვინი ჩამოაცვეს და ერთის მოკვლისათვის ასი ათას ნაირას იძლეოდნენ (დახლოებით ათასი ამერიკული დოლარი). ქრისტესაც ედგა გვირგვინი თავზე და ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს.

გამუდმებული მუქარის გამო ზოგიერთი მორწმუნე შეწინააღმდეგებას ცდილობს. მაგრამ ერთმა ქრისტიანმა წინამძღოლმა ახლახანს მოუწოდა მორწმუნეებს კადუნაში: „ამ ამბების შუაგულში უნდა გვახსოვდეს ჩვენი უფლის სწავლება ბოროტის კეთილად გადაქცევის შესახებ და მოთმინებით ავიტანოთ ტანჯვები. რადგან ნიგერიაში დემოკრატიაა გამოცხადებული, ქრისტიანებს ევალებათ ყველა ადამიანს სამართლიანად და სიმართლით მოეპყრონ.“

ქრისტემ ანალოგიური მოწოდება გააკეთა თითქმის ორი ათასი წლის წინ: „‘შეიყვარე უფალი შენი ღმერთი’... ეს არის პირველი და უდიდესი მცნება. და მეორე ამის მსგავსი: ‘შეიყვარე მოყვასი’“ (მათ 22:37-39).

დავიცვათ ქრისტეს მცნება და საკუთარი თავივით შევიყვაროთ ჩვენი მოყვასი, არც ისე ადვილი საქმეა. ამაზე უფრო რთულია მოყვასის შეყვარება მაშინ, როცა მას სძულხარ. ჩვენ ყველას განგვიცდია ეს გრძნობა. შეიძლება თანამშრომელი გყავთ ასეთი. შეიძლება მასწავლებელი, რომელიც უმიზეზოდ გემტერებათ. ან შეიძლება კურთხევა გაქვთ ისეთი ეგრეთ წოდებული მეგობრის სახით, ვინც უცნაურად კმაყოფილი ჩანს როცა თქვენს ცხოვრებაში საქმე ცუდად მიდის. იესოს ესმის ეს ყოველივე. როგორ უნდა გიყვარდეს ის, ვინც ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ ტანჯვაში განახოს? მაშინ როცა ზოგიერთებს თქვენი შერცხვენა ახარებთ. რაც არ უნდა იყოს, ამ საკითხში ღვთისადმი თქვენი მორჩილება შეუფასებელია.

> გიყვარდეთ თქვენი მტრები
> და სიკეთე უყავით თქვენს
> მოძულეებს. აკურთხებდეთ
> თქვენს მაწყევრებს და
> ლოცულობდეთ თქვენსავე
> შეურაცხმყოფელთათვის.
>
> *ლუკა 6:27-28*

351-ე დღე

ექსტრემალური
მსახურები

საუდის არაბეთი: ესკინდერ მენგისი

შუაღამე იყო, როცა ოფიცრები ესკინდერ მენგისის სახლში შეცვივდნენ და მისი მეუღლე და სამი შვილი გააღვიძეს. საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაცემული ჩხრეკის ორდერით.

„აქ რას აკეთებთ? ჩემი სახლის განადგურების უფლება არა გაქვთ.“

„და არც შენ გაქვს უფლება მუჰამედის მიწაზე შენი რელიგიის მსახურების! აქ ჩამოსვლამდე გაგაფრთხილეს, რომ შენი რელიგია უკან დაგეტოვებინა.“ ოფიცერმა ესკინდერს ხელი ჰკრა და გარეთ გამოაგდო, დანარჩენები კი ბიბლიებს, საგალობლებს, ფოტო ალბომებს, აუდიო ჩანაწერებსა და ნებისმიერ რამეს აგროვებდნენ, რაც კი სამხილად გამოადგებოდათ.

ესკინდერი პოლიციის სათაო ოფისში მიიყვანეს დაკითხვაზე და შეშინებული ცოლ-შვილი სახლში მიატოვეს. ესკინდერი და მისი ოჯახი ეთიოპიელი ქრისტიანები არიან. ისინი, იმ მრავალ უცხოელთაგან არიან, რომლებიც ბენზინით მდიდარ საუდის არაბეთში მუშაობენ და ადგილობრივი მოსახლეობის ერთ მესამედს წარმოადგენენ. ამ უცხოელთაგან მრავალი ქრისტიანია, რომლებიც საშინელ მდგომარეობას აწყდებიან რწმენის გამოხატვისას.

მრავალი ქრისტიანი არც კი ფიქრობს თავისი რწმენის პრაქტიკულად გამოვლენას მუსულმანურ სამყაროში მუშობისას. მაგრამ ისლამის ბნელი ღრუბლის ქვეშ მოქცეულები, სასუფევლისაკენ ისწრაფვიან და მათ გარშემო მყოფ მორწმუნეებთან ერთად მსახურებას ეწევიან. მრავალმა თავის მუსულმან დამქირავებლებსაც კი დაუმოწმა ქრისტეზე. საუდის არაბეთში მუსულმანის მოქცევის შემთხვევში ორივე მხარე სიკვდილით ისჯება.

სადაც სამსახურის მაძიებელ მისიონერებს არ შეუძლიათ შესვლა, სრული დროით მსახურებისათვის მიძღვნილი მსახურები მიდიან იმ ქვეყნებში. მათ მიაქვთ უნიკალური და ძლიერი დამოწმება მსოფლიოში ყველაზე მკაცრად შეზღუდულ ქვეყნებში. მიძღვნილი ქრისტიანები გონივრულად არიან შენიღბული ჩვეულებრივი ინჟინრის სტატუსით და საუდის არაბეთის ნავთობის ქარხნებში მუშაობენ. მათი მისია ნათელია. თუმცა მეთოდი შენიღბული. მათი დამოწმება ძლიერია, თუმცა იდუმალი. მათი დავალებაა სხვებისადმი მსახურებაში სახარების წარმოჩენა: არათავკერძა და ერთგული მუშაკი სამსახურში და მიუკერძოებელი მეზობელი სამეზობლოში. ჩვენი დავალებაა დავეხმაროთ მათ ლოცვით. ჩვენ ყველანი მსახურები ვართ, ყველა ჩვენს როლს ვთამაშობთ, რათა ქვეყნიერება ქრისტეს რწმენასთან მივიყვანოთ. ესკინდერის მსგავსი ადამიანები თავის საქმეს აკეთებენ საუდის არაბეთში. აკეთებ თუ არა შენ შენს საქმეს?

ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილი კეთილი საქმეებისათვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებით ვიაროთ.

ეფესელთა 2:10

352-ე დღე

ექსტრემალური
მოწმეები

რომი: ზოე

„მოკალით!“ ჩაესმა კოლიზეუმის ცენტრში, გაბრაზებული ბრბოს წინაშე მდგარ ზოეს ყურში.

ზოეს იქ დგომის მიზეზმა გაუელვა თავში და გაეღიმა. მას ის დღე გაახსენდა, როცა თავის ქმარს ესტუმრა ციხეში, სადაც იგი იმ პატიმარ ქრისტიანებს დარაჯობდა, რომლებიც კერპებისათვის შესაწირავის გაღებაზე უარს ამბობდნენ. ზოეს ბავშვობიდან ესმოდა, რომ ქრისტიანები გზას ამცდარი ხალხი იყო და მკვდარ წარმოდგენებს მისდევდნენ. მათ იმპერატორ ნერონის მმართველობისას ცეცხლი გააჩინეს რომში და დამსახურებული სასჯელიც მიიღეს-ძელზე მიალურსმეს ან ლომების ხაროში ჩაყარეს.

მაგრამ იმ დღეს ციხეში დაინახა ზოემ, რომ ოჯახი ერთად ლოცულობდა: „ძვირფასო უფალო, დაგვეხმარე, რომ ჩვენმა სიკვდილმა დიდება მოუტანოს შენს სახელს. ჩვენ ვპატიობთ ჩვენს დამტყვევებლებს.“

ზოე გაოცებული დაბრუნდა ციხიდან. რატომ აქვთ ამ ქრისტიანებს ასეთი მშვიდობა, მაშინ როცა იციან, რომ მალე ლომების ხახაში ჩაცვივდებიან?

ზოემ ჩუმად დაიწყო ამ ოჯახთან შეხვედრა და მათი რწმენის შესახებ კითხვების დასმა. მალე ქრისტეს გადასცა თავისი გული.

ზოეს ახლადმიღებული რწმენის შესახებ სიტყვა მალე გავრცელდა და დაცვა სახლში გააგზავნეს მასთან, რათა მონანიების შესაძლებლობა მისცემოდა და ღმერთ მარსისათვის მიეძღვნა შესაწირავი. რაზეც მან უარი თქვა. დაცვამ ხელბორკილი დაადო და იმ საკანში შეაგდო, რომელსაც მისი მეუღლე დარაჯობდა.

ზოემ უარი არ თქვა რწმენაზე, ძელზე გააკრეს, დაწვეს და ფერფლი მდინარეში გადაყარეს.

ვინ არის ექსტრემალური მოწმე ამ ამბავში? ოჯახი ხომ არა, ლომების ხახაში ჩაყრის წინ რომ ლოცულობდნენ? თუ ზოე, რომელმაც თავისი ახალი რწმენა არ უარყო დაცვის წინაშე? პასუხი არის, დიახ. ამ ქვეყნიერებიდან მიმავალმა ოჯახმა ახალი ადამიანი მიიყვანა სამოთხეში. ორივენი გახდნენ ექსტრემალური მოწმეები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს ისტორიის ფურცლებზე. ასე რომ არა, ზოე დავიწყებული იქნებოდა როგორც წარმართი ციხის დამცველის წარმართი მეუღლე. ისტორია მასზე ყურადრებას არ გაამახვილებდა და ათასობით მოკლულ ადამიანთა შორის ერთ-ერთად შერაცხდა. და მაინც ჩვეულებრივი ადამიანი არაჩვეულებრივი რწმენის გამო მოგონების ღირსი გახდა. იქნება თუ არა შენი ცხოვრება იესო ქრისტეს არაჩვეულებრივ მოწმეთა მსგავსი?

იმაზე, რაც გვინახავს და მოგვისმენია, გაუწყებთ, რათა თქვენც გქონდეთ თანაზიარება ჩვენთან.

1 იოანე 1:3

353-ე დღე

ექსტრემალური
პატიმარი

ჩინეთი: ალ ლინგი

„მართალს არ ამბობ," დაუყვირა დაცვამ მოხუცებულ ჩინელ მორწმუნეს. „შენ უნდა თქვა; 'ციხეა კარგი,' და არა 'იესოა კარგი.'"

ალ ლინგმა გაიღიმა. „მაგრამ ციხე კარგი არ არის. საქმე ამაშია. უნდა მოვიტყუო?"

„მაშინ გააკეთე ორმოცდაათი აზიდვა!" ბრძანა იმედგაცრუებულმა კომუნისტმა დაცვამ. „როგორც გუშინ."

სამოცდაათი წლის ალ ლინგმა აზიდვები გააკეთა და თავის ბანაკში დაბრუნდა. ლინგის ქმარი სახარების გავრცელებისათვის დააპატიმრეს და მალე გარდაიცვალა. ამჯერად მისი ცოლი დააპატიმრეს ჩინელი ხალხისათვის ქრისტეს სიყვარულის გაზიარების გამო.

„საკვები კარგია, ციხე კარგია!" ამ სიტყვების ყვირილს აიძულებდნენ პატიმრებს მინდვრებში მძიმე სამუშაოს შესრულების შემდეგ. „იესო უკეთესია!" დაიყვირა მისმა მკვეთრმა ხმამ ხალხის ბრბოდან.

„ალ ლინგ, უფრო მეტი აზიდვების გაკეთება ხომ არ მოგნდომებიათ დღეს?" იკითხა დაცვამ.

„მინდა იცოდეთ, რამდენად უყვარხართ იესოს," უპასუხა მან ღიმილით. ლინგი გახარებული იყო კომუნისტ დაცვასთან და სხვა პატიმრებთან იმის ქადაგების შესაძლებლობით თუ როგორი კარგია ქრისტე, თუნდაც ყოველდღე აზიდვების კეთება მიესაჯათ სანაცვლოდ. გათავისუფლებისას ჰკითხა ახალგაზრდა დაცვამ ლინგს. „სად მუშაობს შენი ქმარი?"

„ოჰ, ის იატაკქვეშა მუშაობას ეწევა," უპასუხა მან. დაიტერესებული დაცვა შენიშვნების ჩასაწერად მოემზადა. ალ ლინგმა გაიღიმა, „რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა."

ალ ლინგი თეოლოგი არ იყო. არც გამოცდილი ორატორი. მიუხედავად ამისა, მისი ალალი, შეუდრეკელი და იუმორით სავსე პასუხები აცბუნებდა კომუნისტ დაცვას. შეიძლება გონებრივად მოვემზადოთ კითხვა-პასუხისათვის, რას ვიტყოდით ანალოგიურ სიტუაციაში. შეგვიძლია თუ არა წინასწარ ვიფიქროთ ჩვენს პასუხებზე? იესო გვახსენებს, რომ არ უნდა ვიფიქროთ რა ვთქვათ როცა ჩვენი რწმენის დამოწმებას მოგვთხოვენ. ჩვენ არ გვთხოვენ მომზადებული ტექსტის წაკითვას. ჩვენ მოგვეთხოვება მისი სიბრძნის სიტყვაზე დამოკიდებულება-რაც ყველაზე მეტად გვჭირდება. როცა დრო დადგება, ღმერთი მოგცემს მისი ეფექტური მოწმობის სიტყვას.

ამიტომ თქვენც გულებში
ჩაიდეთ, რომ წინასწარ არ
იზრუნოთ, რითი იმართლოთ
თავი, ვინაიდან მე მოგცემთ თქვენ
პირსა და სიბრძნეს, რომელთაც
ვერ დაუპირისპირდებიან და
ვერც შეეპასუხებიან თქვენი
მოწინააღმდეგენი

ლუკა 21:14-15

354-ე დღე

ექსტრემალური
ტანჯვა-ნაწილი პირველი

სუდანი: კამერინო

შიმშილის გამო ბებიამ ათი წლის შვილიშვილს საკვების საძებნელად წასვლა სთხოვა. მან იცოდა სოფლის გარშემო არსებული საშიშროების შესახებ და დაჟინებით სთხოვა დაღამებამდე დაბრუნებულიყო.

კამერინომ და მისმა მეგობრებმა რამდენიმე კილომეტრი გაიარეს მაყვლის კრეფაში, როცა უცბად მიხვდნენ, რომ ჯარისკაცები მათ უყვიროდნენ. შეშინდნენ ბიჭები, მინდორში გაიქცნენ და მაღალ ბალახში დაიმალნენ. ჯარისკაცებმა ცეცხლი დაუშინეს მინდორს და მოელოდნენ, რომ ბიჭები წამოხტებოდნენ და გაიქცეოდნენ.

ქრისტიანები თავიანთი რწმენის გამო გადაასახლეს სუდანში. მრავალი გაექცა სასტიკ ისლამურ იერიშს, ფუთაში მცირედი ტანსაცმლით.

ცეცხლის ალმა მალე მიაღწია ბიჭებამდე, არჩევანი აღარ ჰქონდათ სიცოცხლის გადასარჩენად უნდა გაქცეულიყვნენ. მხოლოდ სამმა ბიჭმა შეძლო გაქცევა, კამერინო დარჩა.

როცა ცეცხლი მინელდა, ჯარისკაცებმა სამი ბიჭი დაიჭირეს, და იქითკენ წავიდნენ სადაც კამერინო იწვა. მტანჯველმა ტკივილმა დაკრუნჩხა მისი სხეული. ბიჭის დამწვარი სხეული უმოძრაოდ ეგდო, და მიატოვეს, რადგან იფიქრეს მკვდარიაო-კიდევ ერთი ქრისტიანი მსხვერპლი. ასე იფიქრეს.

სასწაულებრივად, კამერინო მინდვრიდან გამოცოცდა და თანასოფლელებმა ბებიას მიუყვანეს სახლში. მისი სხეულის დიდი ნაწილი ძალიან იყო დამწვარი. არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ, ილოცეს მისი ტანჯვის შემსუბუქებისათვის.

ქრისტიანები ლოცვას სხვანაირად აღიქვამენ სუდანში. მათმა ტანჯვამ და ყოველდღიურმა საშიშროებამ შეამცირა მათში საკუთარ თავზე დაიმედება და ღვთის იმედში გაიზარდნენ. მხოლოდ ლოცვაღა შერჩა ბევრ ოჯახს სუდანში. საშიში წინადადება-და შესანიშნავი ადგილი, სადაც შეიძლება იყო. ალბათ ვერ ვიტყვით ამ ფრაზას, რომ ღმერთია ყველაფერი რაც გვჭირდება, ვიდრე ის არ შემოგვრჩება ბოლოს. სხვა შემთხვევაში ბუნებრივად ჩვენს შესაძლებლობებზე ვართ დამოკიდებულნი. ღმერთი მოგიწოდებს იმ ექსტრემალურ სიტუაციაში ექსტრემალური ლოცვისათვის. რამდენად ხშირადა ხარ დამოკიდებული ლოცვაზე, ისე თითქოს სხვა იმედი აღარაფერი არსებობდეს ლოცვის გარდა?



355-ე დღე

ექსტრემალური
ტანჯვა-ნაწილი მეორე

სუდანი: კამერინო

ამერიკელი მისიონერების ჯგუფი სუდანში მოგზაურობდა: საკვებს, საბნებსა და ბიბლიებს არიგებდა და იესოს ფილმს უჩვენებდნენ. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, სანამ მათი მანქანა მდინარეში არ გაჩერდა და ერთი დღე გეგმისამებრ ვერ აეწყო.

მისიონერებმა იმდღევანდელ შეხვედრაზე ილოცეს და ღმერთს მათი გეგმის წარმართვა სთხოვეს. იცოდნენ, რომ გეგმა უნდა შეემოკლებინათ და გადაწყვიტეს, რომ ახლომდებარე სოფელს სტუმრებოდნენ. მათი მისვლისთანავე, რამოდენიმე ქალი გამოიქცა უცხოელი სტუმრების შესაგებებლად. დამტვრეული ინგლისურით ყვიროდნენ, „მალე მოდით... ჩვენი ბიჭი... უნდა დაგვეხმაროთ... მალე მოდით!“

ჯგუფი ქალს გაჰყვა პატარა, ბნელ შენობაში. დაინახეს, რომ პატარა ბიჭი იატაკზე გაუნძრევლად იწვა, ტილოდ ქცეულ საბანში იყო გახვეული. საბანი გადახადეს და დაინახეს, რომ შვიდგან იყო კამერინოს სხეული დამწვარი.

მათ ფრთხილად და სწრაფად ასწიეს კამერინოს სხეული და ორმოცდაათი მილის მოშორებით საავადმყოფოში წაიყვანეს. სადაც მაშინვე მიიღო საჭირო სამედიცინო დახმარება. დღეს კამერინო ცრემლმორეული იხსენებს, თუ როგორ გადაარჩინა ლოცვამ. მან იცის ქრისტეს სიყვარულისა და მისი განკურნების ძალა და პირველად გაიღიმა მრავალი თვის მანძილზე.

მისიონერები, რომლებმაც სუდანში მრავალი ადამიანის სიკვდილი და წამება ნახეს, მადლობას უხდიან ღმერთს, რომ ნება მისცა მათ ათი წლის მამაცი ბიჭის გადასარჩენად.

კამერინო ახალ მნიშვნელობას ანიჭებს ფრაზას, „გაგრძელება იქნება.“ მისი ცხოვრება უსასრულო ტანჯვის სურათს ტოვებდა, ძონძებად ქცეულ საბანში გახვეული. თუმცა ისტორიის მეორე ნაწილი ამოწმებს ბედნიერ დასასრულსა და ღვთის მადლს გვახსენებს. ეს ისტორია აქ არ მთავრდება. მესამე ნაწილი ჯერ კიდევ დასაწერია. ერთ დღეს კამერინო სრულად განიკურნება-ზეციურ სახლში სადაც არც ტანჯვაა და არც ტირილი. დიახ! დადგება დღე და ტანჯვაც დასრულდება. შემდეგ ყველანი სახლისაკენ გავემართებით. თუ წარმოუდგენელ ტკივილს განიცდით ახლა, გაიხსენე საით მიდიხარ.

> მოსწმენდს ყველა ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი. გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება, რადგან წინანდელნი გარდავიდნენ.
>
> *გამოცხადება 21:4*

356-ე დღე

რელიგია სხვა არაფერია თუ არა ღვთის ნების შესრულება და არა ჩვენი. სამოთხე და ჯოჯოხეთი მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული.

სუზან უესლი, ჯონ და ჩარლზ უესლების დედა

357-ე დღე

ექსტრემალური

ხუცესი-ნაწილი პირველი

ჩრდილო კორეა: ხუცესი კიმი

„თქვენ შეიძლება გაანადგუროთ ჩემი სხეული მაგრამ სული ვერა,“ მამაცი კორეელი ხუცესი პასუხობს ჩრდილო კორეაში შეჭრილ კომუნისტურ არმიას. „მარქსიზმს არ ვიქადაგებ ჩემს მსახურებებში. ვიცი, რომ სხვა ხუცესები წაიყვანეთ სახლიდან ღამით და აწამეთ თქვენი ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, მაგრამ არ მაინტერესებს რას უზამთ ჩემს სხეულს.“

ოფიცრის რისხვა ხუცესის საუბრისას მატულობდა. შემდეგ განრისხებულმა თქვა, „თუ საკუთარ თავზე არ ზრუნავ, მაშინ ოჯახზე იზრუნე. მათაც მოვკლავთ.“ ხუცესი შეყოვნდა. იგი მოელოდა ტკენას მაგრამ ოჯახზე არ უფიქრია. მან იცოდა როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიეღო. მან მშვიდად უპასუხა კომუნისტ ოფიცერს, „მირჩევნია ჩემი ცოლ-შვილი თქვენი იარაღით დაიღუპოს, ვიცოდე, რომ მე და ისინი ერთგულად ვდგავართ, ვიდრე ჩემი უფალი გავყიდო და ისინი დავიცვა.“

„გაიყვანეთ,“ ბრძანა ოფიცერმა. ხუცესი კიმი ორი წელი ბნელ საკანში გამოამწყვდიეს, სადაც პირის გაპარსვის ან ტანსაცმლის გამოცვლის უფლება არ ჰქონდა. მან მხნეობა შეინარჩუნა იმ ბიბლიის მუხლის გამეორებით, რომელიც ძალიან ძვირფასი იყო მისთვის. ყოველ დღე, მისი პატარა, იზოლირებული საკნიდან, სხვებს ესმოდათ ხუცეს კიმის მოსიყვარულე, მშვიდი ხმით იოანეს 13:7, სადაც იესო გვპირდება, „ახლა ვერ ხვდებით რას ვაკეთებ, მაგრამ მოგვიანებით გაიგებთ.“

„მოგვიანებით.“ წამებში ყავის მომზადების, ხელფასისა და კავშირების სწრაფი მოგვარების ეპოქაში, „მოგვიანებით“ მოძველებული ტერმინია. რაც გვჭირდება ახლა გვინდა და არა მოგვიანებით. დღევანდელი სპორტული შეჯიბრებების, ახალი ამბების, გასართობებისა და ამინდის ცნობის-თვით ჩვენი საინფორმაციო საშუალებები ყოველწუთიერ სიახლეებს გვაწვდიან ცხოვრების ყოველ სფეროში. თუმცა, მუდამ და ყველგან მყოფ ღმერთთან ურთიერთობას „მოგვიანებით“ ვამჯობინებთ გვსურს თუ არა მივენდოთ მას ახლა და არ გადავდოთ ჩვენი საკითხის გაგება სამომავლოდ? თუ ახლა გადიხარ განსაცდელს, ნდობა არის შენი ყველაზე ფასეული ქმედება და არა ცოდნა. სთხოვე ღმერთს მოგცეს ნდობის დიდი უნარი, რაც გაგების სურვილს აღემატება.



358-ე დღე

ექსტრემალური
ხუცესი-ნაწილი მეორე

ჩრდილო კორეა: ხუცესი კიმი

„მაგრამ მე კომუნისტი არა ვარ. უნდა დამიჯეროთ," იხვეწებოდა ხუცესი კიმი, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხელახლა დაიკავა ტერიტორიები 1950 წლის სექტემბერში. ჩრდილო კორეელმა კომუნისტებმა კიმი განმარტოვებული ციხის საკანში გამოკეტეს ორი წლით სხვებისთვის ქრისტეს ქადაგებისა და მის მსახურებებში მარქსისტული იდეების პროპაგანდაზე უარის გამო.

როცა გაერთიანებული ერების ჯარები მოვიდნენ, სჯეროდა, რომ გაათავისუფლებდნენ. მაგრამ მათ იფიქრეს, რომ იგი კომუნისტი იყო და სხვა ციხეში ჩააგდეს კომუნისტებთან ერთად.

ხუცესმა მდგომარეობა ღვთის ნებად მიიჩნია და კომუნისტ პატიმრებს უმოწმებდა. მრავალი მოექცა ქრისტესაკენ. „ჩვენ გვესმის ამ პატიმარი მქადაგებლის შესახებ," უთხრა ამერიკელმა მისიონერმა მეგობარს, რომელიც კორეას სტუმრობდა როგორც კაპელანი.

„რადგან იგი პატიმრებს კარგად იცნობს, იქნებ დაგვეხმაროს პატიმრების საევანგელიზაცო შეხვედრისათვის მომზადებაში?" ითხოვა კაპელანმა. ღმერთმა უპასუხა მათ ლოცვას.

ამერიკელმა მისიონერებმა შეძლეს ხუცეს კიმთან დაკავშირება. და „ციხის პატიმარმა" ერთგული დახმარება გაუწია კაპელანს მთელს სამხრეთ კორეაში ქადაგებაში. ათასობით კომუნისტმა მიიღო ქრისტე. ერთ წელიწადში, თორმეტი ათასი პატიმარი დგებოდა ყოველ დილით სალოცავად.

ხუცეს კიმს აღარასოდეს უნახავს თავისი ოჯახი მას შემდეგ, თუმცა ათასობით და-ძმა შეიძინა ციხეში.

„რაშია საქმე?" ეს კითხვა უტრიალებს ყველას გონებაში, როცა უსამართლო წამებასა და ძალადობას ვუყურებთ. თუმცა, ყოველთვის არ გვესმის ღვთის მიზნების. ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ მისი მიზნები დიდებულია და ისინი უდაოდ ჩვენს სასიკეთოდ წარიმართება. კროსვორდის სათითაო კითხვის მსგავსად ვართ მაგიდაზე გაბნეულნი. ირგვლივ სწრაფად ვაცეცებთ თვალებს და ვხედავთ, რომ კითხვები ერთმანეთს არ ეწყობა. იმედგაცრუება გვეუფლება და შიში გვიპყრობს. თუმცა ღმერთი არის გამოცანების ერთადერთი-ბატონი, ვინც მთელს სურათს ხედავს. იგი შენი ცხოვრების ყველა ნაწილს ერთ წუთში ხედავს. მან იცის, როგორ ეწყობიან ის ნაწილები ერთმანეთს მისი დიდებული მიზნის განსახორციელებლად. შეხედავ თუ არა ნდობის თვალით შენს უფალს, სადაც არ უნდა მიგიჩინოს ადგილი?



359-ე დღე

ექსტრემალური
საშობაო ისტორია

რუმინეთი: არისტარი

„ოდესმე გიყნოსიათ ახალი თივის სუნი?“

დაიწყო არისტანმა-ფერმერმა ბიჭმა თხრობა. „გეგონება ვიღაცამ ზაფხულის სურნელი ხელთ იგდო და ფუთაში გამოკრა სიახლის დაკარგვამდე. მარიამსა და იოსებს უნდა ეყნოსათ იგი ბაგაში, გრძელი მგზავრობის შემდეგ.“

ერთი პატიმარი დიდი ინტერესით უსმენდა არისტარის მონათხრობ შობის ისტორიას. „ცხენები მხსნელის ტირილის მოსასმენად მაღლა ასწევდნენ ყურებს. მათ საუკეთესო სმენა აქვთ და ჩვენც მათ უნდა მივბაძოთ, როცა იესო ლაპარაკობს.“

რუმინეთში, თირგულ-ოცნას ციხის გარეთ, ექვსი ფუტის სიმაღლეზე იდო თოვლი შობის ცივ ღამეს. პატიმრებს რამოდენიმე ხელი ტანსაცმელი, მცირეოდენი საკვები და ერთი თხელი საბანი ჰქონდათ. ყველას ენატრებოდა საკუთარი ოჯახი და არისტარის მიერ იესო ქრისტეს ამბის მოსასმენად შებრუნდნენ ნუგეშის მიზნით.

მან გააგრძელა, „სინათლის ვარსკვლავი მთვარეზე ნათელი უნდა ყოფილიყო. შეიძლება კარებში ისე გაანათა, რომ მამალმა ხმამაღალი ყივილით განაცხადა ქრისტეს შობის შესახებ.“ პატიმრები უსმენდნენ და ტიროდნენ. ამ ამბის მოსმენის შემდეგ, ვიღაცამ სიმღერა დაიწყო, ნელ-ნელა ცივი ზამთრის ღამეში ხმა ჰაერში გაიფანტა. ყველა გაჩერდა ლამაზი ხმის მოსასმენად.

სასტიკ ციხეშიც კი, ქრისტეს საჩუქრის ისტორიამ მრავალი ადამიანის გული გაათბო. რადგან ქრისტე არის ფუნდამენტი, არავის შეუძლია დაახშოს ქრისტეს შობის სული.

რა თქმა უნდა, შობა ყოველწლიური დღესასწაულია. თუმცა შობას ამაზე მეტი მნიშვნელობა აქვს; ის ხდება ყოველი ადამიანის გულში, რომლებიც დღესასწაულობენ ქრისტეს ამქვეყნიერებაზე სასწაულებრივად შემოსვლას. ქრისტეს სითბოს სული ანათებს ჩვენს ბნელ მდგომარეობაში და გვახსენებს ქრისტეში ჩვენს იმედს. მიუხედავად იმისა ვხედავთ თუ არა თოვლს მიწაზე, ფერად შუქებს, გაფორმებულ ხეებს, მაინც შეიძლება ვიზეიმოთ შობა. რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყო, ქრისტე იმიტომ იშვა რომ განსაცდელის ჟამს დაგეხმაროს. მისი წყალობა მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. როდის იგრძენი ბოლოს ცოცხალი ქრისტეს იმედი შენს სულში? დაუთმე დრო დღეს და იზეიმე ქრისტეს შობა-შენს ქვეყანაში და შენს გულში.



360-ე დღე

ექსტრემალური
უფრო მეტი ხედვა

აღმოსავლეთ ევროპა: ქრისტიანი პატიმარი

პატიმარი ციხის დაცვის უფროსთან მიიყვანეს, უხეში, გაბრაზებული, წითელ სახიანი ქალბატონი განიერი მხრებით. „ესე იგი, კიდევ ესაუბრები პატიმრებს ღმერთის შესახებ. ახლა აქ იმიტომ ვარ, რომ გითხრა: ამას ბოლო უნდა მოეღოს!“ და სახეზე რისხვა გამოეხატა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ციხეში. პატიმარი ჩუმად, მაგრამ ურყევად იდგა. უფროსს უთხრა, რომ მას ვერაფერი შეაჩერებდა მხსნელზე ლაპარაკში.

უფროსმა მუშტი შემართა და დარტყმა დაუპირა, მაგრამ უცბად გაჩერდა. „რაზე იცინი?“ თქვა მან მკაცრად.

„იმის გამო ვიცინი, რასაც შენს თვალებში ვხედავ.“

„და რა არის ეს?“

„ჩემი თავი. მეც ასეთი მკაცრი ვიყავი. მეც ადვილად ვბრაზდებოდი და ვცემდი ვიდრე არ ვისწავლე რას ნიშნავს სიყვარული. მას შემდეგ ჩემი ხელი მუშტად აღარ შეკრულა.“

მან გააგრძელა, „ჩემს თვალებში რომ ჩაიხედო, დაინახავ რად შეიძლება ღმერთმა გადაგაქციოს.“ პატიმარმა დაინახა, თუ როგორ შეეძლო მის ძველ პიროვნებას მისი ახლანდელი უფლებების დაცვა, შეურაცხყოფა შეურაცხყოფის სანაცვლოდ. ქრისტეში მისი ახალი ცხოვრების გამო, მან მხოლოდ გულკეთილობა გამოამჟღავნა და დამოწმების გაგრძელების უფლება მოიპოვა.

უფროსმა ხელები დაბლა დაუშვა. სრულიად განცვიფრებული ჩანდა და ჩუმად თქვა, „მოშორდი აქედან.“

პატიმარი ისე აგრძელებდა ქადაგებას მთელი თავისი სასჯელის განმავლობაში, რომ უფროსისაგან ამის მეტად შენიშვნა აღარ მიუღია.

უფროსის გაბრაზების მცდელობა ჰგავდა მკვდარ ადამიანთან კამათს. თითქოს გვამს იწვევდა სასაუბროდ. ბოლოს, უფროსმა დაინახა როგორი იყო პატიმარი სინამდვილეში: ქრისტეში ახალი ქმნილება. ძველი კაცი, რომელიც სიძულვილს უფრო მეტი სიძულვილით უპასუხებდა გაქრა და წავიდა. ამის ნაცვლად, პატიმარმა უფროსს დაანახა მხოლოდ ქრისტესმიერი პასუხი და სიკეთე. ანალოგიურად უნდა ვხედავდეთ საკუთრ თავს ახალ სინათლეში. ამის შემდეგ ჩვენს მტერს აღარ უნდა ვუპასუხოთ ამქვეყნიური მტრული პასუხით. ჩვენ მკვდრები ვართ ძველი ცხოვრების წესისათვის. როცა მტერი გვაღიზიანებს და გვიწვევს შეუფერებელი პასუხისათვის, გაიხსენე ამ მოთხრობის გმირი. ისე მოიქეცი, თითქოს მკვდარი ხარ.

მიტოვებული გაქვთ წინანდელი
ცხოვრება ძველი კაცისა,
მაცდური გულისთქმებით
გახრწნილი, და შეგიმოსიათ
ახალი კაცი, რომელიც შექმნილია
ღვთისამებრ, სიმართლითა და
ჭეშმარიტების სიწმინდით.

ეფესელთა 4:22, 24

361-ე დღე

ექსტრემალური
მდინარის გადაკვეთა

ტაილანდი: ძმა ჰუ

ძმა ჰუ ცუდად იყო და სიცხე ჰქონდა, როცა მან და მისმა მეგობარმა მეკონგის გათოშილ წყალში შედგეს ფეხი. ისინი ბიბლიის სტუდენტები იყვნენ ლაოსში, ვიდრე კომუნისტები კოლეჯს თავს დაესხმოდნენ.

ძლივს დააღწიეს თავი სიკვდილს ტაილანდში გაქცევით. მათ ვერ მოახერხეს თავიანთ ოჯახებთან დამშვიდობება, რომლებიც ქრისტიანები არ იყვნენ და შეიძლებოდა მათ პოლიციაში დაესმინათ შვილები. ჩუმად ილოცეს და ცივ, ტალახიან მდინარეში შევიდნენ ზურგზე მოკიდებული ძვირფასი ბარგით-პლასტმასში გახვეული ბიბლიებით. ამქვეყნიური სხვა საკუთრება კი უკან მოიტოვეს.

ჰო ფიქრობდა, „უფალო, თუ მოვკვდებით, მათ ეცოდინებათ, რომ ქრისტიანები ვართ და ბიბლიას მაინც წაიკითხავენ.“

დაახლოებით მდინარის შუაგულამდე იყვნენ მისულები, როცა ჰუს სასოწარკვეთილმა მეგობარმა ცელოფნის პარკი მკერდის ქვეშ დაიდო რომ ეტივტივა. მოულოდნელმა შხეფების ხმამ ახლოს მდგომ კოშკში მყოფი დარაჯების ყურადღება მიიქცია და მდინარე გაანათეს. სინათლე ცელოფნის შეკვრას დაეცა და დარაჯებმა თევზად აღიქვეს იგი.

ჰუმ და მისმა მეგობარმა შვებით ამოისუნთქეს და მდინარის ნაპირის გავლით ტაილანდისაკენ გზა გააგრძელეს. მათ მადლობა გადაუხადეს ღმერთს, რომ ბიბლია საუკუნო სიცოცხლის სიტყვებს შეიცავდა და იმ ღამით კი მათი ფიზიკური სიცოცხლე დაიცვა. მშვიდობიანად ჩავიდნენ ტაილანდში და მრავალთაგან ერთ-ერთ ლტოლვილთა ბანაკში მსახურების დაწყება გადაწყვიტეს.

ნახე, როგორ შევიყვარე შენი
ბრძანებანი; უფალო, შენი
წყალობისამებრ მაცოცხლე.

ფსალმუნი 118:159

362-ე დღე

ექსტრემალური
ცდუნება

რუმინეთი: საბინა ვურმბრანდი

მათი მრავალწლიანი ქორწინების განმავლობაში, საბინა ვურმბრანდის მეუღლისადმი სიყვარული არასოდეს შერყეულა. მაგრამ რამოდენიმე წელი გავიდა და მისგან არაფერი სმენია ციხიდან. მისი გარდაცვალების შესახებ ხმა გავრცელდა, მაგრამ გრძნობდა ღმერთი ეუბნებოდა რომ მტკიცედ მდგარიყო თავის რწმენაზე. ნუთუ ოდესმე კვლავ ერთად იქნებოდნენ?

საბინა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და თინეიჯერი ვაჟი ჰყავდა გასაზრდელი, ხშირად ეძალებოდა სიყვარულისა და სხვა მამაკაცთან ურთიერთობის სურვილი. როცა კეთილმა, მოხდენილმა ქრისტიანმა კაცმა სახელად პოლმა მათთან სიარული და მისი ვაჟის მეცადინეობა დაიწყო, ბუნებრივი იყო რომ გრძნობა დაეუფლებოდა მის მიმართ. ხანდახან პოლი სეირნობისას საბინას ხელს ჩაჰკიდებდა და ნდომიანი თვალებით შესცქეროდა თვალებში.

ბოლოს საბინამ ყველაზე რთული გადაწყვეტილება მიიღო. მან იცოდა, რომ თუ უნდოდა თავის ქმართან შეხვედრაზე ეფიქრა, ყველა ცდუნებისათვის თავი უნდა აერიდებინა და ყურადღება ღვთის დაპირებაზე გადაეტანა. და პავლეს სთხოვა, რომ ამის შემდეგ აღარ მოსულიყო მათთან. ეს უკანასკნელი გაგებით მოეკიდა საკითხს და თხოვნა შეასრულა.

მალე ღმერთმა დააჯილდოვა მისი ერთგულება. ერთ დილას, საბინა ეკლესიაში იყო და იატაკს ხეხავდა, როცა მისალოცი ბარათი მიიღო. ხელს აწერდა „ვასილი გეორგესკუ," მაგრამ წყალი არ გაუვიდოდა რომ მისი ქმრის ხელწერა იყო ნამდვილად.

თვალცრემლიანი შემდგ ტექსტს კითხულობდა, „დრო და სიშორე მცირედ სიყვარულს აქრობს, მაგრამ დიდ სიყვარულს უფრო აძლიერებს."

დევნილი ეკლესიის შესახებ ისტორიები რეალური ადამიანებისა და მათი ნამდვილი გრძნობების შესახებ მოგვითხრობენ. ამ ამბის გმირები არც სრულყოფილები და არც ქაღალდის თოჯინები არ არიან. წამებულთა ხმა არის ორგანიზაცია, რომელიც ყოველგვარი გაზვიადებისა და სიცრუის გარეშე ასახავს რეალურ ფაქტებს. საბინას მანევრირება გამოწვეული იყო მისი მეუღლის დევნის შედეგად. მისი მეუღლე იცდებოდა, დიახ. მაგრამ საბინას რწმენაც გამოიცადა. დევნა სხვადასხვა დონეზე ეხება ყველას. მაგრამ როგორც დავინახეთ, ისინი ვინც დროებით გადაცდებიან მის სრულყოფილებას შედეგად უცნაურად ძლიერდებიან. ვურმბრანდების მსგავსად, თქვენი სიყვარული გაიზრდება დევნის შედეგად-ოღონდ თუ ნებას მისცემ მას მისი ნამდვილი მიზნის ასარულებაში დასახმარებლად.

ყოველივეს იტანს, ყველაფერი
სწამს, ყველაფრის სასოება აქვს
და ყოველივეს ითმენს. სიყვარული
არასოდეს მთავრდება.

1 კორინთელთა 13:7-8

363-ე დღე

თუ მოწოდება გაქვს,
ვერაფერი შეგაშინებს.
ამ ხედვით, ღმერთი
მოგცემს ძალას.
არ უნდა შეგეშინდეს.

ირანელი ხუცესი

364-ე დღე

ექსტრემალური
კიდევ ერთი თინეიჯერი

პაკისტანი: ტარა

ტარა მეშვიდე კლასში იყო, როცა ჩუმად ჩაება ბიბლიის შესწავლის საქმეში, რათა უფრო მეტი ესწავლა ღმერთის შესახებ. მისი მკაცრი ოჯახი არასოდეს უპასუხებდა იესოს შესახებ, და მტკიცედ გადაწყვიტა თვითონ მიეგნო ჭეშმარიტებისათვის.

მაგრამ, როცა მისმა მშობლებმა ის თავის ოთახში ქრისტიანული წიგნების კითხვისას ნახეს, მათ სიბრაზეს საზღვარი არ ჰქონდა. 1992 წლის ნოემბერში, ისე მწარედ სცემეს, რომ თითქმის ერთი კვირის განმავლობაში უგონოდ იწვა თავის ოთახში. მას სჯერა, რომ ანგელოზმა გამოაღვიძა და საავადმყოფოში წასვლაში დაეხმარა.

ტარამ გააგრძელა რწმენაში ზრდა და 1995 წელს საიდუმლოდ მოინათლა. შემდეგ მისმა მშობლებმა საქმე მოაგვარეს ერთ მუსულმანთან, მისი ქორწინების შესახებ. ტარამ უარი თქვა ქორწინებაზე და კვლავ სცემეს. აიძულეს რამდენიმე დღე ფეხზე მდგარიყო და არ დაეძინა. ამ დროის მანძილზე, ტარამ სამი სიზმარი ნახა, სადაც ხმა მოესმა, რომ ეუბნებოდა, „მე შენთან ვარ. მე შენი მამა ვარ.“

ამდენი ცემის შემდეგ კომაში ჩავარდა. სამი დღის შემდეგ გაიღვიძა და სისხლის ტბაში იწვა. და კვლავ მოესმა იგივე გამამხნევებელი ხმა, „მე მამაშენი ვარ. მე დაგიცავ შენ.“

ტარამ გაქცევა შეძლო და დღეს სხვა სახლში ცხოვრობს, სხვა ქვეყანაში, სადაც მთელ დროს ღმერთის მსახურებას უთმობს.

განა ქრისტიანობა ყველაფრის დაკარგვას გვთავაზობს? აკრძალული ქვეყნების ქრისტიანებმა იციან რას ნიშნავს დაკარგვა ქრისტეში თავიანთი რწმენის გამო. მათ იციან რამდენაირად შეიძლება დაკარგო ოჯახი. მუსულმანმა ოჯახმა შეიძლება სრულიად უარყოს თავისი ოჯახის მოქცეული წევრი, როგორც მოღალატე. ისინი მოკვეთილები არიან საზოგადოებიდან. ქრისტიანულ ოჯახებსაც აქვთ შიში, მაგრამ სხვაგვარი. ექსტრემისტები სრულიად ანადგურებენ ქრისტიანულ ოჯახებს მათი რწმენის გამო. დანაკარგი საშინელია. თუმცა, ჩვენ ქრისტეს დაპირება გვაქვს. რასაც ახლა დავკარგავთ მისი სახელისათვის, ასჯერ მეტს მივიღებთ სასუფეველში. ეს აზარტული თამაში არ არის. ეს არის ღვთის შეუცდომელ სიტყვაზე დაფუძნებული რისკი. ან ენდობი მას და ან არა.

ყველა, ვინც მიატოვა სახლები ან
ძმები, ან დები, ან მამა,
ან დედა, ან შვილები, ან ყანები,
ჩემი სახელის გულისათვის,
ასმაგად მიიღებს და საუკუნო
სიცოცხლეს დაიმკვიდრებს.

მათე 19:29

წამებულთა ხმის შესახებ...

1967 წლიდან ეხმარება დევნილ ეკლესიას
წამებულთა ხმა არის ჰუმანიტარული, მრავალდენომინაციური ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება მსოფლიოში დევნილ ეკლესიას. VOM დაარსდა ხუცეს რიჩარდ ვურმბრანდის მიერ, ვინც თოთხმეტი წელი გაატარა კომუნისტური რუმინეთის ციხეში იესო ქრისტეს რწმენის გამო. 1960-იან წლებში რიჩარდი, საბინა და მათი ვაჟი მიხეილი, რუმინეთიდან გამოისყიდეს და ამერიკაში ჩამოვიდნენ. თავიანთი მოგზაურობისას ვურმბრანდები ხალხს იმ საშინელი ისტორიების შესახებ უამბობდნენ, რომელთა გადატანაც ქრისტიანებს აკრძალულ ქვეყნებში უწევდათ და დევნილი ეკლესიისათვის დახმარების გასაწევად ორგანიზაციის ოფისები დაარსეს. წამებულთა ხმა დღესაც აგრძელებს ამ მისიას მსოფლიოს გარშემო ხუთი მთავარი მიზნით:

გაამხნევოს და გააძლიეროს ქრისტიანები, რათა აღასრულოს დიდი დავალება მსოფლიოს იმ რეგიონებში, სადაც იესო ქრისტეს სახარების პროპაგანდისათვის ადამიანები იდევნებიან. რაც სისრულეში მოგვყავს ბიბლიების, ლიტერატურის, რადიო გადაცემებისა და სხვადასხვა ჰუმანიტარული დახმარების საშუალებით.

მისცეს შვება ამ ქვეყნის წამებულების ოჯახებს.

აღჭურვოს ადგილობრივი ქრისტიანები იმ მდევნელთა შეძენის მიზნით, რომლებიც სახარებას ეწინააღმდეგებიან იმ ქვეყნებში, სადაც მორწმუნეები აქტიურად იდევნებიან ქრისტეს მოწმობის გამო.

წამოიწყოს გამამხნევებელი პროექტები, დაეხმაროს მორწმუნეებს ცხოვრებისა და ქრისტეს მოწმობის განახლებაში იმ ქვეყნებში, რომლებიც კომუნისტური ძალადობის შედეგად იტანჯებოდნენ.

ყურადღება გავამახვილოთ მორწმუნეების ურთიერთთანამშრომლობაზე, მთელს მსოფლიოს ვაცნობოთ ქრისტიანების წინააღმდეგ ჩადენილი საშინელებების შესახებ და შევახსენოთ მათი რწმენისა და მხნეობის შესახებ.

განსაკუთრებული მიძღვნა

მზად ხარ გამოწვევისათვის? მაშინ გადაშალე ეს წიგნი და წაიკითხე 365-დან ნებისმიერი ამბავი იმ ქალებისა და კაცების შესახებ, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს ქრისტესათვის. ნახეთ ჰგავს თუ არა იგი იმ ამბებს, რომლებიც თქვენ იცოდით.

იესოს სერიოზული მიმდევრები ფასს იხდიან, ექსტრემალური მიმდევრები კი სიცოცხლეს სწირავენ. წამებულთა ხმა წარმოგიდგენთ ყოველდღიური ლოცვისათვის ამბებს, რომელიც მოითხოვს მხნეობის, ვალდებულების, აღიარებისა და თანადგომის-საზღაურს; საზღაური რომელიც უკვე გადახდილია.

ექსტრემიზმის ხანაში, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ რწმენა, ძალა, მხნეობა და იმედი მთელი მსოფლიოს გარშემო დევნილი თანამორწმუნეების ისტორიებში, წარსული საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე. ეს ქალები და კაცები, ახალგაზრდანი და მოხუცებულნი, ადამიანის შესაძლებლობის ზღვარს გასცდნენ.

ყოველი ამბავი ნამდვილია. ყოველი ისტორია დაუვიწყარია. ყოველი მოთხრობა ექსტრემალურია. ყოველი ამბავი შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

მიიღე დღეს ეს გამოწვევა და გაჩხრიკე საკუთარი თავი!

The Voice of the Martyrs

OM EAST

GE